

1.	ამბროსია, ამბროზია, ჰამროსია	<i>Ambrosia artemisiafolia</i> , L., <i>A. Trifida</i> , A. <i>Aptera</i> D. C.			<p>— Compositae, მბროსია რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახს ეკუთვნის.</p> <p>მცენარე შემოტანილია ამერიკიდან, იზრდება დასარევლიანქულ ადგილებზე. ჩვენში გვხვდება დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში მას აღნიშნული აქვს ამ გვარის სამი სახეობა: <i>Ambrosia artemisiafolia</i>, L., <i>A. Trifida</i>, A. <i>Aptera</i> D. C.</p> <p>ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ამ მცენარეს ეხვდებით ე.წ. „ცხროების“ მკურნალობის დროს.</p> <p>თანამედროვე ფარმაკოპეაში ამბროზია არ არის შეტანილი.</p>
2.	ანჩხლა, ინჩხლა	<i>Trachystemon orientale</i> (L.) D. (= <i>Nordmannia orientalis</i> Stev.)	იძ. ჩინჩხორი; ლაზ. ინჩხლა, ხოშტარა; გურ. ინჩხლა, მიასარი; აჭ. ბულდო, ინჩხლი; ჭნ. მტკუთ ბუდი, ანჩხლი; მგრ. ანჩხილი, თუნთიში ქუდელი.		<p>ანჩხლა, ინჩხლა — <i>Trachystemon orientale</i> (L.) D. Don (=<i>Nordmannia orientalis</i> Stev.) ლაზერასებრთა (Boraginaceae) ბოტანიკურ თჯახს ეკუთვნის.</p> <p>ანჩხლა 5–40 სმ სიმაღლის ბალახია, ივითარებს გაგრძელებულ შებუსფილ ფოთლებს. გვირგვინი ლურჯია.</p> <p>გეხვდება მთის ზედა სარტყლამდე, მშრალ ფერდობებზე, ნაგვიან ადგილებში, ტენიანებზე, როგორც პლანტაციების სარეველა — აფხაზეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში.</p> <p>ანჩხლა მოსესნიებული არ არის არც ხალხურ და არც მეცნიერულ მედიცინაში.</p> <p>ანჩხლას ძირებს იყენებენ მუწუკების (კარბუნკულებისა და ფურუნქულების) მოსამწიფებლად, აგრეთვე ქავანას და საერთოდ კანის დაავადების დროს (ლანჩხუთის რაიონი).</p>

3.	არდაჯავა	<i>Alkanna orientalis</i>		<p><b>არდაჯავა</b> – <i>Alkanna orientalis</i>, ლაშქარასებრთა (Borraginaceae) ოჯახს კუთვნის.</p> <p>20–40 სმ სიმაღლის მრავალწლიანი მცენარეა. გვარი ყვავის აპრილ-მაისში.</p> <p>გვხვდება ქვადორდიან ფერდობებზე მთათა შეა სარტყელში, გავრცელებულია სამხრეთ კავკასიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, ჩრდილოეთ ირანში, სირიაში, პალესტინასა და სინაის ნახევარკუნძულზე.</p> <p>ქიმიური შედგენილობა არ არის შესწავლილი.</p> <p>ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კანის დაავადებებისა და ჭრილობის შესახორცებლად.</p>
4.	აფთიმონი, აბრეშუმა, გველის-ღობე	<i>Cuscuta europaea</i>		<p><b>აფთიმონი, აბრეშუმა, გველის-ღობე</b> – <i>Cuscuta europaea</i> ხვართქლასებრთა (Convolvulaceae) ოჯახს კუთვნის.</p> <p>ერთწლიანი ბალახოვანი პარაზიტული მცენარეა, საქართველოში მეტად გავრცელებული; სახლდება: იონჯაზე, სამყურაზე, ჭინჭარზე, კარტოფილზე, თამბაქოზე, სელზე და სხვა ველურ და კულტურულ მცენარეებზე, როთაც დიდი ზიანი მოაქვს.</p> <p>აფთიმონის ნედლი ბალახი საქონელზე მაწყინარად მოქმედება, იგივე ბალახი, მაგრამ გამხმარი, მავნე თვისებებს კარგავს. აბრეშუმა უქლოროფილო მოყვითალო-მოწითალო მცენარეა, მხვიარა, მაწოვრების მქონე წვრილი ღერო აქვს. მაწოვრების საშუალებით ის მკვებავ მცენარეს ეხვევა და ემაგრება. ახასიათებს წვრილი ქერქისებრი ფოთლები, რომელთა იღლიებში ვითარდება გვერდითი ტოტები თავაკისებრი ყვავილედებით. ყვავილედებში შეკრებილია წვრილი მოვარდისაფრო თეთრი ყვავილები. ჯამი ხეთფოთოლაკიანია და ბევრად</p>

				<p>შოკლეა გვირგვინზე, ხუთფურცლიანი გვირგვინი ზარისებრია, მტკრიანები – ორი-ოთხი ნაყოფის ფოთოლისაგან შემდგარი ნასკვი, ნაყოფი – კოლოფი.</p> <p>ეს მცენარე ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება აგრეთვა იარსაჩის სახელწოდებით.</p> <p>აფთიმონი იხმარებოდა მთელ რიგ ნერგულ, ფსიქიკურ და შინაგან სწეულებათა დროს.</p> <p>ეს მცენარე ძველად მელანქოლიის დროს იხმარებოდა.</p> <p>აფთიმონი გვხვდება აგრეთვე თმის ცვენის, სახის ჭორფლის მკურნალობისათვის დანიშნული წამლების შემადგენლობაში.</p> <p>აფთიმონი შედის პრეპარატ კუსკუტინას შემაღებნლობაში, რომელიც საფადარაო საშუალებას წარმოადგენს.</p>
--	--	--	--	---

1.	<p>ბაბუნა, სამკურნალო (სააფთიაქო) გვირილა, მატრიკარია</p> <p><i>Matricaria chamomilla L.</i></p>  <p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. იზრდება 20-40 სმ. ღერძი სწორი, განტოტვილი. ყვავილები ფრთოვანი, ორგვარად გაყოფილი. შეკრებილია ცალკეულ ყვავილედებად; სუნი სასიამოვნო-არომატული. ყვავილობს მაის-აგვისტოში. თესლები მოხაზულობით მოგრძოა, ოთხ-ხუთ წახნაგოვანი, ზურგის მხრიდან გლუვია, მუცლის მხრიდან 3-5 გრძივი წიბოებით, თესლის წვერი ირიბად, ხუთკუთხედიანია, ფუქე ოდნავ შევიწროებულია, წაკვეთილი, ბლაგვი. თესლების ნაწიბური განლაგებულია თესლების ფუძის შუაში. ზედაპირი გარეთა მხრიდან ოდნავ ამოზნექილია, გრძივად-ღარისებურია, შიგნითა მხრიდან წიბოვანია. თესლების შეფერილობა მოყვითალო-მონაცრისფროა, წიბოები და რკალი წვერში შეფერილია უფრო ღიად.</p> <p>ყვავილების კალათებში ნაპოვნია ეთერული ზეთი, რომლის შემადგენლობაში შედის ამაზულენი, ფლავონიდები, კადინენი, სალიცინის, იზოვალერიანის და სხვ. მჟავები, კუმარინები, ქოლინი, ფიტოსტერინი, კაროტინი, კამედი, შაქარი, გლიკოზიდი, აპიგენინი, აპიინი, გერნიარინი, მატრიცინი. შეიცავს ფისებს, ცხიმოვან ზეთს, სპირტს, სტერინებს, საპონინებს, ვიტამინებს. ხალხურ მედიცინაში მისი ნაყენი გამოიყენება გასტრიტის, კოლიტის, თირკმლების დაავადების, ღვიძლის, შარდის ბუშტის, მალარიის სამკურნალოდ; ანთების საწინააღმდეგოდ, უძილობისას; იყნებენ გარეგანად ანთების ჩასაცხრომად, ცრემლსადენი აპკების გასაწმენდად, ჭრილობების შესახორცებლად.</p>
----	---

2.	ბადიანი	<i>Illicium verum</i> Hook. F.		 <p>ნამდვილი ბადიანი, ვარსკვლავისებური ანისი. მცენარე ილიციისებრთა (Illiciaceae) ოჯახიდან. ადრე მიაკუთსნებდნენ მაგნოლიასებრთა ოჯახს. 10 მ-მდე სიმაღლის ხე. მარადმწვანე, ტყავისებური ფოთლებით; ხარობს ინდოჩინეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის სხვა ადგილებში. ყვავილები ორსქესიანია; ნაყოფი შეიცავს 90%-მდე ანეთოლს. მისი ზეთი გამოიყენება მედიცინაში. ბადიანის ერთი ჯიში, <i>Illicium anisatum</i> (I. religiosum), რომელიც ჩინეთში ხარობს და არ განსხვავდება მისგან გარეგნულად, შხამიანია. საერთოდ 42 ჯიშია ცნობილი და მათგან, ძირითადად, ეთერზეთებს იღებენ.</p>
3.	ბადრიჯანი	<i>Solanum melongena</i> L.	<p>კხ. ქართული ბადრიჯანი, გრძელი ბადრიჯანი, სოსანი ბადრიჯანი; გურ. პატრიჟანი; ინგ. პატინჟან; ჭნ. ფატიჯანი; მგრ. გინძე პატრიჟანი; საბა ბადლიჯანი.</p> 	<p>მრავალწლოვანი მცენარე ძაღლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. სითბოსა და ტენის მოყვარული კულტურაა. მისი სამშობლოა აღმოსავლეთი ინდოეთი. ველურად იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ინდოეთი, მიანმარი და სხვა), ტროპიკულ სარტყელში კულტივირებულია მრავალწლოვან მცენარედ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, რუსეთსა და უკრაინის სამხრეთით, მოლდავეთსა და შუა აზიაში მოჰყავთ ღია გრუნტზე. ნაყოფი შეიცავს მშრალ ნივთიერებას, შაქარს, ცილას, ცხიმს, აგრეთვე კალციუმის, ფოსფორის, რკინისა და სხვა მარილებს, ასკორბინის მჟავას, ბექტინებს, ცხიმებს, ცილებს, კაროტინს, ვიტამინებს. ბადრიჯანს იყენებენ საკონსერვო წარმოებასა და კულინარიაში. სუბტროპიკულ და ზომიერი ჰავის ქვეყნებში ბადრიჯანი მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი კულტურა ჩითილის გამოყვანის მეთოდით. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, საქართველოში ბადრიჯანი ცნობილი ყოფილა XII საუკუნემდე. ბადრიჯანს იყენებენ სამკურნალო საკვებად ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის. გამოაქვს ორგნიზმიდან ქოლესტერინი, სითხე, აუმჯობესებს გულის მუშაობას. მის მიღებას ურჩევენ სისხლნაკლულობისას, ნიკრისის ქარის, პოლიართრიტის, თირკმლისა და ნაღველკენჭოვანი დაავადებისას.</p>

4.	ბაია	Ranunculus L.	ქრთ., მსხ., ჯვე., ზმ. იმ. ცხვირისატეხელა; ქრთ., მხვ., ხვს., თშ., ქზყ., რჭ., იმ., აჭ. წალიკა; მგრ. ბაიე, ბაია.		<p>მცენარეთა გვარი ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახია, რომელსაც ფუნჯა ფესვები (ხშირად ფესურები) და მორიგეობით განლაგებული თათისებრ დაყოფილი ფოთლები აქვს. ყვავილები ცალადია ან შეკრებილია მეჩხერ ყვავილედებად. ყვავილსაფარი ორმაგია, ხუთწერიანი. გვირგვინის ფურცელი ყვითელია, იშვიათად თეთრი; თითოეული ფურცლის ძირში სანექტრებია. ნაყოფი კაკლუჭა. ცნობილია 600-მდე სახეობა, საქართველოში 50-მდე, რომელთაგანაც 11 - საქართველოს ენდემია (<i>Ranunculus helenae</i>, <i>Ranunculus abchasicus</i> და სხვა), 9 კი - კავკასიისა. ბაია გავრცელებულია ყველა სარტყელში - დაბლობიდან მაღალმთამდე. უყვარს ტენიანი ადგილები, თუმცა ზოგიერთი სახეობა ველებსა და ხრიოკებზეც გვხვდება. საქართველოში სახეობათა უმრავლესობა სუბალპურ და ალპურ მდელოებზე იზრდება, მცირე რაოდენობით გვხვდება ტყეებში, ბუჩქნარებსა და ველობებზე, თითო-ოროლა სახეობა კი (<i>Ranunculus oxyspermus</i>, <i>Ranunculus meridionalis</i>) ნახევრად უდაბნოებში და ველებზე. ბევრი მათგანი შხამიანია (<i>Ranunculus sceleratus</i> და სხვა), შეიცავს ანემონოლს, რომელიც იწვევს საქონლის მოწამვლას, თივა კი უვნებელია. ბაიათა საკმაოდ დიდი ნაწილი სარეველაა (ყანის ბაია - <i>Ranunculus arvensis</i>), ზოგი მეტნაკლებად დეკორატიული. ბაიას ზოგი სახეობა სამკურნალოდაც გამოიყენება. მაგალითად, მრავალყვავილა ბაია (<i>Ranunculus polyanthemus</i> L.), რომლის წყალში ნაყენს აქვს მატონიზირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობის შემთხორცებელი თვისებები. მას მცირე დოზებით იღებენ თავისა და კუჭის ტკივილისას. გარგანად ნედლ ბალხს იყენებენ თავისა და ნევრალგიური ტკივილებისას, სოკოს წინააღმდეგ, რევმატიზმის სამკურნალოდ, გამონაყარებისა და ჭრილობების მოსაშუალებლად. ბაია კლინიკურად შემოწმებულია ტუბერკულოზის სამკურნალოდ. თუმცა მისი გამოყენება მხლოდ ძალიან ფრთხილად შეიძლება.</p>
----	------	---------------	--	--	---

				ხალხურ მედიცინაში ბაის ყვავილი მაღარის წინააღმდეგაც გამოიყენება. მცოცავი ბაია შეიცავს პროტოანემონინს. მისი ნახარშით ისუფთავებენ სხეულის აქავებულ ადგილებს, ძირმაგარებს, მათი მომწიფების მიზნით, ხოლო ნედლ ბალახს იდებენ რევმატიზმიან ადგილებზე და თავზე, მისი ტკივილისას. ამასთან, მისი სხეულზე დიდხანს გაჩერება არ შეიძლება.
--	--	--	--	---

5.	ბალბა	Malva	<p>ქრთ. ჩიტიპურა; მსხ., ჯვე. კორკოტინა; ხვს. აბაზა; მხვ. კორკოტა; ქვ. იმ. დონგის ფხალი; რჭ. მოლოქა ფხალი; რჭ., ლჩხ., იმ., გურ. მოლოქი, მოლოქა, მალოქი; სბ. კორკოტანა; მგრ. ბოდორია, ბოდერია; სვნ. მოლექ, მოლოქ.</p>		<p>ერთ, ორ- ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ბალბისებრთა (Malvaceae) ოჯახისა. აქვს 10-100 სმ სიმაღლის სწორი, გართხმული ან წამოწეული ღერო, მომრგვალო-თირკმლისებრი, ოდნავ დანაკვთული, იშვიათად თათისებრ განკვეთილი გრძელყუნწიანი ფოთლები და მარტოული ან კონებად შეკრებილი თეთრი ან მოვარდისფრო-იისფერი ყვავილები. ნაყოფი წარმოადგენს ზურგზემომრგვალებულ და გვერდებზე ჩაჭყლეტილ, გაუხსნელ სეგმენტისებურ თესლურას. ნაყოფის გარსი თხელია, აპკიანი, ბორცვინ-დანაოჭებულია. გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ, იშვიათად სუბტოპიკულ სარტყლებში. საქართველოში, მთის ქვედა და შუა სარტყელის ბუჩქნარებში, დანაგვიანებულ ადგილებსა და გზის პირებზე, იზრდება 5 სახეობა. მათგან <i>Malva silvestris</i> და <i>Malva neglecta</i> მთელ რესპუბლიკაშია გავრცელებული, <i>Malva erecta</i> და <i>Malva ambigua</i> - მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, <i>Malva pusilla</i> - აფხაზეთსა და ბორჯომში. ხმარობენ მხლად. ბალბის ზოგიერთი სახეობის (<i>Malva silvestris</i>) ყვავილებსა და ფოთლებს იყენებენ ხალხურ მედიცინაში, აგროვებენ ივნის - აგვისტოში. ცალკე ბალახს და ცალკე ფოთლებსაც. მაგალითად პნევმონიისა და ფილტვის ენფიზემის სამკურნალოდ. ბალბას ძირითად შემადგენელს წარმოადგენს მცენარეული ლორწო. გამოიყენება დამარბილებელ და ამოსახველებელ საშუალებად, ინჰალაციისათვის, გამოსავლებად. ძირითადად ჩაის სახით. ხალხურ მედიცინაში მისი ჩაი ძალიან პოპულარულია. თანაბრად იყენებენ ფოთოლს, ყვავილს და ბალახს. პირველ რიგში იყენებენ გაციების საწინააღმდეგოდ, ყელის ტკივილისას. ხალხური მედიცინა ჩაის იყენებს ფალარათისა და მუცლის ტკივილისას, ჭრილობებზე კომპრესებად. უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური მედიცინა არ არჩევს ბალბის სახეობებს და თანაბრად იყენებს მათ.</p>
----	-------	-------	---	--	---

6.	ბალღოჯი	<i>Cerasus mahaleb</i> (L.) Mill.	ინგ. ბალღუნჯი.		<p>ბუჩქი ან ტანდაბალი ხე ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. აქვს ფართო, კვერცხისებრი ფოთლები, მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი თეთრი ან მოვარდისფრო წვრილი ყვავილები. კურკიანი ნაყოფი კვერცხისებრია, შავი, საჭმელად უვარგისი. ველურად იზრდება მცირე აზიასა და დასავლეთ ევროპის სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთ საქართველოში მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებსა და ხევებში. იყენებენ კულტურული ალუბლისა და ბლის საძირედ. მასზე დამწილი ალუბლისა და ბლის ჯიშები გვალვაგამძლეა, ზომიერად ტენიანი ჰავისა და ნიადაგის პირობებში კი - უხვმოსავლიანი. აშენებენ დეკორატიულ მცენარედ. მერქანს იყენებენ სახარატო და სადურგლო საქმეში. კულტურული ალუბლის ჯიშები ორ ჯგუფად იყოფა: ამარელებად და მარელებად. ბალღოჯი მარელების ჯგუფში შედის. ქიმიური შემადგენლობის გამო: შაქრები, მჟავეები, მრთიმლავები, აზოტური ნივთიერებები. მისი ნაყენი გამოიყენება მადის გასაუმჯობესებლად, სასუნთქი გზების კატარის სამკურნალოდ.</p>
7.	ბამბაცა	<i>Gomphocarpus fruticosus</i> (L.) R. Br.		 <i>Gomphocarpus fruticosus</i> Photos: S.M. Armstrong, R. King &	<p>ბამბაცა 40-დან 150 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია ასკლეპიადისებრთა (Asclepiadaceae) ოჯახიდან. აღმართული, მცირე-ტოტოვანი, ოდნავ დაშვებული ყლორტებით, ხშირფოთლიანი. ფოთლები ლანცეტურია, წვეტიანი, 7-10 სმ სიგრძის; თეთრი ყვავილები ქოლგისებურადაა შეკრული; ნაყოფი წაგრძელებული ორფურცელაა. ყვავილობს ივნის-ივლისში; მწიფეს სექტემბერ-ოქტომბერში; შხამიანია. ხარობს აფრიკაში, შუა აზიასა და კავკასიაში. აგროვებენ თესლადა და ყლორტებს. თესლი შეიცავს გლიკოზიდებს; ფოთლები-გემოფოზიდს, აფროზიდს, გიმფოკარბინს. მისი ნაყენი გამოიყენება გულსისხლძარღვთა უკმარისობისას.</p>

8.	ბამბის ბუჩქი <i>Gossypium</i>	ჭნ. ფამბული; მგრ. ბამბე.	 <p>მრავალწლოვანი მცენარის გვარი ბალბისებრთა (Malvaceae) ოჯახისა. გაერთიანებულია 35, მათ შორის 5 კულტურული სახეობა: ინდოჩინური (<i>Gossypium arboreum</i>), აფრიკულ-აზიური (<i>Gossypium herbaceum</i>), მექსიკური (<i>Gossypium hirsutum</i>), პერუული (<i>Gossypium barbadense</i>) და სამკბილა (<i>Gossypium tricuspidatum</i>). კულტურული სახეობებიდან ფართოდაა გავრცელებული მექსიკური ბამბა. ბამბა სინათლის მოყვარული მცენარეა. 0°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე იღუპება. ჩვეულებრივ პირობებში ბამბის მცენარე ბუჩქია, რომელსაც სწორი და ტოტვილი ღერო და 1-1,4 მ-ზე მეტი სიმაღლე აქვს (წმინდაბოჭკონი ჯიშები). ფოთოლი 3-7 ნაკვთიანია, ყვავილი მსხვილი. ბამბა ძირითადად თვითდამმტვერავია, თუმცა გვხვდება ჯვარედინმტვერიებიც. ნაყოფი 3-5 ბუდიანი კოლოფია, რომელშიც ბოჭკოთი დაფარული 20-40 თესლია მოთავსებული. მომწიფებული კოლოფის საგდულების გადაღუნვის შემდეგ გამოჩნდება ბამბის ბოჭკო, ე. ი. თესლკვირტის გარსის (ეპიდერმისის) ცალკეული გრძელი (25-იდან 50 მმ-მდე) უჯრედები. მოსავლის აღებისას ბოჭკოსა და თესლს ერთად იღებენ. ჯიშთა უმეტესობას თესლი დაფარული აქვს მოკლე ბეწვით – ღინდლით. ბამბა გავრცელებულია 50-ზე მეტ ქვეყანაში.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება ფესვის ქერქი, ფესვი და თესლი. ფესვი შეიცავს გოსსიპოლს, K და C ვიტამინს, ფილოქინინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს. მთლიანი მცენარე შეიცავს კაროტინოიდებს და კატეხინს. ბამბას აქვს ანტიმიკრობული, ჰიპოტონური, იმუნური (შხამსაწინააღმდეგო), სისხლის აღმდგენი თვისებები. ზეთი გამოიყენება მაღამოების დასამზადებლად. ფესვის ქერქს იყენებენ მენსტრუალური ციკლის დარღვევისას, ორსულობის ტოკსიკოზისას. ხალხურ მედიცინაში ფესვის ნაყენს იყენებენ შინაგანი სისხლდენის დროს, როგორც სისხლის აღმდგენ სამუალებას.</p>
----	----------------------------------	-----------------------------	---

9.	ბამბუკი	bambu	ჩუბ. ინდოეთის ლერწამი.		Bambus-ს გვარი. ხისებრი მარცვლოვნების (Poaceae) სახელწოდება. მისი სამშობლოა აზიის, აფრიკის და ამერიკის ტროპიკული და სუბტროპიკული. საქართველოში გავრცელდა XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩრდილოეთ განედის ცნობილი სახეობები: ჩინური მადაკე, იაპონური მადაკე, მოსო და სხვა. სულ 20 სახეობა. ზოგიერთი სახეობის ღეროს სიმაღლე 20-30 მ აღწევს. იყენებენ ავეჯის, კიბეების, სათხილამურო ჯოხების, წყალსადენი მილების, საყრდენების, ქადალდისა და სხვების დასამზადებლად. საქართველოში ბამბუკს 1000 ჰა უჭირავს. უმთავრესად იზრდება შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. ბამბუკს იყენებენ ტრადიციულ აღმოსავლურ მედიცინაში, განსაკუთრებით, დამამშვიდებელ საშუალებად.
10.	ბარამბო	Melissa officinalis L.	ინგ. ბარანბო.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. ღერო და ფოთოლი შებუსული აქვს. თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილები ფოთლის იღლიაში ყვავილედადაა შეკრებილი. კვერცხისებრი ფოთლის ორივე მხარე დაფარულია ეთეროვანი ზეთის შემცველი მირწყინავი ჯირკვლებით, რომელიც მცენარეს ლიმონის სუნს აძლევს. ველურად იზრდება ევროპის სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთ აფრიკაში, დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. გვხვდება აგრეთვე უკრაინაში, კავკასიასა და შუა აზიაში, საქართველოში- მთის ქვედა სარტყელში ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. ეთერზეთოვანი და თაფლოვანი მცენარეა. კულტივირებულია ძირითადად უკრაინაში. იყენებენ პარფიუმერიასა და ხალხურ მედიცინაში. ბარამბო აუმჯობესებს ტვინის მუშაობას, ხსნის ნერვულ სპაზმებს, ამცირებს თავბრუნვებას და ხმაურს ყურებში. დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა მუშაობაზე. ეთერზეთების წყალობით, ბარამბოს ექსტრაქტს გააჩნია სპეციფიური სასიამოვნო სუნი და გემო. ბარამბოს ეთერზეთები ხსნიან ტკივილსა და კრუნჩხვებს. სწორედ ამ თვისების გამო, ბარამბო ფართოდ გამოიყენება როგორც სპაზმოლიზური, ტკივილ-გამაყუჩებელი საშუალება ჭვალის დროს. ბარამბოს

					ეთერზეთებს ასევე გააჩნიათ დამაშვიდებელი მოქმედება, ხელს უწყობს მადის მომატებას.
11.	ბარდა	Pisum	ქვ.აჭ. ცერცვი.		<p>ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარის გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. ფართოდ არის გავრცელებული ჩვეულებრივი ბარდა (<i>Pisum sativum</i>), რომელიც ერთწლოვანი საგაზაფხულო ან საშემოდგომო მცენარეა. აქვს 30-180 სმ-მდე სიმაღლის ღერო, ფოთოლი წყვილფრთისებრია, ყვავილი თეთრი, თვითდამმტვერავი. ნასკვიდან განაყოფიერების შემდეგ ვითარდება პარკი, ყოველ პარკში 3-11 გლუვი ან ნაოჭიანი სხვადასხვა ფერის თესლია. კარგად ხარობს საკმაო აერაციისა და სუსტი მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის თიხნარ ნიადაგებზე. იყენებენ კულინარიაში, ამზადებენ ბურდულს, ფქვილს, კონსერვსა და სხვა. მისი საკვები ჯიშები ცხოველებისათვისაც მოჰყავთ. ბარდის სამშობლოდ აღმოსავლეთი ავდანეთი და ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი ითვლება. საქართველოში მოჰყავთ უმეტესად მაღალმთიან რაიონებში (ჯავახეთი, მესხეთი, თრიალეთი, ქვემო იმერეთის ზოგ ადგილას და სხვა). მისი თესლი შეიცავს სახამებელს, ცხიმებს, ცილებს. მწვანე მარცვლებში ბევრია ვიტამინები (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C, PP), ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი. ხალხურ მედიცინაში ბარდას თესლების ნახარში გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება თირკმლის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ, ამავე მიზნით იყენებენ ბარდას ფოთლების ნახარშსაც. ბარდას მარცვლების ფქვილისაგან მომზადებული ცხელი საფენები გამოიყენება ფურუნკულის (ძირმაგარას) სამკურნალოდ.</p>

12.	ბარისპირა	<i>Betonica officinalis L.</i>	რჭ. ფოთოლა-ბალახი; მხვ. ბარამ.		<p>მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, ჩვეულებრივ ფესურიანი ბალახია, რომელსაც ჩხროსებრ შეკრებილი ყვავილები აქვს. მოიცავს 15 სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში. საქართველოში ბარიდან მაღალმთის სარტყლამდე გავრცელებულია 6 სახეობა. ორი მათგანი ენდემურია: აფხაზეთის ბარისპირა (<i>Betonica abchasica</i>), რომელიც იზრდება სუბალპურსა და ალპურ სარტყელში კირქვიანებზე და ოსეთის ბარისპირა (<i>Betonica ossetica</i>), ხარობს იმავე სარტყელში ღორღიანებზე. საქართველოს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე ჩვეულებრივია მთის ბარისპირა (<i>Betonica grandiflora</i>). იგი საერთო ელფერის შემქმნელი დეკორატიული ბალახია. ძირითადად გავრცელებულია კავკასიაში, ნაწილობრივ მცირე აზიაში. ბარისპირას თითქმის ყველა სახეობა დეკორატიულია. ზოგი სამკურნალო მცენარეა - მაგ., სამკურნალო ბარისპირა (<i>Betonica officinalis</i>), რომელიც ხშირად სარეველაა. ხალხურ მედიცინაში ბარისპირა გამოიყენება სასუნთქი გზების კატარის სამკურნალოდ და როგორც <i>antarthriticum</i>. მას ხმარობენ დასარბილებლად და საღებინებლად. ზოგიერთი სახეობა შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ცხიმოვან ზეთებს, ფისებს და სხვა.</p>
13.	ბატის მარწყვა-ბალახი	<i>Potentilla anserina L. Silverweed</i>			<p>დაბალი ბალახოვანი მცენარე ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახიდან, მიწაზე გაწოლილი გრძელი ღეროებით. ფოთლები 10-12 სმ სიგრძისაა; ფოთლები დაფარულია ძაფისებრი თეთრი წამონაზარდებით, რის გამოც მცენარე ვერცხლისფრად გამოიყურება. ყვავილები იზრდება ცალკალკე ღეროებზე. ნაყოფი წარმოადგენს მშრალი მარცვლების მტევანს. მას ჰყავს ტყუპისცალი <i>Potentilla egedii</i>, რომლისგანაც მხოლოდ ძაფებით განსხვავდება. მცენარე გვხვდება ქვიშიან და კლდოვან გრუნტებზე. ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ ტუბერკულოზის, სურავანდის, სისხლისდებინების, თიაქარის, საშვილოსნოს დაწევის შემთხვევაში. არის ძლიერი შარდმდენი</p>

					საშუალება. დევნის ქვიშას საშარდე ბუშტიდან. მის ნახარშს სვამენ კუჭ-ნაწლავის უკმარისობისას. ღეროების ნახარშს რძესთან ერთად იღებენ თირკმელკენჭოვანი დაავადებისას. სამშობიარო ტკივილებისას იყენებენ მისი თესლების ნახარშს. ისმევენ ჭრილობებზე; იყენებენ თვალის, კბილების, ცხვირიდან სისხლდენის, ძარღვების ტკივილის შემთხვევაში.
14.	ბაღის ინა	Balsamina hortensis Desf.	ქზყ. ბოსტნის ინა; გურ. ინა-ინა, ხელსაღებავი; ქრთ., ჭნ. ინა; ჭნ. კინა, კეინა, კენია; მგრ. ხერძაფე, ქერძაფე.		ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე ბალზამისებრთა (Balsaminaceae) ოჯახისა. იზრდება 20-30 სმ სიმაღლისა. ღერძი სწორი და თითქმის დაუტოტველია. ფოთლები წვრილი, ლანცეტისებრი და წვეტიანი; ყვავილები - მოზრდილი, თეთრი და ვარდისებრი - შეფარებულია ფოთლების უბეებში. ნაყოფი კვერცხისებური და დაშვებული კოლოფია. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. მისი სამშობლოა ჩინეთი; ხარობს იაპონიაში, ინდოეთში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა და წინა აზიაში, სამხრეთ ევროპაში. შეიცავს საპონინებს, მცენარულ ზეთს, სახამებელს; ფოთლებში არის მწარე იმპატიინიდი. ყვავილებსა და ფოთლებს აგროვებენ ყვავილობის დროს, თესლს- შემოდგომით. აქვს ჰიპოტენზიური ქმედება, ზემოქმედებს გულის მუშაობაზე; ფოთლების მწარე ნივთიერება იწვევს ღებინებას.

15.	ბაღის მარწყვი	<i>Fragaria virginiana</i> Duch.	იმ. ხენდრო; რჭ. გოდორა მარწყვი; ქვ.იმ. ღოდუა; ჭნ. შენაური კანდღუ.		<p>მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახია. საქართველოში ველურად იზრდება 3 სახეობა. ტყის მარწყვი (<i>Fragaria vesca</i>) ხარობს ტენიან და დაჩრდილულ ადგილებზე, ტყის პირებზე, მდელოებსა და ველობებზე. მწვანე მარწყვი (<i>Fragaria viridis</i>) ეტანება შედარებით მშრალ და ქვიან ადგილ-სამყოფელს; მუშკის მარწყვი (<i>Fragaria moschata</i>) კი მხოლოდ თბილ მიდამოებში იზრდება. მარწყვს ამრავლებენ ჩითილითა და თესლით. უმთავრესად მოჰყავთ ბაღის მარწყვი (<i>Fragaria ananassa</i>), რომელიც ველურად არ გვხვდება. ხალხურ მედიცინაში მარწყვს იყენებენ ავიტამინოზის, სოკოს, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის სამკურნალოდ. ბაღის მარწყვის სამკურნალო თვისებები უფრო სუსტია, ვიდრე ტყის მარწყვისა. ბაღის მარწყვი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, პექტინურ ნივთიერებებს, მთრიმლავ ნივთიერებას, ვიტამინებსა და მინერალებს; მის ფოთლებში მოიპოვება ეთერული ზეთი. მარწყვის ნაყენი ეწინააღმდეგება ანთების განვითარებას, სპობს მიკროორგანიზმებს ნაწლავებში. იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას, ანგინისა და სტომატიტის დროს. მის ნედლ ფოთლებს იყენებენ თირკმლებზე დასადებად და, აგრეთვე, კბილის ტკივილის დროს.</p>
16.	ბაღის მიხაკი	<i>Dianthus caryophyllus</i> L.	საბა ყარამფილის ყვავილი.		<p>ერთ და მრავალწლოვანი, ძალზე იშვიათად – ბუჩქალახოვანი მცენარეთა გვარი მიხაკისებრთა (Caryophilaceae) ოჯახისა. აქვს ხშირად სურნელოვანი, მარტოული ან ყვავილედად შეკრებილი, მეწამული, ვარდისფერი ან თეთრი ყვავილები. აერთიანებს 300-მდე სახეობას, გავრცელებულია ევროპაში (ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთში), აზიასა და აფრიკაში. საქართველოში 21 სახეობა გვხვდება. იზრდება ქვიან და ღორლიან ფერდობებზე, მშრალ მდელოებზე, ბუჩქნარებში, ველის, ნახევარუდაბნოს, ტყის, სუბალპური და ალპური სარტყლებში. დეკორატიული მიხაკის გარდა არის სურნელოვანი მიხაკის ხე. მის ნაყოფს სანელებლად იყენებენ კვების მრეწველობაში. ბაღის მიხაკი შეიცავს</p>

					არომატულ ეთერზეთს, მღებავ პიგმენტს-ანტოციანს. აქვს ოფლმდენი, დამამშვიდებელი და სისხლალმდგენი თვისებები. თვლიან, რომ მას გარკვეული ზეგავლენა აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის ტროფიულ ფუნქციაზე, ამარაგებს გულს სისხლით და აწესრიგებს მის მუშაობას.
17.	ბალის პიტნა	<i>Mentha piperita L.</i>	მგრ. პიტინე.		მრავალწლოვანი ბალაზოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. მის სამშობლოდ ინგლისი ითვლება და ფართოდაა გავრცელებული საქართველოშიც. კულტურაში გხვედება ბალის პიტნის ორი სახეობა — შავი და თეთრი. ბალის პიტნის ფოთლები შეიცავს ეთერზეთს, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი მენთოლი, მენტონი, B-პინენი, ლიმონენი, ფენოლი, დიპენტენი, პულან-გონი, ფელანდენი და სხვა ტერპენები. ფოთლებსა და ყვავილებში გვხვდება: B <sub>1</sub> , B <sub>2</sub> , PP, C ვიტამინები და კაროტინი; სილიციუმის, კალიუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის მარილები, ფლავონიდები, მთრიმლავი ნივთიერებები. პიტნიდან და მენთოლიდან ფარმაცევტულ მრეწველობაში მზადდება მრავალი ფიტოპრეპარატი და კომპლექსური სამკურნალო საშუალება, რომლებიც აწესრიგებს კუჭნაწლავის ტრაქტის მოტორიკასა და სეკრეციას (განსაკუთრებით კარგად მოქმედებს გაზების წარმოქმნაზე, გულისრევასა და ღებინებაზე); ხელს უწყობს სიმჟავის წარმოქმნასა და გამოდევნას; ანელებს ნერვულ-ემოციურ დაძაბულობას.

18.	ბაღის რეზედა	Reseda odorata L.			ბაღის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე რეზედასებრთა (Resedaceae) ოჯახისა; ცნობილია 50-ზე მეტი სახეობა. იზრდება ველურად; აქვს სწორი და ბუსუსებიანი ღერო; ფოთლები მთლიანი; ყვავილები სურნელოვანი, წვრილი, ერთსქესიანი, სხვადასხვა ფერისა; ნაყოფი - სამკუთხა კოლოფი; თესლი-წვრილი; რეზედა შეიცავს ყვითელ სამღებრო ნივთიერებას; გამოიყენებოდა ლენტისებრი ჭიების წინააღმდეგ.
19.	ბაღის სალბი	Salvia splendens L			იგივე სალბი. ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის ერთ ან ორწლიანი მცენარე. მას აქვს ძალიან გამოკვეთილი ფერი-წვერო, ფოთლები, ჯამი. უფრო ხშირად ის მოწითალო-ცეცხლისფერია, მაგრამ გვხვდება ძოწისფერი, თეთრი ან ვარდისფერი. არსებობს მისი მრავალი სახეობა, რომლებიც განსხვავდებიან ყვავილედის ზომებით და ყვავილობის ხანგრძლიობით. ყვავილობას კი იწყებს ივნისში და აგრძელებს პირველ ყინვებამდე.(იხ. სამკურნალო სალბი)

20.	ბაღის სატაცური	<i>Asparagus officinalis L.</i>			<p>შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის ოჯახის მრავალწლოვანი ბალახი ძალიან განტოტვილი ღეროთი. იზრდება 1,5 მეტრომდე. აქვს მსხვილი ძირი, რომლისგანაც გამოდის მრავალრიცხოვანი და ძალიან წვრილი ფოთლები, მათ უბებში კი იზრდება ძაფისებური ყლორტები. ყვავილები მომწვანო – მოთეთრია, ან მომწვანო-მოყვითალო. ყვავილობს ივნისში. ნაყოფი წითელი კენკრაა, ბურთისებრი, მწიფდება სექტემბერში. გვხვდება ევროპაში, ციმბირში, კავკასიაში. მის ფესვებში აღმოჩენილია ასპარგანი, სტეროიდული საპონინები, ეთერული ზეთი, ვიტამინი A, კუმარინი. მისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება ნევროზების, ისტერიების, იმპოტენციის, ტაქიკარდიის, ჰიპერტონული დაავადებისა და ათეროსკლეროზის დროს. პოპულარულია ჩინურ მედიცინაში.</p>
21.	ბაღის ტუხტი	<i>Althaea rosea (L.) Cav.</i>	მგრ. კოპეშიაშ ვარდი.		<p>ლამაზად მოყვავილე დეკორატიული მცენარე ბალბისებრთა (Malvaceae) ოჯახისა. იზრდება 2,5 მ-მდე. აქვს მთლიანი ან თათისებრ დანაკვთული ფოთოლი, ყვავილი - მარტივი ან ბუთხუზა. ყვავილობს უხვად და ნაირფერად (თეთრი, ვარდისფერი, ისფერი ან მოშავო-მოწითალო). იყენებენ ყვავილნარებსა და გაზონებში მასობრივ ნარგაობად, ყვავილწნულებში, სამკურნალოდ და სამღებრო საქმეში. ღეროს ბოჭკოსაგან ამზადებენ თოვს, ხეზს, ჯვალოს. მედიცინაში გამოიყენება მისი ყვავილები. ძირითადად ხმარობენ როგორც დამარბილებელ და ამოსახველებელ საშუალებას.</p>

22.	ბაღის ფამფარა	<i>Tragopogon porrifolius</i> L.			<p>ორწლიანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან. პირველ წელს ქმნის როზეტს საზოვან-ლანცეტური გრძელი ფოთლებისაგან და კონუსისებრ ფესვ-ნაყოფს მორუხო- მოთეთრო ფერისა, რომელსაც, თავის მხრივ, უამრავი წანაზარდი აქვს. მისი ყლორტები ნახევარ მეტრომდე იზრდება. ყვავილები მოძოწისფრო-მოისფროა. გარდა კულინარიული დანიშნულებისა, ფართოდ იყენებენ შაქრის დიაბეტის სამკურნალოდ, რადგან მის შემადგენლობაში მინერალური მარილების, ცხიმების, ვიტამინების გარდა, უხვად შედის ინსულინი. ამ ნიშნით იგი არ ჩამოუვარდება სტაბისა.</p>
23.	ბაყაყურა	<i>Silybum marianum</i> (L.) Gaertn.			<p>ორწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. ერთადერთი წარმომადგენელი - <i>Silybum marianum</i> - გვხვდება სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე, წინა და შუა აზიაში, ყირიმსა და კავკასიაში. იზრდება საქართველოშიც. თაფლოვანი მცენარეა. უყვარს მშრალი ადგილები. ნათესების სარეველაა. ნაყოფი შეიცავს ცხიმს. იყენებენ ხალხურ მედიცინაში. მისი თესლი გროვდება შემოდგომით და შრება ჰაერზე. სილიმ-რინის კომპლექსის არსებობა განაპირობებს მისი თესლის გამოყენებას ღვიძლის წამლისთვის. ის ღვიძლს ალკოჰოლისა და თამბაქოს მავნე ზემოქმედებისგან იცავს, ჰკურნავს მწვავე ჰეპატიტს, რომელსაც ხშირად სიყვითლე ახლავს. მისგან დამზადებული პრეპარატი <i>Carduus marianus</i> განკუთვნილია დაავადებისათვის, რომელსაც ახლავს მწვავე ტკივილები ნაღველსა და მუცელში. მას იყენებენ შარდის ბუშტის სამკურნალოდ, რევმატიზმის, წყლულებისა და ვენების გაგანიერების საწინააღმდეგოდ, ღია ჭრილობების დასამუშავებლად.</p>

24.	ბაძგი, ჭყორი	<i>Ilex colchica</i> Pojark.	<p>ქრთ. ირმისაკვნეტელა; ლჩხ., ოკრ., აჭ., ჭნ. ბაძვარი, ქაძგარა; რჭ., იმ. ჭყორი; ერწო-თიან. ჩხერი, ვირის საკვნე-ტელა; ხვს., ფშ. ზამთარა, ზამთარ-ზაფხულა, ჭკემარა; მგრ. ბარცხელი, ბარცხინი; სვნ. ბცრცხილ.</p>		<p>მცენარეთა გვარი ბაძგისებრთა (Aquifoliaceae) ოჯახისა. მარადმწვანე, ზოგჯერ ფოთოლმცვივანი, ხეები და ბუჩქებია. აქვს მარტივი, ტყავისებრ ხეშეში, კიდეველიანი ფოთლები. ნაყოფი კურკიანაა, წითელი ან შავი, იშვიათად ყვითელი. მისი 400-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია სამხრეთ ამერიკისა და აზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. 3 სახეობა იზრდება კავკასიაში. ესენია: წვრილნაყოფა ბაძგი (<i>Ilex stenocarpa</i>) ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ჰირკანული ბაძგი (<i>Ilex hyrcanica</i>) - თალიშში და კოლხური ბაძგა 2,5 მ სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია; აღსანიშნავია პარაგვაული ბაძგი ანუ პარაგვაული ჩაი, რომლის ფოთლებისაგან სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ამზადებენ ჩაის - მატეს.</p> <p>ბაძგის მარადმწვანე სახეობები დეკორატიულია, აშენებენ ცოცხალ ღობეებად. მაგარსა და მძიმე მერქანს იყენებენ სადურგლო-სახარატო საქმეში. ფოთოლი, ნაყოფი და ქერქი იხმარება მედიცინასა და კულინარიაში. სახეობათა უმრავლესობა შეიცავს მთრიმლავ, ცხიმოვან და საღებავ ნივთიერებებს, ზოგი A, B<sub>2</sub> და C ვიტამინებს. ბაძგს ჯერ კიდევ რომაელები იყენებდნენ. ინდიელები მისგან ამზადებდნენ ნაყენს (შავ ჩაის), რომელიც გამოიყენებოდა ამოსახველებლად და საღებინებლად.</p>
25.	ბაჟარი	<i>Pimenta officinalis</i> Lindl.			<p>(ბაჟარი ერთ-ერთი სუნელია). იგი წარმოადგენს მცენარე <i>Pimenta dioica officinalis</i>-ს უმწიფარ გამზარ ნაყოფს. ითვლება, რომ მისი მიღებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ რევმატიზმი და სასუნთქუორგანოების პრობლემები. შავი ბაჟარი ხელს უწყობს საკვების გადამუშავებას, აძლიერებს მადას; თეთრი ბაჟარი ითვლება გახდომის კარგ საშუალებად, ხელს უწყობს ცხიმების გადამუშავებას, ტოქსინებისა და ქვიშის გამოდევნას; ხალხურ მედიცინაში მას თვლიან ტაბლეტებისა და მიქსტურების ალტერნატიულ საშუალებად. იყენებენ ანგინის, ხველის, ბრონქიტის და მუცლის შებერილობის საწინააღმდეგოდ.</p>

26.	ბეგთენდრო	<i>Asperula albovii</i> I. Mand.	ხვს. ქვენდრო, ენდროს მზევალი.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ენდროსებრთა (Rubiaceae) ოჯახისა. ღერო შიშველი აქვს, სწორი; იზრდება 15-30 სმ. ყვავილედი ქოლგისებური; ფესვი მცოცავი, სუსტი, 25 სმ სიგრძისა; ნაყოფი წვრილი, შიშველი, მწიფდება აგვისტო - სექტემბერში; იზრდება აზიასა და ევროპაში; მიწისზედა ნაწილი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალინდებს, მწარე ნივთიერებებს, ფლავონურ გლიკოზიდს; ფოთლები ვიტამინ C-ს. კუმარინების შემცველობის გამო ყვავილობის დროს გამოყოფს ძლიერ სუნს. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. მისი ნაყენი (სხვა მცენარეებთან ერთად) აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, აქვს პოთოგონური, დიურეტიული, შარდმდენი, ნაღველმდენი, ანტისეპტიკური ქმედებები. იყენებენ მის ფესვებსაც.</p>
27.	ბეგიაური	<i>Galium aparine</i> L.	მხვ. ბაყაყისფეხა.		<p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე ენდროსებრთა (Rubiaceae) ოჯახისა. აქვს ოთხწანაგოვანი, სუსტი, 30-100 სმ სიგრძის ღერო; ჩხროებად შეკრებილი ხაზურლანცეტა ფოთლები და ნაყოფი შემოსილია ეკლისებრი ბეწვით. გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და საქართველოშიც. აბეზარა სარეველად იზრდება მინდვრის ნათესებში, ბოსტნებში, ბუჩქნარში, სათიბ-საძოვრებზე, დანაგვიანებულ ადგილებში და სხვა. მსუბუქ კირიან და გაპატივებულ ნიადაგზე ძლიერ იტოტება და ივითარებს გართხმულ ყლორტებს. ბეგიაურის გამხმარი ბალახი გამოიყენება ნაყენებში და ნახარშებში ფარისებრი ჯირყვლის სამკურნალოდ.</p>

28.	ბეგონდარა	Thymus L.	მთ., მხვ. ქონდარა; მსხ. ბუქნა; თშ. ველთქონ- დარა; ჩუბ. ონჭო.		<p>მცენარეთა გვარი ტუჩნისანთა (Lamiaceae) ოჯახისა. 5-50 სმ სიმაღლის ბუჩქბალახებია, იშვიათად - ბუჩქები. აქვს გართხმული ღერო და სწორმდგომი საყვავილე ყლორტები. თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ან თავთავისებრ ყვავილედად. საქართველოში 17 სახეობაა გავრცელებული, მათგან 14 კავკასიური ენდემია, 2 კი - საქართველოსი (<i>Thymus ladjanuricus</i>, <i>Thymus tiflisiensis</i>); გვხვდება უპირატესად სუბალპურსა და ალპურ, აგრეთვე მთის ქვედა და შუა სარტყელში. იზრდება მშრალ ადგილებში, ღორღიან ფერდობებზე და მინდვრებში, ტყეში დეკას ბუჩქების ახლოს, სილიან, კირიან და კაბჭანიან ნიადაგებზე. ბეგონდარას მთიან ადგილებში ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს - იგი პირველი სახლდება გადარეცხილ ნიადაგსა და მოშიშვლებულ გრუნტზე. სურნელოვანი მცენარეა, შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომლებსაც იყენებენ პარფიუმერიაში, კვების მრეწველობასა და მედიცინაში. სახეობათა უმრავლესობა დეკორატიულია. ბეგონდარას ბალახი შეიცავს ეთერზეთს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ციმოლს და თიმოლს, რომლებიც გამოყოფენ სურნელოვან არომატს. ბეგონდარას იყენებენ როგორც ამოსახველებელ და ხველის დამამშვიდებელ საშუალებას მწვავე და ქრონიკული ბრონქიტისას, განსაკუთრებით თუ ხველამ მიიღო სპაზმოლიტური ხასიათი. ბეგონდარა ავლენს კარგ დამამშვიდებელ მადეზინფიცირებელ მოქმედებას ჩირქოვანი ბრონქიტისა და ბრონქების გაფართოების დროს, გამოიყენება აგრეთვე ღვინის, საფენების, კომპრესების არომატიზირებისათვის. მცენარე ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ხშირად სხვა სამკურნალო ბალახებთან ერთად.</p>
-----	-----------	-----------	--	--	--

29.	ბელადონა	<i>Atropa belladonna</i> L.			<p>მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ძალუყურმენა-სებრთა (Solanaceae) ოჯახიდან, ფესურითა და მრავალ-რიცხოვანი მსხვილი დატოტვილი ფესვით. ღეროები სქელია და წვნიანი, წებოვან-ბუსუსოვანი, იზრდებიან თითო-თითოდ ან რამდენიმე ერთად, სიმაღლით 1-2 მ მცენარის ზედა ნაწილში ტოტები კვლავ იტოტებიან. ფოთლები ხშირია, მუქი მწვანე. ისინი მორიგეობითია და დაწყვილებული. წყვილში შემავალი ერთი ფოთოლი სი-დიდით ყოველთვის მნიშვნელოვნად აღემატება მეორეს. დიდი ფოთლები ელიფსურია, მისი წყვილი პატარა კი - კვერცხისებური ფორმის, წამახვილებული. ყვავილი მარტოულია, თავდახრილი. ვითარდება ფოთლის უბიდან. ჯამი ხუთვალია, გვირგვინი სწორია, მილისებრი. ყვავილობს ივნის-ივლისში. ნაყოფი - ორბუდიანი, მბრწყინავი, შავი, წვნიანი, მრავალთესლიანი კენკრაა, ზომით ალუბლის ნაყოფის ოდენა, მუქი მელნისფერი წვენით. თესლი მომრგვალოა დიამეტრით 2 მმ-მდე, შავი, უსწორმასწორო ზედაპირით. კენკრას აქვს მოტკბო-მომჟავო გემო. მთელი მცენარე შხამიანია. მცენარის სახელწოდება წარმოქმნილია იტალიური სიტყვებისაგან - <i>bella</i> - "ლამაზი" და <i>donna</i> - "ქალი". ქალები მცენარის წვენს იწვეთებდნენ თვალში, რის შედეგადაც თვალის გუგა ფართოვდებოდა და თვალი იღებდა განსაკუთრებულ ბრწყინვალებას, ხოლო წითელი ნაყოფით ლოყებს იზელდნენ. წედლეულად იყენებენ ფოთოლსა და ფესვს. ბელადონას ყოველი ნაწილაკი შეიცავს ალკალოიდებს. ფოთლები შეიცავენ 0,15-დან 1,2%-მდე ალკალოიდებს, ხოლო ფესვები - 0,05-1,3%-ს. ბელადონას ძირითადი ალკალოიდია - ატროპინი. ბელადონას პრეპარატებს იყენებენ როგორც სპაზმოლიტურ, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას კუჭ-ნაწლავის დაავადებისა და კუნთების სპაზმების დროს. იგი იხმარება მორფინითა და სოკოებით მოწამლვის შემთხვევაშიც. ბელადონას ფესვზე დამზადებულ პრეპარატს "კორბელა"-ს იყენებენ პარკინსონის დაავადების წინააღმდეგ. ბელადონა შედის აგრეთვე აბებში "ბელოიდი", სანთელში -</p>
-----	----------	--------------------------------	--	--	--

				"ანუზოლი" და სხვა.	
30.	ბელადონა კავკასიური	<i>Atropa caucasica</i> Kreyer	ქრთ. დევსურა; ჩ. დევ- სურა ვანდა, დევცე- ცხლა; ფშ. გიჟანა; ერწო საგიუებელა; კბ., ფშ. ცოფის ბალახი; რჭ., ლემა; ზმ. რჭ. შავ- ბალახა; სვნ. მატატა	 <p>A botanical illustration of a bellflower branch. The branch features several large, ovate leaves with prominent veins. At the tips of the branches are clusters of small, bell-shaped flowers, some open and pinkish-purple, others still in bud form.</p>	<p>იგივე შმაგა.</p> <p>მცენარე ძალლყურმენასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. <i>Atropa belladonna</i>-ს მონათესავეა, მაგრამ, მისგან განსვავებით, შეუბუსავი, ლეგა ნაფიფქით დაფარული ღერო და უფრო დიდი მოიისფრო-მოწითალო ყვავილები აქვს. გავრცელებულია კავკასიაში, აგრეთვე თურქეთისა და ირანის მომიჯნავე რაიონებში. საქართველოში — კოლხეთში, ქართლსა და შიგა კახეთში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყეში. სამკურნალო თვისებებით ბელადონას მსგავსია და სავსებით ცვლის მას (ალკოოლიდები კავკასიურ ბელადონში კიდევ უფრო მეტია). ფოთოლს აგროვებენ მაისის დამლევიდან ივლისამდე (ჩვეულებრივ ყვავილობს დაწყებისას). ფესურების შეგროვება სასურველია მაისში ან შემოდგომაზე. მოჰყავთ ღრმა, ფხვიერ, ტენიან და ნოყიერ ნიადაგზე (სასურველია კირიანი). ამრავლებენ თესლით, ფესურის ნაწილებით და კალმით. ნაყოფი შხამიანია.</p>

31.	ბერულა	Gnaphalium uliginosum L.	იმ. ბაბუა.		<p>მრავალწლიანი ბალახი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან. იზრდება 20-30 სმ. მთავარი ღერო სწორია, მარტივი, ბუსუსებით დაფარული. ძირისეული ფოთლები ლანცეტურია, თითქმის სწორხაზოვანი. პატარა ცილინდრული კალათები სათითოოდ სხედან ზედა ფოთლების უბეებში; აქვს მოყვითალო-მოთეთრო ყვავილები. ყვავილობს ივლისიდან სექტემბრამდე. თესლები (თესლურა) მოხაზულობით წვრილია, მოგრძო, თითისტარისებური, ოდნავ ჩაჭყლებული, წვერისკენ ოდნავ შევიწროებული. თესლის წვერს გააჩნია ადვილად ცვენადი ქოჩორი, ერთგვაროვანი ბუსუსებით. თესლების ზედაპირი გლუვია, თითქმის გაშიშვლებული. თესლების შეფერილობა მომწვანო-ნაცრისფერია, ღია ყავისფერი. თესლების ზომა 0,5-0,8მმ სიგრძეში, 0,2მმ სიგანესა და სისქეში. ხარობს ნესტიან ნიადაგებში. ყვავილობს ზაფხულში. შეიცავს სათრიმლავ ნივთიერებას, ფისებს, ეთერზეთებს, კაროტინს, ალკალოიდებს, ფიტოსტერინებს, მარილებს, B, C, K ვიტამინებს. გააჩნია სისხლძარღვების გამაფართოებელი, ჰიპოტენიზმისა და ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი დამარბილებელი, ნაღველმდენი თვისებები; იყენებენ მეტეორიზმის, ათეროსკლეროზის, შაქრიანი დიაბეტისა და ალერგიის საწინააღმდეგოდ. ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია კუჭ-ნაწლავების დაავადების, გულისცემის მოსაწერიგებელ, სისხლდენის, ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ამზადებენ ფხვნილებს, მალამოებს, საფენებს.</p>
-----	--------	--------------------------	------------	--	---

32.	ბერყენა	<i>Pyrus salicifolia</i> Pall	ქრთ., გრ. კხ. ოლე; ქზყ. დათვის პანტა, დათვის ხილი; ჩუბ. პანტაფშა- ტა; საბა ბრყენა (შდრ. სვნ. ბარყენ); ინგ. ჭირსხალი.		<p><i>Pyrus</i>-ის გვარის ველური მსხლების რამდენიმე სახეობა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახიდან. ეკლიანი ბუჩქები ან ხეებია. აქვთ შეკრული ან მეჩხერი ვარჯი, შიშველი ან ვერცხლისფრად შებუსული ფოთლები. ნაყოფი მსხლისებრია, ზოგჯერ სფეროსებრი, ყავისფერი ან ყვითელი. გავრცელებულია ევროპაში, დასავლეთ და შუა აზიაში, ირანში, ყირიმშა და კავკასიაში. საქართველოში გვხვდება ბერყენას 9 სახეობა, რომელთაგან 4 საქართველოს ენდემია (<i>Pyrus demetrii</i>, <i>Pyrus ketzkhoveli</i>, <i>Pyrus fedorovii</i>, <i>Pyrus sachokiana</i>). ბერყენა იზრდება მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ველებზე, ნახევრად უდაბნოებში, ნათელ ტყეებსა და ტყის პირებზე ხრიოკ და ქვალორდიან ადგილებში, ზღვის დონიდან 900 მ-მდე. ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით, იჭმევა. მერქანი იხმარება სადურგლო და სახარატო საქმეში. ყინვაგამლეა, ადვილად იტანს ხანგრძლივ გვალვასა და ძლიერ ქარებს. კარგი საძირეა მსხლის კულტურული ჯიშების გამოსაყვანად; იყენებენ ტყე-პარკების გასაშენებლად გვალვიან და ურწყავ ადგილებში. მრავლდება თესლით და ფესვის ამონაყარით. მცენარე შეიცავს ვიტამინებს, მთრიმლავ ნივთიერებას, ეთერზეთს, ფისებს, ალკალოიდებს, კაროტინს, ასკორბინის მჟავასა და ფიტოსტერინებს. მის პრეპარატებს აქვთ ჰიპერტენზიული თვისებები; აფარათოებენ პერიფერიულ ძარღვებს, ანელებენ გულისცემას; ასუსტებენ ქსოვილების დაზიანებას დამწვრობისა და წყლულების შემთხვევაში. გამოიყენება მნელადშეხორცებადი ჭრილობების შესახორცებლად.,</p>
-----	---------	----------------------------------	---	--	---

33.	ბზა	Buxus colchica Pojark.	ქრთ. უფლის ხე; აჭ. შიმშირი; ჭნ. ჩიმჩირი; მგრ. ბზაკალი; სვნ. ბაია. ბზაკალ, ზაკალ.		<p>ორლებნიან მცენარეთა გვარი ბზისებრთა (Buxaceae) ოჯახისა. მარადმწვანე დაბალი ხეები ან ბუჩქებია. აქვს მოპირისპირე სქელი ფოთლები და ერთსქესიანი ყვავილები. შეიცავს 70-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ, ნაწილობრივ ზომიერი ჰავის ზონაში ფილიპინების, კალიმანტანის, მცირე ზონდის, მადაგასკარისა და სოკოტრას კუნძულებზე, აფრიკაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ვესტ-ინდიეთში, სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიაში. კავკასიაში ბუნებრივად გვხვდება 2 რელიქტური სახეობა: კოლხური ბზა (<i>Buxus colchica</i>) და ჰირკანული ბზა (<i>Buxus hyrcana</i>). საქართველოში მოშენებულია ბზის 4 უცხოური სახეობა: ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე ბზა (<i>Buxus sempervirens</i>); წვრილფოთოლა ბზა (<i>Buxus microphylla</i>); იაპონური ბზა (<i>Buxus japonica</i>) და ბალეარული ბზა (<i>Buxus balearica</i>).</p> <p>ბზა ზოგჯერ ივითარებს ფესვისა და ძირკვის ამონაყარს. ნაყოფმსხმოიარობას იწყებს 40-60 წლის ასაკში, ეულად მდგომი - 15 წლის ასაკიდან. ცოცხლობს 500-600 წელს, იზრდება ნელა. მისი მაგარი და მძიმე მერქანი გარეგნულად სპილოს ძვალს წააგავს. კარგად პრიალდება. იყენებენ (ძირითადად კოურებს) სხვადასხვა ნაკეთობისათვის; კავკასიური ბზის მერქანი ცნობილია "კავკასიური პალმის" ან "პალმის ხის" სახელწოდებით. ბზის ფოთლებისა და ტოტებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს; ქერქისა და ფოთლების ნაყენს იყენებენ მედიცინაში. შეიცავს (განსაკუთრებით ფოთლები) ალკალოიდ ბუქსინს. თესლში 37%-მდე ზეთია. თაფლოვანი მცენარეებია. აფრიკასა და ზოგიერთ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყანაში ნამდვილ ბზას ცვლის აფრიკული ბზა ანუ "კამასი" (<i>Gonioma kamassi</i>), რომელიც სხვა გვარსა და ოჯახს განეკუთვნება. მისი მერქანი ემსგავსება ბზისას.</p>
-----	-----	------------------------	---	--	---

34.	ბობოწვერა	<i>Usnea barbata</i> Hoffm.	საბა ხის მუშაკი; სვნ. ხაზივ.		<p>ბობოწვერა ხეზე მცხოვრები მცენარეა; წვერისებრი; ჩამოკიდებულია ტოტებზე ან მიმაგრებულია ფესვებზე; აქვს წვრილი, გრძელი (25-30 სმ) სიგრძის რტოები; ღია მწვანე ან ”ჭუჭყიანი მწვანე”. ის ძირითადად გამოიყენება კუჭ-ნაწლავთა სისტემის მოსაწესრიგებლად; მადის მოსა-მატებლად; არის ბუნებრივი ანტიბიოტიკი, ანადგურებს ტუბერკულიოზის ჩხირებს, პნევმოკოკს და სხვა მიკრო-ბებს. კურნავს საშვილოსნოს შეუხორცებელ წყლულებს და აძლიერებს იმუნურ სისტემას. გამოიყენება წყლულების, ჭრილობების, ფურუნკულების სამკურნალოდ.</p>
35.	ბოლოკი	<i>Raphanus sativus</i> , var. <i>major</i>	ქზყ. წყლის ბოლოკი; ხვს. ბოსტანი; ჭნ. მგრ. ბულეკი; სვნ. ბოლოკ, ბოლეკ, ბულეკ.		<p>ორწლოვანი ბოსტნეული ძირხვენა მცენარე ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. ყვავილედი - მტევანი, ნაყოფი - უხსნადი ჭოტი. დამტევრვა ჯვარედინი. ძირხვენა მსხვილია, იწონის 200 გ-იდან 4-5 კგ-მდე, ფორმით მომრგვალო - მოგრძო-კონუსისებრი; კანი თეთრი, შავი, რუხი, ყვითელი, იისფერი ან ღია წითელია. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. აქვს მრავალი კულტურული სახელშვაობა. საჭმელად იყენებენ ნედლად. ძირხვენა შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, ცხიმებს, უჯრედისს, ნაცარს, C ვიტა-მინსა და ფერმენტებს. ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. რეკომენდებულია ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის; არის შარდ-მდენი, ნაღველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ანტი-მიკრობული, სპაზმოლიტური, მეტეორიზმის საწინააღმდეგო. დევნის ქოლესტერინს; მის საფენებს იყენებენ ანთებისას, რევმატული ან ნიკრისის ქარის დროს.</p>


36.	ბოსტნის ია	<p><i>Veronica persica</i> Poir.</p> <p>ფშ. ბოსტანთ ია; ზმ. იმ. მარგალიტა, ძიმა; ოკრ. ჟუჟუნა; ქვ. იმ. დედაბოსტანა, ჭუჭუნა; გურ. დედალოპერა, მიწის ლოპერა; აჭ. ლოპერა; მგრ. ძუძურიკა.</p>			<p>ერთ ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარე 10-დან 70 სმ სიმაღლისა შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახისა; ღეროები ცალკეული და სუსტი; ფოთლები- მოგრძო; ყვავილები ცალკეული, სხედან ფოთლების უბეებში. ღია ლურჯი ან ცისფერი; მომწვანო ძაფებით; თესლები 3-15 ცალკეულ ბუდეში; კოლოფი სიგრძით ორჯერ მეტია სიგანეზე; ყვავილობს მარტიდან ოქტომბრამდე. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში; სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, რომელსიც აღმოჩენილია ირიდოიდები და ფლავონიდები; ყვავილები შეიცავს გლუკოზას, ფენოლკარბონულ მჟავას. ბალახის ნაყენი გამოიყენება კუჭნაწლავის დაადებებისათვის.</p>
37.	ბოსტნის წალიკა	<p><i>Polygonum persicaria</i> L.</p> <p>გურ. ქრისტეს ნეკი, ქრისტეს ცერი, ქრისტეს ცერის დანაბიჯი.</p>			<p>ერთწლოვანი მცენარე მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახისა. სწორი ან განტოტვილი წითელი ღეროთი; 25-30 სმ სიმაღლისა; ფოთლები მორიგეობითი, ლანცეტისებრი, ზემოდან მუქი ლაქებით ან მათ გარეშე. ყვავილები ვარდისფერი ან თეთრი; ყვავილობს აგვისტო-სექტემბერში; გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. გვხვდება აგრეთვე საქართველოშიც. იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, მდელოებზე. იყენებენ ხალხურ მედიცინაში. სამკურნალო ნედლეული ბალახია, რომელსაც ყვავილობის დროს აგროვებენ; აშრობენ; ბალახი შეიცავს ტანინს, ვამლისა და მმრის მჟავებს, ეთერულ ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, შაქარს, ფლობაფენს, პექტინს, ფლავონოიდებს, ჰიპეროზიდს, ავიკულიარინს, კვერცეტრინს, ვიტამინებს... გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ, შარდმდენად, საშვილოსნოდან სისხლდენის შესაჩერებლად. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ვენერიული დაავადებების სამკურნალოდ ჭრილობების მოსაშუალებლად.</p>

38.	<p>ბროწეული</p> <p><i>Punica granatum L.</i></p> <p>ქზყ., აჭ. ბროწოლი; ზმ.იმ. ბრაწოული; იმ. ბერწოული, ბრეწოული; ლჩხ., რჭ. ბროწოული; ინგ. ბროწოლ; ჭნ. ბერწეული, ბრეწეული; მგრ. ბერწული, ბრეწეული.</p> 	<p>ბუჩქი ან ტანდაბალი ხე (სიმაღლით 5 მ-მდე) ბროწეულისებრთა (Punicaceae) ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ეკლიანი მცენარე. აქვს კიდემთლიანი ტყავისებრი ფოთლები, ნორმალურად განვითარებული ნასკვი, ბუტკო და სამტვრე; იძლევა ნაყოფს; ზოგი კი განუვითარებელი, მოკლებუტკოიანია და ცვივა. ყვავილობს მაის-აგვისტოში. დამტვერვა ჯვარედინია. დარგვიდან მესამე-მეოთხე წელს ისხამს ნაყოფს, სრულ მოსავალს მეშვიდე-მერვე წელს იძლევა. ნაყოფი კენკრასებრია, აქვს ყვითელი ან წითელი ნაყოფისაფარი, სფეროსებრნი მრავალი წვნიანი თესლი, რომელიც მწიფდება სექტემბერ-ნოემბერში. კარგი მოვლისას ერთი ხის მოსავალი 50-60 კგ აღწევს. ყინვაგამძლეა. კულტივირებულია სუბტროპიკულ ზონაში. ბროწეულის ნაყოფს ნედლად იყენებენ. წვენისაგან, რომელიც შაქარს, ლიმონის მჟავას, ტანინსა და C ვიტამინს შეიცავს, ამზადებენ სიროფს, სასმელებს, სანელებელს.</p> <p>ბროწეულის ღეროს, ტოტებსა და ფესვების ალვალოიდებით მდიდარ გამხმარი ქერქის ნახარშსა და ექსტრატს სამკურნალოდ იყენებენ. ნაყოფის კანით მკურნალობენ კოლიტს, იყენებენ ანთების საწინააღმდეგო, ნაღველმდებ, შემკვრელ საშუალებად, ვიტამინების წყაროდ. ყვავილი გამოიყენება შემავრელ და ანტისეპტიკურ საშუალებად. ფოთოლი, ფესვისა და ღეროს ქერქი, ნაყოფის კანი დიდი რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქრებს, ლიმონისა და ვაშლის მჟავას, აზოტურ ნივთიერებებს, ვიტამინებს, კაროტინს, ტანინებს, ფიტოციდებს. მათ ხმარობენ ლენტისებური ჭიის საწინააღმდეგოდ.</p>
-----	---	---

39.	ბურბუშელა, ბაბუაწვერა	Taraxacum	ქზყ. ყურძნა; თშ. მღვდელისწვერა, საღვიძლა, ღვიძლა; ჯვხ. კაბა-კუბა, ქაქაბუა, კაკაბუა; მხვ. ვარდვაჭაჭა, სადღობელაი; ერწო ზაზილაყა, ზაყზაზია; იმ. ბაბუაწვერა; ლჩხ. ქარაფშუტა; გურ. ფუ, ფუბაბუა, ფუსფუსა, ყურისავსებელა; ჭხ. ხოჯი მოზაი, ხოჯი კოკაი; მგრ. პაპაში ღვინო; სვნ. ქორგილ.	 <i>Taraxacum officinale</i> Photos: J. Dodd & J.	მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულ-ყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. აქვს ფესვის ყელთან შეკრებილი ფრთისებრ დანაკვთული ფოთლები. საყვავილე ღერო უფოთლოა, ღრუიანი და ბოლოვდება მარტოული კალათა ყვავილებით. ყვავილები ყვითელი ან ვარდისფერია, იშვიათად მეწამული, ნაყოფი - თესლურა. ცნობილია ბაბუაწვერას 100 სახეობა. საქართველოში გვხვდება 9, მათგან 4 კავკასიის ენდემია. ფართოდაა გავრცელებული <i>Taraxacum officinale</i> , რომლის ფესვსა და მიწისზედა ნაწილს იყენებენ მედიცინაში. თაფლოვანი მცენარეა. ბაბუაწვერას ზოგი სახეობის (ქოქ-საღიზი) ფესვები მაღალი ხარისხის კაუჩუკს შეიცავს. მცენარის ფოთლებსა და ფესვებში ალმოჩენილია ინსულინი, მთრიმლავი ნივთიერებები, ასკორბინის მჟავა, კაუჩუკი, ცვილი, რყინა, კალციუმი, ფოსფორი, ფისები და სხვა. ბაბუაწვერა ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების, სიყვითლისა და გასტრიტების დროს. ნედლი ფოთლე- ბისაგან მომზადებულ სალათას ხმარობენ როგორც შარდ- მდენ, ამოსახველებელ, სისხლის გამწმენდ, ნაღველმდენ და საფაღარათო საშუალებას. ბაბუაწვერის წვენს სვამენ ღვიძლის, შარდის ბუშტის დაავადებებისა და სიყვითლის დროს. ნედლი ფოთლები და წვენი გამოიყენება ათეროსკლეროზის, ანემიის და კანის დაავადებებისას.
-----	--------------------------	-----------	---	---	---

40.	ბუერა	Petasites	<p>ქრთ., კხ. ბორზვენა; ფშ. ბუერას დედა; ხვს. ბუარა; ზმ. იმ. ფურღველა, ბურღველა; გურ. ბურღავაი, ბულღავაი, ლეშხი; ქვ. იმ., ლჩხ., რჭ. დილმა, დიმელა, ყარდიმელა, მელაკუდა, აჭ. ბულღო, ბარამბო; მეგრ. ბუღი, ბურღი; სვნ. ბირღვ, ბუურღვ, მუკურთხი.</p>	 <span style="float: right;">© Jiří Bohda</span> <a href="http://www.naturfoto.cz">www.naturfoto.cz</a>	<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. ცნობილია 5-6 სახეობა, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. იზრდება მდინარეებისა და ტბების ქვიშიან ნაპირებზე. აქვს მხოხავი ფესურები და ფესვთანური ფოთლები. ნორჩი ფოთლის ქვედა მხარე მოფენილია მოთეთრო ბეწვებით. ჩვენში იზრდება 4 სახეობა, რომელთაგან ერთი საქართველოს ენდემია (<i>Petasites fomini</i>) და ერთიც კავკასიისა (<i>Petasites georgicus</i>). სამკურნალოდ გამოიყენება ყუნწებიანი ფოთლები და ფესვები. შეიცავს ალკალოიდებს, საპონინებს, გლუკოზიდებს, ფისებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავეებს, მანგანუმის მარილებს, ინულინს. მედიცინაში გამოიყენება როგორც შარდმდენი, ჭრილობაშემახორცებელი, ასთმის საწინააღმდეგო, ჭიის დამდენი საშუალება. ხალხურ მედიცინაში იყენებენ შარდმდენ, ამოსახველებელ, დამარბილებელ, სპაზმოლიტურ, ბრონქეალურ, სისხლძარღვამაფართოებელ, ტკივილგამაყუჩებელ, ოფლმდენ საშუალებად. ფესვების ნახარშით იზელენ თმის ძირებს.</p>
41.	ბუჩქისძირა	Corydalis	კხ. მამლის ია.		<p>მრავალწლოვან მცენარეთა გვარი ყაყაჩისებრთა (Papaveraceae) ოჯახისა. აქვს გორგლისებრ გამსხვილებული ფესვები და კენწრულ მტევნებად შეკრებილი თეთრი, ყვითელი, მოწითალო ან იისფერი ყვავილები. ნაყოფი მოგრძო კოლოფია. თესლი შავი, წვრილი, მბრწყინავი. მწიფდება ივნისში; ყავილობს მარტ-აპრილში. ცნობილია 100-მდე სახეობა. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. აგრეთვე გვხვდება ციმბირსა და შუა აზიის მთებში. საქართველოს ტყეებში და ალპურ მდელოებზე იზრდება 9 სახეობა, მათგან ერთი საქართველოს ენდემია (<i>Corydalis vittae</i>), ორი კავკასიისა (<i>Corydalis alexeenkoana</i>, <i>Corydalis emanueli</i>). ბუჩქისძირა თაფლოვანი მცენარეა. მრავალი სახეობა დეკორატიულია. ბუჩქისძირას ფესვები შეიცავენ რიგ ალკალოიდს და სახამებელს. ფოთლები შეიცავენ ვიტამინ</p>

				C-ს; მცენარის ალკალოიდები ავლენენ სპეციფიურ ფიზიოლოგიურ აქტიობას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბულბოკარპინი, რომელიც ძლიერი დამამშვიდებელია; ალკალოიდი სანგვინარინი ანტიმიკრობულია; მას იყენებენ დიდი ხნის შეუხორცებელი დაჩირქებებისა და ტროფიული წყლულების სამკურნალოდ;
42.	გუგულის კაბა	Orchis maculata L.		<p>ორქიდიისებრთა ოჯახის მრვალწლოვანი ბალახოვანი მცენარე 20-დან 60-ს სმ-მდე სიმარლისა. ივითარებს მიწისქვეშა ფესურებიან ბოლქვებს, რომლებიც შეიცავენ სათადარიგო საკვებ ნივთიერებებს; ყოველი ფესვ-ბოლქვი ცოცხლობს ორი წელი. შემდეგ მათ ცვლის ერთი ახალგაზრდა. ღეროები ერთეულია, სწორმდგომი. ფოთლები უკუკვერცხისებურია, ბლაგვი, ზევიდან მუქი-მწვანე, ქვევიდან ღია-მწვანე. ღეროები მთავრდება ხშირი თავთავებით. ყვავილები მოვარდისფრი-მოლურჯოა. ნაყოფი კოლოფთა მრავალრიცხოვანი წვრილი თესლებით. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. შეიცავს ლორწოს, სახამებელს, დეკსტირინს, პენტოზანებს, საქართვას, გლიკოზიდებს, მწარე ნივთიერებებს, ეთერულ ზეთებს, კაროტინს, კვერციტინს, პექტინებს.</p> <p>მედიცინაში მცენარე გამოიყენება ნაწლავური დაავადებებისას ბავშვების შამით მოწამვლის დროს. მისი გამაუვნებელი ხასიათი განპირობებულია მისი შემცველობით. მას უნიშნავენ ოყნებში.</p>

1.	გარგარი	<i>Armeniaca vulgaris</i> Lam.	სბ. დარანდო		<p>ხეხილოვანი ხეებისა და ბუჩქების გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. ხის სიმაღლე 15 მ აღწევს. ფოთოლი ელიფსური ან განიერკვერცხისებრია; ყვავილი თეთრი ან ვარდისფერი, ფოთოლზე ადრე იშლება. ნაყოფი კურკიანია, ხორცოვანი ან მშრალი; აქვს ხავერდოვანი, იშვიათად – გლუვი კანი.</p> <p>გარგარი სინათლისა და სითბოს მოყვარული, გვალვამტანი მცენარეა. მოსავალს იძლევა მყნობიდან მესამე-მეოთხე წელს. ხარობს ჩრდილოეთ ინდოეთში, ირანში, ჩინეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში. გარგარის ნაყოფი შეიცავს შაქრებს, ვაშლის, ლიმონისა და სხვა მჟავებს; პექტინურ ნივთიერებებს, კაროტინს; თესლი - ცხიმს. იყენებენ ნედლად, ჩირად და დაკონსერვებულს (კომპოტი, წვენი და სხვა).</p> <p>საქართველოში გარგარი გავრცელებულია უმთავრესად კახეთსა და ქართლში. სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი და თესლი. გარგლის რბილობი (მშრალი სახით) მაღალკალორიულია. აქვს გამამაგრებელი, სუსტი შარდმდენი, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო თვისებები. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. იყენებენ ვიტამინების ნაკლებობისას და გულის სისხლძარღვების სისტემის დაავადებისას.</p>
2.	გერანი, ზეთის ნემსიწვერა	<i>Pelargonium roseum</i> Ait.	[ბერძ. geranos წერო]		<p>დეკორატიული მცენარე; ნემსიწვერასებრთა (Geraniaceae) ოჯახიდან, აშენებენ ოთახებსა და ბაღებში; მრავალწლოვანი, ძლიერ დატოტვილი ბუჩქბალახა ეთერზეთოვანი მცენარე ნემსიწვერასებრთა ოჯახისა. აქვს 5-7 ნაკვთად დაყოფილი, გულისებრი და ღეროზე მოგირებით განლაგებული ფოთოლი. გერანის სამშობლოა სამხრეთ აფრიკა. გავრცელებულია საქართველოში, სომხეთსა და ტაჯიკეთში. მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი კულტურა, რადგან 3-იდან 5°C ტემპერატურაზე იღუპება. გერანის შებუსული ღეროსა და ფოთლებისაგან ღებულობებს ვარდის სურნელის მქონე, გამჭირვალე, მომწვანო, ზოგჯერ კი მოყვითალო ეთეროვან ზეთს, რომელიც შეიცავს ციტრონელოლის სპირტს; გერანიოლს, ლინალოლსა და მენთოლს. გერანის ზეთს იყენებენ პარფიუმერიაში, საპნის წარმოებაში, კოსმეტიკასა და კვების მრეწველობაში. გერანს იყენებენ მედიცინაშიც. იგი სასარგებლოა ნევრასთენიით, უძილობით, ჰიპერტონიით, გულისა და კუჭნაწლავით დაავადებულთათვის; განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ქრონიკულ გასტრიტზე, სიმჟავეზე; ნაღველზე, ნაღვლის ბუშტზე. არის კარგი დამამშვიდებელი. მის ნაყოფს იყენებენ ფაღარათის, დიზენტერიის, თირკმლების დაავადების, ნიკრისის ქარის დროს; არის კარგი</p>

					სისხლაღმდენი.
3.	გველთავა	<i>Dracocephalum moldavicum</i> L			<p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა, სიმაღლით 20-25 სმ; ღერო ოთხწანაგაა; ფოთლები გულისებრი; ყვავილები-მოლურჯო-მოლილისფრო; ყვავილობს ივნის-ივლისში. იზრდება ველებზე, ტყისპირებში, შერეულ ტყეებში. შეიცავს ეთერზეთებს.</p> <p>ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მისი წყალში ნაყენი; იღებენ მუცლის ტკივილის, ყელის ტკივილის, განსაკუთრებით, სპაზმების შემთხვევაში; ასუფთავებენ გამონაყარებს. მკურნალობენ რევმატიზმს.</p>
4.	გველისკოვზა	<i>Cynanchum funebre</i> Kusn.	ლჩბ. გესლის წამალი; სვნ. მაწიწერილ.		<p>40-70 სმ სიმაღლისა ასკლეპიასებრთა (Asclepiadaceae) ოჯახისა მცენარეა. ფოთლები თითქმის მჯდომარეა, 7 სმ-მდე სიგრძისა, გულის ფორმისა; ყვავილები მუქი-წითელი, თითქმის შავი. გავრცელებულია კავკასიაში. იზრდება ფერდობებზე. გველისკოვზას ყველა სახეობა შხამიანია, შეიცავს გლუკოზიდს, დინცეტოქსინს. ახასიათებს ხანგრძლივი ვეგეტაცია. ამიტომ, როცა სხვა ბალახები ხმება, ცხოველები მას ეტანებიან და, შედეგად, იწამლებიან. გველისკოვზას მოქმედ ნივთიერებად ითვლება ვინცეკოქსინი, რომელიც მოქმედებს გულზე. მიუთითებენ საპონინების არსებობაზეც. მისგან გამოიყოფა ალკალოიდი ანტოფინი და ორი დაუხასიათებელი ფუქსი. მისი დალევა იწვევს ღებინებას, გულისრევას, ფაღარათს, საერთო ალგზნებას, გულის გაჩერებას.</p>

5.	გველის სურო	Vinca Waldst ex Kit.	კხ. მიწაფართხა; ზ. იმ., აჭ. სუროვანდა, სუროვარდი; იმ. მიწის სურო; ლჩხ., ოკრ. სურო-წვრილა; მგრ. გვერიში ცურუ, მურხვანტალა.		<p>მრავალწლოვანი მიწაზე გართხმული ბალახია სუროსებრთა (Apocynaceae) ოჯახისა. აქვს მოპირისპირე, ხშირად ტყავისებრი მოზამთრე ფოთლები. ფოთლები ელიფსურია, წვეტიანი წვეროთი (იშვიათად ბლაგვი), პრიალა, ზევიდან მწვანე, ქვევიდან - მონაცრისფრო-მწვანე, ნაყოფი მოგრძოა. აქვს თეთრი, ცისფერი ან მოლურჯო-იისფერი ერთეული ყვავილები. ყვავილები არ არის მრავალრიცხოვანი, მოთავსებულნი არიან ფოთლების უბეებში, გრძელ ყუნწებზე. გვირგვინი მილისებრ-ძაბრისებრია, მუქი-ლურჯი ფერის, ხუთად დაყოფილი. წვრილი ჰორიზონტალური ფესურა, სიგრძით 50-70 სმ, რომელიც მუხლებში გამოიღებს ვერტიკალურ ფესვებს. ვეგტატიური ფერობი მიწაზე გართხმული. სიგრძით 100-150 სმ, ნიადაგში ფესვგადგმული, გენერაციული ღეროები სწორმდგომია, სიმაღლით 30-35 სმ. ცილინდრული ფორმის. ყვავილობს აპრილ-მაისში. გველის სურო გავრცელებულია ბუჩქნარებში, ტყის პირებში და სტეპებში. ევროპასა და დასავლეთ აზიაში გავრცელებულია 7 სახეობა, საქართველოში - 2 სახეობაა. დეკორატიულია, აშენებენ აგრეთვე როგორც სამკურნალო მცენარეს. სამკურნალოდ გამოიყენება გველის სუროს ფოთლები. სუროს სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებენ როგორც შემკვრელ, სისხლდენის შემაჩერებელ, ჭრილობის შემახორცებელ და სისხლის გასასუფთავებელ სამუალებას. გველის სუროს შემადგენლობაში შედის ალკალინიდები - ვინკამინი, იზოვინკამინი, რეზერპინი, ჰერბადეინი, პუბესცინი და სხვა. აღმოჩენილია გლიკოზიდი ვინკოზიდი, სათრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები (რობინინი), ტრიტერპენი. გველის სუროს ალკალინიდებს, რომელთა ბაზაზე მიღებული პრეპარატები - ვინკაპანი, დევინკანი და სხვა. იყენებენ I და II სტადიის ჰიპერტონული დაავადებების, თავის ტვინის ათეროსკლეროზის დროს, აგრეთვე იმ დაავადებების შემთხვევაშიც, რომლებსაც თან ახლავს თავის ტვინის სპაზმები; კარგი თერაპიული ეფექტი აქვს ტაქიკარდიის დროს. მასში შემავალი ალკალინი ვინინი ამცირებს სისხლის წნევას. გველის სუროს იყენებდნენ აგრეთვე ცხვირიდან, ფილტვებიდან, საშვილოსნოდან სისხლის დენის, ფაღარათების, ციების, მალარიის, ხველის დროს და ა.შ. მის ნახარშს კომპრესებად ხმარობენ ეგზემებისა და გამონაყარების დროს. გველის სუროს ნახარშს ივლებენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებისას და კბილის ტკივილის დროს.</p>
----	-------------	----------------------	---	--	---

6.	გვერდელა	Pimpinella saxifraga L.			<p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. იზრდება 30-70 სმ. აქვს თითისტარისებური ძირი და სწორი ღერო. ზედა ნაწილი თითქმის განუტოტველია. ღეროსთან ფოთლები წყვილფრთოვანია, დაკბილული ან მთლიანი. თეთრი ყვავილები ქოლგებადაა შეკრული; ნაყოფი ოვალური ტყუპთესლაა. ყვავილობს ზაფხულში. გავრცელებულია მდელოებსა და მინდვრებზე, მეჩხერ ტყეებში, ბუჩქნარებში. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები, რომლებიც შეიცავს ფისებს, საპონინებს, ეთერზეთებს, მარილებს, ორგანულ მჟავეებს, სახამებელს, მთრიმლავ ნივთიერებებს. იყენებენ როგორც ამოსახველებელ, შარდმდენ, რფლმდენ, ანტიმიკრობულ და ტკიფილგამაყუჩებელ საშუალებას. მის ნაყენს იყენებენ ბრონქების ანთების საწინააღმდეგოდ; საშარდე ბუშტისა და თირკმლების დაავადების, კუჭის კატარისა და ავთვისებიანი სიმსივნის დროს. ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას.</p>
7.	გვიმრა	Athyrium filix-femina	კხ.ჩადუნა; თშ. ჩადა; ჭან. ბილონცა; მგრ. გვიმარა; სვნ. გვიმორ, გვრიმა.		<p>გვიმრა მდედრობითი, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ათირიუმისებრთა (Athyriaceae) ოჯახისა. გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტყის ზონაში ტენიან დაჩრდილულ ადგილებში. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტყის გვიმრაა. კოლხეთში გვხვდება ტყის ყველა სარტყელში. აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, ტყის ზედა სარტყელშია, ნაწილობრივ შუაშიც. კარგად ხარობს ტენიან ფართოფოთლოვან და წიწოვან ტყეებში, სადაც იგი ხშირად ბალახოვანი საფარის დომინანტია. იზრდება საქართველოს ყველა რაიონში ჯავახეთის, ქიზიყისა და გარდაბნის გარდა. მდედრობითი გვიმრა სამკურნალო (ჭიების გამომდენი საშუალება) და დეკორატიული მცენარეა.</p> <p>გვიმრა ეწერისა (Pteridium tauricum), მრავალწლოვანი სპოროვანი, ფესურიანი მცენარეა გვიმრისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 2 მ-ს აღემატება. ფოთოლი ფრთისებრ დანაკვთული აქვს, მრავლდება ფესურითა და სპორებით. გავრცელებულია უმეტესად დასავლეთ საქართველოს ტყის ზონაში. ჭარბტენიან ადგილებს ვერ ეგუება. ძნელად მოსასპობი სარეველაა, ასარევლიანებს პლანტაციებსა და ნათესებს.</p>

8.	გვირილა	Matricaria	ზ.იმ. ირაგა; ქვ.იმ. ანაგრულა; ლჩხ. ნაგვირალა, გურ. ქამენია, კამანია; მგრ. ქამენია, ქამანია; ჯვხ., მსხ. ყვითელგულა; მთ.რჭ. კაკული.		<p>გვირილა რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის რამდენიმე გვარის მცენარეთა კრებითი სახელწოდება. უფრო მეტად ამ სახელწოდებით ცნობილია Pyrethrum-ის გვარი, რომლის 100-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ ზონაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ ამერიკაში, უმრავლესობა კი კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიის ქვეყნებში. საქართველოში 24 სახეობაა, მათგან 10 სახეობა კავკასიის ენდემია, 3 - საქართველოსი. იზრდება მთის ქვემო სარტყლიდან მოკიდებული ალპურ სარტყლამდე მდელოებსა და მაღალბალახეულში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებში, ტენიან და დაჭაობებულ ადგილებში, ქვიან და კლდოვან კალთებზე, ჩამონაზვავებზე და სხვა. ზოგი სახეობა სათიბ-საძოვრების სარეველაა, ზოგი სამკურნალოა (ბალზამური გვირილა - Pyrethrum balsamita): ინსექტიციდურ და ჰერბიციდულ ნივთიერებებს (პირეტრინსა და ცინერონს) შეიცავს დალმაციური გვირილა (Pyrethrum cinerarifolium) და წითელი ანუ კავკასიური გვირილა (Pyrethrum roseum). Pyrethrum parthenium-ს დეკორატიულ მებაღეობაში იყენებენ, ხოლო ე. წ. კალუფერი ანუ კანუფერი - ლიქიორების არომატიზაციისათვის. Doronicum-ის გვარიდან გვირილის სახელით ცნობილია ყვითელი გვირილა (Doronicum orientale), რომელიც უმთავრესად გავრცელებულია კოლხეთში, ნაწილობრივ კი ქართლში მთის შუა და ზემო სარტყლის ტყეებსა და ბუჩქნარებში, Leucanthemum-ის გვარიდან - მინდვრის გვირილა.</p>
9.	გვირილა სამკურნალო. ბაბუნა. მატრიკარია	Matricaria chamomilla L.		 <small>Matricaria chamomilla Chamomile, Manzanilla Photo: Mimi Kamp</small>	<p>სამკურნალო ანუ სააფთიაქო გვირილა მიეკუთვნება რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახს. მისი კალათები შეიცავს ეთერზეთებს, რომლის შედგენილობაში შედის ხამაზულენი, კადირენი, ფლავონოიდები, ნიკოტინის, ასკორბინის. კაპრილის, იზოვალერიანის მჟავები; კუმარინები, ქლოინი, აპიგენინი, ფიტოსტერინი, შაქარი, ცხიმები, სპაზმოლიტური ქმედების გლიკოზიდი, რომელიც ადუნებს კუნთებს, ანელებს ყელის ტკივილს. მას ხმარობენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას ნაწლავების სპაზმების დროს. ეთერზეთის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს წარმოადგენენ ქამაზულენი და პროგამაზულენი. მედიცინაში გვირილას ყვავილების ნაყენს იყენებენ ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკურ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად პირის ღრუს დაავადებების (სტომატიტები და სხვა), ტონზოლიტებისა და ანგინის დროს. გვირილას უნიშნავენ მწვავე და ქრონიკული გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტების, ენტეროკოლიტების საწინააღმდეგოდ, ღვიძლისა და ნაღვლის სადინარი გზების დაავადების დროს. გვირილას პრეპარატები</p>

					ამცირებენ ნაღვლის სადინარების სპაზმებს, აძლიერებენ ნაღვლის გამოყოფას, ამცირებენ ანთებით პროცესებს. ნაწლავების სპაზმებისა და მეტეორიზმისას იყენებენ გვირილის დამამშვიდებელ ჩაის. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი პროცესების, მეტეორიზმის, ფაღარათის, ნაღვლის სადინარების დაავადების დროს. ნიკრისის ქარისა და რევმატიული ტკივილების საწინააღმდეგოდ იკეთებენ გვირილის ყვავილების აბაზანებს. ბუასილის დროს გვირილას ხმარობენ გარეგან საშუალებად.
10.	გლედიჩია	Gleditschia tracanthos L.	კახ.ხევალა, ხელურსმანა, ლურსმანა, ჭოტი ხე; ქიზიყ. დიდეკალა; იმერ. ქაჯევალა, ღობის ეკალი, რუსული ეკალი, ქაცვი-ეკალი, დიდი ეკალი, საწოვარა; დ.ჩ. ქრისტეს გვირგვინა; მეგრ. რუსულ აკაცი, ქარო აკაცია (ქარო აკაციას), რუსული აკაციში ძიგირი.		ფოთოლმცვივანი ხეების გვარი ცეზალპინიასებრთა (Chesalpiniaceae) ოჯახისა. ღეროსა და ტორებზე აქვთ მარტივი ან დატოტვილი ეკლები: ფოთლები ფრთართულია, პატარა მომწვანო ყვავილები მტევნებად არის შეკრებილი. ნაყოფი ბრტყელი პარკია. გლედიჩიას 12 სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ზომიერსა და სუბტროპიკულ აზიაში, ტროპიკულ აფრიკაში. თალიშში (აზერბაიჯანი) ველურად იზრდება მხოლოდ ერთი სახეობა - კასპიური გლედიჩია (Gleditsia caspia), რომელიც კავკასიაში შემორჩენილი მესამეული პერიოდის ფლორის რელიქტია. კულტივირებულია 7 სახეობა. მათგან ძვირფასმექნიანი ჩრდილოამერიკული ჩვეულებრივი გლედიჩია (Gleditsia triacanthos) მველთაგანვეა მოშენებული ყირიმის, კავკასიის (კერძოდ, საქართველოს) და შუა აზიის ბაღებსა და პარკებში. გლედიჩია სინათლისა და სითბოს მოყვარული, გვალვაგამძლე მცენარეა; იტანს ნიადაგის სუსტ დამლაშებას. იყენებენ ცოცხალ ღობედ, მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად და სხვა. მერქნისაგან ამზადებენ სხვადასხვა ნაკეთობებს, ნაყოფისაგან - ყავის სუროგატს. თაფლოვანია. სამკურნალოდ იყენებენ მწიფე ნაყოფს, ნორჩ ფოთლებს, თესლის პარკებს. ნაყოფი შეიცავს ტრიტერპენულ საპონინებს, ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, ლორწოს, მღებავ ნივთიერებებს, K, B და C ვიტამინებს. პარკები- მთრიმლავ ნივთიერებებს, გლიკოზიდებს; ფოთლები-ალკალოიდებს, C ვიტამინს. გამოიყენება მცენარის ყველა ნაწილი. აფართოებს სისხლძარღვებს, აღაგზნებს სასუნთქ ორგანოებს, დაბლა წევს სისხლის წნევას; მოქმედებს კუჭ-ნაწლავის დაავადებებზე, ბრონქიალურ ასთმაზე. ხალხურ მედიცინაში ნახარმებით მკურნალობენ ნაღვლის ბუშტს, კოლიტს, კუჭაშლილობას, ქრონიკულ გასტრიტს.

11.	გობისცხვირა	<i>Prunella vulgaris L.</i>	კხ. გარეული რეპანი; ფშ. შავბალახა; ხევს. შავთავა; ზ.იმ. ბუჩქჩა; გურ. ღორის ჩაი; აჭ. შავი აიშე, ჰერანგა.		<p>მცენარის გვარი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი დაბალი ბალახებია. აქვთ საპირისპიროდ განლაგებული ფოთლები, კენწრულ თავთავისებრ ყვავილებად შეკრებილი ისფერი, თეთრი ან მოყვითალო ყვავილები. ევროპაში ველურად იზრდება გობისცხვირას 15 სახეობა. ყირიმსა და კავკასიაში — 3 სახეობაა; საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული. თაფლოვანი მცენარეებია. <i>Prunella laciniata</i>-ს იყენებენ ხალხურ მედიცინაში. საწამლო ნედლეულად გამოიყენება ბალახი, რომელსაც ყვავილობის დაწყებისთანავე აგროვებენ. იგი შეიცავს საპონინებს, ეთერულ ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, კაროტინს, C და K ვიტამინებს. ბალახის ნაყენი მიიღება ჰიპერტონიის, პოლიართორიტის, სასუნთქი გზების, ეპილეფსიის, დიათეზის, ფალარათის, ანთებითი გინეკოლოგიური დაავადებების დროს. ჰომეოპათიაში გამოიყენება ყელის ანთებითი დაავადებებისას. გარეგანად ნაყენი ან ნახარში გამოიყენება კომპრესებისათვის, გამოსარეცხად, გამოსავლებად, ქერტლის საწინააღმდეგოდ, სტომატიტის სამკურნალოდ.</p>
12.	გოგრა	Cucurbita	ინგ. გუგრა; იმ., რჭ. ლჩხ. კვახი; გურ. აჭარ. ხაპი; აყირო; ჭნ. კაიში, ყოყორე, ფელი; მგრ. კოპეშია; სვნ. კვახნეს, კოპე- შია, აყირო. დგ. აგ'iro. კვახი (ბალ.) ნახე გოგრა (იობ. 4,9), тыква. აყირი. აგ'iq'i. აღატი, აქატი, ახატი,		<p>ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მხოხავი მცენარის გვარი გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. აქვს დატოტვილი და მიწაზე გართხმული ან საყრდენზე ასული ღერო, გრძელყუნწიანი და ბუსუსიანი ფართო ფოთლო, დიდი ყვითელი, ზარისებური ყვავილი. ისხამს საკმაოდ დიდ სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ნაყოფს. თესლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვითალოა. გოგრის სამშობლოა ამერიკა. მისი 13 სახეობიდან ფართოდაა კულტივირებული ერთწლოვანი 3 სახეობა: მსხვილნაყოფა ანუ გიგანტური გოგრა, რომლისგანაც გამოყვანილია სუფრის, საკვები და დეკორატიული ჯიშები - თეთრი თაფლა, მსხვილნაყოფა და სხვა; მაგარკანიანი ანუ ჩვეულებრივი გოგრა (ხოკერა, საქართველოში ძველთაგანვეა გავრცელებული). არის სუფრისა და დეკორატიული ჯიშები. ამ სახეობას ეკუთვნის ყაბაყი და პატისონი. მუსკატური ანუ ჯავზის გოგრა (საქართველოში ცნობილია თაფლა გოგრის, ხურჯინას, ბორჩალური გოგრის სახელით, გავრცელებულია ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში). გოგრა სითბოს მოყვარული გვალვაგამძლე მცენარეა. არსებობს გოგრის ბევრი მსხვილნაყოფა საკვები ჯიში. გოგრას იყენებენ საჭმელად, ცხოველთა საკვებად. გოგრის თესლისაგან ხდიან საჭმელ ზეთს. სამკურნალოდ</p>

					<p>გამოიყენება რბილობი და თესლი. რბილობი შეიცავს პექტინებს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედისს, ორგანულ მჟავებს, კაროტინს; პალიუმის, მაგნიუმის, რკინის მარილებს, შაქრებს, ფიტოსტერინებს, ვიტამინებს. თესლში არის ფიტოსტერინები, ორგანული მჟავები, ფისები, ვიტამინები.</p> <p>გოგრის რბილობს გააჩნია ნაღველმდენი, დამარბილებელი, ანთების საწინააღმდეგო და შარდმდენი თვისებები; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. თესლი გამოყენება ჭიის დასადენად. გოგრას იყენებენ ანემიის, ტუბერკულოზის, სიყვითლის, ჰიპოტონიის, ნევროზის, ნიკრისის ქარის, ქოლეცისტიტის სამკურნალოდ. იგი მდიდარია დაშუსტებული თვალებისთვის აუცილებელი კერატინით. ხალხურ მედიცინაში გოგრისგან გამოხდილ წვენს იყენებენ თირკმლებისა და ღვიძლის დაავადების დროს.</p>
13.	გონგოლა	Sisymbrium ( <i>Sisymbrium</i> <i>irio</i> L., <i>Sisymbrium</i> <i>loeselii</i> L.)	ქრთ., ჯვე., მსხ. ბარბარუკა; მხვ. სამახაი, საცოცხაი; მსხ. ცოცხა.		<p>ერთ ან ორწლოვანი ბალახი ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. იზრდება 25-50 სმ სიმაღლისა. სწორდეროიანი, განტოტვილი; ზედა ფოთლები წვრილი და ლანცეტურია, ქვედა ფოთლები სხედან ფესურაზე, დაკბილულია; წვრილი, ყვავილები ყვავილები ქმნიან ფუნჯებს; ნაყოფი ლანცეტური ძაფებია, რომლებიც დაშვებულია 10–15 სმ სიგრძეზე; თესლები მოწითალო-მოყავისფრო, დაკუთხულები და შხამიანი. ყვავილობს მაისიდან ნოემბრამდე; ნაყოფს იძლევა აგვისტოში. მის წყალში ნაყენს იყენებენ სასუნთქი გზების, ფილტვების ტუბერკულოზის, სურავანდის, შარდის შეკავების, წყლისას სამკურნალოდ.</p>


14.	გონგოლა სამკურნალო	<i>Sisymbrium officinale</i> (L.) Scop. <i>(Erysimum officinale</i> L.)			<p>ერთ ან ორწლოვანი ბალახი ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. იზრდება 25-50 სმ სიმაღლისა. სწორღეროიანი, განტოტვილი; ზედა ფოთლები წრილი და ლანცეტურია, ქვედა ფესურაზე, დაკბილულია; წვრილი, ყვითელი ყვავილები ქმნიან ფუჯებს; ნაყოფი ლანცეტური ძაფებია, რომლებიც დაშვებულია 10-15 სმ სიგრძეზე; თესლები მოწითალო-მოყავისფრო, დაკუთხულები და შხამიანი. ყვავილობს მაისიდან ნოემბრამდე; ნაყოფი იძლევა აგვისტოში. მის პრეპარატებს აქვს შარდმდენი, ანთებისსწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ჭრილობის შემახორცებელი და მადის მოსამატებელი თვისებები. ხალხურ მედიცინაში იყენებენ მწვავე რესპირაციული დაავადებების, გაციების, ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის, ლარინგიტის, ფილტვების ანთების, თირკმლების ანთების, შარდის ბუშტის ანთების, ქრონიკული გასტრიტის, ქრონიკული კოლიტის... შემთხვევაში. იყენებენ სტომატიტის, ანგინის, ჭრილობებისა და წყლულების სამკურნალოდ.</p>
15.	გრაკლა	<i>Spiraea</i>	ფშ. ბრაწი; თუშ. მაკატი, მახატი; ხვს. მაქაცი; მთ. ჩინჩხი; მგრ. ჩიბარი, ჩიბაბარი.		<p>50-80 სმ სიმაღლის ბუჩქია, ყავისფერი, დაშვებული ტოტებით, ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახისა. ფოთლები მოგრძო-ელიფსური; ყვავილები თეთრი, 5-8 სმ დიამეტრით; შეკრებილია ყვავილედად. ყვავილობს ივნისში. აგროვებენ ივნის-აგვისტოში.</p> <p>ბალახი შეიცავს ეთერულ სალიცინის ალდეგიდომს, ჰელიოტროპინს, სალიცილის მჟავს, ცხიმს, მთრიმლავ ნივთიერებას, სპირენს, ბევრ ვიტამინს. ფოთლებში არის ეთერული ზეთი, გლიკოზიდისპირენი, ყვითელი საღებავი ნივთიერება.</p> <p>გრაკლით მკურნალობენ გაციებას, გამოიყენება თავისა და მუცლის ტკივილისას, უძილობისა და სულის ხუთვისას, ანთებითი პროცესებისას, აჩერებს სისხლდენას, ახორცებს დამწვრობებსა და ჭრილობებს. აშუშებს მწერებისა და ქვეწარმავლები ნაკბენს. ხმარობენ ართრიტის, მასტიტის, ცხიმგროვების, უშვილობის, კიბოსა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. იგი ხელს უწყობს ათეროსკლეროზის და თრომბოწარმონაქმნების რეგრესს. იყენებენ დიაბეტის წინააღმდეგ. ნაყენი გამოიყენება ფურუნკულების, ძირმაგარების, კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. აჩერებს თმისცვენას.</p>

16.	გრეიპფრუტი	<i>Citrus paradisi</i> Macf.	ინგლ. grape-fruit]		ხეხილოვანი მცენარე ციტრუსოვანთა გვარისა, ენდროსებრთა (Rubiaceae) ოჯახისა. სიმაღლე 15 მ აღწევს. აქვს დიდი, ოვალური, ტყავისებრი ფოთოლი, თეთრი ყვავილი, მსხვილი და მომრგვალო ნაყოფი, სქელი, ღია ყვითელი, ბზინვარე კანი, ყვითელი, იშვიათად — ვარდისფერი, ძლიერ წვნიანი და არომატული რბილობი. ნაყოფი შეიცავს წყალს; შაქარს, მჟავებს; კანი — პექტინოვან ნივთიერებას. 100 გ წვენში დაახლოებით 45 მგ C ვიტამინია. გრეიპფრუტის ნაყოფი დიეტური და სამკურნალოა, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, მადის აღმძვრელია. იყენებენ ნედლად, კომპოტის, მურაბისა და წვენის დასამზადებლად.
17.	გუგულის-კაბა	<i>Orchis mascula</i> L	ხვს. გუგუტაის პერანგი		ჯადვარისებრთა (Orchidaceae) ოჯახის ორწლიანი, ფესვ-ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე. საყრდენი ღერო მკვრივი, ერთეული, სწორი; აქვს ლანცეტისებრი, 6-15 სმ სიგრძის 4-8 ფოთოლი, ზემოდან მუქი-მწვანე, ისფერი წერტილებით, ქვემოდან ღია მწვანე; ყვავილები ღია მომწვანო; ნაყოფი კოლოფთა მრავალრიცხოვანი წვრილი თესლით. ყვავილობს მაისიდან ივლისამდე, მწიფს ივლის-აგვისტოში. ხარობს კავკასიაში. გამოიყენება ნორჩი ფესვ-ბოლქვები, რომელთაც ყვავილობის შემდეგ აგროვებენ. იყენებენ პირდაპირ ბოლქვებს ან ამზადებენ ფხვნილს. ფესვ-ბოლქვები შეცავს ლორწოს, სახამებელს, პენტოზანებს, მეთილპენტოზანებს, პოლისაქარიდს, კაროტინებსა და მწარე ნივთიერებას. ბალაზი შეიცავს გლიკოზიდ ლოროგლოსინს, ფოთლები კუმარინებსა და მის გლიკოზიდებს. მედიცინაში გამოიყენება ნაწლავების კატარისა და შხამით მოწამვლის დროს. მის ფხვნილს იღებენ ოყნებით.

18.	გუბულის ყვავილი	<i>Coronaria</i> (Moench) Schischk.			<p>მრავაწლოვანი ბალახოვანი მცენარე. მიხაკისებრთა (Cariophilaceae) ოჯახისა, ევრაზიაში გავრცელებულია 5 ჯიში. აქვს ვარდისფერი, იშვიათად თეთრი ფოთლები; ხარობს დასახლებების განაპირებში. მშრალ ადგილებშიც და ჭაობების გვერდითაც. ამ სახელით ცნობილია აგრეთვე სხვა ყაყაჩოსებრნი, მედიცინაში უწოდებენ აღონისს. მისი ნაყენი ეფექტურია გაჭიანურებული ბრონქიტისას და გამოყოფს ორგანიზმიდან სისველეს. ხსნის ტკივილებს თირკმლებში, აჩერებს სისხლდენას საშვილოსნოდან; ნაყენს იყენებენ ღვიძლის ტკივილისას, კანის გამონაყრებზე წასასმელად.</p>
19.	გულყვითელა, ნარგიზელა	<i>Calendula</i>	ქართლ., კახ. ნარგიზი, კვირისტავა, ტასოყვავილი, ხლაკნია.		<p>მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახოვანი, იშვიათად ბუჩქ-ბალახა მცენარეების გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვთ ჯირკვლოვანი ბუსუსებით შემოსილი 5-60 სმ სიმაღლის ღერო, მოგრძო, ლანცეტა ფოთლები, დიდი ზომის კალათა ყვავილედებად შეკრებილი მოყვითალონარინჯისფერი ყვავილები. ევროპასა და აზიაში გვხვდება გულყვითელას 20-ზე მეტი სახეობა. ძველთაგანვე ცნობილია დეკორატიული სახეობა <i>Calendula officinalis</i>, რომელსაც სამკურნალოდაც იყენებენ. საქართველოში იზრდება გულყვითელას 2 სახეობა: <i>Calendula arvensis</i> და <i>Calendula gracilis</i>. გულყვითელას კალათა ყვავილედი შეიცავს კაროტინს, ლიკოპინს, ვიოლა-კსატინს, ციტროკსანტინს, სიტოსტერინს, ფილებს, ვაშლის, სალიცილის, ასკორბინის მჟავებს. გულყვითელას ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ, ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელ საშუალებას. გულყვითელას ნაყენის ხშირი გამოვლება პირის ღრუში ეფექტური საშუალებაა ღრმილების ანთების საწინააღმდეგოდ, ამცირებს ან სრულიად წყვეტს ღრმილებიდან სისხლის დენას, ამაგრებს ღრმილების ქსოვილს. მის ნაყენს ივლებენ აგრეთვე ტონზილიტისა და ანგინის დროს. გულყვითელას ნაყენის დალევა აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამცირებს შეშუპებას. იგი ასევე კარგად მოქმედებს გასტრიტების, კუჭისა და თორმეტოჯა ნაწლავის წყლიულის, კოლიტებისა და ენტეროკოლიტების</p>

					<p>დროს. განსაკუთრებით ეფექტურია გულყვითელას გამოყენება სააფთიაქო გვირილასა და ფარსმანდუკთან ერთად.</p> <p>გულყვითელას და სააფთიაქო გვირილის ნაკრები გამოიყენება როგორც ანტიბაქტერიული, სპაზმოლიტური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, აგრეთვე ნაღვლის სადინარების სამკურნალოდ. აქვს მატონიზირებელი ქმედება.</p>
--	--	--	--	--	--

1.	<b>დათვიმარწყვა</b>	Psoralea acaulis Stev.	ოკრ. გველიმარწყვა; ლჩხ. ორჟამო; გურ. ჯიგლიგა; სვნ. ცხეკიშ პირპილ.		მრავალწლიანი სამკურნალო მცენარეა პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა, სწორმდგომი, კარგად დატოტვილი, ოდნავ ხისებრი ღერძით. იზრდება 70-130 სმ. ფოთლები მომრგვალო - ოვალური. ყვავილები შეკრულია ფუნჯებად, მოთეთრო-ლილისფერია. ნაყოფი კავალისმაგვარი პარკია, ერთთესლა. მისი ფესვები და ნაყოფი შეიცავს ორ ფუროკუმარინს -პსორალენსა და იზოპსორალენს. მათგან მიღებული არომატული ფხვნილი, რომელიც სხვადასხვა დოზით იხსნება წყალში, სპირტში და ქლოროფორმში, ენიშნება მოზრდილ ადამიანებს. იყენებენ დეპიგმენტირებული ან დაცვენილი თმების ადგილას.
2.	<b>დათვისთხილა</b>	Corylus iberica Wittm. et Kem.-Nath.	ქრთ. დათვისთხილა; ინგ. ტყიურა თხილ; მგრ. ტყარ თხირი.		ქართული თხილი, ტანმაღლალი ხე თხილისებრთა (Corylaceae) ოჯახისა. აქვს მუქი რუხი კორპიანი ქერქი, გრძელყუნწიანი ფოთლები. გავრცელებულია ირანში, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მცირე აზიაში. საქართველოში უფრო ხშირად მთის შუა სარტყლის ფართოფოთლოვან ტყეებში გვხვდება, ზღვის დონიდან 800-1600 მ-დან. ჩრდილის ამტანი, სითბოს მოყვარული და ქარგამძლეა. იზრდება ტყის ყომრალ ნიადაგზე. მის წირილშრიანსა და მოწითალო მერქანს ავეჯისა და სახარატო ნაკეთობისათვის იყენებენ. ნაყოფის გული გემრიელია, მაგრამ კერკეტია და ამის გამო ნაკლებად იყენებენ. ნაყოფი შეიცავს ცხიმს, ცილებს, სახაროზას, B და E ჯგუფის ვიტამინებს, რკინის მარილებს. საკვებად გამოიყენება უმი თხილი. მისი ტოტების გამოხარშვის შედეგად მიღებულ სითხეს იყენებენ ეკზემისა და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ტანინის შემცველობის გამო შეიძლება მისი სათრიმლავად გამოყენებაც.

3.	<b>დათვის კანაფი</b>	<i>Datisca cannabina</i> L.	<p>ქზყ. სისვი; იმ., რჭ., ლჩხ. არდაკანაფი; ინგ. სეს; აჭ. კანაფურა, დათვაკანაფა, საყვითლე ბალახი, სიყვითლის წამალი; სვნ. მალალქანოოლ, ქანცშ-ბიჭ.</p>		<p>მრავალწლიანი ორსახლიანი Daticaceae ოჯახის მცენარე 60-250 სმ სიმაღლისა, კარგად განვითარებული ფესვით, სწორი და შიშველი ღეროებით. აქვს მოზრდილი, მორიგეობითი ფოთლები. მუქი, უგვირგვინო ყვავილები. ნაყოფი კოლოფია. ყვავილობს ივნის-ივლისში. მიწისზედა ნაწილი შეიცავს ტრიტერპენიდებს, ოლეინის მჟავას, სტეროიდებს, ფლავონოიდებს, ალკალოდებს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს. მცენარე ძირითადად ხასიათდება ნაღველმდენი და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით. მისგან მიღებული პრეპარატი ხასიათდება სპაზმოლიტური თვისებებით, ჰკურნავს წყლულებს, კუჭ-ნაწლავს, ნაღველმდენ გზებს, არეგულირებს ნაღვლიანობას.</p>
4.	<b>დათვის კენკრა</b>	<i>Arctostaphylos uva-ursi</i> Spreng.			<p>დათვის კენკრა მანანასებრთა (Ericaceae) ოჯახის მრავალწლოვანი მარადმწვანე, მიწაზე გართხმული მცირე ზომის ბუჩქია. ცენტრალური ღერო მაღალ მოკლეა და დაფარულია ცვენადი ფოთლებითა და ტოტებით. ამ ღეროდან ყველა მიმართულებითგამოდის 2 მ-მდე სიგრძის ღეროები, რომლებიც ჩაფესვიანებულია. ჩაფესვიანებული ღეროდან ვითარდება სწორ-მდგომი შეფოთლილი ყლორტები, რომელთა სიმაღლე 10-15სმ-ია.</p> <p>ახალგაზრდა ღეროები მწვანე ან მომწვანო მურა შეფერილობისაა. მრავალწლიანი ძველი ღეროები დაფარულია მრავალშრიანი მუქი მურა ქერქით, რომელიც იოლად ცილდება. ფოთლები მორიგეობითია, კანიანი, გლუვი, კიდემთლიანი, უკუკვერცხისებური. ფოთლის სიგრძე 1-2,2 სმ-ია, სიგანე 0,5-1,2 სმ. ყუნწთან შევიწროებულია. ფოთოლი ზემოდან მუქი-მწვანეა, ქვემოდან უფრო ღიაა, მბზინავი; ფოთლის ორივე მხარეზე შესამჩნევია დაძარლვა. ახალგაზრდა ფოთლები მკრთალია, უფრო ნაზია და თხელი, ვიდრე ძველი ფოთლები; კიდეებთან შებუსულია. ყუნწი მოკლეა.</p>

				ყვავილები ოვალურია, მკრთალი. ნაყოფი კენკრისებურია, წითელი. დათვის კენკრა წითელ მოცვს ჩამოჰგავს. მცენარე შეიცავს გლიკოზიდ არბუტინს, ფლავონოიდებს, მეთილარბუტინს, თავისუფალ ჰიდრო-ქინონს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ჭიანჭველის და ურსოლის მჟავებს, ელაგოტანინს, გალოტანინს, ასევე მღებავ ნივთიერებებს, ეთერზეთს, უვაოლს, გიპეროზიდს, კვერცეტინს, იზოკვერციტრინს, ასკორბინის მჟავას. მისი სამკურნალო ქმედება დამყარებულია მჟავისა და ფერმენტების მოქმედებით არბუტინის დაშლაზე, რის შედეგაც მიიღება გლუკოზა და ჰიდროქინონი. ისინი გამოიყოფა თირკმელებით და ავლენს ანტისეპტიკურ და სადეზინფექციო მოქმედებას. არბუტინი ავლენს სუსტ შარდმდენ მოქმედებას. დათვისკენკრას ფოთლებს ახასიათებთ შარდმდენი, შემკვრელი და ბაქტერიოციდული თვისებები. მას იყენებენ თირკმლისა და საშარდე გზების დაავადებათა სამკურნალოდ, ცისტიტების დროს. დათვისკენკრას ფოთლი შედის შარდმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.
5.	დათვის ყურძენი	<i>Actaea spicata L.</i>		საშუალო სიმაღლის (50–60 სმ) ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე, ორმაგი ან სამმაგი მოზრდილი, კბილანა, თანამიმდევრული ფოთლებით. აქვს წვრილი ყვავილები, წვნიანი მრგვალი ნაყოფი. ხარობს მთიან რაიონებში. ქიმიური შემადგენლობა უცნობია. მისი ფესვების ნაყენს იყენებენ კბილის ტკივილისას, ასთმისას, რევმატიზმისა და ისტერიის შემთხვევაში. ხმელი ფესვების მარცვლებს ურევენ ვაზელინში და იყენებენ კანის დაავადებების სამკურნალოდ.

6.	<b>დამასკური ვარდი</b>	<i>Rosa damascena</i> Mill.	ერთ თვის ვარდი.		<p>ვარდი ეთერზეთოვანი, მცენარეთა ჯგუფი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. გავრცელებული სახეობებია: დამასკური, ფრანგული — <i>Rosa gallica</i> და ასფურცელა — <i>Rosa centifolia</i>. მრავალწლოვანი ეთერზეთოვანი ვარდის ბუჩქის სიმაღლე 1,5 მ-ზე მეტია. ღერო ეკლიანია, ფოთოლი რთული, კენტფრთისებრი, 5—7 ფოთოლაკიანი. ყვავილი ბუთხუზაა, ვარდისფერი, თეთრი ან წითელი, შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედად. სამშობლოდ ირანს მიიჩნევენ. გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ყვავილისაგან იღებენ ეთეროვან ზეთს, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, კვების მრეწველობასა და მედიცინაში. ზეთი ხასიათდება სპაზმოლიტური, ნაღველმდენი და ბაქტერიოციდული ქმედებებით. არის ანთების საწინააღმდეგო საშუალება აბსცესის დროს. იყენებენ ღვიძლის, ნაღველმდენი გზების, შარდვენჭოვანი დაავადებისა და ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ.</p>
7.	<b>დამასკური სოინჯი</b>	<i>Nigella damascena</i> L.			<p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახის 20-50 სმ სიმაღლისა, სწორი, გრანული ირებული და იისფერი ღეროთი. აქვს მაგარი, დანაწევრებული ფოთლები, სამკუთხა თესლები. გავრცელებულია ევროპასა და დასავლეთ საქართველოში. სამკურნალოდ გამოიყენება თესლი, რომელიც შეიცავს ალკალოიდებს, ეთერულ ზეთს, ნახშირბადს, სტეროიდებს, მაკრო და მიკროელემენტებს. გამოიყენება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დარღვევებისას როგორც შარდმდენი და მენსტრუაციის დროს, როგორც მარეგული ირებელი.</p>

8.	<b>დანდური</b>	Portulaca oleracea L.	<p>ქ'ზ. კატკატო; ჯვე., მსხ., რჭ., ლჩხ., ზემ. იმ. მსუქანა; ქვ. იმ. კერატა; გურ. უკვდავა; ჩ. ინგ. დანდრანუკა; მგრ. ვაღურია, უღურალე.</p>	 <small>Photo: Avner Cohen</small>	<p>ბოსტნის დანდური დანდურისებრთა (Portulaceae) ოჯახის ერთწლოვანი მცენარეა ხორციანი ღეროთი და ფოთლებით. ღერო გართხმული ან წამოწეულია, დატოტვილი. ყვავილები კაშკაშა ყვითელია. განეკუთვნება სინათლისმოყვარულ მცენარეებს. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს. ფოთლებსა და ღეროებს იყენებენ თვალების სამკურნალოდ და ჭიის დამდენად. ხალხური მედიცინა იყენებს თირკმლების, ღვიძლის, შარდის ბუშტის, მეტეორიზმის და უძილობის სამკურნალოდ. ნაყენი შარდმდენია. ჩინური მედიცინა იყენებს ვენერიული დაავადებების, დიზენტერიის, არტრიტების, დამბლის, შამამიანი ნაკენენების სამკურნალოდ.</p>
9.	<b>დარიჩინის ხე</b>	Cinnamomum zeylanicum Breyne.	ჩ. კინამო	 <small>©www.tradewindsfruit.com</small>	<p>ხე ან ბუჩქია. მიეკუთვნება დაფნისებრთა (Lauraceae) ოჯახს. მარადმწვანე მცენარეა. ფოთლები ტყავისებრია. ყვავილები საგველა ყვავილედებშია შეკრებილი. გავრცელებულია ტროპიკულში. სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი. ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას, საჭმლის გადამუშავებას, სასუნთქი გზების მუშაობას, შარდის გამოყოფას. არის სტიმულატორი, ამოსახველებელი, გამაყუჩებელი საშუალება. იხმარება გრიპის შემთხვევაშიც.</p>

10.	<b>დარფილფილი</b>	Piper longum L.	ერ. დარუპილპილი.		<p>გრძელი წიწაკა. წიწაკის ამ სახეობას ფართოდ იყენებენ აღმოსავლურ მედიცინაში. პიპერინისა და პიპერლომგუმინინის შემცველობის გამო ის ძლიერი ანტისეპტიკური საშუალებაა, რომელიც ებრძვის ბაქტერიებისა და სოკოების მოქმედებას; აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, აუმჯობესებს მადას, აქრობს ნაღვლის გემოს და ღებინების შეგრძნებას. ცნობილია, როგორც ტვინისა და სასქესო ორგანოების მასტიმულირებელი.</p>
11.	<b>დასავლური ტუია</b>	Thuja occidentalis L.			<p>20 მეტრამდე სიმაღლის ხე გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. აქვს ნაზი ქერქი, მწვანე ყლორტები, მუქი მწვანე ხავსი, კვერცხისებური გირჩები. მისი, როგორც სამკურნალო მცენარის, ძირითადი სამოქმედო სფეროა შარდსასქესო ორგანოები, სწორი ნაწლავი, კანი. ის იწვევს ჩირქოვანი შარდის გამოყოფას, სასქესო ორგანოში ლორწოვანი გარსის წვას. მოქმედებს ტუბერკულოზზე, წყლულებზე, სიმსივნეებზე. ფართოდ იყენებენ ჰომეოპათიაში.</p>

12.	<b>დასტამბო</b>	Cucumis cantalupensis	ქ'ზ. დანტაბო, დაპტამბო; იმ. პუმპულა; ინგ. დესტამბუ; ერ. ნევპუმპულა.		<p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარის Cucumis-ის გვარი გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. აქვს მომრგვალო-დაკურთხული ღერო, გრძელყუნწიანი და მსხვილი ფოთოლი, ცალსქესიანი, ზოგჯერ ორსქესიანი ყვავილი. ნაყოფი მრავალთესლიანი გოგრულაა, რომელსაც სხვადასხვა ფორმა აქვს. ნესვის სამშობლოდ ითვლება შუა და მცირე აზია. სითბოს მოყვარული მცენარეა, უძლებს გვალვას. კარგად ხარობს 25-30°C ტემპერატურაზე. ნაყოფი ძვირფასი საკვები და დიეტური პროდუქტია. დიდი რაოდენობით შეიცავს შაქარს, C ვიტამინს, კაროტინს, პექტინოვან ნივთიერებას და მინერალურ მარილებს. იყენებენ ნედლად, აგრეთვე შემჭვარსა და გამხმარს. მისგან ამზადებენ ხილფაფას, მურაბას, ცუკატს, მარმელადსა და სხვ.</p> <p>დასტამბოს (ისე, როგორც ნესვის სხვა ჯიშებს) ნედლად იყენებენ ბრონქიტის, ტუბერკულოზის, სასუნთქი გზების, ნერვულ-ტროფიული პროცესების სამცურნალოდ. იგი არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას, აწესრიგებს სისხლის რაოდენობას, კურნავს სისხლ-ძარღვთა დაავადებებს, ღვიძლსა და თირკმლებს, თუმცა აქვს უკუქმედება შაქრიან დიაბეტზე და დისპერსიაზე.</p>
-----	-----------------	-----------------------	---	---	---

13.	<b>დაფნა, კეთილშობილი დაფნა</b>	Laurus nobilis L.	საბა. დაფნი, რაფინდი; ჭნ. დეფნე; მგრ. დაფი.		<p>მცენარეთა გვარი დაფნისებრთა (Lauraceae) ოჯახისა. მარადმწვანე ხეშეშ-ფოთლოვანი ორსახლიანი ხეები ან ბუჩქებია. აქვს ქოლგისებრ ყვავილედად შეკრებილი მომწვანო-ყვითელი ყვავილები, მოლურჯო-შავი კურკიანი ნაყოფი. შეიცავს 2 სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში: კეთილშობილი (ჩვეულებრივი) დაფნა ტანდაბალი, 2-12 (ზოგჯერ 20 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ველურად იზრდება (ან გაველურებულია) კოლხეთსა და სამხრეთ ყირიმში, ზღვის დონიდან მ-მდე სიმაღლეზე, სუბტროპიკული ტენიანი და მშრალი ჰავის პირობებში, ჩვეულებრივ კირქვიან ნიადაგზე. ზოგჯერ ქმნის წმინდა კორომს. კულტივირებულია სამხრეთ ევროპში, ჩრდილოეთ ამერიკაში, საქართველოში (ძირითადად კოლხეთში, სადაც გაშენებულია დაფნის პლანტაციები) და სამხრეთ ყირიმში. გვალვაგამძლეა. კარგად ხარობს ნემიმპალაკარბონატულ დაწრეტილ ნიადაგზე და ვერ იტანს მის დამლაშებას. სინათლის უძლებს - 16-17°-მდე ყინვას. მრავლდება თესლით, კალმით (სათბურში) და გადაწვენით (ზაფხულში). ხმარობენ სუნელ-სანელებლად. საკონდიტრო და საკონსერვო მრეწველობასა და კულინარიაში. მისი ნაყოფის ზეთი სამკურნალოა და იყენებენ მალამოებში რევმატიზმის, დამბლის, გაციებითი დაავადების, სიმსივნეების სამკურნალოდ, ნერვული სისტემის გასამაგრებლად. დაფნის პრეპარატები გამოიყენება ანთების საწინააღმდეგოდ, ამოსახველებლად, შარდმდენად.</p>
-----	---	-------------------	---	--	--

14.	<b>დაჯირა</b>	Salvia verticillata L.	ქრთ. შავბალახი; კხ. დაჯორა; მხვ. ნეხვაბალახა; მსხ., ჯვხ. შავტრაკა; რჭ. ყვანჩალა; ლჩხ. პურშო, პურშუე; სვნ. პიშვ.		20-დან 100 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. აქვს ძლიერი ფესვი, მარტივი ან განტოტვილი ღერო. ფოთლები გულისებურია. ყვავილები ლილისფერი ან ვარდისფერი, წვრილი. ყვავილობს ივლისში. კარგი თაფლოვანაა. გამოიყენება კოსმეტიკასა და მედიცინაში. იგი ამცირებს შარდის გამოყოფას, არის შემკვრელი საშუალება, ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო და მადეზინფირებელი თვისებებით. მისი ფოთლების წყალთან ნაყენი გამოიყენება გაციებისა და ფაღარათის სამკურნალოდ; მას სვამენ მომეტებული ოფლიანობისას; აგრეთვე, ბავშვების ძუძუსგან მოსაშორებლად. იყენებენ სავლებად ანგინისა და პირის ღრუს დაავადებებისას, კომპრესებისა და ჭრილობების მოსაშუშებლად.
15.	<b>დედაფუტკარა</b>	Stachys			მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახებია. აქვთ მორიგეობით განლაგებული ფოთლები, რთული, თავთავისებრ ყვავილებად შეკრებილი ყვავილები. ცნობილია 200-მდე სახეობა, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. საქართველოში 16 სახეობაა, მ. შ. ფართოდაა გავრცელებული <i>Stachys sylvatica</i> (თაფლოვანი და საღებავი მცენარე), <i>Stachys germanica</i> (თაფლოვანი და ეთერზეთოვანი მცენარე), <i>Stachys annua</i> (ნათესების სარეველა) და სხვა. <i>Stachys fruticulosa</i> კავკასიის ენდემია; საქართველოში იზრდება ქართლისა და კახეთის მშრალ თიხნარ, ხშირად ოდნავ დამლაშებულ ფერდობებზე. შეიცავს ეთერზეთებს, ალკალოიდებს, ვიტამინებს, ფენოლკარბონის მჟავას, ფისებს, ქოლინს, მარილებსა და ნახშირწყლებს. ხმარობენ გინეკოლოგიაში, საშვილოსნოდან სისხლ-დენის, სისხლის ამოხველების დროს. მისი სპირტიანი ნაყენები დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. აქვს კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედება.

16.	<b>დედოფლისთითა</b>	Veronica officinalis L.	ქვ. იმ. ზორტა; გურ. ონჯახუა; აჭ. ნაღრძობის ბალახი.		<p>მრავალწლიანი მხოხავფესვურიანი ბალახია შავწამალა-სებრთა (Scrophulariaceae) ოჯახისა. ღერო მწოლარეა ან ოდნავ წამოწეული. მიწასთან შეხების ადგილებში დამატებით ფესვებს ივითარებს. სიგრძით 15-30 სმ-ს აღწევს. მოკლეყუნწიანი ფოთლები ნაპირებში დაკბილულია და მოპირდაპირედაა განლაგებული. კენწრულ მტევნებად შეკრებილი მკრთალი ცისფერი ყვავილები ამოსულია კენწეროსთან ახლომყოფი ფოთლების იღლიებიდან. ყვავილობს მაისიდან, სექტემბრამდე. ნაყოფი სამკუთხა უკუკვერცხისებრი ფორმისაა, წაკვეთილი თავით. გვხვდება უმეტესად წიწვოვან ტყეებში. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ჭრილობების შეხორცების დასაჩქარებლად, საშარდე ბუშტის ტკივილის, სისხლდენისა და გაციების დროს; აადვილებს ნახველის ამოდებას; იყენებენ ასთმისა და ანგინის დროს; გამონაყარისა და ფურუნკულების სამკურნალოდ, შარდდამდენ საშუალებად თირკმლებისა და საშარდე ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს. სპირტიან ნაყენს ხალხური მედიცინა ეგზემისა და ქერტლის სამკურნალოდ იყენებს. გამონაყრების, ეგზემისა და სიყვითლის სამკურნალოდ იხმარება ნახარში, რომლის შემადგენლობაში შედის დედოფლისთითა, სამფერა ია და ორკბილა, გარეგანად გამოიყენება დედოფლისთითას სპირტიანი ნაყენი.</p>
-----	---------------------	-------------------------	--	---	---

17.	<b>დედოფლის ყვავილი</b>	<i>Tropaeolum majus L.</i>		 <small>© G.A. Cooper</small>	<p>25-100 სმ სიმაღლის Tropaeolaceae ოჯახის ბალახოვანი მცენარე გრძელჯამიანი, მომრგვალო ფოთლებით და არათანაბარი ყვავილებით. ყვავილები მსხვილია, ნარინჯისფერი ან ცეცხლოვანი წითელი. ნაყოფი სამთესლიანია. ყვავილობს შემოდგომით. შეიცავს ვიტამინ C-ს და კაროტინს. ახასიათებს შარდმდენი და სისხლგამწმენდი თვისებები, აძლიერებს გულის შევიწროვებას, სისხლდენას ძარღვებში, აუმჯობესებს სტენოკარდიით დაავადებულთა მდგომარეობას. იღებენ ნახარშს, თაფლში გაზავებულს, რომელსაც იყენებენ პირში სავლებად. ნაყენს ხმარობენ ბრონქიტის, ჰიპერტონიის, სურავანდის, სისხლნაკლებობის, ნაღველკონიანი დაავადებების სამკურნალოდ. წვენს იყენებენ თმის შესაზელად.</p>
18.	<b>დევისპირა</b>	<i>Linaria vulgaris</i> <i>Mil</i> <i>Antirrhinum</i> <i>maiis L.</i>	ქრთ. ძაღლისპირა; კხ. ლომის ყბა, შაშვისპირა, შაშვის ყბა; მგრ. ჯოლორიში დუდი.		<p>30-50 სმ სიმაღლის შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახის მრავალწლოვანი მცენარე. აქვს სწორი ღერო ნარინჯისფერი ყვავილებით, სუპროტული, ხაზოვანი, ლანცეტური ფოთლებით. ასდის თავისებური სურნელი. ყვავილობს სექტემბრის ბოლოს. შეიცავს ლიმონის, ჭიანჭველას, ვაშლისა და მმრის მჟავებს, გლიკოზიდებს - ლინარინს, საპონინს, ლინარიზინს, კაროტინს, ვიტამინ C-ს, პექტინურ, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებებს, ალკალოიდებს.</p> <p>სამკურნალოდ მხოლოდ ხალხური მედიცინა იყენებს. მის წყალში ნაყენს ხმარობენ თვალის ანთების დროს. სვამენ ღვიძლისა და სწორი ნაწლავის, თირკმლების, სიყვითლის, სუნთქვის გახშირების, წყლისას და თავის ტკივილის სამკურნალოდ. გარეგანად იყენებენ კანის დაავადებების მოსარჩენად.</p>

19.	<b>დეზურა</b>	Delphinium dictyocarpum			<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა სწორმდგომი ღეროთი. იზრდება 100 სმ-მდე. აქვს თირკმლისებური ფოთლები; ზიგომორფული ყვითელი ყვავილები. ყვავილობს ზაფხულში. სამკურნალოდ აგროვებენ ღეროების ზედა ნაწილს. კვირტობის პერიოდში მცენარე შეიცავს ალკალოიდებს, კონდელფინს. ალკალოიდებს იყენებენ ანთების საწინააღმდეგოდ, ნაღველმდებად, გასაყუჩებლად, მიკრობების საწინააღმდეგოდ. ხმარობენ კუნთების ტონუსის დასაწევად, კბილის ტკივილის გასაყუჩებლად, სახსარკუნთოვანი სისტემის სამკურნალოდ. საერთოდ, მცენარე შხამიანია.</p>
20.	<b>დეკა</b>	Rhododendron caucasicum Pall.	იმ., გურ. შქერი, შკერი: მგრ. ხვამცა. ხვანცა; სვნ. ზიშაორა.		<p>მანანასებრთა (Ericaceae) ოჯახის მარადმწავნე ბუჩქია. ყვავილის შეფერილობით განარჩევენ რამდენიმე სახესხვ აობას. სიმაღლით 1-1,5 მეტრს აღწევს. ფოთლები მოგრძო ფორმისაა, ტყავისებრი. ქვედა მხარეს მოკლე ბუსუსები აქვს. ყვავილები ზარის ფორმისაა, ფერად ყვითელი ან თეთრი, ზოგჯერ მოვარდისფრო. ნაყოფი ხუთბუდიანი კოლოფია. გავრცელებულია სუბალპურ და ალპურ ზონებში. გვხვდება ხშირ დეკიანებად ქვეყნის სახით.</p> <p>ფოთოლი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. საერთოდ, როდოდენდრონები შხამიანი მცენარეებია, მათი ფოთლების ნაყენი სამკურნალო თვისებებისაა, ოღონდ მათი მიღება მხოლოდ მცირე დოზებით შეიძლება. დეკა შარდმდენია და წნევის დაწევისათვის გამოიყენება.</p>

21.	<b>დვალურა</b>	Polygonum bistorta L.	აჭ. დვალური. მსხ. უზუნჩიჩაგ: სვნ. ქუჩუჩილ; საბა. ანჯუბარი.	 A photograph showing a close-up of the flowers of Polygonum bistorta L. The flowers are small, pinkish-purple, and arranged in a terminal spike inflorescence. The leaves are green and lanceolate.	<p>დვალურა მრავაწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახისა. აქვს მსხვილი, გველისებურად დაკლაკნილი ფესურა. ფესურიდან გამოდის მრავალი წვრილი ფესვი. ღერო რამდენიმეა, სწორმდგომი, შიშველი, დაუტოტავი. ღეროს სიმაღლე 30-80სმ-ია. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებურია ან ფართო-ლანცეტისებური, ფუძესთან მომრგვალებულია ან ნისკარტისებური. ღეროს ფოთლები უფრო წვრილია, მორიგეობითი. ფოთლები ზემოდან მუქი-მწვანეა, ქვემოდან უფრო ღიაა, ნაცრისფერ-მწვანე. ყვავილები წვრილია, ხშირად ვარდისფერი; შეკრებილია ყლორტის ბოლოებზე ოვალურ ან ცილინდრულ თავთავისებურ ყვავილედად. ნაყოფი სამკუთხა მუქი-მურა კაკლუჭა. ყვავილობს მაის-ივლისში. ნაყოფი მწიფდება ივნის-ივლისში. ფესურა შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბინის, გალის და ელაგის მჟავებს, კატებინს, ოქსიმეთილანტრაქინებს, სახამებელს. ხალხური მედიცინა დავალურას ფესურას იყენებს შინაგანად კუჭის წყლულოვანი დაავადებების, ფალარათის, ნაღვლ-კენჭოვანი დაავადებების დროს. გამოიყენებენ გარეგანა-დაც, სისხლდენის დროს, სავლებად ხმარობენ კბილის ტკივილის დროს. მისი აბაზანები ეფექტურია ჭრილობებისა და წყლულების მოსაბანად.</p> <p>დვალურას ფესურას მონახარში გამოიყენება როგორც შე მკვრელი საშუალება კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკული დაავადებების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს.</p>
-----	----------------	--------------------------	---	--	---

22.	<b>დიდბაია, ჭყანტა</b>	<i>Caltha polypetala</i> Hochst.	მხვ. ბაყაყის ყვავილი.	 <p>Foto © M Aspaker 050603</p>	<p>მცენარეთა გვარი ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. აქვს დიდი, კაშკაშა ყვითელი ყვავილები, ფოთლურა ნაყოფი. მისი 20-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: <i>Caltha palustris</i> და <i>Caltha palpetala</i>, რომლებიც იზრდებიან დაჭაობებულ ან ტენიან სარტყელში, იშვიათად — უფრო დაბლაც. <i>Caltha palpetala</i>-ს არეალი კავკასია-წინა აზიით შემოიფარგლება, ხოლო <i>Caltha palustris</i> — უფრო ფართოდაა გავრცელებული — მთელ პოლარქტიკულ სამყაროს მოიცავს. აგროვებენ მცენარის ზედა ნაწილს. მას ჭრიან ყვავილობის დროს. შეიცავს ანემონინს, პროტეანტმონინს, ქოლინს, კაროტინს, კვერცეტინს, ვიტამინ C-ს, ალკალოიდებს, გლიკოზიდებს, ეთერულ ზეთს. არეგულირებს ნივთიერებთა ცვლას, აქვს ციტ-ცხელებისა და სურავნდის საწინააღმდეგო თვისებები. ხმარობენ დიათეზის, სისხლნაკლულობის, გაციების შემთხვევაში. იყენებენ ნაყენის ან ნახარშის სახით.</p>
23.	<b>დიდგულა</b>	<i>Sambucus nigra</i> L.	<p>ქრთ., კხ., აჭ. დუდგულა; ზმ. იმ. ხეკრო, გულყრუ. გულყურო; ქვ. იმ. ანწლი; ლჩხ. ხეღრუე; რჭ., ლჩხ. ხეყრუა; ოკრ., ქვ. რჭ. ხრეკოლა, ხრიკოლა; გურ. ხელთოფა, თხიფსელა; აჭ. სართოფელა; ერ. ყრუა ხე; ჩ. თოფჩი; ჭნ. კამპაა, კამპარა; მგრ. თახვანტია, თახვანტიაშ ჯა, ხინთობალაში ჯა,</p>		<p>დიდგულა ცხრატყავასებრთა (Caprifoliaceae) ოჯახის მსხვილი ბუჩქია კენტფრთიანი ფოთლებით, წვრილი, სურნელოვანი, მოყვითალო-მოთეთრო ყვავილებით. ცალკეული ყვავილები მჯდომარეა ან სხედან მოკლე ყუნწებზე. ჯამი ხუთკბილიანია, ნაყოფი შავია, კურკიანი. დიდგულა გვხვდება ფოთლოვანი ტყეების ქვეტყებში, ბუჩქნარის ბარდებში, ხშირად ნახავთ ბალებსა და პარკებში. ნედლეულად ძირითადად იყენებენ ყვავილებს. აგროვებენ მთელ ყვავილედს მათი სრული გაშლის შემდეგ. აშრობენ ჩრდილში, შემდეგ კი, ხეხავენ ცხრილზე ყვავილის ყუნწის მოსაცილებლად. ნედლეულის შეგროვებისას შესაძლებელია შეყვეს მყრალი დიდგულა, რომლის მტვრიანები წითელი ფერისაა, აგრეთვე წითელი დიდგულა. წითელი დიდგულას ყვავილები უფრო პატარა ზომისაა, მომწვანო; ბუსუსიანი ყვავილის ყუნწით. ცნობილია,</p>

		ინჭირაია, ჩვაჩვაბე, ჩიჩვაბი, გეყრუაი, თვეფილა, თოფრა; სვნ. გეყრუი, თვეფილა, თოფრა; წუწუნავა გოგნარი			რომ ყვავილი შეიცავს ოფლმდენ გლიკოზიდს, ფლავონურ გლიკოზიდ რუტინს, ეთერზეთის კვალს. გლიკოზიდი სამბუცინიგრინი აღმოჩენილია მხოლოდ ახალ ყვავილში, გაშრობის შემდეგ ის ორთქლდება. დიდგულას პრეპარატებს იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას გაცივების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქიოსტაზების დროს. ასევე იყენებენ გრიპისა და ანგინის საწინააღმდეგოდაც. მისი პრეპარატები გამოიყენება აგრეთვე დვიძლის ზოგიერთი დაავადების, ხოლო როგორც შარდმდენი საშუალება - თირკმლის დაავადების დროს, თუ თან ახლავს შეშუბება. ხალხურ მედიცინაში დიდგულას ყვავილს იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას. ყვავილი შედის აგრეთვე ოფლმდენი ჩაის შემადგენლობაში. ყვავილის ნახარშს ივლებენ პირის ღრუსა და ცხვირ-ხახაში ანთებითი პროცესების, რინიტისა და ანგინის დროს. იყენებენ საფენების სახით დამწვრობის, ჭრილობებისა და ძირმაგარების დროს, მიოზიტების, ნევრალგიისა და სახსრების ტკივილებისას. ბუასილის დროს რეკომენდებულია ყვავილის ნაყენის ან ნახარშის აბაზანის მიღება. დიდგულას ნაყოფს ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც სუსტ საფალარათო, ხოლო ქერქის ნახარშს - როგორც ოფლმდენ და შარდმდენ საშუალებას.
24.	დიდი კამა	<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	კხ. ვირგლა-კამა; ქზყ. ცერეცო; დსვლ. კამა.		საქართველოში ფართოდ კულტივირებული ერთ ან ორწლიანი მცენარეა. მიეკუთვნება ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახს. უფრო გავრცელებულია <i>Anethum graveolens</i> . ფოთლები ღრმადაა დანაკვეთილი. სურნელი მკვეთრი. ყვავილები რთული ქოლგაა. დიდი კამას ნაყოფები გამოიყენება არომატული წყლის, არომატული სპირტის, სიროფების და სამკურნალო ჩაის დასამზადებლად.

25.	<b>დიდი ხვართქლა, დედოფლის კაბა</b>	Calistegia inflata	ქრთ. დედოფლის კაბა; ერწო ფათალა; მთ. ზარავანდი; კხ., იმ., გურ. გრამაფონა; იმ. ხვიარა; ჭნ. მშარდი; მგრ. გუგული, კუკუ; სვნ. ნახარწელ, ნაწელწელ.		გრძელღეროვანი ხვართქლასებრთა (Convulvulaceae) ოჯახის ხვიარა მცენარე. ფოთლები მოგრძო- კვერცხისებურია ან სამკუთხა. აქვს მოზრდილი, წითელი ან ვარდისფერი ყვავილები. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. შეიცავს ფისებს და მთრიმლავ ნივთიერებებს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ დამარბილებელ საშუალებად მუცლის ტკივილისა და მეტეორიზმის დროს, ჭრილობების შესახორცებლად,
26.	<b>დიდყვავილა მაგნოლია</b>	Magnolia grandiflora L.			მარადმწვანე, მაგნოლიასებრთა (Magnoliaceae) ოჯახის ხშირფოთლიანი, პირამიდისებური ხე. აქვს ტყავისებური ფოთლები, დიდი, თეთრი და არომატული ყვავილები. ნაყოფი ელიპსური მრავალფოთოლაა. თესლები შავი და მსხვილია. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. თესლები მწიფდება ნოემბერში. სამკურნალოდ იყენებენ ფოთლებს, რომლებიც შეიცავს ეთერულ ზეთს, ეთერს, ფენოლს, კარბონულ ნართებს, ცინეოლს, ციტრალს, ტერპენებს. თესლებში არის ეთერული ზეთი. მისი ფოთლების ნაყენი ავლენს ჰოპოტერზიურ თვისებებს და იყენებენ ჰიპერტონიული დაავადებების ადრეულ სტადიაზე.
27.	<b>დიდჯამა ფურისულა</b>	Primula macmocalyx Bge.	ქრთ. ნიფხვისტოტა, ფანდურიკი; ქვ. ქრთ. გოგრის ყვავილი; სმბ. ფურისელა;		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ფურისულა- სებრთა (Primulaceae) ოჯახისა მსხვილი ფესვით და 10 ან მეტი ყვავილედით. ფოთლები სიგრძეში აღწევს 40 სმ- დე. ყვავილები ღია ყვითელია. ნაყოფი კოლოფია.

			წალკა ამაღლების ყვავილი; თშ. გუგუტას მუხლა; ფშ. ლუსუმა; მსხ. უზუნდარა.		მცენარე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ფოთლების ნაყენი და ნახარში იხმარება ნევრალგიაში, ნიკრისის ქარების, რევმატიზმის, უძილობის, ხველის, ავიტამინოზების სამკურნალოდ.
28.	<b>დილხამი</b>	Campanula glomerata L.	მთ. დილხამა; აჭ. ჭარბადელი; საბა. ჭარბატელა.		15-80 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე Callitrichaceae-ის ოჯახისა. აქვს მოწითალო ღერო. ღერო და ფოთლები თითქმის შიშველია, თუცა აქვთ ოდნავ შესამჩნევი რბილი ბეწვი. ფოთლი მოგრძო-კვერცხისებურია. ყვავილები მჭიდროდაა შეკრული. წვერო იისფერია. ყვავის ივნის-სექტემბერში. ნაყოფი კოლოფია. აქვს ანთების საწინააღმდეგო, გამაყუჩებელი და დამამშვიდებელი თვისებები. იყენებენ ციებ-ცხელების, თავისი ტკივილების დროს. გარეგანად იყენებენ სავლებად პირის ღრუში, ყელში - ხმის ჩახლებისას. ბავშვების საბანაოდ იხმარება ნახარში. იყენებენ ცოფიანი ცხოველების ნაკბენის სამკურნალოდ.
29.	<b>დიყი</b>	Heracleum L.	ქრთ. ხელახაში; ქვ. ქრთ. დიყინა; ჯვე., მსხ., სმბ. თელა- ხარში; გურ., აჭ. თილახარჩილა; ჩილახარჩილა; იმ. დიყა; რჭ. მდიყი; აჭ. დილყა; ლჩხ.  ქოლგანა, ჩინჩვლა; ინგ. დეყ, დიყვი; ჭნ. მთუთი ბული; მგრ. დიჭე, ფალახარჯი, ღოღე, ღოღელია; სვნ. ლახვჭშ ჩიჩვლა, ჩიჩვლა.		მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. მაღალი ორ- და მრავალწლოვანი ბალახებია. აქვს დიდი ზომის დანაკვთული და მთლიანი ფოთლები, თეთრი, მომწვანო-ყვითელი ან ვარდისფერი რთულ ქოლგა ყვავილედებად შეკრებილი ყვავილები. 70-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ძირითადად აღმოსაველთი ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში; მხოლოდ 1 სახეობა ჩრდილოეთ ამერიკაში. კავკასიაში 25 სახეობაა; საქართველოში — 21, რომელთაგან 6 საქართველოს ენდემია, 8 — კავკასიის. იზრდება უმეტესად ტყისა და სუბალპურ სარტყელში. საქართველოს სუბალპურ მაღალბალახეულში ფართოდაა გავრცელებული სოსნოვსკის დიყი (Heracleum sosnowskyi) და მანტეგაცის დიყი (Heracleum mantegazzianum). დიყი სასილოსე და დეკორატიული მცენარეა. მის ნორჩ ყლორტებს მთის მოსახლეობა საჭმელად იყენებს. ფოთლები და ნაყოფი მდიდარია ეთერზეთებით. ზოგიერთი სახეობა

					შეხებისას კანს აღიზიანებს და წყლულს აჩენს. დიყი ავლენს შემკვრელ, ნაღველმდენ, დამარბილებელ, სპაზმოლიტურ, ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამა-ყუჩებელ, ანტიმიკრობულ, ამოსახველებელ, ანტისეპტი-კურ თვისებებს. ხალხურ მედიცინაში იყნებენ დამამშვიდებლად. მადის აღმძვრელად, კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებად; კანის დაავადებისას – წყლულების მოსაბანად.
30.	<b>დრიადი, კავბის ბალახი</b>	Dryas caucasica Juz.			კავბის ბალახი. მარადმწვანე გართხმული ბუჩქოვანი მცენარეების გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. 10-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია არქტიკულ და სუბარქტიკულ რაიონებში, ჩრდილო ზომიერი სარტყლის მაღალმთიანეთში ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში ერთადერთი სახეობაა — კავკასიის ენდემი Dryas caucasica. კავბის ბალახს იყენებენ „ალპური გორაკების“ მოსაწყობად.
31.	<b>დროზერა, ცვრიანა</b>	Drosera L.			ცვრიანა, მრავალწლოვანი (იშვიათად ერთწლოვანი) მწერიჭამია მცენარეების გვარი დროზერასებრთა (Proseraleae) ოჯახისა. მისი ფესვთანა, როზეტად შეკრებილი ფოთლები მოფენილია ჯირკვლოვანი ბუსუსებით, მაგრამ გამოყოფილი წებოვანი წვენის საშუალებით მცენარე იჭერს და ინელებს მწერს. დროზერას 90-მდე სახეობა, არქტიკის გარდა, ყველგანაა გავრცელებული; სახეობათა უმრავლესობა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაშია. საქართველოშიც გვხვდება 4 სახეობა. დროზერა იზრდება ტორფის ჭაობებში. ცვრიანა უძველესი სამკურნალო საშუალებაა. იყენებენ მის მიწისზედა ნაწილს, რომელიც შეიცავს ბევრ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას: პლიუმბაგინს, დროზერონს, ფლავონოიდებს, ასკორბინის, ბენზონის,

					ლიმონის, ვაშლის და სხვა მჟავებს. ცვრიანას პეპარატებს აქვთ მკვეთრად გამოხატული ამოსახველებელი, ბაქტეროციდული და სპაზმოლიტური თვისებები. იყენებენ სასუნთქი ორგანოების, ხველის, გაციებების, ფარინგიტის ტუბერკულოზის, ბრონქიტების შემთხვევაში; ჰომეოპატიაში.
32.	დუგუმი	Ranunculus muricatus L.	ლჩხ. ქარწამალი.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა იზრდება 20—50 სმ. ქვედა ფოთლები გრძელია 5—10 სმ, თითისებური; ზედა ფოთლები-მჯდომი, სამნაწილა, ხაზოვანი, კბილანა; ყვავილები ნათელი ყვითელი; მაყოფი კაკალი. თაფლოვანია. გამოიყენება დამწვრობების, ჭრილობების, ფურუნკულების, თავის ტკივილების, ტუბერკულოზის სამკურნალოდ. ხალხური მედიცინა, როგორც ლეჩხუმური სახელწოდება გვიჩვენებს, იყენებს ქარების სამკურნალოდ.
33.	დურიო	Durio zibethinus Murr.			დიდი ზომის (45 მ-დე სიმაღლის) მარადმწვანე ხე ბომბაქსისებრთა (ბაობაბისებრთა) ოჯახისა. მისი ორსქესიანი ყვავილები შეკრებილია ფარისებრ ყვავილედად. ნაყოფი 3 კგ-მდე იწონის და დაფარულია მსხვილი, მაგარი ქაცვებით. ველურად იზრდება კალმანტანისა და სუმატრის ტყეებში, მალაკის ნახევარ-კუნძულზე. აშენებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთის სამხრეთ ნაწილში. ნაყოფის რბილობს ნივრის სუნი აქვს, ხმარობენ საჭმელად.

34.	<b>დურდენი</b>	Anabasis aphylla L.			<p>20-80 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახისა. აქვს მსხვილი და მძლავრი ფესვი, შიშველი ტოტები, ფოთლები არა აქვს. სამაგიეროდ აქვს ბუსუსები. ყვავილები წვრილია. ნაყოფი წვნიანია. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. ძირითადად იყენებენ ალკალოიდების მისაღებად. მთავარი პროდუქტია ალკალოიდი ანაბაზინი, რომელიც კარგად იხსნება წყალში. გარდა ამისა შეიცავს აფილინს, აფილიდინს, ლუპინინს, ოქსიაფილინს, ოქსიაფილინდინს, ორგანულ მჟავებს, კალიუმს, ნატრიუმს, იშვიათ ნივთიერებებს. გარკვეული დოზებით იგი აღიზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აძლიერებს სუნთქვას, ამაღლებს არტერიულ წნევას. მისგან იღებენ ნიკოტინის მჟავას.</p>
-----	----------------	---------------------	--	---	--


1.	ეგვიპტური კელაპტარა	<i>Pheliponche aegyptiaca</i> Pers.			ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე 15-50 სმ სიმაღლისა; Orobanchaceae-ს ოჯახის – მოკლე, შიშველი, განტოტვილი ღეროთი. ყვავილედი ცილინდრული, ისფერი; ყვავილობს ივნის-აგვისტოში. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, ყირიმში, კავკასიაში, შუა აზიაში. მავნებელია მცენარეებისა. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი. მის ნახარშს იღებენ ტკივილგამაყუჩებლად სიფილისით დაავადებისას. ეწევიან მის ფხვნილსაც (ამავე მიზნით). ნაყენი გამოიყენება შემკვრელად.
2.	ეგვიპტური ლოტოსი	<i>Nymphaea lotus</i> L.			წყლისა და ხმელეთის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლოტოსისებრთა ოჯახისა (რომელსაც ზოგჯერ დუმფარასებრთა ოჯახთან აერთიანებდნენ). აქვს გრძელყუნწიანი, წყალზე მოტივტივე და წყლის ზემოთ ამოშვერილი დიდი, ფარისებრი ფოთლები და ეული ყვითელი ან ვარდისფერი ყვავილები. ლოტოსის 2 სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელსა და ტროპიკებში. ვარდისფერყვავილებიანი ინდური ლოტოსი ( <i>Nelumbo nucifera</i> ) გავრცელებულია აკსტარლიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მალაის არქიპელაგზე, ფილიპინების კუნძულებზე, იაპონიის სამხრეთში, შრი-ლანკის კუნძულებზე, ინდოჩინეთისა და ინდოსტანის ნახევარკუნძულებზე, ჩინეთსა და ჩრდილოეთ ირანში, ამიერკავკასიასა (მტკვრის ქვედა დინებაში), ვოლგის დელტაში, ინდოეთსა და ჩინეთში ლოტოსი ძველთაგანვე საღვთო მცენარედ არის მიჩნეული. ყვითელი ლოტოსი ( <i>Nelumbo lutea</i> ) იზრდება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკის ატლანტიკურ სანაპიროებსა და ჰავაის კუნძულებზე. ლოტოსის ყველა

					ნაწილში C ვიტამინი და კაუჩუკია, ყუნწებსა და და ღივებში — შხამიანი ნივთიერება ნელუმბინი. თესლსა და ფესურებს საჭმელად და საქონლის საკვებად იყენებენ. ე.წ. ეგვიპტური ლოტოსი <i>Nymphaea lotos</i> დუმფარას გვარს განეკუთვნება. საკრალური დანიშნულების გარდა ლოტოსი გამოიყენება მედიცინაშიც. ცნობილია, რომ ტიბეტელები მას იყენებენ ლიმფური სისტემის სამკურნალოდ. მისი აქტიური ნივთიერებებია ალკალოიდი აპორფინი, ბიოფლავონოიდები, ფილოსტერები და რთული ეთერული ზეთი. ტრადიციულად მის გამომშრალ ფოთლებს ჭამენ ან იღებენ ნაყენის სახით. ხშირად ეწევიან.
3.	ჯვენოლის რეპანი	<i>Ocimum gratissimum L.</i>			ერთწლოვანი ნახევრადბუჩქი. ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახიდან. აქვს სწორი ღერო, ხისებრი ფესვი, მოკლეჯამიანი ფოთლები, ლანცეტური, კბილანა ყვავილები შეკრულია ტოტების ბოლოებში; ნაყოფი მუქი ყავისფერი კავალია. შეიცავს ეთერულ ზეთს, ფენოლს, ევანგელის ეთერებს, მირცენს, მრავალციკლურ სესკვიტერპენებს. გამოიყენება სტომატოლოგიაში. ხალხური მედიცინა იყენებს ანთების საწინააღმდეგოდ, ღებინების საწინააღმდეგოდ, ეპილეფსიისას, მენსტრუაციის დაგვიანებისას. გარეგანად ხმარობენ აბაზანებში, რევმატიზმის დროს. ფხვნილს ყნოსავენ თავის ტკივილის შესაჩერებლად.
4.	ჯვალიძტი	<i>Eucalyptus L.</i>			მცენარის გვარი მირტისებრთა (Mirtaceae) ოჯახისა. აერთიანებს 600-ზე მეტ სახეობას. სწრაფმზარდი ხე ან ბუჩქია, მარადმწვანე, სინათლის მოყვარული, უხვად ყვავილობს, ქმნის მეჩხერ კორომს. ღერო სწორი ან მრუდეა, გლუვი ან დაღარული. ფოთოლი უმეტესად მარტივია, ხეშეში; ზოგიერთი სახეობისა დაფარულია ცვილისებრი ფიფქით; ყვავილი ორსქესიანია, თეთრი, იშვიათად ყვითელი ან მუქი წითელი. ნაყოფი კოლოფია, თესლი მრავალწახნაგვანი და წვრილი, ვარჯი პირამიდული, კვერცხისებრი, სფეროსებრი ან მტირალა ფორმისაა. კარგად ხარობს სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე, ვერ ეგუება

					დამლაშებულ ნიადაგსა და მშრალ ქვიშას. მრავლდება თესლით და ამონაყარით. ბუნებრივ პირობებში ევკალიპტი გავრცელებულია ავსტრალიაში, ტასმანიასა და ახალი გვინეის კუნძულებზე. გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროს სუბტრიპიკულ ზონაში. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში ევკალიპტის, როგორც დეკორატიული მცენარის, ასამდე სახეობაა კულტივირებული. ევკალიპტის ფოთლიდან მიღებულ ეთერზეთს იყენებენ მედიცინაში. ევკალიპტის ფოთოლს და მისგან მიღებული ევკალიპტის ზეთს გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. განსაკუთრებით ეფექტურია მისი გამოყენება სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების დროს, გაცივებისას. კარგ შედეგს იძლევა სხვა ეთერზეთოვან სამკურნალო მცენარეებთან კომბინაციაში. ხმარობენ ნაყენს, ნახარშს, ეთერზეთს.
5.	ევკომია, გუდაპერჩის ხე	<i>Eucommia ulmoides</i> Oliv.			მცენარის გვარი ევკომიასებრთა (Eucomiaceae) ოჯახისა. ერთადერთი სახეობაა თელისფოთოლა ევკომია ( <i>Eucommia ulmoides</i> ). 15-20 მ სიმაღლის ორსახლიანი ხეა. მოგრძო ელიფსური ფოთლები ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული. ყვავილი წვრილია, ნაყოფი ერთბუდიანი. ევკომია ველურად იზრდება დასავლეთ და ცენტრალურ ჩინეთის მთან რაიონებში. იგი სწრაფმზარდი, სინათლისა და სითბოს მოყვარული, შედარებით ყინვაგამძლე მცენარეა. ევკომიის ნარგაობა არის საქართველოში, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთსა და კრასნოდარის მხარეში. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს გუტას (საიდანაც გუტაპერჩს ღებულობენ); იყენებენ მედიცინაში. ევკომიის ბუჩქის ქერქიდან ამზადებენ წამლებს ჰიპერტონიული დაავადების, ტყირბის, ნიკრისის ქარის, თირკმლებისა და ღვიძლის სამკურნალოდ.

6.	ევროპული აბრეშუმა	<i>Cuscuta europaea</i> L.			აბრეშუმა ერთწლოვანი სარეველა მცენარეების გვარი აბრეშუმისებრთა ოჯახისა. ფესვი და ნამდვილი ფოთოლი აბრეშუმას არა აქვს. მცენარეს ეკვრის ხვიარა ღეროზე განლაგებული მისაწოვრებით და იკვებება მის ხარჯზე. ყვავილი წვრილი, ვარდისფერი ან თეთრი აქვს. თესლი გაღვივების უნარს ინარჩუნებს 3-10 წლამდე. აბრეშუმა გავრცელებულია თითქმის მთელ დედამიწაზე. აღსანიშნავია საქართველოში ფართოდ გავრცელებული ევროპული აბრეშუმა ( <i>Cuscuta europaea</i> ), ამერიკული აბრეშუმა ( <i>Cuscuta arvensis</i> ), სამყურას აბრეშუმა ( <i>Cuscuta epithymum</i> ), წიწაკის აბრეშუმა ( <i>Cuscuta obtusiflora</i> ). მაგნე და საკარანტინო მცენარეა. აზიანებს სამყურას, იონჯას, სელს, წიწაკს, თამბაქოს, კარტოფილს, ჭარხალს, ცერცველას, ხახვს და სხვა. გვხვდება სარეველა მცენარეებზეც. აბრეშუმას ზოგიერთი სახეობა შხამიანია და საკვებში მოხვედრისას შეიძლება მოწამლოს ცხოველი. ევროპული აბრეშუმას ( <i>Cuscuta europaea</i> ) ქიმიური შედგენილობა კარგად არ არის შესწავლილი. ცნობილია, რომ ის შეიცავს უფრობ გლიკოზიდს. მას აქვს შარდმდები, გამაყუჩებელი და დამარბილებელი თვისებები. იყენებენ გაციების, კუჭის, ღვიძლის დაავადებების, თავის ტკივილის, კბილის ტკივილის საწინააღმდეგოდ, კანზე გამონაყარის სამკურნალოდ.
7.	ევროპული მაჟალო	<i>Malus sylvestris</i> Mill.			3-12 მ სიმაღლის ხე. მიეკუთვნება ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახს. აქვს მიმდევრობითი ძარღვიანი ფოთლები. 4-5 სმ დიამეტრის ყვავილები; ისხამს მომწვანო-მოყვითალო ვაშლს. შეიცავს ფრუქტოზას, გლუკოზას, საქაროზას, ორგანულ მჟავებს, უჯრედისს, პექტინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერულ ზეთს, ვიტამინებს, კაროტინს, ნაცრიუმს, კალიუმს, კალციუმს, ფიტონციდებს. პექტინებს ორგანიზმიდან გამოჰყავს შხამიანი ნივთიერებები. იგი ითვლება კუჭაშლილობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. ხელს უშლის ორგანიზმში შარდმჟავას დაგროვებას, ეწინააღმდეგება აციდოზის განვითარებას, კარგი საშუალებაა ნიკრისის ქარისა და კენჭოვანი

					დაავადების სამკურნალოდ. კარგად მოქმედებს ენტეროკოლიტით დაავადებულებზე. რეკომენდებულია ათეროსკლეროზითა და ცხიმოვნობით დაავადებულთათვის, გასტრიტის, წყლულების, კოლიტების, ანემიის და რიგი სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მის ძმარს იყენებენ ჭრილობების დასამუშავებლადაც.
8.	ევროპული პანტა	<i>Pyrus communis L.</i>			მსხლის (Pyrus) გვარის, ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის ველური სახეობა, რომელიც, ჩვეულებრივ, იზრდება მეზოფილურ ტყეები, მთის შუა, იშვიათად ზემო სარტყლამდე. აქვს მომრგვალო ან კვერცხისებრი ფოთოლი, რომლის სიგრძე ოდნავ აღემატება სიგანეს. კავკასიაში 4 სახეობაა გავრცელებული, საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: კავკასიური პანტა ( <i>Pyrus caucasica</i> ) კავკასიის ფლორის ენდემია, მაგრამ ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული; სწრაფმზარდი ეკლიანი ხეა, მრგვალი ან შებრტყელებულსფეროსებრი ნაყოფი აქვს; იჭმება, ხდიან არაას, ამზადებენ ძმარს. მერქანი მაღალი ღირსებისაა, იყენებენ მსხლის კულტურის ჯიშების საძირედ. ბალანსას პანტა ( <i>Pyrus balansae</i> ) უკალოა, დამახასიათებელია კოლხეთისათვის. ევროპული პანტა 30 მეტრამდე სიმაღლის ხე, იშვიათად ბუჩქი. დაფარულია ხშირი ხავსით. აქვს მაგარი მერქანი, დიდი ყვავილები, ნაყოფი წვრილი მსხალი, სხვადასხვა ფორმისა. ნაყოფი შეიცავს შაქრებს, ორგანულ მაჟავებს, პექტინურ და მთრიმლავ ნივთიერებებს, უჯრედისს, ცილებს, ფიტონციდებს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს, ცხიმოვან ზეთს.... სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ნაყოფი, მშრალი ან ნედლი. ახასიათებს შარდმდენი, სიცხისდამწევი, გამაყუჩებელი, ანტისეპტიკური ქმედებები. ხალხურ მედიცინაში მშრალ მსხალი ან ნახარშს იყენებენ ხველის შესანელებლად ტუბერკულოზის დროს; სასუნთქი გზების სამკურნალოდ; კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. მსხალი აშუშებს ჭრილობებს, თრიმლავს კუჭის კედლებს, ამშვიდებს ნაღველს, კურნავს სოკოსაგან მოწამვლას.

9.	ევროპული ყოჩივარდა	<i>Cyclamen europaeum L.</i>			<p>ევროპული ყოჩივარდა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ფურისულასებრთა (Primulaceae) ოჯახიდან. მსხვილი ყავისფერი გორგლებით. გრძელყუნწიანი ფოთლები პირდაპირ ძირებიდან ამოდის. ყვავილები ერთეულია, ღია იისფერ-ძოწისფერი. ხარობს მთიან ქვარნალ ადგილებში. სამკურნალოდ გამოიყენება ძირები. ისინი შეიცავს შხამიან საპონინს- ციკლამინს, რომელიც იშლება შაქრად, ამორფულ საპონეტინად და ციკლამირეტინად. მის ნაყენს იყენებენ ქალური დაავადებების, ნევრალგიების, თავის ტკივილის, ღვიძლის, მეტეორიზმის, ნაწლავების წყლულების, გაციების, ფრონტიტების, ჰაიმორიტის, რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ.</p>
10.	ეკალდიჭა	<i>Smilax excelsa L.</i>	<p>ქრთ. პრუწუნა; კხ. კანკრა; ქრთ., კხ. ღიჭი; ფშ. ღიჭა; იძ., რჭ., ლჩხ. ეკალა, ბურწუმელა, კურწუმელა, ყურწუმელა, კინკარუეა, შაშვიპურა; გურ. ძიგურა, კურკანტელა; საბა. ბრწამლი, ბურწუმელი; ჭნ. დაძი, პურწუმოლი; მგრ. ძაგირი, კალია, კალიე, კალიეში ძაგირი, კაკილარი, კორჩხელი.</p>		<p>ლიანაა. აქვს გრძელი და ეკლიანი ღერო. <i>Smilacaceae</i>-ს ოჯახიდან. ღეროზე გამოსულია კვერცხისებური ფოთლები. ყოველი ფოთლის ძირას კარგად ჩანს ორი ულვაში. ამ ულვაშების სამუალებით ის ეჭიდება ქვებსა და ხეებს. მისი ერთ-ერთი სახეობაა <i>Smilax officinalis</i>, რომელიც შეიცავს საპონინებს, ფიტოსტეროიდებს, გლიკოზიდებსა და სხვ. მისი მოქმედება განისაზღვრება დეტოქსიკურობაში და შარდმდენობაში. გამოიყენება ფსორიაზის, არტრიტების, ართროზების, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, მეტეორიზმის სამკურნალოდ.</p>

11.	კალცოცხი	Centaurea solstitialis L.			ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან. აქვს სწორი ღერო, დამუხტლული, განტოტვილი. ყვავილები ყვითელია, შეკრულია ცოცხებად. თესლი 2-2,5 მმ სიგრძისაა. გავრცელებულია უკრაინაში, ყირიმში, მოლდოვასა და კავკასიაში. სამკურნალოდ გამოიყენება ძირები და ყვავილები. შეიცავს არაბინოზას, საქაროზას, კაუცუს, მთრიმლავ ნივთიერებას, სპირტს, ეთერულ ზეთს, სეკვიტერპენოიდებს, ალკალოიდებს, ვიტამინებს, ფენოკარბონულ მჟავებს, ფლავონოიდებს. დადგენილა, რომ იგი დადებითად მოქმედებს სუნთქვაზე და სისხლის მიმოქცევაზე. აქვს ანტიბაქტერიული ქმედება. ნაყენს სვამენ ციების დროს.
12.	კლის ხე, ცრუაკაცია	Robinia pseudoacacia L.	ქრთ., კხ. აკაცია; რჭ., ლჩხ. ლობიოვეკალა, ლობიოს ხე; ინგ. ქათამი ეკალ; მგრ. აკაცი, ლაკაცი.		ფოთოლმცვივანი ხე პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. 25–30 მ სიმაღლის გაშლილვარჯიანი მცენარეა. ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში იზრდება მთის ქვედა სარტყელში. დასავლეთ საქართველოში გაველურებულია. ცრუაკაცია სწრაფმზარდი ხეა. ყვავილობს მაის-ივნისში. მაგარი და გამძლე მერქანი აქვს. ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, თესლი — ზეთს და ყავის სუროგატად იხმარება. სამკურნალოდ აგროვებენ ფოთლებს, ყვავილებს, ქერქს. ყვავილებში აღმოჩენილია გლიკოზიდი რობლენინი და ეთერული ზეთი; ფოთლებში-ფლავონოიდები და გლიკოზიდები; ქერქში – შხამიანი რობინინი, ტანინი, ცხიმოვანი ზეთი, ფიტოსტრინი, სტიგმასტერინი. აკაციის პრეპარატები გამოიყენება როგორც სპაზმოლიტური, შარდმდენი, სიცხის დამწევი, ჰიპერტონიული საშუალებები. თანამედროვე მედიცინა იყენებს ნაღველმდენად და ამოსახველებელ საშუალებად. აკაციის ყვავილები იხმარება შარდის ბუშტის, თირკმელკენჭოვანი, შარდკენჭოვანი. კუჭნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ. ხმარობენ ოსტეოქონდროზის, თრომბოფლებიტის, რადიკულიტის, მიოზიტის, რევმატიზმის, ნევრალგიების შემთხვევაში.

13.	ელიმუსი	Elymus caucasicus (C. Koch) Tzvel.			<p>მრავალწლოვანი მეჩხერბუზქოვანი მარცვლოვანი (Poaceae) მცენარეა კარგად შეფოთლილი ღეროებით, სიმაღლე 1მ-მდე. ყვავილები - ფხვიერი თავთავია. კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა აქვს, რომელიც ნიადაგში 1მ და მეტი სიღრმეში ჩადის. ღეროები ერთეულია, სწორმდგომი. ფოთლები მორიგეობითია, ბრტყელი. ნაყოფი თესლია.</p> <p>იგი გვალვაგმძლე და ზამთარგამძლეა, ფართოდაა გავრცელებული ჭალის მდელოებზე, მთის ფართობებზე, ქვიშიან და თიხნარ ნიადაგებზე. სამკურნალოდ იყენებენ ფესვებს, რომლების შეიცავს ფენოლურ ნაერთს ავენინს, ცხიმოვან ზეთს, ვაშლის მჟავას, ფრუქტოზას, ლორწოს, ვიტამინ C-ს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას, ალანინს.</p> <p>იყენებენ წყლისას, საშარდე გზების ანთებითი დაავადებების, ცისტიტის, ნეფრიტის შარდკენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. ხმარობენ ტკივიგამაყუჩებლად რევმატიზმის, არტრიტის, შარდკენჭოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს. არის ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი და ამოსახველებელი საშუალება. ხალხური მედიცინა იყენებს ოფლმდენ, მხედველობის გამაუმჯობესებელ საშუალებად ჰიპერტონიული დაავადებების, ავთვისებიანი სიმსივნისა და შაქრიანი დიაბეტის შეთხვევაში.</p>
14.	ელუსამელა	Carex pendula Huds.			<p>მრავალწლოვანი მაღალი მცენარე ისლისებრთა (Cyperaceae) ოჯახიდან. აქვს გადატკეცილი ფოთლები, 3-5 მმ სიფართისა. ყვავილები შედგება ორი-სამი თავთავისაგან. ნაყოფი კაპალია. ფოთლები და ფესვები შეიცავს ალკალოიდებს. მისი პრეპარატები აძლიერებენ სუნთქვას, აგდებენ ატრერიულ წნევას, ხსნიან სპაზმებს, აქვს ჰიპოტენზიური თვისებები, აფართოებენ სისხლძარღვებს. ელუსამელა ნატურალური სახით არ გამოიყენება.</p>

15.	<b>ქნდრო</b>	Rubia iberica Fisch. et C. Koch.	ხვს. ხევსურის ლილა.		<p>ენდრო მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ენდოროსებრთა (Rutaceae) ოჯახიდან. სუსტი, წვრილი, ბლაუჭა, მცოცავი ღეროებით, რომელთა სიგრძე რამდენიმე მეტრს აღწევს. მთავარი ფესვი საკმაოდ ძლიერი აქვს, სიღრმეში დატოტვილი, ფესვის ზედა ნაწილიდან იზრდება მხოხავი, მერქნისებრი მრავალთავა ფესურა, რომელზეც კვირტებია განლაგებული. ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, წაწვეტებული, ზომით ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულ ფოთოლზე თითო ძარღვია, რომელზეც, ისევე როგორც ფოთლის ფირფიტის კიდეებზე, ხრტილისებრი ბლაუჭა კბილებია. ღეროები და ფოთლები შებუსულია, განსაკუთრებით ქვედა მხრიდან. ყვავილედი – გაშლილი, რთული საგველაა, გრძელი ღეროებით. ყვავილები წვრილია, ყვითელი გვირგვინით, მწიფე ნაყოფი შავია, წვნიანი, კენკროვანი. მისი წვენი მუქ-ღვინისფერ ლაქებს ტოვებს. ენდრო ყვავილობს ივნისიდან – სექტემბრამდე, ნაყოფი მწიფდება ოქტომბერ-ნოემბერში.</p> <p>ენდრო გავრცელებულია როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთის ფერდობებზე. თითქმის ყველა სახის ნიადაგზე იზრდება. ხშირად გვხვდება ღობის ძირებში, ვენახებში, ბალებში.</p> <p>ნედლეულად ამზადებენ ენდროს ფესურასა და ფესვებს გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში, ან ვეგეტაციის ბოლოს, სექტემბრიდან – ყინვების დაწყებამდე. ენდროს ფესვები შეიცავს საღებავ ნივთიერებებს (ოქსიმეთილისა და ოქსიანტრაქინონებს). მათ შორის, რუბერიტრინის მჟავას, რუბიადინს და სხვა. გარდა ამისა, ნედლეული შეიცავს ორგანულ მჟავებს, პეტინებს, შაქარსა და სხვა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ენდროს ფესვებს იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად. მათი გამოყენებით იღებდნენ წითელი ფერის სხვადასხვა ტონებს. ენდროსშემცველი პრეპარატები შლიან ფოსფატურ და ოქსალატურ ქვებს თირკმელებსა და შარდის ბუშტები. აქვთ შარდმდენი და სპაზმოლიტური მოქმედება. აძლიერებენ</p>
-----	--------------	-------------------------------------	------------------------	---	--

					შარდსადენების მუსკულატურის პერისტალტიკას, რითაც ხელს უწყობენ ქვების გამოდევნას. ენდროს ფესვებისა და ფესურის ნაყენი შედის პრეპარატ ცისტენალის შემადგენლობაში, რომელსაც უნიშნავენ ავადმყოფებს კენჭოვანი დაავადების დროს. ასეთი ნაყენების გამოყენება არ შეიძლება კუჭის წყლულოვანი დაავადებისა და თირკმელების უკმარისობის დროს.
16.	ენდრონიკა	Galium			ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახების, ზოგჯერ ბუჩქბალახების გვარი ენდროსებრთა (Rutaceae) ოჯახისა. თეთრი, ყვითელი ან ვარდისფერი პატარა ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედებად. ნაყოფი ორთესლიანი კაკლუჭაა. ენდრონიკა ევრაზიული გვარია. აერთიანებს 400-მდე სახეობას, რომელთაგან საქართველოში გვხვდება 28. იზრდება მდელოებზე, ველობებზე, ტყეებში, წყალსატევების ნაპირებზე, ზოგიერთი – ( <i>Galium grusinum</i> ) მთებშიც. ბევრი სახეობა თაფლოვანია და სამკურნალო თვისებები აქვს, ზოგი საღებავ ნივთიერებებს შეიცავს. იყენებენ როგორც ჰომეოპატიურ საშუალებს - იმუნიტეტის აქტივაციისათვის, დეზინტოკსაციისათვის, ინფექციური პათოლოგიის მძიმე ფორმების შემთხვევაში, ფერმენტების ცვლის დარღვევისას, ბრონქიტის, ბრონქეალური ასთმის, ეფემის, ჰიპერტონიის, თირკმლების, კოლიტების, პარკინსონის დაავადების, დაფანტული სკლეროზის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

17.	ენოთერა	Oenothera biennis L.			ერთ ან ორწლიანი ბალახი 60— 90 სმ სიმაღლისა. აქვს სწორი დერო და უკუკვერცხისებრი ფოთლები; მოზრდილი და სურნელოვანი ყვავილები. ნაყოფი გრძელი კოლოფია. ყვავილობს ზაფხულში. ყვავილები იხსნება საღამოობით. აგროვებენ მთლიანად ბალახს. მის ნაყენს წვეთებად იყენებენ ფაღარათის დროს.
18.	ესპანური არტიშოკი	Cynara Scolymus (L.)			ველური, სითბოს მოყვარული ერთწლოვანი მცენარეა. რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან. იგი წარმოადგენს კოფეინური მჟავების, ფლავონოიდების, გლიკოზიდების, გლიკოლის და გლიცერინის მჟავების, შაქრების, ეთერზეთის, ცინარინის წყაროს; აქვს შარდმდენი თვისება, ამცირებს სისხლში ლიპიდების (ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების) შემადგენლობას.
19.	ესპანური ესპარცეტი, სულა	Onobrychis Hedysarum coronarium L.			ბალახოვანი და ეკალბუჩქოვანი მცენარის გვარი პარკო-სანთა (Fabaceae) ოჯახისა. აერთიანებს 80-მდე სახეობას. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში. ფესვი მთავარღერძიანია, ღერო სწორმდგომი ან გართხმული, 40-80 სმ სიმაღლისა. ფოთოლი რთული კენტფრთისებრია. მოწითალო-ვარდისფერი ყვავილები შეკრებილია მტევნებად. ნაყოფი ერთთესლიანი პარკია, ნაპირებზე დაკბილული ან სადა, პარკი არ იხსნება. ესპარცეტს თესავენ შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე უსაფროდ ან ხორბლისა და ქერის საფარქვეშ. მწვანე მასა შეიცავს პროტეინს, ცხიმს, უჯრედისს; მრავალი სახეობის ესპარცეტი თაფლოვნი მცენარეა. იგი სამკურნალო მცენარეთა პლანტაციებში

					შეიძლება სიდერატად იქნეს გამოყენებული.
20.	ესპარცეტი	Onobrychis Hill.	მსხ. ყორანგალი, ოლანგარი; რჭ. საბეგველა.		ბალახოვანი და ეკალბუჩქოვანი მცენარის გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. აერთიანებს 80-მდე სახეობას. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში. ფესვი მთავარღერძიანია, ღერო სწორმდგომი ან გართხმული, 40-80 სმ სიმაღლისა. ფოთოლი რთული კენტფრთისებრია. მოწითალოვარდისფერი ყვავილები შეკრებილია მტევნებად. ნაყოფი ერთთესლიანი ჰარკია, ნაპირებზე დაკბილული ან სადა, პარკი არ იხსნება. ესპარცეტს თესავენ შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე უსაფროდ ან ხორბლისა და ქერის საფარქვეშ. ფართოდ იყენებენ ხელოვნური ბალახთესვისათვის, როგორც წმინდა, ისევე სხვა მრავალწლოვან ბალახებიანი ნარევის სახით, განსაკუთრებით ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ ადგილებში. იყენებენ პირუტყვის საკვებად. მწვანე მასა შეიცავს პროტეინს, ცხიმს, 20 უჯრედისს; მრავალი სახეობის ესპარცეტი თაფლოვანი მცენარეა. სამკურნალოდ გამოიყენება <i>Onobrychis arenaria</i> (Kit.) Ser., რომლის წყალში ნაყენს იყენებენ მშობიარობის სისხლდენის შესაჩერებლად და სქესობრივი პოტენციის ასამაღლებლად.
21.	ეფედრა, ცხენისმუხლა	Ephedra L.	ქრთ. ჯორისკუდა; ჯვხ., მსხ. ცხენის- ძუა; ყ. ჯორისძუა.		ბუჩქოვანი მცენარე დანაწევრებული ყლორტებით ეფედრასებრთა (Ephedracea) ოჯახიდან. ყვავილი ცალსქესაა. ალკალოიდების – ეფედრინისა და ფსევდო-ეფედრინის მაღალი შემცველობის გამო ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში ასთმის, ციებ-ცხელების, გაციების სამკურნალოდ.

22.	ეშმაკის ქოში	Aconitum nasutum Fisch.	თშ. საყურბალახი.		მრავალწლოვანი მაღალი ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახიდან. თითისებური ფოთლებით, ლურჯი ყვავილებით. იზრდება სუბალპურ ადგილებში. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. შეიცავს ალკალოიდებს. ამის გამო იშვიათად გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში, თუმცა ნევრალგიური ტკივილებისა, ნიკრისის ქარის შემოტევისას, რევმატიზმისა და კბილის ტკივილისას მაინც მიიღება შინაგანად. მაღამო გამოიყენება სახსრების ტკივილისას.
23.	ეწრის გვიმრა	Pteridium tauricum (Presl). V. Krecz.	აჭ., გურ. ეწერი; იმ., რჭ., ლჩხ., გურ. გუმბარა; ჭნ. ლიმხონა; მგრ. გვიმარა, გუმარა; სვნ. ჩაჟვემ გვიმორ, ხოლა გვიმორ.		მრავალწლოვანი სპოროვანი, ფესურიანი მცენარე გვიმრისებრთა (Polypodiaceae) ოჯახისა. მისი სიმაღლე 2 მ-ს აღემატება. ფოთოლი ფრთისებრ დანაკვთული აქვს, მრავლდება ფესურითა და სპორებით. გავრცელებულია უმეტესად დასავლეთ საქართველოს ტყის ზონაში, ზღვის დონიდან 1800 მ-მდე. ჭარბტენიან ადგილებს ვერ ეგუება. ძნელად მოსასპობი სარეველაა, ასარევლიანებს პლანტაციებსა და ნათესებს. მის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა ნიადაგის ღრმად დამუშავება და ფესურების ამოკრეფა. იყენებენ ქიმიურ მეთოდსაც. ეწრის გვიმრის ფესვი – ჩირქოვანი მუწუკებისა და ეგზემური წყლულების სამკურნალოდ გამოიყენება.

1.	<b>ვაზი</b>	Vitis L.	დსვლ. ვენახი; ჭნ. მგრ. ბინეხი, ბენეხი; სვნ. ვააზ, ღვდზ.		<p>მცენარის გვარი ვაზისებრთა (Vitaceae) ოჯახისა. აერთიანებს 70-მდე სახეობას, რომლებიც უმთავრესად დედამიწის თბილი და ზომიერი ჰავის ქვეყნებშია გავრცელებული. ბუნებრივად მოზარდი ვაზი მხვიარაა, საყრდენს ულვაშებით ანუ პწკლით ემაგრება, აქვს ყავისფერი ქერქი, რომელიც ზოლ-ზოლად სცილდება. ვაზის ფესვი წიპწით (თესლით) გამრავლებისას მთავარლერძიანია, მთავარი ფესვი შემდეგ ივითარებს დამატებით ფესვებს. რქით გამრავლებისას მუხლის არეში მრავალი ფესვი წარმოიქმნება. ვაზი შეიძლება იყოს ბუჩქისებრი ანუ უშტამბო და შტამბიანი. შტამბზე განლაგებულია მრავალწლიანი ტოტები ანუ მხრები და ერთწლიანი რქები და ყლორტები. ვაზის რქაზე, ფოთლის ყუნწის იღლიაში, მოთავსებულია რთული აგებულების კვირტი, რომელიც ძირითადი და შემცვლელი კვირტებისაგან შედგება. მრავალწლიან ღეროზე ვითარდება მძინარე კვირტი. ყლორტზე წარმოიქმნება დამატებითი ყლორტი ანუ ნამხარი, რომელიც შედარებით სუსტად იზრდება. პწკალი ვაზის დასამაგრებელი საშუალებაა. იგი ყლორტზე, ფოთლის მოპირდაპირე მხარეს ვითარდება. ვაზის ფოთოლი მომრგვალო, ოვალური, გულისმაგვარი ან კვერცხისებრია; დაუნაკვთავია ან ნაკვთიანი, იშვიათად მრავალნაკვთიანია, ფოთლის ფირფიტისა და ყუნწის ამონაკვთები ღია ან დახურულია და მრავალი გარდამავალი ფორმა აქვს. ფირფიტის ნაპირებზე სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის კბილებია. ჯიშის მიხედვით შეიძლება ფოთოლი იყოს ბრტყელი, ღარისებრი, ძაბრისებრი, ქვემოთ ან ზემოთ ნაპირებშეკეცილი და სხვა. ფირფიტა შეუბუსავი ან შებუსულია, ხშირად სქელი, ქეჩისებრი ბუსუსით, ფერად ღია ან მუქი მწვანეა, მოწითალო ან მოყვითალო ელფერი და ლაქები აქვს. ყვავილი წვრილია შეკრებილი საგველა ყვავილედად, ორსქესიანი ან ფუნქციურად ცალსქესიანი. ვაზის ნაყოფი ორბუდიანი, წვნიანი, სხვადასხვა ფერის მარცვალია. წიპწა მარცვლის შუაშია (1-4 ცალი). ვაზი ყვავილობს მაის-ივნისში; ნაყოფი აგვისტო-ოქტომბერში მწიფდება. ცნობილია ვაზის ჯიშები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან</p>
----	-------------	----------	---	---	--

					ბოტანიკური, აგრონომიული და სამეურნეო ნიშან-თვისებებით. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის ყველა ნაწილი. ყურძენი შეიცავს დიდი რაოდენობით მიკროელემენტებსა და მინერალურ მარილებს – თუთიას, კალციუმს, რკინას, სპილენძს, მანგანუმს, მაგნიუმს, კალიუმს. ყურძენი სასარგებლოა ისეთი დაავადებებისას, როგორიცაა სხეულის გამოფიტვა, ანემია, ფილტვების ტუბერკულოზი, ბრონქიალური ასთმა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი პროცესები, ღვიძლისა და თირკმლების დაავადება. ყურძენი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, იწევს ოფლისა და შარდის გამოყოფას, არეგულირებს არტერიულ წნევას. ყურძენი ამრავლებს ერითროციტების რაოდენობას, არეგულირებს ურთიერთობას სისხლის უჯრედებს შორის და სისხლის მოძრაობას ძვლის ტვინში.
2.	ვაზისტანა	<i>Campsis radicans</i> (L.) Seem.			ორლებნიან მცენარეთა Bignoniaceae ოჯახი. ახლოსაა შავწამალასებრთა ოჯახთან. ხეები, ბუჩქები და ლიანებია, იშვიათად ბალახი. ორსქესიანი ყვავილები საგველასებრ ან ქოლგისებრ ყვავილედებად არის შეკრებილი. ნაყოფი კოლოფია. შეიცავს დაახლოებით 120 გვარსა და 800 სახეობას, რომელიც ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ ამერიკის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. საქართველოში ველური ფორმები არ გვხვდება. კულტივირებულია დიდი ზომის ხე კატალპა ( <i>Catalpa bignonioides</i> ), ხვიარა ბუჩქი ვაზისტანა ( <i>Campsis radicans</i> ), ზოგიერთი სახეობა იძლევა ძვირფას მერქანს — ე. წ. პალისანდრის ხეს. მდიდარია საკვები ნივთიერებებით.
3.	ვანილი	<i>Vanilla planifolia</i> Andr.			ეპიფიტურ მცენარეთა გვარი ჯადვარისებრთა (Orchidaceae) ოჯახისა. მცოცავი ლიანებია. აქვთ საკაერო მისაკიდი ფესვები. ცნობილია 100-მდე სახეობა, რომლებიც გავრცელებულია ორივე ნახევარსფერის ტროპიკებში. ზოგი სახეობის ნაყოფი შეიცავს სურნელოვან ნივთიერებებს (მაგ., ვანილინს) და იყენებენ პარფიუმერიასა და კვების მრეწველობაში. საკონდიტორ წარმოებაში ვანილის სახელწოდებით უფრო მეტად ცნობილია <i>Vanilla planifolia</i> -ს ნაყოფი. ამ მცენარეს ხორცოვანი ფოთლები და მომწვანო-მოთეთრო ყვავილები აქვს. მისი სამშობლოა მექსიკა. მოჰყავთ მრავალ ტროპიკულ ქვეყნებში.

					ვანილის მოუმწიფებელი და შემჭკნარი ნაყოფი ძვირფასი სუნელ-სანელებელია. იყენებენ წამალთა არომატიზაციისათვის.
4.	ვარდი	Rosa L.			მცენარის გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. ცნობილია დაახლოებით 400 ველური სახეობა (ასკილი), რომლებიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. საქართველოში 25-მდე სახეობაა. ვარდი მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი ბუჩქია, რომლის სიმაღლე 15 სმ-დან 20 მ-დე აღწევს. ზოგიერთ სახეობას გრძელი (10-12 მ-დე) ხვიარა ტოტები აქვს, ღერო დაფარულია ეკლებით. ფოთოლი კენტფრთისებრია, ღეროზე მორიგეობით განლაგებული. ყვავილი მარტივია ან ბუთხუზა (2-15 სმ დიამეტრის), არომატული ან უსუნო; ფერად ვარდისფერი, წითელი, თეთრი, ყვითლი, ნარინჯისფერი ან იასამნისფერი. შეკრებილია ქოლგისებრ-საგველა ყვავილედებად ან ერთეულია. ნაყოფი ერთთესლიანი (ზოგჯერ რამდენიმეთესლიანი) კაკლუჭა, რომელიც ხორცოვან ცრუნაყოფშია. ვარდის გვარი იყოფა 4 ქვეგვარად, რომელთაგან ყველაზე დიდია Rosa. იგი მოიცავს 192 სახეობას. აქედან განვითარდა შემდგომში ბალის ვარდები. ბალის ვარდების ბევრი ჯიში წარმოიშვა კვირტოვანი მუტაციისა და მათგან შერჩეული ძვირფასი სამეურნეო ფორმებისაგან. ვარდის ბევრი სახეობა ბუნებრივ პირობებში ადვილად უჯვარდება ერთმანეთს და წარმოქმნის სახეობათაშორის ჰიბრიდებს. ვარდების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ჩინეთი, შუა აზია, ამიერკავკავასია, უფრო ნაკლებია ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ცნობილია ვარდის 25 ათასი ჯიში და ფორმა, რომლებიც იყოფა 3 ჯგუფად, ესენია: მარადმწვანე ბუჩქები, ფოთოლმცვენია ბუჩქები და ლიანები. ვარდს იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში და ჰიბრიდიზაციისათვის. ზოგიერთი სახეობა (კაზანლიკური ვარდი) გამოიყენება ეთეროვანი ზეთების მისაღებად.

5.	ვარდკანაფა	Eupatorium cannabinum L.	ქვ. იმ. თითა; გურ. კანაფურა; იმ. თავქუჩება; მგრ. ჭითაქარიში წამალი.		მრავალწლიანი ბალახი. რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის, იზრდება 75—175 სმ. აქვს სწორი ღერო. ლურჯ-წითელი ფოთლები, ვარდისფერი და მილისებრი ყვავილები, ცილიმდრული თესლი. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. აგროვებები ბალახსა და ფესვებს. ახასიათებს დამარბილებლი, შარდმდენი, ოფლმდენი, ჭიის საწინააღმდეგო თვისებები. წყალთან ნაყენი გამოიყენება ფალარათის, კუჭის ქმედების გასაძლიერებლად, სიყვითლის, წყლისას, მალარიის, ელენთისა და ღვიძლის სამკურნალოდ. ხალხური მედიცინა იყენებს გრიპის, ქარების, ციების, სასუნთქი გზების, სურდოსა და ხველის სამკურნალოდ.
6.	ვარდკაჭაჭა	Cichorium intibus L.	ქრთ., კხ. ულეწელა; ერწო ღორთკაჭაჭა; რჭ., ლჩხ. ულეწავა; ინგ. არდ; მგრ. ტატალი, მწვანე სვიტი; სვნ. ულეწუან, წუწუნავა არდი		<p>ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. აერთიანებს 8-10 სახეობას, რომლებიც ველურად იზრდება ყოფილ სსრკ-ის სამხრეთ და შუა ზოლში, თითქმის მთელ დასავლეთ ევროპაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. შეტანილია ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში.</p> <p>საქართველოში ველურად გვხვდება ვარდკაჭაჭას მხოლოდ ერთი სახეობა - <i>Cichorium intybus</i>. მრავალწლიანი მცენარეა. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყისპირებსა და ნათესებში. აქვს ცისფერი ან თეთრი ყვავილები, მთავარღერძიანი, გრძელი ფესვი, რომელიც კულტურის ფორმებში ძირხვენად არის სახეცვლილი. ფესვებს იყენებენ ყავის სუროგატად, აგრეთვე სპირტისა და შაქრის (ფრუქტოზის) მისაღებად.</p> <p>ძირხვენა შეიცავს დაშაქრებულ ნახშირწყლებს, ძირითადად ინულინს, აგრეთვე გლიკოზიდ ინტიბინს. <i>Cichorium endivia</i> ერთ- ან ორწლოვანია. ცნობილია მხოლოდ კულტურაში. დასავლეთ ევროპაში მოჰყავთ სასალათედ. თაფლოვანია.</p> <p>გამოიყენება ღვიძლის დაავადებისას, სიყვითლისას, როგორც შარდმდენი საშუალება, ელენთის გადიდებისას და ნაღვლის ბუშტში ქვების დაგროვებისას, თირკმლების დაავადებისას. ვარდკაჭა ითვლება კარგ სისხლგამწმენდ და ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელ საშუალებად. ყველაზე უფრო</p>

					ვარდკაჭაჭა გამოიყენება როგორც მწარე გემოს მისაღები აპეტიტის გამოწვევისა და კუჭისა და ნაწლავების მოქმედების გაუმჯობესებისათვის, გასტრიტების და კოლიტების დროს.
7.	ვარსკვლავა	<i>Astrantia maxima</i> Pall.	გრ., აჭ. ინგირი, ეგირი; ლჩხ., რჭ. მთის ეგირი.		მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა და მახასიათებელი სწორი ღეროთი. წვრილი, ღია ვარდისფერი ყვავილები გაშლილია ქოლგებად და გარშემოვლებულია ვარდისფერი ფოთლებით. ნაყოფი წყვილთესლაა. საკურნალოდ იყენებენ მცენარის ბალახსა და ძირებს. მისი ნაყენი კარგი და მარბილებელი საშუალებაა. იყენებენ შეკრულობის დროს.
8.	ვაშლანა	<i>Cotoneaster multiflora</i> Bge.	ქრთ. ჩიტავაშლა.		ჩიტაკომშა. მცენარის გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. 1-3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქებია. 100-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში 8 სახეობა გვხვდება. მათგან აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ბუჩქია ჩიტაკომშა ( <i>Cotoneaster racemiflora</i> ) 1 მ-მდე სიმაღლისაა. მისი ნორჩი ტოტები ქეჩისებრ შებუსულია, დანარჩენი შიშველი და ყვისფერი ან ალუბლისფერია. ნაყოფი კაშკაშა წითელია. იზრდება ბუჩქნარებსა და ქვიან ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე. ვაშლანა გვალგამძლე მცენარეა, იყენებენ ხრიოვი ფერდობების გასამწვრებლად. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს შაქრებს და საუკეთესო თაფლოვანაა.
9.	ვაშლატამა	<i>Persica laevis</i> D.G.	მეგრ. უშქურატამა.		შეუბუსავი ატმების ჯგუფი. ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. ცნობილია აგრეთვე ნექტარინების სახელით. საქართველოში არა აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. გვხვდება საკარმიდამო ნაკვეთებზე და საკოლექციო ნარგაობებში. ჯგუფი მოიცავს მრავალ ჯიშს, ნაყოფი ლამაზია, გლუვკანიანი, რბილობი — თეთრი ან ყვითელი, აქვს შეზრდილი ან თავისუფალი კურკა. კარგი წყაროა ფრუქტოზის, უჯრედისის, A და C ვიტამინისა, მინერალებისა და ფლავონოიდებისა. უზრუნველყოფს ორგანიზმს „სწრაფი“ ენერგიით. მისი უჯრედისი ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში და აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. აწესრიგებს სწორი

					ნაწლავის ფუნქციას და ხელს უშლის საჭმლის მომნელებელი სისტემის დავადებათა (მათ შორის, კიბოს) განვითარებას. ვიტამინი C მონაწილეობს ორგანიზმის გაცლით პროცესებში და ორგანიზმს იცავს ანთებებისაგან. იღებენ ნატურალური სახით.
10.	<b>ვაშლი</b>	Malus	ჭნ. უშქირი; მგრ. უშქური; სვნ. ვისგ, ვისკვ, უსკვ.		<p>ხე და ბუჩქოვან მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მოიცავს 33 ველურ სახეობას, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია გავრცელებული. მცირე აზიასა და კავკასიაში ფართოდაა კულტივირებული აღმოსავლური ვაშლი (მაჟალო) (<i>Malus Orientalis</i>). ყველა ვაშლის ყვავილს საუცხოო ნექტარი აქვს. კულტურული ვაშლი 14 მ-მდე სიმაღლის ხეა. სხვადასხვა ჯიშის ნაყოფის ზომა, ფორმა და შეფერილობა სხვადასხვაგვარია. წვრილნაყოფიანი ჯიშების ნაყოფი შეიძლება 25 გ-ზე ნაკლები იყოს, მსხვილნაყოფიანებისა 600 გ-მდე. ფორმის მიხედვით ნაყოფი მომრგვალო, ბრტყელი, ცილინდრული, კვერცხისებრი, წაგრძელებული ან ზარისებრია. ნაყოფის ზედაპირი გლუვია, წიბოიანი, ზოგჯერ ბორცვიანი კანის ძირითადი შეფერვა ცვალებადობს მომწვანოდან ყვითელსა და თეთრამდე. გარდა ძირითადი ფერისა, ნაყოფს აქვს მფარავი ფერი, რომელიც წარმოიქმნება მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებით. მფარავი ფერი შეიძლება იყოს ზოლებიანი ან მთლიანი, ის იცვლება ვარდისფერიდან ღია-წითელ ან მუქ-წითელ ფერამდე. ვაშლის რბილობი თეთრი, მომწვანო, ყვითელი ან ვარდისფერია. ვაშლი სინათლის მოყვარული, ტენისა და საკვები ნივთიერებების მომთხოვნი მცენარეა. ხეხილის ნარგაობათა შორის, ფართობისა და პროდუქციის მხრივ, ვაშლს პირველი ადგილი უჭირავს დედამიწის ზომიერი სარტყლის ფარგლებში. ნაყოფი გამოირჩევა მაღალი საგემოვნო თვისებებით, ტრანსპორტაბელობით, შენახვის კარგი უნარით და სხვა. საქართველოში ვაშლის ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიშები წარმოშობილია მაჟალოს უშუალო მონაწილეობით. ვაშლის კულტურული ჯიშების ნაყოფი შეიცავს შაქარს (ფრუქტოზა, გლუკოზა, საქაროზა), მჟავებს (ვაშლის, ლიმონის), პექტინს, ცილოვან ნივთიერებებს, უჯრედისს,</p>

					ვიტამინებს (A, B, C), წყალს და სხვა. კულტურული და ველური ვაშლის ნაყოფს იყენებენ ნედლად, ჩირისა და კონსერვის სახით, მისგან ამზადებენ აგრეთვე ჯემს, ტყლაპს, მარმელადს, მურაბას, კომპოტს და სხვადასხვა სასმელს (წვენები, ხილის ღვინოები და სხვა).
11.	ველის იორდასალამი, ლალა	<i>Paeonia tenuifolia</i> L.			მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე იორდასალამისებრთა (Paeoniaceae) ოჯახისა მოგრძო ფესვებით. ფოთლები დანაწევრებული. ყვავილები ღია-წითელი ან მოყვითალო. აქვს მრავალთესლიანი ფურცლები ჩამოგრძელებული ძაფებით. შხამიანია. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და ბალახი. ქიმიური შედგენილობა თითქმის შეუსწავლელია. აქვს ბაქტეროციდული, სპაზმოლიტური, გამაყუჩებელი, ამოსაღებინებელი და ამოსახველებელი თვისებები. ხალხური მედიცინა მის წყალთან ნაყენს გულის, ტუბერკულოზის, ანემის, ხველის და სიფილისის სამკურნალოდ იყენებს.
12.	ველის სოსანი	<i>Consolida</i> <i>divaricata</i> (Ldb.) Schröding			ყვავილოვანი ბუჩქია ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა ლანცეტური ფოთლებით. აქვს თეთრი ან მოყვითალო სურნელოვანი ყვავილები, რომლების ქმნიან უჯვნისებრ თაიგულს. შეიცავს ალკალინიდებს, ფინებს, ეთერულ ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებებს. ძალიან იშვიათად გამოიყენება ყივანახველას სამკურნალოდ.
13.	ველური კანაფი	<i>Cannabis</i> <i>ruderalis</i> Janisch.			ჩვეულებრივი კანაფი კანაფისებრთა (Cannabaceae) ოჯახისა ორსახლიანია (მამრობითი და მდედრობითი კანაფი), ღეროსწორია 0,5-4 მ სიმაღლის. ფესვი მთავარღერძიანია, ფოთოლი — დანაკვთული, მწვანე. მამრობითი კანაფის ყვავილები საგველა ყვავილედია, მდედრობითი კანაფისა — თავაკისებრი. ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭა. კანაფი იზრდება ჭარბტენიან ნიადაგზე, მოჰყავთ ბოჭკოსათვის. მამრობითი კანაფისგან და ტექნიკური სიმწიფის პერიოდის მდედრობითი კანაფისგან ღებულობენ ბოჭკოს (ქერელს), რომლისგანაც ამზადებენ ქსოვილს. კანაფის სამშობლოა ცენტრალური აზია, მოჰყავთ მრავალ ქვეყანაში; ჯერ კიდევ 5000 წლის წინ კანაფს სამკურნალოდ იყენებდნენ ჩინეთში

					მაღარის, რევმატული ტკივილების, სამშობიარო ტკივილების სამკურანალოდ. მის ძირითად აქტიურ ნივთიერებას წარმოადგენს კანაფინოიდები, რომლებსაც აქვთ ფსიქოაქტიური თვისებები. ხასიათდება ძლიერი თერაპიული ქმედებით.
14.	ვენერას თმა	Adiantum Capillus-Veneris L.	ჩ. კლდისქოჩორა.		20-30 სმ სიგრძის Adiantaceae ოჯახის ყლორტებიანი გვიმრა, ორ ან სამჯერ დანაწევრებული თითისებური, ნაზი, მოკლე ჯამიანი ფოთლებით. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, სიმწარებს, შაქარს, ცოტა ეთერულ ზეთს. ძველად იყენებდნენ ხველის საწინააღმდეგოდ.
15.	ვერბენა	Verbena officinalis L.			მრავალწლოვანი ცოცხანასებრი (Verbenaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე 30-50 სმ სიმაღლის ღეროებით. წვეროებში აქვს ვარდისფერი ან ცისფერი წვრილი ყვავილები. ფოთლები სამ ნაწილადაა დაყოფილი. გვერდები დაკბილული. ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე. მთრიმლავი ნივთიერებების წყალობით ვერბენას იყენებენ კუჭის მსუბუქი დაავადების, ფაღარათის სამკურნალოდ და მადის მოსაყვანად. გაციებისას იღებენ მის ჩაის. ივლებენ ყელში. ნაყენს იყენებენ ჰომეოპათიამზი. ხმარობენ უძილობის, წერვული აშლილობის, ეპილეფსიის, თირკმელკენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. ხალხური მედიცინა მას იყენებს ჭრილობების მოსაშუალებლად.
16.	ვერცხლა ცაცხვი	Tilia argentea; Desf.			ცაცხვისებრთა (Tiliaceae) ოჯახს ეკუთვნის. სხვა ცაცხვებისაგან განსხვავდება ხშირი და ჩამოშვებული წამონაზარდებით, მრგვალი, მაგარქერქიანი ნაყოფით. ძირითადად გავრცელებულია მოლდოვაში. თაფლოვანია. იყენებენ როგორც ოფლმდენ, პირის ღრუში სავლებ ბაქტეროციდულ საშუალებას, გაციებისას.

17.	<b>ვერხვი</b>	Populus tremula L.	ინგ. დარანლი; მგრ. ფრიალე; სვნ. ვერხვლა, ვერხვლა, ერხ.		<p>დიდი ზომის ფოთოლმცვივანი ორსახლიანი ხეების გვარი ტირიფისებრთა (Salicaceae) ოჯახისა. ყვავის ადრე გაზაფხულზე, ფოთლების გაშლამდე, ზოგიერთი - ფოთლების გამოტანასთან ერთად. ერთსა და იმავე ხეს სხვადასხვა ტოტზე სხვადასხვა ფორმის ფოთოლი ასხია. ნაყოფი კოლოფია. ვერხვი მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყარით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტყით. იზრდება მთისა და მდინარისპირა ტყეებში. აქვს თეთრი, მსუბუქი და რბილი მერქანი. ცნობილია 100-ზე მეტი სახეობა, მათგან ბევრი კულტივირებულია. ჩვენში მთისა და ჭალის ტყეებში ვერხვის 8 სახეობა იზრდება, მ. შ. ოფი, თეთრი ხვალო და მთრთოლავი ვერხვი კულტივირებულიცაა. სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი და კვირტები. ქერქი შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, ზოგი სახეობის სურნელოვანი კვირტები - ძვირფას ეთეროვან ზეთებს, მწარე გლიკოზიდებს, ბეზზონის მჟავას, კაროტინს, ვიტამინ C-ს. კვირტების სპირტიან ნაყენს აქვს ბაქტეროციდული ქმედება. ხალხურ მედიცინაში ქერქის ნაყენით მკურნალობენ კუჭაშლილობას, ხველას, ციებ-ცხელებას, საფეხებს იდებენ შხამიან ნაკბენზე, დამწვრობასა და წყლულებზე.</p>
18.	<b>ვეტივერია</b>	Vetiveria zizanoides (L.) Nach.			<p>მრავალწლოვან მცენარეთა მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახის გვარი. დაახლოებით 10 სახეობაა. გვხვდება აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ცხელ ქვეყნებში. პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს <i>Vetiveria zizanioides</i>-ს, რომელიც ველურად იზრდება ინდოეთში, ცეილონზე. აფხაზეთსა და აჭარაში მოჰყავთ ერთწლოვან კულტურად. ვეტივერიას ფესვი შეიცავს სურნელოვან ეთეროვან ზეთს, რომელსაც იყენებენ საპარფიუმერიო მრეწველობაში. გამოირჩევა ეთეროვანი ზეთის მაღალი შემცველობით და კარგი საპარფიუმერიო თვისებებით. ითვლება კანის მოვლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. იყენებენ ძარღვის გაჭიმულობისა და რევმატიზმის სამკურნალოდ. იგი დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ეხმარება დეპრესიიდან გამოსვლაში, უძილობის განკურნებაში, ამცირებს ნერვულ</p>

					დაძაბულობას.
19.	ვირგინიული ხურმა	<i>Diospyros virginiana L.</i>			ორსახლიანი, ზოგჯერ ერთსახლიანი აბანოზისებრთა (Ebenaceae) ოჯახის მცენარე. აქვს კვერცხისებური ფოთოლი. ყვავილობს ივნისში. აქვს მრგვალი ნაყოფი. შეიცავს შაქარს, ცილებს, ვაშლმჟავას. ცნობილია როგორც დიეტური საშუალება (ექიმ მილერის ჩაი).
20.	ვირისტერფა	<i>Tussilago farfara L.</i>	ქრთ. ჯორისქუსლა, პირბამბა, ხავერდა (ს. ქვიშეთი); მხვ., მთ. თეთრი ბუარა; ფშ. ვირის ბუარა, ტერფაბუერა, თავყვითელა; ხვს. ცხენისტერფა; თშ. დათვთბუერა; გურ. კხ. ტირიფი; ერწო დათვისტერფა; სმხ. კრუხის პალო; აჭ. გულბამბა, პირბამბა; ოკრ. ბამბა-ბალახი, ჯორისფეხა; რჭ. ოფა; ზმ. იმ. ბამბიპირა; იმ ბამბა-ბალახი; ლჩხ. ჯორტოფა, ჯორტოფილა; გურ., კხ., ზმ. რჭ. ჯორისტერფა; მგრ. ხოსქარი; სვნ. მაჭვედვირილ, ჯორტერფამი.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარის გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. შეიცავს მხოლოდ 1 სახეობას - <i>Tussilago farfara</i> . მხოხავფესურიანი ბალახია. აქვს ქეჩისებრ შებუსვილი ღერო (5-25 სმ), რომელიც მოწითალო-მურა ქერქლისებრი ფოთლებითაა დაფარული. ყვავილობს ადრე გაზაფხულზე (ყვავილები ყვითელია), დაყვავილების შემდეგ მწვანე ფესვთანური ფოთლები გამოაქვს. გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. იზრდება საქართველოშიც. სახლდება მდინარის პირზე, ხრამების გაშიშვლებულ ნაპირებზე, ტენიან თიხნარ ჩამონაზვავებზე, ზოგჯერ ასარევლიანებს ნათესებს. ვირისტერფას, როგორც სამკურნალო მცენარეს, ჯერ კიდევ ძველ რომში იცნობდნენ. მისი ფოთლებისა და ფესვებისაგან ამზადებდნენ ნაყენს, რომელიც „გულმკერდის სხვადასხვა დაავადების“, ხველის, სურდოს, გაციების, ცხელების, ხვრინვის, მოხრჩობის საუკეთესო წამალი იყო. ძველი დროის მკურნალთა დაკვირვებით, ვირისტერფას ნახარში ათხევადებს სქელ ნახველს, ხელს უწყობს ორგანიზმს სითბოს შენარჩუნებაში, ახორცებს გარეგან და შინაგან ჭრილობებს. ნახარშის დალევა სასარგებლოა სასქესო ორგანოებიდან ჩირქდენის, აგრეთვე - თირკმელების ძლიერი ტკივილისა და სხვადასხვა სახის დაზიანების დროს. ფოთოლი შეიცავს გლიკოზიდ ტუსილაგინს, ინულინს, ლორწოს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონინებს, კაროტინებს,

					ფლავონოიდებს, ეთერზეთებს, ფიტოსტერინს. ნაყენს ხმარობენ მედიცინაში ამოსახველებელ, შარდმდენად, ოფლმდენად, ანთების საწინაარმდეგოდ, ბრონქოლიტურ, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობულ საშუალებად. თაფლოვანია. გარეგანად გამოიყენება საფენების სახით. მისი ფოთლების ჭინჭართან ნახარში გამოიყენება თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.
21.	ვწების ყვავილი, პასიფლორა	<i>Passiflora coerulea</i> L.			მცენარეთა გვარი პასიფლორასებრთა ოჯახისა. მცოცავი ბუჩქები და ბალახებია. პასიფლორას 400-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ამერიკის, აზისა და ავსტრალიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ზოგიერთი სახეობის ( <i>Passiflora edulis</i> ) ნაყოფი იჭმება. სამხრეთამერიკული ცისფერი პასიფლორა ( <i>Passiflora coerulea</i> ) დეკორატიულ მცენარედ კულტივირებულია ყირიმსა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე.

1.	<b>ზამბახი</b>	Iris iberica Hoffm.			<p>მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახია. აქვს ხმლისებრი, იშვიათად ხაზური ფოთლები და დიდი, თეთრი, კაშკაშა იისფერი, ღურჯი ან ყვითელი ყვავილები, ნაყოფი სამწახნაგოვანი მრავალთესლიანი კოლოფია. ცნობილია 200-მდე სახეობა. ძირითადად გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. საქართველოში 11 სახეობა გვხვდება. იზრდება მდელოზე, ველსა და ნახევრად უდაბნოში, ზოგი – ჭაობსა და ტენიან ადგილას. ფართოდ გავრცელებული დეკორატიული მცენარეა. ჩვენში განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული ზამბახი, რომელიც ქართლსა და აზერბაიჯანის ნახევრად უდაბნოებში იზრდება. ზამბახის ზოგი სახეობის ფესურას ის სუნი აქვს და მედიცინასა და პარფიუმერიაში იყენებენ. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა, რომელიც შეიცავს ეთერზეთს, ორგანულ მჟავეებს, ალდეგიდს, გლიკოზიდს, სახამებელს, ცხიმოვან ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ფოთოლოკი ასკორბინმჟავას. ხალხურ მედიცინაში ზამბახის ნაყენს იყენებენ წყალმანკის, კბილის ტკივილისა და პირში გამოსავლებად.</p>
2.	<b>ზაფრანა</b>	Crocus sativus L.	სბ. ვროკო		<p>კროკო. მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ზაფრანისებრთა (Iridaceae) ოჯახისა. გორგლ-ბოლქვიანი მცენარეა. მიწისზედა ღერო არა აქვს და ყვავილი პირდაპირ გორგლისებრი ბოლქვიდან ამოდის. 80-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. საქართველოში — 5 სახეობაა. ისინი ძირითადად ალპური მდელოს კომპონენტებია. მხოლოდ 2 სახეობა – Crocus adamii და შემოდგომაზე მოყვავილე Crocus speciosus გვხვდება შუა სარტყელში. Crocus autranii ვიწრო ენდემური სახეობაა და მარტო აფხაზეთში იზრდება. Crocus schwarzii კი — კავკასიის ენდემია. ზაფრანის ყველა სახეობა ლამაზყვავილიანია, ამიტომ აშენებენ დეკორატიულ მებაღეობაში. Crocus sativus მხოლოდ კულტურაშია ცნობილი და იყენებენ სუნელ-სანელებლად; მისი წითელი დინგები შეიცავს ძვირფას</p>

					<p>საღებავს - კროცინს.</p> <p>ფარმაცევტულ მრეწველობაში ზაფრანას იყენებენ სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების – ნაყინების, ექსტრაქტების, თვალის წვეთების დასამზადებლად. ითვლება, რომ ზაფრანას შუძლია ადამიანებს მიანიჭოს ძალა და მხნეობა. ის წმენდს სისხლს, აწესრიგებს მენსტრუალურ ციკლს. გამოიყენება გაციებისას, ხველისას, ასთმის სამკურნალოდ; ეხმარება დიარიის, ანემიის დაავადებისას; მკურნალობენ უშვილობას, პოტენციის ამაღლებას. იგი დადებითად მოქმედებს ღვიძლზე, ნერვულ და გულსისხლძაღვთა დაავადებებზე, რევმატიზმზე. მის გამოყენებას ურჩევენ შაკიკისა და გამონაყარების შემთხვევაში. აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას.</p>
3.	<b>ზეთისხილი, ზეთის ხე</b>	Olea europaea L.	ჭ. მეითინი		<p>მცენარის გვარი ზეთისხილისებრთა (Oleaceae) ოჯახისა. ცნობილია 60-მდე სახეობა. სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ზეთისხილს (Olea europaea). მარადმწვანე, სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეა, 4–12 მ სიმაღლისა. ფოთლები წვრილი, ლანცეტისებური აქვს, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან – მოვერცხლისფრონაცრისფერი. ნაყოფი კურკიანია, მოგრძო-ოვალური ან მომრგვალო ფორმისა, იწონის 15 გ. თესლიდან გამოზრდილი მცენარე მსხმოიარობას იწყებს 10–12, ხოლო კალმიდან გამოზრდილი – 4–5 წლის შემდეგ. ცოცხლობს 300–400 წელზე მეტს. ერთი ხიდან 20–40 კგ მოსავალი მოდის. ნაყოფს იყენებენ დასამზადებლად, დასაკონსერვებლად, ზეთის გამოსახდელად (ნაყოფის ნედლი რბილობი შეიცავს 25-იდან 80%-მდე ზეთს, ე. წ. ზეითუნის ზეთს), მედიცინაში, კოპტონს – ცხოველთა საკვებად, მერქანს – სადურგლო და სახარატო საქმეში. საქართველოში ზეთისხილი გავრცელებულია ათხაზეთში, აგრეთვე კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი და ფოთოლი; ფოთოლს აგროვებენ ყვავილობის დროს, ნაყოფს – სიმწიფეში. ნაყოფი შეიცავს ცხიმიან ზეთს, რომელშიც</p>

					<p>არის მუვები, ვიტამინები, სტერინები, კაროტინოიდები, პექტინური ნივთიერებები, ნახშირწყლები, კატებინები, ტრიტერპენული საპონინები. ფითოლო შეიცავს ალკალო-იდებს, გლიკოზიდებს, ოლეანის მუვას, ფიტოსტერინებს, ფლავონოიდებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მუვებს, ეთერზეთებს. პროვანსული ზეთი ავლენს ტკივილგამაყუჩებელ, ნაღველმდენ, სასაქმებელ, სპაზმოლიტურ, დამამშვიდებელ და შარდმდენ თვისებებს; გამოიყენება მალამოებისა და ემულსიების დასამზადებლად. ფითოლი ავლენს ჰიპოტენურ ეფექტს.</p>
4.	<b>ზიზილა</b>	Bellis perennis L.	მრ. უუჯუნა; გურ. ბორჩხება.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი რთულ-ყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. აქვთ ფესვთანურ როზეტად შეკრებილი ნიჩბისებრი ან უკუკვერცხისებრი ფოთლები და ერთკალათიანი საყვავილე ღერძი; კალათაში განაპირა ყვავილები ენისებრია, მხოლოდ ბუტკორიანი და თეთრი, ვარდისფერი ან იშვიათად წითელი, შიგნითა — მილისებრი, ორსქესიანი და ყვითელი. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად — დაყოფით. 10 სახეობა ველურად გავრცელებულია ევროპაში, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში იზრდება მხოლოდ ერთი სახეობა — <i>Bellis perennis</i>, რომლის ბუთხაყვავილებიან ფორმებს იყენებენ კლუმბებისა და ბორდიურების გასაფორმებლად. ხარობს ნესტიან მდელოებზე. ადვილად ველურდება. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი. შეიცავს: ეთერზეთებს, ინულინს, C ვიტამინს, ცხიმოვან ზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ლორწოს, მარილებს, ორგანულ მუვებს. ზიზილას პრეპარატებს იყენებენ ანთების საწინააღმდეგოდ, ამოსახველებლად, შარდმდენად, დამარბილებელ, ტკივილგამაყუჩებელ, სასაქმებელ, ანტი-სეპტიკურ და ციებ-ცხელების საწინააღმდეგო საშუალებად. იგი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. ხალხურ მედიცინაში ნაყენებს იყენებენ ფილტვებისა და ძვლის ტუბერკულიოზის, შარდსადინარი გზების დაავადების, ინფექციური სიყვითლის, ღვიძლის დაავადების,</p>

					ბრონქიალური დაავადებისას.	ასთმის და გინეკოლოგიური დაავადებისას.
5.	<b>ზღვის ხახვი</b>	<i>Urginea maritima</i> L. Backer				მრავალწლიანი ბალახი შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახიდან მსხვილი ბოლქვით. ბოლქვიდან გაზაფხულზე წამოიზრდება გრძელი (1,5 მ) საყვავილე ღერო, რომლის ბოლოსაც ვითარდება ყვავილედი; მოქმედი ნივთიერებებია სცილარენი და გლიკოზიდები. პრეპარატის სააფთიაქო დასახელებაა <i>Scilla bulbis</i> (ძველად: <i>Bulbus Scillae</i> ). ის ახდენს ზემოქმედებას გულზე. ნიშნავენ სისხლის მიმოქცევის მოსაწესრიგებლად.
6.	<b>ზღმარტლი</b>	<i>Mespilus germanica</i> L.	ქვ. ქრთ. ჟღმარტლი; ქუყ. ზიმარტლი; ფშ., ხვს. ხუთყურა, ხუთგულა; თშ. სიმარტლი; რჭ., გურ., იმ., ღჩხ. სხმარტლი; ინგ. სიმარტლ; ჭნ. ცქირმუტური; მგრ. ბაცუ, ცქუმუნტური, ცხუმუნტური; სვნ. ზუნტი, ზუნქი, ჟუნტუ.			ფოთოლმცვივანი მცენარეების გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მისი ერთადერთი სახეობა — ჩვეულებრივი ზღმარტლი ( <i>Mespilus germanica</i> ) ტანდაბალი (3-6 მმდე სიმაღლის) ეკლიანი ხე ან ბუჩქია. აქვს ლანცეტა ან კვერცხისები მოკლეყუნწიანი ფოთლები და დიდი, თეთრი მარტოული ყვავილები; ნაყოფი მომრგვალო კენკრაა; რბილობი მაგარი, უკვე გადამწიფებული რბილი და ტკბილია, იჭმევა. ველურად გვხვდება ირანში, მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კავკასიაში, ყირიმსა და თურქმენეთში. საქართველოში იზრდება ქვეტყედ მთის ქვედა და შუა სარტყელში, განსაკუთრებით მუხნარებში. მრავლდება თესლით, ძირკვისა და ფესვის ამონაყარით, ამრავლებენ მყნობით. ნაყოფი შეიცავს შაქრებსა და C ვიტამინს, ლიმონისა და ვაშლის მჟავას, მთრიმლავ და არომატულ ნივთიერებებს, პექტინებს, ლორწოს, ფიტოცინდებს...; ქერქი, ფოთლები და მკვახე ნაყოფი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ხალხურ მედიცინაში ფოთოლი, ნაყოფი და თესლის ნახარში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ანთების და საშარდე ბუშტის კენჭოვანი დაავადებისას.

1.	<b>თაგვისარა</b>	<i>Ruscus ponticus G. Wor.</i>	მგრ. ბარცხვინია, ბარცხი, ბარწვინია, ქოცხოცხო, მაწვინტია.		<p>მცენარეთა გვარი თაგვისარასებრთა (Ruscaceae) ოჯახისა. ორსახლიანი, მარადმწვანე მხოხავფესურიანი ბუჩქბალახებია. ყლორტები ფილოკლადიუმებად აქვთ გარდაქმნილი, თვითონ ფოთოლი კი ძალიან წვრილი და ქერქლისებრია, ზის ფილოკლადიუმის ძირში. 5-6 სახეობა გავრცელებულია აზორის, კანარისა და მადეირის კუნძულებზე, აგრეთვე დასავლეთ ევროპაში, ყირიმსა და კავკასიაში. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა. იზრდება მთის ტყეებში, ბუჩქნარებში, ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. ზოგჯერ ქმნის რაყას. ყველა სახეობას დეკორატიულ მცენარედ იყენებენ. კოლხური თაგვისარას (<i>Ruscus colchicus</i>) ნაყოფი იჭმება. თაგვისარა შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ამაგრებს სისხლძარღვთა სისტემას და ხელს უწყობს მის შენარჩუნებას. ეფექტურად გამოიყენება პროქტოლოგიაში, განსაკუთრებით, ბუასილის მკურნალობისას. იხმარება ვენების ანთებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოყენება სისხლძარღვების დასაცავად დიაბეტით დაავადებისას.</p>
2.	<b>თაგვის ცერცველა</b>	<i>Vicia cracca L.</i>			<p>50 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარე ჩამოშვებული ძაფებით და მცოცავი ფესვით. სუსტად განტოტვილი. ფოთლები თანამიმდევრული, მოგრძო, ულვაშით დაბოლოებული. თანაფოთოლები წვრილი, ლანცეტური. ყვავილები ორსქესიანი, მოკლეყუნწიანი, შეკრული. ჯამი ეჯვანისებური, ხუთი კბილით. ქოჩორი მოლურჯო. ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე; ნაყოფი პარკია. გავრცელებულია ევრაზიაში. შესწავლილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ შეიცავს ცხიმებს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება დამარბილებლად, ჭრილობების შესახორცებლად, სისხლდენის შესაჩერებლად. ნორჩ და დაქუცმაცებულ ბალახს იდებენ ჩირქოვან წყლულებზე. ევროპაში კულინარიაშიც გამოიყენება. ინგლისში მის ნაყენს აძლევენ ძუძუთა ბავშვებსაც.</p>

3.	<b>თაგვიყანა</b>	<i>Hordeum leporinum</i> Link.	სმხ. ჩიტის ენა		<p>ერთ-ერთი უძველესი მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახიდან. დღეს ფართოდ გამოიყენება ლუდისა და საკვები ფხვილების დასამზადებლად. შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმებს, კალციუმს, ფოსფორს, იოდს, სილიციუმის მჟავას, პროვიტამინს, გლუკოზას პოლისაქარიდებსა და სახამებელს, რის გამოც აქვს ქოლესტერინთან ბრძოლის კარგი თვისებები. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწვაბის ანთების, ხველის წინააღმდეგ და ოპრაციის შემდგომ საერთო მოსაძლიერებელ საშუალებად.</p>
4.	<b>თავკომბალა</b>	<i>Echinops colchicus</i> Sosn.	ქრთ. კოწიწბურთა; კბ. ზღარბა-ნარი; ფშ. თავბურთა; მსხ. გოლგოთინა, კოსტარდილა; მსხ., ჯვხ. გორგოშა-ბალახი, გოლგოთო, აბოს კვერცხი; ლჩხ. ვირიბალახი		<p>მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან. ღერო მარტივი ან ზემოთა ნაწილში დატოტვილია, სიმაღლით 80 სმ-მდე. ფოთლები მორიგეობით განლაგებული, ზემოდან შიშველი, ქვემოდან – მოთეთრონაბდისებური, წაგრძელებულია. ყვავილები მიღისებრი, ცისფერია, შეკრებილია 3-4 სმ დიამეტრის მსხვილ სფეროსებურ თავთავში. გვხვდება დაბლობიდან საშუალო სიმაღლის მთიან სარტყელამდე. სამკურნალო ნედლეულია. თავკომბალას ნაყოფები და ყვავილები შეიცავს ალკალიოდებს, უმთავრესად ექინოპსინს. მედიცინაში ექინოპსინის ნიტრატს იყენებენ პერიფერული და ცენტრალური მამოძრავებელი ნერვის დაზიანებისას, სახის ნერვის პერიფერიული დამბლის, პოლიომიელიტის შედეგების სამკურნალოდ. თავკომბალას ყვავილების ნაყენს და გამონახარშს აძლევენ როგორც გამაგრილებელ საშუალებას საჯდომი ნერვის დაავადების შემდგომ პერიოდში, გაფანტული სკლეროზისა და შაკიკის დროს.</p>
5.	<b>თავსისხლა</b>	<i>Sanguisorba officinalis</i> L.			<p>მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მრავალწლიოვანი ბალახები, იშვიათად ბუჩქალახები და ბუჩქებია. აქვთ ფრთისებრი ფოთლები, თავაკისებრ ან თავთავისებრ ყვავილედებად შეკრებილი წვრილი ყვავილები. 30-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში 1 სახეობაა (<i>Sanguisorba officinalis</i>). ფართოდ გავრცელებული მცენარეა. მაღალი ღერო და მუქი წითელი ყვავილები აქვს. იზრდება მდელოებზე,</p>

					ბუჩქებსა და ტყის პირებზე. ფესურები და ფესვები შეიცავს მთრიმლავ და სხვა ნივთიერებებს, მათ ნახარშსა და ექსტრაქტს ხმარობენ შემკვრელ და სისხლის შემაჩერებელ საშუალებად. იყენებენ ტუბერკულოზის მკურნალობისას. არის ანთების საწინააღმდეგო საშუალება.
6.	<b>თავყვითელა</b>	<i>Senecio vulgaris L.</i>			მცენარეთა გვარი ოთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. ერთ-, ორ- ან მრავალწლოვანი ბალახები, ბუჩქები ან ხისებრი მცენარეებია. 1500-ზე მეტი (სხვა მონაცემებით 3000-მდე) სახეობა გავრცელებულია უმთავრესად სამხრეთ აფრიკასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, აზისა და ამერიკის ზომიერ სარტყელში. — 25 სახეობაა, მ. შ. 10 კავკასიის და 3 საქართველოს ენდემია. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში. სუბალპურ და ალპურ მდელოებზე. ზოგი სარველაა ( <i>Senecio vulgaris</i> ), ზოგი — სამკურნალო. შეიცავს ალკალოიდებს - სენეცინს და სენეციონს, ასკორბინის მჟავას, უზოტო ნივთიერებას, რომელსაც აქვს ძლიერი შარდმდენი მოქმედება. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ანთების საწინააღმდეგოდ, ტკივილგამაყუჩებლად, კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ, დამარბილებლად და მენსტრუაციის მოსაწესრიგებლად. მის წყალში ნაყენს იყენებენ კუჭ-ნაწლავის ჭვალების, ამენორეის, დისმენორეის, ისტერიული ცახვახის სამკურნალოდ. წვენს ხმარობენ გაციების საწინააღმდეგოდ, ზეთში გასრესილ ფოთლებს ისვამენ ძირმაგარებზე და გამონაყარებზე.
7.	<b>თავშავა</b>	<i>Origanum vulgare L.</i>	ქრთ. შავბალახა; მხვ. ოსური ჩაი; ლჩხ. თავყვითელა; მსხ. ლეილაღა, მარნიჭი, მარმიჭი; ზმ. რქ. ჩაის პიტნა; აჭ. ისხანი, ჩაიოთი.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. წვრილი მოვარდისფრო-მეწამული ყვავილი შეკრებილია ფარისებრ. 20-ზე მეტი სახეობა ევროპაში (უმთავრესად ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში) და დასავლეთ აზიაშია გავრცელებული. ფართოდ არის გავრცელებული <i>Origanum vulgare</i> . იზრდება მშრალ მდელოებზე, ველებზე, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებსა და ასკორბინის მჟავას. გამხმარი ყვავილების ნახარშს ხმარობენ ნაწლავების ატონის დროს, ამოსახველებელ საშუალებად. ფოთლებს იყენებენ კულინარიაში, ლიქიორისა და არყის წარმოებაში. თავშავა გავრცელებულია თითქმის ყველგან. ის

					იზრდება ველობებში, ტყის პირებში, მშრალ, ღია ადგილებში, ბორცვებზე, ბუჩქნარებში. ფესვის გარდა, ნედლეულად იყენებენ მთელ მცენარეს; ნედლეულს აგროვებენ ყვავილობის პერიოდში. თავშავას მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთს, სეკვიტერპენებს, ასკორბინის მჟავას, მთრიმლავ ნივთიერებებს. თესლში ნაპოვნია გამშრალი, ცხიმოვანი ზეთები. თავშავას ეთერზეთს სასიამოვნო სუნი აქვს და შეიცავს მცირე რაოდენობით ანტისეპტიკულ საშუალებას – თიმოლს. მისი ნაყენი გამოიყენება გაცივების, ბრონქიტის, ყივანახველის, ხუთვის, ფილტვის ტუბერკულოზის, გასტრიტების, ნაწლავების ატონის, ქალური დაავადებების, მტკივნეული მენსტრუაციის, რაქიტის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და მაღალი სექსუალური აღგზების დროს. მას იყენებენ აგრეთვე ყელში გამოსავლებად და აბაზანების მისაღებად. თავშავას ზეთს ან სპირტიან ნაყენს იწვეთებენ კბილის ღრუში ტკივილის დროს, ნაღველმდენი გზებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს. თავშავას ძირითადად იყენებენ სხვა მცენარეებთან ერთად, ნაკრებების სახით.
8.	თავცეცხლა	Herba Galeopsis, Galeopsis herba.	ხვს. მკბენარა; ფშ. მჭკემარა; მგრ. მაჭვერია; სვნ. მელქანილ.		ერთწლიანი მცენარე 10-30 სმ სიმაღლისა ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახიდან. აქვს გამოკვეთილად ოთხწახნაგოვანი ღერო. ყლორტებდაშვებული. ძირს ხშირად წითელი ფერი აქვს. ფოთლები წაგრძელებულია და დაკბილული. დიდ, მოყვითალო-მოთეთრო ყვავილებს აქვთ ყვითელი ლაქები. ყვავილობს ივნისში. მცენარეს იღებენ ყვავილობისას, ჭრიან მიწასთან და აშრობენ. შეიცავს სალიცინის მჟავას, მთრიმლავ ნივთიერებას, ცოტა საპონინებს და ეთერულ ზეთს. მისგან დამზადებული სამკურნალო საშუალებები ძლიერმოქმედი არ არის, თუმცა სწორად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს ავადყოფს ფილტვების ქრონიკული ანთებისას; გამოიყენება ამოსახველებულ საშუალებად. ჰომოპათიაზი Galeopsis-ს იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებენ შარდის ბუშტისა თირკმლების სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში მის ნაყენს იღებენ ხველისა და ფილტვების დაავადებისას, სისხლის გასაწმენდად, სისხლნაკლულობისას, თირკმლების სამკურნალოდ, გადამდები ინფექციური დაავადებებისას, იყენებენ

					ფურუნკულებისა და კანის სხვა ავადმყოფობისას. აღნიშნავენ მის შარდმდენ თვისებას.
9.	<b>თაგწითელა, გომფორენა</b>	Gomphrena globosa L.	კხ. თაგმშრალა		<p>30–50 სმ სიმაღლის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. Amaranthaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. ყვავის ივლის-აგვისტოში.</p> <p>კულტივირებულია შუა და აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. საქართველოში არ იზრდება.</p> <p>ქიმიური შედგენილობა არ არის შესწავლილი. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც ჰიპოტენზური საშუალება, რაც დადასტურდა მისი ფარმაკოლოგიური შესწავლით.</p>
10.	<b>თათაბო</b>	Atriplex hortensis L.	მხვ. თათამავ; გრ. კხ. რუსული მხალი; რაჭ., ლჩხ. ქორაფი; მგრ. ქოროფე, ქეროფე; ს.წ. თათმი, თათამა.		<p>ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი ბალახები, ბუჩქებალახები ან ბუჩქები ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახიდან დაფარულია ფქვილოვანი ნაფიფქით. 200-მდე სახეობა გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელში. საქართველოში იზრდება 8 სახეობა. ბიცობიანი უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების მცენარეებია. მინდვრებზე, ბაღებსა და ბოსტნებში გვხვდება სარეველადაც. რამდენიმე სახეობის ნორჩ ფოთლებსა და ღეროს მხალად ხმარობენ, ზოგი კარგი საკვები ბალახია აქლემის, ცხვრისა და ძროხისათვის. მისი ძირითადი მოქმედი ნივთიერებაა საპონინები. შეიცავს ასევე ალკალინიდს, მინერალურ ნივთიერებებს და, სავარაუდოდ, უცნობ შხამიან ნივთიერებას. რადგანაც მისი ზუსტი ქიმიური შედგენილობა ცნობილი არაა, მეცნიერული მედიცინა არ რისკავს მის გამოიყენებას. ხალხურ მედიცინაში მას აქტიურად გამოიყენებენ. ჯერ კიდევ 1485 წელს გამოქვეყნებულ გერმანელი ავტორის (პეტერ შაფერი) წიგნში "ჯანმრთელობის ბაღი" აღნიშნულია, რომ ეს მცენარე გამოიყენება გადაციების, ფრჩხილების ნუნების ანთებისას, დასიებული ადგილების მოსაწესრიგებლად. მისი ნაყენი გამოიყენება შარდის ბუშტის, ღვიძლის, თირკმლების სამკურნალოდ. დღეისათვის თათაბოს ჩაის იყენებენ სისხლის გასაწმენდად, ფილტვების, ღვიძლის, შარდის ბუშტის სამკურნალოდ, კანის გასაწმენდად.</p>

11.	<b>თათრული რევანდი</b>	<i>Rheum tataricum</i> L.			<p>70 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახისა. აქვს ორი-სამი ღერო, რომლებიც იტოტება შუამდე; ტოტები ყვავილობის შემდეგ იხრება ქვევით. ყვავილები მოკლეყუნწიანია, ძირისეული - 35 სმ სიგრძისა და 50 სმ-მდე სიფართისა; მომრგვალებულები, გულის მოყვანილობისა. ნაყოფი 10-12 მმ სიგრძისა, მოშავო, პატარა და წვრილი ფრთებით. ყვავილობს გაზაფხულზე. სამკურნალოდ გამოიყენება ძირები და ნაყოფი. ფესვებში აღმოჩენილია გლუკოზა, ფრუქტოზა, სახაროზა; მჟავები, ფენოლი, კატეხინები და ნახშირწყლები. ღეროებში არის მთრიმლავი ნივთიერებები, ანტიციანები, ანტრაქონინები. ნაყოფი შეიცავს ვიტამინ C-ს, ნახშირწყლებს, ფლავონიდებს. თესლებში არის ნახშირწყლები, კატეხინები, ფლავონიდები. ხალხურ მედიცინაში მისი ნახარში გამოიყენება როგორც სისხლალმდგენი, სისხლდენის შემჩერებელი, შემკვრელი. ხმარობენ კოლიტების, ენტეროკოლიტების, ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ. ფესვების ნაცარს იყენებენ ჭრილობების შესახორცებლად.</p>
12.	<b>თალგამი</b>	<i>Brassica rapa</i> L.			<p>ორწლოვანი ბოსტნეული მცენარეა ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. პირველ წელს ივითარებს როზეტა და ძირხვენას, მეორე წელს — საყვავილე ყლორტებს და იძლევა თესლს. ფარისებრია, ყვითელხორციანი. ჯიშების გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-ოქროსფერია, თეთრხორციანისა – მოყვითალო-ლიმონისფერი. ნაყოფი თვითხსნადი გრძელი ჭოტია. თესლი წვრილი და მრგვალია, ფერად ღია ან მუქი. თალგამი ყინვაგამძლეა (უძლებს 4-5°C ყინვას), ტენის მოყვარულია, ამასთან საკმაოდ სიცხეგამძლეცაა. მოჰყავთ ყველანაირ ნიადაგზე. ძირხვენა შეიცავს მშრალ ნივთიერებას (მათგან ნახევარი შაქრებია). C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub> ვიტამინებს, კაროტინს, მდოგვის ზეთს, რომელიც აძლევს თალგამს სუნსა და გემოს. თალგამი იჭმევა ნედლი, მოხარშული და შემწვარი. არსებობს თალგამის სუფრისა და პირუტყვის საკვები ჯიშები. მცენარეს აქვს შარდმდენი, ანისეპტიკური და ანტიანთებითი თვისებები, სვამებ გულისცემის მოსაწესრიგებლად. მისი ნახარში მიიღება მწვავე ლარინგიტის, ხმის ჩახლების, ასთმის</p>

					შემთხვევაში. მოხარშულ და დასრუსილ თალგამს იდებენ მტკიცნეულ ადგილებზე. იყენებენ აბაზანებში ბუასილის დროს. მისი წვენი გახლავთ ორგანიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ეფექტური გამწმენდი საშუალება. იგი ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საკვების მონელების ხარისხს, აძლიერებს ნაწლავის მოტორიკას და ხელს უწყობს დაგროვილი წიდის ორგანიზმიდან გამოყოფას, ქვებისა და ქვიშისგან თირკმელების გაწმენდას. შავი თალგამის წვენი შველის ხველებას. კბილის ტკიცილისას იყენებენ გამოსავლებად.
13.	<b>თალგამურა</b>	Brassica napus L.	რჭ., ზმ. იმ. მიწაფხალა; ქვ. იმ. ჭარხალი; აჭ. ძირა, მხალთალგამა; მგრ. ჭარხალი, ჭარხალი.		ორწლიანი მცენარეა ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. პირველ წელს უვითარდება ფოთლები და მსხვილი ძირი, მეორე წელს ყვავილოვანი ღერო. თესლი შავი, მრგვალი და წვრილია. ჯიშებისდა მიხედვით, ძირი ან მრგვალია, ან მოგრძო, ან მოგრძო-მომრგვალო. ძირი ან თეთრია, ან მოთეთრო-მოყვითალო. ვეგეტაციის პერიოდი მოიცავს 110-120 დღეს. თალგამურა შეიცავს მშრალ ნივთიერებებს, შაქარს, ცხიმებს, პექტინს, ვიტამინებს, ეთერულ ზეთს ასკორბინ-მჟავას, ბეკრ რკინას, თიამინს, რიბოფლავინს. ასკორბინის მჟავა მასში დიდხანს ნარჩუნდება. სამკურნალოდ გამოიყენება ძირხვენას წვენი. იყენებენ მიწისზედა ნაწილსაც. ხმარობენ კუჭში შეკრულობის დროს, თუმცა უარყოფითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. მისი წვენი არის კარგი ამოსახველებელი და შარდმდენი საშუალება. ივლებენ ყელში ანგინით დაავადებისას. შეიცავს ადამიანისათვის საჭირო თითქმის ყველა მინერალს.
14.	<b>თამარკინდი</b>	Tamarindus indica L.	ჩ. თაფლინდი.		ინდური ფინიკი, ფარულთესლოვანი მცენარეა პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. ტროპიკული ხეა, წარმოშობით აღმოსავლეთ აფრიკიდან. ხარობს ლათინურ ამერიკაში, აზიასა და კარიბის კუნძულებზე. რბილობი, თესლი და ქერქი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. მის ჩაის იყენებენ ციებ-ცხელებისა და მალარიის წინააღმდეგ, საჭმლისმომნელებელი ტრაქტის სამკურნალოდ.

15.	<b>თაფლა-გოგრა</b>	Cucurbita moschata Duchesne	კხ. თათრული გოგრა.		<p>ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მხოხავი მცენარის გვარი გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. აქვს დატოტვილი და მიწაზე გართხმული ან საყრდენზე ასული ღერო. ყვავილები გრძელყუნწიანი და ბუსუსიანი ფართო, დიდი ყვითელი, ზარისებური. ისხამს საკმაოდ დიდ, სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის ნაყოფს. თესლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვითალოა. გოგრის სამშობლოა ამერიკა. მისი 13 სახეობიდან ფართოდაა კულტივირებული ერთწლოვანი 3 სახეობა: მსხვილნაყოფა ანუ გიგანტური გოგრა, რომლისგანაც გამოყვანილია სუფრის, საკვები და დეკორატიული ჯიშები. მაგარკანიანი ანუ ჩვეულებრივი გოგრა, საქართველოში ძველთაგანვეა გავრცელებული. არის სუფრისა და დეკორატიული ჯიშები. ამ სახეობას ეკუთვნის ყაბაყი და პატისონი. მუსკატური ანუ ჯავზის გოგრა (საქართველოში ცნობილია თაფლა გოგრის, ხურჯინას, ბორჩალური გოგრის სახელით, გავრცელებულია ქვემო ქართლის დაბლობ ზონაში). გოგრა სითბოს მოყვარული გვალვაგამძლე მცენარეა. არსებობს გოგრის ბევრი მსხვილნაყოფა საკვები ჯიში. ამრავლებენ როგორც ჩითილით, ასევე თესლით. გოგრას იყენებენ საჭმელად, ცხოველთა საკვებად. გოგრის თესლისაგან ხდიან საჭმელ ზეთს. იყენებენ მედიცინაში. ეგზემით დაზიანებულ ადგილზე იდებენ გოგრის წვენში დასველებულ საფენს ან რბილობს. იმავდროულად, ჭამენ შემწვარ გოგრას, ან სვამენ ცოცხალ წვენს. გოგრა შეიცავს ბევრ კალიუმსა და ნატრიუმს და ცოტა ნახშირწყლებს. არის ვიტამინების წყარო. იყენებენ პარაზიტი ჭიების დასადენად.</p>
-----	--------------------	-----------------------------	--------------------	---	--

16.	<b>თევზის წამალი</b>	Coccus suberosus D.C.			<p>სამშობლო ინდოეთი, შრი-ლანკა. დიდი ლაიანაა. ღეროს დიამეტრი აღწევს 15 სმ-ს; ფოთოლი მარადმწვანე, ძალიან დიდი. ყვავილები შეკრულია ცოცხებად. ნაყოფი კურკიანია; გემო მწარე, ძალიან უსიამოვნო; შხამიანობის გამო იყენებენ თევზის დასახოცად (აქედან -სახელი). შეიცავს პიკროტოქსინს. კარგად იხსნება წყალში. არის ნერვული სისტემის სტიმულატორი. მიუხედავად შხამიანობისა, გამოიყენება შხამებისა და მოწამვლების წინააღმდეგ. იწვევს სასუნთქი ცენტრის აღგზნებას, წნევის აწევას, ანელებს პულსს. დოზის აწევისას იწვევს კუნთების კანკალს და სპაზმებს.</p>
17.	<b>თეთრეკალა</b>	Lycium barbarum L.	ქრთ. სობისურა, საბისურა, მათეს ეკალი, სობურა.		<p>ფოთოლმცვენი ან მარადმწვანე ეკლიანი ბუჩქების გვარი. აქვთ ჯგუფ-ჯგუფად ან მორიგეობით განლაგებული მარტივი, მთლიანი, ორსქესიანი ყვავილები, წვნიანი კენკრა ნაყოფი. სამხრეთამერიკული გვარია. აერთიანებს 100-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელოში. საქართველოში 1 სახეობა გვხვდება (<i>Lycium barbarum</i>); საკმაოდ გავრცელებული მცენარეა, იზრდება ხრიოკ ადგილებზე. დეკორატიულია, იყენებენ ცოცხალ ღობედ. თეთრეკალას ბევრი სახეობა გვალვაგამძლეა. მცენარე შხამიანია. გამოიყენება ღვიძლისა და თირკმლების სამკურნალოდ. მისგან მიღებულ პრეპარატებს ახასიათებთ ჰიპოტენზიური ქმედება. მოქმედებენ გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე, აძლიერებენ ანტიდიაბეტურ საშუალებებს.</p>
18.	<b>თეთრი არყი,</b> <b>ლიტვინოვის</b> <b>არყი</b>	Betula litwinowii			<p>ლიტვინოვის არყი არყისებრთა (Betulaceae) ოჯახის ყველაზე გავრცელებული სახეობაა, დიდი რაოდენობითაა კავკასიონის მთიანეთის კალთებზე. ქმნის წმინდა კორომებს ან შერეულია სხვა მერქნიან მცენარეებთან. მერქანს იყენებენ საფანერო და საავეჯო წარმოებაში, მანქანათმშენებლობაში ზოგიერთი დეტალისათვის. არყის წვენი შეიცავს შაქარს და იყენებენ ბურახისა და სიროფის დასამზადებლად. კვირტები და ფოთლები იხმარება მედიცინაში.</p> <p>არყის ფოთლები შეიცავს ეთერზეთს, საპონინებს, C-ვიტამინს. კვირტები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელიც წარმოადგენს</p>

					ყვითელ სითხეს სასიამოვნო ბალზამური სუნით.
					<p>ნედლეულს გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდური, ანტისეპტიკური, ნაღველმდენი და შარდმდენი მოქმედება. ხალხში არყოს ფოთლებს იყენებენ აბაზანებისათვის რადიკულიტისა და რევმატიზმის დროს, თმის ზრდის დასაჩქარებლად ფოთლების ნახარშით იბანენ თავს. დადგენილია არყოს ახალი ფოთლების ანთების საწინააღმდეგო მოქმედება სიყვითლის და თირკმლების კოლიკისას. ფოთლების გამონახარშს იყენებენ გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული შეშუპებისას.</p> <p>არყოს მერქნის აქტივირებულ ნახშირს ხმარობენ როგორც აბსორბენტ საშუალებას მუცლის შებერვისას და სხვადასხვა მოწამვლებისას. არყოს ხის წვენი საუკეთესო ვიტამინური საშუალებაა. ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოიხმარენ წვენს, არ უჩივიან მარილების დაგროვებასა. არყოს ხის სოკოს იყენებენ კუჭნაწლავის დაავადებების დროს ნაყენების და ექსტრაქტების სახით, აგრეთვე ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისას.</p>
19.	თეთრი დიყი	Heracleum villosum Fisch.	თშ. აპყი; ფშ., ხეს. ლაგი; მთ. რჭ. ლატი.		<p>მაღალი, ორ- და მრავალწლოვანი ბალახებია ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. აქვს დიდი ზომის დანაკვთული და მთლიანი ფოთლები, თეთრი, მომწვანო-ყვითელი ან ვარდისფერი რთულ ქლოგა ყვავილებულია ძირითადად აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში; მხოლოდ 1 სახეობაა ჩრდილოეთ ამერიკაში. კავკასიაში 25 სახეობაა; საქართველოში — 21, რომელთაგან 6 ენდემია. იზრდება უმეტესად ტყისა და სუბალპურ სარტყელში. საქართველოს სუბალპურ მაღალბალაზეულში ფართოდაა გავრცელებული სოსნოვკის დიყი (Heracleum sosnowskyi) და მანტეგაცის დიყი (Heracleum mantegazzianum). დიყი სასილოსე და დეკორატიული მცენარეა. მის ნორჩ ყლორტებს მთის მოსახლეობა საჭმელად იყენებს. ფოთლები და ნაყოფი მდიდარია ეთერზეთებით. ზოგიერთი სახეობა შეხებისას კანს აღიზიანებს და წყლულს აჩენს. თეთრი დიყის მთავარი შემადგენელია ძმარმჟავა. ზეთის შედგანილობაში შედის</p>

					ალკალოიდები, რომლებიც დამწიფების შემდეგ გარდაიქმნება სპირტად. თესლების ნაყენი გამოიყენება დამამშვიდებლად. ფესვების ნაყენი შლის ნაღვლის ბუშტის კენჭებს. ფესვები და თესლი შედის რთული სამკურნალო ხსნარების შემადგენლობაში, რომლებიც გამოიყენება თირკმლების, ნაღვლის კენჭებისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ნაყოფი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ციმბირული წყლულის, ძირმაგარების სამკურნალოდ. დიდმა დოზებმა შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს.
20.	<b>თეთრი დუმფარა</b>	<i>Nymphaea alba</i> L.	გურ. ულუფარდი (შდრ. ჩ. ლილუფარა); ს. ნინოფი.		ერთ-ერთი ულამაზესი წარმომადგენელი ქოთნისებურთა (Nymphaeaceae) ოჯახისა. ცოცხლობს თბილ წყალსაცავებში და პრაქტიკულად ყველგანაა გავრცელებული. იგი მცენარე-ამფიბიაა. მისი ღერო ქცეულია ძლიერ ძირხვენად, რომლიდანაც გამოდის ფესურებიც, ფოთლებიც და ყვავილებიც. მისი თესლი შეიცავს სახამებელს, მთრიმლავ ნივთიერებას, ცხიმოვან მჟავას და ხალხური მედიცინა იყენებს მის ნახარშა და ნაყენს. ძირის ნახარში და ნაყენი გამოიყენება სისხლაღმდეგნ, შემკვრელ და დამამშვიდებელ საშუალებად. ალკალოიდი ნიმფეინი, რომელიც არის ამ მცენარეში, მოქმე-დებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხოლო გლოკოზიდი ნიმფალინი საძილე, დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩე-ბელი საშუალებაა. ფესურები და დანაწევრებული ფოთლები გამოიყენება როგორც ანთებისსაწინააღმდეგო საშუალება. მათ იდებენ ჭრილობებზე და გამონაყარზე. მცენარის სპირტზე ნაყენს იყენებენ ტკივილგამაყუჩებლად.

21.	<b>თეთრი ნარგიზი</b>	Narcissus pseudonarcissus L.			<p>ბალახოვან მცენარეთა გვარი ამარილისებრთა (Amaryllidaceae) ოჯახისა. აერთიანებს 60-მდე სახეობას, რომელიც იზრდება, ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და შუა აზიაში. ნარგიზი ადრემოყვავილეა. ბოლქვი დაფარულია მოყავისფრო ქერცლებით. უფოთლო საყვავილე ღეროზე ერთი ან რამდენიმე თეთრი ან ყვითელი ყვავილი აქვს. რაოდენობის, ყვავილისაფრის სიგრძისა და შეფერვის მიხედვით იყოფა რამდენიმე საბალო ჯიშად, იყენებენ ბაღ-პარკების გასაფორმებლად და ასაჭრელ მასალად. ნარგიზის ზოგიერთი სახეობის ყვავილი შეიცავს ეთეროვან ზეთს, ინულინს, ფოთლები- სცილინს, ფიტოსტერინს, კვერცეტინს, კაროტონიდებს, ნარცისინს, ტანინს, მწარე ნივთიერებას; — ალკალინიდებს, ნარციკლაზინს. იყენებენ ანტიმიკრობულ, ამოსახველებელ და ხველის საწინააღმდეგო საშუალებად.</p>
22.	<b>თეთრი ნარი</b>	Cirsium incanum (S.G.Gmel.) Fisch.	თშ. ყანის ნარი; ზმ. იმ. ანბლა; ოკრ. კახა; იმ. კახოურა; რჭ. გლიხორხა; ს. მგლისხორხა; მგრ. ვირსაკვარა; სვნ. ყერიშ ცეგ; ინგ. ყანდალი.		<p>მრავალწლოვანი ფესვნაყრიანი სარეველა მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. ფესვი 2-3 (ზოგჯერ 5-9) მ-მდე ეშვება ნიადაგში და ივითარებს დამატებით "კვირტებს", საიდანაც ამონაყრები ამოდის. ღერო მაღალია, ზედა ნაწილი დატოტვილია. მჯდომარე, კიდეეკლინი ფოთოლი დაკბილული ან დანაკვთულია. მოიისფრო ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედად. თესლი წვრილია, რუხი, აქვს საფრენები და ამიტომ ქარს შორს მიაქსს. ყველგან გვხვდება. მისი ნახარში და ნაყენი გამოიყენება სხვადასხვა ჭვალების სამკურნალოდ და ოფლმდენ საშუალებად.</p>
23.	<b>თეთრი სამყურა</b>	Trifolium repens L.	მხვ. ტაბაკაო.		<p>ერთწლოვან და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. ყველა სახეობა ბალახოვანია. სამ ფოთოლაკიანია (აქედან მოდის მისი სახელიც). ყვავილები თეთრია, შეკრებილი თავკისებრ, იშვიათად, მტევნისებრ ყვავილებად. ნაყოფი პატარა პარკია, 1-2, იშვიათად, 3-6 თესლით. მთავარლერძიანია. მათზე დიდი რაოდენობით ვითარდება შემთვისებელი კოურები, რომლებიც მდიდარია აზოტოვანი შენაერთებით. გავრცელებულია ევროპის, აზიის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერ და სუბტროპიკულ ოლქებში. მცენარეს აქვს ზოგადგამაძლიერებელი, მატონიზი-</p>

					რებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობების შესახორცებელი, ანტიტოქსიკური თვისებები. ყვავილების ნაყენები და ნახარშები გამოიყენება გაციების, ქალური დაავადებების, ფილტვების ტუბერკულოზის, ქუშის სამკურნალოდ. ჩვენში მას იყენებენ მშობიარობის წინ და შემდეგ.
24.	<b>თეთრი ძიძო</b>	Melilotus albus Desr.			ორწლიანი მცენარე პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა, ღეროიანი ფესვით, რომელიც აღწევს მიწაში 2 მეტრამდე. მცენარე გამოსცემს კუმარინის სუსტ არომატს. ღერო ორი მეტრის სიმაღლემდე იზრდება. ზედა ნაწილი ოდნავ დაშვებულია. ფოთლები - თანამიმდევრული, სამყურა, უკუკვერცხისებური. თეთრი ყვავილები შეკრულია ფუნჯებად; ნაყოფი კვერცხისებური პარკი, მუქი. ყვავილობს ივნისსი. მწიფდება სექტემბერში. ევრაზიული სახეობაა. გვალვაგამძლეა. გამოიყენება მხოლოდ ხალხურ მედიცინაში, თრომბოზების სამკურნალოდ, ციებ-ცხელებისა და ასციტის შემთხვევაში. იყენებენ თავის ტკივილის დროსაც. შეიძლება ახლდეს გვერდითი ეფექტებიც.
25.	<b>თეთრყვავილა</b>	Galanthus	სმხ., ქრთ. თეთრი ყვავილი, ტყის ნიორი; კხ. თეთრი ენძელა; თშ. მთის ნიორი; ფშ. ყვავთნიორა; რჭ. წვადინელა; გურ., იმ. ცხენისკბილა; ჭნ. მტკუი ლეი; მტკუი ლერი; მგრ. ჯამკვატარა.		პატარა ზომის მრავალწლოვანი მცენარეა ამარილისებრთა (Amaryllidaceae) ოჯახისა. აქვს ორი, ხაზური ან მოგრძო ხაზური ფოთლები და რამდენადმე გრძელი საყვავილე ღერძი, რომელზედაც მეტწილად ერთი თავჩაქინდრული თეთრი ყვავილია. 17-18 სახეობა გავრცელებულია მცირე აზიაში, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში. 11 სახეობა კავკასიაშია გავრცელებული, საქართველოში - 9, რომელიც მთის ტყეებსა და მაღალმთის მდელოებზე იზრდება. ადრე გაზაფხულზე ლამაზად მოყვავილე მცენარეებია. თეთრყვავილას ზოგიერთი სახეობის ფოთლები და ბოლქვები შეიცავს ალკალოიდებს - ლევონის, ლევკოციტინს, გალანტამინს. ეს უკანასკნელი მედიცინაში გამოიყენება ნერვული სისტემის დაავადებებისას. თავყვითელას ნაყენით მკურნალობენ რადიკულიტს, და ტრამვულ დაზიანებებს.

26.	<b>თეთრყვავილა ლაშქარა, მხალშავა</b>	Symphytum grandiflorum D.C.	იმ., რჭ., ლჩბ., გურ. შავქალა, ქალშავა, შავბალახა; ზმ. იმ., აჭ. შავფხალა; მგრ. უჩა ტყა, უჩა ბედნიერი, ქარშავე, უჩა ოსური, ლულუბგური.		მრავალწლოვანი სამკურნალო მცენარეა ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახისა. გვხვდება ევროპისა და კავკასიის ნოტიო ნიადაგებზე. ყვავილობს მაისში. ყვავილები წითელი ან ვარდისფერია. აქვს ძირბვენა. ჰომეოპათიაში გამოიყენება ტრამვების, მოტეხილობების დროს. ნახარში ხალხურ მედიცინაში იხმარება, როგორც ამოსახველებელი, დამარბილებელი საშუალება. იყენებენ კოლიტის, დიარიის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ტუბერკულოზის, თირკმლების, ავთვისებიანი სიმსივნეების, მუწუკების სამკურნალოდ. ნაყები გამოიყენება ფაღარათის, დიზენტერიის, სასუნთქი გზების კატარის, ქრინიკული ბრონქიტის სამკურნალოდ; ამზადებენ მალამოებსაც, რომლებიც გამოიყენება დამწვრობის, ბუასილის, კანის დაავადებების და ა.შ. სამკურნალოდ.
27.	<b>თერო</b>	Lathyrus tuberosus L.			მრავალწლოვანი ბალახოვანი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. აქვს 25-100 სმ-მდე სიმაღლის კარგად შეფოთლილი ღერო, მეწამული ან წითელი სურნელოვანი ყვავილები. გავრცელებულია ჩრდილოეთ და შუა ევროპაში, მცირე აზიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა, შუა აზიაში, ციმბირსა და კავკასიაში. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა ტერასებზე, ნათესებში და რუდერალურ ადგილებზე დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. საქონლის კარგი საკვებია. ნორჩ ფოთლებს ზოგან სალათად იყენებენ. მისი ძირების ნახარში გამოიყენება კუჭაშლილობის, დიზენტერიის, კოლიტების სამკურნალოდ.
28.	<b>თვის ბოლოკი</b>	Raphanus sativus L.			ბოსტნეული მცენარე ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. განასხვავებენ ერთწლოვან თვის ბოლოკს (ევროპული ჯიშები), რომელიც დათესვის წელსვე იკეთებს ძირხვენასა და თესლს, და ორწლოვან თვის ბოლოკს (ე.წ. საშემოდგომო ჯიშები), რომელიც ძირხვებას იმავე წელს იკეთებს, თესლს კი - მეორე წელს. მოჰყავთ ყველგან, მაღალმთიან ზონაშიც. როგორც საკვები პროდუქტი, იგი ფასეულია სპეციფიური გემოსა და სიცხარის გამო. მასში მოიპოვება დიდი რაოდეობით ცილები, ეთერული ზეთი, შაქარი, ცხიმი, ვიტამინები, კალიუმის, მაგნიუმის, ფოსფორის, ნატრიუმის,

					რკინის მარილები. იგი სასარგებლოა ცხიმგროვების, გულისა და სისხლძარღვების სამკურნალოდ. ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. იყენებენ ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის.
29.	<b>თრიმლი</b>	<i>Cotinus coggygria</i> Scop.	ფშ., ხვს. თრემლი; ქზყ. ნარინჯი ხე; ინგ. სარა- ლან; ქვ. რჭ. კაპარი		<p>თუთუბოსებრთა (Anacardiaceae) ოჯახის პატარა ზომის დატოტვილი ბუჩქია, იშვიათად 2–5 მ-მდე სიმაღლის ხე. ფოთლები მორიგეობით განლაგებული, მარტივი, მობლაგვო, მოგრძო-კვერცხისებრი ან ფართო უკუკვერცხისებური, (3)5–10 სმ სიგრძის, 3–4(7) სმ სიგანის, კიდემთლიანი, იშვიათად კიდედაკბილული, წვერზე ბლაგვი, მომრგვალებული ან მცირეოდენ ამოკვეთილი, ძირთან მუქი მწვანე ან მოლეგო-წითელი; ქვედა მხარეზე უფრო მკრთალია, ჩვეულებრივ, ძარღვების გაყოლებით არახშირი მოკლე ბეწვებით. ფოთლის ყუნწი 1–4(6) სმ სიგრძისაა, მეტწილად შებუსვილი. ყვავილები პატარა ზომისაა 3 მმ დიამეტრის, მწვანე ან სოსანი ფერის, ხშირად განუვითარებელი, შეკრებილია 15–30 სმ სიგრძის და 7–12 სმ სიგანის კენწრულ ფარჩხატ საგველა ყვავილედად. განუვითარებელი (უნაყოფო) ყვავილების დაგრძელებული ყუნწები მოწითალო, მომწვანო ან მოთეთრო გაფარჩხული ბეწვებითაა მოფენილი. სანაყოფე ყვავილების კი – ჩვეულებრივ, შიშველია, ზოგჯერ გაფარჩხული ბეწვებითაა შედარებით ნაკლებ შებუსვილი. ჯამის ფოთლები და გვირგვინის ფურცლები ხუთ-ხუთია, ყვავილედში ნაყოფები მცირერიცხოვანია, მოყვანილობით ირიბი უკუკვერცხისებური ან თირკმლისებრი, 3–5 მმ სიგრძის, 1–1,5 მმ სიგანის, მომწვანო, მომწიფებისას მოშავო, ბადისებრ-ძარღვიანი და დანაოჭებული. ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფიანობს ივლის-სექტემბერში.</p> <p>თრიმლი სინათლის მოყვარული და სიმშრალის ამტანი მცენარეა. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე მთისწინა ბუჩქნარებსა და ტყისპირებში მთის შუა სარტყლამდე, თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელებულია იმიერ და ამიერკავკასიაში, ყირიმში, შუა აზიაში, ხმელთაშუაზღვის მხარეში. თრიმლი სამეურნეო და დეკორაციული მნიშვნელობის მქონების მარტივი მცენარეა.</p>

			<p>ლობის მცენარეცაა, ამიტომ ხშირად აშენებენ. ი. ქუთათელაძის მონაცემებით საქართველოში ფოთლები შეიძლება დამზადდეს 500 ტ-მდე, მშრალ მასალაზე გადაანგარიშებით.</p> <p>თრიმლის ფოთლებს აგროვებენ დასაწყისიდან ნაყოფების სრულ სიმწიფემდე. კრეფენ მთლიან, მწერებით დაუზიანებელ ფოთლებს. დამზადება ერთი და იგივე ნაზარდებიდან დასაშვებია ყოველწლიურად. ნედლეულს აშრობენ ფარდულებში, თუნუქის სახურავიან სხვენზე, კარგ ამინდში შესაძლებელია მზეზე გაშრობაც. ხელოვნური შრობისას ოპტიმალური ტემპერატურაა</p> <p>ნედლეული მთლიანი ან დამტვრეული ფოთლებია, კარგად გამოხატული ფრთისებრდაძარღვით, გრძელი ყუნწებით. სუნი არომატული, გემო – ძელგი. სახ. სტანდარტით ტანინის შემცველობა არანაკლებ 15%, ფლავონოიდების ჯამის – არანაკლებ 1%.</p> <p>ფოთლებში დადგენილია ჰიდროლიზებადი ჯგუფის მთრიმლავი ნივთიერებები 30%-მდე, მასში ტანინის შემცველობა 15% და მეტია. გარდა ამისა, არის ნახშირწყლები (8%), ფენოლკარბონის მჟავები და მათი ნაწარმები: გალის (6%), დიგალის მჟავები და გალის მჟავას მეთილის ეთერები; ფლავონოიდები: ქვერცეტინი, მირიცეტინის 3-α-L-რამნოფურანოზიდი, ქვერცეტინის 3-β-D-გლუკოპირანოზიდი; ლეიკოანთოციანები: ლეიკოანთოციანიდი, ლეიკოდელფინიდინი, დელფინიდინის 3-გალაქტოზიდი, პეტუნიდინის 3-გლუკოზიდი, ციანიდინის 3-გლუკოზიდო-7-რამნოზიდი და სხვ.; პიროკატექინი, ციკლიტოლები, ცვილები, ეთეროვანი ზეთი.</p> <p>თრიმლი და მასთან ერთად თუთუბო, როგორც სამედიცინო ტანინის სამრეწველო ნედლეული, გამოავლინა და დანერგა პრაქტიკაში ი. ქუთათელაძემ, მანვე ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ტანინის წარმოებას სამამულო ნედლეულის ბაზაზე.</p> <p>ფოთლებიდან იღებდნენ ტანინს. მისი ხსნარი ლორწოვან გარსთან ან ჭრილობების ზედაპირთან შეხებისას იწვევს</p>
--	--	--	---

					ლორწოვანისა და ექსუდატის ცილების შეხვეჭას, ქმნის გარსს და იცავს მგრძნობიარე ნერვულ დაბოლოებებს. თრიმლის ტანინილან ამზადებენ პრეპარატებს „ტანალბინს“ და „ტანსალს“ – შემკვრელ საშუალებებს, ხოლო ფლავონოიდების აგლიკონების ჯამისაგან „ფლაკუმინს“, რომელიც ნაღვლის-დამდენი და სპაზმების მომხსნელი საშუალებაა. თრიმლის ფოთლების წვენი და ექსტრაქტი ამჟღავნებს ფუნგიციდურ აქტივობას.
30.	თუთა, თუთის ხე	<i>Morus alba</i> L.	ქრთ. ფურცლითუთა; ქრთ., კბ. მჭადა, ფურცელი; კბ. მრეში; ქზყ. ჯალღა; იმ., რჭ., ლჩხ. ბჟოლა; ოკრ. ჯორაბჟოლა; გურ., აჭ., ჭნ., მგრ. ბჟოლი; აჭ. ჟოლი; ინგ. მამალ გაჰრაი, ჟალღა; ჭნ. მჟოლი; მგრ. მჟოლი, ჯამბი, ჯაპი.		<p>თუთის ხე, ბჟოლა თუთისებრთა (Melanthiaceae) ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ხეები და იშვიათად ბუჩქები. ორსახლიანი, იშვიათად, ერთსახლიანი მცენარეა, ერთსქესიანი ყვავილები შეკრებილია თავაკებად ან თავთავისებრ ყვავილედებად. ნაყოფი სხვადასხვა ფერის ცრუ რთული კურკიანაა. გვარი შეიცავს 24-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში, სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, ნაწილობრივ აფრიკაში.</p> <p>საქართველოში იზრდება თუთის 2 სახეობა თეთრი თუთა (<i>Morus alba</i>) და ხართუთა (<i>Morus nigra</i>). თეთრი თუთა ჩვენში უძველესი დროიდანაა მოშენებული. მის სამშობლოდ ჩინეთს მიიჩნევენ. აშენებენ საქართველოს დაბლობ რაიონებში, აგრეთვე იზრდება გაველურებულად მთელ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ჭალის ტყეებში. სინათლის მოყვარული და საკმაოდ გვალვაგამძლეა, ეტანება ღრმა, ნოყიერ ნიადაგს. ბუნებრივ პირობებში ცოცხლობს 200-300, იშვიათად 500 წელს. თუთის ნაყოფს, რომელიც შაქარს შეიცავს, იყენებენ საკვებად (როგორც ნედლს, ასევე გამხმარს), აგრეთვე სხვადასხვა საკვები პროდუქტისა და არყის დასამზადებლად. მერქანს იყენებენ სადურგლო და სახარატო საქმეში. ხართუთა მოშენებულია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც აგრეთვე გაველურებულად გვხვდება ჭალის ტყეებში. ნაკლებ ყინვა- და გვალვაგამძლეა, ფოთოლი საკვებად უვარგისია. მისი სამშობლოა წინა აზია. თუთის შემადგენლობა: წყალი, გლუკოზა, თავისუფალი მჟავები,</p>

					უმეტესად ლიმონისა და ვაშლისა, აზოტოვანი ნივთიერებანი, პექტინი, ცხიმები, მარილები და ალოე, ნაცარი. შავი თუთის წვენი შეიცავს 20-25 გრ ლიმონის მჟავას ერთ ლიტრზე. შავი თუთა თეთრისგან იმით განსხვავდება, რომ შეიცავს ორჯერ მეტ რკინას. ხალხურ მედიცინაში წითელ თუთას იყენებენ ფაღარათის დროს, როგორც შარდსადენ საშუალებას. თუთის ნაყოფის ნახარშს ხმარობენ გამოსავლებად ყელის დაჩირქების დროს.
31.	<b>თუთუბო</b>	Rhus coriaria L.	რჭ. თუთუბო; აჭ. თრიმლი; ინგ. სუმახ.		მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარი თუთუბოსებრთა (Anacardiaceae) ოჯახისა. აქვს პატარა ერთ- ან ორსქესიანი ყვავილი, წითელი კურკოვანი ნაყოფი. გვარის 150-მდე სახეობა გავრცელებულია სუბტროპიკულ და, ნაწილობრივ, ტროპიკული ჰავის ზონებში. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული თუთუბოს ერთი სახეობა Rhus coriaria, რომელიც ველურად იზრდება. თუთუბო პატარა ხე ან ბუჩქია. აქვს მორიგეობითი, მჯდომარე, მოგრძო ფოთლები. ერთსქესიანი, წვრილი, მოთეთრო ყვავილები. სიმაღლე 1-3 მ. ყვავილობს ივნის-ივლისში. მისი ფოთლები და ნორჩი ყლორტი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, მეთილის მჟავას, მირიციტრინს დ სხვა ფლავონოიდებს. ფოთლების, ღეროს ქერქისა და ნაყოფისაგან მიიღება სხვადასხვა ფერის საღებავი. ნაყოფს მომჟავო გემო აქვს და საჭმლის საკაზმად იხმარება. ფოთლების ნაყენს აქვს შარდმდენი თვისება; არის შემკვრელი, სისხლალმდგენი, ანტისეპტიკური, ჭრილობებშემახორცებელი. წყალთან ნაყენი გამოიყენება ფაღარათის, კოლიტის, ბუსილის, რევმატიზმის, სისხლდენის სამკურნალოდ. დანაწევრებულ ნორჩ ფოთლებს იდებენ დამწვრობაზე და ჩირქიან ადგილებზე. წყალთან ნაყენს ხმარობენ სავლებადაც.
32.	<b>თხაწართხალა</b>	Chamaenerium angustifolium (L.) Scop.	აჭ. ყულაფი, ხარიკუდა.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე Onagraceae ოჯახისა, მსხვილი ძირითა და მარტივი ღეროთი. სიმაღლე 60-150 სმ. ფოთლები მორიგეობითი, ლანცეტური. მსხვილი, ლილისფერ-მოწითალო ყვავილები შეკრულია ფუნჯებად წვეროში. ნაყოფი მოგრძო კოლოფია. ხარობს შერალ ადგილებში. მისი ფოთლები შეიცავს ტანინებს, ლორწის, ალკალოიდებს, შაქარს,

					პექტინს, კუმარინებს, მჟავებს. ითვლება კარგ ანთების საწინა-აღმდეგო საშუალებად. მისი ყვავილებისაგან აწარმოეს ახალი პრეპარატი ხანეროლი, რომელიც გაციების საწინააღმდეგოდ გამოიყენება. კარგად მოქმედებს გულის მუშაობაზე. ხალხურ მედიცინაში მისი საშუალებით მკურნალობები თავის ტკივილს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, კუჭნაწლავის დაავადებებს. ნაყენს იყენებენ დამამშვიდებლად, უძილობისას, სიცხის დასაწევად, წყლულების მოსაშუშებლად...
33.	<b>თხილი</b>	<i>Corylus</i>	მთ. რჭ. ფთხირი, ფთხილი; ქნ. მთხირი; მგრ. თხირი; სვნ. შდიხ, შდახანდ, შდიხად.		ფოთოლმცვივანი ბუჩქების, იშვიათად ხეების გვარი არყისებრთა (Betulaceae) ოჯახისა. მტვრიანებიანი ყვავილები უყვავილსაფროა და მჭადა ყვავილედადაა შეკრებილი, ბუტკოიანი ყვავილები კვირტშია ჩამალული და გარეთ მხოლოდ დინგები აქვს გამოყოფილი. თითოეული ყვავილის ირგვლივ ვითარდება სამ-სამი ურთიერთშეზრდილი თანაყვავილედი, რომელიც ნაყოფის მომწიფებისას დიდდება და სხვადასხვა ფორმის ნაყოფსაფარს ქმნის. ნაყოფი ერთეულიანი კაკალია. გვარი შეიცავს 20-მდე სახეობას, რომლებიც გავრცელებულია ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ფოთლოვანი ტყეების ზონაში. საქართველოში ტყეებში ზღვის დონიდან 1500-1800 მ-მდე ბუნებრივად იზრდება თხილის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თხილი ( <i>Corylus avellana</i> ) ბუჩქი ან 8-მდე სიმაღლის ხეა, გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება ქვეტყედ მუხნარებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყეებში, სუბალპური მეჩხერში. ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებერვალ-მარტში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერში. პონტოური თხილი ( <i>Corylus pontica</i> ), იმერული თხილი ( <i>Corylus imeretina</i> ), და კახური თხილი ( <i>Corylus cachetica</i> ). სამკურნალოდ იყენებენ ნაყოფს, ყლორტს, ფოთოლს, ფესვს და ზეთს. არის შემკვრელი, ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, სისხლაღმდეგნი, შარდმდენი, საერთო გამაგრილებელი თვისებების მქონე. ხალხურ მედიცინაში იყენებენ დასუსტებული ავადმყოფებისათვის, ფილტვებით დაავადებულთათვის, ციებ-ცხელების, ნაღველ-

					კენჭოვანი დაავადებისას, ნაწლავების მეტეორიზმის დროს.
34.	<b>თხმელა, მურყანი ჩვეულებრივი</b>	<i>Alnus barbata</i> C.A.M.	მხვ. მურყანაის ხე; იმ., რჭ., ღრჩ. თხმელა, რთხმელა; გურ. თხემლა; ჭნ. თხომბუ, თხომუ; მგრ. თხომ, თხუმ, თხუმუ; სვნ. ბელყაჩ, ბელყეჩ.		<p>ერთსახლიანი ზაფხულმწვანე ხეებია არყისებრთა (Betulaceae) ოჯახისა, იშვიათად ბუჩქები (საქართველოში მხოლოდ ხეები). 30-მდე სახეობა გავრცელებული. შავი მურყანის ანუ თხმელას (<i>Alnus glutinosa</i> (L.) Gaertn.) სიმაღლეა 30-38 მ. მუქი რუხი დაშაშრული ქერქი, სუსტად შებუსული ან შიშველი ფოთლები აქვს. გავრცელებულია ყველგან, გარდა ჯავახეთისა. იზრდება დაბლობებში. სითბოს მოყვარულია. იზრდება სწრაფად. რბილი, ღია მოწითალო, მყიფე მერქანი აქვს. იყენებენ სადურგლო და სახარატო საქმეში; ნაცარა მურყნის (<i>Alnus incana</i>) სიმაღლეა 15-18 მ. გლუვი ქერქი აქვს, ფოთლები ქვედა მხრიდან რუხია, ხავერდისებრი. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იზრდება წიფლნარში, შერეულფოთლოვან ტყეში. ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. ცოცხლობს 50-60 წელს (იშვიათად 100 წლამდე). შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ფოთოლი - გლიკოზიდებს, კვარცეტს, მჟავეებს, ვიტამინებს; ქერქი- ტრიტერპენოიდებს და მთრიმლავ ნივთიერებებს. გირჩების ნაყენს კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს და ნაწილობრივ სისხლის შემაჩერებელ საშუალებად ხმარობენ. იყენებენ საფენებისათვის და პირში გამოსავლებად. ადრე გაზაფხულზე შაქართან შერეულ მურყნის მტვერს საკვებად იყენებენ.</p>

1.	օա	Viola odorata L.	դեղլ. օա-օա	<p>օսկյծրտա (Violaceae) ոչակե զբաղցնուն. մրացալովանո ծալաեռցանո մշենարյա, մռմրցալո զյըշտանո, զրոտլեցի յռնեծագ այցե ծանլունացյէլշլո. աեսեօտյեծ մեռեացո զյըշյրա, րռմլունանաց զոտարցեծ մի՞նիսնեցա լա յո՞նիսէկցէմա յլորթյեցո. սասոամռցնո սյնուն մյոնյ լոյրէո պազոլոցի ցրմել զյեթյ յրույլած սեցան. պազոլոցի ասմյէրույլուն. սայարտցալոմի զարտուծ ացրյուն ցազրցելեցյլո. յոլուրամո Շյմուրանունու րոշորց ճյշորաբույլո մշենարյ.</p> <p>ծյըլ յարտույլ սամեցունու եցլնամյընդի օա ցցեցցի ծանացմաս սաելովուցեցիուն.</p> <p>սամշյրնալուն ումարյեծուն օուն ցոտուոլո, մորո, պազոլո, ոյըսլո; ամիացյեծնեն օուն նյընս, նյալս, չյուլածս, մաչյնս, մարձատս, նյտս, սամյելս, ըլուս, յյուրսս, մատեյս. ցարծա ամուսա, օուն ցուցեալ պազոլոցի եթորած ազամյուոցի յյորունեն լուցոնիյ սյրնելունուսատցուն, ացրյուն տացուն նյուունուն լուցուն. մալուսան եմուրած ացեցցի օուն նյտուն սեյյլուն սայրուու ան մյուցանո այցուոցի լանցուն. օուն մարձատս եմարունեն եցլուն սամունամմուցարու, ացրյուն մարցուն նյցացցի լուցուն. օուսա լա լոյլույցարուն մարձատուու ումարյեծուն եցլունսա լա սայցույլունուսատցուն. օա ումարյեծուն պարուսա լա տացուն նաեցարո մեարուն նյուունուսատցուն.</p> <p>սամշյրնալուն եմարունեն ծանացմաս յյուրսս, րոմյելսաց մյմցունար ոցուսկյեցի մի՞յրունեն: „յյուրսս ծանացմաս արցեցի նայրասա լա տացուն նյուունուս նյուունուս մարձատուն պարուսա լա սայցույլունուսատցուն. օա ումարյեծուն պարուսա լա տացուն նաեցարո մեարուն նյուունուսատցուն.“ (Ն. 72).</p> <p>օա ամյամած յույրնետուոցան մշենարյա ուուցուն. մուս զյըշյեցի նյուունուս ալյալուն զուռլունս, րոմյելուն ոցուսկյեցիուն յաելունցուն ալյալուն յմյէրուն. ցարծա ամուսա, օուն ցոտուոցի նյուունուս մարձատուն պարուսա լա սայցույլունուսատցուն. օա ումարյեծուն պարուսա լա տացուն նաեցարո մեարուն նյուունուսատցուն.</p> <p>տանամյժուրուց պարմայրակցամուն օա մյունունու առ արուս.</p>
----	----	------------------	-------------	---

2.	<b>იალღუნი</b>	Tamarix L.	<p>ქრთ. ილღუნი, ჭალური; კბ. ილღუნი, ულღუნი; ქზყ. ულღან, ყამჩიტარა; მთ. რჭ. სამასრე ტირიფი.</p>		<p>მერქნიან მცენარეთა გვარი, Tamaricaceae ოჯახისა. ზაფხულმწვანე, იშვიათად მარადმწვანე ბუჩქები ან ტანდაბალი ხეებია. სიმაღლე 3-12 მ-ს აღწევს. წვრილი გრძელი ყლორტები დაფარული აქვთ პატარ-პატარა მოცისფრო ან მონაცისფრო ქერქლისებრი ფოთლებით, რომლებიც მარილის გამოყოფი ჯირკვლებით არის მოფენილი. საქართველოში 3 სახეობაა. გვხვდება როგორც ბარად, ისე მთაში. იზრდება ჭალის ტყეებში, ზღვისპირა ქვიშაზე, ტბების, მდინარეების და სარწყავი არხების ნაპირებზე, რიყეზე. იალღუნი სინათლის მოყვარული და სწრაფმზარდია. კარგად იტანს გვალვას. თავისი ნაზი ფოთლებისა და უხვი ყვავილების გამო ძალზე დეკორატიულია, განსაკუთრებით გამოსადეგია მლაშობების გასამწვანებლად. თაფლოვანი მცენარეა. ზოგი სახეობა სარწყავი კულტურების სარეველაა. მერქანს იყენებენ სახარატო საქმეში. შეიცავს საღებავ და მთრიმლავ ნივთიერებებს. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე, მწიფდება სექტემბერში.</p> <p>იალღუნს აქვს შემკვრელი, ოფლმდენი, შარდმდენი, ტკივილგამაყუჩებელი და სისხლალმდენი თვისებები. ფოთლების წყალში ნაყენს ან ნახარშს იყენებენ კუჭაშლილობისა და სისხლდენისას, რევმატიზმისას, ელენთის ტკივილისას. ყვავილების ნაყენს იღებენ ნაღვლის დაავადებისას. ჩერქეზეთში იყენებდნენ უშვილობისას და სიფილისის სამკურნალოდ. ხმარობენ კომპრესებად და აბაზანებში.</p>
3.	<b>იაპონური აუკუბა</b>	Aucuba japonica Thnb.			<p>ოქროს ხე. აუკუბასებრთა (Aucubaceae) ოჯახს ეკუთვნის. იაპონური აუკუბა (Aucuba japonica) მარადმწვანე ბუჩქია, აქვს დიდი ფოთლები და პატარა, მუქი მურა ყვავილები, წითელი, ყვითელი ან თეთრი ნაყოფი. ოთახისა და ორანჟერეის დეკორატიული მცენარედ ითვლება. კულტივირებულია კავკასიში შავი ზღვის სანაპიროზე და ყირიმში. საქართველოში შავი ზღვის სანაპირო ზოლის გარდა იზრდება ბოტანიკურ ბაღებსა და ბაღ-პარკებშიც. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ფოთლებსა და ნაყოფს. დანაწევრებულ ფოთოლს</p>

					იდებენ დამწვრობაზე, შესიებაზე, ჭრილობებზე. საერთოდ შხამიანი მცენარეა.
4.	იაპონური ზღმარტლი, ლოქვა	<i>Eriobotrya japonica</i> Lindl.	გურ. ბაშმალა		მუშმულა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის მარადმწვანე სუბტროპიკული ხე ან ბუჩქია. მცენარე 6-8, იშვიათად 9 მ სიმაღლემდე იზრდება. ნაყოფი მრგვალია, ოვალური ან მსხლისებრი ფორმა აქვს, წვენიანია, მომჟავო-ტკბილი; ნარინჯისფერი ან ყვითელია. მოჰქავთ შავი ზღვის სანაპიროსა და ყირიმის სამხრეთ რაიონებში, აგრეთვე შუა აზიის ზოგ რაიონებში. მცენარე ყვავილობს ნოემბერ-დეკემბერში, ნაყოფი მწიფდება მაის-ივნისში. იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (კომპოტი, მურაბა და სხვა), თესლისაგან ამზადებენ ყავის სუროგატს. მუშმულა მრავლდება თესლითა და მყნობით. იაპონური ზღმარტლის ფოთლები შეიცავს ეთერულ ზეთს, შაქარს, მჟავებს, ვიტამინებს, ალკალოიდებს, იგი კარგი ამოსახველებელი და ხველის საწინააღმდეგო მცენარეა. ნაყენი ამაღლებს ფერმენტების აქტიობას და ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. მკურნალობს წყლულებსა და მუცლის ტკივილს.
5.	იაპონური პირშუშხა	<i>Wasabia japonica</i> Matsum.			პირშუშხას უძველესი დროიდან იყენებენ. ფესვებს აგროვებენ შემოდგომაზე. იგი გამოიყენება საკმაზად და ქრონიკული რევმატიზმის სამკურნალოდ, ბუასილის, რადიკულიტისა და მიოტიზის დროს. იგი აწესრიგებს ნაწლავების მუშაობას. ფესვების ნაყენს იყენებენ შარდმდენად. ანტიმიკრობული საშუალებაა, ხელს უწყობს ჩირქოვანი წყლულების შეხორცებას. მისი ნაყენი კარგი საშუალებაა ჭყურტის (წყლისა) და მალარიის სამკურნალოდ. იყენებენ ჭიების, დიზენტერიისა და ღვიძლის დაავადების შემთხვევაში.

6.	იაპონური სოფორა	Saphora japonica L.			სოფორა 25 მ სიმაღლის ხეა პარკოსნების (Fabaceae) ოჯახის, მსხვილი, გაშლილი ფესვებით, აკაციისმაგვარი ტოტებით და ოდნავ გადახრილი ღერძით. ფოთლები წყვილი, კვერცხისებური, ზემოდან – მუქი-მწვანე, ქვედა მხარე – მორუხო-მოთეთრო. ყვავილები წვრილი, ყვითელი, ცოცხი-სებრ შეკრული. ნაყოფი – პარკები. ყვავილებისაგან მიიღება რუტინი. ნაყოფი და ყვავილები შეიცავენ სიფოროზიდს, რუტინზიდს, გენინსტეინს და სხვა ალკალოიდებს. რუტინი ამაგრებს ძარღვების კედლებს. იგი გამოიყენება ჰიპო- და ავიტამინოზის დროს, ძარღვების დაავადებებისას, დიათეზის სამკურნალოდ, თვალის კაპილარის, ალერგიის, ტიფის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება მისი ნაყენიც. განსაკუთრებით ფართო გამოყენება აქვს ხალხურ მედიცინაში: შინაგანი სისხლდენები, სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია, რევმატიზმი, სეპსისი, ტრომბოფლებიტი, კუჭნაწლავის დაავადებანი და სხვა. იხმარება გარეგანადაც.
7.	იაპონური შროშანა	Ophiopogon japonicus Ker-Gawl.			შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლოვანი მცენარე. სამშობლო - იაპონია, ჩინეთი. აქვს გრძელი და წვრილი, ხაზოვანი ფოთლები სიგრძით 30 სმ. ყვავილობს ზაფხულში. ყვავილები თეთრი ან იისფერი. ნაყოფი კენკრაა. ძირითადად ორანჟერიებში გამოიყენება. მის ყვავილებს სამკურნალოდაც იყენებენ. ხმარობენ ქუშისა და გულისცემის გასაუმჯობესებლად. ნახარშებით მკურნალობენ მუცლის ტკივილებს, თვალის დაავადებებს, გაციებას. მისი მთავარი მოქმედი ნივთიერებებია კონვალიარინი და კონვალიარიმინი, რომლებიც დადებითად მოქმედებენ გულის მუშაობაზე.
8.	იაპონური ხურმა, აღმოსავლური ხურმა	Diospyros kaki L.			12 მ-დე სიმაღლის ფოთოლმცვენი მცენარეა. აბანოზისებრთა (Ebenaceae) ოჯახისა ფოთლები დიდია, მოხაზულობით კვერცხისებრი ან მოგრძო ელიფსური, 7-16 სმ სიგრძის, კიდემთლიანი, ზემოდან მუქი-მწვანე, პრიალა, ქვემოდან უფრო ლეგა მწვანე, ორსახლიანი მცენარეა. ორი-სამი ყვავილი ჯგუფადაა განლაგებული ფოთლის იღლიაში, ყვავილები მოყვითალო ფერისაა. მომრგვალო ნაყოფი სრულ სიმწიფედე

					<p>მოყვითალო-წითელია, მწიფე კი მოშავო-მუქი, ლეგა ლურჯი ელფერით. მწიფე ნაყოფი მწვლარტეა, გადამწიფებული კი ძალიან ტკბილი და გემრიელია.</p> <p>ნაყოფი შეიცავს შაქრებს, პექტინოვან ნივთიერებებს, ცხიმს, ვიტამინ C-ს, კაროტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფოთლები – დიდი რაოდენობით მთრიმლავ ნივთიერებებს და C ვიტამინს.</p> <p>ნაყოფებს ჭამენ უმად, ყინავენ, ახმობენ, იყენებენ საკონდიტრო მრეწველობაში და მედიცინაში კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობისას. ფოთლებისაგან ამზადებენ ვიტამინურ ჩაის.</p>
9.	იაჟუჟუნა, სამფერა ია	Viola tricolor L.			<p>ორწლოვანი ბალახოვანი იისებრთა (Violaceae) ოჯახის მცენარის სახეობა. ზოგჯერ ნახევრად ბუჩქებია. აქვს მორიგეობით განწყობილი ან ფესვთანურ როზეტად შეკრებილი, იისფერი, ყვითელი და თეთრი მარტოული ყვავილები. გვირგვინის ქვედა ფურცელი წარზიდულია დეზად, რომელშიც სანექტრეა მოქცეული. ზოგიერთს უვითარდება ყვავილები. ნაყოფი სამსაგდულიანი კოლოფია. გავრცელებულია დეკორატიულ მებაღეობაში. ფართოდ იყენებენ ისეთ ფორმებსა და ჯიშებს, რომლებსაც სხვადასხვა შეფერილობის ყვავილები აქვთ. ველურ იაჟუჟუნას მედიცინაში ამოსახველებელ საშუალებად იყენებენ. მისი ექსტრატები, აქვთ რა ანტიბაქტერიული ქმედება, მინერალური ნივთიერებების შემცველობის გამო, ხსნიან კანის დაძაბულობასა და ანთებას.</p>
10.	იასამანი	Syringa vulgaris L.	მსხ. ლეიილადი.		<p>ფოთოლმცვივანი პატარა ხე ან ბუჩქია ზეთისხილისებრთა (Oleaceae) ოჯახისა. ცნობილია 30-მდე სახეობა. გავრცელებულია აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში, აღმოსავლეთ ევროპაში. კულტურაში მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი, სპარსული, უნგრული და ჩინური იასამნები. ჩვეულებრივი იასამანი, 5-7 მ სიმაღლის ბუჩქი ან ხეა. მისი სამშობლოა ბალკანეთის ნახევარკუნძული და მცირე აზია. მუქი მწვანე წვეტიანი ფოთოლი აქვს. ფუძე გულისებრი, სურნელოვანი, თეთრი, ლილისფერი ან იისფერი. ყვავილი</p>

					მარტივია ან ბუთხუზა. იზრდება ნათელ ადგილებში, ყვავილობს ადრე გაზაფხულზე, ყინვა- და გვალვაგამძლეა. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. სპარსული იასამანი 2 მ სიმაღლის ბუჩქია. აქვს ლანცეტისებრი ფოთოლი. გვალვაგამძლეა, ცუდად იტანს ზამთარს. მრავლდება უმთავრესად ვეგეტატიურად. უნგრული იასამანი სიმაღლით 3-4 მ-იანი ბუჩქია. აქვს ელიფსური ფოთოლი, წვრილი ყვავილი ლილისფერია ან იისფერი. მრავლდება თესლითა და კალმით. გვალვაგამძლეა, კარგად იტანს ზამთრის პირობებსაც. ჩინური იასამანი ჩვეულებრივი და სპარსული იასამანის ჰიბრიდია. მრავლდება ვეგეტატიურად. პარფიუმერიაში იყენებენ იასამნის ყვავილის ექსტრატს, სადურგლონ საქმეში - მერქანს. იასამნის ნაყოფი თესლიანი კოლოფია. ყვავის მაისივნისში. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილი და ფოთოლი. ყვავილი შეიცავს ეთერზეთებს, ფენელგლიკოზიდ სირინგიდს, ალკალოიდებს; ფოტოლი- ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, სახამებელს, ამინომჟავებს, ვიტამინებს, ფიტოცინდებს. გამოიყენება ანთების საწინაღმდეგოდ, ანტიმიკრობულ, დამამშვიდებელ, ტკივილგამაყუჩებელ, შარდმდენ, ნივთიერების ცვლის მარეგულირებელ და ალერგიის სამკურნალო საშუალებად. მცენარე შხამიანია.
11.	ილი	Elettaria cardamomum Maton et White	საბა კაკულა, ჰილი.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე. აქვს მხოხავი ფესურა და ღია, მწვანე ყვავილები, ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია. თესლს ხმარობენ კულინარიაში, შეიცავს ზეთს, რომელსაც იყენებენ კვების და მრეწველობაში, აგრეთვე მედიცინაში. იზრდება სამხრეთ ინდოეთისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ტენიან მთის ტყეებში; კულტივირებულია ინდოეთში (ცეილონზე), ინდოეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ ჩინეთში. უფრო ფასობს მალაბარისა და მაისურის ილი.

12.	<b>იმერული ირაგა</b>	Anthemis Woronowii D. Sosn.	ქვ. რჭ. კავია; გურ., აჭ. კავირიე; ოკრ. მიმასტარა; იმ. ნინასტარა; ლჩხ. მინასტარე.		<p>ერთწლიანი, 35 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა, ძლიერ დატოტ-ვილი დეროთი. ფოთლები მორიგეობითია. კალათები სხედან სათითაოდ ყვავილის გრძელ ყუნწზე, ტოტების კენწრულ ნაწილში და აქვთ თეთრი ენისებრი და ყვითელი მილისებრი ყვავილები. ისინი თეთრი ფერისაა, სამკბილიანი, ენისებრი გვირგვინით. ნაყოფი თესლურაა. მცენარე სურნელოვანია, ყვავილობს თითქმის მთელი ზაფხული. ყვავილედი შეიცავს ეთერზეთს, სპაზმოლიტური ქმედების გლიკოზიდ-აპიგენონს, ამიტომ მას ხმარობენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ სამუალებას ნაწლავების სპაზმების დროს. ეთერზეთის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს წარმოადგენენ ქამაზულენი და პროჟამაზულენი. მედიცინაში ყვავილების ნაყენს იყენებენ ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკურ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად პირის ღრუს დაავადებების (სტომატიტები და სხვა), ტონზოლიტებისა და ანგინის დროს; მას უნიშნავენ მწვავე და ქრონიკული გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტების, ენტეროკოლიტების საწინააღმდეგოდ, ღვიძლისა და ნაღვლის სადინარი გზების დაავადების დროს. მისი პრეპარატები ამცირებენ ნაღვლის სადინარების სპაზმებს, აძლიერებენ ნაღვლის გამოყოფას, ამცირებენ ანთებით პროცესებს. ნაწლავების სპაზმებისა და მეტეორიზმისას იყენებენ ირაგას დამამშვიდებელ ჩაის. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი პროცესების, მეტეორიზმის, ფალარათის, ნაღვლის სადინარების დაავადების დროს. ნიკრისის ქარისა და რევმატიული ტკივილების საწინააღმდეგოდ იკეთებენ გვირილის ყვავილების აბაზანებს, ხოლო ბუასილის დროს იყენებენ გარეგან საშუალებად. ამ ნაყენს ხმარობენ აგრეთვე თვალების მოსაბანად ანთებითი პროცესების დროს.</p>
-----	--------------------------	--------------------------------	--	---	--

13.	<b>ინდური კანაფი</b>	<i>Cannabis indica</i> Lam.	ხალხური დასახელებები: ჰაშიში, ჰაშიშის ბალახი, მარიჩუანა, მაკონა		ნარკოტიკული ბალახი კანაფისებრთა (Cannabaceae) ოჯახისა. აღწევს ერთიდან ექვს მეტრამდე სიმაღლეს. ფოთლები - რთული, თითისებური; ყვავილები მჭიდრო, დისკოსებური. შეიცავს: კანაბინოიდებს, ტეტრაკიდრო-კანაბინოიდებს, ეთერულ ზეთს, ფისებს, ხოლინს, ორგანულ მჟავებს... მისგან იღებენ სუსტ ნარკოტიკებს. არის ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ჰომეოპათიაში იყენებენ თირკმლებისა და შარდსასქეს გზების სამკურნალოდ.
14.	<b>ინდური კვლიავი, აიოვანი, აუგონი</b>	<i>Carum copticum</i> (Link) Bent. et Hook			ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახის მცენარეა. აფრიკასა და აზიაში ცნობილია ოცამდე ჯიში. მეტნაკლები მნიშვნელობა აქვს ერთწლოვან სურნელოვან აიოვანს - <i>Trachyspermum ammi</i> ( <i>Carum ajowan</i> ), რომელსაც სწორმდგომი, განტოტვილი ღერო, წვრილხაზოვანი, ფრთისებრი ფოთლები, პატარ-პატარა ყვავილები, ისფერი ან თეთრი აქვს. ნაყოფი წვრილი და სპეციფიკურსურნელიანია. თესლი შეიცავს ეთერულ ზეთს, ცხიმოვან ზეთს, ცილებს. ეთერული ზეთი, თავის მხრივ, შეცავს თიმოლს, რომელიც ძლიერი ანტისეპტიკური საშუალებაა. ამავე დროს, აიოვანი გამოიყენება წამლებისათვის სურნელის მისაცემად.
15.	<b>ინდური ლოტოსი</b>	<i>Nelumbium nucifera</i> Gaertn.			წყლისა და ხმელეთის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი. აქვს გრძელყუნწიანი, წყალზე მოტივტივე და წყლის ზემოთ ამოშვერილი დიდი, ფარისებრი ფოთლები და ეული ყვითელი ან ვარდისფერი ყვავილები. ლოტოსის 2 სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელსა და ტროპიკებში. ვარდისფერყვავილებიანი ( <i>Nelumbo nucifera</i> ) გავრცელებულია ინდოჩინეთისა და ინდოსტრიანის ნახევარკუნძულებზე. ინდოეთსა და ჩინეთში ლოტოსი ძველთაგანვე საღვთო მცენარედ არის მიჩნეული. ( <i>Nelumbo lutea</i> ) იზრდება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკის ატლანტიკურ სანაპიროებსა და კუნძულებზე. ლოტოსის ყველა ნაწილში და კაუჩუკია, ყუნწებსა და და ღვევებში — შხამიანი ნივთიერება ნელუმბინი. თესლსა და ფესურებს საჭმელად და საქონლის საკვებად იყენებენ. ე. წ. ეგვიპტური ლოტოსი შეიცავს

					<p>ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ალკალოიდებს და ფლავონოიდებს.</p> <p>როგორც სამკურნალო მცენარე, ლოტოსი უძველესი დროიდან იყო ცნობილი აღმოსავლეთში. ჩინურ, ინდურ...მედიცინაში მას იყენებდნენ მატონიზერებელ, კარდიოტონურ და ზოგადმომაძლიერებელ საშუალებად.</p>
16.	ინდური ჟასმინი	<i>Jasminum sambac</i> Ait	სპ. იასემინ		<p>ორი სახის დეკორატიული მცენარე - ბალისა და ნამდვილი. ნიმფასებრთა (Nymphaeaceae) ოჯახის, ფოთოლმცვენია. ბუჩქი ან ლილიაა. ფოთლები საპირისპირო, კვერცხისებრი, დაკბილული. ყვავილები ოთხნაწილიანი, თეთრი, ყვითელი ან მოწითალო. ნაყოფი კოლოფია. საქართველოში იზრდება სამკურნალო ჟასმინი <i>Jasminum officinale</i>, რომელიც აწესრიგებს ქალის სასქესო სისტემას, გამოიყენება თერაპიული და კანის დაავადებებისათვის. აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, იყენებენ ინპალაციისათვის, აბაზანებისათვის.</p>
17.	იორდასალამი	<i>Paeonia</i> L.	ქრთ., ქზყ. ტყის ყაყაჩო; კბ. გუგულის კაბა; ზმ. რჭ. გუგული; ქვ. რჭ. ყაყაჩო; საბა იორდასალები; ნ.კ. იორდანეს სალამი		<p>ამ სახეობის წარმომადგენელთა უმრავლესობა მრავალწლიანი ბალაზია იორდასალამისებრთა (Paeoniaceae) ოჯახისა, მსხვილი ძირებით, ზოგი წარმომადგენელი ნახევრად ბუჩქია. ფოთლები სამნაწილიანია, რთული.</p> <p>საკმაოდ მოზრდილი ყვავილები ჩნდებიან სათითაოდ. ისინი ორსქესაა. ნაყოფი პარკუჭია, რომელშიც განთავსებულია თესლები. ხალხურ მედიცინაში იორდასალამის ნაყენი გამოიყენება გულის, სისხლნაკლულობის, ხველის სამკურნალოდ. აწესრიგებს საკვებგადამამუშავებელ სისტემას, აძლიერებს მადას და მჟავიანობას; იყენებდნენ მთვრალების გამოსაფხიზლებლადაც. არის ძლიერი დამამშვიდებელი საშუალება. ხალხური მედიცინა იყენებს ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, ბრონქიიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, კუჭაშლილობის საწინააღმდეგოდ.</p>

18.	იპეკო	Cephaelis ipecacuanha Rich.	ერ. ოქროს-ძირი.		ველურად იზრდება ტენიან ტროპიკულ ტყეებში. კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში. მისი სიმაღლეა 15-40 (60) სმ. აქვს წვრილი ყვავილები. ფესვები შეიცავს ალკალინიდებს (ემეთინი, ცეფაელინი და სხვა). იყენებენ ამოსახველებელ და სასაქმებელ საშუალებად.
19.	ირმის-ენა	Phyllitis scolopendrium (L.) Newm.	ფშ. ლაოშა; ლჩხ. ისიდორეს ბალახი; გურ., ქვ. იმ. ძროხიენა, ტყის ტაბელა, ფურიენა; ჭნ. გელენა, გენოლა, ფუჯიში ნენა; მგრ. ფუჯიში ნინა.		სახელი დაერქვა დიდი, მწვანე და ენის ფორმის ფოთლების გამო. ტენისმოყვარული მცენარეა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში და ჰომეოპათიაში.
20.	ისპანახი	Spinacia oleracea	საბა სპანძელი.		ბალახოვანი მცენარე ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახისა. შუა აზიაში, ირანსა და კავკასიაში ცნობილია 3 სახეობა. ყველაზე გავრცელებულია Spinacia oleracea. ისპანახის 25-50 სმ აღწევს, აქვს სამკუთხა-შუბისებური ან კვერცხისებრ წაგრძელებული სადა ან გოფრირებული ფოთოლი. კარგად იტანს სიცივეს, სწრაფად იზრდება. აშენებენ ზომიერი ჰავის ქვეყნებში. იყენებენ კულინარიაში. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები და ყლორტები. შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ვიტამინებს, კაროტინს, მინერალურ მარილებს, საპონინებს, ფლავონოიდებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, ამინომჟავებს, მინერალურ მარილებს, იოდს. არის შარდმდენი, სასაქმებელი, მეტეორიზმის საწინააღმდეგო საშუალება. სამკურნალო პროდუქტად იყენებენ სისხლნაკლულობისას, ჰიპერტონიის, შაქრიანი დიაბეტის, ტუბერკულოზის, ნერვული სისტემის დაავადების, გასტრიტის, ენტეროკოლიტის, კუჭაშლილობის, მეტეორიზმის დროს.

21.	<b>იფნურა</b>	Dictamnus caucasicus (Fisch. et Mey) Grossh.	სმბ. მყრალა-ყვავილი; ლჩხ. მოიფნიე, მეიფუნია; ზმ. იმ. ორსუნელა.		<p>მებაღეობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მცენარე (Rutaceae) ოჯახისა. აუცილებელი მისი გარეგნული ცოდნა, რადგან მასთან უბრალო შეხებაც კი იწვევს ძნელად შესახორცებელ დამწვრობას, შესუნთქვა კი ძლიერ აღიზიანებს სასუნთქ სისტემას. იფნურა მაღალი, ლამაზი მცენარეა. ფოთლები მორიგეობითი აქვს, ვარდისფერი, სხვადასხვა ფორმისა. ნექტარის შემცველი ყვავილები შეკრულია ფუნჯებად. აქვს ჩამოშვებული ძაფები. ყვავილობს მაის-ივნისში. ნაყოფიც შხამიანია. მისი მიკარება არ შეიძლება.</p> <p>იფნურას უჯრედები გამოყოფენ არა მარტო ეთერულ ზეთს, არამედ იპრიტის მსგავს დამაჩირქებელ ნივთიერებას. ბუშტუკები სხეულზე ჩნდება შეხებიდან რამდენიმე საათში და შეხორცების შემდეგ აუცილებლად ტოვებენ იარებს. მედიცინაში მისი გამოყენება ხდება მცირე დოზებით. ის ოფიცილურ ფარმაკოპეაში შეტანილი არ არის, მაგრამ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ ანტისპაზმოლიტურ და რევმატიზმების საწინააღმდეგო საშუალებად. ევროპასა და კავკასიაში მისგან ამზადებენ არომატულ წყალს, ხოლო საქართველოსა (მრგვალი წამალი) და უკრაინაში კულინარიაშიც იყენებენ.</p>
-----	---------------	--	--	---	--

1.	<b>კავკასიური სურო</b> <i>Hedera caucasigena</i> Pojark.			<p>მცოცავი ბუჩქი სუროს გვარისა სუროსებრთა (Araliaceae) ოჯახის. აქვს მომრგვალო ან მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის ტყავისებრი ფოთლები და პატარა მომწვანო ყვავილები. გავრცელებულია უფრო დასავლეთ საქართველოს ტყეებსა და ჩრდილიან ადგილებში. საქართველოს გარდა იზრდება თურქეთში (ლაზისტანი). კულტივირებულია ბაღებსა და პარკებში. მისი ფოთლები შემოდგომის დამლევს და ზამთარში სიცივისაგან ლამაზ მოწითალო იერს იღებს. ადვილად მრავლდება კალმითა გადაწვენით. ნიადაგდაცითი მნიშვნელობა აქვს. სურო, როგორც სამკურნალო მცენარე, ძველთაგანვეა ცნობილი. იგი მოიხსენება აზიურ და ევროპულ წყაროებში. მაგ. ავიცენა მიუთითებდა, რომ მას აქვს გამწმენდი თვისებები, ხოლო მისი რძე აცვენს თმებს. ღვინოში მოხარშული სურო იხმარებოდა ჭრილობების მოსაშუალებლად. მის მაღამოებს იყენებდნენ დამწვრობისათვის. სუროს ნახარში ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ჭრონიკული სურდოს, ფილტების ტუბერკულოზის, რაქიტის სამკურნალოდ; გარეგანად იყენებენ დაჩირქებების, კანის ანთების, ქეცის, ჭრილობების სამკურნალოდ. გერმანელები იყენებენ კიბოს წინააღმდეგ. ბულგარელები – ხველის შესაჩერებლად. საქართველოში ხმარობენ მრავალი დაავადების, მათ შორის, კუჭის წყლულისათვის, თორმეტგოჯა ნაწლავისათვის. საპონინების შემცველობის გამო მას აქვს მრავალმხრივი გამოყენება.</p>
2.	<b>კავკასიური ცაცხვი</b> <i>Tilia caucasica</i> Rupr.			<p>ცაცხვისებრთა (Tiliaceae) ოჯახის ფოთოლმცვენი 35-მდე სიმაღლის ხეა. ხის ვარჯი დიამეტრით აღწევს 2 მ-მდე, თხელი, მსკდომარე ქერქით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, დაკბილული, ზედა მხრიდან მწვანე, შიშველი, ქვედა მხრიდან – ნაცარა, <i>Tilia caucasica</i> ხშირად შებუსული, ყვავილები მოყვითალო-თეთრია, არომატული, შეკრებილია ფარისებრ ნახევარქოლგა ყვავილედში.</p> <p>გავრცელებულია ყველგან წიწვოვანი ტყეების ზონამდე.</p> <p>ქიმიური შემადგენლობა: ეთერზეთები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები და ლორწო. არომატის მატარებლად ითვლება ფარნეზოლის სპირტი. გარდა ამისა ცაცხვის</p>

					შემადგენლობაში შედის კაროტინი და C-ვიტამინი.
					ცაცხვის ყვავილი გამოიყენება ოჯახურ ოფლმდენ საშუალებად ცხელი სასმელის სახით, რომელიც მზადდება როგორც ჩაი, ხმარობენ აგრეთვე ნაყენს პირში და ხახაში ამოსავლებად, საფენებისათვის და სხვა მიზნით.
3.	კავრა	<i>Salix arbuscula</i> L.			ტირიფისებრთა (Salicaceae) ოჯახის მოწითალო შეფერილობის ბუჩქი. ფოთლები მკვეთრად ორფერი-ზევით ჩვეულებრივ მუქი-მწვანე, ქვევით – ჭრელი, სხვადასხვა ფორმისა, მთლიან-გვერდებიანი. აქვს ერთი სანექტრე, მოგრძო. იზრდება ერთ მეტრამდე. იკეთებს მძივისებრ გამონაზარდებს. ცხოვრობს ტუნდრებსა და ტყებუნდრებში. კარგი თაფლოვანაა. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.
4.	კაზანლიკური ვარდი	<i>Rosa damascena</i> Mill.			კაზანლიკური ვარდი მრავალწლოვანი მცენარეა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის. იზრდება ერთ მეტრომდე. აქვს ღია მწვანე მორიგეობითი ფოთლები. ღია ვარდისფერი ყვავილები რტოების ბოლოს უვითარდება. ყვავილობს მაის-ივნისში. აქვს გრძელი ყუნწები, გამოიყენება ეთეროვანი ზეთების მისაღებად. ვარდისგან ამზადებენ აგრეთვე მურაბას. სამკურნალოდ გამოიყენება ვარდის კუკურები, რომლებსაც აგროვებენ ადრე დილით. ვარდი შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, რომლებიც მატონიზებლად მოქმედებს ადამიანზე. მის ნაყენს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, დამარბილებელი, ჭიისსაწინააღმდეგო, ჭრილობის შემხორცებელი, შემკვრელი თვისებები. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ჰიპერტონული დაავადების, ათეროსკლეროზის, გულის ტკივილის, ნაღვლის, გასტრიტის, ფადარათის, კონიუნქტივიტის, სტომატიტის და ა.შ. სამკურნალოდ.

5.	კაკაო, კაკაოს ხე, შოკოლადის ხე	<i>Theobroma cacao</i> L.			<p>ტანდაბალი (5—8 მ) მარადმწვანე ხე სტერკულიასებრთა (Sterculaceae) ოჯახისა. აქვს მუქი მწვანე, პრიალა ფოთლები და ყვითელი ან მოწითალო ყვავილები. ნაყოფი (კოლოფა) ყვითელი, ნარინჯისფერი ან წითელია. ყოფა—ცხოვრებაში „კაკაოს პარკს“ უწოდებენ. ველურად იზრდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტენიან ტროპიკულ ტყეებში. ძველთაგანვე კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში. ამრავ-ლებენ უმთავრესად თესლით. კარგად ხარობს ორანჟერეებში. თეობრომინისა და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის გამო თესლს მწარე, მწკლარტე გემო აქვს. საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად რბილობმოცლილ თესლს 2—7 დღე-დამის განმავლობაში უტარებენ ფერმენტაციას, რის შედეგადაც იგი სასიამოვნო გემოსა და არომატს იძენს. კაკაოს თესლის შემადგენილობაში შედის წყალი, ცხიმი, კაკაოს ზეთი, სახამე-ბელი, გლუკოზა, ფრუქტოზა, ცილა, თეობრომინი, კოფეინი, მთრიმლავი ნივთიერებები, მჟავები, მინერალური ნივთიერებები. კაკაოს ნაყოფისაგან იღებენ ბურღულს, ბურღულის წვრილად დაქუცმაცებით — „სრესილ კაკაოს“, რომლისგანაც კაკაოს ზეთსა და შოკოლადს ამზადებენ. სრესილი კაკაოს დაწესებით ღებულობენ კაკაოს ზეთს, დარჩენილი კოპტონისაგან კი — კაკაოს ფხვნილს. კაკაოს მედიცინაც იყენებს. მაგ. მისი წასმა ცხვირზე აბრკოლებს გრიპის ვირუსს შეღწევას ორგანიზმში. არის კარგი საშუალება ხველისა და ამოხველებისათვის, ბრონქიტის პროფილაქტიკისათვის და ასთმისათვის. მისი მიღება არეგულირებს არტერიულ წნევას ამცირებს მამაკაცების სიკვდილიანობას გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც.</p>
----	--------------------------------------	------------------------------	--	--	--

6.	კაპის-საკენკელა	<i>Lithospermum officinale</i> L.	<p>კხ. ძმრიდედა, ჩიტიმბივა, მტრე-დისბრინჯა; ქრთ. კაპისაკვენეტელა; ერწო ჩირალდანი; რჭ. ჩიტიკალა; ლჩხ. ჩიტის-კაკალე; ზმ.იმ. ხოხბის საკენკელა, ჩიტისაკენკელა, ჩიტის-საკენკარა; ჩუბ. ყანყაჭა; სვნ. მაგიმბაშოოლ; საბა კაპის საკენტალა</p>		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახისა მცენარეა 30-60 სმ სიმაღლისა. აქვს სწორმდგომი ფერო, მჯდომარე, ლანცეტური, წვეტიანი ფოთლები; წვრილი, მოთეთრო-მომწვანო ყვავილები; ნაყოფი კაკლია, თეთრი, მაგარი, კვერცხის ფორმისა. ყვავილობას ივნის-ივლისში. იზრდება ტყის პირებში. შეიცავს მჯავებს, სცილიტს, კაროტონოიდებს, სტერინებს, წითელ პიგმენტს, ზეთს, სიკონინს, რომელიც ძლევრ გავლენას ახდენს ჰიპოფიზის ჰორმონალურ ფუნქციებზე და საკვერცხებზე. აქვს შარდმდენი, დამარბილებელი და გამაყუჩებელი თვისებები. მის დასრუსილ ფოთლებს იდებენ დაშავებულ ადგილებზე.</p>
7.	კაკლის ხე	<i>Juglans regia</i> L.	<p>გურ., იმ., რჭ., ლჩხ. ნიგოზი, ნიგვზის ხე; მგრ. ნეძი; სვნ. კაკრა, კაკ, გაპ.</p>		<p>ნიგვზის ხე, ფოთოლმცვივანი ხე კაკლისებრთა (Juglandaceae) ოჯახისა. მისი სიმაღლე 20—30 მ აღწევს, დიამეტრი 1,5 მ-ს. ეულად მდგომს ვარჯი ფართოდ აქვს გადაშლილი, კორომში კი ვიწროდ არის აზიდული. აქვს ლეგა, დაშანული ქერქი, ერთსქესიანი და ერთსახლიანი ყვავილები, კენტფრთართული, პრიალა ფოთოლი, რომელიც ეთეროვან ზეთს შეიცავს. ნაყოფი კურკიანა (ე. წ. „კაკალი“). ბუნებრივად გავრცელებულია მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ირანში, ჩინეთში, კავკასიასა და შუა აზიაში. ამიერკავკასიაში ველურად იზრდება თითქმის ყველგან, ქმნის მცირე კორომებს, მეტწილად კი ერთეული ხეებია. ყვავილობს ფოთლის გაშლასთან ერთად, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფმსხმოიარეა 12 წლიდან 200 წლამდე. მოსავლიანი ხე — 100-200 კგ ნაყოფს იძლევა. მძლავრი ფესვთა სისტემა აქვს. მისი მერქანი (მეტადრე ნუქრები) ძვირფასი საავეჯე მასალაა. კაკლის გული შეიცავს ცხიმებს, ცილებს, B1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. მკვახე ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მისგან მურაბას ამზადებენ მწიფე კაკლის გულისაგან — ნიგვზისაგან — ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტრო წარმოებაში. წენგოსაგან ამზადებენ ყავისფერ სალებავს. ფოთლები და წენგო იხმარება მედიცინაში.</p>

					წამლობენ C ავიტამინოზს. არის შემკვრელი და სისხლის გამწმენდი, ჭიის დამდენი. წენგო შეიცავს ასკორბინის მჟავას, ვიტამინ B-ს, მთრიმლავ ნივთიერებს. კაკალი ზეთს, ვიტამინებს, მჟავებს, უჯრედისს, რკინის მარილებს, კობალტს. დიდია კაკლის როლი გულისა და ნაღვლის მცურნალობისას. აძლიერებს ნაწლავების მუშაობას. მას იღებენ სისხლნაკლულობისას, ასკარიდებისა და სხვა ჭიების გამოსადევნად, კუჭ-ნაწლავის ანთებითი დაავადებისას, ანგინისას, იყენებენ, როგორც ბაქტეროციდულ საშუალებას და სხვ.
8.	კალია	Climatoptera crassa lieb.			ნახევრადბუჩქი, ბალახი ან საშუალო სიმაღლის ბუჩქი (50-100სმ) ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახიდან. სიგრძის მორუხო-მომწვანო ან მოყვითალო ტოტებით. ტოტები, განსაკუთრებით შემოდგომით, ჩამოშვებულია. ფოთლები წვრილი, 5 მმ-ის სიგრძისა. ცვივა ძალიან მაღლ. ხშირად ყვავილობისას (ჩვეულებრივ, ივლის-აგვისტოში) მცენარე სრულიად განძარცვულია. სხვათა შორის, ფოთლების ქონის შემთხვევაშიც ისინი ძნელად შესამჩნევია. ფოთლები, საერთოდ, სხვადასხვანაირია. ზოგი სწორხაზოვანი და ხორციანია, ბოლოში გაბრტყელებული, ძირითადად კი ოდნავ გაგანიერებული. ფოთლების იღლიებში იზრდება მოკლე გამონაზარდები. ფოთლები შეძლება იყოს კვერცხისებურნი ან სამკუთხა, რომლებიც თანაყვავილედს წარმოადგენენ, რადგანაც მათ იღლიებში განთავსებულია პატარა ყვავილები. ყვავილი კი ბევრი აქვს. ისინი მჭიდროდაა განლაგებული მრავალრიცხოვან ტოტებზე. ნაყოფი მწიფს სექტემბერში. კალია ძირითადად შუა აზიასა და კავკასიაშია გაცრცელებული. სამედიცინო მიზნებისათვის იყენებენ ნაყოფს. ნედლეულისაგან იღებენ ორ ალკალოიოდს: სალსოლინს და სალსოლიდინს. მათი ტაბლეტები აგდებენ წნევას, რის გამოც მათ იყენებენ ჰიპერტონული დაავადებებისა და ტვინის სისხლძარღვების სპაზმების სამკურნალოდ. ძალიან მაღლ აყუჩებს თავის ტკივილს, ტკივილს გულმკერდის არეში, არის დამამშვიდებელი საშუალება.
9.	კალანხოე	Kalanchoe pintana (Lam) Pers.			მსუქნისებრთა (Crassulaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ტროპიკული მცენარე. ფესვები მოკლეა, განტოტვილი. ღერო 1 მ-ს

					სიმაღლისა, განტოტვილი. ფოთლები ხორციანი, წვნიანი, დაკბილული კიდით. ყვავილები საგველასებრია, მცრთალი მწვანე. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლებისა და ნორჩი ღეროებისაგან მიღებული წვენი. შეიცავს: ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, პოლისაქარიდებს, ფერმენტებს, მინერალურ მარილებს, მიკრო და მაკროელემენტებს. პრეპარატებს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, დამამშვიდებელი თვისებები. ხელს უწყობს ჭრილობების გასუფთავებას, აჩქარებს შეხორცებას. ფართოდ გამოიყენება ქირურგიაში, სტომატოლოგიაში, ოტოლარინგოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში. ხალხურ მედიცინაში იყენებენ შინაგანად საჭმლის სომნელებული სისტემის დაავადებისას, გარეგანად კი ტროფიული წყლულების, ნაწოლების, სტომატიტის, მენინგიტის სამკურნალოდ.
10.	კამა	Anethum graveolens L.	იმ., ქზყ. ცერეცო; გურ. კვლიავი, კლიავი; ინგ. ტარახუტ, ტორახუტ; მგრ. ცეროცო, ცოროცო, ძერო.		მცენარის გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. ერთწლოვანი, იშვიათად ორწლოვანია. ღრმად დანაკვეთილი ფოთლები აქვს. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით გვხვდება 3 სახეობა. უფრო გავრცელებული Anethum graveolens ერთწლოვანი მცენარეა; მკვეთრი სურნელი აქვს, ყვავილედი რთული ქოლგა; ხშირად ველურდება და ამ სახით ყველგანაა გავრცელებული. იყენებენ კერძებში, როგორც საკაზმ-სანელებელს და ეთერზეთოვან მცენარეს. კამა შეიცავს A პროვიტამინს, B ჯგუფის ვიტამინებს, C ვიტამინს და სხვა. კამას იყენებენ როგორც სამკურნალოდ, ასევე დაავადებათა პროფილაქტიკისთვისაც, რადგან მას არაერთი სასარგებლო თვისება აქვს: ბაქტერიციდული - აცხრობს ჩირქოვან პროცესებს და ეხმარება ორგანიზმს სასარგებლო მიკროფლორის გამრავლებაში; სპაზმოლიზური - ხსნის გლუვი კუნთების სპაზმს; სისხლძარღვთა გამაფართოებელი - აადვილებს სისხლის მიდენას ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა ორგანოსკენ; ჰიპოტენზიური - აქვეითებს წნევას სისხლძარღვებში; შარდმდენი - ასტიმულირებს შარდის გამოყოფას; ანთების საწინააღმდეგო - აცხრობს ყოველგვარ ანთებას; კარდიოტონური - აქვს გულის მუშაობის მატონიზებელი ეფექტი; სედაციური - აუმჯობესებს ძილს, ამშვიდებს; ბრონქოლიზური - რეგულარულად გამოყენების შემთხვევაში

					ზრდის ბრონქიოლებისა და ალვეოლების ზომას, ამცირებს მათში ჰაერის წინააღმდეგობას და, საზოგადოდ, შეგუბებით პროცესებს სასუნთქ გზებში; ამოსახველებელი - ათხიერებს სქელ, წებოვან ნახველს, ხელს უწყობს მის გამოძევებას; ნაღველმდენი - აადვილებს ნაღვლის გამოყოფას; საფალარათო - აუმჯობესებს პერისტალტიკას, კარგია შეკრულობისას; რეპარაციული - აჩქარებს წყლულების, პოსტოპერაციული ჭრილობებისა და ძვლოვანი ქსოვილის შეხორცებას.
11.	კამანია	<i>Anthemis cotula L.</i>	ქვ.იმ. კამა-კამა, ანაგრულა; გურ. ძალლიქინმამა, ქამენია; მგრ. ქამანია, ქამენია.		უსუნო ანუ ძალლისგვირილა. ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან. იზრდება 25-60 სმ სიმაღლისა. აქვს სწორი, ბოლოში განტოტვილი ღეროები. ყვავილები ნახევარსფეროსებური. კიდური ყვავილები თეთრია, ცრუ ენისებურნი, შუანი წვრილი და ყვითელი, მილისებურნი. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე. იზრდება ბალებში, საცხოვრებელი სახლების ახლოს. შეიცავს ცხიმებს, მცირე რაოდენობით ეთერზეთებს. გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი, ანთებისა და სპაზმების საწინააღმდეგო საშუალება.
12.	კანადური სურო	<i>Menispermum canadense L.</i>			მრავალწლოვანი ორსახლიანი ლიანა, 2-2,5 მეტრის სიგრძის ღეროებით. ფოთლები ფარისებური, გრძელყუნწიანი, განლაგებული არიან თანამიმდევრულად; ყვავილები ერთსქესიანი, წვრილი, მომწვანო; ნაყოფი შავი, ერთი ნამგლისებური თესლით.
13.	კანადური ქაცვი	<i>Shepherdia canadensis (L.) Hort.</i>			ფზატისებრთა ოჯახის მცენარეა. იზრდება ტყეებში, მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე. ბუჩქია, დაახლოებით 1,5 მეტრი სიმაღლისა, უეკლო ყავისფერი გამონაზარდებით. ყვავილობს აპრილიდან. ორსახლიანი მცენარეა. ყვავილები მომწვანოა, სიგრძით 5 სმ, ქვემოთა მხრიდან მოვერცხლისფრო. ნაყოფი მოყვითალო-მოწითლო, სიგრძით 6 სმ-მდე; გემო მომჟავო-მოტკბო; შეიცავს 250 მგ ვიტამინ C-ს, 20 % შაქარს, შაქრებს, 3 % ორგანულ მჟავას, ბევრ კაროტინს...

14.	<b>კანაფი</b>	Cannabis, <i>Cannabis ruderalis</i>	სბ. ექუსუნჯი; ინგ. ჰასრალ; ჭნ. კერფი, კეფი; მგრ. კატი, კიფი; სვნ. გიმბჩშ, ქან, კერქ, ხერხლა.		<p>ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარის გვარი კანაფისებრთა (Cannabaceae) ოჯახისა. ცნობილია 3 სახეობა: ჩვეულებრიცი კანაფი (<i>Cannabis sativa</i>), ინდური კანაფი (<i>Cannabis indica</i>) და ველური კანაფი ჩვეულებრივი კანაფი. ორსახლიანია (მამრობითი და მდედრობითი კანაფი), ღეროსწორია – 0,5-4 მ სიმაღლისა. ფესვი მთავარღერძიანია, ფოთოლი – დანაკვთული, მწვანე. მამრობითი კანაფის ყვავილები საგველა ყვავილედია, მდედრობითი კანაფისა – თავაკისებრი. ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭაა. კანაფი იზრდება ჭარბტენიან ნიადაგზე, მოჰყავთ ბოჭკოსათვის. მამრობითი კანაფისგან და ტექნიკური სიმწიფის პერიოდის მდედრობითი კანაფისგან ღებულობენ ბოჭკოს (ქერელს), რომლისგანაც ამზადებენ ქსოვილს. კანაფის სამშობლოა ცენტრალური აზია, მოჰყავთ მრავალ ქვეყანაში; კანაფი პრაქტიკულად არ გამოიყენება მედიცინაში, ხოლო არასამედიცინო მიზნით მისი გამოიყენება აკრძალულია.</p>
15.	<b>კაპარი</b>	Capparis spinosa L.			<p>მცენარეთა გვარი კაპარისებრთა (Capparaceae) ოჯახისა. ხეები, ბუჩქები, ბუჩქბალახები და მრავალწლოვანი ბალახებია. 300-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ეკლიანი კაპარი (<i>Capparis spinosa</i>) ბუჩქბალახია. აქვს გრძელი გართხმული ღეროები და თეთრი ან მოთეთღოვარდისფერი გრძელყუნწა ყვავილები. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, სამხრეთ ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიაში. ჩვენში აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. კაპარი იზრდება ბარისა და მთისწინეთის უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში, თიხიან, ხშირად ბიცობიან ნიადაგზე. კოკორს, მკვახე ნაყოფს და ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ, მწიფე ნაყოფი იჭმება. თესლში 30%-მდე ზეთია. შეიცავს ალკოლოიდ კაპარიდინს. იყენებენ ხალხურ მედიცინაში (სასაქმებელ საშუალებად). თაფლოვანი მცენარეა.</p>

16.	<b>კარტოფილი</b>	<i>Solanum tuberosum L.</i>	<p>მთ., ფშ. კარტობილი; ხვს. კარტოხა; მხ. კარტოხად; მსხ. აჭ. ყართოფი; ჭნ. დიხა მარქვალი, კარტო- ფი; სვნ. გარდვიშ, ქართოფილ, ქართუბილ.</p>		<p>მრავალწლოვანი გორგლიანი სახეობები <i>Solanum</i>-ის გვარის (Tuberarium-ის სექციის) ძალლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. 200-მდე ველური და კულტურული სახეობაა. კულტურაში დანერგილია უმთავრესად 2 მონათესავე სახეობა: ანდიური კარტოფილი (<i>Solanum andigenum</i>) და ჩილური კარტოფილი (<i>Solanum tuberosum</i>). ფართოდაა გავრცელებული ზომიერპავიან ქვეყნებში. კარტოფილის ბუჩქის სიმაღლე 50-80 სმ აღწევს, შედგება 3-6 ღეროსაგან, გორგალი ღეროს მიწისქვეშა სახეცვლილებაა. მის ზედაპირზე ჩაღრმავებებში 3-4 კვირტიანი თვლები ზის. გორგალის ფორმა შეიძლება იყოს მომრგვალო, წაგრძელებული, ოვალური და სხვა. გარეგანი შეფერილობა და რბილობის ფერი — თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, წითელი და ლურჯი. კარტოფილის ფესვი ფუნჯაა, სუსტად განვითარებული, ფოთოლი კენტფრთისებრგანკვეთილია, აქვს ნაკვთები და ნაკვთულები, ფერად მომწვანო-მოყვითალო ან მუქი მწვანეა. ყვავილი ხუთწვერიანია, თეთრი, მოწითალო-ისფერი ან მოლურჯო-იისფერი. ნაყოფი სფეროსებრი ან ოვალური კენკრაა, აქვს ძალიან წვრილი თესლები.</p> <p>კარტოფილი მრავლდება ვეგეტატიურად — გორგლით, რომელიც შეიცავს წყალს და მშრალ ნივთიერებას, სახამებელს, შაქარს, ცილას, მინერალურ მარილებს, აგრეთვე C, B1, B2, B6, PP და სხვა ვიტამინებს. ტუბერებიდან იღებენ წვენს, რომელსაც აქვს ანთებისსაწინააღმდეგო, სპაზმოლიტური და დამარბილებელი თვისებები. წვენი მოქმედებს გასტრიტზე და შეკრულობაზე, ხელს უწყობს წყლულების შეხორცებას. გახეხილი კარტოფილი გამოიყენება კანის დაავადებების დროს, ხოლო მოხარშული კარტოფილის ორთქლის შესუნთქვით მკურნალობებს სასუნთქი გზების კატარს. წვენი ხელს უწყობს სისხლის წნევის შემცირებას.</p>
-----	------------------	-----------------------------	--	--	--

17.	<b>კატაბალახა, ვალერიანა</b>	<i>Valeriana officinalis</i> L.	რჭ., იმ. კატაპარია; თშ. გულბანდი; ერ. მიწის საკმელა.		<p>მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი კატაბალახასებრთა (Valerianaceae) ოჯახისა. გვარში 200-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია მთელ ევრაზიაში, სამხრეთ ამერიკის ანდებსა და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერ სარტყელში. საქართველოში იზრდება 10 სახეობა (მათგან 2 კავკასიის ენდემია). სამკურნალო კატაბალახა (<i>Valeriana officinalis</i>) ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. 1,5 მ-მდე სიმაღლის ვარდისფერყვავილებიანი ბალახია. ბევრია საქართველოს ტყისპირებსა და ბუჩქარებში. ფესურა და ფესვები შეიცავს ეთეროვან ზეთს, ვალერიანის მჟავას, ძმარმჟავას და ჭიანჭველმჟავას, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს. საქართველოში იზრდება აგრეთვე კოლხური კატაბალახა (<i>Valeriana colchica</i>), რომელიც ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთს და ვალერიანის მჟავას. კატაბალახას პრეპარატებს (ექსტრაქტი, ნაყენი სპირტსა და ეთერზე) იყენებენ ნერვული აგზზების, უძილობის, გულსისხლძარღვთა სისტემის ნევროზის დროს და სხვა. კავკასიაში, უკრაინასა და ზოგ სხვა რაიონში ველური კატაბალახის ფესვებს და ფესურებს იყენებენ, სხვაგან კი კატაბალახა კულტივირებულია.</p>
18.	<b>კატაბარდა</b>	<i>Clematis orientalis</i> L.	კხ., ფშ. უსურვაზი, თეთრი უსურვაზი; ზმ. იმ. კატავენხა; რჭ. ლჩხ. ციცაბარდა; გურ. ისურადა, ინგრეხავ; აჭ. გურ. იბრიდა; ინგ. თეთრვაზ, მარაზი; მგრ. შხურიში ჭუ, წირღუ; სვნ. სვიჯ.		<p>მცენარეთა გვარი ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახები ან ხვიარა, მცოცავი და სწორღეროიანი მერქნიანი მცენარეებია. მოიცავს 250-ზე მეტ სახეობას. გავრცელებულია ზომიერ და თბილ რაიონებში. საქართველოში 5 სახეობა იზრდება. მათგან ჩვეულებრივი კატაბარდა (<i>Clematis vitalba</i>) ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხვიარა ბუჩქია. აქვს წიბოებოიანი ღერო და სურნელოვანი მოყვითალო ყვავილები. ხარობს ყირიმსა და კავკასიაში. საქართველოში იზრდება კოლხეთის ტყეებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ჭალისა და ვაკეთა ტენიან ტყეებში. ღერო და ფოთოლი შეიცავს ალკალოიდ კლემანტინს. ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ მხალს (გემოთი სატაცურს მოგვაგონებს). კატაბარდას ბევრი სახეობა დეკორატიულია.</p>

19.	<b>კატაპიტნა</b>	Nepeta cataria L.			<p>მრავალწლოვანი, იშვიათად ერთლოვანი ბალახების გვარი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. აერთიანებს 250-მდე სახეობას. გავრცელებულია ევრაზიის არქტიკის გარე ოლქებში, აგრძოვე აფრიკაში. კავკასიასა და შუა აზიაში - 80-ზე მეტი სახეობა იზრდება, საქართველოში — 12, მათგან 2 საქართველოს ენდემია, 4 — კავკასიისა. იზრდება მშრალ და ქვიან ფერდობებზე. კატაპიტნა (Nepeta cataria) თაფლოვანი და ეთერზეთოვანი მცენარეა, იყენებენ პარფიუმერიაში; დიდყვავილა კატაპიტნა (Nepeta grandiflora) დეკორატიულია. კატაპიტნის ნაყენი გამოიყენება სისხლნაკლებობის აღსადგენად, კუჭის კატარისას, ქრონიკული ხველისათვის, სუნთქვის გამნელებისას, ღვიძლის სამკურნალოდ, ქალური დაავადებების დროს, ისტერიების, თავის ტკივილისა და სპაზმების შემთხვევაში. იყენებენ კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.</p>
20.	<b>კაქტუსი</b>	Cactus			ტროპიკული მცენარე, რომელსაც აქვს სქელი, ხორცოვანი უფოთლებო, ეკლებიანი ღერო.
21.	<b>კედლისპირა</b>	Parietaria diffusa Mert. et Koch			<p>მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ჭინჭრისებრთა (Ulmaceae) ოჯახიდან. სიმაღლე 30-50 სმ. ღეროები მრავალრიცხოვანი, ფოთლები თანამიმდევრული, ლანცეტური ან წაგრძელებულნი, მთლიანი გვერდებით, დაშვებულნი. ყვავილები ოთხკბილა, წვრილი, მწვანე; ნაყოფი მწვანე მარცვალი. ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე. იზრდება კლდეებზე. ხარობს კავკასიაში, ყირიმში, ბალკანეთში, მცირე აზიაში. ამ რეგიონებში გვხვდება სამკურნალო სახეობა – <i>P. officinalis</i> L. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, ძირები. შეიცავს ორგაზულ მჟავეებს, სიტოსტერინს, ალკალინიდ კონინს, ფლავონოიდ-3-ს, გლუკომარამნოზიდს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ანტოციანებს, ცხიმოვან მჟავებს.</p>

					ფოთლებში არის ვიტამინები, კვერცეტინი, ლეიკოანტიციანები. მცენარეს აქვს ანთების საწინააღმდეგო, სისხლაღმდგენი, შარდმდენი, ანტიბაქტერიული თვისებები. ხალხურ მედიცინაში ნახარში გამოიყენება ბრონქიალური ასთმის, კუჭის დაავადებების, ცისტიტის, ნეფრიტის, პიელიტის, გარეგანადამწვრობის საწინააღმდეგოდ. ნაყენითა და ექსტრატით მკურნალობებ ტუბერკულოზს, დიზინტერიას, შარდის ბუშტს.
22.	<b>კედლისპირა ოუდეური</b>	<i>Parietaria judaica</i> L.			მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ჭინჭრისებრთა (Ulmaceae) ოჯახიდან, სიმაღლით 50 სმ. აქვს მრავალრიცხოვანი, შიშველი და დახრილი ტოტი. ფოთლი ლანცეტური ან კვერცხისებური. მარცვალი ზეთისხილისებური. ყვავილობს აგვისტოში. გავრცელებულია კავასიაში და შუა აზიაში. იზრდება კლდეებთან და წყაროებთან. ფოთლები გამოიყენება სამკურნალოდ. განსაკუთრებით ცნობილია ისეთი ჯიშები, როგორიცაა <i>Parietaria chersonensis</i> , <i>Parietaria erecta</i> , <i>Parietaria micrantha</i> და <i>Parietaria officinalis</i> .
23.	<b>კევის ხე, სალსალაჯი</b>	<i>Pistacia L.</i>	ქრთ., კხ. საკმლის ხე, მარიამსაკმელა.		თუთუბოსებრთა (Anacardiaceae) ოჯახის პატარა ხე ტყავისებური ფოთლებით. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. გამოიყენება მისი ნაყოფი, ფოთლები. მერქანი. განსაკუთრებით ფასობს ტუნისური კევის ხე. ჩვენში გავრცელებულია სოხუმთან ახლოს. მისგან იღებენ სამკურნალო კოპტონს.
24.	<b>კელაპტარა</b>	<i>Orobanche L.</i>	თშ. სახარობელა; ჯვ. დუმანა; მგრ, ჩონჩხოია; ლჩხ. ხბოტუჩა.		Orobanchaceae-ის ოჯახის პარაზიტი მცენარე, ითვლის 50-მდე ძნელადგასარჩევ სახეობას. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. რადგანაც მისი ქსოვილი შეიცავს ქლოროფილს, მცენარეს აქვს თეთრ-რუხი, მოყვითალო, მოვარდისფრო ან მოლურჯო შეფერილობა. ყვავილები არაერთგვარია. ყვავილედი ფუნჯისებური ან თავთავისებრი. ნაყოფი ერთბულიანი, მრავალთესლიანი ყუთი. თესლები ძალიან წვრილი და განუვითარებელი. კელაპტარები ცხოვრობენ სხვადასხვა მცენარის, ძირითადად, პარკოსნების ფესვებზე და ხშირად ზიანს აყენებენ მასპინძლებს. გამოიყენება მედიცინაში. მისი წყალში ნაყენი იხმარება კუჭის წყლულისა და გაზების დაგროვების საწინააღმდეგოდ. დააწევრებულ მცენარეს იდებენ ჭრილობებზე.

25.	<b>კენკეშა</b>	Kampanula lactiflora M.B.	გდმყრ. კანკეშა; ხვს. კირზა; მთ. მუკუდო; ლჩხ. ძოწია; რჭ. მუყუდო; აჭ. დონდლო; მგრ. ჭურია; სვნ. ტკიც, კიც.		კენკეშა სხვადასხვა ჯიშითაა წარმოდგენილი. მისი სამშობლოა ალპები. მინიატურული მცენარე 15 სმ სიმაღლით და მოზრდილი თეთრი ან ცისფერი ყვავილებით. ფოთლები - ნახევრად ოვალური. ქვედა ტოტები ქმნიან ბალიშს. ყვავის ივნისში. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, რომელიც მზადდება ყვავილობისას. აშრობენ და ანიავებენ. ნაყენს აქვს სისხლალმდგენი ფუნქცია.
26.	<b>კესანე, ცისანა</b>	Myosotis L.	ქრთ. კონკიდველა; ზმ. იმ. ციცინო; ქვ. იმ. ციცუნია, ჭორი; რჭ. თივნიყურა; გურ. ხასიათა; ჩ. ბუსმიხავა, თაგვისყურა.		ერთ-, ორ ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახისა. აქვს პატარა ცისფერი (იშვიათად თეთრი) ყვავილები. გვარში 50-მდე (სხვა მონაცემებით 80-მდე) სახეობაა. გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში, აგრეთვე ტროპიკული აფრიკის მთებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, მცირე ნაწილი — ამერიკაში. საქართველოში გვხვდება 15 სახეობა. იზრდება ჭაობებში, ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე. ზოგი სახეობა სარეველაა, ბევრი — დეკორატიული. საქართველოს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე ფართოდ არის გავრცელებული ალპური კესანე (Myosotis alpestris). ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სისხლდენის შესაჩერებლად და ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ.
27.	<b>კეწერა</b>	Empetrum hermaphoroditum (Large) Hager	მხვ. საწურავამ, ფშლარტა; თუშ. კეწერა; ხვს. მწყურიელა, სარცხა, სასარცხე; მგრ. ბჟაწური.		მცენარეთა გვარი კეწერასებრთა (Empetraceae) ოჯახისა. მარად-მწვანე (ფოთოლს ინარჩუნებს 3-5 წელს) ქონდარა, გართხმული ბუჩქებია. შეიცავს 16-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, სამხრეთ ანდებში, ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძულებსა და ანტარქტიკაში. იზრდება ბარისა და მთის ტუნდრაში, ტყე-ტუნდრაში, სფაგნუმიან ჭაობებში, წიწვოვან ტყეებში, ალპურ სარტყელში და სხვა. სინათლის მოყვარული და მიკოტროფული მცენარეებია. უფრო მეტად ცნობილია შავი კეწერა (Empetrum nigrum). საქართველოში და მთელ კავკასიაში იზრდება კავკასიური კეწერა (Empetrum caucasicum). აქვს წვრილი დაკლაკნილი ტოტები და წვეროსკენ შევიწროვებული ჯირკვლოვან-ბუსუსიანი მოყვითალო-მწვანე ფოთლები. იზრდება მეტწილად ალპურ ხალგებზე, სუბნივალური სარტყლის ღორღიან ადგი-

					ლებში, კლდეებზე და სხვა. კეწურას ნაყოფი შეიცავს C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებას და ანდრომედოქსინს. მისი ნაყენი გამოიყენება გადაღლილობისას, თავის ტკივილისას, ნერვული სისტემის დასამშვიდებლად. იყენებენ დამბლების სამკურნალოდაც.
28.	კვიდო	Ligustrum vulgare L.	ქრთ. კანკრა, კენკრა; კხ., ქრთ. თხიფსელა; თშ. თხაფსელა; იმ. კუდო; რჭ., ლჩხ. კვიდოლა; ინგ. ჭამჭამა; მგრ. კვინდო; სბ. მკვიდო.		
29.	კვლიავი	Carum carvi L.	ქრთ., ზმ. რჭ. ზირა; მხვ., მთ. მკვლიავი; ფშ., ხვს. კვლია; სბ. ზირაკი; სვნ. გიცრულ.	 <p>The image shows a close-up of the inflorescence of Carum carvi (Caraway). It consists of multiple small, white, star-shaped flowers arranged in a compound umbel structure, which is typical for the Apiaceae family. The flowers are densely packed and have a delicate, fragrant appearance.</p>	<p>ორი და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. აერთიანებს 30-მდე სახეობას. უფრო გავრცელებულია სახეობა Carum carvi — ორწლოვანი ეთერზე-თოვანი მცენარე. იყენებენ საკონსერვო, საკონდიტრო და ფარმა-კოლოგიურ წარმოებაში. კვლიავის ნაყოფები შეიცავენ ეთერზე-თებს, რომლის ძირითადი კომპონენტებია კარვონი და ლიმონენი; შეიცავს ასევე ცხიმოვან ზეთს, რომელიც შეიცავს პეტრო-სელინის მჟავას; აღმოჩენილია ცხიმოვანი ნივთიერებები. კვლიავის ბალახი და ყვავილები შეიცავენ ფლავონოიდებს, აგრეთვე აცეტილენულ ნაერთებს - პოლიინებს.</p> <p>კვლიავის ნაყოფი გამოიყენება ნაწლავთა ატონის, მეტეო-რიზმის დროს, აგრეთვე საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეტორული აქტივობის, ნაწლავების ტონუსისა და პერი-სტალტიკის გასაძლიერებლად. ნაყოფების ეთეროვანი ზეთი გამოიყენება სამკურნალო პრეპარატების არომატიზაციისათვის.</p> <p>კვლიავის ნაყოფებს გააჩნიათ სპაზმოლიზური აქტივობაც. ემპირიული მონაცემებით კვლიავის ნაყოფები აძლიერებენ დიურეზს და რძის სეკრეციას, ურეთრაზე მოქმედებს სპაზმოლიზურად და საშვილოსნოს შეკუმშვას თრგუნავს, ხელს</p>

					უწყობს ნახველის გამოყოფას. გააჩნია ნაღვლმდენი და დამამშვიდებელი მოქმედება.
30.	<b>კვრინჩხი</b>	<i>Prunus spinosa</i> L.	ქზყ. მურაკი; მსხ. ღოღნაშო, ჟღმარტლი; ზმ.რჭ. ღორტყემალა; ინგ. ზაღლი ტყიმალ, მურაკ; საბა კვრინჩხი, კვიჩხი.		<p>ეკლიანი ბუჩქი ან პატარა ხე ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის ქლიავის გვარისა. მისი სიმაღლე 5 მ აღწევს. დაკბილული და წამახული ფოთლები აქვს. ლეგა ნაფიფექით დაფარული მუქი ლურჯი ნაყოფი მწკლარტე და მომჟავო-მოტკბო. ყვავის აპრილ-მაისში, ფოთლის გამოტანამდე. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ველურად იზრდება დასავლეთ ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში. საქართველოში მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში იზრდება. კვრინჩხი სინათლის მოყვარულია, სიცხესაც უძლებს და სიცივესაც. კვრინჩხის ფესვს უხვი ნაბარტყი აქვს. თაფლოვანია. ნაყოფს ახმობენ კერკად შეჭამანდისთვის. მისგანვე ამზადებენ ღვინოს, მურაბას, მარმელადს, ძმარს, ხდიან არაყს. იყენებენ ცოცხალ ღობედ, დეკორატიულ ბალტშენებლობაში. ნაყოფი შეიცავს შაქარს, უჯრედისს, პექტინს, ვიტამინებს, მთრიმლავ, აზოტურ, არომატულ ნივთიერებებს, კაროტინს, ციანიდურ ნაერთებს, ფლავონურ გლიკოზიდს. ნაყოფს აქვს შემკვრელი, ანტისეპტიკური, შარდმდენი, მადის აღმდეგნი თვისებები. ყვავილები გამოიყენება შარდმდენად, დამარბილებელ, ოფლმდენ, ღებინების საწინააღმდეგო, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელ, დამამშვიდებელ საშუალებად. ძირების ნაყენი სიცხისდასმწევია. მედიცინაში გამოიყენება არასპეციფიკური წყლულების, დიზენტერიის, მოწამლულობის, კანდიდოზების სამკურნალოდ.</p>
31.	<b>კიდობანა, ჩვეულებრივი ჭანჭყატა</b>	<i>Ewonymus europaea</i> L.	ქრთ. ნაზუქა; სმხ. ჭყეტელა; ინგ., ლზხ. თხიფსელა; სვნ. სეფსკერ.		<p>ჭანჭყატასებრთა (Celastraceae) ოჯახის წითელ ან ძოწისფერ ნაყოფიანი ბუჩქია. აქვს მოგრძო-ლანცეტური ფოთლები. ყვავილები წვრილი, მომწვანო-მოთეთორო; ნაყოფი კოლოფია. თესლი ნარინჯისფერი მარცვალი; იზრდება 1,5-3 მ. ყვავილობს მაის-ივნისში. კარგად იტანს ტენს, ქალაქის პირობებს. ცნობილია, რომ შეიცავს გუდაპერჩს, ეთერულ ზეთს და გლუკოზიდ ევონიმინს. შხამიანია. ნაყოფის ნაყენი გამოიყენება მალარიის, შეკრულობის და სქესობრივი უძლეურობის შემთხვევაში. ფოთლების ნაყენი და ფხვნილი იმარება ჭიების დასადენად, ქეცის, მუნის სამკურნალოდ.</p>

32.	<b>კიტრანა</b>	Ecballium elaterium			ერთწლიანი მცენარეა გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. ღერო მხოხავია ან ამყოლო, 150 სმ სიმაღლისა. ფოთლები კვერცხის ან გულისებრია. ყვავილი ყვითელია. ყვავის ივლის—აგვისტოში. ნედლეული შეიცავს კუბრიცატინებს, კაროტონიოდებს, სტეროიდებს, ალკალოიდებს, ორგანულ მჟავებს, ალანტოიდს, ვიტამინ C-ს, ცხიმოვან მჟავებს. მისგან მიღებული პრეპარატები ხასიათდება დამარბილებელი, მალარიის საწინააღმდეგო, ანტიჰელმინური, ანტიბაქტერიული, სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებით. იყნებენ ნახარშებს, ნაყენებს, ფხვნილებს.
33.	<b>კიტრი</b>	Cucumis sativus L.	იმ. კინტრი; ქნ. შუკა; მგრ. კანტარი; სვნ. კანტარ, კინტრ, კინტერი.		ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. მისი სამშობლოა ინდოეთი. ფესვთა სისტემა შედგება მთავარი ღერძისა (1 მ-მდე სიგრძის) და გვერდითი ფესვებისაგან. ესენი ძირითადად ნიადაგის სახნავ (10-30 სმ) ფენაში ვრცელდება. ღერო მხოხავი ან ხვიარაა. სიგრძე 1,5—2 მ აღწევს. გვხვდება ნახევარბუჩქისებრი ფორმებიც. ფოთოლი დიდყუნწიანია, ოდნავ ფრთისებრი, ხუთლუთხიანი. ცალსქესიანი, ერთსახლიანი მცენარეა. გვხვდება ორსახლიანიც. ნაყოფი 5-100 სმ-მდე სიდიდისაა. ცილინდრული ფორმა აქვს. კიტრი სითბოს, სინათლისა და ტენის მოყვარული მცენარეა. ნაყოფი შეიცავს წყალს, ნახშირწყლებს, ცილებს, ორგანულ მჟავეებს, ვიტამინებს, უჯრედისს, მიკროელემენტებს. კიტრს გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ნაღვლმდენი, შარდმდენი, მსუბუქი სასაქმებელი, გაუტკივარების თვისებები. აძლიერებს მადას, აადვილებს ცხიმებისა და ცილების შეწოვას. აქვს ნაღვლმდენი, შარდმდენი და სასაქმებელი ქმედება. ამიტომაც იყენებენ ქრონიკული შეკრულობის დროს. უხდება წყალმანკას. არის დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.
34.	<b>კიტრისუნა</b>	Borago officinalis L.			ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ეძახიან კიტრის ბალახსაც. სახელი დაერქვა სუნის გამო. არის არომატული და სამკურნალო. მისი ნედლი ფოთლები შეიცავს ვიტამინების მნიშვნელოვან რაოდენობას, ასკორბინის, ვამლის, ლიმონის მჟავებს, კალიუმს, საპონინებს, ტანინებს, კაროტინს, მინერალურ მარილებს, რუტინს. მცენარე ძალიან სწრაფად იზრდება, ადვილად მრავლდება. შეიძლება

					მოედოს მთელ ფართობს. სიმაღლეში 20-60 სმ-ს აღწევს. ღერო დატოტვილია, მსხვილი; ფოთლები ხორციანია, მთლიანი, მორიგეობითი. ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე. მკუნალობენ ნიკრისის ქარს, თირკმლების ანთებას, ნევროზს, კუნთებს, შარდკენჭოვან და კანის დაავადებებს.
35.	კიჭკიჭა	Crepis L.			რთულყვავილიანთა (Asteraceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახი. აქვს მსხვილი ძირხვენა და ბეწვიანი ღერო. ფოთლები დაწინწკლული, მოგრძო, მსხვილკბილა. ყვავილის კალათები მოზრდილია, ყვავილები ყვითელია, ფარისებურად შეკრული. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. თაფლოვანია. ბალახის ნაყენს იყენებენ კუჭნაწლავის დაავადებებისათვის. დანაწევრებულ ბალახს იდებენ ჭრილობებს და მუწუკებზე.
36.	კლდის დუმა	Sedum caucasicum (Grossh.) A. Bor.	გურ., იმ. ყურა, კაციყურა; გურ., ხვს. კლდისვაშლა; აჭ. კილტავაშლა; რჭ. კლდისტკება; იმ., ლჩხ. პიტკეცა, ქვიტკეცა, ქვატკეცია; მგრ. პასკერია, ფასქალი.		მსუქანასებრთა (Crassulaceae) ოჯახის მრავალწლიანი ბალახი. იზრდება ზღვის დონიდან 2500 მეტრზე. კავკასიის ენდემია. აქვს მწვანე ან ძოწისფერი ღეროები, ხორციანი, განიერი, მოხრილი მუქი მწვანე ფოთლები; ყვავილედი ფარისებრ-ცოცხისებრია; ყვავილედი მომწვანო-მოთეთრო. სამკურნალოდ იყენებენ ბალახს (Herba Sedi acris). შეიცავს ნახშირწყლებს, გლუკოზას, ფრუქტოზას, სახაროზას, საპონინებს, ალკალოიდებს, მჟავებს, ვიტამინებს, ეთერზეთებს. ნახარშები და ნაყენი გამოიყენება არითმის, ტაქიკარდის, სახსრების ტკივილის, ძვლის ტკივილის, უშვილობის, რევმატიზმის, ჭრილობების, კანის დაავადებების, ნუქრების, ბუასილის სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში მკურნალობენ მაღარიას, ბოტკინს, ეპილეფსიას. იყენებენ შარდმდენად და ჭრილობების დასამუშავებლად.
37.	კლდის მოცხარი	Ribes biebersteinii Berl. ex DC.	მხ. ხუნწი, ფშ., ხეს., თშ. ალუდა; მთ. მაცხარი; ქვ.ქრთ. არახილი.		მოცხარის გვარი მცენარეთა ხუნწისებრთა (Crossulariaceae) ოჯახისა. 1-3 მ სიმაღლის ბუჩქებია. სხვადასხვა ფერის (წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მოშავო) კენკრა ნაყოფი აქვთ. 150-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში ბუნებრივად იზრდება 3 სახეობა: კლდის მოცხარი (Ribes biebersteinii), აღმოსავლური მოცხარი (Ribes orientale) და მთის მოცხარი (Ribes alpinum), რომელთაგან პირველი კავკასია-ანატოლიის სახეობაა, მეორე გავრცელებუ-

						ლია კავკასიაში, ანატოლიასა და ირანში, მესამე კი — ჩრდილოეთ და შუა ევროპაში, კავკასიასა და ანატოლიაში. ჩვენში გავრცელებულია სახეობები უკლო ბუჩქებია. კულტურაში ცნობილია მოცხრის მრავალი ჯიში, მ. შ. აღსანიშნავია წითელი და შავი მოცხარი. შავი მოცხრის კენკრა საუკეთესო სამკურნალო და საკვებია, იყენებენ ნედლად, გამხმარს, გაყინულს; ამზადებენ მურაბას, წვენს, ღვინოს და სხვა. წითელი მოცხრის ნაყოფს ხმარობენ ნედლად და გადამუშავებულს. ორივე მრავლდება კალმით და გადაწვენით. ოქროსფერ მოცხარს იყენებენ როგორც დეკორატიულ ბუჩქს, აგრეთვე ტყისსაცავ ზოლში და საძირედ ხურტკმელისა და მოცხრის შტამბიანი ფორმის მისაღებად. სამკურნალოდ იყენებენ ფოთლებსა და ნაყოფს. ფოთლებს, რომლების შეიცავს ეთერულ ზეთს, კაროტინს, ენზიმს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ფიტოციდებს, აყენებენ წყალზე და იყენებენ შარდის ბუშტის კენჭივანი დაავადებისა და შარდის შეკავებისას. არის რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის, სისხლნაკლულობის, შარდ-მდენი, ანთების საწინააღმდეგო, ანტისპაზმური საშუალება. განსაკუთრებით გავრცელებულია მისი გამოყენება საყმაწვილოსა და დიათეზის დროს ბაგშვებისათვის.
38.	კნაპა, კნაპი	Crataegus orientalis Pall. ex Bieb.	მსხ. კნაპი, კიკნაპი; სმბ. დათვის ყამბრო; საბა კირკატი.		კუნძლის სახეობაა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. იზრდება 3-7 მ სიმაღლისა. აქვს მოყავისფრო შიშველი ფესვები და დაშვებული ტოტები. ეკლიანია. ფოთლები მოგრძო და უკუკვერცხისებურია; ყვავილები თეთრი; ნაყოფი მრგვალი, მოწითალო-მონარინჯისფრო. გავრცელებულია კავკასიაში და სამხრეთ ევროპაში. უძლებს გვალვას.	მისი პრეპარატები გამოიყენება გულის მუშაობის მოშლილობის, არტერიული ჰიპერტონიის, ანგიონევროზის, არითმიის, ათეროსკლეროზის, ტაქიკარდიის, ნევროზის სამკურნალოდ.

39.	კოთხუჯი, კოთხოჯი	<i>Acorus calamus</i> L.	საბა ეგირი; მგრ. ჯარკვატანა; წუწუნავა ადხარი		მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ნიუკასებრთა (Aspleniaceae) ოჯახისა. ცნობილია 2 სახეობა. <i>Acorus calamus</i> გავრცელებულია აზიაში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. იზრდება რუსეთის ევროპულ ნაწილში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და ყაზახეთში. კარგად ხარობს მდინარისა და ტბის სანაპიროებზე, ზოგჯერ შალდამებს ქმნის. გვხვდება დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, გურია, აჭარა) ლაქაშიანებსა და ლელიანებში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ფესურიდან (კოთხუჯის ფესვი) ხდიან ეთეროვან ზეთს, რომელსაც პარფიუმერიასა და საკონდიტრო წარმოებაში იყენებენ. ფესურიდან მიღებული პრეპარატები იხმარება მადის აღმძრელ და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად. ისინი ავლენენ საზმოლიტურ, სისხლძარღვამაფართოებელ, ანტიმიკრობულ, ანესთეზიურ, შემკვრელ, დამამშვიდებელ, სისხლ-აღმდგენელ, შარდმდენ თვისებებს.
40.	კოკა, კოკაინის ხე	<i>Erythroxylon coca</i> Lam.			ტროპიკული მცენარე ერთორქსილონისებრთა (Erythroxilonaceae) ოჯახისა. 1-3, ზოგჯერ 5 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. აქვს ფართოელიფისური ან უკუკერცხისებრი ფოთოლი. წვრილი, მოყვითალო-თეთრი ყვავილები. სამშობლოდ პერუ და ბოლივია ითვლება. ველურად თითქმის აღარ გვხვდება. კულტივირებულია სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და აზიის ტროპიკებში. ფოთლები შეიცავს კოკაინს და სხვა ალკალოიდებს. ერთი ბუჩქიდან წლის მანძილზე 5 კგ-მდე მშრალი ფოთლის მიღება შეიძლება. სამკურნალოდ გამოიყენება კოკაინის ფოთლები. ძირითადად იხმარება ადგილობრივი ანესთეზიისათვის. სხვა საშუალებებთან ერთად გამოიყენება კონიუნქტივიტის, სურდოს სამკურნალოდ.
41.	კოკომჟავა	<i>Rumex</i> <i>acetoselloides</i> Bal.	გურ., აჭ. მჟაველა		მრავალწლოვანი ორსახლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელა-სებრთა (Polygonaceae) ოჯახისა. გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტყისა და ველის ზონაში. თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება სუბალპურ სარტყლამდე, უმთავრესად, ნატყევარ მდელოებზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. სარეველად იზრდება ნათესებსა და ბოსტნებში. არჩევს მჟავე ნიადაგს. ფოთლები შეიცავს მჟაუნმჟავა კალიუმს. ერთი მცენარე

					1000-მდე თესლს იძლევა, რომელიც 40 წლამდე ინარჩუნებს აღმოცენების უნარს. მცენარე შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, მჟაველას მჟავას, ფისებს, ეთერულ ზეთს, ვიტამინებს. მისი ნაყენი გამოიყენება ფალარათის, შარდის შეკავების, "ძვლებში მტვრევის" დროს. არის სისხლაღმდგენი საშუალება.
42.	კოლოქინთი, კოლოცინთი	<i>Citrullus colocynthis</i> Schrad.			მრავალწლოვანი მხოხავი ან ხვიარაბალახოვანი მცენარე გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახიდან. აქვს ფრთისებრ დანაწევრებული ფოთლები 5-7 სეგმენტით. ყვავილები ერთსქესიანია, ყვითელი. ნაყოფი მრგვალი, ყვითელი, მშრალი და მწარე. მისი ნაყოფი შეიცავს გლიკოზიდ კოლოკვინტს, რომელსაც აქვს ძლერი დამარბილებელი მოქმედება.
43.	კომბოსტო	<i>Brassica</i>			მცენარის გვარი ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. ერთ-, ორ-ან მრავალწლოვანი მცენარეა. აქვს თითისტარისებრი ფესვი, სწორი ან ნახევრად წამოწეული დატოტვილი ღერო, მორიგეობით განლაგებული ფოთლები, შიშველი ან შებუსული ღერო და ფოთოლი, მტევნებად ან ფარებად შეკრებილი ყვავილები. ყვითელი გვირგვინის ფურცლები; ნაყოფი - პარკი, სფეროსებრი თესლი, ფერად მუქი მურა, მომიხაკისფრო, მოწითალო-მურა ან ყვითელი. კომბოსტოს გვარში 100-ზე მეტი სახეობაა. სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და ხმელთაშუაზღვისპირეთი. ველური ფორმები გავრცელებულია ევრაზიაში. კულტურული სახეობებია ბოსტნისა და საკვები კომბოსტო, მიწამხალა, რაფსი, თალგამი, შალგი, მდოგვი და სხვა. ბოსტნისა და საკვები კომბოსტოს ჯგუფში შედის ბოსტნის კომბოსტო, ჩინური კომბოსტო, პეკინური კომბოსტო. კომბოსტოს ყველა სახეობა, ყვავილოვანი და პელინური კომბოსტოს გარდა, ორწლოვანი მცენარეა. კომბოსტოს იყენებენ ნედლად, ხარშავენ, თუშავენ, ამწნილებენ, ამარილებენ, ახმობენ, ყინავენ და სხვა. კომბოსტო შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს (C, B ჯგუფის და სხვა), შაქრებს, ცილებს, უჯრედისს, ცელულოზას, პროტოვიტამინს. აქვს დიეტური და სამკურნალო თვისებები. სამკურნალო თვისებები აქვს კომბოსტოს ფოთლებს. კომბოსტო ავლენს

					ანტიმიკრობულ, ნაღველმდენ, მსუბუქსასაქმებელ და დამამშვიდებელ თვისებებს, აუმჯობესებს ნაწლავის მოტორულ ფუნქციას, სასარგებლოა ნაწლავის ჩხირის სიცოცხლისუნარიანობისათვის, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოყოფას, ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შეხორცებას. კომბოსტოში შემავალი ფიტონციდები მოქმედებენ სტაფილოკოზზე, ტუბერკულოზის ჩხირზე და სხვ.
44.	კომში	Cydonia oblonga Mill.	დსვლ. ბია; ინგ. ბაიაჲ; ჭნ. ჰაივა.		მრავალწლოვანი მცენარისგვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. არსებობს 1 სახეობა — ჩვეულებრივი კომში (Cydonia oblonga). კომში ტანდაბალი ხე ან ბუჩქია, რომლის სიმაღლე 1,5-5 მ აღწევს. ნაყოფი ყვითელია, მსხლისებრი ან ვაშლისებრი ფორმა აქვს, შებუსული ან შეუბუსავია. რბილობი მოთეთროა, მოტველ-მომჟავო ან მჟავე, არომატული. შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, პექტინს და სხვა. ამზადებენ მურაბას, კომპოტს, ხილფაფასა და სხვა. კომში ველურად იზრდება კავკასიაში, შუა აზიასა და ირანში. კულტივირებულია თითქმის ყველგან. ამრავლებენ თესლით ან ვეგეტატიურად. საქართველო კომშის ერთ-ერთი სამშობლოა, აქ ადგილობრივი წარმოშობის 75 ჯიში არსებობს. ნაყოფი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავეებს, პექტინს და სხვ. კომშის ნაყოფს იყენებენ კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალოდ. თესლებისაგან ამზადებენ ნაყენსა და ნახარშს, რომლებიც ეხმარება წყლულების შეხორცებას. იყენებენ კოლიტის, შაქრიანი დიაბეტის, ხველის, ანგინის და ჰიპერტონიის სამკურნალოდ.
45.	კონიო	Conium maculatum L.	ფშ., ხვს. მათუთა; ხვს. მათოთა; თშ., ქიზიყ. მათუთი; მხვ., მთ., ფშ. მათოთი; სვნ. მათოთ.		მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. ორწლოვანი ბალახებია. ცნობილია 4 სახეობა, რომელიც ველურად იზრდება ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში გვხვდება 1 — დაწინწკლული კონიო (Conium maculatum). მაღალი (60-180 სმ) ბალახია, ღეროს ქვედა ნაწილი მოწითალო-მურა ლაქებით აქვს დაფარული. იზრდება დასარეველიანებულ ადგილებში. ტყის პირებზე, მდინარეთა ნაპირებზე და სხვაგან. შხამიანია (შეიცავ ალკალოიდ კონიინს). მისი წვენისაგან მზადდება ესენცია, რომელიც გამოიყენება ზურგის ტვინის, თვალის ანთების,

					საშვილოსნოს ანთების, სასქესო ორგანოების, ადენომის სამკურნალოდ.
46.	<b>კორდისკბილა</b>	<i>Euphrasia stricta</i> D. Wolff ex I.F. Lehm.	მთ. სათეთრებელა; ქზყ. თორმეტთითა.		მცენარეთა გვარი შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახისა. ერთწლოვანი, ზოგჯერ მრავალწლოვანი, ნახევრად პარაზიტი ბალახებია. 200-მდე, უმეტესად პოლიმორფული სახეობა გავრცელებულია ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, აგრეთვე მაღაის არქიპელაგის მთებში, ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკის ზომიერ სარტყელოში. საქართველოში 19 სახეობა იზრდება, მათ შორის 7 საქართველოს და 5 კავკასიის ენდემია. <i>Euphrasia stricta</i> , ისევე როგორც კორდისკბილას მრავალი სხვა სახეობა, ძირითადად მარცვლოვნების ფესვების პარაზიტია და ზოგჯერ მნიშვნელოვნად ამცირებს მდელოს მოსავლიანობას. საქართველოში ყველანა გვხვდება, უმეტესად ალპურ სარტყელში. შეიცავს გლიკოზიდ რინატინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, სიმწარებს, ეთერულ ზეთს. სამკურნალოდ იყენებენ ბალახს, რომელსაც აგროვებენ ყვავილობისას. აქვს ანტიანთებითი, გამაყუჩებელი თვისებები. ძირითადად გამოიყენება ოფთალმოლოგიაში.
47.	<b>კორობელა</b>	<i>Hypericum androsaemum</i> L.			მრავალწლიანი კრაზანისებრთა (Hypericaceae) ოჯახისა. ბალახოვანი მცენარე 1,5 მ სიმაღლისა. აქვს მომრგვალებული, სწორი ღერო. ფოთლები მოგრძო და ოვალური, დაწინწკლული. ყვავილები მოოქროსფრო-მომწვანო. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილობის დროს გადაჭრილი მისი ზედა ნაწილი, რომელიც შეიცავს აკორბინის მჟავას, ეთერულ ზეთს, კაროტინს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ და ფისისებრ ნივთიერებებს. იგი გამოიყენება კუჭ-ნაწილავის დაავადებების, ნაღვლის ბუშტის და თირკმლის კენჭოვანი დაავადებების, დაწინწრობების, ჭრილობების, სტომატიტის, ტუბერკულოზის, პოლიართორიტის და საშვილოსნოს ყელის სამკურნალოდ. მისი ნაყენი აფართოებს სისხლძარღვებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. იყენებენ შარდმდენად, ანთებისსაწინააღმდეგო, შემახორცებელ საშუალებად.

48.	<b>კოტრანა</b>	<i>Crambe maritima</i>			<p>ერთწლოვან ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახისა. ცნობილია 20-25 სახეობა. გავრცელებულია ევრაზიასა და აფრიკაში. ბალტიისპირეთში, კავკასიასა და შუა აზიაში 18-20 სახეობაა, კერძოდ, საქართველოში — 3. კოტრანა იზრდება ველებსა და ნახევრად უდაბნოებში, მშრალი მთის კალთებსა და ჩამონაზვავებზე, კლდეებსა და ზღვისპირა ქვიშაზე. ზღვისპირული კოტრანა ანუ ზღვის კომბოსტო (<i>Crambe maritima</i>) საკმაოდ გავრცელებული სახეობაა. მისი ფოთლის ყუნწებს მხალად ხმარობენ, ზოგჯერ მოჰყავთ კიდეც როგორც ბოსტნეული. აქვს მსხილი ფესვი, სწორი ღერო, ხორციანი, წაგრძელებული ფოთლები. ყვავილობს აპრილ-მაისში. მცენარე შეიცავს ვიტამინებს, კაროტინს, შაქრებს, სახამებელს, ცხიმოვან ზეთს. მისი ნაყენი აღადგენს ნაწლავების მუშაობას.</p>
49.	<b>კოფრჩილა</b>	<i>Falcaria vulgaris</i> Bernh.	ფშ. კონჩხელა; ჯვე. ბატიფეხა, კაპარჩხელა; სმბ. კოფრჩილო; მსხ., ქზყ. ყვავიფრჩილა.		<p>მრავალ, ორ- ან ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. 4-5 სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში მხოლოდ 1 სახეობაა — ჩვეულებრივი კოფრჩილა (<i>Falcaria vulgaris</i>). 20-60 სმსიმაღლის ორწლოვანი ბალახია. გვხვდება მშრალ მდელოზე, ქვიან ფერდობზე, ტყის პირზე, ველზე, გზის პირზე. ნათესების (ძირითადად საგაზაფხულო კულტურების) სარეველაა. იზრდება ყოფილ სსრკ მთელ ევროპულ ნაწილში, კავკასიასა (შუა სარტყლამდე) და შუა აზიაში. ნორჩ ფოთლებს ხარშავენ და საკაზმად ან მხალად იყენებენ, ამწილებენ. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი. იგი შეცავს აღვალოიდებს, დიდი რაოდენობით კაროტინს, პროტეინებს, ვიტამინ C-ს, ეთერულ ზეთს. მის ნაყენს იღებენ კუჭის ტკივილისას, სიმჟავის ნაკლებობის დროს, იყენებენ შარდმდენად. დანაკურებულ ფოთლებს იდებენ ჭრილობებზე. იგი შხამიანი მცენარეა და მისი შინაგანად გამოყენება დიდ სიფრთხილეს საჭიროებს.</p>

50.	<b>კოწახური</b>	Berberis vulgaris L.	ფშ. ეკალმარა; ხვს. ესკალმარა; მთ. კოწმახური; რჭ. კვაწახური; ჭნ. კაწახური; მგრ. კორწოხული; სვნ. გვაწხირ, გოწხირ.		<p>3 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქი კოწახურისებრთა (Berberidaceae) ოჯახისა. ძლიერი ფესვით და გამერქნებული ფესურით. ღეროები დაფარულია მონაცისფრო ქერქით. ყლორტები ეკლიანია; ფოთლები ელიფსური, დაკბილული და მკვრივი. ნაყოფი მოწითალო კენკრაა. ნაყოფი ზოგჯერ დაფარულია მკრთალი ცვილისებური ნაფიფქით. თესლები მოგრძოა, მუქი-ყავისფერი, ოდნავ გაბრტყელებული.</p> <p>კოწახურის მიწისქვეშა ნაწილი წარმოადგენს ღეროს მსხვილ ფუძეს, საიდანაც გამოდის წვრილი ჰორიზონტალური ფესურები; მძლავრად განვითარებული მთავარი ფესვი და გვერდითი ფესვები. კოწახურის გვერდითი ფესვები აღწევს 10-30 სმ-ს. ფესურაზე მრავალრიცხოვანი კვირტებია, რომლებიც მცენარის ვეგეტატიური გამრავლებისათვის ძალზედ ხელსაყრელია.</p> <p>კოწახური ყვავის აპრილ-მაისში. ნაყოფი მწიფდება ივლისის ბოლოდან სექტემბრის ბოლომდე. შეიცავს ალკალოიდებს. ფესვების ქერქიდან და ფოთლებიდან გამოყოფილია ალკალოიდები ბერბერინი, ბერბერუბინი, კოლუმბამინი, ასევე პალმატინი, იატრორიზინი; ბერბამინი, იზოტეტრანდრინის და ოქსიკანთინის აქვთ ბისბენზილ-იზოქინოლინური სტრუქტურა; მაგნოფლორინის გააჩნია აპორფინული სტრუქტურა; განსხვავი-ბული სტრუქტურა გააჩნია ბერვულცინსა და ვულრაცინს.</p> <p>კოწახური შეიცავს ასევე ორგანულ მჟავებს: ვაშლის, ღვინის და ლიმონმჟავას, ასევე C ვიტამინს და კაროტინოიდებს.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება გულის დაავადებების დროს, ასევე C -ავიტამინოზის დროს. უძველეს ქართულ ხელნაწერებში არის მინიშნება კოწახურის სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.</p> <p>კოწახურისაგან ფარმაცევტული მრეწველობა უშვებს სხვადასხვა პრეპარატებს, რომლებიც ნაჩვენებია ჰეპატიტის, ჰეპატოქოლეცისტის, ნაღვლკენჭოვანი დაავადებების დროს. ბერბერინის შემცველი პრეპარატები უპირატესად გამოიყენება ნაღვლისა და სანაღვლე გზების დისკინეზის ჰიპერტონული ფორმის დროს.</p>
-----	-----------------	----------------------	---	--	--

					კოწახურის ნაყენს იყენებენ სამეანო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში ატონიური სისხლდენის შემთხვევაში, რომელსაც ადგილი აქვს მშობიარობის შემდგომ პერიოდში და საშვილოსნოს სუბინვოლუციისა და ანთებითი პროცესებით გამოწვეული სისხლდენის დროს.
51.	<b>კოჭა, ჯანჯაფილი</b>	Zingiber officinale Rosc.	საბა კოჭი; ლ. კ. ზანჯაბილი.		<p>ჯანჯაფილი, იგივე კოჭა, ერთ-ერთი სუნელია, იგი წარმოადგენს მცენარე Zingiber officinale-ის გამხმარ ფესვს.</p> <p>ჯანჯაფილის სამშობლოა სამხრეთ აზია. მას სწორი ღერო აქვს. მუქი-იისფერი ფოთლები – მორიგეობითი, მარტივი, ლანცეტურია. ყვავილები – მოკლე ყუნწებზეა განთავსებული. ნაყოფი-კოლოფია. ფესვი განტოტვილია. იგი თავისებური ბოლქვია. მცენარე შეიცავს ეთერულ ზეთს, რომლის მთავარი კომპონენტია ზინგიბერენი, აგრეთვე კამფენი, ცინეოლი, ბისაბოლენი, ბორნეოლი, ციტრალი, ლინალოლი, ვიტამინები - C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, A და ამინომჟავა. ჯანჯაფილის ნაყენი, ჩაი და ფეხნილი გამოიყენება ღვიძლის წყლულის დროს, მადის მოსამატებლად, გაციებისას, გრიძისას, ნევრასტენიის, ღებინების, მუცლის ტკივილისას, არბილებს ორგანიზმს.</p>
52.	<b>კრაზანა</b>	Hypericum perforatum L.	ქრთ. ტრაზანა; ფშ. ჩაის ყვავილი; ხვს. უჯმურის ბალახი, ჩაის ყვავილი; მხვ. კაკლის ჩაი; ფშ. ჩაის ყვავილი; მთ. უჯმურად; მსხ., ჯვხ. ნეგო; ლეჩხ., იმ. თავცეცხლა; ქვ. იმ. კერექანა; გურ., იმ. ცოცხობე; ჭნ., მგრ. მუუაში ოსური.		<p>მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებისა და ბუჩქბალახების გვარია კრაზანასებრთა (Hyperaceae) ოჯახისა. იზრდება ერთ მეტრამდე. ფოთლები წაგრძელებული და კვერცხისებურია. ყვავილები – ოქროსფერი, ყვითელი. შემოდგომაზე მთელი მცენარე წითელია. 300-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპიკულ ოლქებში, ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთში და აგრეთვე ტროპიკულის მთებში. საქართველოში 19 სახეობაა. ჩვეულებრივი კრაზანა (Hypericum perforatum) ფართოდ გავრცელებული მცენარეა. გვხვდება ბარიდან ალპურ სარტყლამდე. მის მიწისზედა ნაწილებს ახმობენ და ნაყენს ამზადებენ (შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს და ეთერზეთებს), რომელსაც იყენებენ მედიცინაში.</p> <p>კრაზანას ბალახს გააჩნია შემკვრელი და ანტისეპტიკური თვისება. ამის გამო, მას იყენებენ პირის ღრუს ანთებითი დაავადებების დროს, აგრეთვე კოლიტის დროს.</p>

					<p>ხალხურ მედიცინაში კრაზანას ბალახი გამოიყენება რევმატიზმის, იშიაზის, პოდაგრის, ტუბერკულოზის, ღვიძლის დაავადების, კოლიტის, კუჭაშლილობის, ნაღვლის ბუშტისა და სხვადასხვა ანთების დროს. კრაზანისაგან ამზადებენ წყლიან გამონაწვლილს და სპირტოვან ნაყენს, აგრეთვე პრეპერატ ნოვოიმანინს, რომელიც გარეგანად იხმარება ჩირქოვანი ჭრილობების, დამწვრობის, აბსცესის, ჰაიმორიტის დროს.</p> <p>კრაზანას წყლიანი და სპირტიანი გამონაწვლილები გამოიყენება სამკურნალო კოსმეტიკაში.</p>
53.	<b>კულმუხო</b>	Inula helenium L.	ფშ. ლუხუმა; კხ., ხვს., ლჩხ. კულმუხო; აჭ. ანდუზა; ინგ. ანდუზ; მგრ. კუმუხო, კუმუხა.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. იგი დიდი ზომის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. ფესურა ხორციანია, მოკლე, რომლისაგანაც ვითარდება მრავალრიცხოვანი, საკმაოდ გრძელი მსხვილი ფესვი. გარედან ისინი მონაცრისფრო-მორუხოა, შიგნიდან კი – მოყვითალო-თეთრი, რუხი წერტილებით (რაც ეთერზეთის არსებობაზე მიუთითებს). ღერო ერთია ან რამდენიმე, სიმაღლით 1-1,5 მ და მეტი, ზევით მცირედ დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-ოვალური, ყუნწიანი, ძალიან მსხვილი, წვეროსკენ ზემოთ თანდათან მცირდება, ზემოთა ფოთლები მჯდომარეა, მუქი მწვანე. ზედა მხრიდან უხეშბოჭკვოვანი, ქვედა მხრიდან კი – მონაცრისფრო-მწვანე რბილი ბუსუსებით. კალათები დიდია, ოქროსფერ-მოყვითალო და ქმნიან მტევანს. კალათის საფარველი ნახევრადბურთისებრია, კრამიტისებრი, მრავალფოთლიანი, ფოთოლაკები გადმოღუნული, კვერცხისებრი, შებუსული. კიდურა ყვავილები ენისებრია, შუა – მილისებრი, ქოჩრით. ყვავილსაჯდომი – შიშველი. ყვავილობს ივლისიდან-სექტემბრამდე. თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება, სადაც იზრდება ნესტიან ადგილებში, მდინარის ნაპირებზე, ბუჩქნარებში დაბლობიდან მოკიდებული მთის შუა სარტყლამდე. კულმუხოს ფესურა და ფესვი შეიცავს ეთერზეთს, საპონინებს, ფისებს, ლორწოვან და მწარე ნივთიერებებს. ეთერზეთის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ალანტოლაქტონი იზოალანტოლაქტონის მინარევით.</p>

					კულტურის პრეპარატებს იყენებენ როგორც ამოსახველებელ საშუალებას სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების: ტრაქეიტებისა და ბრონქიტების მკურნალობისას, როდესაც თან ახლავს დიდი რაოდენობით ლორწოს მკურნალობა. ისინი კარგი საშუალებაა გასტროენტერიტებისა და არაინფექციური წარმოშობის ფაღარათის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ღრძილების ანთების, თავის ტკივილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების, ქალის სასქესო ორგანოების, ღვიძლის დაავადებისა და ბუასილის დროს.
54.	<b>კუნელი</b>	<i>Crataegus L.</i>	ქრთ. სკუნელი; ქზყ. კვინელი; მთ., თშ., იმ., რჭ., ლჩხ. კუნელა; იმ. კუმელა; გურ. კურკანტელა; მსხ., გურ., აჭ. ლიცვი; ინგ. კნოლ; მგრ. ქუნცი, ხინჭკი, ეშმაკიშ მართახი; სვნ. ცაანცი, ცანცი.		<p>ეკლიანი ხეებისა და ბუჩქების გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მოიცავს 200-მდე სახეობას (სხვა მონაცემებით 1000-ზე მეტ სახეობას), რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერსა და ნაწილობრივ სუბტროპიკული ჰავის ზონაში (ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკაში). ყოფილ სსრკ-ში 50-მდე ველური და 75-მდე ეგზოტური სახეობაა. კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული 20-მდე სახეობიდან საქართველოში იზრდება 9. მათგან კავკასიური კუნელი (<i>Crataegus caucasica</i>) და კოლხური კუნელი (<i>Crataegus colchica</i>) ენდემებია, პირველი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიისა, მეორე - კოლხეთის. მოშენებულია ზოგიერთი ველური კუნელიც. ინტროდუცირებულია 30-მდე სახეობა. ველური სახეობიდან ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებულია შავი ანუ ხუთბუშტუკოვანი კუნელი (<i>Crataegus pentagona</i>) და ირიბჯამფოთოლაკიანი კუნელი (<i>Crataegus curvipes</i>).</p> <p>კუნელი საქართველოში ყველგან იზრდება, ბარიდან მოკიდებული მთის შუა სარტყლამდე, მშრალ და ღია ფერდობებზე, გამეჩხერებულ ტყეებსა (ქვეტყედ) და ნაკაფებზე, ზოგჯერ სუბალპურ სარტყელშიც აღწევს. გვხვდება უფრო ბუჩქნარების — კუნელიანების სახით, რომელიც მეტწილად ტყის მოჭრის შედეგად ჩნდება და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს. ნიადაგისადმი კუნელი საკმაოდ განურჩეველია, თუმცა უფრო ხარობს ღრმა, საშუალოდ ტენიან და დაწრეტილ ნიადაგზე. ყვავილობს აპრილ-ივლისში. ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში. საკმაოდ ყინვაგამძლე და</p>

					<p>სინათლის მოყვარულია. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტყითაც. ცოცხლობს 200-300 წელს. დეკორატიულია. გამოსადეგია ცოცხალ ღობედ. მშრალი ფერდობების გასამწვანებლად, ვაშლის, მსხლის, კომშის, ზღრმატლის ქონდარა საძირედ. აქვს მკვრივი და მაგარი ღია ვარდისფერი ან მურა-მოწითალო მერქანი, რომელსაც იყენებენ წვრილმანი ნივთების დასამზადებლად, ნუჟრებს — სადურგლოდ. ზოგი სახეობის (ყამბრო — <i>Crataegus pontica</i>, კნაპა — <i>Crataegus orientalis</i> და სხვა) ნაყოფი იჭმევა. ზოგან გამზმარ ნაყოფს ფქვავენ და პურის ფქვილში ურევენ. ნორჩი ფოთლებისაგან აყენებენ ჩაისმაგვარ სასმელს. კუნელი თაფლოვანია. სამკურნალოდ იყენებენ კუნელის ყვავილსა და ნაყოფს. კუნელის ნაყოფს ამზადებენ სრული მომწიფების დროს, ხშირად სექტემბერ-ოქტომბერში. კრეფენ მთელ ფარს. შემდეგ აცილებენ, როგორც ნაყოფის ყუნწါს, ასევე დაუმწიფებელ და გაფუჭებულ ნაყოფს. აშრობენ მზეზე, თბილ შენობებში, ღუმელებში ან საშრობებში თხელ ფენად.</p> <p>ყვავილს აგროვებენ ყვავილობის დაწყების დროს, როდესაც ყვავილების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გაშლილი. კუნელი გამოიყენება გულის კუნთის ფუნქციონალური მოშლილობის დროს, ჰიპერტონიული დაავადების, პაროქსიზმული ტაქიკარდიის, საერთო ათეროსკლეროზისა და კლიმაქტერული ნევროზის დროს.</p>
55.	<b>კურდღლის ბალახი</b>	<i>Anthyllis L.</i>			<p>მცენარეთა გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. ბალახები, ბუჩქებალახები და ბუჩქებია. აერთიანებს 50-მდე სახეობას, რომლებიც უმეტესად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში. საქართველოში იზრდება 3 სახეობა. მათგან <i>Anthyllis polyphylla</i> გვხვდება მხოლოდ აფხაზეთში მთის შუა სარტყლამდე მდელოებსა და ბუჩქნარებში. დანარჩენი 2 სახეობა (<i>Anthyllis vatiegata</i> და <i>Anthyllis lachnophora</i>) მთელ საქართველოშია გავრცელებული სუბალპურ და ალპურ მდელოებსა და ჩამონაზვავებზე, აგრეთვე მთის შუა და ზედა სარტყელში. კურდღლის ბალახის ყველა სახეობა კარგი საკვები მცენარეა. განსაკუთრებული</p>

					მნიშვნელობა აქვს მაღალმთის საძოვრებისა და სათისებისათვის. ბევრი სახეობა შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება პატარა ბავშვების სამკურნალოდ კუჭ-ნაწლავების სისტემის მოშლილობისას. მის ნაყენს იყენებენ ე. წ. ზაფხულის კუჭაშლილობისას. ხშირად გამოიყენება ნიკრისის ქარისა და რევმატიზმის სამკურნალოდ. ნახარში ცნობილია ჭრილობების მოსავლელად და ფეხების ოფლიანობის სამკურნალოდ.
56.	<b>კურდღლის-ფრჩხილა</b>	Lotus	ქზყ. ბიზიონი; გურ. ფართხა; ქვ.რჭ. საბეგველა; რჭ. სამყური.		მცენარეთა გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახები ან ბუჩქალახებია. აერთიანებს 100-ზე მეტ სახეობას, რომელიც გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში. საქართველოში გვხვდება 5 სახეობა. <i>Lotus corniculatus</i> კარგი საძოვარი (ყვავილობამდე) და სათიბი ბალახია. ყვავილი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს მწარე შხამიან გლიკოზიდს (თივასა და სილოსში ეს შხამი იშლება). იგი საქართველოში ყველგან იზრდება. ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია. კურდღლისფრჩხილა თაფლოვანია.
57.	<b>კურდღლის-ცოცხა</b>	<i>Genista tinctoria</i> L			მრავალწლოვანი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის ნახევრადბუჩქი — 100–150 სმ სიმაღლისა. აქვს უკლო ღერო, დაბალი ხავსით დაფარული. ფოთლები თანამიმდევრული, ლანცეტური. ყვავილები ცოცხისებური, მოოქრსფრო-მოყვითალო, ლურსმნისებური. ნაყოფი-პარკი. ყვავილობს მაის ივნისში. იზრდება შუა ევროპაში. მედიცინაში გამოიყენება როგორც შარდმდენი, სისხლძარღვთა შემავიწროებელი, დამასუსტებელი, დამამშვიდებელი, სისხლგამწმენდი საშუალება. იხმარება წყლისას, გულის სისუსტის, ელენთის, დაბალი წნევის და სხვ. სამკურნალოდ. გამოიყენება ნაყენი და ნახარში.

58.	<b>კუტი ბალახი</b>	Teucrium L.	მსხ. მატაური, ჩიტისაპონა; გრ. კხ. ბარცმანდუკი, მოჭრილა; ჩუბ. დენგრა.		ჭარელა, მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. აერთიანებს 100-მდე სახეობას. მრავალწლოვანი ბალახი ან ბუჩქბალახია. აქვს წაგრძელებული ფოთლები. ყვავილობს მთელი ზაფხული. ნაყოფი კაკლუჭაა. ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში. კავკასიაში 11 სახეობა იზრდება, საქართველოში — 5. <i>Teucrium polium</i> , <i>Teucrium orientale</i> და <i>Teucrium nuchense</i> საქართველოში უფრო ფართოდ გავრცელებული სახეობებია. იზრდებიან მთის ქვედა და შუა სარტყლის მშრალ ქვიან ფერდობებზე, ნაზვავებზე, კლდოვან ადგილებსა და ბუჩქარებში. ესენი მთის ქსეროფიტული მცენარეულობის (ე. წ. ტომილარიების) ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტებია. <i>Teucrium polium</i> იხმარება საკმაზად, <i>Teucrium orientale</i> დეკორატიულია. სამედიცინო პრაქტიკაში მიწისზედა ნაწილი გამოიყენება. ქიმიური შემადგენლობა კარგად არაა შესწავლილი, თუმცა ნაპოვნია ეთერული ზეთი, მწარე და მთრიმლავი ნივთიერებები. გამოიყენება მადის მოსამატებლად, კუწ-ნაწლავის სისტემის გასაძლიერებლად, თირკმლებიდან შარდმდენად, კომპრესებისა და აბაზანებისათვის.
-----	--------------------	-------------	--	--	--

1.	ლავანდი	<b>Lavandula officinalis Ch.</b>	ჩ. ფრანგული რადი		<p>მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. ბალახები, ბუჩქბალახები და ბუჩქებია. 25-ზე მეტი სახეობაა. ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში. ლავანდის ბევრი სახეობიდან (<i>Lavandula latifolia</i>, <i>Lavandula vera</i> და სხვა) ძველთაგანვე ხდიდნენ ძვირფას ეთეროვან ზეთებს. ლავანდის ზეთს უმთავრესად <i>Lavandula spica</i>-საგან იღებენ და პარფიუმერიაში იყენებენ. ლავანდი კულტივირებულია ბევრ ქვეყანაში. მისი ყვავილები და ფოთლები დიდხანს ინარჩუნებს სურნელებას და ჩრჩილის წინააღმდეგ იყენებენ. მისი ზოგი სახეობა დეკორატიული და თაფლოვანია. მედიცინა იყენებს სამკურნალო ლავანდს (<i>Lavandula officinalis</i> L.). იგი მრავალწლოვანი, სასიამოვნო არომატის მცენარეა. იზრდება 50-60 სმ სიმაღლის ბუჩქად. ღეროები სწორი აქვს, ფოთლები ხაზოვანი, მთელკიდებიანი, ბოლოებში ოდნავ დაშვებული. ყვავილობს ზაფხულში. გამოაქვს ღურჯი, ძალიან სურნელოვანი ყვავილი. შეიცავს ეთერულ ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ფისებს, სიმწარეებს, ლინალილაცეტატს, ვალერიანის ანჰიდრიდს, კუმარინს, ლიმონენს, მჟავებს. ეთერული ზეთი ძირითადად აბაზანებისათვის გამოიყენება. ყვავილების ნახარში დასამშვიდებელი საშუალებაა, აყუჩებს ტკივილებს, აწესრიგებს მჟავიანობას. მის ზეთს ხმარობენ რევმატიზმის, გრიპის, ძლიერი გულისცემის, გაღიზიანებების და სხვ. სამკურნალოდ.</p>
2.	ლამაზა	<b>Silene compacta Fisch. ex Hornem</b>	მთ. რჭ. ჭვრიალი; ქვ. რჭ. პირლამაზა.		<p>ერთ ან მრავალწლოვანი მიხავისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახის მცენარე 20-დან 70 სმ სიმაღლისა. ღერო სწორი აქვს, ბოლოში განტოტვილი. ქვედა ფოთლები ხელისგულისებურია, ზედა ლანცეტური. მოკლეყუნწიანი ყვავილები ქმნიან ფარისებურ ყვავილედს. ჯამი ცილინდრულია. ბლაგვი კბილებით. ნაყოფი კოლოფია გრძელი ყუნწით. ყვავილობს ადრე ზაფხულში. გავრცელებულია შავიზღვისპირეთსა და საერთოდ კავკასიაში. მიხავების ერთ-ერთი ულამაზესი წარმომადგენელია. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, რომელსაც ყვავილობის დროს აგროვებენ. ფესვებში აღმოჩენილია ტრიტერპინული საპონინები, ხოლო მიწისზედა</p>

					ნაწილი შეიცავს საპონინებს, ფლავონოიდებს, ღეროები და თესლები კი ალკალოიდებს. საქართველოში ლამაზას ნაყენს იყენებენ ავთვისებიანი სიმსივნის წინააღმდეგ.
3.	ლანცეტა მრავალძარღვა	<i>Plantago lanceolata L.</i>	ქრთ. ძაღლის ენა; კხ. ეშმაკის სარკე, შვინდისძირა; ქზყ. ეშმაკის კიბე, საბუზელა; ერწო მამალი ცხრაძარღვა; სმხ. აკლიკიბე; აჭ. დაკოდილამ; ჭნ. კატუიშ ნენა; მგრ. ჭნ. მაჯღვიდაია; სვნ. ჟაღვეშ ნინ.		მრავალწლიანი, იშვიათად ორწლიანი ბალახოვანი მცენარე მრავალძარღვასებრთა (Plantaginaceae) ოჯახიდან, აქვს თეთრი ფესვები. 20 სმ-მდე სიგრძის და 10 სმ-მდე სიგანის გრძელყუნწიანი ფოთლები შეკრებილია როზეტად. წვრილი ყვავილები, შეკრებილია 25სმ სიგრძის ვიწრო და სქელ თავთავად, რომლითაც მთავრდება ყვავილების ყუნწები. ფართოდაა გავრცელებული ეზოებში, მდელოზე, ტენიან ადგილებში. მრავალძარღვას ფოთლებს იყენებენ მედიცინაში ნახველის ამოსაღებ საშუალებად ბრონქიტის, ყივანახველას, ასთმის და სასუნთქი ორგანოების დაავადების დროს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და სხვადასხვა ანთებითი დაავადების სამკურნალოდ.
4.	ლარიქსი	<i>Larix</i>			წიწვოვანი მცენარის გვარი ფიჭვისებრთა (Pinaceae) ოჯახისა. 30-35 მ სიმაღლის სწორტანიანი ხეებია. სხვა მარადმწვანე წიწვოვანებისაგან განსხვავებით, ლარიქს წიწვები უყვითლდება, სცვივა და ზამთრობით ხე მთლიანად მიშვლდება. 20-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში იგი ბუნებრივად არ მრავლდება. ლარიქსი ძალიან ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. კარგად ხარობს ზომიერად ტენიან და ფხვიერ ნიადაგებზე (კერძოდ, კირიანზე). ზაფხულის სიცხისა და გვალვისადმი მგრძნობიარება და სამხრეთ ქვეყნებში მისი კულტივირება მხოლოდ გრილ ადგილებშია შესაძლებელი. სწრაფმზარდია. მეტად მტკიცე და მაგარი მერქანი აქვს, რომელიც გამოიყენება გემთმშენებლობაში. წყალქვეშა ნაგებობისათვის და სხვა. მერქნის გამძლეობითა და სიმძიმით ლარიქსს უთხოვართან ერთად ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია წიწვოვანთა შორის. იძლევა ძვირფას ფისს, რომლისგანაც მზადდება სკიპიდარი და კანიფორლი. ქერქიდან იღებენ მთრიმლავ ნივთიერებებს.

5.	ლაფანი, ლაფნის ხე	Pterocarya pterocarpa (Mchx) Knth.	ქვ.იმ. ნაჭა; ჭნ. მტკუდ კაკალი; მგრ. ლეფონი, ლეფონი, ლიფონი; ინგ. მტყუან კაკალ.		<p>მერქნიან მცენარეთა გვარი კაკლისებრთა (Iuglandaceae) ოჯახისა. 35 მ-მდე სიმაღლის ერთსახლიანი ხეებია. დაკიდებულ მჭადა ყვავილედში შეკრებილია ერთსქესიანი ყვავილები. ნაყოფობისას მჭადა დიდდება (ზოგჯერ 0,5 მ-მდე), გრძელი მტევნის მსგავსად ჩამოეკიდება ხოლმე ხეს და ძალიან ალამაზებს მას. ლაფნის 11-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის სუბტროპიკულ და ზომიერად თბილ ქვეყნებში. სახეობათა უმრავლესობა თავმოყრილია აღმოსავლეთ აზიაში, იზრდება მთის ხეობებში და ზოგან ზღვის დონიდან 3500 მ აღწევს. საქართველოში ბუნებრივად იზრდება მხოლოდ 1 რელიქტური სახეობა — კავკასიური ლაფანი (<i>Pterocarya pterocarpa</i>), კულტივირებულია 3 უცხოური სახეობა. კავკასიური ლაფნი უფრო ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული. აღმოსავლეთ ნაწილში იგი გვხვდება ალაზან-აგრიჩას ვაკეზე, თალიშში, მცირე რაოდენობით — სამხრეთ დაღესტანში და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში კასპიისპირეთში. მისი არეალი გრძელდება ლაზისტანსა და ირანის კასპიისპირეთში. იზრდება დაბლობიდან მთის ქვემო სარტყლამდე, ზღვის დონიდან 500–800 მ-მდე, უფრო ხშირად მდინარის და ნაკადულის ნაპირებზე, ალუვიურ ნიადაგზე. ჩვეულებრივ შერეულია ფოთლოვან ტყები მურყანთან, თელადუმასთან, აღმოსავლურ წიფელთან, კავკასიურ რცხილასთან, იფანთან, ქორაფთან, ლენქორანულ ალბიციასთან და სხვა. მისი წმინდა კორომები — ლაფნიანები იშვიათია. სწრაფმზარდია, სრულასაკოვანი ხის (60–80 წლის) წლიური ნაზარდი სიმაღლეში თითქმის 1 მ აღწევს. ყვავილობს აპრილ-მაისში, მსხმოიარობს სექტემბერ-ოქტომბერში. უხვად ივითარებს ძირკვიდან ამონაყარს. ცოცხლობს 250 წლამდე. დეკორატიულია. წყალსატევების ნაპირების გასამაგრებლად. ფოთოლი და ქერქი ყავისფერ საღებავს და მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს. ფოთოლში არის აგრეთვე C ვიტამინი და შხამიანი ნივთიერება.</p>
----	----------------------	--	---	--	---

6.	ლაქაში	<i>Typha latifolia</i> L.	<p>ქრთ. ხმალა; კხ. ეშმაკის მაშალა, ლელიჩალა; ქზყ. ზამბახის ჩალა; თშ. ჩალამბულა, საბუარა; ხვს. კოტრიალა; მსხ. უნდი; ერწო კუტარე- ლა; ჯვხ. ეშმაკის სანთელა, კურტნის ჩალა; იმ. დუ, უინელი- ლი; ლჩხ. ბუმბუსა; ზმ. რჭ. კატუნა; გურ. ლეკურა; ინგ. ჩირალფანი.</p>		<p>ერთლებნიან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაქაშისებრთა (Typhaceae) ოჯახისა. მათი სიმაღლე 70 სმ-4 მ აღქვეს. აქვთ ფართო ან ვიწროხაზური, კიდემთლიანი ფოთლები. 20 სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში გვხვდება 4 სახეობა. ლაქაში. იზრდება ტბებისა და მდორე მდინარეების წყალმარჩხს სანაპიროებზე, ზღვის დონიდან 1800 მ-მდე. საქართველოში უფრო ხშირად გვხვდება ლაქაშის 2 სახეობა — <i>Typha latifolia</i> და <i>Typha angustifolia</i>, რომელიც ქმნიან ფიტოცენოზებს კოლხეთისა და სხვა დაბლობის მდინარისპირული ლარტაფების წყალუხვ ადგილებში. ლაქაშს სასილოსედ იყენებენ, მისგან თოვს, ჭილობსა და ჩანთებს ამზადებდნენ. ყვავილთანური ბეწვები მაღალი ხარისხის ცელულოზის მისაღებად იხმარება, ხოლო მატყლოთან ერთად მას ქეჩისა და ფეტრის წარმოებაში იყენებენ. მთელ მცენარეს — საქაღალდე მასალად, ფესურებს კი — სახამებლის მისაღებად.</p>
7.	ლაშქარა	<i>Symphytum caucasicum</i> M.B.	<p>ქრთ., მსხ., ჯვხ., რჭ., ლჩხ. სარო; კხ. პატარ- ძალა; მთ. წევნარა, ქალბატონები, პატარძლის კაბები; თშ. შალდაყი; ფშ., ხვს. შალარი, შალანი; მგრ. სარო; სენ. მელენი.</p>		<p>მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახისა. აქვს ღია ყვითელი, იისფერ-ლურჯი, იშვიათად, თეთრი ყვავილები, კაკლუჭა ნაყოფი. ცნობილია 25-მდე სახეობა, რომელთა არეალი მოიცავს ევროპას, დასავლეთ აზიას, ჩრდილოეთ აფრიკას. იზრდება ტენიან, დაჩრდილულ ან მშრალ ადგილებზე, მდინარის ნაპირებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში, და, როგორც სარველა — საძოვრებზე, მინდვრებსა და ბოსტნებში, ზოგჯერ რედერალურ ადგილებზე. ლაშქარის ზოგი სახეობა (<i>Symphytum peregrinum</i>, <i>Symphytum asperum</i>) საქონლის საკვებია, ზოგი ხალხურ მედიცინაში სამკურნალო მცენარედაა ცნობილი, მაგ., (მელენის) ფესურები B<sub>2</sub> ვიტამინს შეიცავს და სვანები უძველესი დროიდან იყენებენ მოტებილობის სამკურნალოდ. <i>Symphytum officinale</i>-ს ფესურები და ფესურები ალკალოიდებს და მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს.</p>

8.	ლახტარა	<b>Rumex scutatus L.</b>	თშ. ქვიშის მუავა; მხვ. ქვიშის მუაველა.		<p>ლახტარა 10-60 სმ სიმაღლის მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარეა. აქვს წვრილი, განტოტვილი ფესვი, მრავალრიცხოვანი, მრაყალყლორტიანი ღეროები, ყავისფერი, ხორციანი ფოთლები. ყვავილებს იკეთებს ყლორტების ბოლოებში. თესლი წახნაგაა, ყვითელი. ყვავილობს მაის-ივნისში. გავრცელებულია ევროპასა და კავკასიაში. იზრდება კლდებზე, ზვავებზე. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი. შეიცავს ქრიზოფანოლს, ალოე-ემოდინს, ფილონის, მთრიმლავ ნივთიერებებს, კუმარინებს, ვიტამინებს. ფესვების ნახარში გამოიყენება დიარიისა და სისხლნაკლულობისას. იხმარება სანელებლად.</p>
9.	ლეგა აკაცია	<b>Acacia dealbata Link.</b>			<p>მცენარეთა გვარი მიმოზისებრთა ქვეოჯახისა. პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის უმეტესად ეკლიანი ხეებია. გვხვდება ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ცნობილია 750-მდე სახეობა. მათგან ნახევარზე მეტი გავრცელებულია ავსტრალიაში (იქ აკაცია ეროვნული ემბლემაა), ნაწილი კი - აფრიკასა და ამერიკაში. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე შემოტანილია ლეგა აკაცია (Acacia dealbata). აკაცია იზრდება მშრალ უდაბნოებსა (მექსიკა, ავსტრალია) და ჭარბტენიან ადგილებში (ინდოეთი, მადაგასკარი). წყვილფრთისებრ-რთული ფოთლები მორიგეობით აქვს განლაგებული. მრავალ სახეობას ფოთლის ფირფიტა არ უვითარდება და ფოტოსინთეზის ფუნქციას ფოთოლივით გაფართოებული ყუნწი, ე. წ. ფილოდიუმი ასრულებს. ნაყოფი მოგრძო პარკია. აკაციის წვრილ-წვრილი, თეთრი, მოყვითალო ან ნარინჯისფერი ყვავილები საგველად ან მტევნად არის შეკრებილი. ყვავილობს თებერვლიდან აპრილამდე. მწიფს აგვისტოში. აკაციას, როგორც სწრაფმზარდ მცენარეს, რგავენ ფერდობების გატყიანებისა და ქალაქების გამწვანებისათვის, მის მერქანს კი იყენებენ ავეჯის წარმოებაში. მცენარე შეიცავს გუმფისს, რომელიც გამოიყოფა ღეროებიდან და ფესვებიდან. ყვავილებისაგან იღებენ ზეთს, რომელიც შედგება ალდეჰიდის, ფენოლისა და მუავებისაგან. ქერქის</p>

					ნაყენი შემკვრელი საშუალებაა. გუმფისის ნაყენი გამოიყენება ოყნებში კუჭ-ნაწლავის ანთებითი დაავადებების დროს.
10.	ლემა	<i>Datura stramonium</i> L.	კხ. ბანგა, კიტრაია, კიტრანა, ნეხვბალახა, ტყლაშუნა; მსხ. ლენცოფა; ჯვხ. პატპატა; ერწო მწვანე ლენცოფა; ლჩხ. ასტმოლე, გოდორა; იმ. ბურძგლა ბალახი, ღორიხოვა, ხოკანა, ხოკის ბალახი; რჭ. კომბარა; აჭ. ჯამუშა; მგრ. ჩხოუში ჭირიში წამალი, ყვაპუში წამალი, ბარწკვენია; სვნ. მეტიშალ, მახმიროლ; საბა ლემი.		მცენარეთა გვარი ძაღლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. ბალახები, იშვიათად, ხეები და ბუჩქებია. გავრცელებულია უმთავრესად ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში. აერთიანებს 20-მდე სახეობას. ყოფილ სსრკ-ში ერთწლოვანი ბალახების 4 სახეობა იზრდება; მათგან 2 — <i>Datura metel</i> და <i>Datura innoxia</i> კულტივირებულია და გავრცელებული. საქართველოში 2 სახეობაა: <i>Datura stramonium</i> და <i>Datura metel</i> . <i>Datura stramonium</i> ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, იზრდება რუდერალურ ადგილებზე, ღობის ძირში, ბოსტანში, გზისპირებზე. სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა. ამჟამად ფართოდაა გავრცელებული ევრაზიაში. კავკასიაში თითქმის ყველა რაიონის მთის ქვედა სარტყელში გვხვდება. შხამიანი მცენარეა, დიდი რაოდენობით შეიცავს ალკალინი (ფოთოლში 0,28%, თესლში 0,33-, -0,48,7%), აგრეთვე სკოპოლამინს და ატროპინს, სხვადასხვა სახის ცხიმებს, მცირე რაოდენობით სპირტებსა და ალდეჰიდებს. ლემისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება რევმატიზმისა და ბრონქული ასთმის სამკურნალოდ. ატროპინის შემცველობის გამო ლემის პრეპარატები იწვევს თვალის გუგის გაფართოებას.
11.	ლენქორანული ხერკინა	<i>Parrotia persica</i> C.A.M.			ბოკაუტი, სპარსული პაროცია ჰამამელისებრთა (Hamamelidaceae) ოჯახის რელიეტური პაროციას გვარის ერთადერთი სახეობა. მისი სიმაღლე 25 მ აღწევს, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი ზაფხულშწვანე ხეა. გავრცელებულია აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ ირანში. ქმნის წმინდა კორომებს (ზღვის დონიდან 250 მ-მდე) ან შერეულია ფოთლოვან (წაბლფოთოლა მუხის, რცხილის და ძელქვის) ტყეში (ზღვის დონიდან 600-800 მ). ლენქორანული ხერკინა იზრდება თბილ და ტენიან გარემოში, თუმცა — 32°C-მდე ყინვასაც უძლებს. ჩრდილისამტანია, ნელა იზრდება. 150 წლისა 15 მ-მდე სიმაღლეს და 30 სმ სისქეს აღწევს,

					<p>ცოცხლობს 200 წლამდე. ყვავილობს თებერვალ-მარტში, შეფოთვლამდე (აპრილში). ნაყოფს ისხამს სექტემბერ-ოქტომბერში. დეკორატიულია, წითლად შეფერილ ფოთლებს დეკომბრამდე ინარჩუნებს. ფოთოლი შეიცავს ტანინებს და ხმარობენ ხალხურ მედიცინაში ჭრილობის მოსაშუალებლად. თესლი შეიცავს ტექნიკურ ზეთს. ამრავლებენ თესლით და ვეგეტატიურად.</p>
12.	ლენცოფა	<i>Hyoscyamus niger L.</i>	ქვ. ქრთ. ღრიანცოფა; მხვ. ბარის ჩხამაძ, საქოთნია; მთ. საბაკნია, საჯამია; ფშ. ლემხურა, ჯამია; თშ. საპინა; ხვს. ძაღლა-ფსელა; მსხ., ჯვხ. ლორცოფინა, ბატბატა; რჭ. ლემი, ლემცოფა; ლჩხ. ტყის თუთუნი; მგრ. წირკეშ წამალი; სვნ. მჰამრტახ, მეჭშალ.		<p>ორწლოვან და ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ძაღლცელებრინასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. მისი 20-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და კანარის კუნძულებზე. საქართველოში იზრდება 3 სახეობა; მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია შავი ლენცოფა (<i>Hyoscyamus niger</i>) — ორწლოვანი ბალახია. ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა და ნახევრად ღერომსვევი. მღვრიე ყვითლი ფერის გვირგვინი იისფრად არის დაძარღვული. ნაყოფი მრავალთესლიანი მოგრძო კოლოფია. გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. გავრცელდა როგორც გზადმიყოლილი. იზრდება რუდერალურ ადგილებზე, გზისპირებზე, ბოსტანში, ბაღსა და მინდოოში. ჩვენში ეს სახეობა გავრცელებულია თითქმის ყველგან მთის ზემო სარტყლამდე. ლენცოფა ძალზე შხამიანია. აქვს არასასიამოვნო სუნი, შეიცავს ალკალოიდებს — ჰიოსციამინს, ატროპინსა და სკოპოლამინს. მედიცინაში იყენებენ ლენცოფას ფოთლების ექსტრაქტს, როგორც სპაზმების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას კუჭნაწლავისა და სასუნთქი გზების ზოგიერთი დაავადების დროს. ლენცოფას დაფშნილი ფოთლები შედის ასთმატოლის შედგენილობაში. ლენცოფასგან ამზადებენ ლენცოფას ზეთს, რომელიც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად იხმარება დაუკუთხობის, იშიაზისა და სხვა შემთხვევებში. ლენცოფით მოწამვლა ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება.</p>

13.	ლელვი	<b>Ficus carica</b> ლბ	ინგ. <b>ლელვა</b> ; ჭნ., მგრ. <b>ლული.</b>		<p>სუბტროპიკული მცენარე თუთისებრთა (Moraceae) ოჯახის ფიკუსის გვარისა. ლელვი მეჩხერად დატოტვილი ხეა. სიმაღლე 4-12 მ აღწევს. ნორჩი ყლორტები მომწვანონაცრისფერია, შებუსული ან შიშველი, შეიცავს რძეწვენს. ლელვი ერთ- ან ორსახლიანი მცენარეა. ერთსქესიანი ყვავილები მოთავსებულია ძალზე გამსხვილებულ ყვავილსაჯდომის ღრუში. ყვავილსაჯდომის კედლები გამოფენილია. მრავალი წვრილი ბუტკოიანი (მდედრობითი) ყვავილით, მტვრიანიანი (მამრობითი) ყვავილები კი მის ზედა ნაწილშია მოქცეული. ნამდვილი ნაყოფი პაწაწინა კაკლუჭაა. ნაყოფები (ცრუ ნაყოფი) საჭმელად იხმარება, ზოგჯერ პართენოკარპულად (გაუნაყოფიერებლად) ვითარდება. ლელვი ნიადაგისადმი დიდ მომთხოვნელობას არ იჩენს. ცოცხლობს 100-200 წელს. ლელვი ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიაში, ირანსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში, კულტივირებულია მრავალ ქვეყნებში, განსაკუთრებით თურქეთში, ალჟირსა და აშშ-ში. საქართველოში გვხვდება ყველგან მთის ქვედა სარტყელსა და დაბლობებზე. ხშირად გაველურებულია. ლელვის ნაყოფი ნაზია, დიდხანს არ ინახება, ჯიშისა და სიმწიფის კვალობაზე იგი შეიცავს შაქარს, პექტინოვან ნივთიერებებს, უჯრედისს, მჟავებს, მდიდარია C, B1, B2 ვიტამინებით, კაროტინით, კალციუმით, რკინით, ფოსფორით, ცხიმებით, შეიცავს ფერმენტებს-ციზინს, ფიცინს.</p> <p>ლელვს იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (ჩირი, მურაბა, ჯემი, კომპოტი). მშრალი ლელვის კალორიულობა მაღალია და 50-77% შაქარს შეიცავს. საქართველოში ლელვი ძველთაგანვე ცნობილია და ფართოდაა კულტივირებული კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში. უცხოური ჯიშებიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს თათრულ ლელვს, ჩაფლას, შაქარა ლელვს, ჩიტა ლელვს, დიდ ლელვს, ოქრო ლელვს, ღვინა ლელვს, ტაბაკა ლელვს, შავ ლელვს და სხვა. ლელვს ამრავლებენ თესლით, კალმით, გადაწვენითა და ფესვის ამონაყარით.</p>
-----	-------	---------------------------	---	---	---

					<p>ლეღვის მანებლებია ფქვილისებრი ცრუფარიანა, ლეღვის ფარიანა, ფსილა, ალურა, ცილაჭმია და სხვა. ლეღვის ნაყოფს იყენებენ საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად და შარდმდენ საშუალებად, კენჭების გამოსადენად. მისი პრეპარატები ავლენენ ანტიმიკრობულ, დამარბილებელ, შემკვრელ, ამოსახველებელ, მსუბუქ სასაქმებელ, შებერილობის საწინააღმდეგო, საერთო გამაგრილებელ თვისებებს. კარგი საშუალებაა გულსისხლძარღვთა სამკურნალოდ. იყენებენ სავლებად ანგინის, ხიხინის, ხველების, ბრონქიტის დროს. შმრალი ფოთლების ნახარში გამოიყენება ენტერიტის, ენტეროკოლიტისა და ხველებისას. ფოთლებისა და ჯინჭრის ნახარშს ხმარობენ დიზენტერიისას.</p>
14.	ლეშურა	Bryonia L.	ჩ. ღოსტაკო.		<p>ბრიონია. ორლებნიან მცენარეთა გვარი გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახია. აქვს გორგლისებურად გამსხვილებული ფესვი და მცოცავი ღერო, მომწვანო-მოყვითალო წვრილი ყვავილები და კენკრა ნაყოფი. 15-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიაში და აფრიკაში, ყირიმში, კავკასიაში და შუა აზიაში. საქართველოში - 2 სახეობა; თეთრი ლეშურა (Bryonia alba) და ორსახლიანი ლეშურა (Bryonia dioica); ორივე სახეობა შეამიანია - ფესვი შეიცავს გლიკოზოდ ბრიონინს და ბრიონიდინს, ხმარობდნენ ხალხურ მედიცინაში. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი, რომელიც შეიცავს ალკალოიდ გალერიანს, გლიკოზიდებს, სახამებელს, მთრიმლავ ნივთიერებას, ჰექტინებს, ამინომჟავებს, შაქრებს, შარდჟევას, ეთერზეთებს, ფიტოსტერინებს, ვიტამინებს. მცენარე არის ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი, დამამშვიდებელი, სისხლაღმდეგენი, ტკივილგამაყუჩებელი და ამოსახველებელი თვისებების მატარებელი. გამოიყენება წყლულოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის, რევმატული პოლიართორიტის, შეშუპებების, შავიკის, გულის ტკივილის, წყალმანკის, ეპილეფსიის, დამბლის, პლევრიტის, ჰეპატიტის სამკურნალოდ. შეიცავს საღებავ ნივთიერებებსაც. დეკორატიულია, იყენებენ აივნისა და ფანჩატურის გასამწვანებლად.</p>

15.	ლიკოპოდიუმი	<i>Lycopodium L.</i>	ხევს. ყაფლანა; ოკრ. კატითა, თა.		<p>ლიკოპოდიუმისებრთა (Lycopodiaceae) ოჯახის მარადმწვანე ბალახოვანი მცენარეების გვარი. აქვს 4 მეტრამდე სიგრძის მცოცავი ღერო. წვრილი და ხშირი ფოთლები. სასპორო თავთავები (სტრობილები) კენწრული და მკვრივია. შედგება ღერძისა და სპირალურად განლაგებული სპოროფილებისაგან, რომელთა ზედა მხარეზე მოთავსებულია სპორანგიუმები. 10-მდე სახეობა ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარ-სფეროს ტყის ზონაშია გავრცელებული. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: <i>Lycopodium clavatum</i> და <i>Lycopodium annotinum</i>. ლიკოპოდიუმის და ზოგიერთი მისი მონათესავე გვარის სახეობათა სპორები გამოიყენება სამკურნალოდ და სამსხმელო წარმოებაში. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი და სპორები. სპორები შეიცავს ეთერზეთებს, ცილებს, შაქარს, ვიტამინს, მინერალურ მარილებს. ავლენს ანტიმიკრობულ, ანთების საწინააღმდეგო, შემომგარსველ, დამამშვიდებელ, შარდმდენ, ნაღველმდენ, სასაქმებელ თვისებებს. ხალხური მედიცინა იყენებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, შარდის ბუშტის, თირკმლების დავადებისას; ტკივილგამაყუჩებლად.</p>
16.	ლიმონი ჩვეულებრივი	<i>Citrus limon (L.) Burm. fil.</i>	ს. ლიმო		<p>მრავალწლოვანი მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე ციტრუსოვანთა გვარის ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახისა. ლიმონის ხის სიმაღლე 3—7 მ აღწევს. აქვს ეკლებიანი ტოტები, ღია მწვანე, მოგრძო ლანცეტისებრი ან მოგრძო კვერცხისებრი, კიდედაკბილული, ტყავისებრი ფოთლები. ყვავილი ორსქესიანია, თეთრი, არომატული. ნაყოფი მრავალბუდიანი კენკრაა, სიგრძე 6—7 სმ, დიამეტრი 5—6 სმ (120გ-მდე), ნაყოფის ქერქი 2—5 მმ სისქისაა, ყვითელი, გლუვი ან ამობურცულია. ზეთოვანი ჯირკვლებითაა მოფენილი, მწარე, დამახასიათებელი არომატი აქვს. რბილობი მომწვანო-მოყვითალო, წვრილმარცვლოვანი, წვნიანი, ძალიან მჟავეა. თესლი ღია ფერისაა, გლუვი, ნაყოფში დაახლოებით 20 ცალი ან მეტია. ლიმონი სითბოს და სინათლის მოყვარე მცენარეა, ციტრუსოვან მცენარეთა შორის ყველაზე უფრო უყვარს</p>

					<p>ტენი. მისი სამშობლოა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. ველურად არ არის შენიშნული. მოშენებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, აშშ-ის, მექსიკის, არგენტინისა და სხვა სუბტროპიკულ რაიონებში. ყოფილ სსრკ-ში 200 წელზე მეტია რაც მოჰყავთ. ღია გრუნტში ლიმონის მოშენების უმთავრესი რაიონებია კავკასიის შავი ზღვის სანაპირო, აზერბაიჯანი, შუა აზია. ლიმონი მოჰყავთ ტრანშეებში, აგრეთვე ოთახის პირობებში. ლიმონის ნაყოფი შეიცავს: მჟავებს (უმთავრესად ლიმონის), შაქრებს, C, P და B ვიტამინებს, პექტინოვან ნივთიერებებს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმსა და მაგნიუმს. მედიცინაში ლიმონს იყენებენ სურავანდის, სიყვითლის, წყალმანვის, შარდვენჭოვანი დაავადებების, ბუასილის, ტუბერკულოზის, კატარის, კუჭის დავადებებისათვის; ხახისა და პირის ლორწოვანი გარსის ანთებისას, ავიტამინოზისა და ათეროსკლეროზის დროს.</p>
17.	ლიმონის ავშანი	<b>Artemisia salina Kazakew</b>			<p>ძალიან განტოტვილი ბუჩქი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახიდან 50-80 სმ სიმაღლისა და 50-60 სმ დიამეტრისა. აქვს უამრავი ხისებრი ღერო, დაყოფილი ფოთლები, მოგრძო კალათები. ყვავილი ორსქესაა, მილისებური; თესლი ძალიან წვრილი, ღია რუხი. ერთ ადგილას ხარობს 10-15 წელი. ყვავილობს ოქტომბრიდან, მწიფდება დეკემბერში. ბუნებრივ პირობებში ხარობს თურქმენეთში. მდიდარია ვიტამინებით. გამოყოფს ციტრალს, რომელიც აუცილებელია ვიტამინ C-სთან კონცეტრაციისათვის.</p>
18.	ლიმონის კატარიტნა	<b>Nepeta cataria L.</b>			<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე. ღეროები სწორი, ერთ მეტრამდე სიმაღლისა, ტოტებზე გაფოთლილი; ფოთლები სამკუთხა-კვერცხისებური, მსხვილკბილა; ყვავილები ხუთნაწილა, ორტუჩა, ტოტების ბოლოში განლაგებული; გვირგვინი თეთრი. ნაყოფი პარკუჭი. ყინვაგამძლეა.</p> <p>ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნახარში და ნაყენი. ნახარში ამაღლებს ორგანიზმის დაცვით ფუნქციებს, მოქმედებს გულსისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემაზე;</p>

					იყენებენ სისხლნაკლულობისას, ხველისას, ღვიძლის, სიყვითლის, ნაწლავების, ისტერიების, თავის ტკივილის, გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ; მოწამვლების პროფილაქტიკისათვის. მისი ეთერული ზეთი გამოირჩევა ანტიმიკრობული აქტივობით.
19.	ლიმონის ურო	<i>Cymbopogon citratus</i> (D.C. et Nees) Stapf.			მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახისა. აქვს ხახვისებური ძირი და გრძელი და მაღალი ფოთლები. მისი ძირითადი შემადგენელია ციტრალი. ლიმონის უროს ნაყენი გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური, ანტიდეპრესანტული, ანტიმიკრობული, ბაქტერიოციდული სამუალება.
20.	ლიმონურა	<i>Schizandra chinensis</i> (Turcz.) Boill			მცენარეთა გვარი Schizamdraceae ოჯახისა. შეიცავს 14 სახეობას. გამერქნებულდეროიანი ლიანაა, რომლის სიგრძე 15 მ აღწევს. აქვს ელიფსური ან ოვალური ფოთლები, თეთრი ან ვარდისფერი სურნელოვანი ყვავილები, ნაყოფი - წითელი კენკრაა. ნაყოფს (ისევე როგორც სხვა ნაწილებს) გასრესისას ლიმონის სუნი და გემო აქვს. შეიცავს კრისტალურ ნივთიერებას — სქიზანდრინს, ეთეროვან ზეთებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, C ვიტამინსა და სხვა. იყენებენ მედიცინაში მასტიმულირებელ საშუალებად. გვხვდება აღმოსავლეთ აზიის მთის ტყეებში.
21.	ლიპია	<i>Lippia citrodora</i> H.B.K.			ეთერზეთოვანი მრავალწლოვანი ბუჩქბალახა მცენარე ვერბენასებრთა ოჯახისა. სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. 2 მ-მდე სიმაღლის ღერო სწორია, ტიტველი, წაწვეტებულ-ლანცეტისებრი ფოთლები მოპირდაპირედაა განლაგებული. ყვავილები წვრილია, გვირგვინი თეთრი, შიგნიდან მეწამული. ფოთლები და ყვავილები შეიცავს ეთეროვან ზეთს, რომელშიც 30%-ზე მეტი ციტრალია; სასიამოვნო სურნელება აქვს, იყენებენ პარფიუმერიასა და კვების მრეწველობაში. კულტივირებულია ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანში. ამრავლებენ ძირითადად კალმით. პლანტაციაში ირგვება შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. ყინვისაგან დასაცავად შემოდგომაზე მცენარეს 30 სმ სიმაღლეზე

					გადაჭრიან და მიწას შემოაყრიან, გაზაფხულზე კი ისევ მოაცილებენ.
22.	ლიჩი	<i>Litchi chinensis Sonner</i>			სამშობლო ჩინეთი. სუტროპიკული და ტროპიკული მარადმწვანე მცენარე ვიწრო და წინწამოწეული, დატალღული ფურცლებით. აქვს წვრილი ყვავილები, ცოცხებად შეკრული. თითოეულ შეკვრაში წარმოიქმნება ბუდე 10-15 ნაყოფით. არის მისი ასამდე სახეობა. უფრო ფასეულია უნაყოფო ლიჩი. ხე იზრდება ნელა. აღწევს 15-20 მ-მდე. ნაყოფს ჭრიან ტოტებთან ერთად. მცენარე შეიცავს ვიტამინებს, პექტინურ ნივთიერებებს, რკინას, კალიუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, ნიკოტინის მჟავას, ცილებს. ითვლება, რომ ლიჩი დადებითად მოქმედებს მომნელებელ სისტემაზე, გამოიყენება ანემიისა და ათეროსკლეროზის სამკურნალოდ.
23.	ლობიო, ჩვეულებრივი ლობიო	<i>Phaseolus vulgaris (L.) Savi</i>	კხ. ლობიო, ლებუა; მთ., მხვ., ფშ., ხვს., თშ. ლებიო; გურ. ლობიე, ლობიე; ინგ. ფაყლაი; ჭნ. ლობია; მგრ., სვნ. ლებია		ერთ- და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. მოიცავს 150-ზე მეტ სახეობას, რომლებიც ამერიკის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე იზრდება. კულტურაშია დაახლოებით 20 სახეობა, რომელთაგანაც სასურსათო მნიშვნელობა 7-ს აქვს. უფრო გავრცელებული სახეობაა ჩვეულებრივი ლობიო ( <i>Phaseolus vulgaris</i> ), რომელიც ყველა კონტინენტზე მოჰყავთ. ღეროს სიმაღლე 20-45 სმ, ხოლო ხვიარა ფორმებისა 2-5 მ-ს აღწევს. ნაყოფი პარკია, რომლის სიგრძე 7-იდან 28 სმ-მდეა, აქვს 3-7 თესლი. თესლი სფეროსებრი, წაგრძელებული და თირკმელისებრია, ფერად თეთრი, მოწითალო, ყავისფერი ან ჭრელი. მცენარე სითბოს და სინათლის მოყვარულია, შედარებით გვალგამძლეა, ხარობს თითქმის ყველანაირ ნიადაგზე. როგორც ჩვეულებრივი ლობიო, ისე მისი ყველა სხვა კულტურული სახეობა სასურსათო, ცხოველთა საკვები, სასიდერაციო და დეკორატიული მცენარეა. ლობიოს მარცვალი შეიცავს ცილას, ნახშირწყლებს, ცხიმს. საჭმელად იყენებენ მწიფე თესლს (მარცვალს) და მისგან დამზადებულ ფქვილს, მწვანე პარკს; ცხოველთა საკვებად — მწვანე მასას, მის სილოსს (სიმინდთან ერთად), ჩალას. ლობიოს ბევრი სახეობის სამშობლოა ცენტრალური და

					სამხრეთი ამერიკა. ჩვეულებრივი ლობიო ამერიკიდან ევროპაში შემოიტანეს XVI საუკუნეში. ხალხურ მედიცინაში პარკების წყალთან ნაყენი გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ. გერმანიაში ლობიოს მშრალ ჩენჩხოს ნაყენს სვამენ შაქრის დიაბეტის, შარდის ბუშტის, კენჭოვანი დაავადების, ქრონიკული რევმატიზმის, ბუასილის, მაღალი წნევის, იშიაზის დროს. ფქვილისა და თესლის ფხვნილს იყრიან ჭრილობაზე. კლინიკურ პირობებში იყენებენ შაქრის დასარეგულირებლად.
24.	ლომისკბილა	<b>Leontodon hispidus L.</b>	მგრ. ჯოლორიში ბაიე		მრავალწლოვან და ერთწლოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. აერთიანებს 50-ზე მეტ სახეობას, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი სარტყლის რაიონებში. საქართველოში 5 სახეობაა. <i>Leontodon hispidus</i> გავრცელებულია მთელ საქართველოში, იზრდება მდელოებსა და ბუჩქნარებში მთის ზედა სარტყლამდე. თაფლოვანი და საკვები მცენარეა. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. მისი ძირები, შეიცავენ რა მწარე ნივთიერებებს, აძლიერებენ ნაღვლის დენას, არის სპაზმოლიტური, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო, ანტივირუსული, ფუნგიციდური, ანტიჰელმინტური, ანტიკანცეროგენული, დიაბეტის საწინააღმდეგო საშუალება. ფესვებს იყენებენ მთლიანად და დაჭრილსაც.
25.	ლოტოსი	<b>Nelumbium</b>			წყლისა და ხელეთის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლოტოსისებრთა ოჯახისა (რომელსაც ზოგჯერ დუმფარასებრთა ოჯახთან აერთიანებდნენ). აქვს გრძელყუნწიანი, წყალზე მოტივტივე და წყლის ზემოთ ამოშვერილი დიდი, ფარისებრი ფოთლები და ეული ყვითელი ან ვარდისფერი ყვავილები. ლოტოსის 2 სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელსა და ტროპიკებში. ვარდისფერყვავილებიანი ინდური ლოტოსი ( <i>Nelumbo nucifera</i> ) გავრცელებულია ავსტრალიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მაღაის არქიპელაგზე, ფილიპინების კუნძულებზე, იაპონიის სამხრეთში, შრი-

					<p>ლანკის კუნძულებზე, ინდოჩინეთისა და ინდოსტრანის ნახევარკუნძულებზე, ჩინეთსა და ჩრდილოეთ ირანში, ამიერკავკასიასა (მტკვრის ქვედა დინებაში), ვოლგის დელტაში.</p> <p>ინდოეთსა და ჩინეთში ლოტოსი ძველთაგანვე საღვთო მცენარედ არის მიჩნეული. ყვითელი ლოტოსი (<i>Nelumbo lutea</i>) იზრდება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკის ატლანტიკურ სანაპიროებსა და ჰავაის კუნძულებზე. ლოტოსის ყველა ნაწილში C ვიტამინი და კაუზუია, ყუნწებსა და ღივებში - შხამიანი ნივთიერება ნელუმბინი. თესლსა და ფესურებს საჭმელად და საქონლის საკვებად იყენებენ. ე. წ. ეგვიპტური ლოტოსი დუმფარას გვარს განეკუთვნება. ტრადიციული ჩინური მედიცინა თვლის, რომ ლოტოსს შეუძლია სისხლის წარმოქმნა, კვებავს ნაღველს, ადენს შარდს, აღადგენს სისხლს, ავიწროვებს ძარღვებს. ლოტოსის მიღება რეკომენდებულია სისხლდენის, სისხლდებინების, ფეხმძიმობის დროს.</p>
26.	ლუმბანგი, სანთლის ხე	<b>Aleurites mollucana Willd</b>		 A photograph showing a single, round, green fruit of Aleurites mollucana (Babassu nut) hanging from a branch. The fruit has a smooth surface and is surrounded by green leaves.	<p>მოლუსკის ხე. რძიანასებრთა (Euphorbiaceae) ოჯახისა. ჰავაიში კუკუსის ხეს უწოდებენ, ფილიპინებზე - ლუმბარგს. მისი კავლები ჰავას ბერძნულს, მაგრამ უფრო პატარაა და მაგარი. ყვავილები ყვითელი. ყვავილობს მაისში. ნაყოფისაგან იღებენ ზეთს, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ადგილობრივები ძირითადად საწვავ სითხედ ხმარობენ, თუმცა გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაშიც. ზეთი შეიცავს ალფა-ლინელოლის მჟავას (ომეგა 3), რომლის ნაზავი ომეგა ბ-სთან საუკეთესო შემახორცებელი და დამწვრობის უკვალიდ მომაშუშებელი საშუალებაა. ზეთი ღრმად აღწევს კანქვეშ, არბილებს მას.</p>

27.	ლურჯი ზამბახი	<i>Iris germanica</i> L.	გურ. იაკოსტა; ლჩხ. ლურჯი ყაყაჩო; იმ. პრასა-ყვავილი; მგრ. პურასქიაში ვარდი.		მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახია. აქვს ხმლისებრი, იშვიათად ხაზური ფოთლები და დიდი, ლურჯი ყვავილები, 3-წახნაგოვანი მრავალთესლიანი კოლოფა ნაყოფი. იზრდება მდელოზე, ველსა და ნახევრად უდაბნოში, ზოგი - ჭაობსა და ტენიან ადგილას. ფართოდ გავრცელებული დეკორატიული მცენარეა. იყენებენ პარფიუმერიაში და მედიცინაში. აგროვებენ ზამბახის ძირებს, რომელსაც საქართველოში ის ძირებს ეძახიან. აშრობენ ჩრდილში. ძირხვენა შეიცავს გლუკოზიდებს, ლორწოს, ცხიმოვან ზეთს, ფისებს. იყენებენ ძირითადად ფხვნილებად, პლასტირად, კბილის პასტის, ეთერული ზეთის მისაღებად.
28.	ლურჯი მოცვი	<i>Vaccinium uliginosum</i> L.			მოცვისებრთა (Vacciniaceae) ოჯახს ეკუთვნის. იზრდება ჰიმლარქტიკული სამყაროს სუბალპურ და ალპურ სარტყელში. ჩვენში იზრდება სუბალპურ ტყეებში, გვხვდება უფრო მაღლაც — დეკიანებში. ბევრია მთათუშეთში, წითელ მოცვთან და შექრთან ერთად ქმნის მოცვიანებს. ყვავის მაისივნისში, ნაყოფი უმწიფდება ივლის-აგვისტოში. მოცვის ნაყოფი მომჟავო-ტკბილია. იჭმება ნედლად, ამზადებენ მურაბასაც, შეიცავს C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს. გამხმარ ნაყოფს ხმარობენ მედიცინაში კუჭის შემცველ საშუალებად. ნორჩი ფოთლების ნახარში საუკეთესო ოფლმდენი საშუალებაა. კარგი თაფლოვანი მცენარეა.
29.	ლურჯი ნარი, ლურჯეკალა	<i>Eryngium coeruleum</i> M.B.	მსხ., ფშ. ნარცეცხლა; ჩ. შავწეწელა.		მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- ან ერთწლოვანი ბალახია. 230-მდე სახეობა გავრცელებულია ტროპიკულ, სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყელებში (უკირატესად მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში). საქართველოში 5 სახეობაა. ზოგიერთი სახეობა სარეველაა. <i>Eryngium planum</i> შეიცავს საპონინებს და ეთეროვან ზეთებს, იხმარება ამოსახველებელ საშუალებად. იყენებენ სახსრების, გულის პრობლემების, სასქესო და საშარდე ორგანოების, დამბლის, იმპოტენციის სამჯურნალოდ. .

30.	ლურჯი ძირწითელა, ჩვეულებრივი ძირწითელა	<b>Echium vulgare L.</b>			<p>ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახისა ერთ მეტრამდე სიმაღლისა. ოდნავ დახრილი ღეროებით. ფოთლები ხაზოვან-ლანცეტური. ძირები თითისტარისებური. ლამაზი, ლურჯი და წვრილი ყვავილები ღეროს მთელ სიმაღლეზე ქმნიან ცოცხისებრ ყვავილებს. ნაყოფი მუქი კავალია. ყვავილობს მაის-ივნისში. სამკურნალო ნედლეულია ფოთოლი, ძირები, ღერო და ყვავილი. შეიცავს საპონინებს, შხამიან ალკალოიდებს. იგი აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. გამოიყენება დამამშვიდებელ საშუალებად ეპილეფსიის, შხამიანი ქვეწარმავლების კბენისას. მისი ნახარშისაგან იღებენ ამოსახველებელ წამლებს.</p>
31.	ლუფა	<b>Luffa Mill.</b>			<p>მცენარეთა გვარი გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. მცოცავლერიანი ერთწლოვანი ბალახებია. აქვთ ერთსქესიანი, დიდი ყვითელი ან თეთრი ყვავილები და მრავალთესლიანი, შშრალი, ბოჭკოვანი ნაყოფი. 6-8 სახეობა (სხვა მონაცემებით 20-მდე) ტროპიკულში იზრდება. უფრო ცნობილია ცილინდრული ლუფა (<i>Luffa cylindrica</i>) და წაბნაგოვანი ლუფა (<i>Luffa acutangula</i>). ორივე სახეობა, ძირითადად, კულტივირებულია ტროპიკულსა და სუბტროპიკულში (იაპონია, ინდოეთი, ინდოჩინეთი, ეგვიპტე, ტროპიკული ამერიკა, აშშ, მცირე აზია). მოჰყავთ აგრეთვე კავკასიასა და ყირიმის შავი ზღვის სანაპიროზე, ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში. მკვახე ნაყოფი იჭმება. მწიფე ნაყოფს დამუშავების შემდეგ იყენებენ საბანაო ღრუბლად, ქუდების და სხვა ნივთების დასამზადებლად.</p>

1.	მაგნოლია	<b>Magnolia</b>		 <p>მცენარეთა გვარი მაგნოლიასებრთა (Magnoliaceae) ოჯახისა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი ხეები და ბუჩქებია. მეტწილად დიდი ფოთლები აქვთ. ყვავილები კენწრული და ორსქესიანია, უმეტესად სურნელოვანი, იშვიათად მყრალი. ნაყოფი გირჩისებრი, მრავალფოთლურაა, საიდანაც ძაფზე ჩამოკიდებული, წითელ გარსში მოქცეული თესლი. ცნობილია მაგნოლიის 80-მდე სახეობა, მათგან 20-მდე სახეობა ჩრდილოეთ ამერიკაში იზრდება, დანარჩენი — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მაგნოლია კულტურაში ფართოდ არის დანერგილი. კარგად ხარობს ნოყიერ, ტენიან, დრენირებულ ნიადაგზე. ამრავლებენ თესლით, კალმით (სათბურში). ყოფილ სსრკ-ში კულტივირებულია 16 სახეობა, უმეტესად დიდყვავილა მაგნოლია (Magnolia grandiflora), რომელიც შეიცავს ეთერზეთებს, გლიკოზიდებსა და ალკალოიდებს. საქართველოში მაგნოლია მოშენებულია თბილისში, წინანდალში, ქუთაისში და სხვა ადგილებში, უფრო მეტად კი შავი ზღვის სანაპიროზე.</p>
2.	მათუთა	<b>Chenopodium foliosum (Moench) Asch.</b>	<p>ქრთ. ძაღლამარწყვა, კატამარწყვა; ქრთ., რჭ. ძაღლყუერძენა; კხ. მათუთელა; ქზყ. ძაღლის თუთა; მსხ. ძაღლმარწყვა, ძაღლის მარწყვი; თშ. ძაღლთუთოლა; მთ. ძაღლის ქოლო; მხვ. ძაღლამ, ძაღლის ხუნწამ; ლჩხ. ძაღლიმაყვალა.</p>	 <p>ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახის მცენარეა. იზრდება 25-50 სმ სიმაღლეზე. თუმცა, ძირითადად, მიწაზე გართხმული მცენარეა რომბისებრი ფოთლებით. ნაყოფი შეჭყლებულია და მოთავსებულია ფოთლების უბეებში. ყვავილები შეკრულია მრგვალად. ყვავილობს ივნის-ივლისში. ხარობს ქვარნალებში. მათუთასებრთა მთელი ოჯახი მდიდარია მინერალური მარილებით, რომლებიც სასარგებლოა გულის დაავადების სამკურნალოდ. მრავლად შეიცავს ვიტამინებს.</p>

3.	მაიორანი	<b>Majorana hortensis Moench.</b>			სურნელოვანი ბალახოვანი მცენარე ტუচისანთა (Lamiaceae) ოჯახისა; იყენებენ კულინარიაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში; მისგან იღებენ ეთეროვან ზეთებს. ბალის მაიორანი გამოიყენება სამკურნალო მცენარის და სუნელ-სანელებლის სახით. ფარმაცევტულ მრეწველობაში მაიორანისაგან ამზადებენ ჩაის და იღებენ ეთერზეთს (Oleum majoranae). მაიორანი სლოვაკური სამზარეულოს ყველაზე პოპულარული საკმაზ-სანელებელია. გაოიყენება კარტოფილის სუპის, ღვიძლის, სალათების, სოკოს, ხორცის სუპების, ძეხვის, შემწვარი ფრინველის, საწებლების, სპაგეტის, შემწვარი ღორის, ცხვრისა და ბატკნის ხორცის დამზადებისას. მას იყენებენ ბარდის, სალათების, თევზის და ზოგიერთი ყველის დამზადებისას. მაიორანი გამოიყენება დიეტურ კვებაშიც მარილის შემცვლელად და კუჭის შესაკვრელად.
4.	მაისურა	<b>Maianthemum Wigg.</b>			მრავალწლოვანი ბალახოვანი Convallariaceae-ის ოჯახის მცენარე, რომელიც იზრდება რუსეთის ტენიან ტყეებში. მიწისქვეშა ძირებიდან ამოსდის წვრილი და ნაზი მცოცავი ფესვუკები. მიწისზედა ღერო დიდი არა. იგი სწორადმდგომია და ბოლოვდება გულის ფორმის ორი ფოთლით. ღეროს აბოლოვებს ყუნწი თეთრი წვრილი ყვავილით. ნაყოფი წითელი კენკრაა ერთი-ორი თესლით. ხალხურ მედიცინაში ბალახის ნაყენს იყენებენ დასალევად ფეხებში სისუსტის დროს. ნედლ ფოთოლს იდებენ სიმსივნეზე დასარბილებლად და გასაწოვად. ხმელ ფოთლებს იყენებენ ჩაის ნაყენის დასამზადებლად.
5.	მაკლურა, თუთავაშლა	<b>Maculra pomifera (Rafin.) Schneid.</b>			მცენარეთა გვარი თუთისებრთა (Moraceae) ოჯახისა. გვარში მხოლოდ ერთი სახეობაა — ნარინჯისებრი მაკლურა (Maculra pomifera). იგი ორსახლიანი, ფოთოლ-მცვივანი, გაშლილვარჯიანი ხეა, რომლის სიმაღლე 20 მ აღწევს. აქვს ღრმად დაშაშრული მურა-რუხი ქერქი, ეკლიანი ტოტები, კიდემთლიანი, კვერცხისებრი, ბოლოწაწვეტილი ფოთლები და დიდი, მრგვალი,

					<p>ნარინჯის მსგავსი, თუმცა ღრმად დანაოჭებული „ნაყოფი“ (ნაყოფედი), რომელიც არ იჭმება (შეიცავს რძეწვენს). მაკლურას სამშობლოა ჩრდილოეთი ამერიკა. დეკორატიულ მცენარედ მოშენებულია კავკასიაში, შუა აზიასა და უკრაინაში. საქართველოში ბევრგანაა მოშენებული. შედარებით ყინვაგამძლეა, კარგად ეგუება მწერსა და რამდენადმე დამლაშებულ და მშრალ ნიადაგს, თუმცა უკეთ ხარობს საშუალო ტენიანობის პირობებში. ადვილად იტანს კრეჭას. იყენებენ მტკიცე და გაუვალი ცოცხალი ღობის გასაშენებლად, აგრეთვე გასამწვანებლად. სამშობლოში დიდად ფასობს მისი ოქროსფერი მერქანი, რომელიც ცნობილია „ბრაზილიური ყვითელი ხის“ სახელით. მისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან ქაღალდს, ყვითელ საღებავს. ამ ეგზოტიკური მცენარის ნაყოფი გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი საშუალება. გარდა ამისა, მას იყენებენ ონკოლოგიური და კანის სხვადასხვა დაავადებებისას, რევმატიზმის, ჰიპერტონიის, ჰემორაგიული პათოლოგიების სამკურნალოდ.</p>
6.	მამულა	<i>Artemisia vulgaris L.</i>	მხვ. სურო; მთ. სერნა, საფცევენელა, სურო-ბალახი; თშ. ჯორთკუდა, ფერთკუდა; ხვს., ერწო ავშანი; გურ. მყრალა-ბალახი, აბზინდა; აჭ. გიაუროთი; მგრ. ოშაშურია, აბზინდა; სვნ. ვოქსოლიც, მჰესდნი.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. მისი ღეროს სიმაღლე 100-150 სმ აღწევს. ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა რაიონში — ბარიდან სუბალპურ სარტყლამდე, უმეტესად დანაგვიანებულ კარმიდა-მოებში, ბუჩქნარებში, ბოსტნებში, ნასვენებზე, მდინარის ნაპირებზე და სხვა ადგილებში. შეიცავს ვიტამინს, ასკორბიმეჯავას, მთრიმლავ ნივთიერებასა და კაროტინს, ლორწოვან და ფისოვან ნითიერებებს, კუმარინებს, ალკალოიდებს, ინულინს. მდიდარია აგრეთვე პროტეინით და უჯრედისით. იმის გამო, რომ ეთეროვან ზეთებს შეიცავს, საქონელი არ ეტანება.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება მისი გაფოთლილი წვეროები და ფესვები. მცენარე შეიცავს ეთერზეთებსა და მისგან შექმნილი პეპარატები სისხლაღმდეგნი,</p>

					სიცხის დამწევი, ციებ-ცხელების საწინააღდეგო, ჭიების დამდენი, მატონიზირებელი, ნარველმდენი და სხვა სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. მცენარეს იღებენ მოწამვლის, კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთების, მალარიის, გრიპის, ნერვოზის, ალკოჰოლიზმის, ტუბერკულოზის შემთხვევებში.
7.	მანანა, ერიკა	<i>Erica aboreae L.</i>			მცენარეთა გვარი მანანასებრთა (Ericaceae) ოჯახისა. ბუჩქბალახები, ბუჩქები და პატარა ხეებია. აერთიანებს 500-მდე სახეობას, რომელთა უმრავლესობა იზრდება კაპის ოლქში (აფრიკის უკიდურესი სამხრეთ ნაწილი). 15 სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში. მხოლოდ ერთი სახეობა ხისებრი მანანა ( <i>Erica aborea</i> ) გვხვდება საქართველოში (აფხაზეთში — ბიჭვინთის მიდამოებში), მთის ქვედა სარტყელის ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე. მაღალი მარადმწვანე ბუჩქი ან პატარა ხეა, აქვს ლამაზი მკვრივი მერქანი. მცენარე შეიცავს ორგანულ მჟავეებს, ალკალოიდებს, ფენოლებს, ფლავონოიდებს, ფენოლკარბონულ მჟავებს, კუმარინებს, საპონინებს, მინერალურ მარილებს... მისი პრეპარატები გამოიყენება დამამშვიდებლად, დასაძინებლად, შარდმდენად, ამოსახველებლად და სხვ. უნიშნავნ საშარდე ბუშტის კედლების ანთებისას, საშარდე გზების ჩირქოვანი დაავადებისას. მკურნალობენ დიაბეტს, ათეროსკლეროზს, ტუბერკულოზს, ღვიძლს, გასტრიტს, ეგზემას, რადიკულიტს, რევმატიზმს, ნიკრისის ქარს, ანგინას, სტომატიტს და სხვ.
8.	მანგოსტანი	<i>Garcinia mangostana L.</i>			მანგოსტანი და მანგუსტანი [მალაიური] - სამხრეთ-აზიური ტროპიკული ხე; ისხამს მომჟავო-ტკბილ სურნელოვან ნაყოფს. აქვს ტყავისებრი ხეშეში მუქი მწვანე ფოთლები, მოვარდისფრო ყვავილები და მოწითალო ან მოყავისფრო-იისფერი მომჟავო-ტკბილი და სურნელოვანი ნაყოფი. მისი სამშობლოა მალაკის ნახევარკუნძული და მალაის არქიპელაგი. კულტივირებულია

					<p>ტროპიკულ აზიაში. მედიცინაში მანგუსტანი ფართოდ გამოიყენება. მისი თავდაპირველი შემოტანა ჩინეთიდან სწორედ ამასთანაა დაკავშირებული. მის გამომშრალ კანს აქუცმაცებენ და იყენებენ დიზენტერიის სამკურნალოდ. მისგან მიღებულ მალამოს ისვავენ გამონაყარზე. ნახარშს იღებენ დირეისა და ცისტიტის დროს. იყენებენ როგორც სისხლადმდგენ საშუალებას. მკურნალობები ციებ-ცხელებას. მალამოთი ამუშავებენ ჭრილობებს. მისი პრეპარატები მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და სისხლის წნევაზე.</p>
9.	მანდარინი	<i>Citrus unshiu</i> (Swingle) Marc.			<p>მარადმწვანე სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარე Citrus-ის გვარის ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახისა. ყველაზე უფრო გავრცელებულია მანდარინი უნშიუ (Citrus unshiu), ხის სიმაღლე 3 მ-მდეა, ვარჯის დიამეტრი 3-3,5 მ. ყვავილი საკმაოდ დიდია, ორსქესიანი, გვირგვინის ფურცლები შეიცავენ ჯირკვლებს, რომელშიაც დიდი რაოდენობითაა ეთეროვანი ზეთი, ნაყოფი უთესლოა, კანი ნარინჯისფერია, რბილობი — ღია ნარინჯისფერი, წვენანი. წვენი შეიცავს შაქრებს, მჟავებს (უმთავრესად ლიმონის), C ვიტამინს და სხვა. ნაყოფს იყენებენ უმეტესად ნედლად, აგრეთვე გადამუშავებულს (წვენი, ჯერი, მურაბა, კომპოტი და სხვა). კანი მდიდარია პექტინოვანი ნივთიერებებით, ეთეროვანი ზეთებითა და გლიკოზიდებით, იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში, აგრეთვე ეთეროვანი ზეთების მისაღებად, ხოლო ამ უკანასკნელს — პარფიუმერიისა და კვების მრეწველობაში. ციტრუსოვან კულტურათა შორის მანდარინი უნშიუ გამოირჩევა შედარებით მაღალი ყინვაგამძლეობით. მანდარინი მსხმიარობას იწყებს ოკულირებიდან (კვირტით მყნობა) მე-4 წელს. საქართველოში 1885 წელს პირველად შემოიტანეს იტალიიდან მანდარინი, რომელმაც სამრეწველო მნიშვნელობა ვერ მიიღო, რადგან დაბალი ყინვაგამძლეობის აღმოჩნდა და ნაყოფი დროზე არ მწიფდებოდა. ის შეცვალა უნშიუმ, რომელიც 1896 წელს შემოიტანეს</p>

					იაპონიიდან და სწრაფად გავრცელდა. სამკურნალოდ იყენებენ ბორდოს სითხის 1% ხსნარსა და ცინებს.
10.	მანდრაგორი	<b>Mandragora Officinalis Mill.</b>	ჩუბ. ონანა.		მცენარეთა გვარი ძაღლყურმენასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი უღერო ან მოკლედეროიანი ბალახია. აქვს დიდი (80 სმ სიგრძის და 60 სმ სიგანის) ფოთლები, მომწვანო-თეთრი, ცისფერი ან იისფერი ყვავილები და დიდი ნარინჯისფერი ან ყვითელი კენრა ნაყოფი. მისი მსხვილი სწორი ფესვები ზოგჯერ ადამიანის სხეულს ემსგავსება (ძველად ალბათ ამიტომ მიაწერდნენ ხოლმე მანდრაგორს მაგიურ ძალას და მასთან ბევრი ლეგენდაც იყო დაკავშირებული). გვარში 5-6 სახეობაა, რომელიც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და შუა აზიაში, ჰიმალაის მთებში. ზოგი მანდრაგორის ფესვი, ნაყოფი და თესლი შეიცავს ალკალოიდ ჰიოსციამინს, სკოპოლამინს და სხვას. ზოგჯერ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად იყენებენ.
11.	მანეული	<b>Sálix L.</b>	ზმ. იმ. მარნეული; იმ. ყვითელი ტილიფი; ქვ. იმ. ყვითელი ტირიფი; ლჩხ., რჭ., მგრ. კაპიჭი; საბა მარნა.		ხისებრი მცენარე ტირიფისებრთა (Salicaceae) ოჯახიდან. ძალიან გავრცელებულია. ფორმა სხვადასხვანაირი აქვს. ძირითადად უყვარს ჭაობიანი ადგილები. არის მაღალი ხეც (Salix alba, Salix fragilis, Salix carpera) და ბუჩქიც (Salix viminalis, Salix daphnoides, Salix purpurea), ზოგჯერ მიწაზე გართხმულიც. მისი კანის ექსტრატები ავლენენ ანთების საწინააღმდეგო თვისებებს. სალიციოლმჟავა პირველად სწორედ მის შემადგენლობაში იქნა აღმოჩენილი.
12.	მანიჰო, მანიოკი	<b>Manihot</b>			მცენარეთა გვარი რძიანისებრთა (Euphorbiaceae) ოჯახისა. ერთსახლიანი პატარა ხეები, ბუჩქები და ბალახია. აერთიანებს 160-ზე მეტ სახეობას. სამშობლოა ტროპიკული ამერიკა. ევროპაში შემოიტანეს პორტუგალიელებმა. კასავა (Manihot esculenta, Manihot utilissima) მარადმწვანე ბუჩქია, მისი სიმაღლე 3 მ აღწევს. აქვს თათისებრ განკვეთილი ფოთლები, მომწვანო-მოყვითალო წვრილი ყვავილები და კოლოფა ნაყოფი. გორგლისებურად გამსხვილუბული ფესვის სიგრძე 1 მ


					<p>აღწევს, მასა — 15 კგ. შეიცავს სახამებელს. მისგან ამზადებენ ფქვილსა და ბურღულს — ტაპიოვას. ახლად ამოღებულ გორგლში შხამიანი გლიკოზიდია, რომელიც სწრაფად იშლება გახურებით და დუღილით. მანიჰოტის ყველა სახეობა შეიცავს რძეწვენს, ზოგი კაუჩუკოვანია (<i>Manihot glaziovii</i>). მისგან იღებენ დექსტრინს, გლუკოზას, აცეტონს.</p>
13.	მაჟალო	<b>Malus silvestris (L.) Mill.</b>	ქვ. იმ., ქვ. რჭ. კუტა ვაშლი; ზმ. იმ., ზმ. რჭ., გურ. პანტა, პანტა-ვაშლი; ლჩხ. ტყის ვაშლი, მწარე ვაშლი; ინგ. ჭირვაშლ, ჭირჭამა; ჭ. მტკუდ უშქირი; მგრ. პანტე უშქური, ტყარ უშქური, კვეტელე უშქური; სვნ. გოწო ვისგ. მაჟალო-ვაშლი.		<p>ხე ან ბუჩქი ათ მეტრომდე სიმაღლისა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. ზოგჯერ აქვს ეკლოვანი წანაზარ-დები. ფოთლები ელიფსური ან მომრგვალებული, დაკბილული. ყვავილები წვრილ ყუნწებზე. გვირგვინი ვარდისფერი ან თეთრი. ნაყოფი წვრილი, მრგვალი. ყვავილობს მაის-ივნისში. მწიფეს აგვისტო-სექტემბერში. მეწლეა. მრავლდება ძირითადად თესლით.</p> <p>ნაყოფი შეიცავს შაქრებს (ფრუქტოზას, გლუკოზას, საქაროზას), ვაშლის, ღვინის, ლიმონის მჟავებს, პექტინურ ნივთიერებებს, C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub> ვიტამინებს, კაროტინს, კალციუმის მარილს, რკინას, ფილოფორს და სხვ. იყენებენ საკვებში მომჟავო გემის მისაცემად. მისგან ხშირად აყენებენ ღვინოს, სიდრს, წვენებს, ძმარს. გამოიყენება შელესა, მარმელადისა და ტყლაპის წარმოებაში. მისი თესლი შეიცავს 23–33 %-მდე ზეთს. ხალხურ მედიცინაში მაჟალოს ნახარში გამოიყენება საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, შარდვენჭოვანი დაავადებისას, თავის ტკივილის, უძილობის, ბრონქიტის სამკურნალოდ.</p> <p>მაჟალო აქტიურად გამოიყენება ფარმაცევტულ წარმოებაში სისხლნაკლულობის საწინააღმდეგო ექსტრაქტის დასამზადებლად.</p>

14.	მარადმწვანე ძახველი	<b>Viburnum tinus</b> L.			<p>ბუჩქი, დეკორატიული Viburnaceae ოჯახისა. შეიძლება მიიღოს ნებისმიერი ფორმა. ყვავილობს ხანგრძლივად. მრავლდება ყლორტით ან თესლით. ისხამს სამუალო ზომის ლურჯ ნაყოფს. ძახველის ნაყოფი შეიცავს ადამიანისათვის აუცილებელ მრავალ ნივთიერებას - შაქარს, ორგანულ მჟავებს, ტანინს, პექტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისისებრ ეთერს, ვიტამინებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიბურნინი, რომელიც ძახველის ნაყოფს სიმჟავეს აძლევს და ამიტომაც მისი წვენი სამკურნალოდ გამოიყენება შაქართან და ჟელესთან ერთად. ძახველის წვენი გამოიყენება გულის და ყელის დაავადებების სამკურნალოდ.</p>
15.	მარგალიტა	<b>Botrychium lunaria</b> (L.) Sw.			<p>პატარა გვიმრა (5—30 სმ სიმაღლისა) Botrychiaceae ოჯახისა. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში და მეჩხერ ტყეებში ევრაზიაში, ამერიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. მრავალწლოვანია. ფესვი მცურავია. ვეგტატიური ნაწილი გრძელი აქვს. გამოიყენება მედიცინაში.</p>
16.	მარიამა	<b>Ligusticum alatum</b> (M.B.) Spr.	თშ. მარიამმარა, კლდისასუქა.		<p>მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ქოლგისებრთა (Apiaceae) ოჯახისა. იზრდება 2 მეტრის სიმაღლისა. აქვს სპეციფიური სუნი. ფესვები - სასიამოვნო სურნელიანი. ტანი სწორი, მარტივი და თავში გატოტვილი. ფოთლები - ბუზბულოვანი, მბრწყინვავი, დაკბილული. ყვავილები - პატარა, ნათელი ყვითელი ფერისა, მრგვალი, ქოლგისებურად შეკრული. ნაყოფი-წყვილთესლა. ყვავილობს ივნის-ივლისში, თესლი მწიფს სექტემბრში. გავრცელებულია ევროპაში.</p> <p>სამკურნალოდ ფოთლებს აგროვებენ ყვავილობის დროს, თესლებსა და სამწლიან ძირებს შემოდგომით. ნედლეულს აშრობენ სუფთა ჰაერზე, ჩრდილში. მისი ნაყენი გამოიყენება, როგორც შარდმდენი, სისხლგამაჯანსაღებელი, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ფესვების ნაყენი კარგი საშუალებაა მენსტრუალური</p>

					დარღვევებით გამოწვეული ტკივილების გასაყუჩებლად, ისტერიების, ნერვულ დაავადებათა სამკურნალოდ, მუცლისა და კუჭის ტკივილისას, სისხლნაკლულობისას. იყენებენ თმის ცვენის საწინააღმდეგოდაც. ცოცხალ ფოთლებს იდებენ თავზე ტკივილის გასაყუჩებლად.
17.	მარიამსაკმელა	<i>Peganum harmala L.</i>	მსხ. უზალუგი, უზალიკი, გუზალიკი; სმხ. საკმელა-ჭაპალუკა.		მცენარეთა გვარი ორყურასებრთა (Zygophyllaceae) ოჯახისა. ზოგიერთი ეკუთვნის მარიამსაკმელასებრთა (Peganaceae) ოჯახს. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია. აქვთ აღმავალი ან წამოწეული ღერო, ხაზურად განკვეთილი ფოთლები, ყვითელი ყვავილები, სამსაგდულიანი და მრავალთესლიანი კოლოფი ნაყოფი. აერთიანებს 6 სახეობას, რომელიც გავრცელებულია ევრაზიის სამხრეთ ნაწილსა და მექსიკის ზეგანზე. საქართველოში 1 სახეობაა — <i>Peganum harmala</i> ; იზრდება მშრალ და დამლაშებულ ადგილებზე — ველებზე, ნახევრად უდაბნოებსა და უდაბნოებში, ზოგჯერ რუდერალურ ადგილსამყოფელზეც. მისი თესლიდან იღებენ მოწითალო-მოვარდისფრო საღებავს შალეულისა და აბრეშუმის ქსოვილებისათვის. სამკურნალოდ გამოიყენება თესლი და ფესვი. მისი პრეპარატებით კურნავენ პარკისონიზმის და მთრთოლვარე დამბლას. იგი აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისიტემას, აგდებს წნევას, აუმჯობესებს სუნთქვას, ადუნებს გულისა და კუჭ-ნაწლავის კუნთებს, აფართოებს პერიფერიულ სისხლძარღვებს.
18.	მარიამსხალა	<i>Aegopodium podagraria L.</i>			მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახიდან. ფესვებთან მდებარე და ღერობის გრძელყუნწიანი ფოთლები ორჯერაა დაყოფილი სამ ნაწილად. ფოთლები წაგრძელებულ-კვერცხისებრია, კიდეები-ხერხისებური; ყვავილები -პატარა, თეთრი. ხარობს ევროპაში, კავკასიაში, ციმბირში, შუა აზიაში. ლათინური დასახელება მომდინარებს ბერძნული სიტყვიდან <i>aegos</i> -თხა და <i>podion</i> -ფეხა: ეპითეტი

					podagraria მიუთითებს, რომ ის გამოიყენება ნიკრისის ქარის სამკურნალოდ. საერთოდ ძნელად ამოსაძირკვი სარეველაა. ფესვები ჰორიზონტალურად იზრდება. ღერო სწორია. იზრდება 50-100 სმ სიმაღლეზე. ყვავილობს ივნის-ივლისში, დაახლოებით 50 დღის მანძილზე. რთულ ქოლგაზე დაახლოებით 300-500 ყვავილს ისხამს, მთელი მცენარე კი 3000-მდე ყვავილს. მისი ნორჩი ფოთლები და ყლორტები იჭმევა, ხოლო ნაყენი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ფოთლები შეიცავენ აზოტურ მინარევებს, მათ შორის ხოლინს (რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ცვლისათვის), ლიმონისა და ვაშლის მჟავას, ფლავონილებს, კვერციტინს, კემპფეროლს (ამაგრებენ სისხლძარღვების კედლებს), ეთერულ ზეთს, მინერალურ მარილებს. ძირებში არის ეთერზეთები, საპონინები, სახამებელი, ფისი. მარიამსხალა გამოიყენება აგრეთვე რევმატიზმების, თირკმლების, სამარდე ბუშტის სამკურნალოდ, ჭრილობების მოშუშებისათვის და ტკივილების გასაყუჩებლად; ეგზემისა და დიათეზის საწინააღმდეგოდ.
19.	მარმუჭი	<b>Alchemilla L.</b>	თშ. ნამა, დათვფეხა; ხვს. ფაფანაგა; მსხ. შაფარ-შუფარა; რჭ. ბორბალა-ბალახი; ლჩხ., ჩუქ. არმუჯი; ერ. ნაოჭა; ქვ.იმ. ხაჭაპურა ბალახი; მგრ. ჩიქი.		მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი დაბალი ბალახებია. მეტწილად მხოხავი ფესურა და გრძელ-ყუნწიანი ფესვთანური ფოთლების როზეტი აქვთ. პატარა ორსქესიან ყვავილებს გვირგვინის ფურცლები არ გააჩნია. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. საქართველოში იზრდება 61 სახეობა, მათგან 30 — საქართველოს ენდემია. მარმუჭის სახეობები იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყელებში, მეტწილად ბუჩქარებში, ტყის ფერდობებსა (განათლებულ ადგილებში) და მდელოებზე, მდინარეთა სანაპიროებსა და ზოგჯერ გზის პირებზეც კი. ზოგიერთი სახეობა დომინანტობს მაღალმთის მდელოებზე და ქმნის ე. წ. „მეორადი ხალების“ მცენარეულ საფარს. ზოგიერთი სახეობის ფესურა და

					ფოთლები საღებავ ნივთიერებებს შეიცავს. მარმუჭის შემადგენლობაში შედის მთრიმლავი ნივთიერებები, სიმწარეები, ცოტაოდენი ეთერული ზეთი, ფლავონოიდები. არსებობს მარმუჭისაგან დამზადებული რამდენიმე პრეპარატი, მაგრამ მედიცინა მათ არაეფექტურად თვლის. ხალხურ მედიცინაში, მეცნიერულისაგან განსხვავებით, მარმუჭი გამოიყენება ხველებისას, ბრონქიალური ასთმის და სასუნქი გზების სამკურნალოდ. იყენებენ კლიმაქსის, მძიმე მენსტრუაციის, კუჭ-ნაწლავების დაავადების და სხვა შემთხვევებში. გარეგანად გამოიყენება ჭრილობების გასაწმენდად, თვალებისა და ყელის სამკურნალოდ.
20.	მარწყვა-ბალახი	<i>Potentilla reptans L.</i>	კხ. მარწყველა; ქზყ. მარწყვის-დედა; იმ. ბაწარი; ზმ.იმ. ხუთთითა; მგრ. ცამუაში ოჭაჭალი.		მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- ან ერთწლოვანი ბალახები და ბუჩქბალახებია. 500-მდე სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, უმეტესად კი ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 30 სახეობაა. მათგან 2 — საქართველოს ენდემია, (გვხვდება აფხაზეთსა და სვანეთში). 15-მდე — კავკასიისა. სახეობათა უმრავლესობა იზრდება ალპური სარტყლის მდელოებსა და ნაშალებზე, ნაწილი კი გვხვდება ქვიან, თიხნარ ფერდობებზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, მთის ქვედა სარტყლიდან მოვიდებული ალპურ სარტყლამდე. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისსა და წებოს. სამკურნალო მიზნებისათვის აგროვებენ ფესვებს, აშრობენ და ინახავენ. ნაყენს და ნახარშს იყენებენ წყლულების, კუჭაშლილობის, სისხლდენის, ბუსილის, ემფიზემის, ფილტვების ტუბერკულოზის, ქალური დაავადებების სამკურნალოდ.

21.	მარწყვი	<i>Fragaria vesca</i> L.	იმ. დარდალა; ზმ.რჭ. წიწინდერა; იმ. წიამპოლა; საბა უელი; ქნ. კანდლუ; მგრ. ცემუა, ცემუა, წიწმდერა, წიწინდარა, ხვიხვინია; სვნ. ბასყი, ბცსყ.		<p>მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახია. საქართველოში ველურად იზრდება 3 სახეობა. ტყის მარწყვი (<i>Fragaria vesca</i>) ხარობს ტენიან და დაჩრდილულ ადგილებზე, ტყის პირებზე, მდელოებსა და ველობებზე. მწვანე მარწყვი (<i>Fragaria viridis</i>) ეტანება შედარებით მშრალ და ქვიან ადგილსამყოფელს; მუშკის მარწყვი (<i>Fragaria moschata</i>) კი მხოლოდ თბილ მიდამოებში იზრდება. მარწყვს ამრავლებენ ჩითილით, სელექციურ მუშაობაში – თესლით. უმთავრესად მოჰყავთ ბაღის მარწყვი (<i>Fragaria ananassa</i>), რომელიც ველურად არ გვხვდება. სარგავად არჩევენ ნიადაგის სწორ ზედაპირს, ხოლო ნოტიო ადგილებში კვლებს აკეთებენ. მცენარეს რგავენ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე, ნარგავს უხვად რწყავენ. აგროვებენ ნაყოფსა და ფოთლებს. ნაყოფი მწიფე უნდა იყოს. გამშრალი ნაყოფი ორ წლამდე ინახება. იგი შეიცავს ვიტამინ B<sub>1</sub>, ასკორბინის, სალიცინის და ვაშლის მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებას, რუტინს, კაროტინს, ანტიციანოზურ ნაერთებს, მინ. მარილებს – Na, K, Ca, Mg, Fe, P, Co და სხვ. ფოთლების შედგენილობაში შედის ალკალოიდები, მთრიმლავი ნივთიერება, რუტინი, ფლავონოიდები.</p> <p>ფოთლების და ნაყოფების ნაყენს ან გამონაცემს უნიშნავენ ავიტამინოზის დროს. ასევე შარდდამდენ, თირკმლებსა და შარდის ბუშტში ქვების დამშლელ საშუალებად, ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებისას. ფოთლები სპაზმოლიტური, მომამაგრებელი და ტკივილგამაყუჩებელია. ხალხურ მედიცინაში ხმარობენ დიაბეტის დროს, როგორც ჰიროგლიკემიურს, ასევე ათეროსკლეროზის, ანემიის, რაქიტის საწინააღმდეგოდ. ნედლი ნაყოფი გამოყენებას ჰპოვებს ჰომეოპათიაში.</p>
-----	---------	--------------------------	--	---	--

22.	მატიტელა ჩვეულებრივი	<i>Polygonum aviculare L.</i>			<p>მცენარეთა გვარი მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახისა. იგი პატარა, ერთწლოვანი ბალახია, ღერო წამოწეულია ან გართხმული 10–14 სმ სიგრძის, სულ ქვედა მუხლთშორისები 1–3 სმ სიგრძისაა; ფოთლები სხვადასხვა ზომისაა, ფორმით კი ერთნაირია – ოვალურიდან ხაზურამდე, ბლაგვწვერიანი ან ოდნავ წაწვეტებული მუქი მწვანე, ზოგჯერ მოლეგო; ღეროს ფოთლებისაგან მცირეოდენ განსხვავდება ტოტების ფოთლები. ლოლუები ორადაა ღრმად განკვეთილი, მუხლთშორისებზე მოკლე ყვავილები პატარა, 2–5 ერთად ფოთლების იდლიებში განლაგებული; ყვავილსაფარი მეტნაკლებად 5-ად განკვეთილი, მომწვანოა, კიდეებზე თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი უწესო სამწახნაგოვანია, წაწვეტებული, წახნაგებზე პატარა წერტილებითაა დაფარული. მცენარე ყვავილობს VI–X. ხალხურ მედიცინაში იყენებენ. გამოიყენება თირკმლებისა და ღვიძლის სამკურნალოდ კენჭების მოსაშორებლად; გასტრიტისას, მჟავიანობის უკმარისობის ან მომატების შემთხვევაში; შარდის ბუშტის ქრონიკული ანთებისას; სამშობიარო სისხლდენისას; ჭრილობების მოსაშუშებლად; მალარიის, ტუბერკულოზის, ჰიპერტონიის სამკურნალოდ. მისი სპორები შეიცავს რკინას, რომელიც იწვევს თერაპიულ ეფექტს ჰიპოქრომული ანემიის დროს. გამოიყენება ნაყენის სახით.</p>
23.	მაღალი მოცვი, კავკასიური მოცვი	<i>Vaccinium arctostaphylos L.</i>			<p>ბუჩქი ან ტანდაბალი (2–4 მ) ხე მანანასებრთა (Ericaceae) ოჯახისა. მოწითალო-თეთრი ზარისებრი ყვავილები აქვს. ნაყოფი შავი კენკრაა, იჭმევა. გავრცელებულია ძირითადად კოლხეთში, ნაკლებად გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართლში, შიგა კახეთში, თალიშა და თურქეთში (მდინარე ჭორობის აუზი). იზრდება ქვეტყედ ზღვის დონიდან 2200 მ-მდე, მეტწილად წიფლნარში, სოჭნარ-ნაძვნარში, ფიჭვნარსა და სუბალპურ არყნარში, იშვიათად დეკიანში. ფოთოლი შეიცავს 135-მდე ტანიდებს, იყენებენ ტყავის მოსათრიმლად, ჩაის ნაცვლად; ახმობენ კერკად და ხმარობენ კუჭის</p>

					შემკვრელ საშუალებად, კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში.
24.	მაღლისმთის მუხა	<b>Quercus macranthera</b> Fisch. et Mey.			<p>პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარეა. ხარობს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. ქმნის ტყეებს 1350-2650 მეტრის სიმაღლეზე. მუხის სხვა სახეობებისაგან განსხვავდება შედარებით მომცრო ტანით (15-20 მეტრი) და ლამაზი ფოთლებით, რომლებიც 18 სიგრძისაა, მთლიანი კიდეებით ან მსხვილკბილა; ზემოდან მუქი-მქვანე, ქვმოდან - რუხი.</p> <p>ხე წელა იზრდება. უძლებს ყინვასა და გვალვას. მისგან არაერთ ჰიბრიდია (<i>Q. macranthera</i>; <i>Q. macrocarpa</i>; <i>Q. macranthera</i>; <i>Q. rubra</i>; <i>Q. macranthera</i>, <i>Q. Robur</i>, <i>Q. macranthera</i>, <i>Q. Alba</i>) გამოყვანილი. მისი ფესვი და ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. მედიცინაში მისი ნაყენი და ნახარში გამოიყენება შემკვრელ საშუალებად, აგრეთვე სავლებად სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ჰკურნავენ დამწვრობასაც.</p>
25.	მაყვალი	<b>Rubus L.</b>	აჭ. გურ., ბარდი, ბარდყვავილამ; ინგ. მაყვლ; ჭნ. მუყი; მგრ. მუყი, მუყია, დურღენი, ძიგირიში მუყი, ომბოლი ძიგირი, ომბოლი მუყი; სვნ. ვიღ, უღვ (ნაყოფი), ძიგირ (მცენარე).		<p>მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მეტწილად ხვიარა ბუჩქებია. აქვთ ეკლებით ან ჯაგრებით მოფენილი გრძელი ღეროები. პირველი წლის ყლორტებზე — ტურიონებზე — მხოლოდ ფოთლებია, მეორე წლის ყლორტებზე კი — ყვავილები და ნაყოფები. ყვავილები მარტოულია, უფრო იშვიათად, ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი კრებადია და შედგება წითელი ან მოწითალო-მოშავო ნაფიფქიანი წვნიანი კურკიანებისაგან. მაყვალის 200-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 37 სახეობა გვხვდება, მათგან 27 საქართველოს ენდემია. მაყვლის ღერო და ფოთლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ნაყოფი — შაქრებს, მუხავებს, C ვიტამინს და კარიტინს. იყენებენ ნედლად, აკეთებენ მურაბას, ჯემს და სხვა ნაწარს. ცნობილია კულტურული მაყვლის</p>

					დაახლოებით 300-მდე ჯიში.
26.	მაჩიტა	<i>Campanula rapunculoides</i> L.	ფშ. მაჩიკა, ნაჩიკა, მიჩიკა, მიჩიკტარა, სატყლაშუნა; მხვ. მთ. კაწამ, საფეთქებელა, სატყეშებელა; რჭ., ზმ. იმ. ჩიტითავა; ლჩხ. სათითურა; აჭ. კოსტანტილა; ჭნ. ტუკში; მგრ. შუშულუბა; სვნ. ღვდჭი, მალჯა.		მცენარეთა გვარი მაჩიტასებრთა (Callitrichaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- ან ერთწლოვანი ბალახებია. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ზონაში, ნაწილობრივ არქტიკაში, უმთავრესად კი ევრაზიის დასავლეთ ნაწილის მთებში. ყოფილ სსრკ-ში 150-ზე მეტი სახეობაა. კავკასია 8-ს სახეობრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი კერაა, 110-მდე სახეობიდან 76 ენდემურია. საქართველოში იზრდება 67 სახეობა, მათგან 24 საქართველოს ენდემია. სახეობათა დიდი ნაწილი რელიქტურია. მნიშვნელოვანი რელიქტური ენდემებია. საოცარი მაჩიტა ( <i>Campanula mirabilis</i> ), პარადოქსული მაჩიტა ( <i>Campanula paradoxa</i> ), ენგურის მაჩიტა ( <i>Campanula engurensis</i> ), კახური მაჩიტა ( <i>Campanula kachetica</i> ), ხარაძის მაჩიტა ( <i>Campanula charadzeae</i> ) და სხვა სახეობები. მაჩიტა კავკასიასა და საქართველოში იზრდება ალპურ ხალებსა და მდელოებზე, სუბალპურ მაღალბალახეულობაში, ბუჩქნარებსა და ტყეებში, მცირე რაოდენობით — მთის შუა სარტყლის კლდეებსა და ქვიან ფერდობებზე, თითო-ოროლა სახეობა ბარშიც იშვიათი არა. მაჩიტას ბევრი სახეობა დეკორატიულია, ხშირად იყენებენ ალპინარიუმებისათვის, რამდენიმე სარეველაა; ზოგი ხალხურ მედიცინაში იხმარება როგორც ციებ-ცხელების, სისხლ-აღმდგენი. ანთებისაწინააღმდეგო და გამაყუჩებელი საშუალება.

27.	მაწაქი, ლოგორო	<b><i>Goebelia alopecuroides</i> (L.) Bge</b>			<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. მისი ღეროს სიმაღლე 1 მ აღწევს. აქვს კენტფრთისებრი ფოთლები და მტევან ყვავილედში თავმოყრილი თეთრი ან მოყვითალო ყვავილები. გავრცელებულია მცირე და ცენტრალურ აზიაში, ირანში, ყოფილ სსრკ-ში — ევროპის ნაწილის სამხრეთში, კავკასიაში, შუა აზიისა და ციმბირში. საქართველოში გხევდება ქართლსა და კახეთში, დაბლობიდან მოკიდებული მთის შუა სარტყლამდე, ტენიან ადგილებსა და ნათესებში. აბეზარი სარეველაა. სამკურნალოდ გამოიყენება მთელი მცენარე. შეიცავს ტრიპერპენოიდებს, ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, ანტრახინონს, ალოემოდინს, ანტრაცენოზიდებს. მისი პრეპარატები-საფოკარნინი, მატრინი, ალოპერინი იწვევენ აღმგზნებ ქმედებას და მოკლე ხნით სწევენ წნევას, ავიწროებენ პერიფერიულ სისხლძარღვებს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ საშარდე სისტემის სამკურნალოდ და პარაზიტების საწინააღმდეგოდ, გარეგანად – დამწვრობის მოსაშუალებლად. ნახარში გამოიყენება ხველისას, სიცხის დასაწევად, გულის, აორტის, სისხლძარღვების, ციმბირის წყლულის, დიფტერიის, რევმატიზმის, ნერვული და ვენერიული დაავადებების სამკურნალოდ.</p>
28.	მახრჩობელა	<b><i>Deschampsia caespitosa</i> (L.) P.B.</b>			<p>მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახბია. აქვთ უმეტესად გაშლილი საგველა ყვავილედები. გვარში 60-მდე სახეობაა. გავრცელებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროს ცივ და ზომიერ სარტყელში, ტროპიკების მთებში. საქართველოში 3 სახეობა იზრდება. <i>Deschampsia caespitosa</i> ფართოდ არის გავრცელებული მთის შუა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, ტენიან ნიადაგებზე. <math>\text{SiO}_2</math>-ის შემცველობის გამო მას შედარებით დაბალი კვებითი ღირებულება აქვს. მდელოს სარეველაა. სუბალპური და ალპურ სარტყელში მშრალ ქვაღორღიან ნაშალებზე იზრდება <i>Deschampsia flexuosa</i>. მეჩერკორდიანი მცენა-</p>

					რეა. მისი რბილი ფოთლები საქონლის კარგი საკვებია. <i>Deschampsia media</i> გვხვდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მთის შუა სარტყლამდე მდელოებზე. დეკორატიული მცენარეებია. სამკურნალოდ გამოიყენება ბევრი პრეპარატი, რომელთა შემადგენლობაშიც იგი შედის.
29.	მაჯალვერი	<b>Daphne mezereum L.</b>	აჭ. ჭანჭყაბურა; მთ., ქრთ. ძუძუმყრალა; გურ. ჯანჯღამურა; სვნ. მაჯვარა, მაჯორა.		მცენარეთა გვარი მაჯალვერისებრთა ( <i>Thymelaeaceae</i> ) ოჯახისა. აერთიანებს 100-მდე სახეობის მარადმწვანე ან ფოთოლმცვივან მცირედ დატოტვილ ბუჩქებს. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოში 6 სახეობა იზრდება. უფრო ფართოდ გავრცელებულია ჩვეულებრივი მაჯალვერი ( <i>Daphne mezereum</i> ) — ფოთოლმცვივანი ბუჩქი, რომლის სიმაღლე 1,5 მ აღწევს. აქვს ვარდისფერი, სურნელოვანი, თაფლიანი ყვავილები, რომლებიც ფოთლის გაშლამდე ან მათთან ერთად გამოაქვს და წითელი კურკიანი ნაყოფი. გვხვდება უმეტესად მთის ზედა სარტყლის ტყეებში. მეტად დამახასიათებელია სუბალპური გამეჩერებული ტანბრეცილი ტყეებისათვის. მისი ყველა ნაწილი შეამიანია და დეკორატიულ მცენარედ იშვიათად აშენებენ. სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი, ნაყოფი, ფოთოლი და ყლორტები. შეიცავს: გლიკოზიდ დაფნინს, კუმრინს, გუმფინს, ცხიმებსა და ეთერზეთს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კანის დაჩირქების საწინააღმდეგოდ, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, ნევრალგიის, სიმსივნის, ჩირქ-გროვების, სიყვითლის და სახსრების ტკივილის სამკურნალოდ. იყენებენ სიმსივნეების საწინააღმდეგოდაც.
30.	მაჰონია, ჭყორფოთოლა	<b>Mahonia aquifolium Nutt.</b>			მცენარეთა გვარი კოწახურისებრთა ( <i>Berberidaceae</i> ) ოჯახისა. გვარში 50-ზე მეტი სახეობის მარადმწვანე ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა. უმთავრესად გავრცელებულია ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში. რამდენიმე სახეობა გვხვდება აღმოსავლეთ აზიაშიც. საქართველოში ინტროდუცირებულია 7 სახეობა, მეტწილად — ჭყორფოთოლა და იაპონური მაჰონია. ჩრდილოამერიკული

					ჭყორფოთოლა მაჰონია (Mahonia aquifolia) მარადმწვანე ბუჩქია, რომლის სიმაღლე 1 მ აღწევს. აქვს მუქი მწვანე, შემოდგომით მოწითალო-ბრინჯაოსფერი ფოთლები, კაშკაშა ყვითელი ყვავილები და ლეგა ნაფიფქიანი მოლურჯო-მოშავო კენკრა ნაყოფი. დეკორატიული მცენარეა. იყენებენ ბაღ-პარკების მშენებლობაში. მრავლდება თესლით, ფესვის ამონაყარით, მწვანე კალმებით. მისგან აზადებენ პრეპარატ პსიროატენს, რისთვისაც გამოიყენება მცენარის ქერქი, წვერო, ტოტები, რომლებიც შეიცავს ალკალოიდებს. პრეპარატს ძირითადად ფსორიაზის და კანის სხვა დაავადების სამკურნალოდ იყენებენ.
31.	მდგნალი	<i>Salix caprea</i> ლბ	კხ. ბატიჭუა; მთ., ფშ., ხვს. დგნარი, დგნალი; ფშ. ფოხვი; ოკრ. ჭიჭუნჭი; ლჩხ. ბაგუნდი, ჩიჭვინი; აჭ. ციცელა, ციცა; ინგ. კატაწნორა; საბა კატატირიფა, ბედმუშკი; მგრ. კატუჯვარი, კატუჯვარიში ჯა; სვნ. ბდგვრა, ბაია.		<p>ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ტანდაბალი (10 მ-მდე) ხე ტირიფის გვარის ტირიფისებრთა (Berberidaceae) ოჯახისა. ნორჩი ყლორტები ლეგა, ბუსუსიანი. ფოთლები — ფართოა, ელიფსური ან წაგრძელებული, ზემოდან მუქი მწვანე და შიშველი, ქვემოდან ქეჩისებრბუსუსიანი და ლეგა მწვანე. გავრცელებულია ევროპასა და მცირე აზიაში. იზრდება მთელ საქართველოში, დაბლობიდან მოკიდებული სუბალპურ სარტყლამდე, ტყის პირებზე, მდინარეებისა და რუების გასწვრივ. თაფლოვანია. ქერქი შეიცავს ტანინებს და იყენებენ ტყავის მოსათრიმლავად. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყარით. სამკურნალოდ და ფარმაცევტული პრეპარატების მისაღებად გამოიყენება მდგნალის ქერქი, რომელსაც იღებენ ორ ან სამწლიანი მცენარისაგან. მისი ქერქი, როგორც ოფიცინალური სამკურნალო ნედლეული, აღიარებულია ბევრ ქვეყანაში. იგი შეიცავს ცელულოზას, ნახშირწყლებს, ლიგნინს, ფენოლოგლიკოზიდებს, კატეხინებს, ანტიციანებს, ლეიკოანტიციანებს, ცხომოვან უჯრედებს. დადგენილია, რომ მისი ქერქისაგან მიღებული პრეპარატები ავლენენ ანთებისასაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელ, მატონი-ზირებელ თვისებებს. მათ იყენებენ არტერიული ჰიპოტენზიის სამკურნალოდ. ქერქის ნახარში და სპირტზე</p>

					<p>ნაყენი მისი ყვავილედისა რეკომენდებულია ტაქი-კარდიის და ნევროზის სამკურნალოდ. ქერქის ნახარში აგდებს სიცხეს, კურნავს რევმატიზმს, შველის ფალ-არათს. იყენებენ სავლებად პირის ღრუს დაავადებისას. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ციებ-ცხელების, რევმატიზმის, ქრონიკული ანთების, მუცლის და კუჭის ტკივილის გასაყუჩებლად, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ, სისხლალმდგენ, შარდმდენ, ნაღველმდენ საშუალებად.</p> <p>გასულ საუკუნეში ლიუტეოლინის მისაღებად იყენებდნენ მის ფოთლებსაც.</p>
32.	მდელოს მატკვარცანა	<i>Lathyrus pratensis L.</i>	ზმ. იმ. ირემა; ოკრ. ყვავისფრჩხილა; რჭ. მატკვალცანა		<p>30-60 სმ სიგრძის მრავალწლოვანი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარე მხოხავი, განტოტვილი და წვრილი ფესურით. ღერო ოთხკუთხა, აღმავალი, განტოტვილი, რბილი ბეწვით. ფოთლები თანამიმდევრული. ყვავილები 10-15 მმ სიგრძის, შეკრული ფუნჯებად. ყვავის ივნის – ივლისში. ნაყოფი-თეთრი პარკი, მოშავო შეფერილობის. იზრდება ნესტიან, მიწერალებით მდიდარ ნიადაგზე. გავრცელების არეალი ევროპა, აზია და აფრიკის სუბტროპიკები. მისი ფოთლები შეიცავს ვიტამინ C, კაროტინს, პროტეინს, მწარე ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, მჟავებს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ამოსახველებელ საშუალებად. რეკომენდებულია სასუნთქი გზების სამკურნალოდ, ბრონქიტების, ბრონქების გაფართოების, ფილტვების ტუბერკულოზისა და ანთების სამკურნალოდ.</p>
33.	მდოგვი	<i>Brassica L.</i>	აჭ. ხარდალი; გურ. დოგვი; მგრ. დონგი.		<p>ბალახოვანი მცენარეები ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახის <i>Sinapis</i> და <i>Brassica</i>-ს გვარებისა. <i>Sinapis</i> გვარი მოიცავს 7-10 ერთწლოვან ან იშვიათად მრავალწლოვან სახეობას. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიაში. მეტწილად სარეველა მცენარეებია. ყოფილ სსრკ-ში მისი 2-3 სახეობაა, საქართველოში — 2: თეთრი მდოგვი (<i>Sinapis alba</i>) იზრდება მინდვრებსა და დანაგვიანებულ ადგილებში, მთის შუა სარტყელამდე.</p>

					<p>მინდვირის მდოგვი (<i>Sinapis arvensis</i>) ნათესების სარეველაა და ზოგჯერ გზის პირებსა და ბოსტნებშიც გვხვდება. <i>Brassica</i>-ს გვარიდან მდოგვს მიეკუთვნება სარეპტის მდოგვი (<i>Brassica juncea</i>), რომლის სიმაღლე 1,5 მ აღწევს. მოჰყავთ ევროპასა და აზიაში. ჩვენში ნათესების სარეველაა. იზრდება აფხაზეთსა და აჭარაში. შავი მდოგვი (<i>Brassica nigra</i>) მოჰყავთ მცირე აზიაში, ევროპასა და ამერიკაში. მდოგვი მოჰყავთ თესლისაგან ზეთის მისაღებად (სარეპტის მდოგვის თესლში 35-40% ზეთია, თეთრ მდოგვში — 25-34%), იყენებენ აგრეთვე პურის საცხობ, საკონდიტრო, საკონსერვო და საპარფიუმერიო მრეწველობაში. მდოგვის კოპტონისაგან მზადდება მდოგვის ქაღალდი და სუფრის მდოგვი. სარეპტის მდოგვის ძირხვენიან და ფოთლოვან ჯიშებს ბოსტნეულის მსგავსად ჭამენ. თეთრი მდოგვი ჭოტების წარმოქმნამდე შეიძლება საქონლის საკვებად გამოვიყენოთ. საქართველოში ფოთლოვანი მდოგვი მოჰყავთ სასალათედ. სამკურანალოდ. მისი მწიფე მარცვლები შეიცავს ცხიმოვან ზეთს, მიროზინის ფერმენტს და გლიკოზიდ სინირგინს. მისი მარცვლებისაგან იღებენ მდოგვის ზეთს, რომელსაც იყენებენ როგორც გამაღიზიანებელ საშუალებას და საფენებად. მისი სამკურნალო ეფექტი განპირობებულია იმით, რომ აღიზიანებს ნერვულ დაბოლოებებს.</p>
34.	მედგარი, ბაბაწვერა	<i>Pulsatillae georgica Rupr.</i>	ხვს. ავწალიკა.		<p>მედგარი ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახის წარმომადგენელია, მიეკუთვნება გაზაფხულის ულამაზეს მცენარეებს. ეს მრავალწლოვანი მცენარე ადრე გაზაფხულზე ამოდის ფესურიდან, რომელიც ვერტიკალურადაა ჩანერგილი ფესვში, ერთი ან რამდენიმე ღეროდ, რომლებიც აღწევენ 25 სმ-დე სიმაღლეს. მათ წვეროში გამოსდით რამდენიმე ზანზალაკისებური ყვავილი მრავალრიცხოვანი ყვითელი სამტვერეთი. ისინი კი გარსშემორტყმულია მოვერცხლისფრო-მოთეთრო და დაშვებული ზედა ფოთლებით. მცენარე დაცულია. მისი შეგროვება</p>

					აკრძალულია. ხარობს მშრალ და უტყეო ადგილებში. შეიცავს პროტოამენონინს, საპონონებს, მთრიმლავ ნივთიერებებს. მედგარი ძირითადად ჰომეოპათიური საშუალების Pulsatilla-ს დასამზადებლად გამოიყენება.
35.	მელია	<b>Melia azedarach L.</b>	მგრ. ძიაშ ჯა, ჭყვეტაში ჯა.		ფოთოლმცვენთა ან ნახევრადმარადმწვანეთა Melanthiaceae ოჯახის ხე ან ბუჩქი. ფოთლები მიმდევრობითი, ბუმბლიანი. ყვავილები შეკრულია ცოცხებად. აქვს მშრალი ან წვნიანი ხახამა. არსებობს 25-მდე სახეობა. განვითარებულია თბილ-ტროპიკულ ან სუბტროპიკულ ზონებში. ლამაზი ხეა. იზრდება 25-30 მ სიმაღლისა. აქვს გამლილი ვარჯი და წვრილი, სურნელოვანი და ისამნისფერი ყვავილები. მისი ფოთლები და ფესვების ქერქი გამოიყენება მედიცინაში. ნაყოფი შხამიანია და მისგან იღებენ ინსექტიციდებს.
36.	მესამედა	<b>Trientalis europaea L.</b>			მრავაწლოვანი დაბალი ბალახი ფურისულასებრთა (Primulaceae) ოჯახის, წვრილი და გრძელი მცოცავი ფესურებით და არათანაბრად განაწილებული ფოთლებით. ყვავილი ცალკეული ან 2-4. ყვავილობს ივნისში. ნაყოფი ბურთისებრი კოლოფია. გავრცელებულია ცივ ზოლებში. საკურნალოდ გამოიყენება ბალახი. შეიცავს B ვიტამინს, საპონინებს, ამოლოიდს. იყენებენ ჭრილობების შესახორცებლად, შარდმდენად, ოფლმდენად, მალარიისა და ანთების საწინააღმდეგოდ.
37.	მექსიკური ავოკადო	<b>Persea americana Mill</b>	ავოკადო [პორტუგ. < აცტეკ.]		სუბტროპიკული ხე 20 მეტრამდე სიმაღლისა; ფოთლები - 8-25 სმ სიგრძისა, ლანცეტური, კიდემთლიანი; ყუნწი 10 სმ სიგრძისა; ზედა მხრიდან მუქი-მწვანე, ქვევიდან მოლურჯო. ისხამს მსხლის მოყვანილობის ნაყოფს, რომელიც საჭმელი ზეთითაა მდიდარი; გავრცელებულია ტროპიკულ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიაში; ჩვენში გაშენებულია მეტწილად აფხაზეთში. განასხვავებენ ორ სახეს- მექსიკურსა და ანტილიურს. მექსიკური შედარებით მომცრო ხეა. ყვავილობს თებერვალ-აპრილში; მწიფს საქტემბერ-ნოემბერში.

				სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი, ფოთლები და თესლები. ნაყოფი შეიცავს ცხიმებს, პროტეინს, შაქარს, კალიუმის მარილს, კალციუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, ვიტამინებს – A, B, C, D, E, K. ფოთლები შეიცავს ეთერულ ზეთს, აბოკატინს, ტობრომინს. თავისი შედგენილობის გამო იგი ძვირფასი დიეტური პროდუქტია. მას წარმატებით იყენებენ შაქრიანი დიაბეტის, ანემის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებების, გასტრიტების სამკურნალოდ. ფოთლებისა და თესლების ნახარშს ხმარობენ კუჭაშლილობისა და დიზენტერიის დროს. შექმნილია პრეპარატები პაროდონტოზის, არტროზების, სკლეროდერმიის, ეგზემების სამკურნალოდ და დეკალციზაციისათვის.
38.	მექსიკური ჩაი	<b><i>Chenopodium ambrosioides L.</i></b>		ერთწლიანი, ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახის 15-60 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარე. ღერო სწორი, განტოტვილი, ღია-მწვანე ან მოყვითალო-მომწვანო. ყვავილობს ივლისიდან ოქტომბრამდე. ყვავილები შეკრულია პირამიდისებურ ცოცხებად და მოთავსებულია წვეროზე.  გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, ციმბირსა და შუა აზიაში. შეუძლია იცოცხლოს ზღვის დონიდან 2000-2500 მ-ზე. ფესვებსა და ფოთლებს იყენებენ შალისა და ბამბის შესაღებად. ფოთლებიდან იღებენ ეთერულ ზეთს, რომელსაც მედიცინაში იყენებენ; მშრალი ფოთლები გამოიყენება ინსექტიციდებად. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილიც. ბალახს აშრობენ და მინის ჭურჭელში ინახავენ. ეთერული ზეთი შეიცავს აზულენს, სესკვიტერპენს, ჰერანოილს, ნახშირბადებს-მირცენს, ლიმონენს, საბილენს, კამფენს, კალამენს, კალაკორენსა და ილანგენს; წყალბადშემცველ შენაერთებს-ლინალოონს, ნეროლს, მენთოლს, პულეგონს, ტუიონს, კამფარას, ცინეოლს, ასკარიდოლს და სხვ. მექსიკური ჩაის შემცველ პრეპარატებს აქვთ შარმდენი, წნევის საწინააღმდეგო, ცხელე-

					ბის საწინააღმდეგო და მიკრობების საწინააღმდეგო თვისებები. მისი ნაყენი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. იგი აძლიერებს სისხლმომარაგებას გულის კორონალურ ძარღვებში, ებრძვის თავბრუს-ხვევას, აწესრიგებს ნერვულ სისტემას და ძილს. იყენებენ კანის დაავადებების საწინააღმდეგოდაც.
39.	მეჭეჭიანი ჭანჭყატა	<i>Euonymus verrucosa</i> Scop.			ჭანჭყატასებრთა (Celastraceae) ოჯახის 2 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქია. აქვს მომწვანო ტოტები, რომლებიც მთელ სიგრძეზე დაფარულია მუქი (ჟანგის) ფერის ხაოთი. ტოტები ზოგჯერ ოთხხანაგოვანია. კვირტები - კვერცხისებრი, სიგრძით 4–6 მმ, მწვანე ქერცლით; ფოთლის ნაწიბური – პატარა. ფოთლები ელიფსური, 2–6 სმ სიგრძისა, წვეტიანი; ყვავილედი შედგება 3–7 ყვითელი ან ბორდოსფერი ყვავილისაგან. ყავილობს მაის-ივნისში. ნაყოფი მრგვალი კოლოფია, 8–12 მმ დიამეტრით; თესლი შავი, 2–3 მმ სიგრძის; იზრდება ტყისპირებში. გამოიყენება ხალხურ და სამეცნიერო მედიცინაში. მცირე დოზებით მიღების შემთხვევაშიც კი იწვევს ღებინებას და ასუსტებს ორგანიზმს. მის ქერქში აღმოჩენილია მჟავები, სტეროიდები, ვიტამინები, მთრიმლავი ნივთიერებები, ანტრაგლიკოზიდები. ქერქის ნახარში გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას. ფესვებში აღმოჩენილია გუტაპერჩი და ფისები. მისი ნახარში აჩერებს თავის ტკივილს.
40.	მზესუმზირა	<i>Helianthus</i> L.	ქრთ. ლილიფარა, მზეჭვრიტა; კხ. მზეუჭვრიტა; მსხ. მზისაქციელა; სვნ. ლუვრუსუ შდიხ.		მცენარის გვარი რთულყვავილოვნთა (Asteraceae) ოჯახისა. აერთიანებს 78-მდე სახეობას. უმრავლესობა მრავალწლოვანია. ერთწლოვანებიდან კულტურაშია ზეთის მზესუმზირა ( <i>Helianthus annuus</i> ), მრავალწლოვანებიდან — მიწავაშლა ( <i>Helianthus tuberosus</i> ). გვხვდება სარეველად და დეკორატიული ფორმების სახითაც. მზესუმზირას სამშობლოა ჩრდილოეთი ამერიკა, გავრცელებულია ყველგან. ზეთის მზესუმზირას ღერო სწორმდგომია და 5 მ-მდე იზრდება, დაფარულია უხეში ბეწვებით. აქვს წაწვეტილულბოლოიანი ოვალურ-

					გულისებრი დიდი ფოთლები. ყვავილედი კალათაა (დიამეტრი 15-20 სმ). მზესუმზირა ჯვარედინმტვერიაა. ნაყოფი წაგრძელებული სოლისებრი თესლურაა. შედგება ნაყოფსაფარისა და გულისაგან, რომელიც შეიცავს 29-57% ზეთს. თესლურას ფერი, ფორმა და ზომა ჯიშების მიხედვით სხვადასხვაგვარია. მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით განარჩევენ ზეთის, საკატუნებელ და შუალედურ მზესუმზირას. მზესუმზირა ტენის, სითბოსა და სინათლის მოყვარულია, გვალვასაც უძლებს და ხანმოკლე სუსტსაც იტანს. კარგად ხარობს ტენიან, ჰაერ- და წყალგამტარ შავმიწაზე.
41.	მზიურა	<i>Inula grandiflora</i> Willd.	მთ. მუკუდოს-დედა; მთ. რჭ. ცხენის მუყუდო.		მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- და ერთწლოვანი ბალახებია. 150-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, განსაკუთრებით — ხმელთაშუაზღვისპირეთში. საქართველოში 14 სახეობაა. იზრდებიან ბუჩქნარებში, ტყეებში, ტყისპირებზე, მდელოებზე, მაღალბალანეულობაში, მშრალ და კლდოვან ფერდობებზე. დასავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული კავკასიის ენდემი <i>Inula magnifica</i> . სუბალპურ სარტყელში იგი ქმნის მაღალბალახოვან დაჯუფებებს. მზიურა თაფლოვანი, დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა.

42.	მთის პიტნა	<b>Calamintha grandiflora (L.) Moench</b>	აჭ. კაპლიბალახა; ნანეოთი.		<p>მრავალწლოვანი, ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის 30-60 სმ სიმაღლის მცენარეა; ღერო სწორმდგომია; ფოთლები კვერცხისებრი ფორმისაა; ყვავილი ვარდისფერია, მეწამული ან ლილისფერი. გამოიყენება კუჭის აშლილობის და საჭმლის მომნელებელ სისტემაში დარღვევების წინააღმდეგ, აწყნარებს შეტევითი ხასიათის ტკივილებს, ამდიდრებს ჟანგბადით ტკინის უჯრედებს. იყენებენ ჩაის დასამზადებლად. სპობს პირში უსიამოვნო სუნს.</p>
43.	მთის სვინტრი	<b>Polygonatum odoratum (Mill.) Drucl</b>	მხვ. ჩალისხილა; მთ. რჭ. შაქართაფლა.		<p>შრომშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლიანი მცენარე მსხვილი და ჰორიზონტალური ფესვებით. ღერო იზრდება 30-დან 70 სმ-მდე. ფოთლები მორიგეობითი. ყვავილები თეთრი. ნაყოფი- მოლურჯო-მოშავო კენკრა. ფოთლები შეიცავს ფლავონოიდებს, ვიტამინ C-ს; ფესვები- ალკალოიდებს, საპონინებს, შაქარს; ნაყოფი- გულის გლიკოზიდებს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, ჰემიოროის, სიყვითლის, შაქრიანი დიაბეტის და სიცხიანობის სამკურნალოდ. მას აქვს სისხლალმდგენი, ანთების-საწინააღმდეგო, ამოსახველებელი და სისხლგამწმენდი თვისებები.</p> <p>ზოგჯერ მის ფოთლებს იდებენ ჭრილობაზე. მისი ნახარშისაგან ამზადებენ საფენებს, რომელსაც ადებენ დაშავებულ ადგილებზე. ფესვების ნახარშს და სპირტიან ნაყენს ფილტვების ანთებისა და ბრონქიტის სამკურნალოდ, გულის უკმარისობისას, ოსტეოქონდროზის, ართრიტის, ზედა სასუნთქი გზების ანთებისას. ფესვების წვენი აქრობს ლაქებსა და გამონაყრებს.</p>

44.	მთის ღანბილი	<b>Allium victorialis L.</b>	მხვ. ბაშო; მთ. ნიორავ; თშ. შებუ; ხვს., ფშ. შიბუ.		მრავალწლოვანი ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე შრომანისებრთა (Liliaceae) ოჯახისა. მისი ღეროს სიგრძე 30-70 სმ აღწევს. ბოლქვი ირიბ ფესურაზე ზის და შემოხვეული აქვს რუხ-მურა ბადისებრი გარსი. გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში იზრდება ტყეებსა და ტყისპირებზე, მდელოებზე, ძირითადად მთის ზედა სარტყელში. იჭმება მოხარშული და დამწილებული, გამოიყენება სურავანდის საწინააღმდეგოდ.
45.	მთის ღოლო	<b>Rumex alpinus</b>	თუშ. ჭირტალი; ხევს. საგოგა, საგუგა; ლეჩხ. ტელეფა; სვან. ტელეფი.		ღოლო მრავალწლოვანი მრავალძარღვასებრი (Polygonaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარეა. აქვს მოკლე ფესურა; ფესვი სუსტად არის დატოტიანებული. ყლორტები სწორმდგომია, ხშირად მარტოული, 1,5 მმ-დე სიმაღლის. ღეროები გლუვია, დაღარული, 2 სმ-მდე სისქის. ფოთლები მორიგეობითა, კვერცხისებურლანცეტისებური. ყველა ფოთოლი ყუნწიანია; ფოთლის ფირფიტა ქვემოთა მხრიდან ძარღვების გაყოლებზე ბუსუსოვანია. ყვავილედი უფოთლოა, ბუტკო ზედა ნასკვითაა და სამ სვეტიანია. ნაყოფი სამკუთხაა, ოვალური, დარიჩინისფერი კაკლუჭა, რომელთა სიგრძე 6-7 მმ-ია. ღოლო ყვავილობს ივნის-ივლისში. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ღოლოს ფესვები შეიცავს ანტრაქინონის ნაწარმებს, რომლის შემადგენლობაში შედის ქრიზოფანის მჟავა და ემიდინი, ფისები, ეთერზეთი, რკინა, K ვიტამინი. ღოლოს ფესურა და ფესვები შეიცავენ მთრიმლავ ნივთიერებებს, კოფეინის მჟავას და ფლავონოიდ ნეპოდინს. ნაყოფებში აღმოჩენილია ანტრაქინონის ნაწარმები და მთრიმლავი ნივთიერებები, ფოთლებში კი ფლავონოიდები, ასკორბინის მჟავა, კაროტინი. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს მჟაუნმჟავა კალციუმის მარილს. ღოლოს პრეპარატები გამოიყენება კოლიტების, ენტეროკოლიტების, ჰემოკოლიტების სამკურნალოდ. მცირე დოზებში მათ გააჩნიათ შემკვრელი მოქმედება, ხოლო დიდ

					დოზებში საფარათო მოქმედება. ღოლოს იყნებენ ვეტერინარიაში ნაწლავური და კანის დაავადებების დროს. არსებობს ექსპერიმენტული ცდები ღოლოს თესლების ნახარშის ნაწლავური ინფექციების სამკურნალოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. ღოლოს ექსტრაქტი I და II სტადიის ჰიპერტონიის დროს ამცირებს წნევას და გააჩნია დამამშვიდებელი მოქმედება. უკანასკნელ წლებში ღოლოს ფესვებისგან გამოყოფილი იქნა ლეიკოანტოციანები და კატეხინები, რომელებიც ცხოველებზე ექსპერიმენტული დაკვირვებების შედეგად ავლენდა სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას. ამის გამო ამ მცენარისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა.
46.	მთის ჩადუნა	Dryopteris filix mas (L.)	ქრთ. დათვისაგებელა; თშ. მჩადა, ჩადა; ზმ.იმ. ღორთიფქლა; მთ. რჭ. იფხლა, იმხლა; ლჩხ. მუჩუ; გურ. ტყის გვიმრა; ჩუბ. ბლენცარა.		მთის ჩადუნა Dryopteridaceae ოჯახის მრავალწლიანი უმთავარლებო გვიმრაა განვითარების ორი – სქესიანი და უსქესო ციკლით. იზრდება 1-1,2 სმ სიმაღლეზე. სამკურნალოდ გამოიყენება მამრობითი ჩადუნას ფესვები, რომელიც შეიცავს ცხიმოვან ზეთს, სახამებელს, სიმწარეებს, ფლოროგლიუცინის წარმოქმულებს. ყველაზე პროდუქტულად ითვლება ფილმარონი. მცენარე შხამიანია. მისი სამკურნალო თვისებები ცნობილია უძველესი დროიდან. ძველი ბერძნები მას იყენებდნენ სოლიტერის საწინააღმდეგოდ. მისი პრეპარატები დღესაც ცნობილია, როგორც ანტიჰელმინთური საშუალება.
47.	მინდვრის გვირილა	Leucanthemum vulgare (L.) Lam.	ნ. კ. მთის გვირილა.		მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. მისი ღეროს სიგრძე 15-50 სმ, აქვს დიდი კალათა ყვავილედი. გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში. საქართველოში იზრდება თითქმის ყველგან; განსაკუთრებით მოდებულია მთიან ნაწილში მდელოების სარეველად (ხშირად მდელოზე მხოლოდ მინდვრის გვირილა ჩანს). აშენებენ დეკორატიულ მცენარედ. იყენებენ აგრეთვე ხალხურ მედიცინში. ნაყენს იყენებენ კუჭისა და

					ქალური დაავადებების სამკურნალოდ, ნახარშს კუჭის, გაციების, ხველის, ციებ-ცხელების, თვალის დაავადებების, შარდის შეუკავებლობის, კბილის ტკივილის სამკურნალოდ. არის დამამშვიდებელი და ანტიჰელმინთური საშუალება. გამოიყენება აგრეთვე შარდმდენად, გამონაყარებისა და წყლულების შემთხვევაში.
48.	მინდვრის ზამბახი, ბადიანი ზამბახი	<b>Iris reticulata M.B.</b>			დაბალი ხახვისებური ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის მრავალწლიანი ბალახი მუქი-მწვანე ფოთლებით და მუქი-იისფერი ერთეული ყვავილებით. ყვავილობს მაისი-ივნისში. ნაყოფი სამკუთხა კოლოფია. მისი ფესვებიდან დამზადებული პრეპარატები ცნობილია, როგორც ამოსახველებელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალებები. გამოიყენება ზედა სასუნთქი გზების კატარის შემთხვევაში და კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას. აქტიურად იყენებენ ჰომეოპათიასა და ტიბეტურ მედიცინაში. მისგან ამზადებენ ფხვნილებსა და ნაყენებს.
49.	მინდვრის მდოგვი	<b>Sinapis arvensis L.</b>	კხ. შალგა-ბალახი; ქრთ., კხ. შლეგა, შელგა; ლჩხ. მოთანგული.		ერთწლოვანი ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე 60 სმ-მდე სიმაღლისა; განტოტვილი ღერძით, დაშვებული ძაფებით. ფოთლები მთლიანია, მორიგეობითი; ყვავილები შეკრულია ფუნჯისებურად. ყვავილობს მაის-ივნისში. თესლი მწიფის ივლის-აგვისტოში. თესლისაგან იღებენ ზეთს. ცნობილია როგორც თაფლოვანი და სამკურნალო მცენარე.
50.	მინდვრის ნემსა	<b>Galium verum L.</b>	თშ. ჯღიბა.		ენდორსებრთა (Rubiaceae) ოჯახის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ოთხწანაგოვანი ღეროთი. იზრდება 20-80 სმ სიმაღლისა. აქვს პატარა კაშკაშა ყვავილები. ყავავილობს ივლის-სექტემბერში. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი და ფესვი. შეიცავს ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, სალიცინს, ორგანულ მჟავებს, სიმწარეებს, ვიტამინ C-ს. ნემსას ქერქის ნახარში ავლენს შარდმდენ, სიცხისდამწევ, ოფლმდენ, მალარიის

					საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელ თვისებებს. გამოიყენება გაციების, ფილტვების დაავადების, ხველის, თავის ტკივილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ, პირის ღრუს ანთებისას ხმარობენ სავლებად. ქერქი და ყლორტები შემკვრელი, საისხლაღმდგენი საშუალებაა ბუასილისა და კუჭაშლილობის დროს. ყლორტების წვენით ოზელენ კოჟრიან ადგილებს, იყენებენ ქერტლის საწინააღმდეგოდ. სპირტიან ნაყენებს ხმარობენ ტახივარდიის, არითმიის და ნერვული სისტემის სამკურნალოდ.
51.	მირტი	<i>Myrtus communis L.</i>	შდრ. საბა მურტი		მარადმწვანე ბუჩქი ან ხე მირტისებრთა (Myrtaceae)) ოჯახის; იკეთებს თეთრ სურნელოვან ყვავილებს; ხარობს უპირატესად სუბტროპიკულ და ტროპიკულ არეებში. მირტის ეთერული ზეთი მდიდარია კამფოლით, ცენეოლით, კამფენით, ალდეჰიდებით. მისი ფოთლები შეიცავს ცხიმოვან, მთრიმლავ, ფისოვან ნივთიერებებს. მისი ნახარში სასარგებლოა კუჭის ტკივილისას, თორმეტგოჯა ნაწლავის, თირკმლის, ტვინის დაავადებებისას. ნახარში რეაგირებს როგორც ანტისეპტიკი. არის შარდმდენი. ხალხური მედიცინა იყენებს ბრონქიტის, ფილტვების ტუბერკულოზის. კურნავს ჭრილობებს, დამწვრობას, ყურების ჩირქოვან დაავადებებს. ნაყენს სვამენ სისხლნაკლულობის დროს, ამზადებენ საფეხებს მოტეხილობის შემთხვევებში.
52.	მიწავაშლა	<i>Helianthus tuberosus L.</i>	გურ. მიწის ვაშლი; ჭნ. დიხა უშქირი; მგრ. დიხაში უშქური; სვნ. გიმიშ ვისგ, მიწავაშლ.		მრავალწლოვანი გორგლიანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. მიწისქვეშა ღეროებზე აქვს გორგლები (თეთრი, ყვითელი, იისფერი ან წითელი). მიწავაშლას სამშობლოა ჩრდილოეთი ამერიკა. მოჰყავთ საქართველოშიც. გორგლი და მწვანე მასა ცხოველთა კარგი საკვებია. სამკურნალოდ გამოიყენება მსხლისებრი ბოლქვი, რომელსაც შემოდგომაზე იღებენ. ფოთოლი შეიცავს პროტეინს, შაქარს, ცხიმებს, უჯრედისს, ვიტამინებს, კაროტინს, მარილებს,

					ნიკოლტინის მჟავას. ბოლქვები შეიცავს ინულინს, შაქარს, ცილებს, ორგანულ მჟავეებს, მინერალურ ნივთიერებებს. გამოიყენება სისხლაღმდგენად, დამამშვიდებლად, ათეროსკლეროზისა და დიაბეტის სამკურნალოდ.
53.	მიწამაყვალა, ბალახმაყვალა	<b>Rubus chamaemorus L.</b>			მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახიდან. ნაყოფი ჭამადია. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნაყოფი და ფოთლები. ნაყოფით ჰკურნავენ ავიტამინოზებსა და ჰიპოვიტამინოზებს. გარდა ამისა, ისინი ავლენენ შარდმდენ თვისებებს. იგი შემცველობას ინარჩუნებს გაყინვის შემთხვევაშიც. ფოთლებს აქვთ შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო, სისხლაღმდგენი, შარდმდენი თვისებები. იყენებენ კუჭამლილობის, წყლისას, ნიკრისის ქარის, ნივთიერებათა ცვლის მოშლისას. ნაყენი გამოიყენება შინაგანი სისხლდენის, დიარეის შემთხვევაში.
54.	მიხაკი	<b>Dianthus deltoides L.</b>			ერთ და მრავალწლიოვან, ძალზე იშვიათად ბუჩქალახოვან მცენარეთა გვარი მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახისა. ხშირად სურნელოვანი, მარტოული ან ყვავილედად შეკრებილი, მეწამული, ვარდისფერი ან თეთრი ყვავილები აქვს. აერთიანებს 300-მდე სახეობას, გავრცელებულია ევროპაში (ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთში), აზიასა და აფრიკაში. საქართველოში 21 სახეობა გვხვდება. იზრდება ქვიან და ღორღიან ფერდობებზე, მშრალ მდელოებზე, ბუჩქნარებში, ველის, ნახევარუდაბნოს, ტყის, სუბალპურ და ალპურ სარტყელებში. მიხაკს, როგორც ლამაზად მოყვავილე დეკორატიულ მცენარეს, იყენებენ დეკორატიულ სამრეწველო მეყვავილეობაში. ფორმებისა და ჯიშების სიუხვით, ყვავილის სილამაზით გამოირჩევა ბალის მიხაკი. მისი ზოგიერთი ფორმა – შაბო, გრენადინი და მარგარიტა საქართველოში მოჰყავთ, როგორც მრავალწლიოვანი მცენარე. კულტურაში გავრცელებულია ამერიკული ანუ კეთილშობილი მიხაკი, ჩინური

					მიხაკი, თურქული მიხაკი, ფრთისყვავილა მიხაკი და სხვა, რომელთაც მრავალი საბაღო ფორმა და ჯიში აქვთ და საქართველოში ადგილობრივი გრუნტის მეყვავილეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. დეკორატიული მიხაკის გარდა არის სურნელოვანი მიხაკის ხე. მის ნაყოფს სანელებლად იყენებენ კვების მრეწველობაში. მიხაკის სხვადასხვა სახეობას ფართოდ იყენებენ ხალხურ მედიცინასა და ჰომეოპათიაში.
55.	მკერვალა	<i>Veronica magna</i> M. Fisch.	გურ. კერვალა.		ერთწლოვანი შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახის მცენარე მცოცავი ყლორტებით. მისი ყლორტები თანაბრადაა დაფარული ბუსუსებით. აქვს თანაბარი ფუნჯები. ყვავილები ლურჯი. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. ნაყოფი აგვისტოშივე იწყებს დამწიფებას. მრავლდება თესლით და ვეგეტატურად. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში გაციების სამკურნალოდ.
56.	მოპიტნაო	<i>Calamintha clinopodium</i>	მგრ. ტყარი ცვალმინთა.		30-60 სმ სიმაღლის მცენარე სწორადმდგომი ღეროთი. აქვს წვრილი ფოთლები. ყვავილები წვრილი, ძოწისფერი. ნაყოფი კაკალია. შეიცავს სურნელოვან ეთერულ ზეთს. მის ნაყენსა და ჩაის იყენებენ თავის ტკივილის, ხველის, სასუნთქი გზების დაავადებისა და ფალარათის დროს.
57.	მოცვი	<i>Vaccinium Myrtillus L.</i>	მხვ. შავხილავ, შავი ხილი, ხილის ტყე, ხილი; ფშ. სელშავი, შალშავი; მთ. ილი; თშ. ჟოლი; მთ. რჭ. მოდგინარი; აჭ. მიწამოცვე; ჭნ. კაცხა, კაცხანაკა; მგრ. მელიშია; სვნ. მელგმალ, მეგმალ.		მოცვი მანანასებრთა (Ericaceae) ოჯახის ფოთოლმცვენი ბუჩქია, რომლის სიმაღლე 8-40 სმ-ია. ღერო ძლიერ დატოტიანებულია, სწორმდგომი ან აღმართული. ახალგაზრდა ტოტები მწვანეა, მკაფიოდ დაკუთხული. ფოთლის სიგრძე 10-25 მმ-ია, სიგანე 8-20მმ. ფოთლები მოკლეყუნწიანია, თხელი, გლუვი, კვერცხისებური, ელიფსური ან თითქმის მომრგვალოა, კიდეებზე წვრილკბილაა. ფესურა გრძელია, მხოხავი. ყვავილები წვრილია, სათითაოდაა მოკლე ყუნწით ფოთლის უბებში. გვირგვინი ხელადისებურ-სფეროსებურია. მტვრიანა 8-10-ია, ნასკვი ხუთბუდიანია. ნაყოფი წნიანია, შავი-ლურჯი-ნაცრისფერი ნაფიფქით, რომლის

დიამეტრი 6-13 მმ-ია. იგი სფეროსებური კენკრაა, რომელზედაც გამოხატულია ჯამის ნარჩენი. კენკრის რბილობი მოწითალო-იისფერია. თესლები მრავალ-რიცხოვანია, წვრილი-კვერცხისებური.

მოცვი ყვავილობს მაისში. ნაყოფი მწიფდება ივლის-სექტემბერში. მოცვი გავრცელებულია მთელ ევროპაში, წინა აზიაში, კავკასიაში, დასავლეთ მონღოლეთში, ჩრდილო აზიასა და ჩრდილო ამერიკაში. საქართველოში ხარობს ალპური და სუბალპური სარტყლის ტყეებში, მდელოებზე. იგი გვხვდება აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩებუმში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, მესხეთში. მოცვის ნაყოფები შეიცავენ 12%-მდე კონდენსირებულ მთრიმლავ ნივთიერებებს, ანთოციანებს, ორგანულ მჟავებს, შაქარს, პექტინოვან ნივთიერებებს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას, P ვიტამინს. იგი შეიცავს აგრეთვე ნეომირტილინს, რომელიც წარმოადგენს ე.წ. მცენარეულ ინსულინს და კაროტინოიდულ ნაერთებს, რომლებიც აუმჯობესებენ დამის მხედველობას. მოცვის ფოთლები შეიცავენ ნეომირტილინს, მირტილინს, არბუტინს, ფლავონოიდებს, ქინის და სხვა მჟავებს. მოცვის ნაყოფების ნახარშს, კომპოტებს, კისელს, ხმარობენ როგორც შემკვრელ საშუალებას კუჭის აშლის დროს. კენკრის სიროფს იყენებენ წამლების გემოს გასაუმჯობესებლად. ნედლეული კენკრა და მათი ნახარში გამოიყენება როგორც დიეტური პროდუქტი სისხლნაკლებობისა და პოდაგრის დროს. არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც მოცვის ფოთლებში შემავალ ნეომირტილინს გააჩნია დიაბეტის საწინააღმდეგო თვისებები.

58.	მოცხარი	<i>Ribes nigrum</i> L.	მთ. მაცხარი; თშ., ფშ., ხვს. ალუდა; მხვ. ხუნწი, ხუნწამ.		<p>(Grossulariaceae) ოჯახის მეტრ ნახევრამდე სიმაღლის განტოტვილი ბუჩქი ღია-მომწვანო შეფერილობისა. ვითარდება შემოდგომაზე. ფოთლებს ეთერზეთის სურნელი ასდით. ნაყოფი -მრავალთესლა მოშავო კენკრა - მწიფს ივლის-აგვისტოში. სამკურნალოდ იყენებენ ფოთლებსა და ნაყოფს, რომლებიც შეიცავს შაქრებს, ორგანულ მჟავეებს, პექტინურ, მთრიმლავ და შემფერ ნივთიერებებს. ანტოციანების ჯგუფს, ვიტამინებს, კაროტინს, ეთეროვან და ცხიმოვან ზეთებს, მიკრო და მაკრო ელემენტებს, კატეხინებს, ფიტონციდებს. მოცხარი გამოიყენება ანთების საწინააღმდეგოდ, შემკვრელ, სისხლაღმდგენ, ოფლმდენ, შარდმდენ, ნაღველმდენ, ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო, დიაბეტსაწინააღმდეგო, ანტიგოპოქსანტულ და საერთო გამამგრებელ საშუალებად. მოცხარს ორგანიზმიდან გამოჰყავს აზოტური ნივთიერებები. კარგი საშუალებაა სურავანდის სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში იყენებენ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, დაბალი მჟავიანობის გასტრიტის საწინააღმდეგოდ, გულის დაავადების, რევმატიზმის, თირკმლის დაავადების, შარდის ბუშტისა და თირკმელკენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ. დიათეზით დაავადებულ ბავშვებს ასმევენ მშრალი ფოთლების ნახარშს და აბანავებენ ტოტების ნახარშში. კენკრითა და მისი წვენით მკურნალობენ ყელის ტკივილს, ხვრინვას. წვენს იყენებენ კუჭის წყლულისას.</p>
59.	მჟავე ლამი	<i>Citrus aurantiifolia</i> (Christ.) Swingle.			<p>მცენარე ციტრუსოვანთა გვარის ნარინჯოვანთა ქვეო-ჯახისა ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახისა. ლიმონის მონათესავე. ნაყოფის კანი თხელია, ღია ყვითელი, რბილობიც ღია ფერისაა, მჟავე. მწიფდება დეკემბერში. ლიმონთან შედარებით ნაკლებყინვაგამძლეა, ამიტომ საქართველოს პირობებში მცირედ პერსპექტიულია. მისი მთავარი პროდუქტია ეთერული ზეთი, რომელიც გამოირჩევა ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული, ვირუსოლოგიური, დეზინფექციური ქმედებით. ზეთი</p>

					<p>იცავს ინფექციური დაავადებებისაგან, ებრძვის გრიპს, რესპირატორულ-ვირუსულ დაავადებებს, ლორწოვანი გარსების ანთებებს. ზეთი ძლიერი მატონიზირებელი საშუალებაა. იგი დაღლილობისა და მოთენთილობის მოხსნისა და კარგი დამამშვიდებელი წამალია. ხელს უშლის კანზე მუწუკის გამოყრას და გამოჰყავს ქვიშა ორგანიზმიდან.</p>
60.	მჟაველა	Oxalis villosa M.B.	თშ. სამყურა მჟავია; კურდღლის მჟაუნა; იმ. შაბშაბა, ჟღამანა; გურ. ექსყურამ, უკადრისა; ჭ. მტკუდ შუკა; მგრ. სასტი; სვნ. მეხიმ პირპლიდ.		<p>მცენარეთა გვარი მჟაველასებრთა (Oxalidaceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად, ერთწლოვანი ბალახია, ზოგჯერ ბუჩქბალახია. აქვს სამყურა ან თათისებრ რთული ფოთოლი, კოლოფი ნაყოფია. 800-მდე სახეობა უმეტესად გავრცელებულია სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და მექსიკაში. საქართველოში 5 სახეობაა. ტენიან წიწვოვან ტყეებში ხშირად გვხვდება ჩვეულებრივი მჟაველა (Oxalis acetosella). პატარა უღერო ბალახია. ღამით და მოღრუბლულ ამინდში მისი ფოთლის ფოთოლაკები იკეცება. ფოთოლი შეიცავს C ვიტამინსა და მჟაუნმჟავას. ზოგიერთი აფრიკისა და ამერიკის სახეობა საჭმელი ბოლქვების გამო კულტივირებულია დასავლეთ ევროპაში, ბევრი სახეობა დეკორატიულია. ხალხურ მედიცინაში იყენებენ ბალახს. შეიცავს ორგანულ მჟავებს. ნაყენები გამოიყენება სურავანდის, კუჭისა და ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ. არის კარგი ანტისეპტიკი. ჰკურნავს მღიერს. გამოიყენება ჰომეოპათიაში.</p>
61.	მჟაუნა	Rumex acetosa L.	ფშ., ხვს., თშ. მჟავანა, მჟავია; მხვ., მთლ. მასისტარა; თშ. მეცხვარის მჟავია; ქვ. რჭ. მჟავე ღვალო; ზმ. რჭ. მჟაველა; ინგ. ჟვანამ; სვნ. მურთხვალი, ჟაველამ.		<p>ორსახლიანი მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახი 30—100 სმ სიმაღლისა, მოკლე ფესვითა და სწორი ღეროთი. ფოთლები მორიგეობითი, ცალსქესა, წვრილი, მოწითალო. ნაყოფი სამწახნაგა თესლი. ყვავილობს მაის-ივნისში შეიცავს ბევრ ვიტა-მინს, ცხიმებს, რკინას, კალიუმს. იგი სტიმულს აძლევს ღვიძლის მოქმედებას და ნაღველის გამოყოფას, აჩერებს სისხლდენას, აჩერებს ტკივილებს, აძლიერებს</p>

					ნაწლავების ქმედებას, ასუფთავებს სისხლს. ფესვები და ნაყოფი აყუჩებს ტკივილს, ფოთოლი სურავანდისა და მოწამლულობის წამალია. ფესვების ნაყენი გამოიყენება ჩვეულებრივი და სისხლიანი ფაღარათის დროს. ჯობნის რევმატიზმს. ფოთლების ნახარში ისმება მოწამვლის შემთხვევაში. კარგია გამონაყარების სამკურნალოდ.
62.	მრავალფოთ-ლიანი ხანჭკოლა	<i>Lupinus polyphyllus</i> Lindl.			ორწლიანი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარეა. პირველ წელს უვითარდება ფესვთანა ფოთლები, მეორე წელს ძლიერი ღეროები. ფოთლები ოდნავ დამვებულია; ყვავილები ალაგ-ალაგ, უსისტემოდ გამოდის. ყვავილები გრძელია. თესლი ოვალური. ფარმაკოლოგიაში გამოიყენება როგორც სიდერატი.
63.	მრავალძარღვა	<i>Plantago major</i> L.	ქრთ., კე., მსხ., ჯვე. ლავაძარღვა; მხვ., მთ., ფშ., ხვს. ლავარძალა, ცხრაძარღვა; ხვს. მოგზაურა; ქვ. იმ. ბამბაძარღვა; გურ. ძარღვა-ძარღვა; აჭ. ბერაძარღვა; ინგ. საჰკიზი ფოთოლ; ჭნ. ბალაზალი, შქვითდამაი. მერ. მაჯარღვია, მაჯარღვალაია, მაჯარღვაია; სვნ. მამაარღოოლ, მუხვტელ, მაჯარღოლ, შვარცშბალე, მუდრუწა.		მცენარეთა გვარი მრავალძარღვასებრთა (Plantaginaceae) ოჯახისა. ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი ბალახები, ზოგჯერ ბუჩქბალახებია. გვარი მოიცავს 250-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია დედამიწის ზომიერ სარტყელში. საქართველოში 11 სახეობაა. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან მოკიდებული ალპურ სარტყლამდე მშრალ და ბალახოვან ფერდობებზე, გზის პირებსა და დანაგვიანებულ ადგილებზე, მდელოებსა და ღორღიანებზე. <i>Plantago major</i> , <i>Plantago media</i> და <i>Plantago lanceolata</i> ფართოდ გავრცელებული სახეობებია. მრავალძარღვას თესლი შეიცავს ლორწის და გლიკოზიდ აუკუბინს, ფოთოლი — კაროტინს, ვიტამინსა და ფიტონციდებს. ფოთოლს ხმარობენ ჭრილობისა და წყლულის მოსაშუალებლად, ნაყენს — ამოსახველებელ საშუალებად, წვენს — გასტრიტისა და ენტერიტის სამკურნალოდ. ნედლი და გამხმარი ფოთლები წარმატებით გამოიყენება ფურუნკულების, განგრენოზული წყლულების სამკურნალოდ და კომპრესების სახით. ქრონიკული ფაღარათისა და კუჭის კატარის დროს იყენებენ

					მრავალშარლვას დაფქვილ თესლს.
64.	მრგვალი თავნასკვა	<i>Cyperus rotundus L.</i>			მრავალწლოვანი ისლისებრთა (Cyperaceae) ოჯახისა. ძირხვენიანი მცენარე წვრილი ღეროებით. აქვს ხაზოვანი ფოთლები, მოგრძო თავთავები. ფოთლები სხედან ყლორტების უბეებში. ნაყოფი რუხი კაკალია. იზრდება 10-35 სმ. შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს-ალკალოიდებს, გულის გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერულ ზეთს. ძირითადად გამოიყენება ქალური დაავადებების სამკურნალოდ. ძირხვენა აუმჯობესებს საჭმლის მონხლებას, აჩერებს კუჭაშლილობას, კურნავს ციებ-ცხელებას, ანადგურებს პარაზიტებს. ზოგი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება შარდმდენად და კუჭნაწლავის სამკურნალოდ.
65.	მრგვალი წამალი	<i>Leontice smirnowii Trautv.</i>			30-50 სმ სიმაღლის კოწახურისებრთა (Berberidaceae) ოჯახისა. ბალახოვანი მცენარე. აქვს ერთი ღერო, მრგვალი ნაყოფი, კოლოფისებური. რთული ფოთლები, მწვანე და ნაზი. ისხამს ყვითელ ყვავილებს. საერთოდ იშვიათი ენდემური მცენარეა, რომელიც ხარობს ლაგოდების ნაკრძალში, თელავისა და გურჯაანის რაიონებში. მცენარე შეიცავს ალკალოიდებს. მედიცინაში გამოიყენება აქილიის და კუჭის დაავადებების სამკურნალოდ. ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ტუბერკულოზის სამკურნალოდ.
66.	მსუქანა	<i>Sedum stoloniferum S.G. Gmel.</i>	იმ., გურ. უკვდავა ფხალი, ძირწითელა, წითელვინწა; აჭ. თაგვაყურა, თიკნიყურა; მთ. ხველის წამალი, დაჭრილის წამალი; კხ. კლდის დანდური; მგრ. მაპალურაია, ჯიჭითა, ჯინჭითა; სვნ. მუსტუნილ.		(Grassulaceae) ოჯახის მცენარე, ერთი- ორწლიანი 5-10 სმ სიმაღლის, ყვავილობს მაის-ივნის- ივლისში. გვხვდება უმეტესად მთის ქვედა სარტყელში და 1800 მ ზღვის დონიდან ქვიშიან და ქვიან ნიადაგზე. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, მცირე აზიაში, ქურთისტანში, ირანში. ქიმიური შედგენილობა და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია.

67.	მსხალი	<i>Pyrus L.</i>	გურ. სხალი; ჭნ. მცხული; მგრ. სხული; სვნ. ვიცხ, იცხ.		ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის ხე მძლავრი ფესვოვანი სისტემით და სქელი ვარჯით. ყვავილი თეთრი ან მოვარდისფრო. ნაყოფი სხვადასხვა სიდიდის და შეფერილობის. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთოლი და ნაყოფი. ნაყოფი შეიცავს მრიმლავ და აზოტურ ნივთიერებებს, შაქრებს, ორგანულ მჟავეებს, კაროტინს, პექტინს, ვიტამინებს, უჯრედისს, იოდს; ფოთოლი-არბუტინს, ფლავონოიდებს, ანტიციანებს. მსხლის პრეპარატები ავლენენ შემკვრელ, ანტიმიკრობულ, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ თვისებებს. ხალხურ მედიცინაში ჩირის ნახარშს აძლევენ ციებ-ცხელების, ხველების, კუჭაშლილობის დროს. აქვს ასევე შარდმდენი თვისებები.
68.	მსხალიჭა	<i>Pirola rotundifolia L.</i>			მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები შეხუჭულია ღეროს ძირში. ძალიან წააგავს მსხლის ფოთოლს. ყვავილები თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი მრგვალი კოლოფია. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი. შეიცავს საპონინებს, არბუტინს, სიმწარეებს, ტანინს, მეთილის ეთერს, სალიცინის მჟავს, გლიკოზიდს. აქვს შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, სისხლაღმდგენი, შემკვრელი, დამარბილებელი თვისებები. იყენებენ გარეგანადაც.
69.	მსხვილი გოგრა, თეთრი გოგრა	<i>Cucurbita maxima</i>	მსხ. ქესტანა; ქვ. იმ. თეთრი კვახი; გურ. ბამბის ხაპი; მგრ. ჩქინობურა კოპეშია.		გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახის ერთწლიანი, ერთსახლიანი მცენარე. ღეროები კუთხოვანია. ეფინება მიწაზე. იზრდება 10 მეტრომდე. ფოთლები გულისებური, ეკლიანი. ყვავილები ცალსქესა, ყვითელი. ნაყოფი მსხვილი გოგრა. თესლები შეიცავს ცხიმოვან ზეთს, მჟავეებს, ვიტამინებს, კაროტონოიდებს, ორგანულ მჟავეებს. მისი ძირითადი ფარმაკოლოგიური ეფექტია ანტიჰელმინთურობა. რბილობი შეიცავს ვიტამინებს, შაქარს, ნიკოტინის მჟავას; ფოთლები შეიცავს პიგმენტებს. თესლებისაგან ამზადებენ ემულსიას ex tempore, რბილობიც გამოიყენება ჰელმინთოზების სამკურნალოდ. რბილობი გამოიყენება შარდმდენად, ნაღველმდენად,

					დამასუსტებლად, აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ფუნქციას, გამოჰყავს ორგანიზმიდან ქლორიდები, აღიზანებს თირკმლების ქსოვილს. რკინისა და კალიუმის შემცველობის გამო იყენებენ გულსისხლარღვთა სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში მის წვეს იყენებენ ღვიძლისა და თირკმლების სამკურნალოდ.
70.	მსხვილფოთოლა ცაცხვი	<i>Tilia platyphyllos Scop.</i>			ცაცხვისებრთა (Tiliaceae) ოჯახის 35-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა. ხის ვარჯი დიამეტრით აღწევს 2 მ-მდე, თხელი, მსკდომარე ქერქით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, დაკბილული, ზედა მხრიდან მწვანე, შიშველი, ქვედა მხრიდან - ნაცარა, ხშირად შებუსული, ყვავილები მოყვითალო-თეთრია, არომატული, შეკრებილია 3-15 ფარისებრ ნახევარქოლგა ყვავილედში. გავრცელებულია ყველგან წიწვოვანი ტყეების ზონამდე. შეიცავს ეთერზეთებს, გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ლორწოს. არომატის მატარებლად ითვლება ფარნეზოლის სპირტი. გარდა ამისა, ცაცხვის შემადგენლობაში შედის კაროტინი და C-ვიტამინი. ცაცხვის ყვავილი გამოიყენება ოჯახური ოფლმდენ საშუალებად ცხელი სასმელის სახით, ხმარობენ აგრეთვე ნაყენს პირში და ხახაში ამოსავლებად, საფენებისათვის და სხვა მიზნით. ყვავილების ნაყენი ავლენს ანთების საწინააღმდეგო ქმედებას, რაც განპირობებულია ბიოფლავონოიდების შემცველობით. აქვთ ანტისეპტიკური თვისება, აგდებენ სიცხეს, ადენენ შარდს, ოფლს და, მასთან ერთად, ნატრიუმის ქლორიდს. ცაცხვის ყვავილი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნახარშებისა და ნაყენების სახით როგორც ოფლმდენი, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი საშუალება. იყენებენ აგრეთვე ნერვული აღგზნების, კრუნჩხვების, უძილობის, თირკმელების, ღვიძლის, ჰიპერტონული დაავადების დროს. ძალზე ეფექტურია ცაცხვის ყვავილების ჩაი გაცივების შემთხვევაში. მისი ნახარშები იხმარება აგრეთვე ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, მწვავე

					ბრონქიტების დროს. გამოიყენება აგრეთვე პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად ანთებითი პროცესებისა და ანგინის დროს. ცაცხვის ყვავილები შედის ასევე ყელში გამოსავლები სხვადასხვა ნაკრებების შემადგენლობაში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება აგრეთვე ცაცხვის ფოთლების, ქერქისა და დაქუცმაცებული კვირტების ლორწოვანი ნახარშები ცხელი ან სველი საფენების სახით დამწვრობის, წყლულების, სარძევე ჯირკვლის ანთების, ბუასილის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარების დროს.
71.	მსხვილყვავილა ჟასმინი, დიდყვავილა ჟასმინი	<b>Jasminum officinale L.</b>			მარადმწვანე მცენარე, ზეთისხილისებრთა (Oleaceae) ოჯახის ბუჩქი 10 მეტრომდე სიმაღლისა. აქვს შიშველი ყლორტები; ფრთისებრი ფოთლები; თეთრი შეკრული ყვავილები. ყვავის აპრილში.
72.	მუზარადა	<b>Scutellaria galericulata L.</b>			მრავალწლოვანი ბალახია ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა წვრილი მცოცავი ფესვითა და სწორი მარტივი ღეროთი. აქვს წაგრძელებული, გულისებრი ფოთლები; ერთმანეთისაგან დაშორებული ყვავილები, იისფერი ან ვარდისფერი. სამკურნალოდ გამოიყენება მთელი ბალახი. ფესვები შეიცავს ფლავონოიდებს, მიწისზედა ნაწილი, ფლავონოიდების გარდა, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერულ ზეთს. მცენარეს აქვს შარდმდენი, სისხლაღმდენი, შემკვრელი, ამომხველებელი თვისე-

					ბები. ავლენს ანტიბაქტერიულ ხასიათს. მისი ნაყენი აგდებს არტერიულ წნევას, ანელებს გულის რითმს, იხმარება ციებ-ცხელების, მაღარიის, ჰიპერტონიის, ხველის, ბრონქიტის, შინაგანი და გარეგანი სისხლ-დენების დროს. სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მედიცინაში ცნობილია მისი მრავალგვარი გამოყენება.	
73.	მუშკის მარწყვი	<b>Fragaria moschata (Duch.) Weston</b>			მრავალწლოვანი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის მცენარე მოკლე ღეროებით. აქვს სამნაწილიანი ფოთოლი, ზემოდან თითქმის შიშველი. ყვავილობს მასი-ივნისში. სამკურნალოდ გამოიყენება მთელი მცენარე. ნედლ ნაყოფს იყენებენ ჰიპერტონიული დაავადებების სამკურნალოდ, ათეროსკლეროზის, ფალარათის, კუჭის წყლულების, ანემიის, კემჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის დროს. წვენი გამოიყენება პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად. ფოთლების ნაყენი იწვევს ანტისეპტიკურ და გამაუმტკივნებელ რეგენერაციას. ხალხურ მედიცინაში მშრალი ფოთლები გამოიყენება ჩირქოვან და ტროფიულ წყლულებზე დასადებად. ზოგიერთ ადამიანზე იგი ალერგიულად მოქმედებს.	
74.	მუხა	<b>Quercus L.</b>			მცენარეთა გვარი წიფლისებრთა (Fagaceae) ოჯახისა. მარადმწვანე ან ზაფხულმწვანე ხეებია. 450–ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში; მცირე ნაწილი—სამხრეთ ამერიკაში. კავკასიაში 18-მდე სახეობაა, საქართველოში გავრცელებული 7 სახეობა გაერთიანებულია გრძელყუნწიანი (ჰართვისის მუხა, ჭალის მუხა, იმერული მუხა) და მოკლეყუნწიანი ან მჯდომარენაყოფებიანი (პონტოური მუხა, ქართული მუხა, მაღალმთის ანუ აღმოსავლური მუხა, ჭოროხის მუხა) მუხების ჯგუფში.	საქართველოში გავრცელებულ მუხებს შორის ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს ქართულ მუხას. იგო მთელ ტყიან საქართველოში გვხვდება. მაღალმთის ანუ

აღმოსავლური მუხა (*Quercus macranthera*) უმეტესად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში მხოლოდ რაჭასა და სვანეთში გვხვდება. იგი 20–28 მეტრი სიმაღლის ხეა. აქვს სქელი მუქი ქერქით დაფარული მოკლე და მსხვილი ღერო, ტყავისებრი, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან მოყვითალო-მონაცრისფრო ან მურა ბუსუსით მოფენილი ფოთლები. იზრდება 1700–2400 მეტრ სიმაღლეზე და სამხრეთით მშრალ ფერდობებზე ქმნის მეჩხერ ტყეებს. ხარობს ტენიან ფერდობებზეც. ცოცხლობს 450 წლამდე. იმერული მუხის ხელუხლებელი მასივები შემორჩენილია საღორისისა და აჯამეთის ტყეებში. პონტოური მუხა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. სხვებისაგან განსხვავებით, დიდი და მთლიანი ფოთლები აქვს. ჭოროხის მუხა (*Quercus dshorochensis*) პატარა ხე ან ბუჩქია. სწორი ან ტანბრეცილი ღერო აქვს, იზრდება აჭარაში ზღვის დონიდან 1000 მეტრამდე, ქვიან და ღორღიან კალთზე უხრავთან, რცხილასთან და ფიჭვთან ერთად. დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 1200 მეტრამდე გავრცელებულია ჰართვისის მუხა. ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*) 30 მეტრამდე სიმაღლის უხვად დატოტვილი ხეა. ბურთისებრი ვარჯი და ღრმად დანაკვთული ფოთლები აქვს. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში დაბლობიდან 1100 მეტრ სიმაღლემდე. მდინარე მტკვრის, არაგვის, ივრის, ალაზნისა და მათი შენაკადების ჭალებში, მდინარისპირა ტერასებზე, დაბლობებზე, ხევებზე და ტაფობებში ქმნის ტყეებს. მუხა ძალიან ნელა იზრდება, 80–100 წლისა კიდევ იმატებს სიმაღლეში, შემდეგ კი სისქეში, ღრმა ფესვთა სისტემა აქვს და ქარგამძლეა. ცოცხლობს 800 წელზე მეტს (თუმცა ასეთი ხანდაზმული მუხა ჩვენში უკვე იშვიათია). სინათლისა და სითბოს მოყვარულია, მაგრამ საკმაოდ ყინვაგამძლეცაა. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყარით. ზოგჯერ გადაწვენით. მუხის

					<p>მერქანი მაგარი და გამძლეა, მაღალი ღირსების. იყნებენ მშენებლობაში, სავეჯე და სადურგლო წარმოებაში. ქერქი და მერქანი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ზოგიერთი სახეობის (კორპის მუხა) ქერქი იძლევა კორპს. რკოსაგან ამზადებენ ყავის სუროგატს. მუხის ბევრი სახეობა (მაგ: წაბლფოთოლა მუხა — <i>Quercus castaneifolia</i>) დეკორატიულია, რგავენ ბაღებსა და პარკებში ხეივნებად, ზოგ სახეობას — ქვიანი ფერდობების გასამწვანებლად. მუხის ქერქი შეიცავს საშუალოდ 10–11% ტანიდებს, განსაკუთრებულ შაქარს—ქვერტიტს, ნახშირწყალ ლევულინს, პექტინოვან ნივთიერებებს. მუხის ქერქი გამოიყენება ნაყენებში, როგორც შემკვრელი საშუალება. ნახარში შეიძლება მიღებულ იქნას როგორც საშუალება ალკალინიდებითა და მძიმე მეტალების (სპილენძი, ტყვია და სხვა) მარილებით მოწამვლისას. ცნობილია მუხის ქერქის ნახარშის გამოყენება პირში გამოსავლებად, ტანზე გადასავლებად და აბაზანებში.</p>
75.	მუხუდო	<i>Cicer arietinum</i> L.	კხ. სისირი; ქზყ. ციცირი; საბა ერევინდი.		<p>ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარის გვარი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახისა. გვარში 27 სახეობაა. კულტურაში ცნობილია ერთწლოვანი სახეობა <i>Cicer arietinum</i>. მცენარე სწორმდგომია, ნაყოფი — პარკი, 1–2, იშვიათად 3—4-თესლიანი. ფოთოლი, ღერო და ნაყოფი შებუსული. მუხუდო სინათლისა და სითბოს მოყვარულია, უძლებს გვალვას. იყნებენ კულინარიაში და ცხოველთა საკვებად. მოჰყავთ შუა აზიაში, ამიერკავკასიაში, ყაზახეთში, სამხრეთ უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში. მცენარე შეიცავს სახაროზას, გლუკოზას, ფრუქტოზას, პოლისახარიდებს, ფიტინს, საპონინებს, ლიმონისა და სხვა მჟავებს. ნედლი წანაზარდები შეიცავს P, A, B და C ბიოხანინებს. მცენარეს გააჩნია ანტიპიპერლიპიდემიური, ანტიქოლესტერინული თვისებები. ებრძვის სტრესსა და ზრდის იმუნიტეტს. სასრგებლოა ბრონქიტის, მწვავე ჰეპატიტის და კანის დაავადებების სამკურნალოდ. იყნებენ</p>

					ქერტლის წინააღმდეგაც და სახის ნიღბებისათვის.
76.	მწარა	<b><i>Acroptilon repens</i> (L.) D.C.</b>			მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. აერთიანებს 2 ეპრაზიულ სახეობას. მათგან მხოხავი მწარა ( <i>Acroptilon repens</i> ) ფართოდ გაგრცელებული სარეველაა. გვხვდება ქართლსა და გარეკახეთში. იზრდება მინდვრებში, მშრალ ფერდობებზე, გზისპირებსა და საცხოვრებელი ადგილების მახლობლად. ნათესების (ძირითადად ბამბის) სარეველაა. გვალვაგამძლე და მარილამტანია. თივაში შერეული მწარა შხამიანია, წამლავს ცხვარს, ცხენსა და აქლემს. შეიცავს ალკალოიდებს, ფილებს, ეთერულ ზეთს. მის ნაყენს იღებენ მალარიისა და ეპილეფსიის დროს.
77.	მჭამელა	<b><i>Chrysosplenium L.</i></b>			პატარა ბალახოვანი (Saxifragaceae) ოჯახის მცენარე. ივითარებს ბევრ ამონაყარს და ხშირყვავილოვანი მცენარის შთაბეჭდილებას ახდენს. მისი ღეროები განტოტვილია მიწაში, ხშირად იკეთებს ფესვებს. ფოთლები თანამიმდევრულია. კბილანა. ყვავილები უგვირგვინოა, აქვთ ყვითელი ჯამი. ქიმიური შემადგენლობა არ არის შესწავლილი. მის წყალთან ნაყენს იყენებენ სისხლიანი ხველის, სიყვითლის, შარდის შეკავების, გარეგანად კი წყლულებისა და ჭრილობების მცურნალობისათვის. მცენარე ჭამადია.
78.	მხოხავი ჭანგა	<b><i>Elytrigia (L.) P. Bearv.</i></b>			მრავალწლიანი ბალახოვანი მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახის მცენარე, ერთ მეტრამდე სიმაღლისა. აქვს მცოცავი ძირხვენა, მრავალრიცხვოვანი ფესვებით. ღერო სწორი, ფოთლები თანამიმდევრობითი, ბრტყელი, ხაზოვანი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იკეთებს რთულ თავთავს. ნაყოფი მარცვალია. სამკურნალო ნედლეული ძირია, რომელიც შეიცავს ცხიმოვან და ეთერულ ზეთს, ცილოვან და ლორწოვან ნივთიერებებს, სახამებელს, ინულინს, შაქარს, ვაშლის მჟავას მარილებს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას. ჭანგას აქვს ანთების საწინააღმდეგო, ამომხველებელი, შარდ და ოფლმდენი, ანტისეპტიკური,

				სისხლაღმდგენი, დამარბილებელი და სხვა თვისებები. ხალხურ მედიცინაში მისი პრეპარატები გამოიყენება შინაგანად ნაღველ და შარდვენჭოვანი დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ანთების (გასტრიტების, ენტერიტების, კოლიტების) დროს. აგრეთვე რევმატიზმის, გაციების, ბრონქოპნევმონიის შემთხვევაში. გარეგანად და აბზანებისათვის კანის სხვადასხვა დაავადებების დროს. მის წყალხსნარში აბანავებენ დიათეზიან ბავშვებს.
--	--	--	--	---

1.	ნამდვილი ზირა, ზირაკი	<b>Cuminum cynimum L.</b>			ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა; სამშობლო – აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთი, ამურდარისა და სირდარის შორისი. ხარობს ეგვიპტეში, მაროკოში, სირიაში, მალტაზე, ჩინეთში, ეთიოპიაში, სამხრეთ ევროპაში. დროდადრო ველურდება. უკვე VIII-IX საუკუნეებში მის მწიფე ნაყოფს აგროვებდნენ სამკურნალოდ. თავებს აჭრიდნენ, ახმობდნენ, ალღობდნენ და მარცვალს ფქვავდნენ. აქვს არომატული სუნი და გემო. ნაყოფი შეიცავს ეთერულ ზეთს, რომლის შედგენილობაში შედის კუმინალდეპიდი, პინენი, დეპინენი, ციმოლი, ფელარდენი, მთრიმლავი ნივთიერება და ცხიმი. მედიცინაში გამოიყენება ბუშტოვანი წყლულების სამკურნალოდ: ხელს უწყობს კუჭის სეკრეციას და აძლიერებს ლაქტაციას. კარგ შედეგებს იძლევა საკვების გადამუშავების მოშლის, წყლულების და გაზების დაგროვების შემთხვევაში. გამოიყენება ნაყენის სახით ან ნაკრების შემადგენლობაში.
2.	ნამდვილი თამბაქო, ჩვეულებრივი თამბაქო	<b>Nicotiana tabacum L.</b>	ქრთ. თამაქო; ქრთ., კხ. თამბაქო; დსვლ., მხვ., ჯვხ. თუთუნი; ინგ. თამბაქუა; საბა გლარჯა; ჭნ., მგრ. თუთუმი; სვნ. თუთვინ, თუთუნ.	A close-up photograph of a single red flower of Nicotiana tabacum, showing its five petals and central stamens. The flower is set against a background of green leaves.	ერთ- და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი ძალლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახისა. ნაყოფი კოლოფია. ამერიკასა და ავსტრალიაში გავრცელებულია 60-ზე მეტი სახეობა. კულტივირებულია 2 სახეობა: კულტურული ანუ მოსაწევი თამბაქო (Nicotiana tabacum) და წევო (Nicotiana rustica). დეკორატიულ მებაღობაში თამბაქოს ისეთ სახეობებს იყენებენ, რომლებსაც დიდი ფოთლები და სურნელოვანი ყვავილები აქვს. მოსაწევი თამბაქო მრავალწლოვანი მცენარეა, მაგრამ მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი. აქვს სწორი, მომრგვალო, 2,5 მ-მდე სიმაღლის ღერო, რომელიც ზემოთ დატოვილია. ფოთლები ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული, მჯდომარეა ან ყუნწიანი, კიდემთლიანი. ფირფიტა ოვალური, მომრგვალო ან ელიფსურია, ფერად მწვანე (იშვიათად ყვითელი ან მომწვანო-მოყვითალო). ყვავილები ხუთწევრიანი ვარდისფერი, წითელი ან თეთრია, შეკრებილია ციმოზური ტიპის ყვავილედად მთავარ ღეროსა და გვერდითი ტოტების კენწეროებზე. ნაყოფში დიდი რაოდენობითაა წვრილი, მუქი ყავისფერი თესლი. იგი სითბოსმოყვარული (თესლის გაღვივებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 27-28°C, ღეროსა და ფოთლების ზრდა-განვითარებისათვის 24-28°C) და ტენის მომთხვენი (განსაკუთრებით სრული შეფოთვლის პერიოდში) მცენარეა, საკვებ ნივთიერებებსაც დიდი რაოდენობით ითვისებს. კარგად ხარობს მსუბუქ და საშუალო შავმიწებზე, რუხსა და წაბლა ნიადაგებზე. ფოთლის ნაწარმის ხარისხი დამოკიდებულია ცილებისა და ნახშირწყლების შეფარდებაზე, ნიკოტინისა და ეთეროვანი ზეთების შემცველობაზე. თესლი შეიცავს 30-

				35% ცხიმოვან ზეთს, რომელსაც იყენებენ ტექნიკური მიზნებისათვის (საცხები მასალისათვის).
3.	ნამდვილი რევანდი	<b>Rheum palmatum L.</b>		<p>მრავალწლოვანი მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე. რევანდის სამშობლოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. იგი გავრცელებულია ჩრდილოეთ მონალის ტერიტორიაზე. მისი გავრცელების ეკოლოგიური არეალია ზღვის დონიდან 3000 მ. ღეროს სიმაღლე 2-2,5 მ-ია. ფესვები ხორცოვანია. ღერო სქელია და დაუტოტავი. ღეროს ფართო კვერცხისებური ფორმის ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა და შეკრებილია ფესვთანურ როზეტად. ფოთლის ყუნწი გრძელია და მოწითალო. ფოთლი წამახვილებულია და არათანაბრადაა ჩაჭრილი. ღეროზე ფოთლები უფრო ნაკლებადაა, ამასთან უფრო მცირე ზომისაა და ყუნწიც მოკლეა. ყვავილები წვრილია, ვარდისფერ-თეთრი ან მუქი-წითელი. შეკრებილია წვეროებზე საგველა ყვავილებად. ნაყოფი კაკლუჭა. ყვავილობს ივლისში.</p> <p>ფესვები შეიცავს ანტრაცენის წარმოებულებს, ასევე მცირე რაოდენობით ანტრაქინონებს. ამის გარდა იგი შეიცავს ტანინებს, მინერალურ ნივთიერებებს, სახამებელს, პექტინებს, C ვიტამინს.</p> <p>რევანდის ფარმაკოლოგიური მოქმედება გაპირობებულია მისი ქიმიური შემადგენლობით. ანტრაცენის წარმოებულებს გააჩნიათ საფარარათო ეფექტი, ხოლო მთრიმლავ ნივთიერებებს, პირიქით, შემკვრელი მოქმედება ეს ორივე აქტიური ნივთიერება შედის რევანდის ფესვების შემადგენლობაში და დოზის შერჩევის მიხედვით შესაძლებელია სასურველი ეფექტის მიღება.</p> <p>რევანდს ახასიათებს ნაღვლმდენი თვისებებიც. იგი შედის ნაღვლმდენი და</p>

					საფალარათო ჩაისა და ნაკრებების შემადგენლობაში. უკუნაჩვენებია რევანდის ფესვების გამოყენება ბუასილის დროს, ასევე ნიკრისის ქარისა და თირკმელკვენჭივანი დაავადებებისას.
4.	ნარდი	<i>Nardostachys jatamansi</i> , D.C.			ნარდი ანუ ინდური ვალერიანა მცენარეა. იგი ძაგლიან წააგავს მის მოსახელე სამკურნალო მცენარეს და იმავე მიზნისათვის იყენებენ. მის ძირებს სასიამოვნო სუნი აქვს. მისგან იღებენ არომატულ ზეთს, რომელიც შეიცავს ვალერიანმჟავას. ინდოეთში გამშრალი ნარდისაგან ამზადებენ სუნამოებს. მედიცინაში მას იყენებენ იპოხონდრიის, ისტერიის, ნერვული აშლილობის, სტრესის, ემოციური დაძაბულობის, უძილობის. სხვა კომპონენტებთან ერთად შედის საშარდე გზების სამკურნალო პრეპარატების შემადგენლობაში.
5.	ნარი	<i>Cirsium</i> Hill			მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- ან ერთწლოვანი ბალაბია. 230-მდე სახეობა გავრცელებულია ტროპიკულ, სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში (უბირატესად მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში). საქართველოში 5 სახეობაა. ზოგიერთი სახეობა სარეველაა. შეიცავს საპონინებს და ეთეროვან ზეთებს, იხმარება ამოსახველებელ საშუალებად.
6.	ნარინჯი	<i>Citrus aurantium</i> L.	ჭნ. არანძი; არარანცი; მგრ. ჭვახე ფორთოხალი.		მრავალწლოვანი ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახის მარადმწვანე ხე მიწისზედა ფესვთა სისტემით. იზრდება 6-12 მ სიმაღლის. მისი სამშობლოა ინდოეთი. ფართოდაა გავრცელებული ხმელთაშუაზღვისპირეთსა და სხვა ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონში. ხეს აქვს ძალიან გაშლილი ტოტა სისტემა. ფოთლების უბეებში მოთავსებულია პატარა ყვავილედები. მისი ნაყოფი ძალიან ჰგავს ფორთოხლის ნაყოფს და ამიტომაც ეძახიან მას მწარე ფორთოხალს. იგი წააგავს აგრეთვე სხვა ციტრუსოვნებსაც. მცენარე შეიცავს ეთერულ ზეთს, სიმწარეებს, ჰესპერიდინს, მთრიმლავ ნივთიერებებს. სწორედ ეს შემადგენლობა განაპირობებს მის სამკურნალო თვისებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალმგზნები არომატი, რის გამოც იგი შედის სხვადასხვა ნაყენის შედგენილობაში. ძირითადად ნაყენები საერთო გამაჯანსარებელი თვისებების მატარებელია, ამლიერბს კუჭის წვენის გამოყოფას.

7.	ნარისჯაგა	<b>Carlina vulgaris L.</b>			ორწლიანი ბალახოვანი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის მცენარე განტოტვილი ფესვებით, 20–70 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. პირველ წელს იკეთებს ლანცეტური ფოთლების გვირგვინს. ღერო ვითარდება მეორე წელს. ნაყოფი თესლებია. ყვავილობს ივლის–სექტემბერში. გავრცელებულია ევროპასა და კავკასიაში. სამკურნალო თვისებებით საყურადღებოა ნაყოფი, რომლის შემადგენლობაში შედის ფისური ფრაქციები. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი ყვავილედიდან დამზადებული ექსტრატი. აღსანიშნავია ისიც, რომ პრეპარატი განსაკუთრებით მცირე დოზებით მიიღება, რადგან დოზების გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური ნერვული სისტემის მოშლა. მცენარე არ გამოირჩევა განსაკუთრებული ტოქსიკურობით და არა აქვს გვერდითი ქმედებები. მას იყენებენ თავის ტვინის სამკურნალოდ, ხალხურ მედიცინაში კი ბავშვების დასამშვიდებლად.
8.	ნარშავი	<b>Carduus L.</b>			ეკლიანი ბალახოვანი მცენარეების გვარი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. ცნობილია 120-მდე სახეობა, რომელიც გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში 9-მდე სახეობაა. უმრავლესობა იზრდება მთის შუა სარტყლამდე; თითო-ოროლა ალპურსაც აღწევს; 3 სახეობა კავკასიის ენდემია. ნარშავის თითქმის ყველა სახეობა თაფლოვანია. კარგი საშუალებაა ღვიძლის დაავადებების დროს. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს სრული, პინქიური ტიპის ადამიანებისათვის. იხმარება შეკრულობის, პირში მომწარო გემოს, გადიდებული ღვიძლის სამკურნალოდ. კარგად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, განსაკუთრებით ვენურ სისტემაზე, სიყვითლეზე, ყრუ თავის ტკივილით შაკიკის დროს ქალებში, რომელთაც აქვთ უზვი მენსტრუალური გამონადენი და ღვიძლით ავადმყოფებში.
9.	ნარცეცხლა	<b>Centaurea iberica Trev. Ex Spreng.</b>	ფშ. მაკრატელა-ნარი; მგრ. ხოჯიში თოლი.		ერთწლიანი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის მცენარეა. წარმოშობით სამხრეთ ევროპიდან. სარეველაა, ხარობს ძირითადად ნათესებში. მისი ფოთლები გამოიყენება საკმაზად; არის დეკორატიული. მედიცინაში გამოიყენება ლურჯი ნარცეცხლა, რომელიც იხმარება როგორც შარდმდენი საშუალება თირკმლების დაავადების დროს.

10.	ნაღველა	<b>Gentiana L.</b>	კხ., მსხ. ასისთავა; ჯვე. მაიასილის ბალახი; თშ. მწარია, ბაზლუარა, მამის ყვავილი; ერწო შხამა; ლჩხ. გვრიტა; გურ. ქარშოტა; აჭ. ასისთავა, ბერძნული ენდრო, შხამა; სვნ. არსთავ.		მცენარეთა გვარი ნაღველასებრთა (Gentianaceae) ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახია. მისი ლურჯი, ცისფერი ან ყვითელი, მილისებრი ან ზარისებრი ყვავილები მარტოულია ან შეკრებილია ნახევრად ქოლგა ყვავილედად, ნაყოფი კოლოფია. აერთიანებს 400-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. ტყის, სუბალპური და ალპური მცენარეებია. საქართველოში იზრდება 20-მდე სახეობა. საქართველოს ენდემია უცნაური ნაღველა (Gentiana paradoxa), რომელიც აფხაზეთში გვხვდება. იშვიათი დეკორატიული სახეობებიდან აღსანიშნავია ლაგოდეხის ნაღველა (Gentiana lagodechiana). სამკურნალოდ გამოიყენება ყვითელი ნაღველა, რომელიც მადის აღმძვრელი საშუალებაა, აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას, კურნავს კუჭის სიმჟავეს, შებერილობას, წყლულებს, გასტრიტს; არის ჭიის დამდენი და ნაღველმდენი საშუალება.
11.	ნაცარა მურყანი	<b>Alnus incana (L.) Moench.</b>	თხმელა		<p>მიეკუთვნება არყისებრთა (Betulaceae) ოჯახს. ჩვენში მხოლოდ ხეა, მაგრამ არსებობს ბუჩქის ფორმითაც. ერთსახლიანია, ფოთოლმცენი. ცოცხლობს 60 წლამდე. ნაცარა მურყანი (Alnus incana) 20 მეტრამდე სიმაღლის ხეა. ქერქი გლუვია. ფოთლები ქვედა მხრიდან ხავერდისებრია, რუხი ფერის. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ აფრიკაში - ალჟირში. არსებობს 30-მდე სახეობა. ნაცარა მურყანი (Alnus incana) საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იზრდება მთის ხეობების გაყოლებით ზღვის დონიდან 1900 მ-ზე.</p> <p>მურყანი მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. იზრდება სწრაფად. მურყანი ნიადაგისადმი მომთხოვნი არაა. ჭაობიან, ალუვიურ, ეწერ ნიადაგზე ქმნის ტყეს - მურყნარს. სინათლის, ტენისა და, ნაწილობრივ, სითბოს მოყვარულია. ნაცარა მურყანი ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. ნიადაგის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვს. სამკურნალოდ გამოიყენება გირჩები, რომლებასც აგროვებენ შემოდგომით. გირჩებს მზეზე აშრობენ. გირჩებში ბევრი მთრიმლავი ნივთიერებაა, მათ შორის ტანინი და მჟავები. ფოთლები შეიცავს ჰიპეროზიდს, კვარცეტრინს, მჟავებს, ქერქი - მთრიმლავ ნივთიერებებს. გირჩების ნაყენი და ქერქის ნახარში ავლენენ შემკვრელ, სისხლალმდგენ, მაღეზინფენქციინებელ თვისებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი გამოყენენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მკურნალობისათვის. ხშირად გირჩებს იყენებენ</p>

					სხვადასხვა პრეპარატის დასამზადებლად ან სხვადასხვა ბალახთან ერთად ნაყენებში.
12.	ნაცარქათამა	<i>Chenopodium L.</i>	ქრთ., კხ. მხალი; თშ. თათაბო; მხვ. თათამად, ერბოვანა; მსხ. ნაცარ-ბნევია, ნაცარბნია; ჯვხ. ქათმათო; იმ. ქათამნაცარა, ქათანაცარა; ლჩხ. მოჭარბლუე; გურ. ქორაფა, ნაცარა; მგრ. ჩე ჯუმენე, ქოროფე, ქეროფე; სვნ. მესგელა, მესგვლა, მუსკვილა.		მცენარეთა გვარი ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახისა. ერთი ან მრავალწლოვანი ბალახებია, იშვიათად - ბუჩქები. მორიგეობით განლაგებული ფოთლები ხშირად ფქვილისებრი ნაფიფქით არის მოფენილი. ნაცარქათამა იზრდება ნათესებში, ბაღებსა და ბოსტნებში, როგორც სარეველა, აგრეთვე მდინარეთა ნაპირებზე, გვხვდება დანაგვიანებულ ადგილებზეც. ცნობილია ნაცარქათამას 250 სახეობა. ისინი გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში გვხვდება 12 სახეობა. მათგან ფართოდ გავრცელებულია <i>Chenopodium album</i> , <i>Chenopodium botrys</i> . ნაცარქათამას ზოგიერთი სახეობა ( <i>Chenopodium polyspermum</i> , <i>Chenopodium rubrum</i> , <i>Chenopodium foliosum</i> ) გამოიყენება საჭმელად, როგორც ბოსტნეული ან მხალეული; ზოგი ( <i>Chenopodium album</i> ) საქონლის საკვებია; ზოგსაც (თეთრი ნაცარქათამა <i>Chenopodium album</i> , <i>Chenopodium yulvaris</i> , <i>Chenopodium hybridum</i> ; <i>Chenopodium ambrosioides</i> ) ხალხურ მედიცინაში იყენებენ ოფლმდენ საშუალებად, ანგინის, რევმატიზმისა და წითელი ქარის სამკურნალოდ, აგრეთვე კრუნჩხვისა და ასთმის დროს. <i>Chenopodium botrys</i> ჩრჩილის საწინააღმდეგო საშუალებაა.
13.	ნეგო, უკვდავა	<i>Helichrysum L.</i>	მსხ. ლაწუნა, მთის ნეგო, სვარნა.		ნეგო განეკუთვნება რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახს. მან სახელწოდება მიიღო ბერძნული სიტყვებისაგან <i>helios</i> - "მზე" და <i>chrysos</i> - "ოქრო", რაც ახასიათებს გვირგვინის ოქროსფერ-მოყვითალო შეფერილობას. ნეგო მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა და მოთეთრო ხეშეში ბუსუსებითაა დაფარული. სიმაღლით 15-30 სმ აღწევს, ფესვთანურას ფოთლები მოგრძოა და უკუკვერცხისებრი, ღეროს ფოთლები კი - ლანცეტისებრი. ბუსუსები, რომლებითაც მცენარე თითქოს ნაბადშია გახვეული, იცავნო მას დაღუპვისაგან წყლის ნაკლებობის დროს. ისინი ამცირებენ მცენარის ზედაპირიდან აორთქლებული წყლის რაოდენობას და საშუალებას აძლევენ მას ეკონომიურად გამოიყენოს ტენი. ყვავილის კალათა ყვითელია, რომელიც ქმნის კენწრულ ფარისებრ ყვავილედს. კალათა ბურთისებრია, დიამეტრით 4-6 მმ. კალათას გარედან ფოთოლაკების საფარი აქვს შემოხვეული. ფოთოლაკები ბლაგვია, სიფრიფანა, ლიმონისებრ-მოყვითალო ფერის, ხმელი. კალათის ყველა ყვავილი მილისებრია, ყვითელი ან ნარინჯისფერი, ქორით, ყვავილსაჯდომი

					<p>შიშველი. ყვავილობს ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე. წევო გავრცელებულია ქვიშიან ადგილებში, სტეპებში, ტყე-სტეპებში, ტყეებში, იშვიათად გამეჩხერებულ ფიჭვნარში.</p> <p>წევოს ყვავილში ნაპოვნია ფლავონები და ფლავონური გლიკოზიდები, სტერინი, ეთერზეთის კვალი, კაროტინი, ვიტამინი. ნედლეულის შენახვის ვადა სამი წელია. წევოს პრეპარატები გამოიყენება ძირითადად ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს. მათი გავლენით ძლიერდება ნაღვლის გამოყოფა, იცვლება ნაღვლის შემადგენლობა, მცირდება სისხლში ბილირუბინისა და ქოლესტერინის რაოდენობა, ამასთან იზრდება კუჭისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეცია. ქოლეცისტიტისა და ჰეპატიტების დროს გამოიყენება ნახარში.</p>
14.	ნესვი	<b>Melo sativus</b> Sageret	ინგ. ნეს; ჭრ. კავონი; მგრ., სვნ. შინკა.		<p>ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარის Cucumis-ის გვარი გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. აქვს მომრგვალო-დაკურთხული ღერო, გრძელ-ყუნწიანი და მსხვილი ფოთოლი, ცალსქესიანი, ზოგჯერ ორსქესიანი ყვავილი. ნაყოფი მრავალთესლიანი გოგრულაა, რომელსაც სხვადასხვა ფორმა აქვს. ნესვის სამშობლოდ ითვლება შუა და მცირე აზია. ცნობილი სახეობებია გველისმაგვარი, დეკორატიული (აღმოსავლეთ საქართველოში დასტამბო) და ჩინური. კულტურუაში გავრცელებულია უფრო ჩვეულებრივი ნესვი (Cucumis melo). მოჰყავთ უმეტესად შუა აზიაში, ვოლგისპირეთში, მოლდავეთში, უკრაინასა და ამიერკავკასიაში. სითბოს მოყვარული მცენარეა, უძლებს გვალვას. კარგად ხარობს 25-30°C ტემპერატურაზე. ნაყოფი ძვირფასი საკვები და დიეტური პროდუქტია. დიდი რაოდენობით შეიცავს შაქარს (16-18%-ზე მეტს), C ვიტამინს, კაროტინს, პექტინოვან ნივთიერებას და მინერალურ მარილებს. იყენებენ ნედლად, აგრეთვე შემჭვნარსა და გამზმარს. მისგან ამზადებენ ხილფაფას, მურაბას, ცუკატს, მარმელადსა და სხვას. სამკურნალოდ იყენებენ ნესვის გულს, თეთრს, ნარინჯისფერს ან მწვანეს, რომელიც შეიცავს ბევრ არომატულ ნივთიერებას. ნაყოფი ჰკლავს წყურვილს და ამშვიდებს ნერვულ სისტემას. მას აძლევდნენ მელანქოლიით დაავადებულებს. იღებენ რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, შებერილობისა და ბუასილის დროს. ნაყენს კოსმეტიკურ საშუალებადაც იყენებენ, რადგანაც მას ამოჰყავს კანიდან ლაქები. წყალთან ნაყენს იყენებენ თირკმლების დაავადებისას, როგორც შარდმდენ საშუალებას.</p>

15.	ნიახურა	<b>Ranunculus repens L.</b>	კხ., გურ. წყლის ნიახურა, ნიახურა-ბალახი; ქვ. რჭ. წყლის ლობიო; აჭ. ჭანჭახურამ.		<p>ნიახურა ველის მრავალწლოვანი ბალახია. მაღალია, 30–80 სმ. ფეხვებთან ფოთლები ვიწროა, ზემოთ უფრო ფართოა. ფოთლები, ჩვეულებრივ, მრავალრიცხვოვანია, 2-3 სმ დიამეტრის, ლანცეტური. იზრდება მშრალ ნიადგებზე, გზისპირებზე.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, რომელსაც აგროვებენ ზაფხულში. ბალახი შეიცავს ალკალოიდებს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს, ქინიონს, საპონინებს, ლაქტონებს. დიდი შხამიანობის გამო მას ძირითადად გარეგანად და კომპრესებად იყენებენ თავისა და ნევრალგიური ტკივილებისას, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, ჭრილობებისა და ფურუნკულების სამკურნალოდ. მისი ნაყენით ბანენ ქავილის შედეგად დაზიანებულ ადგილებს, დანაყული ფოთლებით აშუშებენ ჩირქოვან ადგილებს. განსაკუთრებით ხშირად იყენებს მცენარეს ტიბეტური მედიცინა.</p>
16.	ნიახური	<b>Apium graveolens L.</b>	მგრ. სონა.		<p>ერთ-, ორ- და მრავალწლოვან მცენარის გვარი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახისა. თითქმის ყველგანაა გავრცელებული. ცნობილი 20-მდე სახეობა. მოჰყავთ კულტურული ნიახური <i>Apium graveolens</i>, რომელიც ორწლოვანი (იშვიათად ერთწლოვანი) სანელებელი ბოსტნეულია. ცნობილია ნიახურის 3 სახესხვაობა: ძირხვენიანი, ყუნწიანი და ფოთლიანი. ეს უკანასკნელი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. ნიახური შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, ეთერზეთებს. ნედლ და გამხმარ ნიახურს იყენებენ კულინარიაში და საკონსერვო მრეწველობაში. თესენ გვიან შემოდგომით, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე.</p> <p>იგი შეიცავს არაერთ მინერალურ ნივთიერებას – კალიუმს, რკინას, ფოსფორს, მაგნიუმს, ვიტამინებს. ჩინურ მედიცინაში მას იყენებენ მაღალი წნევის დასარეგულირებლად. ნიახური არეგულირებს არტერიული წნევას. ამაღლებს იმუნიტეტს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნედლი მცენარე. ის სასარგებლოა კუჭის ტკივილის, სიმსუქნის, რევმატიზმის, შარდის ბუმტის დაავადებების სამკურნალოდ. წმენდის ორგანიზმს ტოქსინებისაგან.</p>

17.	ნიგვზისძირა	<b>Geum urbanum L.</b>	იმ., გურ. ქვეშნიგვზისა; აჭ. მარიამხელა.		ნიგვზისძირა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის 80 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახია. აქვს მსხვილი, მცოცავი, სურნელოვანი ფესვი. ღერო ძლიერი, სწორი, ზემო ნაწილში განტოტვილი და ბუსუსებით დაფარული. ფოთლები სამნაწილიანია. ყვავილები ღია ყვითელი, ერთეულები, მსხვილი, 5 ფოთლით. ნაყოფი თითოთესლიანი კაკლების ერთობაა. ყვავილობს მაისში, მწიფდება ადრე შემოდგომაზე. სამკურნალო ნედლეულად ამზადებენ ძირს, იშვიათად ბალახსაც. ნიგვზისძირა შეიცავს ფლავონურ გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერულ ზეთს, ფილებს, მჟავებს და კაროტინს. ნიგვზისძირა ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ამომხველებელი, შემკვრელი, დამამშვიდებელი, სისხლაღმდეგინი თვისებებით. ნიგვზისძირას იყენებენ ღვიძლისა და თირკმლების დაავადებების, სასუნთქი გზების ანთების, კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთების, ხველის, მომატებული მჟავიანობის, რაქიტის შემთხვევებში. გარეგანად ხმარობენ სავლებად და მოსაბანად სისხლიანი წყლულების, კანის ანთებითი დაავადებების დროს.
18.	ნივრის-დედა	<b>Alliaria officinalis Andrz</b>			ჯვაროსანთა (Apiaceae) ოჯახის ორწლიანი მცენარეა. იზრდება 100 სმ-მდე. აქვს სწორი ღერო, რომელიც ქვედა ნაწილში ბეწვიანია. ზედა ფოთლები ოვალურია, დაკბილული. ფუზჯები უფოთლოა. ყვავილი თეთრია. ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე. ბინადრობს შერეულ ტყეებში. სამკურნალოდ აგროვებენ ფოთლებსა და თესლებს. ფოთლები შეიცავს ეთერულ ზეთს, რაც მცენარეს ნივრის სუნს აძლევს, კაროტინს; ფესვებში არის საპონინები, ვიტამინი C და სხვა. მის ნაყენს იყენებენ ჭიის დამდენად, კუჭაშლილობისას, ჩირქოვანი და მნელადშესახორცებელი ჭრილობების მოსაბანად.
19.	ნიორი	<b>Allium sativum L.</b>			ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარე შრომანისებრთა (Liliaceae) ოჯახისა. ველურად გვხვდება შუა აზიის მთებში, სამხრეთ ყაზახეთში, კავკასიაში. აქვს მუქი მწვანე, ვიწრო და ლანცეტისებრი ფოთოლი. ბოლქვი 2-50-მდე კბილისაგან შედგება. კბილი დაფარულია თხელი აპკით, ხოლო მთლიანად ბოლქვი — 2-8 მბზინავი აპკით ან ქერქლით. ნიორის ზოგი ჯიში ივითარებს 60-150 სმ სიმაღლის საყვავილე ყლორტს, ყვავილში 60-450-მდე პატარა საპარა ბოლქვაკია. ნიორი თესლს არ იძლევა, მრავლდება კბილით და ბოლქვაკით. ბოლქვა და მწვანე მასას იყენებენ საჭმელად, კულინარიასა და საკონსერვო მრეწველობაში. ნიორის კბილი შეიცავს მშრალ ნივთიერებას, ნედლ ცილას, C ვიტამინს, რედუცირებულ შაქარს,

					პოლისაქარიდებს და სხვა. ნიორს სპეციფიკურ გემოსა და სუნს აძლევს ეთერზეთი, რომელიც ფიტოციდს შეიცავს (ამიტომ მას იყენებენ ფარმაკოლოგიაში). საქართველოში ნივრის ჯიშია გორული და იმერული.
20.	ნისკარტა აქტინიდია	<b><i>Actinidia polygama</i> (Sieb. et Zucc.) Miq.</b>			<p>ერთსახლიანი (Actinidiaceae) ოჯახის ფოთოლმცვენი ლიანა 5-8 მ სიმაღლისაა. აქვს დიდი ფოთლები, თეთრი ან ყვითელი, ძლიერი არომატით. ყვავილობის დროს ფოთლები თეთრდება და უჩნდება ლაქები. ნაყოფი მრავალთესლიანი კვნკრაა. იზრდება შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ ნაწილში. ნაყოფი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, პექტინურ და მღებავ ნივთიერებებს, ვიტამინებს.</p> <p>არის ანთების საწინააღმდეგო, სისხლაღმდგენი და ჭიის დამდენი საშუალება. ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც სურავადის საწინააღმდეგო საშუალება. ნაყოფს ხმარობენ ტუბერკულოზის, კბილების კარიესის, სისხლდენის დროს.</p>
21.	ნიუკა	<b><i>Arum orientale</i> Bieb.</b>	კხ. ნიუკი; ფშ., ხვს. დათვისტერფა; რჭ., ლჩხ. იმ. ქალაკოდა; გურ. ღვინა-ღვინა; აჭ. გულგულავ; მურ. კურდღელიში ცუჯი, ღვინდ-ღუმუში ჯინჯი, ღვინი დო ღუმუ; სვნ. ლაკოდა.		<p>მრავალწლოვან მცენარეთა (Aracae) ოჯახისა. ერთსახლიანი მცენარეებია. 15-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და წინა, შუა და ცენტრალურ აზიაში. საქართველოში 2 სახეობაა: <i>Arum albispathum</i> და <i>Arum orientale</i>. მათგან პირველი სახეობა გავრცელებულია თითქმის მთელი საქართველოს ტყეებსა და ტყის პირებზე, მეორე კი — მხოლოდ დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი, იმერეთი) ბუჩქნარებში. ნიუკას ნედლი გორგლები შეიცავს შხამიან ნივთიერებებს, გამომშრალი კი საჭმელად ვარგისია. ერთ-ერთი ულამაზესი მცენარეა. იზრდება 1 მ-დე. ფოთლები გრძელი და შუბისებური აქვს. საყვავილე ღერო ფოთოლზე გრძელია. იცვლის ფერს - ხან ღია მწვანეა, ხან კი მუქი მოწისფერი. ყვავილობს ივლისში. ზამთარში სასურველია მისი გადაფარვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროდუქტია ვირუსოლოგიისათვის.</p>
22.	ნუში	<b><i>Amygdalus communis</i> L.</b>			<p>მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა, ქლიავისებრთა ქვეოჯახის. ცნობილია 40-მდე სახეობა, რომელიც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთიდან ცენტრალურ აზიამდე. კავკასიაში იზრდება 7 სახეობამდე, საქართველოში კი მხოლოდ 2. მათგან ერთი - ჩვეულებრივი ნუში (<i>Amygdalus communis</i>) კულტივირებულია. მისი სიმაღლე 10 მ აღწევს. აქვს თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილი. არჩევენ მის ტკბილ და მწარეთესლიან, თხელ და სქელნაჭუჭა ფორმებს. თესლი შეიცავს</p>

გლუკოზიდ ამიგდალინს, რომელიც ტკბილ ფორმებში ოდნავ შეიმჩნევა. გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე. მისი გაველურებული ფორმები ქმნის რაყას. მეორე სახეობა, ენდემური ქართული ნუში (*Amygdalus georgica*), ბუჩქია, რომლის სიმაღლე 1-1,5 მ აღწევს. გამოირჩევა კაშვაშა ვარდისფერი ყვავილებით. იზრდება აღმოსავლეთ საქართველოში, ქმნის რაყას, მისი დიდი მასივებია გარეკახეთში. გვხვდება ქართლშიც. მისი გამოყენება შეიძლება ფერდობების გასამაგრებლად, ატმის, ტკბილი ნუშის, ქლიავისა სხვა კურკოვანი მცენარეების საძირედ.

ნუში სინათლის მოყვარული, გვალვა და შედარებით ყინვაგამძლეა. კარგად ხარობს ფხვიერ კირიან ნიადაგზე. იზრდება ქვიან და კლდოვან დამრეც ზედაპირზე ზღვის დონიდან 800-1600 მ (ბუხარის ნუში 2500 მ-მდე ადის), ამჯობინებს კალციუმით მდიდარ ნიადაგს. ირზდება მცირე ჯგუფებად (3-4 წამონაზარდიდან), რომლებიც ერთმანეთისგან 5-7 მეტრითაა დაშორებული. მზისმოყვარულია და ადვილად იტანს სიმშრალეს კარგად განვითარებული ფესვების სისტემის წყალობითა და ეკონომიური ტრანსპირაციით. ყვავილობს მარტ-აპრილში, ზოგან თებერვალშიც, ნაყოფი ივნის-ივლისში მწიფდება. მსხმოიარობას იწყებს 4-5 წლის ასაკიდან და 30-50 წლამდე აგრძელებს. ცოცხლობს 130 წლამდე. მრავლდება თესლებითა და ფესვების წამონაზარდებით. იტანს -25°C ყინვას, თუმცა ვეგეტაციის დაწყების შემდეგ ადვილად ზიანდება გაზაფხულის ყინვებისგან. იზრდება ბუჩქის ან მცირე ზომის ხის სახით მოწითალო ფერის ტოტებით. აღწევს 3-8 მეტრს, ლანცეტისმაგვარი ფოთლებით, რითაც ალუბალს ემსგავსება. მშრალი თესლი (ნუშის გული) შეიცავს ცხიმს, აზოტოვან ნივთიერებებს, უაზოტო ნივთიერებებს, ნაცარს. ნაყოფი გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობაში ნუშის ზეთის გამოსახდელად - ღვინის შესაფერავად, კონიაკის წარმოებაში. ნუშის ზეთს ხმარობენ კულინარიაში, პარფიუმერიასა და მედიცინაში, ნუშის ქატოს - კოსმეტიკაში. ნუშის მოქმარება ხელს უწყობს ქოლესტერინის დონის შემცირებას და არ მოქმედებს სხვა ლიპიდების დონეზე. შეიცავს უჯრე-დისს, რიბოფლავინს, მაგნიუმს, კალციუმს, რკინას. ყველა ეს ნივთიერება ძალიან მნიშვნელოვანია გულისათვის. უჯრე ცხიმოვანი მჟავები ხელს უწყობენ ქოლესტერინის დონის დაქვეითებას. ნუში ნაკლებად შეიცავს ნატრიუმს. ნუში მდიდარია B<sub>2</sub> და E ვიტამინებით, თუთითა და მაგნიუმით. თუთია ხელს უწყობს სტრესის ნეგატიური შედეგების დაძლევას, ხოლო E ვიტამინი იძლევა ენერგიის მუხტს. ამასთან, ნუში

					იმდენად მდიდარია ამ ელემენტებით, რომ შესაძლებელია მისი მიღება საკმაოდ მცირე რაოდენობით. ნუშის რძე გამოიყენება საშარდე გზებისა და შარდის ბუშტის ანთების საწინააღმდეგოდ.
--	--	--	--	--	--

1.	<b>ოთხფურცელა მარწყვა ბალახი</b>	Potentilla erecta (L.)		<p>ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახში შედის. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო წვრილია, მრავალი, წამოწეული ან გართხმული, 10–30 სმ სიგრძის. ზედა ნახევარში ორკაპისებრ დატოტვილი, ფოთლისა და ფავილის ფუნქებთან ერთად ცოტად თუ ბევრად ხშირბეჭვიანი. ფესვთანური ფოთლები სამფოთოლაქიანია ან ზოგჯერ ხუთფოთოლაკიანი, გრძელყუნწიანი, ადრე ხმება; ღეროსეული ფოთლები ყოველთვის სამფოთოლაკიანია, მჯდომარე ან მოკლეყუნწიანი; ფოთოლაკები პატარაა, მეტწილად მჯდომარე, მოვრდო-უკუკერცხისებრია, სოლისებრი, კიდემთლიანი ძირით, დანარჩენ ნაწილში განკვეთილი ხერხბილა, ზედა მხარეზე გაბნეულად შებუსვილი; ქვედა მხარეზე განსაკუთრებით ძარღვების გაყოლებით ჩვეულებრივ უფრო ხშირ მიტკეცილბეჭვიანი; ღეროსეული ფოთლების თანაფოთლები ფოთლისებრია, დიდი ზომის, ღრმად განკვეთილი. ყვავილედი მცირეყვავილიანია; ყვავილები წვრილი გრძელყუნწიანია, მარტოული 4 წვერიანი, ჯამის ფოთოლი – 4; გვირგვინის ფურცლები უპუპერცხისებურია, ყვითელი, ამოკვეთილი, ჯამის ფოთლებზე ოდნავ გრძელი. ყვავილსაჯდომი პატარაა, შებრტყელებული, ბეწვებიანი. ნაყოფი კაქლისებრი ფოთლურაა, მრავალრიცხვანი, მშრალი, მომწიფებული დანაოჭებულია და სუსტად გამოსახული ქედით. ფესურა ძლიერი და უთანაბროდაა გამსხვილებული, გახვებული, ზოგჯერ ტუბერისებრია, მცენარე ყვავილობს VI–IX.</p> <p>იზრდება ტყეებში, ტყისპირებსა და გელობებზე, საძოვრებზე, მთის ქედა, ზუა და ზედა სარტყელამდე. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. უკიდურესი ხრდილოეთის გარდა, ფართო გავრცელებით ხასიათდება კავკასიაში, აღმოსავლეთში მიდის ტომსკამდე (დას. ციმბირი), ბევრია კარპატებში, ბალტისპირეთში ქმნის სუფთა ხაზარდებს.</p> <p>ფესურა შეიცავს ძირითადად კონდენსირებული ჯფუფის მთრიმლავ ნივთიერებებს 30%-მდე. მასში დადგენილია ელაგის მეავა და ფლობავენები. თანმხლები ნივთიერებებია ფენოლები – პიროკატექინი, პიროგალოლი, ფლოროგლუცინი; კატექინები – (±)-კატექინი, (+)-გალოკატექინი, (-)-ეპიგალოკატექინი, (-)-გალოკატექინგალატი, (-)-ეპიგალოკატექინგალატი; ფლავონოიდები – კემფეროლი, ანთოციანები; შეიცავს აგრეთვაორგანულ მეავებს, ტრიტეპენოიდებს, ლიანდებს. მსგავს შენაერთებს შეიცავს მიწისზედა ნაწილიც. აქ პოლიფენოლებიდან მთავარია შერეული ბუნების მთრიმლავი ნივთიერებები – 8–12%, ფოთლებში, ყვავილებში – 12–17%. დადგენილია ფენოლები – ფლოროგლუცინი, პიროგალოლი, პიროკატექინი; ფენოლკარბონის მეავები, ფლავონოიდები-დან – ქვერცეტინი, კემფეროლი, C-გლუკოზიდ კემფეროლი, ვიტამინები და სხვ.</p>
----	--	---------------------------	--	--

					<p>ამზადებენ მონახარუს, რომელიც შემკვრელი და სისხლისდენის შემაჩერებელი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის დაგადებებისას; იყენებენ გამოსავლებად პირის ღრუს ანთებითი პროცესებისას – სტომატიტის, გინგივიტის დროს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ იგივე დანიშნულებით ენტერიტის, ენტეროკოლიტის, დისპეფსიისას, ასევე ფარული სისხლდენის, წყლულების, დამწვრობის, ეგზემის საწინააღმდეგოდ. პომერანიაში პოპულარულია მარწყვა-ბალახის რამდენიმე სახეობა.</p>
2.	ომბალო	Mentha pulegium L.	გურ. უმბალო; მგრ. ომბალე, ომბალი.		<p>ტუროსანთა (Lamiaceae) ოჯახში შედის. მრავალწლიანი 10–50 სმ სიგრძის აღმამდგომი ან მიწაზე გართხმული, ორწახნაგონი დეროებიანი, ფესურიანი მცენარეა. მოკლეყუნწიანი, 8–30 მმ სიგრძისა და 5–12 მმ სიგანის, კვერცხისებრი ან ოვალური, ბეწვებით შებუსვილი ფოთლები დეროზე ერთიმეორის პირისპირაა განლაგებული.</p> <p>მოვარდისფრო-მოიისფრო, ზოგჯერ თეთრი ყვავილები ფოთლების იღლიებში ჩხრო ყვავილებადაა შეკრებილი, რომელთა ჯამი 3 მმ-მდე სიგრძისაა და ბანჯგლიანი, ქვედა ტუზი 2 სადგისისებრი, ზედა 3 ლანცეტია ძირგანიერი სამკუთხისებრი კბილებით. ყვავის ივლისში, მრავლდება თესლით და ბუჩქის დაყოფით (ვაგატაციურად).</p> <p>იზრდება ტყიანი ზონის მდინარეთა სანაპიროებზე, საერთოდ კი ნესტიან ადგილებში. გვხვდება ძირითადად აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმშა და სვანეთში.</p> <p>ხალხური მედიცინა იყენებს ჭრილობის შემახორცებელ და ანტისპაზურ, აგრეთვე ყივანა ხველის, ასთმის და ისტერიის დროს დამაწუნარებელ საშუალებად. ყველა ამ შემთხვევაში რაჭაში ამ ბალახის წყლიან ნაყენს იყენებენ. გარდა აღნიშნულისა, ომბალო შესანიშნავია იმითაც, რომ მისი სურნელი აფრთხობს რწყილებს.</p>
3.	ონტეფა	Physalis alkekengi L.	ქრთ. ონთქოფა; კბ. დუდლუბო, დუდლუბო, დუდლუბელა; ფშ. დუდლუბა, დლუბა; რჭ. ლჩხ. ბაბუშტელა; გურ. კატაყვერა, ოტყებუა; ინგ. ზაღლი ზივ; აჭ. სატკაჩუნა; ზმ რჭ. ონტეფილა, ოტ-		<p>ძალლურმენასებრთა (Solanaceae) ოჯახის წარმომადგენელია. მრავალწლიანი ფესურიანი მცენარეა, 20–100 სმ სიმაღლის სწორმდგომი მარტივი (ზოგჯერ კენწრულ ნაწილში სუსტად დატოტვილი) დეროთი.</p> <p>დეროზე მორიგეობით, მაგრამ წყვილ-წყვილად განლაგებული, საქმაოდ გრძელყუნწიანი, წაგრძელებულ-კვერცხისებრი, იშვიათად რომბულ-კვერცხისებრი, ბოლოში გრძლდადწაწვეტილი ფოთლების კიდეები ოდნავ ამოკეთილია, რაც ნაკლებად შემჩნევა, ამიტომ ფოთლები კიდე-მოლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.</p> <p>ყვავილები სათითაოდაა გაბნეული მთელს დეროზე ფოთლების იღლიებში. ყვავილის ჯამი ზარისმაგარია, რომელიც დაყვავილების შემდეგ თვალსაჩინოდ იზრდება და ბუშტივით იბერება. ყვავილის გვირგვინი</p>

		კოფილა; მგრ. ტყვატყვაცია, ყუაში მაპაშქინია; სვნ. ქანტი.		თეთრი და ბორბლისებრი მოყვანილობისაა, ხუთკუთხა კონტურით. ბურთივით მრგვალი, 1,2–2,0 სმ სიგრძის ნარინჯისფერ-წითელი, კაშკაშა წითელ ბუშტივით გაბერილ ჯამში ჩამაღული ნაყოფი წვნიანი კენკრაა, რომელიც თირკმლისებრ მრავალრიცხვან მოთვარო თესლებს შეი- ცავს. ყვავის მაისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე. იზრდება გამეჩხრილ ტყეებში, ტყისპირებში, ბუჩქნარებში, ხევებში, ბაღებსა და ლობისძირებში. ონტკოფას ნაყოფი უვნებელი და საკვებად ვარგისია, შეიცავს შაქარს, ლიმონის მჟავას, C ვიტამინს, ცხიმს, კაროტინს, სულ მცირე რაოდენო- ბით ალკალინიდებს. აბრეშუმის ქსოვილს ღებავს ყვითლად და ნარინჯისფრად, სათანადო კომპონენტების დამატებისას წითლადაც. ონტკოფას ნედლი ფოთლის წვენს ქართული ხალხური მედიცინა ოდიო- განვე ჭიის დამდენ და წყურვილის მოსაკლავ საშუალებად იყენებდა. ქართულ ხალხურ მედიცინაში ონტკოფას ნაყოფს (ჯამის ფოთოლაკებს აცლიან) ხმარობენ ჭიის გამომდენად, შარდმდენად, რევმატული ანთების დროს, სისხლდენის შესაჩერებლად, ჭრილობების შესახორცებლად. ხალხის გადმოცემით, ნივთიერება ფიზალინი ქინაქინის მსგავსად მოქმედებს ციების დროს, მისი ნაყოფისა და ქინაქინის ხის ქერქის თანაბარი რაოდენობის ნახარშს ივლებენ პირში ღრძილების გამაგრების მიზნით პიორეიის დროს, ხოლო ნაყოფის სიროფს სვამენ სასუნთქი გზების დაავადებებისას.
4.	ონჭო	Satureia spicigera C. Koch	ქვ. აჭ. ენჭო; იმ. ტყის ქონდარი; რჭ. ქონდარა; სვნ. მარანდროოლ.	
5.	ოპუნცია, დედინაცელის ენა	Opuntia ficus indica Mill.	ქბ. ძაღლის ყბა; ქ. იმ. ბაყაყის ყვავილი; მგრ. ბაყაყი, ყაყაია, ევბუშ ვარდი.	

6.	ორჟბილა	<i>Bidens tripartita</i> L.	კხ. იჭი; ქპ. იმ., რჭ. წიპარება, მამლიყივილა, ფისარუა, ქიფსარუა, ფისაგარა; გურ. კანაფურა, ხოზიკა; ჭნ. ცქიპილა; მგრ. მაკიფია, მალაკიფა, მალიკიფა, უჩა ბაწკარია, ბაწკარია.		<p>რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის წარმომადგენელია. ორჟბილა სწორმდგომლერიანი 15–60 (100) სმ სიმაღლის, ერთწლიანი მცენარეა, ფოთლები ღეროზე ძირითადად ერთმეტოს მოპირისპირება განლაგებული, კენწეროზე კი ზოგი ფოთოლი მორიგეობითაა გაწყობილი. ფოთლის ყუნწი შედარებით მოკლეა და აქეთ-იქიდან ძირები ერთმანეთთანაა შეზღდილი. ფოთლის ფირფიტა ხშირად სამნაკვეთიანია, მაგრამ გვხვდება ხუთნაკვეთიანიც. ფოთლის ნაკერები ნაპირებში ხერხისებრ დაგბილულია. კენწერული ფოთლები ხშირად კიდემთლიანია. ყვავილების კალათები მოყავისფრო ყვითელია, რომელიც ერთეულადა ტოტების ბოლოებზე ან რამოდენიმე ერთად (ჯგუფად). კალათის საბურველი მრავალფოთლიანია და ორმწკრივადაა განლაგებული.</p> <p>ყვავილები მილისებრი და ორსქესიანია, თესლი სოლისებრია ორი ხორკლიანი კბილით (იშვიათად 3–4 კბილიანი). ყვავის ივლის-სექტემბერში, თესლი სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება.</p> <p>გავრცელებულია მთელს ტყიან ზონაში, უფრო ხშირად ტყეთაშორის ნესტიან ველობებზე, მდინარეთა ნესტიან დაბლობებზე, არხების პირას, წყალსაცავთა ნაპირებზე, ბალებში და სხვ.</p> <p>ხალხურ მედიცინაში ორჟბილას იყენებენ ორგანიზმი ნივთიერებათა ცვლის მოშლის, მათ რიცხვში სიყვითლის, რაჭიტის, შაქრიანი დიაბეტის, აგრეთვე რადიკულიტის, რეგმატიზმის, ნიკრისის ქარის, ბრონქიტის, საჭმლის ცუდად მონელების დროს. კანის დაავადებების დროს (ეგზემა, იარა, მუწუკები) ორჟბილას წყლით გამონაწვლილს სვამენ და მის ნახარშს გარებნულადაც ხმარობენ.</p>
7.	ოროვანდი	<i>Arctium lappa</i> L.	მხ. ფათარი; ქრთ., ქხ., მხ., ფშ., თშ. ძირხვენა; მსხ. დალაღუნტა; ხვს. დილხვენა; სბ. დელხვინა; ლიხ., ქპ. რჭ., ზმ. იმ. დელეღუნტა, დელაღუნტა; მთ. რჭ. დორიფუშა; გურ., იმ. ოლაღუა, ოხაკუა, ოხაკუე,		<p>ოროვანდი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის წარმომადგენელია. გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინური სიტყვა Arctos-დან, რაც დათვს ნიშნავს. სახეობა ტრანსკავკასიურია, minus პატარა, <i>lappa</i> კი ბერძნული <i>labin</i>-იდანაა, ე.ი. ხელში აღება ან ხელში ჩაგდება. ოროვანდი, როგორც სამკურნალო საშუალება, ცნობილია შუა საუკუნეებიდან, მედიცინაში გამოიყენება კანის დაავადებებისა და თმისცვენის წინაღმდეგ. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, მწარეებს, ლორწოს, ინულინს და დიდი რაოდენობით ეთერზეთს. მისი ფეხი უსუნოა, გემოთი მოტკო ლორწოვანი. <i>A. minus</i> და <i>A. lappa</i> გავრცელებულია ევროპაში ისლანდიაშე, ინგლისში შუა სკანდინავიის ჩრდილოეთამდე, კავკასიაში, იაპონიაში, ამერიკაში. ჩვენში კახეთში, თრიალეთში, აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ თეთრში, ქვემო ქართლში, თრიალეთში რუდერალურ ადგილებზე მთის შუა სარტყელპურ სარ-</p>

			ოხოკუა; ინგ. ზურხუნავ, ზურხვინა; ჩ. დულადუნა; მგრ. უჩა-ტყა; სვნ. ევალმაჩ.		ტყლამდე გვხვდება, მეტწილად დანაგვიანებულ ადგილებში. ახასიათებს შიშველი ყვავილსაფარი და ძოწისფერი ყვავილი. სახალხო მკურნალები ოროვანის მაღამოთი მკურნალობენ კანის დაა-ვადებებსა და წყლულებსაც.
8.	ორფერი	Pulmonaria mollissima A. Kerner	ქ. ფილტვის ბალახი; ოკ. კოკოჩი; ზმ. იმ. ხავერდა.		<p>ორფერი ლაშქარასებრთა (Borraginaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. მისი სამკურნალო მიზნით გამოყენების ისტორია ანტიკური შედიცინის დროიდან იწყება. ორფერს განსაკუთრებულ უკურადღებას აქცევდნენ და იყენებდნენ, როგორც საჟავეოსო საშუალებას სასუნთქი გზების, განსაკუთრებით კი ფილტვების დაავადების დროს. იგი შეიცავს სილიციუმმჾავას, ლორწოს, საპონინს, ფისს და მთრიმლავ ნივთიერებას. საპონინს შემცველობა მერყეობს. სააფთიაქო მზა ნედლეული უსუნო, მაგრამ ლორწოვანია და საგრძნობლად მჟავე. იგი გავრცელებულია ევროპაში. სამხრეთი სკანდინავიაში, ნორვეგიაში, სამხრეთ ფინეთში, შუა რუსეთში, კავკასიაში, ბალკანეთის ქვეყნებში, იტალიაში. ჩვენში იზრდება ტყისპირებზე, ბუზქნარებს შორის, ტყის შუა სარტყელამდე აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩხეუმში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ ოსეთში. იგი დეკორატიული ბალახოვანი მცენარეა, აქვს რბილი და ხშირი შებუსებილი დერო. ფოთლები კვერცხნაირ-დანცეტა, შუათანა კი გაგრძელებული. გვირგვინი იისფერ-მტრედის-ფერია. იზრდება მთის შუა სარტყელამდე ტყეში, ტყისპირზე, ბუზქნარებს შორის, აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხეუმში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ ოსეთში.</p> <p>ამ მცენარის ნაყენს იღებენ როგორც ტკივილდამაყუჩებელს, ხოლო გარედან იღებენ სალბუნის სახით კარბუნკულების დროს, აგრეთვე როგორც საბორტო საშუალებას, ხოლო მის ნახარშში აბანავებენ საყმაწვილოთი დაავადებულ ბაგშვებს.</p>
9.	ორყურა	Zygophyllum fabago L.	სმხ. ჭაპალუკა		<p>ლაშქარასებრთა (Borraginaceae) ბოტანიკურ ოჯახის 30–80 სმ სიმაღლის მრავალწლიანი მცენარე, ყვავის მაის-სექტემბერში. გვხვდება ქვიშიან და თიხნარ ნიადაგზე, გაგრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, შუა აზიაში, ჩრ.-დას. ჩინეთში. შეიცავს ვიტამინ C-ს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ტრიტერპენულ გლიკოზიდებს. ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია ჭიის დამდენ, ჭრილობის შემხორცებელ და ანტიანთების საშუალებად.</p> <p>„კარაბადინი კარგი და მარგებელი“ ამ მცენარეს იხსენიებს სინონიმით ჭაპალუკა: სურავადისათ(გ)ს. ჭაპალუკი დანაყე დასდევს.</p>

10.	ოსერო	Cynoglossum imeretinum Kusn.	ზმ. იმ. ბიზდაო; ქვ. იმ., გურ. ოხატუა; ბერძული		<p>ოსერო ლაშქარასებრთა (Borraginaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ოსერო – <i>Cynoglossum imeretinum</i> Kusn. C. Officinale L. ძაღლის ენა – <i>C. nebrodense</i> Guss.</p> <p>50–70 სმ ერთი ან ორწლიანი სარეველა ბალახია, პატარა მტრედისფერი გვირგვინით და მომცრო კაპლუჭებით. ვრცელდება მთის შეა სარტყლა-მდე და მეტწილად ტყისპირებზე. გვხვდება ქვიან ადგილებზე, ბუჩქნარე-ბში 1500–2000 მ სიმაღლიდან და მთელ რესპუბლიკაშია გაფრცელე-ბული.</p> <p>ძაღლის ენას, რომელსაც ძარღვის ბალახს ეძახიან, ადებენ ჭრილო-ბების შესახორცებლად.</p> <p>ლანჩხუთის რაიონში, სოფ. ნიგვზიანში, მას ეძახიან მიასწარას, იყენე-ბენ პაპასკირის წინააღმდეგ</p> <p>ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ოსეროთი ძირმაგარებსა და კარბუნკუ-ლებს მკურნალობებს.</p> <p>მველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მიხედვით, სამკურნალოდ ისმარებოდა „ბერძულის ზეთი“, რომელიც გვხვდება თავის ტკივილის საწინააღმდეგო წამლებში. რთული შემადგენლობის წამალს სრესდნენ „ბერძულის ზეთში“ და აწვეთებდნენ ავადმყოფს ცხვირში.</p> <p>„ბერძულის ზეთით“ აზავებდნენ ცხვირში ჩასაშვებ წამლებს, რომლებსაც ფილენჯის დროს ხმარობდნენ. ეს მცენარე გვხვდება აგრეთვე თვალის დაავადების დროს ხმარებულ წამლებში. ყურში შეილის წინააღმდეგაც ხმარობდნენ „ბერძულ ზეთს“. ბერძული ზოგჯერ გვხვდება თირკმლების დაავადების დროს ხმარებულ წამლებშიც.</p> <p>გვხვდება აგრეთვე არისტოტელეს მაჯუნის შემადგენლობაში, რომელიც ისმარებოდა უმთავრესად შინაგანი ორგანოების დაავადებების დროს.</p> <p>ბერძული ზეთი ისმარებოდა სხვადასხვა წამლების შესაზელად ან გასახსნელად, ხოლო თვით ბერძული კი გხვდება როგორც შინაგანი საშუალება.</p> <p>თანამედროვე ფარმაკოპეაში გვაქვს <i>Cynoglossum</i>-ის სახეობები, სახელდობრ, <i>C. Divaricata</i> და <i>C. officinale</i> L., რომელთა ფესვები შეიცავენ შემაიან ალკალიიდ ცინოგლოსინს. ამ მცენარის პრეპარატები ზოგჯერ</p>
-----	-------	------------------------------	---	--	--

					იხმარება ფილტვებით დაავადებულთა მკურნალობის დროს. ტიბეტის მედიცინაში ხმარებაშია C. Divaricata-ს ნაყოფი.
11.	ოსპი	Lens culinaris Medic.	ლ. კ. მურდუმაქი; სვნ. ქირს, ქირც.		<p>პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარე.</p> <p>ოსპი შეიცავს ცილებს, სახამებელს, ნახშირწყლებს, კალიუმისა და ფოსფორის მინერალურ მარილებს და B ჯგუფის ვიტამინებს.</p> <p>ოსპი დიეტური საძვებია კუჭ-ნაწლავების ტრაქტის აშლილობის დროს, დვიძლის და ნაღვლის ბუშტის პათოლოგიების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევისას.</p>
12.	ოფი	Populus nigra L.	ქრთ. ოქთონი ნერგი; ქვ. იმ. სკვილენჯი, სუროჯი, სპილენძი; აჭ. ყავალი.		<p>ტირიფისებრთა (Salicaceae) ოჯახში შედის. ოფი 15–30 მ სიმაღლის ხეა ნაცრისფერი ქერქით. ფოთლები მომრგვალო სამკუთხედია ან რომბული, ბოლოწვეტიანი, კიდეერსკბილა, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან შედარებით ბაცი. მამრობითი მჭადა ყვავილედი მჯდომარეა, მდედრობითი კი კარგად გამოსახული ყუნწით ხასიათდება.</p> <p>მამრობით ყვავილში 6–30 მტვრიანაა, მოწითალო ფერის მტვრის პარკებით. მდედრობითი ყვავილი ერთბურკონია 2 ყვითელი დინგით. ყავის მარტ-აპრილში შეფოთვლამდე, ანემოფილური მცენარეა, ე.ი. ქარის მეშვეობითი იმტვერება, თესლი მაის-ივნისში მწიფდება. თესლი გრძელი ბეწვებითა ადჭურვილი, რომელთა მეოხებითაც ქარის დახმარებით შორს ფრენს და ასე ვრცელდება ბუნებაში. გარდა თესლით გამრავლებისა, ფესვის უხვ ნაბარტყსა და ძირკვის უხვ ამონაყარს იძლევა, საქმაოდ სწრაფმზარდი ხეა.</p> <p>ბუნებრივად მდინარისპირა ჭალებშია გავრცელებული. სინაოლის მოყვარული და ყინვაგამძლე მცენარეა. საუკეთესო ზრდით მდინარეთა ნაპირებისა და დაბლობების ალუვიალურ ნიადაგებზე გამოირჩევა.</p> <p>ოფის კვირტებს სიცხის დამწევი, ანტისეპტიკური და დამაწუნარებელი მოქმედების თვისება გააჩნია. კვირტების ექსტრაქტისაგან ამზადებენ მალამოს, რომელიც რევმატიზმის, კანის ქავილის, დამწვრობის, წყლულების, ჭრილობების და ბუსილის სამკურნალოდ გამოიყენება.</p> <p>ოფის კვირტებსა და ფოთლებზე ფუტკარი წებოს აგროვებს, რომელსაც შემდგომ დინდგელად ამუშავებს. დინდგელს კი ფართო სამკურნალო დანიშნულებით იყენებენ.</p> <p>ხალხური მედიცინა ოფის კვირტების მაღამოს მოსამზადებლად ერთ ნაწილ კვირტებზე რგა ნაწილ დორის ქონს იღებენ. ცნობილია აგრეთვა</p>

					<p>ოფის კვირტების ცისტიტის დროს სადეზინფექციო საშუალებად გამოყენება. მასგე იყენებენ დამწვრობის, ნიკრისის ქარის დროს, აგრეთვა თმის გამაგრებისა და ზრდის დასაჩარებლად.</p> <p>ოფის ნახშირს იყენებენ ნერვულ ნიადაგზე ნაწლავების ტკივილის დროს, გულისძმარვისა და გულისრევის სამკურნალოდ. კვირტებს უვაკილობის დაწყებამდე ამზადებენ.</p>
13.	ოშოშა, ოშოში	Glechoma hederacea L.	კ. ოშოშო; იმ. ოშოშუა; ლჩ. ვოშოშე; გურ. ოშმეშა; ინგ. უინჯირალაი; მგრ. ოშოშია.		<p>ოშოშა ეფუთვნის ტუხოსანთა (Lamiaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ოშოშას (Glechoma) გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტკვიდან Glechon, რაც საგულე პიტრას ნიშნავს. სახეობის აღმნიშვნელი hederaceum – ხშირფოთლოვანს ნიშნავს.</p> <p>ოშოშა გავრცელებულია მეტწილად ევროპაში, აზიაში, იაპონიაში, ევროპასა და ჩრდილო სკანდინავიაში. იგი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან გავრცელდა ამერიკაში, კავკასიაში. ჩვენში იზრდება ტენიან აღგილებში, ტყისპირებზე, მდელოებზე, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – აფხაზებში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, კახეთში.</p> <p>აქვს შებუსებილი 15–60 სმ სიგრძის, დატოტებილი გართხმული დერო და უქნიანი ფოთლები, ქვედა ფოთლები რკალისებურია, ხოლო ზედა კი – გულის მოყვანილობისაა. 2–3 ყვავილი იზრდება ერთად, ჯგუფურად. მოიისფრო გვირგვინი 15–20 მმ სიგრძისაა და 2–3-ჯერ უფრო გრძელია ჯამზე. ოშოშა კარგად იტანს ჩრდილს და იზრდება ნესტიან აღილებში.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ოშოშას გაჭირვების ტალკვეს უწოდებენ. ოშოშას ნახარშით და ნაეენით მკურნალობებს მოტეხილობას, ნაღრძობს, სიმსივნეებს, გაბინძურებულ წყლულებს და სხვ.</p> <p>ოშოშას წყლის ან რძის ნახარში იხმარება ფილტვების მწვავე კატარის, მუცლის ჭვლების, ასთმის, უკლის დაავადებათა, შარდის ბუშტის ანთებისა და კანის დაავადებების დროს.</p>
14.	ოჩოპენტრე	Carpesium abrotanoides L.	გურ. ოსოპონტრო; მგრ. ოსურტოფუ.		<p>ოთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის მრავალწლიანი 50–80 სმ მცენარეა. ყვავის ივლის-ოქტომბერში. გვხვდება ტყებში და ტყის ნაპირებში, ჩრდილიან აღგილებში. გავრცელებულია საქართველოში, აზერბაიჯანში, ევროპაში, მცირე და აღმ. აზიაში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური ოვისებები შეუსწავლელია. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც ჭიისდამდენი საშუალება, კანის დაავადებების, მასტიტის, წყალმანკის დროს.</p> <p>„აზრულების ცნობარში“ სინონიმი ოსპოტრით არის მოწოდებული:</p>

					<p><b>სისხლის ფსმიისათვის.</b> ოოსპოტრა და წივა დანაყე და (ა)სოზ(ე) და(ა)დე. 12v–13r;</p> <p>„საექიმო წიგნში“ იხსენიება ოსოპინტრო:</p> <p>(მ)ჯდომისაგან ხველა შჟირდეს იელესამეაი, ია, კოსტაი, შარვალაი, მარიამ სხალაი, ოსოპინტრო, ღორის ჩაიმელა, მრავა ძარღვაი, ტაბელა, მატატელა, ცოტა თეთრი საქმოველი, ტაბელაი ძირი, ოხატუების ძირი, მთელი ოხატუება თუ სიცხე ქ(ო)ნდეს წყალით ასვი, თვარა ლვინით მოადუდე და ასვი.</p>
15.	ოხრახუში	Petroselinum crispum (Mill.) A.W. Hill	ქ'ნ. ოხრახოში; ქრთ. მაღდანოზი; თშ. მაკიდონელი; გურ., აჭ. მაკიდო; სბ. მაკიდონი; გხშტ. მაკედონი, პეტრუშკა; ჭხ. ლამსო, ლრამსო, ჭიჭამი; მგრ. მაკიდოლი.		<p>ეკუთვნის ქოლგოსანთა (Apiaceae) ბოტანიკურ ჯგუფს. ოხრახუშის გვარის (Petroselinum) სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან petros – ქვა, Selinon ამ მცენარის ძველი ბერძნული სახელწოდებაა. სახელის სახელი – crispum ნიშნავს ხეეულს, ხუჭუჭას და მართლაც ოხრახუშის მრავალი ასეთი ფორმითი არსებობს. ოხრახუშმა სამედიცინო საქმეში ფართო გამოყენება პკოვა ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ. მისი ფესვები შეიცავს ეთერზეობს, გლიკოზიდანის და ლორწოს. აქვს თავისებური პირველად მოტკბო, მაგრამ შემდეგ მწარე გემო. მის თესლში არის მლაშე ეთერზეო, გლიკოზიდი აპიინი, რომელიც მწვავე სუნისაა და თავისებურად არომატული. ოხრახუშის ფესვებსა და ნედლ ფორმებში არის ზეთი, რომელსაც ოხრახუშის ქაფურს, ანუ აპიოლს უწოდებენ, შეიცავს აგრეთვე ტინინსა და პინენს. იგი სამკურნალოდ გამოიყენება პიონისა და მირისტიცინის შემცველობის გამო. მის ფესვებსა და თესლებს აქვთ თირკმლების ტკიფილის დამამშვიდებელი თვისება.</p> <p>გავრცელებულია ყველგან – ევროპაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთში, იაპონიასა და ავსტრალიაში. ამიერკავკასიაში გვხვდება ყველგან, ზოგჯერ გაველურებული სახითაც.</p> <p>ოხრახუშს იყენებენ როგორც შარდმდენ საშუალებას. ლეჩხუმში ოხრახუშს ასკილთან, სიმინდის ფოჩთან და მრავალძარღვასთან ერთად იყენებენ როგორც შარდმდენ საშუალებას.</p>

1.	<b>პანტა</b>	Pyrus caucasica Fed.	ზმ. რჭ. პანტა-მსხალი; რჭ., ქვ. იმ. ჰერცბა-მსხალი; ლწხ. ჰერცბა; ზმ. იმ. ჯარწი; გურ. კვიჭიჭი, კვი-ჭიჭი-მსხალი; ინგ. ჭირჭიმა; ჭნ. მტკუთ-მცხალი; მგრ. პანტა სხული, პვეტელე სხული, ტყარი სხული, ჭიკუ სხული; სვნ. გოწო ვიცხ.		<p>პანტა მსხალი ეკუთვნის ვარდისებრთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება საკმაოდ მაღალი ხე. ახასიათებს მომრგვალო, წერილი ხერხებილა ფოთლები. მას იყენებენ საძილედ. ვხვდება კულტურაშიც. საქართველოში გაგრცელებულია უველგან.</p> <p>პანტა მსხალს ხმარობენ კუჭის აშლილობის დროს. მსხლის ფოთლის ნაყენით მკურნალობენ მორიელის ნაკენს. იყენებენ შემკვრელად.</p>
2.	<b>პატარძალა</b>	Anchusa italicica Retz.	რჭ., ზმ. იმ. ძროხიენა		<p>იგი ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახს მიეკუთვნება. მრავალწლიანი ბალახია, საქართველოში გვხვდება როგორც სარეველა მცენარე, მისი დერო 1 მ-ს აღწევს, უხეში ბუსუსებით არის დაფარული მთლიანად. დერო სწორი ან დატოტიანებულია. ხაზურა კიდემთლიანი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. საშუალო ზომის მოწითალო იისფერი ყვავილები ხვეული ყვავილების სახისაა. ყვავილები ხუთწევრიანია, ნაყოფი – კაპალი. მცენარე შხამიანად ითვლება, შეიცვას ცინოგლოსინს. გარდა ამისა, მასში შედის სადებავი ნივთიერებები. ძველად ხალიჩების წარმოებაში საღებავად იხმარებოდა, სანამ ის ენდროს საღებავმა არ შეცვალა.</p> <p>მას ლისან-ისავარი, ლისენამალი, გავზაბანი და ძირწითელაც ეწოდებოდა. მკურნალობის მიზნით იხმარებოდა ზროხიენის ძირი, თესლი, ფურცელი, წვენი, ჯულაბი, შარბათი. იხმარებოდა თავის ტკივილის დროს, ცხელებისა და შეკრულობის დროს. ფეხებში აღმოჩენილია ალანტოინი, რომელიც მედიცინაში ზოგჯერ იხმარება როგორც ჭრილობის შეხორცების დამაჩქარებელი, ხოლო შიგნით ის ენიშნება კუჭისა და თორმების ნაწლავის წყლილით დაავადებულებს.</p>

3.	<b>პილპილი</b>	Piper nigrum L.	სბ. მგორვალა; გურ., იმ. გორვალა; ჭნ. შეული პიპეი.		
4.	<b>პირამიდული კვიპაროზი, გუნდის ხე</b>	Cupressus sempervirens L. var. pyramidalis Targ.-Tozz.	ქრთ. მირონის ხე, ხეთუფა-ლა; სბ. სარო, ალვის ხე; მგრ. გუნდაში ჯა.		გუნდის ხე (სარო) კვიპაროსისებრთა (Cupressaceae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი ხემცენარეა, სიმაღლით 25 მეტრამდე, ხშირი პირამი-დალური ვარჯით და მრგვალი გირჩებით, ჩვენში იგი მხოლოდ დეკორა-ცოული მიზნითაა მოშენებული. აჭარაში გუნდის ხის გირჩება იყენებენ შარდის შეუძავებლობის დროს.
5.	<b>პირიმზე</b>	Diphylleaea coccinea (Bieb.) Nicolson.	გრ. კბ., სმბ. ჩიბუხა, ჩრდილის ლამაზა		(Orobanchaceae) ოჯახის მრავალწლიანი მცენარეა, 30–50 სმ სიმაღლის, ყვავის ივნის-ივლისში. პარაზიტი მცენარეა. გვევდება ქვა-ღორღლიან ნიადაგზე. გავრცელებულია კავკასიაში, ყირიმში და წინა აზიაში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში იგი მითითებულიას ჯილდების სამკურნალო საშუალებად. „აზრულების ცნობარი“: „ამალი ბედნიერისა, დიკის ფქვილი, შ(ა)ვი მამლის დვიძლი, ყინვარე შაქარი, პირიმზე, გოგრის ყვავილი, უცეცხლო თაფლი, ორაგულის ნაღველი, ეს არის ბედნიერის წამალი. რა არის წამალი მისი უგბილი თაფლი, სახლის ფქვილი, კვერცხის გული, ძეწის ჩხირი. 53r
6.	<b>პირშუშხა</b>	Armoracia rusticana Gaertn., C.A.Mey. et Scherb.	აჭ. ხარდანი		პირშუშხა ჯვაროსანთა (Brassicaceae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. საქართველოში გვხვდება როგორც კულტურაში, ისე გაველურებული სახით, განსაკუთრებით აფხაზეთსა და რაჭაში, პირ-შუშხა 50–150 სმ სიმაღლის დატოტიანებული მცენარეა, დიდი და გრძე-ლი, ფუქსეთან გულნაირი ფეხვთანი ფოთლებით. ღეროზე ქვედა ფოთ-ლები ფრთად განკვეთილია ან ფრთად დაყოფილი, ხოლო ზედა ფოთ-ლები ხაზურია. ყვავილის გვირგვინი სიგრძით 6 მმ-ია, ჭოტაკები 5–6 მმ აღწევს. იხმარება ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარე.

					ქიმიურად მასში შედის ზენფოლი (რომელიც ცხვირისა და ოვალების გამდიზიანებლად ითვლება), მიროზინი, გლუკოზიდი, გლიკოკოლეა-რინი (რომლიდანაც მიიღება ბუტილზენფოლი), საქართვის, ასპარაგინი, გლუტამინი, არგინინი, ალფა-ჟურბაზინი, ფისი, მორიმლავი ნივთიერება. მინერალური ნივთიერება ლიმონენი, ვიტამინი, ოქსიდაზი, ორგანული გოგირდნაერთები, როდანკავშირები და 10% ნაცარი. მისი ფესვები მდი-დარია ვიტამინებით, ალინენფოლით (0,15–0,20%), ფენილეთოლზენფოლი-თა და ფენილპროპილზენფოლით. მას იყენებენ დვიძლის დაავადების დროს, მადის მომგვრელად, სისხლის გამწმენდად, ამოსახველებულ საშუალებად, აგრეთვე მდოგვის შემცვლელად.
7.	პირწმინდა	Ajuga genevensis L. და A. reptans L.	მსხ. ბუხახი; იმ., ლჩხ. ღო- რიჭაჟუნტელი; გურ. ღორიშა- რაშელა, ღო- რისაჩქელა; მგრ. ჩეიშელქ, ცეიშარქ, ცექ- შელა, ცექ- შელქ, თვათვი.		პირწმინდა ეკუთვნის ტუხოსანთა (Lamiaceae) ბოტანიკურ ოჯახს, იზ- დება 10–40 სმ სიმაღლის, აქვს გვირგვინის სწორი მილი ქვემოთ დახრი- ლი ტუხით. გვხვდება მთის შუა სარტყლის მდელოებზე და ბუჩქნარში. ხალხურ მედიცინაში პირწმინდას ფოთლებს იყენებენ ტუბერკულოზის დროს ფილტვებიდან სისხლდენის წინააღმდეგ. ჩვენში ჭანგასა და პირწმინდათი მკურნალობენ საშვილოსნოს დაავადებებს (ბაკურიანი).
8.	პიტნა	Mentha L.	ჯ. პიტნაკი; მგრ. პიტინე; სენ. მინთოორ, მინთ....		ბადის პიტნა – Mentha piperita L., ტუხოსანთა (Lamiaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 1 მ სიმაღლის დერო ოთხწახნა- ბა, დატოტვილი, შიშეველი ან მცირედ შებუსვილი, უხვადშეგვოთლილი. ფოთლები განლაგებულია ჯვარყდინ-მოპირისპირედ. ყვავილები წვრილი, არანათლად ორტუხა, იისფერი, ხუთწვერიანი, მრავალყვავილიან ჩხოვ- ბად შეკრებილი, დეროებისა და ტოტების წვერში ქმნიან თავთავისებურ ჟვავილედს. გვირგვინი ჯამშია ჩამაღული, ხასასთან გაფართოებულია, მტვრიანა 4, თანაბარზომის, სწორი. თანაყვავილები ვიწროა, ლანცეტი- დან სადგისისებრამდე ფორმის. ფესურა მსხვილია, პირიზონტალური, დატოტვილი. მისი კვანძებიდან გამოდის მრავალი წვრილი ფესვი. ცნობილია, რომ მოშენების ფართობისა და მოხმარების მასშტაბით ჟორზეთვან კულტურებს შორის პიტნას უჭირავს ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიოში.

				<p>ბადის პიტნის ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრი ან ლანცეტა ფორმისაა, მოკლეუნწიანი, ფოთლები სიგრძით 8 სმ, სიგანეში 3 სმ-მდე, წამახვილებული წვერით. ფოთლის კიდე არათანაბრად ხერხებილაა, ზედაპირი შიშველი; ლუპის ქვეშ ჩანს ოქროსფერ-ყვითლი მბრწყინავი ან უფრო შუქი ჯირკვლები და ქვედა მხარეზე – ძარღვების გაყოლებით იშვიათი, მიკრული ბეწვები. ოფიცინალურ ნედლეულში დასაშვებია დამტკრეული ფოთლები სხვადასხვა ფორმის და 10 მმ სიღიღის, ასევე კვავილების, კოკრებისა და ღეროების მინარევი 10%. სუნი ძლიერი, არომატული, გემო – ოდნავ მსუსხვავი, გამაგრილებელი.</p> <p>ფოთლები შეიცავს ეთეროვან ზეთს 1,5–23,7%, ზოგჯერ ჯიშისა და ზრდის აღგილის მიხედვით 3,5%.</p> <p>ბადის პიტნის ფოთოლი არის სააზმოლიზური და ნაღვლისდამდენი საშუალება, შედის ამ დანიშნულების, აგრეთვე დამამშვიდებელ, პუჭნაწლავის ნაკრებებში.</p>
--	--	--	--	--

1.	ჟაბო, შაბო, შაბუ	<b>Cheiranthus cheiri L.</b>	საბა მართური.		ორ- ან მრავალწლიანი ჯვაროსანთა (Brassicaceae) ოჯახის მცენარე 60-100 სმ სიმაღლისა. აქვს სწორი, განტოტვილი, ბეწვებით დაფარული ღეროები; ლანცეტური ფოთლები, მთლიანი გვერდებით; მსხვილი ყვავილები, ოქროსფერ-ყვითელი ან ნარინჯისფერი. ნაყოფი გრძელი, პარკისებრი ღეროა, ოთხკუთხა; თესლი მრგვალი და წვრილი. სამკურნალოდ იყენებენ ფოთოლს, ბალახს, თესლებს. მცენარე შეიცავს საგულე გლუკოზიდებს, მდოგვის გლიკოზიდებს, ცხიმოვან ზეთს, ლინოლის მჟავას, კვერცეტინს, იზორამნეტინს და ეთერულ ზეთს. ჟაბოს ნაყენს იყენებენ გულის სამკურნალოდ. ხალხური მედიცინა იყენებს წყლისას სამკურნალოდ და დასამშვიდებლად.		
2.	ჟასმინი	<b>Jasminum L.</b>	საბა იასამანი		ყვავილოვანი ზეთისხილისებრთა (Oleaceae) ოჯახის ლიანა მუქი-მწვანე რთული ფოთლებით. ყვავილედი შედგება უამრავი თეთრი ყვავილისაგან. ყვავილობის დასაწყისში ბუტონები შეიძლება ვარდისფერი იყოს. არომატულ ჟასმინს უმატებენ ჩაის. მისი ეთერული ზეთი კარგი ანტიდეპრესანტია. იგი ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აქრობს განგაშის განცდას. ზეთს იყენებენ კუნთების ტკივილისას აბაზანებში, ასევე მასაჟისას.		
3.	სამკურნალო ჟასმინი				ნ. სამკურნალო ჟასმინი		
4.	ჟენ-შენი	<b>Panax ginseng C. A. M.</b>			ჟენშენი – სუროსებრთა (Araliaceae) ოჯახის ბალახოვანი მრავალწლიანი მცენარეა მწვანე ან მომწვანო-წაბლისფერი ღეროთი. სიმაღლე 80 სმ-მდე, რომელიც მთავრდება ყუნწზე 10 სმ სიგრძის 2-6 თითოსებრი რთული ფოთლებით. ჟენშენის ღია წითელი ფერის ნაყოფი ზემოდან და გვერდებიდან შეკუმშულია, შეიცავს ორ ღია ყვითელი ფერის კურკას. თესლები ბრტყელია, დისკოსებური, აქვს თხელი გარსი.	მცენარის მიწისქვეშა ნაწილი შედგება ფესურისა და ფესვისაგან. ჟენშენის ფესვი მოყვითალოა, ხორციანი, ცილინდრული, მრავლობითი განშტოებებით. ნედლეულია ჟენშენის ფესვები.	მცენარე შეიცავს გლიკოზიდებს (პანაქეაპონინი, პანაკვილონი, პანაქეოზიდი A და B), გინზენინს, პანაქესის მჟავას, ალკალოიდებს, ეთერზეთს (პანაცენი), ვიტამინ B <sub>1</sub> და B <sub>2</sub> , ასკორბინის და


					<p>ფოსფორის მჟავებს, რკინას. ცენტრალური ნერვული სისტემის მატონიზირებელი საშუალებაა.</p> <p>ჟენ-შენის ნაყენის ძირითად ფარმაკოლოგიურ თვისებას წარმოადგენს მისი მატონიზირებელი მოქმედება. პრეპარატის მოქმედების დროს თავის ტვინის სტრუქტურაში აღინიშნება აღგზნებადი პროცესების და რეფლექტორული მოქმედების გაძლიერება. მისი პრეპარატები ამაღლებენ შრომისუნარიანობას და აქვეითებენ დაღლილობას ფიზიკური და გონებრივი დატვირთვისას.</p> <p>პრეპარატს იყენებენ, როგორც მატონიზირებელ და მასტიმულირებელ საშუალებას გაძლიერებული ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის, გარემოს არასასურველი ზემოქმედების, გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელების პერიოდში. ჟენ-შენი გამოიყენება ასტენიური მდგომარეობის დროს. ეფექტურია კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში ნევრასტენის ნიადაგზე სქესობრივი დარღვევისას.</p>
5.	ჟოლო	<b>Rubus idaeus L.</b>	ფშ. ჟოლი; მთ. მუვალი, მული; მხვ. ქუბი; ხვს. ღვაფი, ხვაფი; თშ. ღვაფა, ხვაფა; მსხ. ჟვალო; ზმ. რჭ. ჟოლა; ინგ. ქერაი; სბ. ხოფა; ჭნ. დაძი კანდლუ; მგრ. იმღვა, ინღვა, ბაღიშ მუცი; სვნ. ინღა.		<p>ეკლიანი ბუჩქი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის 1-2 მ სიმაღლისა. ფესურა გრძელია, მხოხავი; სიცოცხლის პირველ წელს ღეროები ბალახოვანია, მწვანე, ეკლებიანი. ზამთრის წინ ისინი მერქნიანდება და ეკლები ქრება. მე-2 წელს ყლორტები წარმოქმნიან ყვავილედს, ისხამენ ნაყოფს, ხმება და ამთავრებს ვეგეტაციას. ფოთლები მორიგეობითა, სამმაგი ან კენტფრთიანი. ნაყოფი ჟოლოსფერ-წითელია, კრებითი, რომელსაც არასწორად უწოდებენ კენკრას; შედგება 30-60 ნაყოფაკისაგან. ჟოლო ყვავილობს მასი-ივნისში. ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში. ჟოლოს ნაყოფები შეიცავს ვაშლის, ლიმონის, კაპრონის, ჭინჭველის მჟავებს, B ჯგუფის ვიტამინებს, C ვიტამინს, საქართვას, გლუკოზას, ფრუქტოზას, მთრთიმლავ ნივთიერებებს, ციანიდინ-ქლორიდს და ბენზალდეჰიდს. თესლი შეიცავს ცხიმოვან ზეთს და სიტოსტერინს. ჟოლოს ფოთლებს ძლიერი ოფლმდები და სიცხის დამწევი ქმედება გააჩნია; ნაყოფებს იყენებენ წამლების გემოს გასაუმჯობესებლად. ჟოლოს გამარი ნაყოფები შედის ოფლმდენი ნაკრებების შემადგენლობაში. ჟოლოს უმი ნაყოფები შესანიშნავი საკვება; მისგან ამზადებენ</p>

					მურაბებს, საკონდიტრო ნაწარმს, სასმელებს, სიროფებს, ნაყენებს, კომპოტებს, ღვინოს. მედიცინაში გამოიყენება ჟოლოს ფოთლებიც, როგორც შემკვრელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ჟოლო მნიშვნელოვნად აძლიერებს ლიბიდოს და ეს თანაბრად ეხებათ როგორც კაცებს, ისე ქალებს. ამის მიზეზი ცინკია, რომლის მაღალი პროცენტული შემცველობითაც გამოირჩება კენკრის თესლი.
6.	ჟუნურუკი	<b>Stellaria media (L.) Cyr.</b>	ქრთ., კხ. ჯუნჯრუკი; მხვ. წვრილი მხალამ, ჩიტის თოლამ, ოსურმხალამ; მთ. ოსური მხალი; მსხ. ნაცარა; ქვ. იმ. ბოწვა; ზმ. იმ. ბოწოწვა; გურ. ბოწოწო. ბოწოწუა. სირისუა; ოკრ. კინკა; აჭ. ჟრიჭა.		მრავაწლოვანი მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახის მცენარეა 20-40 სმ სიმაღლისა. აქვს ძლიერ განტოტვილი ღერო; მოკლე ძირი. ღეროები მრავალრიცხოვანია, მუქი, მარტივი. ყვავილები მორიგეობითი ფოთლები. ნაყოფი ერთთესლიანი მსხლისებრი კაკალია. ყვავილობს ივნის-ივლისში. მწიფდება სექტემბერში. შეიცავს ფისებს, გლიკოზიდებს, ეთერულ ზეთს, ფლავონოიდებს, ვიტამინების კომპლექტს და მინერალებს. აუარესებს მაღას, ხელს უშლის ცხიმების შეწოვას. არის მსუბუქი დამამშვიდებელი და შარდმდენი. გამოიყენება ართომოლეკულურ თერაპიაში. მედიცინაში იყენებენ ჯუჯა ჟუნურუკოსაც <i>Stellera chamaejasme</i> L., რომელიც შედგება ფისებისაგან, შხამიანი მაღალმოლეკულური ორგანული მჟავებისა და ანთრაგლიკოზიდებისაგან. იგი აძლიერებს ნაწლავების ქმედებას და აღიზიანებს ლორწოვან გარსს. გამოიყენება ჭიის დამდენად და ციებ-ცხელების სამკურნალოდ.

1.	რევანდი	Rheum L.			<p>რევანდი მრავალძარღვასებრთა (Polygonaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2-2,5 მ სიმაღლისა. აქვს ხორცოვანი ფესვები. ღერო მსხვილია და დაუტოტავი. ღეროს ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა და ფესვთანაა შეკრებილი როზეტად. ისინი ფართო კვერცხისებური ფორმისაა. ფოთლის ყუნწი გრძელია და მოწითალო შეფერილობისა. ფოთლის ნაწილები წამახვილებულია და არათანაბრადაა ჩაჭრილი. ღეროზე ფოთლები უფრო ნაკლებადაა, ამასთან, უფრო მცირე ზომისაა და ყუნწიც მოკლეა. ყვავილები წვრილია, ვარდისფერ-თეთრი ან მუქი-წითელი. ნაყოფი კაკლუჭაა. ყვავილობს ივლისში.</p> <p>ფესვები შეიცავს ტანინებს, მინერალურ ნივთიერებებს, სახამებელს, პექტინებს, C ვიტამინს. ანტრაცენის წარმოებულებს, ასევე მცირე რაოდენობით ანტრაქინონებს.</p> <p>რევანდის ძირითადი ნედლეულის ფარმაკოლოგიური ქმედება განპირობებულია მისი ქიმიური შემადგენლობით. ცნობილია, რომ ანტრაცენწარმოებულებს გააჩნიათ საფალარათო ეფექტი, ხოლო მთრიმლავ ნივთიერებებს პირიქით- შემკვრელი მოქმედება ეს ორივე აქტიური ნივთიერება წყლიანი გამონაწვლილები უპირატესად მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავენ, ამიტომ მათი გამოყენება რეკომენდირებულია შემკვრელი ეფექტის მიღების მიზნით. მის სპირტიან გამონაწვლილებს ახასიათებს საფალარათო ეფექტი.</p> <p>რევანდს ახასიათებს ნაღვლმდენი თვისებებიც. იგი შედის ნაღვლმდენი და საფალარათო ჩაისა და ნაკრებების შემადგენლობაში.</p>
2.	რევანდი თათრული				ნ. თათრული რევანდი.
3.	რევანდი ნამდვილი				ნ. ნამდვილი რევანდი.
4.	რევანდი				ნ. სამკურნალო რევანდი.

	სამკურნალო				
5.	რეზედა	<b>Reseda L.</b>			ველური რეზედა. ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა. რეზედა ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30—50 სმ სიმაღლისა. აქვს მორიგეობითი ფოთლები, ფრთისებურად დანაწევრებული სამ-ხუთ ნაწილად, უსწორმასწორო ყვავილები, მომწვანო ყვითელი, გრძელ ფუნჯებად შეკრული. ნაყოფი სამწახნაგა წაგრძელებული კოლოფია. გვხვდება ევროპის სამხრეთ ნაწილში, კავკასიაში. აგროვებენ ყვავილებს, ფოთლებსა და ძირებს. ცნობილია, რომ ფოთოლი შეიცავს ვიტამინ C-ს, თესლები კი ეთერულ ზეთს. მედიცინაში იყენებენ წყალში ნაყენს ფოთლებისას ან მთლიანი მცენარისას. აქვს შარდმდენი, ოფლმდენი თვისებები. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გულის სამკურნალოდ, პერიტონიტული დაავადებისას. მსგავსი ქმედებით ხასიათდება სურნელოვანი რეზედაც (Reseda odorata L.). Reseda luceola, Reseda odorata L. და Reseda lutea L თაფლოვანი მცენარეებია.
6.	რეზედა ბალისა				ნ. ბალის რეზედა.
7.	რეზედა ყანისა				ნ. ყანის რეზედა.
8.	რეჰანი	<b>Ocimum basilicum L.</b>	კხ. რიანდი; იმ. შაშველამი; გურ., აჭ. შაშტამი, შეშტრამი, ჟაშველამი, შაშტარამი; საბა შაშპრა; ინგ. რეჰანდ; ჭნ. რეჰანი; მგრ. სანშურე, საშურამი, შაშურამი.		ერთწლოვანი ტუჩისანთა (Lamiaceae) ოჯახისა ბალახია. აშენებენ როგორც საკვებ მცენარეს. აქვს განტოტვილი, სწორი ღერო, 60 სმ-მდე სიმაღლისა. ფოთლები წაგრძელებულია, აქვს ოდნავ შესამჩნევი კბილები. მთელი მცენარე დაფარულია ხაოთი. ყვავილი წყვილტუჩაა. ნაყოფი შედგება ოთხი მუქი-ყავისფერი კაკლისაგან. სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელიც შეიცავს ევენგელს, მთრიმლავ ნივთიერებას, ცილებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს. მისი ყველა ნაწილი ხალხური მედიცინისათვის მაღის აღმძვრელი საშუალებაა. მისი ნაყენი, ნახარში და გამნაწილილი კარგი ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა. იგი აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. იყენებენ

					ხველის, ბრონქიალური ასთმის, ეპილეფსიის სამკურნალოდ. გამოიყენება სისხლის მიმოქცევის დასარეგულირებლად. ცნობილია რეჰანის ათეროსკლეროზის, ავიტამინოზის, პიეტიტის, ცისტიტის, ნაწლავების, კანის დაავადებების, თავის ტკივილის, თაგბრუსხვევების, ლაქებისა და პიგმენტების სამკურნალოდ გამოიყენების შესახებ.
9.	რეჰანი ევგენოლისა				ნ. ევგენოლის რეჰანი.
10.	რეჰანი ქაფურისა				ნ. ქაფურის რეჰანი.
11.	როზმარინი	<b>Rosmarinus officinalis L</b>			<p>მარადმწვანე ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის სამკურნალო ნახევრადბურქე 20–80 სმ სიმაღლისა. აქვს სწორხაზოვანი, კიდეებახვეული მოთეთრო ფოთლები; მოლურჯო ყვავილები. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. მცენარე შეიცავს ეთერულ ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ფისებს და სხვ.</p> <p>მისი გამოყენება ეფექტურია მეტეორიზმის, ნერვული სისტემის, სისხლძარღვების სამკურნალოდ. ახდენს ზემოქმედებას დაბალ წნევაზე, სქესობრივ სისუსტეზე, ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას. სასიამოვნო სურნელის გამო ფარმაცევტულ მრეწველობაში იყენებენ სამკურნალო ნაყენებში, მაღამოებში, პლასტირებში. ფოთლების ნაყენს ივლებენ პირის ღრუში, იყენებენ კომპრესებში ტანზე გამონაყარებისა და მნელად შესახორცებელი ჭრილობების სამკურნალოდ. ფოთლებისა და ერთწლიანი ღეროების ნაყენი გამოიყენება ნევროზისა, კლიმაჯესის, კუჭ-ნაწლავის, გაციების, თავის ტკივილის სამკურნალოდ. მცენარე გამოიყენება დიეტურ საკვებადაც შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში.</p>

12.	რუსული მაყვალი	<i>Centaurea cyanus</i> L.			<p>მრავალწლიანი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის ნახევ-რადგუჩქი 1,5 მ სიმაღლისა. აქვს სწორი ღეროები და პატარა ეკლები. ფოთლები თანმიმდევრულადაა განლა-გებული. ყვავილი თეთრია, მსხვილი. ყვავილობს ივნის ივლისში. ნაყოფი რთული მრავალთესლაა, ხორციანი.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება ნედლი ფოთოლი და მწიფე თესლი, რომლებიც შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ორგანულ მჟავებს, ფლავონოიდებს, ინოზიტს, შაქარს, პექტინურ ნივთიერებას, კაროტინს, ვიტამინებს B, C, E-ს, კალიუმის მარილებს, მარგანეცს. მისი პრეპარატები გამოიყენება ანთების საწინააღმდეგოდ, ჭრილობების შესახორცებლად, ამოსახველებლად, ბაქტერიების საწინააღმდეგოდ, შარდმდენად, ოფლმდენად და დამამშვიდებლად.</p>
13.	რუსული ღილილო	<i>Allium fistulosum</i> L.			<p>ერთ- ან ორწლოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახისა. აქვს წვრილი, ღერისებრ განტო-ტვილი ფესვი. ღერო 80 სმ-მდე იზრდება. ქვედა ფოთლები სამნაწილა ან ფრთისებრია, ზედა- მჯდომარე, მთლიან-კიდიანი. კიდურა ყვავილები უსქესოა, შუანა- ორსქესა, იისფერი. ნაყოფი ჩამოშვებული რუხი თესლია თავზე ქოჩრით. ყვავილობს აპრილიდან. მწიფდება აგვისტოში.</p> <p>ღილილოს ძირითდი აქტიური ნივთიერებებია - დიგლუკოზიდები ციანიდინი და პელარგონიდინი, ფენოლისა და ფლავონების წარმოებულები-აპიგენინი, ლუტეოლინი, კვერცეტინი, კემპფეროლი, გლუკოზიდი ცენტაურინი, პელარგონინის ქლორიდი, ანტიციანები, კუმარინები, საპონინები, სტერინები, ფისები, პექტინური და მთრიმლავი ნივთიერებები, კატოტინი, ასკორბინის მჟავა, კალიუმი, კალციუმი, რკინა, თუთია, ნიკელი, ვანადიუმი, კობალტი, ბორი, ცხიმოვანი ზეთი. მის პრეპარატებს აქვთ შარდმდენი, ოფლმდენი, სიცხისდამწევი, ნაღველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი, ანტიმიკრობული, გამაყუჩებელი, ციებ-ცხელების საწინააღმდეგო თვისებები. გამოიყენება პოდაგრის, ხველის. შარდის ბუშტის ანთების, კუჭის ტკივილის, ქათმის სიბრმავის,</p>

					კონუნქტივის, ბლეფარიტის, ციებ-ცხელების, სიყვითლის, ჭიების, გასტრიტის, თავის ტკივილის სამკურნალოდ, გულის ცემის მოსაწესრიგებლად.
14.	რუსული ჭლაკვი	<i>Allium fistulosum</i> L.	ზმ. იმ. ბოყვა-ჭლაკვი; ქვ-იმ. მორჩვი, ფოჩის ხახვი; მგრ. კუდაცია.		<p>ცნობილია თათრული ჭლაკვის სახელითაც.</p> <p>ერთწლოვანი შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის ხახვისებური მცენარე ცილინდრული ღეროთი, თეთრ ყვავილიანი მწვანე ღერო-ფითლებით. იზრდება 60-დან 80 სმ-მდე. შეცავს აზოტს, შაქარს, ინულინს, ფიტინს, ფლავონოდებს, გლუკოზიდებს, ცხიმებს, სავადსხვა ფერმენტს, ვიტამინებს, ეთერულ ზეთს. ჭლაკვი (ისე, როგორც ხახვი) უძველესი დროიდან გამოიყენება მედიცინაში. იგი აძლიერებეს მადას, ხელს უწყობს საკვების მოსაწელებელი წვენის გამოყოფას, სპერმის გამომუშავებას, კურნავს წყლისას. არის შარდმდენი, ხსნის ტკივილს, ხელს უწყობს კინჭების დაშლას, არის ციროზის, ნაწლავის ატონიის, ჰიპერტონიული და გინეკოლოგური დაავადებების განკურნვის ვარგი სამუალება. იხმარება ბრონქიტისა და ასთმის სამკურნალოდ.</p>
15.	რქათავა	<i>Ceratocephala</i> Moench.			<p>3-10 სიმაღლის ბაისებრთა (Ranunculaceae) ოჯახისა. ეფემერული ბალახი. ფოთლები თითისებური, ყვავილები წვრილი, მომწვანო; ნაყოფი ეკლიანი თესლი. ყვავილობს აპრილ-მაისში. საკურნალოდ იყენებენ ბალახს და უმწიფარ თესლს. შხამიანი მცენარეა. შეიცავს ალკალოიდ ანემონინს. რქათავას ახასიათებს ბაქტეროციდული, ანტისეპტიკური თვისებები. ხელს უწყობს ჭრილობიდან ჩირქის გაწმენდას, აჩქარებს ანთების შეწოვას და ჭრილობის შეხორცებას. დაცეცქილ ბალახს და ნაყენს იყენებენ ჭრილობების, წყლულების და დაზიანებების სამკურნალოდ. აქრობს ლაქებს.</p>

16.	რცხილა	Carpinus L.			<p>ხე თხილისებრთა (Corylaceae) ოჯახისა. მისი სიმაღლე 35 მ აღწევს. გლუვექერქიანია. გავრცელებულია მთელ კავკა-სიაში, ყირიმში, ჩრდილოეთ ირანსა და მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში. საქართველოში იზრდება დაბლობიდან მოკიდებული ზღვის დონიდან 2000 მ-დე ტყის სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე. ერთ-ერთი მთავარი ტყის ჯიშია. ქმნის როგორც წმინდა კორომებს (ძირითადად ზღვის დონიდან 1000 მ-მდე), ისე შერეულ ტყეებს ფოთლოვან (წიფელი, მუხა, წაბლი) და წიწვოვან (ნაძვი, სოჭი) ჯიშებთან. ჩრდილის ამტანი, ყინვა- და ქარგამძლეა. მეზოფილურია, თუმცა მეტ-ნაკლებად უგუება ჰაერის სიმშრალეს. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით. ძალზე მაგარი და გამძლე თეთრი მერქნი აქვს, რომელსაც სადურგლო და სახარატო საქმეში იყენებენ. ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. დეკორატიულია, კარგად იტანს კრეჭას. აშენებენ ცოცხალ ღობედ, ხეივნებად</p>
17.	რცხილა კავკასიური	Euphorbia			ნ. კავკასიური რცხილა.
18.	რძიანა	Daphne mezereum L.	თუშ. ბალდამის ბალახი, ბალდამა; მოხევ., მთიულ. რძევანა, ერძევანა; რაჭ. მერძევალა; ლეჩხ. მერძეულე; რაჭ., ლეჩხ., იმერ. რძია-რძია; ინგ. ზიანა; მეგრ. მაბჟალია, მავჟალია, მებჟალიე; სვან. მელიჯოროლ.		<p>რძიანასებრთა (Euphorbiaceae) ოჯახისა. რძიანებს განეკუთვნება რამდენიმე ასეული მცენარე. ისინი გარეგნულადაც მნელი გასარჩევია. ეს ერთ- ან მრავალწლოვანი მცენარეები მხოლოდ დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიმაღლით 10-დან 100 სმ-მდე იზრდებიან. აქვთ შხამიანი თეთრი წვენი. ღერო სწორია, განტოტვილი; ფოთლები მორიგეობითი, ლანცეტური. ყვავილები შეკრებილია ქოლგისებურად. ნაყოფი კოლოფია. ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე. ქიმიური შედგენილობა შეუწავლელია. ცნობილია, რომ წვენი შეიცავს ფისებს,</p>

					კაუჩუკს. მას ახასიათებს შარდმდენი, დამარბილებელი, ოფლმდენი, ჭიის საწინააღმდეგო, ამოსაღებინებელი, გამაყუჩებელი თვისებები. მის წყალთან ნაყენს მცირე დოზებით იყენებენ კუჭის კატარის, თირკმლების, ცოფიანი ცხოველების ნაკბენის სამკურნალოდ. მის წვენს ხმარობენ კოსმეტიკურ საშუალებად. ამ მიზნით გამოიყენება <i>Euphorbia procera</i> M. B., <i>Euphorbia cyparissias</i> L., <i>Euphorbia esula</i> L., <i>Euphorbia virgata</i> Waldst. et Kit., <i>Euphorbia palustris</i> L.
19.	რძიანა- მაჯალვერი		ქრთ. მაზაო, ცუცუმყრა- ლა, ძუძუმყრალა; სვნ. მაჯვარა, მაჯორა.		მომწვანო-მორუხო ფერის ბუჩქია <i>Thymelacaceae</i> ოჯახისა. აქვს დაწინწვლული სწორი ღერო 1-1.5 მეტრის სიმაღლისა. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-ლანცეტური. ყვავი- ლები სურნელოვანია, მილისებური, მუქი ვარდიფერი. ყვავილობს მარტიდან ივნისამდე. სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი და ნაყოფი. შეიცავს გლიკოზიდ დაფნინს, კოკოგნინს, ეთერულ ზეთს, ეთერზეთს და სხვ. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. მის სპირტიან ნაყენს გარეგანად ქრონიკული რევმატიზმის, პოდაგრის, დამბლის, ნევრალგიების სამკურნალოდ იყენებენ.

1.	<b>საზამთრო საკვები</b>	<i>Citrullus colocynthis (schweinf.) Pang.</i>			<p>გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახის მცენარე. საზამთროს რბილობი შეიცავს წყალს, ნახშირწყლებს (საქართველოს, ფრუქტოზას და გლუკოზას), პექტოვან ნივთიერებებს, უჯრედისს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, PP, C), ფოლიუმის მჟავას, კაროტინს, კალიუმის, რკინის, მაგნიუმის, კალციუმის მარილებს, ამინომჟავებს.</p> <p>საზამთროს რბილობს და წვენს ფართოდ იყენებენ როგორც დიეტურ საკვებს თირკმლის კენჭოვანი დაავადებების, ცისტიტის, ნეფრიტის და პიელონეფრიტის დროს. იგი რეკომენდებულია დვიძლის დაავადების, ენდო- და ეგზოგენური ინტენსივური წინააღმდეგ. საზამთროში ადგილად შესათვისებელი რკინის არსებობის გამო მას ხშირად უნიშნავენ სხვადასხვა სახის ანემიების დროს, ფეხმიმე და მეტუმურ ქალებს. ფრუქტოზის შემცველობის გამო კარგია შაქრიანი დიაბეტით დაავადებისას. მასში არსებული ვიტამინი C და ფოლიუმის მეტა ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას, ამიტომ იგი სასარგებლოა როგორც სკლეროზის საწინააღმდეგო საშუალება და გამოიყენება ათეროსკლეროზის, პიპერტონიის, ნიკრისის ქარის და ართრიტის დროს.</p> <p>მას ოდიოგანვე იყენებენ კოსმეტიკაში.</p>
2.	<b>სათოველია</b>	<i>Colchicum umbrosum Stev.</i>	ჩ. თოვლის ყვავილი; იბ. მარტოყვავილი; რჭ. თოვლის მახარობელა, თოვლის დედა; გურ. მეთოლია; მგრ. მათირია, მოვარია; კარაგუჩა, კარიაში კუჩა (შდრ. გურ. კვარაკუჩა).		<p>(Mrlanthiaceae) ოჯახის მცენარე.</p> <p><i>Colchicum autumnale</i> L. – შემოდგომის სათოველია. პირველად კოლხიციიი ამ სახეობიდან გამოყვას პელეტიუმ და კავკენტუმ 1820 წ. ასევე მნიშვნელოვანი ნედლეულია ჩვენში მოზარდი სახეობებიც ფარაონგნოზიის ათელერაზე ჩეხ მეცნიერ ფ. შანტავისთან ერთად ჩრდილის სათოველიასგან <i>Colchicum umbrosum</i> Stev. და მონათესავე მცენარის სამბუტკოიანი ენდელასაგან – <i>Merendera ritigera</i> (Ad.) Woron. პირველადაა გამოყოფილი კოლხიციი, ბ-დემეკოლხიციი, γ-დემეკოლხიციი, N-ფორმილ-N-დეზაცტ-ტილკოლხიციი, 2-დემეკოლხიციი და 3-დემეკოლხიციი. დადგენილია 2 არატროპალონური ნივთიერება.</p> <p>კოლხიციის გამოყენება მედიცინაში ძლიერ შეზღუდული იყო შეამიანების გამო (10–14-ჯერ უფრო ტოქსიკურია კოლხამინზე). ადრე კოლხიციის სალიცილატი გამოიყენებოდა რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის დროს.</p>

3.	<b>საკმელი</b>	Cistus L.	აჭ. ოქლაქუნცხა, თიქნიყურა.		<p>Cistaceae ოჯახის მცენარე. ჩვენში გვხვდება ორი სახეობა: <i>C. tauricus</i> Presl. <i>C. Salvifolius</i> L.</p> <p>უმთავრესად გავრცელებულია ტყის პირებზე, ბუჩქნარში. წარმოადგენს ნახევრად ბუჩქს. ელიფსური ფორმის მოპირისპირედ მჯდომ ფოთლებს ფოთოლთანები არა აქვს. ყვავილები მოთეთრო ან მოვარდისფროა. ნაყოფი კოლოფია, რომელიც ხუთსაგულით იხსნება. საკმელი შეიცავს ეთეროვან ზეთს. მისი ფოთლები მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით.</p> <p>ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება საკმელი, საკუმელი.</p> <p>საკმელისებრთა წარმომადგენლებიდან მიღებული სურნელოვანი მასა, ძველ საქართველოში, სამკურნალოდ იხმარებოდა ზირას, დანამასტაქის და კევის ხის ფისის მაგივრად.</p> <p>საკმელი იხმარებოდა ცხვირიდან სისხლის დენის შესაჩერებლად. სხვადასხვაგარი „სისხის“ დროსაც ავადმყოფს საღეჭად საკმელს აძლევდნენ.</p> <p>მედიცინაში არ იხმარება.</p>
4.	<b>საკპინაჯი</b>	Ferula assafoetida L.			<p>საკპინაჯი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახს ეკუთვნის. აღნიშნული სახეობა, მცენარის საერთო სიდიდის, ფოთლების ფორმის და ნაყოფის სიდიდის მიხედვით, რამდენიმე ვარიაციას იძლევა. გვხვდება უდაბნოების ზონაში, ირანში, ავღანეთში, შვააზიაში, პიმალაის მთების სუბალპურ ზონაში. მრავალწლიანი მცენარეა, ახასიათებს მსხვილი ფეხი და ღერო. ღეროს სიმაღლე ზოგჯერ 3 მეტრს აღწევს. თავდაპირველად მცენარეს უვითარდება როზეტად შეკრებილი ფეხვთან განლაგებული ფოთლები, შემდეგ კი ღერო, რომლის წვერზე რთული სფერული ფორმის ქოლგაყვავილები იქმნება. ფეხვიანი ფოთლები მოკლეყუნწიანია, ფართო, რბილი და ქვემო მხარეზე შებუსვილი. ფოთლის ფირფიტა სამ წილად არის დაყოფილი, ხოლო თითოეული წილი ფრთართულად იყოფა. ღეროს ფოთლები უფრო წვრილია, ხოლო ზემოთა ფოთლებს ვაგინის სახე აქვს. ნაყოფი ელიფსური და ბრტყელია.</p>

					<p>ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში Ferula-ს გვარის ეს სახეობები შემდეგი სახელწოდებებით არის წარმოდგენილი: საგბინაჯი, საქმინაჯი, საქბენაჯი, ჰალთითი, უპანი, ალთისა, ანგუჯატი, ბურიზანდი, ბარაზიდი, ქალბანი, ყასნი.</p> <p>იხმარებოდა ნერვული დაავადების დროს.</p> <p>უპანი შედიოდა იმ რთული წამლების შემადგენლობაში, რომლებსაც ხმარობდნენ დამბლის, დაზიანებული კბილის, ხორხის ტკიფილის, გველის ნაკბენის, ყურისა და თვალის ტკიფილის დროს.</p> <p>საქპინაჭი შედიოდა წყალმანჯის საწინააღმდეგო „მარცულის“ შემადგენლობაში.</p> <p>ამჟამად მედიცინაშიც იხმარება. ფისი მიიღება მცენარის ფესვებიდან. მის ნაყენს და გმულსის უმთავრესად კრუნჩხევის საწინააღმდეგოდ ხმარობენ. ამ მცენარეს აგრეთვე ამოსახველებელ საშუალებად იყენებენ.</p>
5.	სალათა	Lactuca sativa L.	სბ. ყრდელი.		<p>ჩვეულებრივი სალათის ფოთოლი გამოიჩევა სიქორფით და სასიამოვნო გემოთი, რის გამოც იგი სალათის უპირველესი კომპონენტია.</p> <p>სალათის ფურცლები შეიცავენ დიდი რაოდენობით კაროტინს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, P, E, K, C), კალიუმის, კალციუმის, რკინის, ფოსფორის, მაგნიუმის და იოდის მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს, ცილებს, შაქრებს, ლაქტუცირინს, ლაქტუცინს. კალიუმისა და ნატრიუმის შემცველობის გამო იგი არეგულირებს წყლისა და მარილთა ცვლას, აქვთ შარდმდენი მოქმედება, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და სისხლის ნორმალურ შედგენილობას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე; გამოიყენება ჰიპო და ავიტამინოზების დროს., ვიტამინ P-ს დიდი რაოდენობა განაპირობებს სისხლძარღვთა სიმაგრეს, იგი რეკომენდებულია ათეროსკლეროზის, ჭარბი სიმსუქნის, ყაბზობის, გასტრიტის, შაქრიანი დიაბეტის საწინააღმდეგოდ. სალათისგან დამზადებული ფაფა გამოიყენება კოსმეტოლოგიაში.</p>

6.	<p><b>სამფერა ია, იაშუშუნა</b></p> <p>Viola tricolor L.</p>			<p>იაშუშუნა იისებრთა (Violaceae) ოჯახის პატარა დეკორაციული მცენარეა. იაშუშუნა ერთ- ან ორწლოვანი 40 სმ სიმაღლის ბალახია, აქეს ძლიერ დატოტიანებული დერო და ყლორტები, რომლებიც მთავრდება ერთეული ყვავილებით. ყვავილები ბაზის ფორმაზე უფრო პატარაა, 2–3 სმ დიამეტრის, გაირგვინი მნიშვნელოვნად დიდია ჯამზე. გაირგვინის ფურცელი 5, სხვადასხვა ზომის და შეფერილობის. ზედა ორი მუქი იისფერია, გვერდითი და ქვედა – მოყვითალო ან მოთეთრო, ისტყვირი 5–7 ზოლით. ფოთლების ძირში ყუნწობა აქვს მსხვილი ფრთისებრ-განკვეთილი თანაფოთლები. ნაყოფი 3-საგლულიანი კოლოფია, ფეხსები – წვრილი. მცენარე ყვავილობს მთელი ზაფხული V–IX.</p> <p>იაშუშუნა არის წინაპარი ამჟამად გამოყვანილი იის მრავალი ფორმის და ჯიშისა, რომელთაც ერთმანეთისაგან არჩევენ სხვადასხვა შეფერილობის ყვავილით. გაგრცელებულია ეპოპასა და აზიაში ტყიან და ტყესტეპიან ზონაში, ტყის კელობებზე.</p> <p>შეიცავს ანთოციანებს – დელფინიდინის, პეონიდინის გლიკოზიდებს, მთავარია ვიოლანინი, რომელიც პიდროლიზის შედეგად იძლევა დელფინიდინს და ნახშირწყლების ნაწილში გლუკოზას, რამნოზას, ნ-ოქსიდარიზინის მჟავას; ფლავონოიდებს 0,9–1,3% – რუტინს, ვიტექსინს, ორიენტინს. მათი შემცველობა მაქსიმუმს აღწევს მცენარის ნაყოფიანობის დასაწყისში. ბალახი მდიდარია C, K ვიტამინებით, კაროტინოიდებით, ამ უკანასკნელში დომინანტობს ვიოლაქსანტინი, შეიცავს ეთეროვან ზეთს, ლორწოს, საპონინებს, 15% მთრიმლავ ნივთიერებებს, სალიცილის და ურსოლის მჟავებს, კუმარინებს.</p> <p>ბალახისაგან ამზადებენ გამონაცემს, რომელიც ამოსახველებული საშუალებაა. ბალახი შედის გულ-მკერდის და შარდმდენ ნაკრებებში, მონახარშს იუქებენ შესაორთქლებლად და აბაზანებისთვის. ხალხურ მედიცინაში ცნობილია როგორც დაბამშვიდებული, ოფლისდამდენი, შემომგარსველი. ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას. პომეოპათიაში სმარობენ კანზე გამონაყარისას, კეტერინარიაში კი დიურეტულ, ოფლისდამდენ და შემკვრელად.</p>
----	---	--	--	---

7.	<b>სამყურა</b>	Trifolium repens L.	ინგ. ვენერაი, ვენერა; ჭნ., მგრ. სუმჭუჯა, სუმჭუჯაში ტქა, ტიფური; სვნ. სამყურ, პირპილ. წუწუნავა ათრიფილი		<p>სამყურა ეპუთვნის პარკოსანთა (Fabaceae) ბოტანიკურ ოჯახს, Papilonatae-Trifoliae რიგს, ქართულ ხალხურ მედიცინაში ჭრილობების სამკურნალოდ იყენებენ, მისგან ამზადებენ მაღამოებს.</p> <p>ჩვენთან ეველაზე მეტად გავრცელებულია <i>Trifolium repens</i> L. მხოხავი სამყურა. სამკურნალო მიზნებისათვის ივლისში უნდა შეგროვდეს, ახალი მცენარე შეიცავს 0,0124% ლურჯ მჟავა გლიკოზიდს, ფოთლები ერთ ენზიმს, ქსანთინს, გუანინს, ადენინს, ჰიპოქსანთინს, ვიტამინს, 7,8% ნაცარს და სხვ. სამყურა აგრეთვე მდიდარია კაროტინით.</p> <p>უელაზე მეტად გამოყენებულია თავის ტკიფილის სამკურნალოდ; ხალხის აბაზანებს აწერს ნერვების დამატებით დამატებელ თვისებას.</p>
8.	<b>სამყურა ლიმონი</b>	Poncirus trifoliata (L.) Rafin	კნ. მწარე ლი-მონი, ლობის ლიმონი; გურ. მწარე მანდარინი; ჭნ. მტკუი მანდარინი; მგრ. ტყარი მანდარინა, ტყარი ლიმონი.		<p>სამყურა ლიმონი ეპუთვნის ტკანისებრთა (Rutaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ჩვენში გაშენებულია დია გრუნტის და ოთახის კულტურის სახით, განსაკუთრებით ჯიშები - ქართული ლიმონი, უეკლო და აჭარული, რომელთა ნაყოფის პესპერიდიუმის კანი - ეგზოკარპიუმი შეიცავს ფლავონოიდებს: პესპერიდინს, ერიოციტრინს, დიოსმინს ბიოზიდების სახით. მათი აგლიკონებია პესპერეტრინი, ერიოდიტრიოლი (ფლავონონები) და დიოსმეტრინი (ფლავონი), მოიპოვება აგრეთვე კუმარინები და ფუროკუმარინები. ნაყოფის რბილობი ლიმონმჟავას წყაროა. ფლავონოიდების ჯამს იღებენ ეთერზეთების გამოხდის შემდგებ დარჩენილი და თანმხლები ნივთიერებებიდან გასუფთავებული ჰაზოკარპიუმისაგან. ფლავონოიდების ჯამიდან კი ბათუმის ფარმაცევტულ ქარხანაში ამზადებენ პრეპარატს - „ვიტამინი P ციტრუსებიდან“. ის მოქმედებით აღემატება სხვა ანალოგებს და ექსპორტი წარმოებს გერმანიაში.</p>
9.	<b>სატაცური</b>	Asparagus L.			<p>სატაცური ეპუთვნის შროშანისებრთა (Liliaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ეს ერთსესიანი და ორსახლიანი მცენარე საქართველოში სამი სახითაა წარმოდგენილი: <i>Asparagus verticillatus</i> L., <i>Asparagus officinalis</i>, <i>Asparagus caspicus</i> Hohen. იგი ბალახოვანი მცენარეა, აქვს მოკლე ფესურები და დატოტვილი დერო მრავალრიცხოვანი ნემსისებრი კლადოდიუმებით. ნაყოფი კენკრა, იზრდება 50-150 სმ სიმაღლის, ხარობს ტყისპირებზე, ბუჩქნარებში, ქვიან ადგილებში, ველზე, ბაღებში, ფერდობებზე, მლაშობებზე, ზღვისპირა კლდეებზე და სილნარ ადგილებში.</p> <p>მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: წყალი 93,7%, აზოტოვანი ნივთიერებანი 1,9%, ცხიმი 0,4%, შაქარი 0,4%, უაზობო ექსტრაქტული ნივთიერებანი 2,0%, უჯრედანა 1,1% და ნაცარი 0,6%. აზოტოვანი ნივთიერებანი იზაქსომის მონაცემებით, 44% პროტეინს და 56% ამიდებს შეიცავს. სატაცურის შპრალი ნაყოფი ითვლება პირუტყვის კარგ</p>

					<p>საკვებად. მთლიანი ნაყოფი შეიცავს 63,5% წყალს, სირბილე – 71,2%-ს, ხოლო თესლები – 65,6%-ს. საქართველოში იგი კარგ მხალეულ მცენარედ ითვლება, მისი ახალგაზრდა ყლორტები მდიდარია ცილოგანი ნივთიერებებით და განსაკუთრებით ასპარაგინით.</p> <p>სატაცურის ფესვი ითვლება შარდმდენ საშუალებად, განსაკუთრებით შარდსადენი გზების კენჭოვანი დაავადების დროს. მთლიანი ბალახი გამოიყენება ბუზების მოსასპობად.</p> <p>კანის გამონაყარს მკურნალობენ სატაცურის, გოგირდის და შარდმჟავას ნაზავით.</p>
10.	სელი, ჩვეულებრივი სელი	Linum L. <i>Linum usitatissimum L.</i>			<p>სელისებრთა (Linaceae) ოჯახის ერთწლოვანი 50–60 სმ სიმაღლის მცენარეა. ღერო შიშველი, სწორი რამდენიმე, იშვიათად მარტოული, სშირფოთლიანი. ფოთლები მჯდომარე, ხაზურ-ლანცეტა ფორმის, მთლიანი, ჩვეულებტივ 2–3 სმ სიგრძის და 2–4 მმ სიგანის, შიშველი, წაწვეტებული, დაფარულია ცვილის ნაფიქით. ყვავილედი ფაჩხატია, ყვავილი წვრილსა და გრძელ ყვავილის ყუნწებზე განლაგებული. ეს უკანასკნელი დაყვავილების შემდეგ გრძელდება, ნაყოფიანობისას სწორმდგომია. გვირგვინის ფურცლები უპუპერცხისებრია, კიდემთლიანი ან ოდნავ მრგვალებილა, ცისფერი, იშვიათად კი – თეთრი. ზომით ორჯერ მეტია ჯამზე. ჯამის ფოთლებს კვერცხისებრი, 3-ძარღვიანი, კიდეებზე წამწამებით მოფენილი. ნაყოფი კოლოფია შებრტყელებულ-სყეროსებრი, არ სკდება, დატიხული, 10 თესლით, წამწამებიანი, იშვიათად შიშველი. მცენარე ყვავილობს VI–VII, ნაყოფი მწიფდება VII–IX.</p> <p>არჩევენ კულტურულ ფორმებს: საბოჭკოვე და საზეოე. საქართველოს ფლორაში აღწერილია ველურად მოზარდი სელის 5 სახეობა, ოფიცინალური კი – არ გვხვდება.</p> <p>სელის თესლები კვერცხისებრი ფორმისაა, ერთი მხრიდან წაწვეტებული, მეორედან – მომრგვალებული, შეჭყლებილი, სიგრძით 6 მმ-მდე, სისქით 3 მმ. თესლის ზედაპირი გლუვია, პრიალა, დია ყავისფერი, ემჩნევა ლია-ყვითელი თესლის ჭიპი. სუნი არ აქვს, გმრთ ლორწოვან-ზეთოვანი.</p> <p>სელის თესლი შეიცავს ლორწოს 5–10%, შრობად ცხიმოვან ზეთს 30–50%, ცილებს 18–33%, ორგანულ მჟავებს, ფერმენტებს, ვიტამინებს. ლორწოს პიდროლიზისას მიიღება არაბინოზა, ქსილოზა, გალაქტოზა, რამნოზა, გალაქტურონის მჟავა. მთელ მცენარეში და განსაკუთრებით აღმონაცენში არის გლიკოზიდი ლინამარინი.</p>

					სელი ხალხური მედიცინის უძველესი საშუალებაა, შედის ცნობილ თურმანიძის მალამოში.
11.	სვინა	<i>Humulus lupulus L.</i>	ფშ., ხეს. ხვე; მსხ. გარმაშო; ზმ. იმ. ფშალა, მშრალა; იმ., გურ. ფშალო; აჭ. შრალაი; ინგ. სხი; ჭხ. ბარდი ბინეხი; მგრ. მაფშალია, ფშალე; ხვნ. ფშალად, სვიჯ.		<p>კანაფისებრთა (Cannabiaceae) ოჯახში შედის. სვია მრავალწლიანი ორსახლიანი მხვიარეა, ე.ი. მდედრობითი და მამრობითი მცენარეები ცალ-ცალკე იზრდება. ღერო წახნაგოვანი და ხაოიანია. ფოთლები მოპირდაპირედ ან მორიგეობითაა (ღეროს ზედა ნაწილის ტოტებზე) განლაგებული, 3–5 ნაკვთიანი, ღეროს ზედა ნაწილში ზოგჯერ მარტივფირფიტიანი, მომრგვალო ან კვერცხისებრი, ძირში გულისხაირი, ნაპირებში ხერხებილა, ფოთოლი ზემოდან მუქი მწვანეა, ქემოდან ბაცი, ორივე მხრიდან საკმაოდ ხაოიანი. მდედრობითი ყვავილები შეკრებილია დამახასიათებელი ღია მწვანე ფერის გირჩისებრ ყვავილედად. მამრობითი ყვავილედი მოყვითალო ფერის საგელასხაირ ყვავილედადა შეკრებილი. ყვავის ივნის-ივლისში.</p> <p>იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებსა და ტენიან ხევებში, უფრო ხშირად კი – ტყის ნაკადულებისა და მდინარეების ნაპირებზე.</p> <p>ცნობილი გერმანული საგულე საშუალების ვალოკორდინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სვიის ეთერზეთია, რომელიც რეკომენდებულია გულსისხლარღვთა ნეკროზის, სტენოკარდიის და ნაწლავების სპაზმის დროს.</p> <p>ხალხური მედიცინა სვიის ნაყოფს იყენებს თირკლების ანთების, წყალმანკის, საშარდე ბუშტის გადიზიანების დროს სხვა სამკურნალო მცენარეებთან შერევით. მარტო სვიას კი კუჭის კატარის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დავადების, ნერვების აშლით გამოწვეული უძილობის სამკურნალოდ იყენებენ. მის კომპრესებს ადებენ მუწევებზე და წყლულებზე, როგორც დამაწენარებელ საშუალებას.</p>
12.	სვინტრი	<i>Polygonatum P.glaberrimum C. Koch.</i>	თშ. დათვეოლაი მგრ. მარიალე; ხგნ. ქისლად.		<p>სვინტრი ეკუთვნის (Convallariaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მრავალწლიანი ფესურიანი ბალანია, რომლის ყვავილები ფოთლის იღლიაშია დაკიდული, ღერო ცილინდრულია, დაღარული ან წახნაგოვანი. ფოთლები სხვადასხვა ფორმისა აქვს.</p> <p>საქართველოში სვინტრის 5 სახეობაა წარმოდგენილი. იზრდება ტყეებსა და ბუჩქებში, იშვიათად მდელოებზე, ზოგი სახეობა ტყეებში გახვდება და ზღვის დონიდან 1500–1800 მ სიმაღლემდე აღის. სვინტრის ფესურებში არის ალკალოიდები, რომლებსაც ისეთივე მოქმედება აქვთ, როგორც შროშანას ალკალოიდებს. შეიცავს აგრეთვე კონვალარმარინს, რომე-</p>

					<p>ლიც ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია სხვადასხვა დაავადების საშკურნალოდ. ქართულ ხალხურ მედიცინაში სვინტრი, ძირითადად მისი ფესვები მველთაგანვე ითვლება ჭრილობების (განსაკუთრებით ჩირქოვანი ჭრილობების) საუკეთესო შემხორცებულ საშუალებად.</p> <p>სვინტრის ფესურების რძის ნახარშით მკურნალობები მოტეხილობას, ცუდად შეხორცებული მვლების სამკურნალოდ.</p> <p>სვინტრს მოლოქასთან და მრავალმარლვასთან ერთად ხარშავენ რძეში და ადებები მასტიზის დროს.</p>
13.	<b>სიმინდი</b>	Zea mays L.	ინგ. სმინდ; ჭნ. ლაზუტი, ლაუზტი; მგრ. ლატი, ლასტი, ლაიტი, ლაზუტი, სიმინდი; სენ. სიმინდ.		<p>სიმინდი ეკუთვნის მარცვლოვანთა (Poaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ჩვენში ეს მცენარე ამერიკიდანაა შემოტანილი. მისი რამდენიმე ჯიში არსებობს – თეთრი და ყვითელი. ივითარებს მდედრობით და მამრობით ყვავილედს, რომლებისაგან მამრობითი კენწეროებშია განვითარებული, ხოლო მდედრობითი ტაროა, რომლის დინგები (Stigmata Maydis) იხმარება სამკურნალო მიზნებისათვის. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მკურნალობის საქმეში მის ფქვილსაც.</p> <p>სიმინდის ფოჩს ნიახურთან და შვიტასთან ერთად ხარშავენ და თირქმლების კენჭოვანი დაავადების დროს ასმევენ. სიმინდის ფოჩის, ოხრახურისა და ასკილის ნახარში იხმარება შარდმდენად. შვიტას, ასკილის ნაყოფს და წითელი სიმინდის ულვაშს თირკმლების დაავადებათა დროს ხმარობენ.</p>
14.	<b>სინამაქის ხე</b>	Cassia acutifolia Del.	ლ.კ. ფუტფუთა		<p>პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარეა, ქვ. ოჯ. Caesalpinoideae, ქსეროფიტული მრავალწლოვანი ნახევრად ბუჩქია 1 მ-მდე სიმაღლის. ღერო დატოტვილი აქს. ქვედა ტოტები გრძელია, მიწაზე თითქმის გართხული, ფოთლები მორიგეობითი წყვილფრთისებრ რთული 4–8 წყვილი ფოთოლაკით. ფოთოლაკები მოგრძოლანცემა, თხელი, მთელი კიდიანი, შიშველი, ხშირად ფუქსესთან არაერთნაირ გვერდიანი ფოთოლაკებით და სადგისისებრი თანაფოთლით. ყვავილები ყვითელი, ზიგომორფული, 5–7 წერიანი, 7–8 მმ სიგრძის, შეკრებილი მტევნებად ფოთლის უბეებში, გვირგვინი არატოლი მოკლეფრხსილიანი ფურცლებისაგან შემდგარი. ნაყოფი – პარკი, ბრტყელი, მშრალი ტყავისებრი, მოგრძო-ოვალური, ნაწილობრივ მოღუნული, მომწვანო-ყავისფერი, სიგრძით 3–5 სმ, სიგანეში 1,5–2 სმ, მრავალოქსლიანი. ფესვი ღერძული, გრძელი, ყვავილობს VII – შემოღვმამდე, ნაყოფიანობს IX–X.</p> <p>იზრდება ნახევრადულაბორ და უდაბნო ადგილებში აფრიკაში, შუა ნიღოსის აუზში, ჩრდ. და შუა სუდანში, წითელი ზღვის სანაპიროზე, არაბეთში, სომალში. აშენებენ ერთწლოვანი კულტურის სახით</p>

					<p>ეგვიპტეში, ინდოეთში, სუდანში, მოშენება დაიწყეს უზბეკეთსა და ტაჯიკეთში, შემდეგ კი ყაზახეთშა და თურქმენეთში (1955 წ.) და ბოლოს აზერბაიჯანში.</p> <p>ფოთლები შეიცავს 1–3% ანტრაგლიკოზიდებს, ნაყოფები – 2,5%. ძირითადია რეინის დიანტრიონები (დიმერული შენაეროები). ასევე მოიპოვება მონოგლიკოზიდები: გლუკორეინი, გლუკოალოგ-ემოდინი, რეინის გლიკოზიდები. თანმხლები ნივთიერებებია ფლავონოლები, კვიპვეროლი, იზორამნეტინი და მათი გლიკოზიდები; ფისოვანი ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ ნაწლავების გადიზიანებას და ტკიფილებს მუცლის არეში. ეს უკანასკნელი მეტია სინამაქის ნაყოფში – აარკებში.</p> <p>სინამაქის ფოთოლი კლასიკური ნაზი საფადარაოო საშუალებაა. სინამაქის ფოთოლი შედის საფადარაოო და ბუასილის საწინააღმდეგო ნაკრებებში.</p>
15.	სოია	Glycine hispida max. (L.) Merr. Moench	იმ. ძაბა, უხარ-შავა, უხარჩავა, ქვალობიო, ცერ-ცვალა; ქვ. იმ. მუხუდო; რჭ. ძაბა-ლობიო; გურ. იაპონია, იაპონიის ლობიო, მუხუდო; აჭ. სოიო; ჭნ. სოია-ლობია; მგრ. მუხუდა, მუხუდო.		<p>პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარე.</p> <p>სოია მდიდარია ცილებით, მასში შედის სიცოცხლისათვის აუცილებელი ყველა ამინომჟავა, ზეთი, შაქარი, პექტინები და მინერალური ნივთიერებები – კალიუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, კალციუმის, სპილენდის, რკინის, მანგანუმის, თუთიის, ნიკელის, კობალტის მარილები, გლიკოზიდები, ვიტამინები (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, D, E, C, K).</p> <p>სოია გამოიყენება როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელი საშუალება, შაქრიანი დიაბეტით და სხივური დაავადებით შეპყრობილთა პროფილაქტიკური საშუალება.</p>
16.	სოინჯი	Nigella sativa L.	გურ. შაგბაქალა; აჭ. სისამი, ცისამი; მგრ. უხა კაბალი; სბ., ჩ. იკვლივი; ერ. სურიჯა; ჩ. ჩორაქოთი; ჯ. ჩიტისთვალა, სონიჯი, სოლინჯი.		

17.	<b>სოფორა იაპონური</b>	Sophora japonica L.			<p>პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის, 30 მ-მდე გაშლილვარჯიანი მცენარეა. ჩვენში მხოლოდ კულტურაშია შესაძლებელი. მისი ყვავილები ღია ყვითელია, შეკრებილია მსხვილ საგველასებრ ყვავილედად. ნაყოფი პარკია, 10 სმ-მდე სიგრძის, წვნიანი, უხსნადი, შეჭყლეტილ-ცილინდრული, მწვანეა, კიდეებზე ყვითელი ზოლით. ნაყოფი ხეზე რჩება დაზამთრების შემდეგაც. კოკრები და ნაყოფები შეიცავს რუბინს 20%-მდე და მეტი რაოდენობითაც. ნაყოფში გარდა ამისა, დადგენილია კემფეროლ-3-სოფოროზიდი, კვერცეტინ-3-რუტინოზიდი, გვინისტენ-4-სოფორაბიოზიდი და სხვ. სოფორას კოკრები რუბინის სამრეწველო წყაროა, მისგან იღებენ ქვერცეტინს ტაბლეტების სახით, ნაყოფიდან ამზადებენ ანტისეპტიკური მოქმედების ნაცენს. შედის პრეპარატების ასკორუტინის, ვიკალინის, რუტექსის შედგენილობაში.</p>
18.	<b>სოჭი</b>	Abies	მთ. რჭ. ჩიხრი; მგრ. გჟაგიბი, გიგიბი; სვნ. ნენხ.		<p>სოჭი ეკუთხნის ფიჭვისებრთა (Pinaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 40–50 მ-მდე სიმაღლის, აქვს ოდნავ წაწვეტილი, მოხრილი, ბრტყელი, 1,5–3 სმ სიგრძის წიწვები, ზემოთ მუქი მწვანე, ქვემოთ უფრო ნათელი; ხასიათდება ვერცხლისფერი თეთრი ზოლებით. სწორ პირამიდულ გარჯზე განვითარებული აქვს მოგრძო ცილინდრული 15–20 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანის გირჩები. სოჭის ეს სახეობა უფრო საქართველოს დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული, განსაკუთრებით აჭარის მთებში, აფხაზეთსა და იმერეთში, გადმოდის ქართლშიც, მდინარე ლიახვის აღმოსავლეთ საზღვრამდე და აღწევს, ატენის ხობის აღმოსავლეთ საზღვარს. მისი ქერქი და წიწვები გამოიყენება მეცნიერულ მედიცინაში. ქერქი შეიცავს სკიპიდარს, ტერპენტინს და მორიმლავ ნივთიერებას, წიწვები – ეთერზეთებს პინენის სახით, აგრეთვე ვიტამინს, კამერენს და ბორნეოლს. გამოიყენება დასაზღლად რეგმატული ანთებისა და სიმსიგნის დროს, აგრეთვე სკორბუტის სამკურნალოდ. სოჭს იყენებენ ეგზემის სამკურნალოდ.</p>
19.	<b>სტაფილო</b>	Daucus sativus (Hoffm.) Roehl.	ინგ. აბაურუ; მგრ. სტამფილო.		<p>ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახის მცენარეა. ძირხვენი ცილინდრული, კონუსური ან შეჭყლეტილი მომრგვალო ფორმისაა, მოწითალო-ნარინჯის-ფერი, იშვიათად კი მოყვითალოა, წვნიანი. ძირხვენი მდიდარია α-, β-, γ-, ε- კაროტინოიდებით. კაროტინოიდებიდან ადსანიშნავია აგრეთვე ლიკოპინი, ფიტოფლუინი, ფიტოენი. თანმხლები ნივთიერებებია ვიტამინები C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, პანთოთენის მჟავა, ეთეროვანი და ცხიმოვანი ზეთები, შაქრები (15%), ფლავონოიდები, კუმარინები, ფურანოქრომონები, მოიპოვება ორგანული მჟავები და ცხიმები (50%).</p> <p>ნაყოფების და თესლების ფლავონოიდებისა და კუმარინების ექსტრაქტული პრეპარატი – დაუკარინი მოწიდებული იყო როგორც კორონა-</p>

					რული უკმარისობის, სტენოკარდიული შეტევებისა და ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო საშუალება. ველურად მოზარდი სახეობის – ცერისცვალას ( <i>D. carota</i> L.) გამონაწვლილი შედის პრეპარატ უროლესანის შედგენილობაში, რომელიც სპაზმოლიტურია და ქვების დამშლელი, ნაჩვენებია ქოლეცისტიტის, პიელონეფრიტის და სანალვლე გზების დისკინეზის სამკურნალოდ.
20.	<b>სუმბული</b>	Hyacinthus L.			<p>სუმბული (Hyacinthaceae) ოჯახის მცენარეა.</p> <p>ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: ბალდური ყარა, ბალაზური, ბერძული ფაჩარა, ფარისიაოშანი, აზადრახტი, ქალაქური წყაროს სუმბული, წყლის ნიახური.</p> <p>სამედიცინო ნაწერებში გვხვდება აგრეთვე სუმბული ჰიბი, კეთილსურნელოვანი სუმბული. სამკურნალოდ იხმარებოდა მცენარის ფასვი, ფოთოლი. გვხვდება აგრეთვე სუმბულის შარბათი, ზეთი, ჰაბი, გვარიშნი, მაჯუნი და ყურსი.</p> <p>სუმბული იხმარებოდა თავის ტკივილის დროს.</p> <p>სუმბული გვხვდება იმ როგორი წამლების შემადგენლობაში, რომლებიც იხმარებოდა ისეთი დაავადების დროს, როგორიც იყო სარი, ანუ მტერთა დაცემა. საბრი, მური და სუმბული იხმარებოდა თვალის ძლიერი ტკივილის დროს თვალში ჩასაყრელად.</p> <p>სუმბული შედიოდა ტკივილდამაყუჩებელი წამლების შემადგენლობაში. ჩვენში, ქართული სახელწოდება სუმბული <i>Hyacinthus</i>-ის აღმნიშვნელია.</p>
21.	<b>სურო, ფათალო</b>	Hedera L.	ქრთ., კხ. ფათალო; ინგ. ჟუან; ჭხ. მსიჯი, მსუჯი; მგრ. სურუ, ცურუ; სვნ. ბცრდ, ბაარდ.		<p>სურო ეკუთხის სუროსებრთა (Araliaceae) ბოტანიკურ თჯახს. ეს ლიანა მცენარე უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში გვხვდება. ძველი ქართველი სახალხო ექიმები ფათალოს იყენებდნენ ჭრილობების სამკურნალოდ და აგრეთვე ურევდნენ თავის ტკივილის საწინააღმდეგო წამლებშიც. უძველესი დროიდან იყენებენ ბალზამების ერთ-ერთ შემცვლელად დაფინისა და ქაფურის ზეთოან ერთად, აგრეთვე ხმარობენ ცერადი ზეთოვანი საღებავების დამზადებისას. შეიცავს რამდენიმე გლიკოზიდს: წყალში სხნად, ამორფულ, წყალში უხსნად გლიკოზიდს, კრისტალურ, წყალში უხსნად გლიკოზიდსა და α-ჰედერინს, <math>C_{42}H_{66}O_{11}</math> გლიკოზიდსა და გლიკოზიდს – ჰედრაგენინთან ერთად, არაბინოზას და რამნოზას (მეთილბენზოზას), ერთ საპონინს, ჰედერინს, ჰედერაგენინს, ჰედერაგენინთან ერთად ფოთლებში არის ინოზიტი, კაროტინი, ქლოროფილი, ჰედერა-ჰეროქსიდაზა-გლიკოპროტეინი, 2% ნაცარი და სხვ.</p>

					ფათალო ხალხში ცნობილია ლორწოვანი გარსის ქრონიკული კატარის, ტუბერკულოზის და რაქიტის სამკურნალო, ჭრილობათა შესახორცებელი საშუალება და ა.შ.
--	--	--	--	--	--

1.	<b>ტაბელა</b>	Pteris cretica L.	აჭ. კარასტანი; მგრ. ამერაშ გვიმარა		(Pteridaceae) ოჯახის მრავალწლოვანი მცენარე, ყვავის ივლის-აგვისტოში. გვევდება ნოტიო ჩრდილიან კლდეებზე, დაბურულ ტყეებში. გავრცელებულია სამხრეთ კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდ. ირანში. შეიცავს გლიკოზიდებს. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. ხალხური მედიცინაში გამოიყენება ჭიის-დამდენ საშუალებად, ხელების საწინააღმდეგოდ, კანის დაავადებებზე. „საექიმო წიგნში“ იხსენიება როგორც ტაბელა: (მ)ჯდომისაგან ხელა შეირდეს იელესამეაი, ია, კოსტაი, შარვალაი, მარიამ სხალაი, თსოპინტრო, ღორის ჩაიმელა, მრავა ძარღვაი, ტაბელა, მატატელა, ცოტა თეთრი საქმოველი, ტაბელა ძირი, თხატუვების ძირი, მთელი თხატუვა თუ სიცხე ქ(ო)ნდეს წყალით ასვი, თვარა დგინით მოადუდე და ასვი. 102v.
2.	<b>ტარხუნა</b>	Artemisia dracunculus L.	რჟ., ლჩ. ტალხუნა		
3.	<b>ტეგანი</b>	Ruta graveolens L.	იმ. ჭიინტურია; გურ. ტაგანი; აჭ. ტაგანა; ლ-კ. მარიამ-საქმელა; ჩ. სადაფა.		

4.	ტენცო, წყლის პიტნა	Mentha aquatica L.	მგრ. დეჯიში, ‡ ვალმითა; სენ. მინთოორ, მინთ..., მჰანთოორ.		იხ. ბადის პიტნა
5.	ტილჭირი, აკონიტუმი, ტილჭირი ჯუნგარიის	Aconitum L. Aconitum soongaricum Stapf.			<p>ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახის 70–200 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი მცენარეა. ფოთლები მორიგეობითი, მრავალჯერ თათისებრგანკვეთილი, მომრგვალო-გულისებრი 5–9 სმ სიგრძის, გრძელყუნწიანი. ყვავილები კენტრული, მტევანი, ყვავილები მსხვილი მუქი-ლურჯი, უსწორო, ბაიასებრთა ოჯახისათვის დამახასიათებელი. ჯამი ხუთფოთლიანი, გვირგვინის მსგავსი: ზედა ფოთოლაქი მუზარადისებრ ფორმის. ამ მუზარადის ქვეშ არის რედუცირებული გვირგვინი გარდაქმნილი 2 ლურჯ სანექტრედ. მტევანი ბევრია, ნასკვი ზედაა. ნაყოფი – მშრალი სამბუდიანი ფოთლურა. დეზურებისათვის დამახასიათებელია გორგლის მსგავსად გაბერილი კონუსური ფეხვი, მისგან ზაფხულზე ვითარდება ახალგაზრდა შვილეული ტუბერფეხვი, რომლისგანაც გამოზამთრების შემდეგ გაზაფხულზე იზრდება მცენარე-ძეელი ტუბერფეხვი – „დედა“ ვეგეტაციის ბოლოს ხმება მიწისზედა ნაწილთან ერთად. რაც შეეხება ამ სახეობის – ჯუნგარიის ტილჭირის ტუბერფეხვს, არ კვდება და არ სცილდება, იგი რჩება ახალგაზრდა – „შვილეულ“ ტუბერფეხვთან ერთად, რის გამოც გორგლების „ჯაჭვი“ უკეთესობად გრძელდება და შეიძლება მიაღწიოს 12–15 ცალს. მცენარე ყვავილობს ზაფხულის მეორე ნახევარში.</p> <p>მცენარე იზრდება მთის მდინარეების ნაპირებზე, დია ფერდობებზე, ველობებზე, ქვედა, შუა და ზემო სარტყელში, ზოგჯერ მთისწინებზე. გაერცელებულია ტიან-შანის მაღალმთიან რაიონებში, შუა აზიაში. მისი მარაგები ძლიერ შეკვეცილია.</p> <p>მთელი მცენარე შეიცავს აკონიტურ ალკალოიდებს. მიწისზედა ნაწილში მათი რაოდენობა მერყეობს ფენოფაზების მიხედვით, მაქსიმუმია ბუტონიზაცია – ყვავილობის პერიოდში (0,6–0,7%) ტუბერფეხვებში კი – შემოღვამაზე (1,2–3,4%). ტილჭირის შესაძინობა ცნობილი იყო უძველესი დროიდან და მისგან ამზადებდნენ მოწამვლელ საშუალებებს,</p>

					<p>განსაკუთრებით კი ისრებისათვის. ის შეიცავს აკონიტინს – მცენარეულ შხამებში ერთ-ერთი უძლიერესი. აკონიტინის ჩონჩხი შედგება ნახშირბადის 19 ატომისაგან და აქვს ლიკოპტონინური აგებულება. დანარჩენი დიტერპენული ალკალოიდებია: ნაელინი, ნორზონგორინი, აკონიფინი, აცეტილზონგორინი, ზონგორამინი, კარაკოლინი, იზობოლდინი და სხვ. მცენარე შეიცავს აგრეთვე ფლავონოიდებს, ნასხშირწყლებს, ვიტამინ C, ორგანულ მჟავებს.</p> <p>ბალახის ნაყენი გარედან სახმარი ტკიფილგამაყუჩებელი საშუალებაა რადიკულიტის, რევმატიზმის, ნევრალგიის, ლუმბაგოსა და პლექსიტის დროს. ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ტუბერკულოზისა და ავთვისებიანი სიმსივნეების საწინააღმდეგოდ. პომეოპათიური საშუალება – <i>Aconitum</i> მზადება ნედლი, აყვავებული მცენარიდან, იყენებენ გაციების პირველი ნიშნებისას, გრიპის ინფექციის განვითარების თავიდან ასაცილებლად. უნიშნავენ აგრეთვე იშიაზისა და სხვა ტკიფილების სინდრომისას. მცენარის ექსტრაქტი ამჟღავნებს ანტიბაქტერიულ მოქმედებას.</p> <p>დიტერპენული ალკალოიდების მაღალი შემცველობითა და ფარმაკოლოგიური აქტივობით პერსპექტიულ სახეობებად ითვლება ჩვენში მოზარდი ალმოსავლური ტილჭირი – <i>A. orientale</i> Mill და ეშმაკის ქოში – <i>A. nasutum</i> Fisch.</p>
6.	ტირიფი	Salix L.	ქრთ. ნერგი; ქბ. წნორი; ჯვე. ტილიფი; მსხ. ძეწნა; ქნ. სოუთი; მგრ. ზიჭონი, ჭიჭონი, ძერწი; სვნ. განწიშ, გუნწიშ, ჩაგამანდ, ჩიჯინ		

7.	<b>ტუხტი, სამჯურნალო ტუხტი</b> <i>Althaea, Althaea officinalis L.</i>	მსხ., ჯვე. ტუხტი; ლჩხ. დუხტი; რჭ. ვირიძოლოქა; აჭ. ფოხვერი.		<p>ტუხტი ბალბასებრთა (Malvaceae) ოჯახის მცენარეა. გავრცელებულია ირლანდიაში, ინგლისსა და პოლანდიაში, სკანდინავიის სამხრეთ ნაწილში და იქვე აღმოსალეთის ზღვის პირეთში, ხმელთაშუაზღვის, შავი და კასპიის ზღვის ქვეყნებში, ციმბირში, ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში გეხვდება მთის შუა სარტყლამდე ტენიან ადგილებში, მდინარეთა სანაპიროებზე და ბუჩქნარებში ქართლსა და გარდაბანში.</p> <p>ტუხტი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მისი დეროს სიმაღლე 1–1,5 მ-ია, იგი გაერთიანებულია ბალბასაირთა (Malvaceae) ბოტანიკურ ოჯახში. მის დატოტიანებულ დეროზე მორიგეობით გაწყობილია კვერცხისებური ოდნავ განკვეთილი ყუნწიანი ფოთლები და გაბილული კიდეებით. მთლიანად მცენარეს მონაცრისფრო იერი აქვს, დაფარულია წვრილი ბუსუსებით. საშუალო ზომის, წითელი ფერის ყუნწიანი ყვავილები თაგმოყრილია ხშირ თავთავისებურ ყვავილებში, ჯამი თრმაგია, მიგნითა ხუთი და გარეთა 8 ან 9 ხაზურა ფოთოლაკით, წითელ ფონზე აშერად ჩანს სამტვრებაფებიანი წითელი ფერის მრავალი მტვრიანა, რომლებიც მიღისებურად შეზრდილია ერთმანეთთან. წვრილი ნაყოფი ბეჭდისებურად შეერთებულია ერთიმეორესთან. ტუხტი ხშირია ნესტიან აღგილზე, ტბებისა და მდინარეთა ნაპირებზე. მას ნახავთ დაბლობზე, ვაკე ადგილებზე და მთაშიც. ეტანება განათებულ ადგილებსა და ტყისპირს, ყვავილობს ივლისსა და აგვისტოში, იზრდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.</p> <p>ეკცნიერულ მედიცინაში ტუხტს, როგორც ლორწოს შემცველს, ხმარობენ ამოსახველებულ და სასუნთქი გზების დამამშვიდებელ საშუალებად. მას აქვს ნახველის გათხელების უნარი. ქიმიური შემცველობა ასეთია: 35% ლორწო, 37% სახამებელი, 8% შაქარი, 2% ასპარაგინი, 11% პექტინი, 4% ბეტაინი, მქროლადი სურნელოვანი ნივთიერება, 16% ნაცარი და სხვ. ტუხტის ყვავილში (Flores Althaeae) 0,05% ეთერზეთებია.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ტუხტს იყენებენ ხველების, სასუნთქი გზების კატარული ანთების, კუჭ-ნაწილაგის კატარული აშლილობის, კანის დაავადებათა დროს.</p>
8.	<b>ტყემალი</b> <i>Prunus divaricata Ldb.</i>	ქაშ. ტყემალი; ინგ. ტყემალ; ჭრ. ჟომური; გერ. ჟომური, ომური; სენ. ბარეკენ, ბარ- კენ (ქადარე)		ტყემალი ვარდისებრთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იზრდება საქმაოდ მაღალი ხე. მისი ფოთლები ქვემოდან შიშველია, გვხვდება მთის შუა სარტყლის ტყემალში, ტყისპირებზე და კულტურაში. <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ტყემალს აძლევენ მადის მოგვრელად (ტყემის სეპრეციის გამომყოფი საშუალება), რყინის შემცვლელად სისხლნაკლებობის დროს. მისი კურეის ზეთისაგან ამზადებენ მალამოს.</p>

			ბერძნება)		
--	--	--	-----------	--	--

1.	უგრეხელი	<i>Vicia ervilia</i> (L.) Willd.	ფშ. უგრეხელა; ჯვე. ქვიშნა, ქუშნა; ჩუბ. ქვიშნი.		პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარეა დამახასიათებელი თესლებით. ცნობილია მისი ორი სახე- მსხვილმარცვლოვანი და წვრილმარცვლოვანი. პირველი იზრდება 35-45 სმ, მეორე 20-30 სმ. ეს უკანასკნელი უმაღლესი ხარისხის მოსავალს იძლევა. უგრეხელის მარცვალი შეიცავს ცხიმებს და ამიტომ წარმოადგენს დიეტის შემადგენელ ნაწილს. მცენარე მდიდარია მაგნიუმის მარილით, რკინით, ხალცის ვიტამინებით, რაც დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.
2.	უზანი	<i>Viburnum lantana</i> L.	გრ კახ. სამწიფელა; ქრთ., მთ., ხვს. ურძენი, ურძანი, ურძნი; თშ. თურსა; ხვს. ცლიხვა, ცლიფა; ქრთ., კბ., აჭ. უზნი; აჭ. მერცხალა; მგრ. ღუზანი.		4-5 მ სიმაღლის ბუჩქი <i>Viburnaceae</i> ოჯახის მომწვანო-რუხი ძირით, შიშველი ტოტებით, სუპროტული ფოთლებით, თეთრი ყვავილებით. ნაყოფი წითელი კურკოვანაა. მწიფდება სექტემბერში. კენკრას იყენებენ მრავალი დანიშნულებით. მშრალი ნაყოფიდან ყავის სუროგატსაც ამზადებენ. სამკურნალო ნედლეულია ქერქი, ყვავილი, მარცვალი. მცენარე შეიცავს ვიბურნინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ორგანულ მჟავეებს, ფლავონოიდებს, კაროტინს, ვიტამინებს. მისი პრეპარატები ავლენენ სისხლალმდეგო, ანტისეპტიკურ, ანთების საწინააღმდეგო თვისებებს, ამცირებენ ტკივილის განცდას და ამშვიდებენ ნერვულ სისტემას. მისი ხანგრძლივი მიღების შემთხვევაში მცირდება ქოლესტერინის რაოდენობა სისხლში, იმატებს შარდის გამოყოფა, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა, ცხიმების ცვლა, იმატებს ტონუსი. ნახარშებს იღებენ ისტერიების, ნერვული აშლილობის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, უძილობის, ჰიპერტონული დაავადებების და ცხვირიდან სისხლდენისას. წვენი გამოიყენება კანის სამკურნალოდ.
3.	უკადრისა	<i>Impatiens noli-tangere</i> L.	ქვ. იმ. ტყის ინა; გურ., აჭ. ღელის ინა.		ერთწლიანი ბალაბოვანი ინასებრთა (Balsaminaceae) ოჯახის მცენარე 30-120 სმ სიმაღლისა. აქვს დამუხლული, სწორმდგომი ღეროები. ფოთლები მორიგეობითია, კვერცხისებური, 10 სმ სიგრძისა. ყვავილები ყვითელია, ლაქებიანი; ნაყოფი ხაზოვანი კოლოფია. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი და ფესვები. მცენარე შეიცავს ფლავონოიდებს, სპირტს, სტიგმასტერინს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ასკორბინის მჟავას, ცხიმოვან ზეთს. ხალხურ მედიცინაში ნაყენი გამოიყენება შარდმდენ საშუალებად კენჭოვანი დაავადებებისას. გააჩნია ამოსახველებელი, ამოსაღებინებელი, შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო,

					ჭრილობების მომაშუშებელი თვისებები. კარგი საშუალებაა ეგზემებისა და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ. იყენებენ კომპრესებისა და აბაზანებისათვის.
4.	უკადრისა ოთახისა				ნ. ოთახის უკადრისა.
5.	უკვდავა				ნ. წევო.
6.	ულბო				ნ. შამბალილა.
7.	ულეჩელა	<i>Chondrilla juncea</i> L.			ორ ან მრავალწლოვანი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის მცენარე. 50-125 სმ სიმაღლისა. აქვს ძალიან ხაოიანი დატოტვილი ღერო, ერთეული ყვითელი საყვავილე კალათები. ყვავილები ენისებურია. ნაყოფი თესლია. ნახარში გამოიყენება როგორც საერთო მომამაგრებელი და ფალარათის სამკურნალო საშუალება. ხმარობენ შხამიანი ნაკბენების სამკურნალოდ.
8.	ულუმბო	<i>Trigonella coerulea</i> (Dsr.) Ser.	გურ., იმ. სუნელი, უცხო სუნელი; ქვ. იმ. ხმელი სუნელი; აჭ. სურნელი ბალახი; მგრ. ურცხო სუნელი; სვნ. შდბალიკი.		პარკოსანი (Fabaceae) მცენარე. ითვლიან 130 სახეს. მათგან ყველაზე ცნობილია სათიბი <i>Trigonella foenum-graecum</i> და ლურჯი <i>Trigonella caerulea</i> ულუმბო, ხალხური და აღმოსავლური მედიცინის მიხედვით, არბილებს ყელს, ტკივილს გულის არეში, აწყნარებს ზველასა და ასთმას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის თაფლთან ერთად იხარშება. მისი ვაშლთან ნახარში კურნავს ნაწლავის წყლულებს, ზეთი სასარგებლოა მუცლის შესიებისას. თაფლში ნახარში ზეთი სასარგებლოა ნაწლავიდან ქვიშის გამოსატანად, აუმჯობესებს შარდდენას, მენსტრუალურ სისხლდენას, შველის ბუასილს.
9.	უნაბი	<i>Zizyphus jujuba</i> Mill.	იმ., გურ. ურნაბი, ორნაბი; მგრ. ურნაბი, ბურნაბი.		საშუალო სიმაღლის ხეჭრელასებრთა (Rhamnaceae) ოჯახის დატოტვილი ბუჩქი ან ხეა დაკუთხულ-დაბრეცილი ყლორტებით, რომლებზეც გამოსულია გრძლად წაწვეტებული ეკლები. ქერქი ღეროზე მუქი მოშავოა, ყლორტები კი მოყავისფრო. ფოთლები განიერი ლანცეტა ან კვერცხისებრი, ზემოდან მბრწყინვა, ქვემოდან ბაცი, კიდეწვრილ-ხერხისებრდაკბილული, არათანა-ბარგვერდებიანი, მეტად მოკლე ყუნწიანი, წვრილ ყლორტებზე ორმწკრიივადა განლაგებული. ხუთწვერიანი პატარა ყვითელი

					ყვავილები სამ-სამ ყვავილიან მჭიდრო თანაყვავილედებად შეჯგუფული ფოთლების უბეებში განლაგებული. ნაყოფი მრგვალი ან მოგრძო ოვალური ფორმის მბრწყინავკანიანია, მუქი-მოწითალო ან მოყავისფრო, ხორციანია, კურკა ქვისებრია. ნაყოფის მშრალ რბილობში არის ნახშირწყლები, პროტეინი, ქარვის და ვაშლის მჟავები, პექტინოვანი ნივთიერებები, ფისები, მთრიმლავი ნივთიერებები. ვიტამინები, ასკორბინის მჟავა. ნაყოფებს მოიხმარებ უმად, მომჭნარი, გამხმარი და კონსერვირებული სახით, იყენებენ საკონდიტრო ნაწარმოებში და სასმელებში. უძველესი დროიდან გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც მსუბუქი სასაქმებელი, ამოსახველებელი, მატონიზირებელი და შარდმდენი საშუალება. ფოთლებს გააჩნია მაანესთეზირებელი თვისებები (მათი დაღუჭვისას იკარგება სიტკბოს, სიმწარის და ა.შ. შეგრძნება). კარგი საშუალებაა ფილტვების კატარული დაავადებისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ. იღებენ შარდის ბუშტის ანთებისა და ჰიპერტონიის შემთხვევაში. გამოიყენება აგრეთვე ვიტამინური ჩაის დასამზადებლად.
10.	უპანი	Glycirrhiza echinata L.			მრავალწლიანი პარკოსანი (Fabaceae) მცენარეა. აქვს ძირების ძლიერი სისტემა და წაგრძელებულ ნაყოფი. ყვავილობს ზაფხულში. მისი ფესვი შეიცავს გლიკოზიდებს, სახაროზას, ფლავონოიდებს, ეთერზეთს, ვიტამინებს, ყვითელ პიგმენტს. იგი შედის შარდმდენი პრეპარატების შედგენილობაში. მისგან იღებენ პრეპარატ ლიკვირიტონს. უპანი გამოიყენება აღმოსავლურ მედიცინაში კუჭის, ფილტვების, რევმატიზმის, იმპოტენციის, ნეფრიტის, სასუნთქი გზების, ათეროსკლეროზის, თირკმლების, ასთმის, თვალის დაავადებების, ნერვული სისტემის, სისხლძარღვების, ტუბერკულოზის, ანთების სამკურნალოდ. იგი არის შარდმდენი, ამოსახველებლი საშუალება.
11.	უჟმურა	Geranium robertianum L.	აჭ. უჟმურის ბალახი.		მრავალწლოვანი ნემსიწვერისებრთა (Geraniaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე 20-60 სმ სიმაღლისა. აქვს თითისებურად დაყოფილი ფოთლები და ძოწისფერი ყვავილები. ასდის ეთერზეთის სურნელი. ყვავილობს ზაფხულში. გავრცელებულია მისი ჯიშები: ჭაობის [Geranium palustre L], მდელოს [Geranium pratense L], წითელი [Geranium sanguineum L], ბალახს აგროვებენ

					ზაფხულში, ძირებს შემოდგომით. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს, ვიტამინ C-ს. ახასიათებს შემკვრელი, გამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და სისხლაღმდგენი თვისებები. შლის კენჭებს თირკმლებში. ნახარშს და ნაყენს იყენებენ ფალარათის, დიზენტერიის, კენჭოვანი დაავა-დებების, რევმატიზმის, პოდაგრის, სისხლდენის სამკურნალოდ.
12.	ურარტული ნუში	<i>Amygdalus urartu</i> Tamamsch.			გვალვაგამდლე ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის ხე 5-10 მ სიმაღლისა. აქვს მოწითალო-რუხი ტოტები, მოგრძო-ლანცეტური ერთეული ფოთლები. არ უნდა აგვერიოს მწარე ნუშში, რადგან ეს უკანასკნელი შხამიანია. ნუშის მშრალი თესლები შეიცავს ზეთს, ცილებს, გლუკოზას, ფერმენტებს, ამიგდალინს. ნაყენი გამოიყენება ძლიერი ხველისას, ღებინებისას, კუჭის ტკივილისას. ზეთს ისხამენ ყურში და იყენებენ ადგილობრივი ანესთეზიისათვის.
13.	ურაშა	<i>Poterium polygamum</i> Waldst. et Kit			მრავალწლიანი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის მცენარე ძლიერი ხისებრი ფესვით. აქვს ძალიან მობილური, კვერცხისებრი ფოთლები. ყვავილები წვრილია, მომწვანო. ნაყოფი კაკალია. შეიცავს პროტეინს, ცხიმს, ექსტრატულ ნივთიერებებს, ვიტამინ C-ს. სამკურნალოდ გამოიყენება ურაშას სახეობა <i>Sanguisorba officinalis</i> , რომელიც ძალიან ახლოს დგას მასთან და იმავე სახელით მოიხსენებოდა. იგი შეიცავს ტანინს, ეთერზეთს, კალციუმს, საპონინებს, ვიტამინ C-ს, სახამებელს. მისი ფესვებისაგან ამზადებენ ნახარშებს, ნაყენს, თხევად ექსტრატს და ფხვნილებს. ეს პრეპარატები გამოიყენება კუჭის აშლილობის, დიზენტერიის, სისხლდენის დროს. იყენებენ გარეგანაგაც. უნიშნავენ ვენერიული დაავადებების სამკურნალოდ.
14.	ურთხელი	<i>Taxus baccata</i>	კხ., ფშ. უთხოვარი; რჭ., ლჩხ., იმ., გურ. ურთხმელა, ურთხველა; აჭ. მადა, ურთხმელა, სატილია; ქვ. რჭ. წუთული; ქრთ. ურთხლი; სვნ.		ურთხელისებრთა (Taxaceae) ოჯახის 20-25 მ სიმაღლის ორსახლიანი ხეა 1,5 მეტრამდე დიამეტრითა და მოწითალო-მოყავისფრო თხელი ქერქით. ზემოდან მუქმწვანე, ქვემოდან ბაცი, ბრტყელი, ხაზურა და შიშველი წიწვები 2-3,5 სმ სიგრძისა და 2-2,5 მმ სიგანისაა. მისი ცალსქესა ყვავილები ცალ-ცალკე გაბნეულია ვარჯში. თესლი საჭმელად ვარგისია, სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება და ტკბილი წვენით ივსება. თესლი, თანათესლი, და თესლის გული 30-38 (11-12)% ზეთს შეიცავს. წიწვებს იყენებდნენ გულის სამკურნალოდ და

			ურთხელ, შცმრა.		წყლისადმი შიშის დასაოკებლად.
15.	ურო	<i>Andropogon ischaemum L.</i>	კხ. ურობანდი; ქზყ. ურო-ბალახი; რჭ., ლჩხ., ზმ. იმ. ურნალი; ინგ. თეთრ ბალახ; მგრ. გაჯაჯა, ჩე ტყა, ბოგვერი, ჩე ოდიარე.		მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახის მცენარე.
16.	ურცი	<i>Ziziphora serpyllacea Bieb.</i>	მსხ. ყარაფილა; ჩ. კარაფილა.		მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა მსხვილი ხისებრი ფესვით და დაშვებული ტოტებით, რომელთა ბოლოებში გამოსულია პატარა მოვარდისფრო ყვავილები. ფოთლები პატარაა, კვერცხისებური. ბალახი შეიცავს ეთერზეთს, ფლავონოიდებს, ფიტონციდებს. ახასიათებს ჭიის საწინააღმდეგო, ბაქტეროციდული, შარდმდენი, ქარგამომდევნი, აღმგზნები თვისებები. მის ნახარშს გარეგანად იყენებენ რევმატიზმის, რადიკულიტის, დაშავებების, კბილის ტკივილის და ჭრილობების შესახორცებლად. ურცი ამშვიდებს ნერვულ სისტემას, იყენებენ აგრეთვე სასუნთქი გზების გაციების დროს. ზეთით მკურნალობენ კანს.
17.	უსუპი	<i>Hyssopus officinalis L.</i>	მსხ. ზენტეხი; წუწუნავა ზოფა, ზუფა.		20-70 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახისა. აქვს მრავალრიცხოვანი ღეროები, მარტივი ან განტოტვილი. ფოთლები მჯდომი, სუპროტული. ყვავილი ლურჯი, თავთავისებური. ნაყოფი კაკალია. შეიცავს ეთერზეთსა და სეკვისტერინებს, მთრიმლავ ნივთიერებას, მჟავებს, ფისებს, შაქარს, მინერალურ მარილებს, ფლავონოიდებს. ახასიათებს ანტისეპტიკური და ამოსახველებელი თვისებები. მცენარის ნაყენი გამოიყენება ქრონიკული ბრონქიტის, კუჭნაწლავის ტრაქტის, ბრონქიალური ასთმის, დისპეპსიის, შეკრულობის სამკურნალოდ. ხმარობენ ჭრილობების მოსაბანად.

18.	უსურვაზი, ტყის ვაზი	<i>Vitis sylvestris</i> Gmel.	კხ., იმ. კრიკინა; ქზყ. კირკენა; ფშ. კირკინა; ქრთ., მთ. ბაბილო; ქვ. იმ. ზღვამლი; რჭ. ძღვამლი, ძღვამ- ბლი, რძღვამლი; ლჩხ. მენცხერო, მოცხარი, ომცხვარო; გურ. მორსხულა; ინგ. ბურზღუმ, მამალ ვაზ; ქნ. მტკუი ბინეხი; სვნ. ტყედრ ყუნზელ, ცხეკიში ყუნზელ, ჰერწმიში ყუნზელ.		კულტურული ვაზის <i>Vitis vinifera</i> -ს ქვესახეობა, ვაზისებრთა (Vitaceae) ოჯახისა ლიანა ბუჩქი 10-15 მ სიგრძისა. გავრცელებულია დას. ევროპაში, კავკასიაში და შუა აზიაში. წელიწადში ყლორტები იზრდება 50-100 სმ. მცენარე ორსახლიანია. ქერქი მუქი, ბუსუსებიანი. ფოთლები მრგვალია, შიშველი, ოდნავ დაშვებული. ყვავილობს მაისში. ყვავილები შეკრულია ცოცხისებურად. ნაყოფი შავი მარცვალია. მწიფდება სექტემბერში. ყლორტი, ყვავილი, ფოთლები გამოიყენება სანელებლად. წვენისაგან იღებენ ძმარს. თესლებისაგან ამზადებენ ყავის სუროგატს და ზეთს.
19.	უფერულა	<i>Áphanes arvensis</i> L. = <i>Alchemilla arvensis</i> (L.) Scop.			ერთ- ან ორწლიანი ბალახი 20 სმ-მდე სიმაღლისა. აქვს მოკლე, ფოთლიანი ღერო. ფოთლები მარტივია, დაკბილული; თეთრი ყვავილები დაფარულია ბეწვით. ნაყოფი ცალკაკალაა. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი. ფხვნილის, ნაყენის, სქლი ექსტრატის სახით გამოიყენება როგორც ლიტოლიტური და დიურატიული საშუალება შარდვენჭოვანი დაავადებისას.
20.	უცვეთელა	<i>Philadelphus caucasicus</i> Koehne.	მსხ. დიდგულა; კხ. ხეყვავილა; ქრთ., ზმ. იმ. ჭეჭკეტა; მგრ. თახვანტელა.		ხე-ბუჩქი (Hydrangenaceae) ოჯახისა, 1,5-2,5 მ სიმაღლის, ყვავის მაის-ივლისში, ნაყოფს იძლევა ივლის-სექტემბერში. გვხვდება მთაგორიან ტყეებში, დამრეც ფერდობებზე 1800 მ ზღვის დონიდან. გავრცელებულია კავკასიაში, მცირე აზიასა და ჩრ. ირანში, ქურთისტანში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნერვული სისტემების დაავადებისას.

21.	უცუნა	<i>Colchicum speciosum</i> Stev.	თშ. უცანა; ზმ. რჭ. უცუნი; ლჩხ. შანშველა; გურ. თავნიორა; გურ., აჭ. სათოლია; მგრ. დაბრჩე, ჯირჩე, ლაპა გვაჯა; სვნ. შცშვლი.		<p>ლამაზად მოყვავილე (Melanthiaceae) ოჯახის ტუბერბოლქვანი მცენარეა. ტუბერბოლქვი წაგრძელებული და ცალ მხარეს ამობურცულია. მის მოპირისპირე მხარეს კი შებრტყელებულია, სიგრძით 7, სიგანით კი 3 სმ-ია, დაფარულია მუქმოყვავისფრო ვაგინებით, რომელნიც წვერისაკენ მიღადაა წაგრძელებული. მოკლე ღეროზე შიშველი, ხორცოვანი, მბრწყინავი, წაგრძელებული-ლანცეტა ფოთლები სიგრძით 25-40 სმ, სიგანით კი 2-4 სმ, ბოლქვიდან მოვარდისფრო ყვავილი ამოდის. ყვავილსაფარის გვირგვინის ფურცლისებრი ნაწილები ბლაგველიფსურია, შიგნითა მხარეს ბუსუსებით. ბუტკო სამნასკვიანია, რომელიც ყვავილსაფარის მიღის მიწისქვეშა ნაწილშია ჩამალული. წაგრძელებულ-კერცხისებრი წვეტით დაბოლოებული სამად გამოყოფილი ნაყოფი კოლოფაა. თესლი მუქი-მოყავისფროა, თითქმის მრგვალი, ხორცოვანი თანათესლით. ყვავის აგვისტო-სექტემბერში. ყვავილობისას მცენარეს ღერო და ფოთლები არა აქვს. განაყოფიერებული ნასკვი მიწისქვეშ იზამთრებს. მეორე წელს კოლოფა ნაყოფი ფოთლებთან ერთად მიწის ზედაპირზე ამოდის. თესლი ივნისში მწიფდება და უცუნას მიწისზედა ნაწილები ხმება. ამ დროს ხდება ახალი დედა ტუბერბოლქვის განვითარება და ძველი დედა ტუბერბოლქვის კვდომა. აქ განხილული უცუნა და მასთან ახლო მდგომი <i>C. autumnale</i> L. საკმაოდ ფართო ეკოლოგიური დიაპაზონის მცენარეებია, გავრცელებულია ზღვის დონიდან 150-3000 მ სიმაღლის ფარგლებში. გვხვდება წაბლნარ, წიფლნარ და რცხილნარ ტყეებსა და ალპურ საძოვრებზეც. იგი შეიცავს კოლხიცინს. სამედიცინო პრაქტიკაში მისი გამოყენება დაიწყეს რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ. ამჟამად იგი თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფარმაკოპეაში შედის, როგორც ნიკრისის ქარისა და სხვა დაავადების სამკურნალო. შეიცავს ალკალოიდებს. ერთ-ერთ ამ ალკალოიდთაგანს შანტავის ნივთიერება ეწოდა, რომელიც გამოიყენება კანის კიბოს თერაპიაში. სამედიცინო პრაქტიკაში უცუნას ტუბერბოლქვი და თესლი გამოიყენება. უცუნას ალკალოიდებიდან მედიცინაში კოლხიცინი ნიკრისის ქარის, ხოლო კოლხამინი (ამინი) ქრონიკული ლეიკოზებისა და კანის კიბოს სამკურნალოდ გამოიყენება. კანის კიბოს სამკურნალოდ</p>
-----	-------	----------------------------------	---	--	--

					ომაინის (კოლხამინის) მალამოს უსვამენ კანის დაზიანებულ ნაწილს. ომაინის მალამოს, განსაკუთრებით მასზე გიალურონიდაზის დამატებისას დიდი უნარი აქვს შეაღწიოს ლორწოვან გარსში და ორგანიზმის კანის საფარველში. ამასთან კიბიან უჯრედებზე შერჩევითი ზემოქმედების თვისება აქვს და საღ უჯრედებს თითქმის არ შლის. მკურნალობის ბოლოს შეიმჩნევა ეპითელიზაცია კარგი კოსმეტიკური ეფექტით. საუკეთესო გავლენით ხასიათდება კიბოს საწყის სტადიაში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მანამ სხვა საშუალებებით არ არის ნამკურნალები. დოზების გადაჭარბებას შეიძლება თან მოჰყვეს ადგილობრივი და საერთო ინტენსიური მოვლენა. უცუნას გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ შეიძლება.
22.	უჭურველი	Asplenium ruta-muraria L.	საბა უჭურველა		<p>ორ- ან მრავალწლიანი (Aspleniaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე სწორი და მაგარი ღეროთი. ფოთლები გრძელჯამიანია, გულის მოყვანილობისა, დაძარღვული. მოშავო-ძოწიფერი ყვავილები განლაგებულია ფოთოლთა უბეებში. აშენებენ სამკურნალო დანიშნულებით.</p> <p>მცენარე შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, ანტოცინს, მთრიმლავ ნივთიერებასა და სიმწარეებს, სახამებელსა და ფიტოსტერინს. ლორწოს შემცველობის გამო შედის სხვადასხვა ბრონქიტისა და ხველის სამკურნალო სითხის შემადგენლობაში. ოფიციალური მედიცინა არ გამოიყენებს.</p>
23.	უხრავი	Ostrya carpinifolia Scop.	მსხ. უხრავა		40 მეტრამდე სიმაღლის არყისებრთა (Betulaceae) ოჯახის ხე. ცოცხლობს ძალიან დიდხანს. ყვავილები შეკრულია ჯგუფებად. მათგან ვითარდება მფრინავი ნაყოფი. სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი. მოქმედი ნივთიერებებია ლორწო, მთრიმლავი ნივთიერება, სიმწარეები, ფლობაფენი. ქერქის ნაყენი ხსნის ლორწოვანი გარსის ანთებას, ივლებენ პირში, მკურნალობენ კუჭ-ნაწლავს, იყენებენ აბაზანებისათვის.

24.	უჯანგარი	<i>Artemisia annua</i> L.	კხ. მყრალა, მყრალა-ბალახი; იმ. ოყრალო, ოყრალუა; ქვ. იმ. ყრალა-ყრალა; ლჩხ. მაძღარა, მომყრალუე, შავცოცხე; გურ. ძაღლიქინძა; ინგ. ყარა შამბავ; მგრ. ცეროცი.		1 მეტრის სიმაღლის რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე. აქვს შიშველი ღერო, მოგრძო, ორადგაყოფილი ფოთლები. საყვავილე კალათები მრგვალია, მყრალი სუნისა. ყვავილობს აგვისტოდან სექტემბრამდე. შეიცავს რთულ ეთერზეთს. ნაყენს იყენებენ მადის აღმძვრელად. წვენი იხმარება კანის დაავადებებისათვის, ჭრილობების მოსაბანად. მშრალი ფოთოლი შედის ბევრი მალამოს შემადგენლობაში.
-----	----------	------------------------------	---	--	---


1.	<b>ფარსმანდუკი</b>	Achillea millefolium L., A. Micrantha M.B., A. nobilis L.	ქრთ., კხ., ფშ. მელიკუდა, მე- ლისკუდა; ქზყ- თავებითელა; ხგს. ციცასკუდა; მთ. მელაგუნდა; მხვ. მკერვალა, საჭრელა; თშ. წელულის ბა- ლახი; მსხ., ჯვხ., აჭ. ყვა- ვისკუდა, ყვავ- აუდა, ყვაკუდა, ჩიჩქის ბალახი; რჭ., იმ. კრავიკუდა, ქორიკუდა; ლჩხ. თაბგიკუდა; ინგ. წყილი-ბალახ; ხვნ. მუღმურილ		<p>ფარსმანდუკი ეკუთვნის რთულ ყვავილოვანთა (Asteraceae) ბოტანიკურ ოჯახს. ქვს 50–60 სმ სიმაღლის დერო და პორიზონტალური მხოხავი ფესვურები. ფოთლები მკვეთრადაა ორად განკვეთილი, პირველი შეხედ-გით ამართლებს ქართულ სახელწოდებას – ასფოთოლას. ფესვიანი ფოთლები როზეტისებურია, დეროსი კი ყუნწის ფუძესთან გაგანიერებული. ფარისებრი ყვავილების გარეთა ყვავილები ენაკიანია, შიგნითა – მილისებური და ყვითელი, გარედან ერთი მთლიანი საბურველითაა შემოსილი. ნაყოფი თესლურაა, მწიფდება სექტემბერსა და ოქტომბერში. საქართველოში ფარსმანდუკი გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გარეკახეთში, თრიალერთსა და მესხეთში.</p> <p>ფარსმანდუკი იზრდება როგორც მშრალ ადგილზე, ისე ნესტიანზეც, უფრო ეტანება ნათელ ადგილებს, სადაც მზის ინსოლაცია ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ ფარსმანდუკის გარდა, თითქმის ყველა მცენარე ხმება ან აჩერებს ვეგეტაციას და ისვენებს.</p> <p>ხალხურ მედიცინაში იგი გამოიყენება დვიძლის დაავადებათა სამკურნალოდ, სისხლდენის შემაჩერებელ და ჭრილობის შემხორცებელ საშუალებად.</p>
2.	<b>ფეიოა</b>	Feijoa sellowiana Berg.			<p>ფეიოას ნაყოფი შეიცავს ბლომად წყალს, ორგანულ მჟავებს, შაქრებს, პექტინებს, ბევრ C ვიტამინს, ეთერზეთებს, 1 კგ ახალი ფეიოა შეიცავს 9–10 მგმდე წყალში ხსნად იოდის ნაერთებს, 100 გ ფოთოლი შეიცავს 7 მგ იოდს. მისი ფოთლებიდან საქართველოში ამზადებენ ჩაის დანამატეს.</p> <p>ფეიოას ნაყოფი, მასში იოდის შემცველობის გამო, ეფექტურია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაკვეთების და ათეროსკლეროზის დროს.</p>
3.	<b>ფეტვი</b>	Panicum miliaceum L.	ქხ. ფაჩხა-ფეტვი; მთ. ფორჩიანი ფეტვი; ქვ. იმ., გურ. ჭადი, ჭადის-ჭადი; ლჩხ. შავჭადა, შავი ჭადი, ურუში; ზმ. იმ. წვრილი ჭადი; ხბ., ჩ. ფაჩხა; ინგ. ფშებ; ჭნ.,		<p>ფეტვი მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახის მცენარეა. შეიცავს ცილებს, ცხიმებს, სახამებელს, ვიტამინ PP-ს; მიკროელემენტებიდან – სპილენბის, ნიკელის, მანგანუმის და თუთიის მინერალურ მარილებს.</p> <p>იგი შედის გულსისხლადარღვთა სისტემით დაავადებულთა, აგრეთვა პიპერტონიულ და დვიძლით დაავადებულთა საკვებ რაციონში. ფეტვი ასტიმულირებს სისხლის წარმოშობას, აძლიერებს ფერმენტების მოქმედებას.</p>

			მგრ. ფატი, ჭკიდი, ჭკიდიში ჯკიდი; სენ. ვეზ.		
4.	ფეხფოთოლა	<i>Podophyllum peltatum</i> L.			<p>კოწახურისებრთა (Berberidaceae) ოჯახის 40–50 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო ერთეულია, მრგვალი, ღრუიანი, გარდისფერი. მის წვერში განვითარებულია მოპირისპირე 2 მომრგვალო („ფარისებრი“) გრძელყუნწიანი ფოთოლი. ის 5–7-თათისებრ განკვეთილია, შიშველი, პრიალა. მათ შორის მოთავსებულია 5 სმ დიამეტრის მოკლეყუნწიანი ერთეული თავდაქინდრული თეთრი ყვავილი. მისი სუნი არმატულია (ნესვის). ნაყოფი კენკრაა, მოყვითალო-მწვანე, მსხვილი – 8 სმ-მდე სიგრძის, მომჟავო-ტებილი, ხორცოვანი, მრავალთესლიანი. სამშობლოში ყვავილობს IV, ნაყოფიანობს V, რუსეთში კი უფრო მოგვიანებით, VI–VIII.</p> <p>ფეხურა და ფოთლები შეიცავს ფითოვან ნივთიერებას – პოდოფილინს, რომელშიც გახსნილია ლიგნანები. მათ შორის მთავარია პოდოფილობოქსინი, α-ჰელტაცინი, β-ჰელტაცინი. არდა ამისა, არის დეზოქსიპოდოფილობოქსინი, დკიდროპოდოფილობოქსინი და სხვ.</p> <p>ფეხფოთოლას ფეხურისა და ფეხვების ექსტრაქტი ხალხურ მედიცინაში გამოყენებოდა საფარარაო, ჭიისდამდენ და პირდებინების გამომწვევაში საშუალებად.</p>
5.	ფითრი	<i>Viscum album</i> L.	მსხ. ბიდნა; გურაჭ. მადა; ჭნ. ჭაბუ, მცხული კაგა; მგრ. ლიკვი, ლექვი; სენ. ჭაბვ, ფითორ.		<p>ფითრი საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი მარადმწვანე, მრავალწლიანი პარაზიტი მცენარეა, რომელიც ხეზე (გაშლზე, მსხალზე, მუხაზე და სხვ.) პარაზიტობს. ის ეკუთვნის Lorantaceae ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება სფეროსებრი ქორბულით, რომლის სიმრგვალე დაკავშირებულია მისი მოყვითალო მწვანე დეროების სშირ დიქოტომურ დატოტიანებასთან, მოგრძო თათისებური კიდემთლიანი ფოთლები ერთი-მეორის პირდაპირ სხედან და ზამთრობით არ ცვიგიან. ფითრი ორსახლიანი მცენარეა. მისი მოყვითალო მწვანე ყვავილები მჯდომარეებია, მამრობითი ყვავილები წარმოდგენილია ოთხნაწილაკიანი ყვავილსაფარით, რომლის შიგნით ოთხი მჯდომარე მტვრიანაა. მდედრობითი ყვავილები ოთხებილა ყვავილსაფარიანია და ქვედა ნასკვიანი, რომელზედაც დინგი ზის, ნაყოფი თეთრი, ბურთისებური ერთოესლიანი კენკრა წებოვანი რბილობით.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ფითრი ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებადაა აღიარებული. ფითრის ფოთოლი შეიცავს ოლეანოლმჟავა საპოგენინს, ურზონს, ოლეანოლს, კისკემჟავას, ინოზიტს, 0,05% მშრალ</p>

					<p>ნივთიერებას, შაქარს, ფისს, სახამებელს, ცხიმზეთს, მწარე, მთრიმლავ და ცილოვან ნივთიერებას, მინერალურ მარილებს, წებოვან, ფისვან ნივთიერებას ვისცინს (<i>Viscinum</i>) და 7,8–10,2% ნაცარს. მის კენკრაში მოიკოვება შაქარი, ინოზიტი, ურზინი, ვისცინი, ვისცირეზენი, ცვილოვანი ალკოჰოლი, ქოლინი, მწარე ნივთიერება, პალმიტინის მჟავა, ნაცარი 4,8–6,2, ლორწო (ვისცინი, ვისკაუზინი), რომელშიც კაუჩუკი არ შედის და მხოლოდ ცელულოზის შემცველი ლორწოსაგან შედგება. ფითრის ახალი კენკრები და ფოთლები შეიცავს რევფენს, რომელიც შედგება თავისუფალი ძმარმჯავას, მანიტის, მაგნეზიუმლაქტატის და პროპიონილ-ქოლინისაგან.</p>
6.	ფინიკის პალმა	<i>Phoenix dactylifera</i> L.	ჭნ. მისიხურმა; სბ. დანაკის-ქუდი; ქრ. ინდისხურმა		<p>ფინიკის პალმა (<i>Palmaceae</i>) ოჯახის მცენარეა. გემრიელი ხილის მომცემი ლამაზი ხეა. მისი ხილი გამშრალი სახით 70% შაქარს შეიცავს. ცალსქესიან ყვავილებს იკეთებს. მამრობითი ყვავილედი გრძელ უწნწევე მჯდარ ტაროს წარმოადგენს. მდედრობითი ყვავილედი მამრობით ყვავილედზე უფრო დიდი ზომისაა და ქოლგისებრია. ამ პალმის ფესვები იძლევიან ამონაფარს, რაც მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას უნდა ჩაითვალოს. სამკურნალოდ იხმარებოდა ნაყოფი, რომელიც გამოყენებული იყო როგორც გარეგან, ისე შინაგან საშუალებად.</p> <p>კანის დაავადებების დროს ინდისხურმას ხმარობდნენ დასალევი წამლის შემადგენლობაში.</p> <p>იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქრობდნენ, რომ მუცლის ტკივილი და პირლებინება გამოწვეული იყო გადამეტებული ჭამით, ავადმყოფს მუცელზე ადებდნენ მალამოს, რომელშიც დანაკის-კუდი შედიოდა.</p> <p>სისხლის დენის შემთხვევებში, სხვა წამლებს შორის, მკვახე დანაკის-კუდსაც იყენებდნენ.</p> <p>დანაკის-კუდი გმხედვება დგიძლის ტკივილის დროს გარედან შემოსადები წამლის შემადგენლობაში.</p> <p>თანამედროვე ფარმაკოპეაში შეტანილი არ არის.</p>

7.	<b>ფიჭვი</b>	Pinus sosnowskyi Nakai	ომ., აჭ., მსხ. კატარი; მხე. ჩირალის ხე; თშ. უნაჭი; ერ. პიტო; სგნ. გაგიბ.	 <p><i>Pinus eldarica</i></p>	<p>ფიჭვი ეკუთვნის ფიჭვისებრთა (Pinaceae) ბოტანიკურ ოჯახს, მაღალი ტანის ხეა ზევითგენ აღმართული ტოტებით და მორუხო-მურა ფერის ქერქით. ორ-ორი, იშვიათად სამ-სამი ლეგა ფერის მჩხლეტავი წიწვი ოდნავ ხერხებილა კიდევბით სიკრძით 7 (8) სმ აღწევს, ხოლო სიგანით 1,5–2 სმ-ს უდრის. ფიჭვის მამრობითი გირჩები მოგრძო ცილინდრული მოყვანილობისაა, ხოლო მდედრობითი – კვერცხისებრია. გირჩები თითო-თითოდ სხედან. მწიფე გირჩები ძირამდე იხსნება. მათში კითარდება კვერცხისებრი, მურა ფერის წაწვეტებული თესლი.</p> <p>საქართველოში გავრცელებულია ზღვის დონიდან დაწყებული ტყის ზედა საზღვრამდე – აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩებუშში, სამხრეთ თხეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ქართლში, კახეთში, ბორჯომ-ბაგურიანში, ჯავახეთსა და მესხეთში.</p> <p>ფიჭვის ყლორტები შეიცავს ცვილსა და იუნიპერმჟავას, წიწვიანი ყლორტები – 0,945–0,12% ეთერზეთს, 8% – ბორნეოლს, ფურფუროლის კვალს, 50 – 1% პინენს, 20% – 1 პინენს, 12% დიპეტენს, 3% ნაცარს, ფინს, სახამებელს, მწარე ნივთიერებას – პინიკრინს (<i>Pinicrinum</i>) მთრიმლავ ნივთიერებას, მინერალურ მარილსა და მცირე რაოდენობით ფისოვან ნივთიერებას – ბოლორეტინს (<i>Boloretinum</i>). ფიჭვი შეიცავს ტერპენსაც.</p> <p>ფიჭვის ჩვენში დიდი ხანია იყენებენ ტუბერკულოზის, სიფილისა და ციების წინააღმდეგ, წყლულებისა და ჭრილობების შესახორცებლად, აგრეთვე როგორც ანტისკორბუტულ საშუალებას, ფრჩხილებისა და კანის დაავადებათა წინააღმდეგ და სხვ.</p>
8.	<b>ფორთოხალი</b>	Citrus sinensis Osbeck	მსხ. ნარინჯი, ფორტაკალი; ჩ. პორტოგალი; ჭნ. ფორთოხალი, ფორთუქალე.		<p>ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახის მცენარეა. ფორთოხლის ნაყოფი შეიცავს შაქარს, ლიმონის მჟავას, ვიტამინებს (C, P, A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>), პექტინებას ნივთიერებებს, ფიტონციდებს, კალიუმის, კალციუმის, ფოსფორის მინერალურ მარილებს, პიგმენტებს, ფორთოხლის ნაყოფის კანში, ყვავილებსა და ფოთლებში აღმოჩენილია ეთერზეთები.</p> <p>ფორთოხლის წვენი კლავს წყურვილს, მასში არსებული ვიტამინების გამო ფართოდ გამოიყენება პიპო და ავიტამინოზების, ნიკრისის ქარის, პიპერტონის, ათეროსკლეროზის, ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკისთვის. ფორთოხლის ნაყოფში არსებული პექტინების გამო იგი აუმჯობესებს ნაწლავების მოქმედებას, ხელს უწყობს მავნე ნივთიერებების გამოდევნას, ამცირებს ლპობის პროცესებს. წვენი და ნაყოფი მაღის აღმმერელია, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, რეკომენდებულია</p>

					მოხუცთათვის ყაბზობის შემთხვევაში. ფორმობლის ნაყოფი და წვენი არაა მიზანშეწონილი კუჭისა და თორმეტგჯა ნაწლავის და კუჭის მაღალი მქავიანობით გაძოვებული გასტრიტის დროს.
9.	<b>ფსტა ბუსტული</b>	Pistacia vera L.	მსხ. ფისტილი; ერ. ფუსტული; სბ. ფისტა; ჭნ. ფისტიკი		გალები ჩნდება აგრეთვე შეა აზიის ქვეყნებში გავრცელებულ ხე მცენარის ფსტის – Pistacia vera L., ოჯ. Anacardiaceae ფოთლებზე. ფსტის გალებში ტანიდების შემცველობა 50%-ია და ისიც სამედიცინო ტანინის წყაროა.
10.	<b>ფუნთუშა</b>	Sedum pallidum M.B., S. hispanicum L.	მსხ. ეფრემა; მხვ. ხორხოშელა; ეხ., რჭ., იმ. კატიდუმუ; ლჩხ., ზმ. იმ. კატაძუმუ, ტატკუნა; ქვ. იმ. ჭიჭუა, ბოჭოჭუა; იმ. ციცუნია; ლჩხ. ჭუჭი, თეთრი კინწა, წითელ-კინწა; გურ. ჭუჭებია; აჭ. კაპნისაკვნებულა, კაფნისაპნატურა; მგრ. კუჭებია, ჭუჭებია.		ფუნთუშა მიეკუთვნება მსუქანასებრთა (Crassulaceae) ოჯახს. საქართველოში ამ გვარის 15 სახეობაა. გვარი მსუქანას სხვადასხვა სახეობა გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ყველა მათგანის ფოთლები სუკულენტურია და იდებენ წვენს, რომელიც რეკომენდებულია დამწვრობების დროს, ჭრილობების შესახორცებლად, ტუბერკულოზისა და რევმატიზმის საწინააღმდეგოდ.
11.	<b>ფურისულა</b>	Primula veris L.	მგრ. ჯოდორიშინია		ფურისულა, ანუ ვაშლისულა, ეპუთვნის ფურისულასებრთა (Primulaceae) ბოტანიკურ ოჯახს. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, კერცხისებური მოყვანილობის ფესვთანი ფოთლებით. დერო სიმაღლით 10–25 სმ აღწევს. ფოთლები სშირი, ნაზი ბუსუსით. გვირგვინი ყვითელი ფერისაა, შედარებით მოკლეა. საქართველოში ფურისულას ეს სახეობა იზრდება თითქმის ყველგან, განსაკუთრებით მდელოებზე და ტყისპირას სუბალპურ ზონამდე.

					(საპონინი), ელაციოვენინს (საპოგენინი) და 10% ნაცარს. ფურისულას ფოთლები კი – 2% საპონინს, გლუკოზიდებს და ფესვების მსგავსად – ქნიმებს, ხოლო ყვავილი საპონინების კვალს, გლუკოზიდ პრიმერინს და პირმულავერინს (ყვითელი საღებავი ნივთიერება).
12.	<b>ფუტკარა, ძოწი ფუტკარა</b>	Digitalis Digitalis purpurea L.	ხეს. ტყის სარო; ფშ. სასუტკა, სასუტელა; მთ. თაფლანა, ძაღლის-ენა; ქვ. იმ. ჯიღა- მშვილდა; აჭ. მაწვიმარა, საშხაფუნა		<p>შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახის ორწლოვანი ბალანია 30–120 სმ სიმაღლის. პირველ წელს იყითრებს ფესვთანურ როზეტს. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია, ფრთიანი ყუნწიო, 30 სმ-მდე სიგრძისა და 15 სმ-მდე სიგანის. დეროსეული ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, ქედა – კვერცხისებრი, 20 სმ-მდე სიგრძის ყუნწიო, ზედა – მჯდომარე ფოთლების კიდეები არათანაბრად დანაკვთული. ფოთლები ნაოჭიანი, ქედა მხრიდან უხვად შებუსვული, ახასიათებს ძლიერ გამოზნექილი ძარღვების წვრილი განშტროებები (სქელი ბალისებრი დაძარღვა). ყვავილები კენწრული, გრძელ თავდაქინდრულ მტებნებად შეკრებილი. ყვავილები დიდი ზომის, გვირგვინი ზარისებრი, მოგვაგონებს სათითეს (იქნიან წარმოსდგა მცენარის სახელი, ლათ. Digitalis სათითეს ნიშნავს), წითელი ფერის, შიგნიდან ძირში თეთღი, მუქი წითელი ლაქებით. ნაყოფი კვერცხისებრი ფორმის კოლოფი, მრავალრიცხოვანი წვრილი თესლებით. მცენარე ყვავილობს V–VIII.</p> <p>იგი ზომიერი კლიმატის მცენარეა, კულტურაში სინათლის მოყვარულია და კარგად უძლებს გვალვებს. საქართველოში არ ხარობს, მაგრამ მის კულტივირებას ეწევიან ქობულეთში.</p> <p>ფუტკარას სახეობებიდან გამოყოფილია არანაკლებ 50 კარდიოსტეროიდი, რომლებიც 5 გენინის ნაწარმა: ესენია დიგოქსიგენინი, გიტოქსიგენინი, დიგიტოქსიგენინი, გიტალოქსიგენინი და დიგინატიგენინი. გვარი ფუტკარას სახეობებისათვის საგულე გლიკოზიდების გარდა, დამასასიათებელია სტეროიდული საპონინების, ფლავონოიდების, ირიდოიდების და ბიოლოგიურად აქტიური შენართების სხვა ჯგუფების შემცველობა.</p> <p>მოწი ფუტკარას ფოთლები შეიცავს პირველად გლიკოზიდებს: პურპურეაგლიკოზიდ A, პურპურეაგლიკოზიდ B და გლუკოგიტალოქსინს, რომლებიც განსხვავდებიან C<sub>10</sub>-თან სხვადასხვა რადიკალით. დადგენილია აგრეთვე სტეროიდული საპონინები: დიგიტონინი, გიტონინი და ტიგონინი; ფლავონოიდები: აპიგენინის და ლუტეოლინის ნაწარმები; არომატული მჟავები: ოქსიბენზოის, კოფეინის, ფერულის, ნ-კუმარის, ვანილინის და სხვ.</p>

13.	<b>ფუფალა</b> <i>Areca catechu</i> L.			<p>ფუფალა (Palmaceae)-ს ოჯახს ეკუთვნის. ეს პალმა ზონდის კუნძულებზე იზრდება. მეტად ლამაზი პალმაა, მაღალი, სწორი რგოლური აგებულების დეროთი, ფოთლები ფრთადაყოფილია და ფოთლის ყუნწების ვაგინიდან ამოდიან დატოტიანებული ტაროები. ყვავილები წვრილი მოყვითალო-თეთრია. ნაყოფი კვერცხისებრია, მშრალი და ბოჭკოანი. მის თესლებს მწკლარებელი გემო აქვთ. ფუფალა ეწოდებოდა აგრეთვე ამ მცენარის ნაყოფსაც.</p> <p>მველი ქართული სამედიცინო წყაროებიდან ჩანს, რომ ფუფალა სანდალის მსგავსი სამკურნალო თვისებების მქონე მცენარედ იყო მიჩნეული.</p> <p>ფუფალა შედიოდა გულის ტკივილის დროს გარედან დასადები წამლის შემადგენლობაში. აგრეთვე იხმარებოდა თვალისა და კბილის დაავადების მკურნალობისათვის.</p> <p>ამ პალმის თესლი შეიცავს ალკალოიდ არეკოლინს. თანამედროვე მედიცინაში თვალის სნეულების მკურნალობის დროს იხმარებოდა.</p> <p>ტიბეტის მედიცინაში ამ პალმის თესლი ჭიების საწინააღმდეგოდ იხმარება.</p>
14.	<b>ფშატი</b> <i>Elaeagnus angustifolia</i> L.			<p>ფშატისებრთა (Elaeagnaceae) ოჯახში შედის. ვერცხლისფერ-მოთეთრო ჩიოლყლორტებიანი და ფოთლებიანი ბუჩქი ან დაბალი ხეა 3–7 (10) მ სიმაღლით. ორივე ან მარტო ქვედა მხრიდან ვერცხლისფერი თეთრი, ლანცეტა ფორმის, 3–7 სმ სიგრძისა და 0,4–1,5 სმ სიგანის ფოთლები ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული, ჩვილი ყლორტები მთლიანად მოგერცხლისფერო ქრექბითაა დაფარული. ტოტებსა და ყლორტებზე ქრექი მოწითალო ან მუქი მურა ფერისაა.</p> <p>ორსქესიანი მძაფრსუნიანი ყვავილები 1–3 ცალიან ჯგუფებად ფოთლების უბეტშია განლაგებული. მცირე რაოდენობით ინგითარებს მამრობით ყვავილებსაც.</p> <p>0,7–1,4 სმ სიგრძისა და 0,5–1 სმ სიმსხოს მრგვალი ან ოვალური მშრალხორცოვანი ნაყოფი ერთ თესლიანი კურკიანაა.</p> <p>ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფები სექტემბერ-ოქტომბერში მწიფდება, უხვად ნაყოფმსხმოიარობს ყოველწლიურად.</p> <p>ფშატი ჩვეულებრივ ჭალის მცენარეა და ნესტიან ადგილებში იზრდება. მაგრამ იმავე დროს დიდ სიმშრალესაც იტანს ხანგრძლივი გვალვების დროს. ადგილად მრავლდება თესლით, ფესვის ნაბარტყით, კალმებითა და ძირკების ამონაყარით.</p>

					ნაყოფის ფხვნილს შემკვრელი თვისება გააჩნია და კუჭაშლილობის დროს გამოიყენება.
15.	ფშნის ეპალი	<i>Ononis arvensis</i> L.	რქ. ისპანა		<p>პარკისანთა (Fabaceae) ოჯახის 30–60 (80) სმ სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო სწორია ან წამოწეული, დატოტვილი. ძირში გახევებული, ჩვეულებრივ, მსხვილეკლიანი, ზოგჯერ უკლო; მცენარე დაფარულია მარტივი და ჯირკვლოვანი გაფარჩეული ბეწვებით. თანაფოთლები დიდია, თითქმის ფოთლის ყუნწის ტოლი, დერომსვევი, ფართო-კვერცხისებრი; კენჭრული ფოთოლაკები – მარტივია, ერთფოთოლაკიანი, დანარჩენი კი – სამფოთოლაკიანი. ფოთოლაკები მოგრძო ელიფსურია ან ოვალური, სიგრძით 10–30 მმ და და 5–15 მმ სიგანის, ბასრებილიანი. ყვავილები წყვილ-წყვილადაა განლაგებული ფოთლის იღლიერში და ღეროსა და ტოტებზე თავთავისბრ კენჭრულ ყვავილებად შეკრებილი. ჯამი ღრმადაა 5 თანაბარ კბილად გაყოფილი, ნაყოფიანობისას გაშლილია, ბანჯგვლიანი ბეწვებით მოფენილი. გვირგვინი ვარდისფერია, მოთეთრო ან ღია-იისფერი, ჯამზე ორჯერ გრძელი. აფრა მომრგვალოა, მოკლე – ფრჩხილიანი, ფრთებზე და ნავზე გრძელი; ფრთები უპაკერცხისებრია; ნაყოფი – კვერცხისებრი, 7–8 მმ-მდე სიგრძის, 2–4-თესლიანი. მცენარე ყვავილობს VI–VIII.</p> <p>მცენარე იზრდება ნესტიან ადგილებში, მდელოებზე, მდინარეთა ნაპირებზე, ბუჩქნარებისა და რუდერალურ ადგილებში. ადის მთის შუა სარტყლამდე. საქართველოში თითქმის ყველგანაა გავრცელებული.</p> <p>ცესვი შეიცავს იზოფლავონიდებს 2,5%-მდე, მასში დადგენილია ონონინი და მისი აგლიკონი ფორმონონეტინი, იზოფლავონური გლიკოზიდი ონოსპინი და მისი აგლიკონი ონოგენინი, ასევე ონოზიდი (ონოგენინ 7-გლუკოზიდი), დაიდენინი, პტეროკარპანი. გარდა ამისა, ცესვებში არის მთრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მჟავები, ეთეროვანი და ცხიმოვანი ზეთები, ტრიტერაცენდიოლიონოცეროლი. აღსანიშნავია Mg, Cu, Zn, Ca, V, Ti მაღალი კონცენტრაცია. ფშნის ეპალის მიწისზედა ნაწილი შეიცავს იზოფლავონიდებს და ალკალოიდების კვალს.</p> <p>ცესვების ნაყენს (1:5) 70% სპირტზე, ასევე მონახარშს იუენებენ ბუასილით გამოწვეული სისხლის დენისას, ახდენს პემოროიდალური კვანძების შემცირებას ან გაქრობას, აძლიერებს დიურეზს და კუჭის მოქმედებას. ფშნის ეპალი ძველი ქართული ხალხური საშუალებაა.</p>

1.	ქათმისკუჭა, გიორგელა	<i>Geranium columbinum L.</i>	კხ. წითელ- კუჭა, ქათმი- კუჭეჭა; ქვე- ქათმის კუჭმა- ჭი; მსხ. სისხ- ლბალახა; ზმ. იმ., ქვ. რჭ. ოქ- რობეჭედა; ზმ. რჭ..ლჩხ. ქრის- ტებეჭედა; გურ. ტახ-ტა- ხა, ტაყტაყა; აჭ. დედოფ- ლისჭიპა; მგრ. პუხა		<p>ნემსიწვერასებრთა (Geraniaceae) ოჯახის ერთწლიანი 20–40 სმ სიმაღლის მცენარეა, ყვავის მარტ-აგვისტოში. გვხვდება მდელოებზე, ბუჩქნარებში, ფერდობებზე, მინდვრებში, დანაგვიანებულ ადგილებში, ტყეში და ტყის პირებში. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები არ არის უძრავილი. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჭრილობების შესახორცებლად.</p> <p>„საექიმო წიგნში“ მოხსენიებულია სინონიმით ტახტოხა: <b>სლოკინისათვის ისდორისათვის.</b> დედალ მამალი ია, კოსტეი მარიამ მსხალაი, ელუსამელაი, კურმუხა, თეთრი და შავი პიტნა, სარო, ორფერი, თეთრი საქმოველი, ჯაოზი, შავი ბჟოლის ცილი, კოპიტის ქერქი, ტახტოხაი, ქვეშ ნიგზირის ძირი, სიქილანჯის ძირი, ეს(ე)ნი კას ღვინოში თაფლით მოხარჩე და თბილათ ასვი დილა საღამოს, ჯაოზი საქმოველი ჩადევ ... 116v.</p>
2.	ქათმის ქოჩორა	<i>Celosia cristata L.</i>	სბ. წითელა, ძუმელა; კბ. ჯიჯლიბო; იმ. სავერდის ყვავილი		<p>(Amaranthaceae) ოჯახის ერთწლიანი 1,5–2 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ყვავის ივლის-სექტემბერში. კულტივირებულია შუა და აღმოსავლეთ აზიაში, ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე ჩრ. აფრიკის ჩათვლით, ამერიკაში. საქართველოში არ იზრდება. თესლი შეიცავს ლიპიდებს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სუსუნატის დროს, შარდის შეპავების შემთხვევაში.</p> <p>„საექიმო წიგნში“ იგი მოხსენიებულია სინონიმით ძუმელა: აწ ნიშანი მოგახსენით და დაგეწეროთ თუ სტომაქი ავსებული იყოს ანუ შემოკრებული იყოს. უწინ შეუქნათ სარწყეველი წამალი, ვასვათ ქერის წყლითა, სიქანგუბინითა, თოხმაქნისა წყლითა და აყიროს წყლითა ცხელითა შევასვათ და ძუმელა ვაჭამოთ და აყირო, ტყემლითა ანუ თოხმაქნისა წყლითა, და ცერეცოსა წყლითა, ცხელი შევასვათ და მცირედი მარილი ჩაურთოთ, და შევასვათ და წავაყრევით. 55v–56r.</p>
3.	ქალბანა	<i>Ferulago galbanifera (Mill.) Koch.</i>	სბ. ბანე		

4.	<b>ქარგოზი</b>	Parmelia caperata (Hoffm.) Nyl. (=P. cylizophora Vain.)	ქვ. ქრთ. ქარაქოზი.		<p>(Parmeliaceae) ოჯახის მდიერი გვევდება ყველანაირ სუბსტრატზე, განსაკუთრებით ხის ქერქზე, დიდ მოყვითალო-მომწვანო როზეტებად, გვევდება ტყის ზონაში როგორც ვაკე ადგილებში, ასევე მოებზი. გავრცელებულია ეპროპაში, აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში, ჩრ. და სამხ. ამერიკაში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში არქტიკაში. მისგან მიღებულია ანტიბიოტიკი „ევოზინ-2“, რომელიც ფილტვის ტუბერკულოზზე გამოიყენება.</p> <p>„აზრულების ცნობარის“ მიხედვით: <b>თეთრი ფერისთვინ</b> ბის გული, ვ(ა)შლის კაპ(ა)ლი, ბერძნული თხილის გული, <b>ქვის ქარგოზი</b> ოთხივეს (ს)წორ(ა)თ დან(ა)ჟე კ(ა)რგა(დ), წმინდათ, წყ(ა)ლი დ(ა)ასხი, დიდი იყოს თუ პ(ა)ტ(ა)რა, სამჯერ რომ ეყოს ამდენი შ(ა)ქ(ა)რი ჩ(ა)ქ(ა)რე, რომ შარბათათ გახდეს. თავის ფეხ(ა)მდი გაზილქ, ცოტა ძაღლის პილწი ურიე, ქათმის წყინტლიც ურიე ააღუდე, ან კ(ა)ის ცეცხლოან ან მზეში წ(ა)უსგი და დ(ა)აწვინე. მერმე ოშოშათი და ქათამნ(ა)ც(ა)რ(ა)თი მოხარშე, წყალდგინოში დაბანე ტანი. მესამეს დღეს კიდევაც გაზილქ-სამჯერ გაზელა უქენ და სამჯელ დაბანა. 27v.</p>
5.	<b>ქატმი, ფოხვერა</b>	Lavatera thuringiaca L.	ლწხ. დათვი- მოლოქი, მოლოქურა.		
6.	<b>ქაფურის ხე</b>	Cinnamomum camphora Nees et Eberm.			<p>ქაფურის ხე დაფნისებრთა (Lauraceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. სიმაღლით იგი ხშირად 40–50 მ-მდე აღწევს, ხასიათდება დიდი სიცოცხლისუნარიანობით, მისი კვერცხისნაირი, სიგრძით 5–12 და სიგანით 3–5 სმ ფოთლებს ტალღისებრი კედლები და ზემოდან პრიალა შვანე ფერი აქვს, ხოლო ქვემოდან მტრედისფერი, ფოთლის ყველა მხარეზე აღინიშნება სამი მთავარი ძარღვი. მათ იღლიები ნახევრადფარისებურ საგველა ყვავილედში შეკრებილია პატარა მოყვითალო თეთრი ყვავილები. ქაფურის ხე საქართველოში ნაყოფს იძლევა 10–15 წლის ასაკში. მისი ნაყოფი წარმოადგენს ერთეულიან</p>

					<p>წიპწას, რომელიც ზოგჯერ წითლად ან ყვითლად იფერება. ბუნებრივად ეს მცენარე იაპონიაში ხარობს, ჩვენში კი მხოლოდ კულტურაშია. მისი პლანტაციები გაშენებულია აჭარასა და აფხაზეთში.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ქაფური უძველესი დროიდანაა გამოყენებული როგორც საგულე საშუალება.</p> <p>ქაფურს უპეოებები გულის მოქმედებისა და სუნთქვის დაქვეითების შემთხვევებში, კოლაფსის დროს, აგრეთვე როგორც სიცხის დამწევ და ანტისეპტიკურ საშუალებას წითელი ქარის, სხვადასხვა ნერგული დაავადების დროს როგორც დამამშვიდებელ საშუალებას.</p>
7.	ქაცე	<i>Equisetum ramosissimum</i> (Desf.) Boern	<p>ქრთ. ქაბა- ფშავა, ჰყარბ- ლა; ქ. ეშმა- კისფეხი; მხვ- ზუთუ; მთ. ლურჯი ჯაგი; ხვს. იუდის ჯაგი, ზუთა, ძუთა, ძუთუ; მსხ. ჰყარბ- ლა ჰყალი, მინდვრის ება- ლი, შავექალა; რჭ..ლჩხ. ტყი- რი, ტყონი, რტყინირი; გურ. უვავტყემალაი; ერ. ქვატყემა- ლა; ქ. სკი- ფინდრი; მგრ. პადაცი, კუ- დაცია; ჩ. ჩხა- რდელა.</p>		<p>ქაცვისებრთა (Equisetaceae) ოჯახს ეკუთვნის, ქაცვი ხშირტოტებიანი დაბალტანოვანი ხე ან ბუჩქია 4–5 (იშვიათად 6–8) მეტრი სიმაღლის, მუქი ნაცრისფერი ქერქით. დამოკლებული ტოტები ეკლიოთ ბოლოვდება. მორიგეობით განწყობილი ხაზურ-ლანცეტია, 2–8 სმ სიგრძის და 0,5 სმ-მდე სიგანის ფოთლები კიდემთლიანია, ზემოდან მორუხო-მწვანე ფერისაა, ქვემოდან ოდნავ მოყვითალო ან ვერცხლისფერ-მოთეთროა, რაც დატოტვილი რუხი და თეთრი ბუსუსების განწყობითაა გამოწვეული. მცენარე ორბინიანია სქესგაყოფილი ყვავილებით, მაგრამ ზოგჯერ ორსქესიანი ყვავილებიც შეიმჩნევა.</p> <p>ნაყოფი მრგვალია ან მოკლე ელიფსოიდური, ნარინჯისფერი ან მოწითალო, წვინიანი კურკიანა, 0,8–1 სმ სიგრძის. კურკა გლუვია, რომელსაც მთელ სიგრძეზე დარი გასდევს. 1000 ცალი თესლის წონა 12–13,2 გრამია. ყვავის IV–V, ფოთლების გაშლამდე ან ერთდროულად.</p> <p>გვხვდება ბარად ზღვისპირიდან დაწყებული და მთაში 2100 მ-მდე აღის ზღვის დონიდან. გვხვდება მდინარეთა ჭალებში, ხშირად მშრალ ფერდობებზეც, მაგრამ ჩვეულებრივ ნესტიანი აღგილების მცენარეა, გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.</p> <p>ნაყოფი შესანიშნავი პოლიფიტამინური ნედლეულია. შეიცავს 16,9–2,72 მგ% ვიტამინ B<sub>1</sub>-ს, 0,037–0,066 მგ% ვიტამინ B<sub>2</sub>-ს, 0,79 მგ% ვიტამინ B<sub>6</sub>-ს, 8 მგ% ვიტამინ E-ს, 1,1–10,9 მგ% კაროტინს (A პროგიტამინს) და ვიტამინ F-ს, ვიტამინებით კიდევ უფრო მდიდარია თესლი.</p> <p>ნაყოფისგან 12%-მდე ცხიმს ხდიან, რომელიც მდიდარია ვიტამინებით და კანის ნივთიერებათა ცელას არეგულირებს. ქაცვის ზეთს ჭრილობების შეხერცებისა და ტკიფილგამაყუჩებელი თვისება აქვს. მას იყენებენ დამწვრობის, ეგზემის, დაზრობის (მოყინვა), მნელადშეხერცებადი წყლულების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, დასხივებით გამოწვეული დაავადების, აგრეთვე გინეკოლოგიური დაავადებების</p>

					სამკურნალოდ. მასვე პროფილაქტიკურ საშუალებად იყენებენ საყლაბავი მიღის კიბოს დასხივებით მკურნალობისას ლორწოვანი გარსის გენერატიული ცვლილებების პროფილაქტიკისათვის.
8.	ქარი	Hordeum sativum L.	სენ. ჭამინ.		<p>ქერი ეკუთვნის მარცვლოვანთა (Poaceae) ბოტანიკურ ჯგუფს. ქერი საქართველოში წარმოდგენილია სხვა სახეობითაც, რომლებიც ერთი ან მრავალწლიანი მცენარეებია, იზრდება 10–15 სმ-მდე სიმაღლის. უვავილები თავთავია, მოგრძო, დარიანი მარცვალი უვავილის კილებში ჭიდროდ არის ჩამჯდარი. ჩვენში ქერის გავრცელებული სახეობები იზრდება მშრალსა და ქვიან ფერდობებზე, ტყის ჩრდილებში, რუდერალურ ადგილებში, მშრალ მდელოებზე, ბჟეშარებში, ნაოესებში, სილნარებზე და ოდნავ მლაშობ ადგილებში. ქერის თივის მონელების კოეფიციენტი ასეთია: პროტეინი – 57,8, ცილა – 53,3, ცხიმი – 37,5, უჯრედანა – 49,1 და უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი – 66,7.</p> <p>სახალხო მკურნალები ქერის ჩალის ნახარშის ორთქლის აბაზანებით ქალურ დაავადებებს მკურნალობენ, ხოლო ქერის ფაფას იყენებენ წყლულების მოსაშუალებლად და რევმატიზმის სამკურნალოდ.</p>
9.	ქინაქინის ხე	Cinchona			<p>ენდორსებრთა (Rubiaceae) ოჯახის მცენარეა. წითელწვნიანი ქინაქინის (ცინხონას) ხე – <i>Cinchona succirubra</i> Pavon, ლუჯერის ცინხონა – <i>C. ledgeriana</i> Moens ex Trimen, სააფთიაქო ცინხონა – <i>C. officinalis</i> L.</p> <p>წითელწვნიანი ქინაქინის ხე 20–25 მ სიმაღლის დეკორატიული მარადმწვანე ხეა. ღერო სწორია, შეუბარებული დატოტვილი, უხვად შეფოთლილი. ფოთლები მოპირისპირე ფორთო ელიფსური ფორმის, ტყავისებრი, მუქი-მწვანე, პრიალა, კარგად გამოხატული წითელი ძარღვებით. უვავილები – მიღისებრი, ხუთწევრიანი, თეთრი ან მოვარდისფროისფერი, სურნელოვანი, საგველა უვავილედებად შეკრებილი, ღეროებისა და ტოტების წვეროში. ნაყოფი – ორბუდიანი, მშრალი კოლოფი, მრავალი წვრილი თესლით.</p> <p>სხვა სახეობები უფრო ტანმორჩილი ხეებია და განსხვავდებიან ფოთლების ფორმითა და უვავილების ფერით.</p> <p>ქინაქინის ხეების გავრცელების არეალი საქმაოდ შეზღუდულია. ძირითადად იზრდება ანდების აღმოსავლეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 800–1700 მ სიმაღლეზე, სადაც სანამის ინტენსიური კონდენსაციის ზოლია. მათი სამშრობლოა სამხ. ამერიკის ქვეყნები: პერუ, ბოლივია, ეკვედურა, კოლუმბია, ეკვადორი.</p> <p>ქინაქინის ხე ჩვენთან შავი ზღვის სანაპიროს თბილ და ტენიან პირო-</p>

					<p>ბებშიც კი იყინება. მეცნიერ ფარმაცევტებმა მ.მ. მოლოდოუნიკოვმა და მ.ქ. მომოტმა ქობულეთის ზონალურ სადგურში ინტროდუქციისათვის გამოიყენეს ახალი მიმართულება, წითელწვნიან ცინხონას შეუცვალეს სასიცოცხლო ფორმა და შეძლეს მისი მოშენება 2-წლიანი ბალახოვანი კულტურის სახით.</p> <p>ქერქში დადგენილია 25-ზე მეტი ალკალოიდი, მთავარია ქინინი (ქინაქინი) და მისი მარჯვნივ მბრუნავი სტერეოიზომერი ქინიდინი, ასევე ოზომერებია ცინქონინი და ცინქონიდინი. მინორული ალკალოიდებია კუპრენი, ჰიდროქინინი, ჰიდროქინიდინი, კაქინინი, ექინიდინი. ყველა ალკალოიდი მცენარეში ქინაქინა მთრიმლავი მჟავას მარილის სახითა. ალკალოიდები მოიპოვება ქერქის პარენქიმულ ქსოვილში. ქერქი აგრეთვე შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ჰიროგატექინის ჯგუფისას, ტეტრაჰიდროქსიანტრაქინონებს, ფისებს, გლიკოზიდ ქინოვინს.</p> <p>ქინაქინის ხის ქერქი და მისი ალკალოიდები ამჟღალებენ მრავალმხრივ მოქმედებას. მთავარია ქინინის ანტიპროტოზოული თვისება. ამავე ღროს აქვეითებს გულის კუნთის აღგზებას. იყენებენ როგორც მშობიარობის გასტიმულირებელი და სისხლის დანის შემაჩერებელი. მონახარში და ნაყენი მაღისმომგრელი და საჭმლის მონელების ხელისშემწყობი საშუალებებია.</p>
10.	ქინდი	Coriandrum sativum L.			<p>ქინდი ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის ქოლგოსანთა (Apiaceae) ბოტანიკურ ოჯახს, იყითარებს მთავარდერძიან, ნაკლებად დატოტვილ ფესვებს და მრავალ, შიშველ სწორმდგომ და კენწეროსაკენ დატოტვილ ღეროს, ნაზი ოდნავ შესამჩნევი ზოლებით. ფესვთა გრძელყუნწიანი ფოთლები 2–3 ნაწილად განკვეთილია და თითოეული ფოთლაკის ხერსებილა ნაპირი კეერცხისებურია, შესაბამის ზედა ფოთლები მოკლე ყუნწიანებია, ხოლო ზედა მჯდომარენი, მეტად პატარა თეთრი ფავილები 3–5 ან ზოგჯერ გქვსსხივისან რთულ, ქოლგა ფავილებშია შეკრებილი, ნაყოფი სფეროსებურია, მოყვითალო ან ყომრალი ფერის. ეტანება ზომიერად ნესტიან შაგმიწა ნიადაგს, სიმშრალეს უფრო იტანს, კიდრე გადაჭარბებულ სინესტეს.</p> <p>ქინდის წყალი (Aqua Coriandri) დავით ბატონიშვილს უებარ საშუალებად მიაჩნდა თავის ტბილის, სისხლდენის, გულისრევის, მწარე ბოყინისა და ხუნაგის ღროს.</p> <p>ჩვენი ხალხური მკურნალები ქინდისა და თაფლის ნარევისაგან ღრძილების (პიორეიის) და ენის დაავადების წამალს ამზადებენ.</p>

11.	<b>ქლიავი</b>	Prunus domestica L.	ქზყ. ქლივარი; ჭნ. მაროშინაშ ტომური; სვნ. ქილვარდ, ქილვარი, ქილვავ, ქირვად		
12.	<b>ქორაფი</b>	Acer laetum C.A. Mey	ქრთ. ნეკერჩხალი; ქპ. ქრთ. ლეკა; თშ. ლეკის ხე; ზმ. იმ. ეკი; გურ. ლეკერჩხალი; აჭ. ლეკმაკერჩხა, ლეკმაკურჩხა; სბ. კორაფი; ჭნ. ბარნა; მგრ. ანჭა, ცხალი; სვნ. ფიხვრა		<p>რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის 10–15 მ სიმაღლის ხე მცენარე, ყვავის მაისში, ნაყოფს იძლევა აგვისტო-სექტემბერში. გვხვდება რელიქტური ტიპის მთიან ტყეებში 2000 მ ზღვის დონიდან. გავრცელებულია კავკასიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიასა და ირანში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც შემკვრელი, დიზენტერიის საწინააღმდეგო საშუალება.</p> <p>„კარაბადინი კარგი და მარგებელის“ მიხედვით:</p> <p><b>ალღამისათვს.</b> ქორაფის თესლი დანაყე და თაფლითა შეაჭამე ერთი კოგზი. 28r.</p>
13.	<b>ქრისტესბეჭედა</b>	Sanicula europaea L.	იმ. მგლისფეხა; აჭ. მგლისტობა; მგრ. ტურაში კუჩხი, ქრისტეში ბეჭედი, ქაჯის სონა.		<p>ქოლგოსანთა (Apiaceae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. მრავალწლიანი ტიპიური ტყის მცენარეა. იგი მხოლოდ ტყეებში და ტყისპირებში იზრდება. სწორმდგომი დერო 30–80 სმ სიმაღლისაა. დევოს ძირში შეჯგუფული სამსუთად გაყოფილი ფოთლების ფორმა მომრგვალო გარემოხაზულობისაა. თითოეული სეგმენტი სამნაკვთიანია, ფოთლის ნაპირები კი დაპილულია. დეროზე განლაგებული ფოთლები დანინებულია, ზოგჯერ დერო საგსებით უფოთლოა, ყვავის V–VI 3–5-სხივიანი, ქოლგებად შეკრებილი თეთრი ყვავილებით. იგი შეიცავს საპონინს, მწარეებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისს, მცირეოდენ ეთერზეთებს და სხვ.</p> <p>ქრისტესბეჭედას ფოთლებს მაღამოსა და ამონახარშის საფენების სახით ხალხი დუდკოს (საწერელის, გარცმულას) სამკურნალოდ იყენებს. წყალზე ნაყენი ხველების, ხოლო ფხნილი კი ჭრილობებზე დასაყრელ სამკურნალო საშუალებად გამოიყენება. ქართულ ხალხურ მედიცინაში იგი ცნობილია, როგორც უებარი საშუალება ფილტვებიდან სისხლდენის დროს.</p> <p>უმთავრესად ნაძვნარებში, ნაძვნარ-სოჭნარებში, წიფლნარებში</p>

14.	ქრისტესისხლა	<i>Chelidonium majus L.</i>	ხეს. სისხლაბალახი; ქზე. ყორის ყაყჩხო; რჭ., ლჩხ. ცხვნისოფა; აჭ. ქარცხუცხლა, საყვითლო; ინგ. სერსელაი წამალ; მგრ. ნაწიფუ, ნაწიფი, ჯაში ზისხირი; სენ. მჰღვი მელილდ, ჭედიშ მელილდ.		<p>ეკუთვნის ყაყაჩოსებრთა (Paraveraceae) ბოტანიკურ ოჯახს. ეს ტიპური ტყის მცენარეა, ხასიათდება მთავარდერმიანი, ნაკლებად დატოტიანებული მსხვილი, მრავალწლოვანი ფესვით. მის ღეროზე მორიგეობით განლაგებულია ნაზი ფოთლები, რომლის ზედა მხარე პრიალაა და ღია შვანე ფერის, ხოლო ქვედა უფრო მტრედისფერია, ქვედა ფოთლები გრძელ ფურცელზე სხედან და ფრთადგანკვეთილებია, ხოლო ზედა ფოთლები ან მოკლეუფუნწიანია ან მჯდომარე ყვავილის ჯამი ორფოთლიანია, გრძელყუნწიანი ყვავილი შეკრებილია მარტივ ქოლგა ყვავილედში. ყვავილს აქვს მრავალი მტრიანა და ერთი ბუტკო. ნაყოფი ერთბუდიანი, მრავალთესლიანი, ჭოტის მსგავსი კოლოფია. თუ დეროს გადავტეხო ან ხელს მოვუჭერო, ყვითელი იოდისფერი წვენი გამოუვა.</p> <p>ქრისტესისხლას ქიმიური შემცველობა ასეთია: ფესვებში არის რძეწვენი, რომელიც შეიცავს ექსიდან შვიდამდე ალკალოიდები ფესვების მიწიდან ამოღებისთანავე იცვლის სახეს, რაც დამოკიდებულია წლის დროსა და ამინდზე. ძირითადად ფესვები შეიცავენ შემდგებ ალკალოიდებს: ალოკარიპტონინს, ოქსიხელიდონინს, მეთოქსიხელიდონინს, და სანგუინარინს, ალკალოიდების შემცველობა ფესვებში სულ მცირე 0,5%-ით განისაზღვრება და უმთავრეს შემადგენელ ნაწილად ალკალოიდი ხელიდონინი (<math>C_{20}I_{12}O_5N</math> მოლ. წონა 353,1) ითვლება, ხოლო ნაცარი 8%-ს არ აღმატება, მიწისზედა ნაწილების რძეწვენში ჭარბობს ენზიმები და ოქსიდაზები. ყვითელი საღებავი ნივთიერება ხელიდოქსანთინის შემცველობა ახალ მცენარეში 0,005–0,01% უდრის. მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება შემდეგი ალკალოიდები: ხელერითონინი, ხელიდონინი, ჰომოხელიდონინი, პროტოპინი, და ხელიდონინის მეგავა.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ქრისტესისხლას იყენებენ ჭრილობათა შესახორცებლად, როგორც იოდის შემცველს. იყენებენ ღვიძლის დაავადებისა და ნაღვლის გზების ანთებისას, განსაკუთრებით სიყვითლის დროს, აგრეთვე ჭორფლის მოსაშორებლად. ის შედის ავთვისებიან სიმსივნეთა (კიბოს) საწინააღმდეგო ნაკრებთა შემადგენლობაში. ქრისტესისხლას იყენებენ ქარების წინააღმდეგ შემავალ წამალში, საყმაწვილოსა და კატაჯგარას, უკანა ტანში გამონაყრის დროს, მტკქის მოსაცილებლად.</p>

15.	<b>ქუნჯუტი, შირბახტი</b>	Sesamum indicum L. (=S. orientale L.)	სიმსიმი, ერ. გუნჯუტი		<p>(Redaliaceae) ოჯახის მცენარეა.</p> <p>ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში მოხსენებულია აგრეთვე ქუნჯითის, შეშმის, სუზაბის, სიმსიმის სახელწოდებებით. გვხვდება სახელწოდება თეთრი ქუნჯითიც.</p> <p>სამკურნალოდ იხმარებოდა ქუნჯითის, ანუ შირბახტის ზეთი. ამ ზეთს საჭმელშიც ხმარობდნენ. სამკურნალოდ იყენებდნენ მის ფოთოლს და ფოთლის წყალს. ეს უკანასკნელი გვხვდება უმთავრესად თმის ცვენისას და ქერტლის წინააღმდეგ ხმარებულ თავის საბანი წამლების შემადგენლობაში. ზეთს ხმარობდნენ აგრეთვე მალამოების შესაზელად, მტკიცნეულ ადგილების დასაზელად, მტკიცნეულ კურში ჩასაწვეთებლად და სხვ.</p> <p>მის კულტურას მშრალ სუბტროპიკულში მისდევენ.</p>
-----	------------------------------	---	-------------------------	--	---

1.	<b>ლანძილი</b>	Allium ursinum L.	ფშ. ხანძილი; ხეს. ლანძელი; იმ., გურ., მგრ. ჯიშკილა; ინგ. ლანზილ; სვნ. შიშგილ		(Alliaceae)-ს ოჯახის მცენარე მწვანე ხახვთან ერთად პომეოპათიურ მკურნალობაში იხმარება.
2.	<b>ღვედპეტი</b>	Periploca graeca L.	ქრთ. ღორგება-ვა, ღვედურა; იმ., რჭ. მარგა-ტელა, მაკრა-ტელა; ქვ. იმ., გურ. ჯაშქუ-ტა; ინგ. ღედ-გეც; ჩ. ღორ-ტეცი; მგრ. ჯაშქილუ		<p>ასკლეპიასებრთა (Asclepiadaceae) ოჯახში შედის. ღვედპეტი მხეიარა (ლიანა) ბუჩქია 30 მეტრამდე სიგრძის ღეროთი. გავრცელებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთში ყველაზე მეტად ივი მდ. ალაზნის ჭალებშია, დასავლეთში კი კოლხეთის დაბლობის ტყეებში იზრდება.</p> <p>მოპირისპირედ განწყობილი ფოთლები კვერცხისებრ ლანცეტა ან ლანცეტა ელიფსურია, ხეშეში, ზემოდან უფრო მუქი მწვანე, ქვემოდან კი მკრთალი, ფოთლების კიდეები დაუკბილავია.</p> <p>მომწვანო-იისფერი ყვავილები ნახევარქოლგისებრ ყვავილედებშია შეკრებილი და მაის-ივნისში იმდება. ყვავილედის საერთო ღერო ფოთლის იღლიიდან ამოდის ტოტის კენწრულ ნაწილში. წყვილი რკალისებრი ნაყოფი ფოთლურაა, რომელიც არცოუ იშვიათად წვერში ერთმანეთთანაა შეზრდილი, ძირში კი, ჩვეულებრივ, ერთმანეთთანაა მიახლოებული. ნაყოფი აგვისტო-სექტემბერში მწიფდება და შიგნითა მხრიდან მთელ სიგრძეზე სკდება და ბეწვიანი მრავალი თესლი თანდათან გამოსცვივა და ქარის საშუალებით ვრცელდება.</p> <p>ზღვის დონიდან 400–500 მეტრზე მაღლა თითქმის არ გვხვდება, სიცივეს ვერ იტანს, ტიპიური მეზოფიტია და ნესტიან ადგილებში კარგად ხარობს.</p> <p>იგი საგულე საშუალება პერიპლოცინს შეიცავს. პერიპლოცინის ეფექტი პულსის ცემის რიცხვის შემცირებაში, გულის კუმშვის გაძლიერებაში, სისხლის მიმოქცევის დაჩქარებაში, სულის ხუთვის შეგრძნების შემცირებასა და დიურეზის (შარდდენის) გადიდებაში გამოიხატება.</p>

3.	ლզია	<i>Juniperus communis</i> L.	<p>ქრთ. (მცხეთა, საგურამო) ტუია; ქზყ. ლვიო; ინგ. არჩან; აჭ. ოდიდაჯი; სვნ. ჭყერი, ჭყერუ.</p>		<p>კვიპაროსისებრთა (Cupressaceae) ოჯახის ორსახლიანი მარადმწვანე მცენარეა, 1–3 მ სიმაღლის წიწვოვანი ბუჩქი ან იშვიათად 3–8 (15– მ ხე, კონისისებრი ვარჯით. ფოთლები (წიწვები) მჩხვდეტავია, 3–3 ერთად რგოლურად განლაგებული. მდედრობითი გირჩები შედგება ჯვარედინად განლაგებული რამდენიმე სათესლე და მფარავი ქერქლებისაგან, რომლებიც მომწიფებისას წენიანი ხდება, რბილდება და ერთმანეთთანაა შეზრდილი, რის გამოც მთელი გირჩა კენკრა ნაყოფს გმხებავსება. გირჩები ძირში რამდენიმე პატარა ზომის ქერქლითაა შემოხვეული. ჯერ მწვანეა, მომწიფებისას შავი ხდება. სათესლე ქერქლების ძირში 1–2 თესლებითი ვითარდება, თესლი უფროოდ.</p> <p>ლვია სინათლის მოყვარული და სიმშრალის ამტანი მცენარეა. გავრცელებულია უმეტესად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, დას. და ნაწილობრივ ჩრდ. ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შეუა აზიაში. საქართველოში ეს სახეობა არ იზრდება.</p> <p>ლვიის ნაყოფში 0,5–2% ეთეროვანი ზეთია. მასში მთავარია ბიციკლური მონოტერპენები: dl-პინენი, კამფენი, საბინენი; მონოციკლური ტერპენები-დან არის l-ფელანდრენი, l-ტერპინენი, დიპენტენი (dl-ლიმონენი), ტერპინეოლი, ბიციკლური სესქიტერპენებიდან – კადინენი. მდიდარია შაქრებით (40%), ფისებით (10%), ცხიმოვანი ზეთით, მოიპოვება ორგანული ჟავები – ვაშლის, ძმრის, ჭიანჭველას, ასევე კალიუმის მარილები.</p> <p>ეთეროვანი ზეთი ახდენს დეზინფექციას, შედის შარდმდენ, მეტეორიზმის საწინააღმდეგო და ანტისეპტიკურ ნაკრებებში. გამონაცემი ამოსახველებელი და სეკრეციის გამაძლიერებელი საშუალებაა.</p>
4.	ლვინა	<i>Fritillaria caucasica</i> L.			<p>შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლიანი 10–40 სმ სიმაღლის მცენარეა. ყვავის აპრილში. გვეგდება მთის ფერდობებზე, ბუჩქნარებში 1200 მ ზღვის დონიდან. არის სამხრეთ კავკასიის ენდემი. შეიცავს ალკალინებს. ამ გვარის სხვა სახეობები ჩინეთისა და ტიბეტის მედიცინაში გამოიყენებიან სისხლნაკლულობის დროს, ტუბერკულოზისა და გაციების შემთხვევაში.</p> <p>„აზრულების ცნობარის“ მიხედვით: <b>ყიყვისათვის (ჩიყვი)</b>. ლვინო, ლვინას ძირი, შავი წამლის ძირი, მგლის ხორხას ძირი, კაჭაჭოს ძირი, წყლის ბურღ(ა)ვას ძირი, ცხვრისთვალას ძირი, კორჩიოტას ძირი, ძაღლის უკრძას ფურცელი, წ(ა)ლიკას ფურცელი, ქვენი ყველა დანაყე, ძნელი ღვინო და(ა)სხი და სფ. 34г.</p>


5.	<b>ღვინიო</b>	Russula cyanoxantha Fr.			(Russulaceae) ოჯახის სოკოა, რომელიც გახვდება ივლისიდან ოქტომბრამდე ფიჭვნარში, არყნარში, შერეულ არყნიან ტყეებში. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. „აზრულის ცნობარში“ ყიყისთვის (ჩიყი): <b>ღვინიო</b> , ღვინის ძირი, შავი წამლის ძირი, მგლის ხორხას ძირი, კაჭაჭოს ძირი, წყლის ბურღავას ძირი, ცხვრისთვალას ძირი, კორჩიოტას ძირი, ძალლის ყურძნის ცურცელი, წ(ა)ლიგას ფურცელი, ესენი ყველა დანაყე, ძნელი ღვინო და(ა)სხი და სვი. 34r.
6.	<b>ღილილო</b>	Centaurea depressa M.B.	ქრთ. გვირილა, ლურჯი გვირილა; ჯეხ., მსხ. ოქროგილა; მსხ. ღილილო, ღინდილო, ოქროგილო.		რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ლორწოს და მარილებს, ლურჯ საღებავ ნივთიერებას – ციანინს. გავრცელებულია სმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ის შემოტანილ მცენარედ ითვლება. ინდოეთიდან ის შეიტანეს ჩრდ. ამერიკაში, ავსტრალიასა და ჩრდ. აფრიკაში. ჩვენში გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, გარდაბანში, ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში. იგი ხასიათდება შარდმდენი თვისებებით, ხმარობენ თირკმლის ჩაის სახით.
7.	<b>ღოლო, ღვალო</b>	Rumex crispus L.	მხვ., ფშ., ხვს. ჭეპარი, ჭეპარა; თშ. ჭირტალი; მსხ., იმ., რჭ., ლწხ., აჭ., ჭნ. ღვალო; გურ. მიდი-მოდი; ჭნ. ნ.მ. ღვალო, ღვალუ; მგრ. კუმხა; კუმუნთეური, ოღვალო; ხვნ. ტელეფი.		ეს მცენარე ეკუთვნის მატიტელასებრთა (Polygonaceae) ბოტანიკურ ოჯახს, მრავალწლოვანი მცენარეა, 30–80 სმ სიმაღლის, სწორმდგომი დეროთი ხასიათდება, დაფარულია მწვანე ან ჭუჭყიანი ყავისფერ-მოწითალო, მარტივი ან ძირიდან დატოტვილი ზევით ამართული ტოტებით; ფეხიანი ფოთლები ლანცეტია მოხაზულობისაა მოგრძო-ლანცეტამდე, 10-სმ სიგრძისა და 1,5-3 სმ სიგანის. ყვავილედი მტევნის მსგავსია, შეკუმშული, იშვიათად ვიწრო საბაველასებრი. ნაყოფი ორივე მხრიდან წაწვეტილია. საქართველოში ყვალგან არის გავრცელებული, განსაკუთრებით იზრდება მდელოებზე, თხრილების გასწვრივ, ტენიან მინდვრებზე, გზების, ღობების გასწვრივ და სხვ. ეს მცენარე შეიცავს ანტრაქინონის რიგის გლუკოზიდებს. ხმარობენ მხოლოდ ხალხურ ვეტერინარიაში, როგორც შემკვრელ საშუალებას კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, აგრეთვე ხველების წინააღმდეგ და ამოსახველებლად, მკურნალობენ დერმატიტს. ქართულ ხალხურ მედიცინაში ღოლოს ფესვებს ადგენ სიმსივნეების დასაცხორობლად, ხოლო ფესვების ნახარშს ასმევენ ფადარათობის დროს როგორც შემკვრელს. მსგავსია თავისი მოქმედებით ღოლოს სახეობა Rumex Acetosa L., რომელსაც ჩვენში მჟავნას უწოდებენ. მაუნა

					შეიცავს: კალიუმბიოქსალიტს, თავისუფალ ოქსალმჴავას, მცირეოდენ შაქარს, ცხიმებს და აზოტის შემცველ კაუშირებს.
8.	ღომი	<i>Setaria italica</i> (L.) P.B. ssp. <i>Maxima</i> Alfr. (= <i>Panicum italicum</i> maxima Alef.)	გურ. ღომის-ღომი, ჩხორი; ჭნ. ქურუმი (შდრ. ქვრიმა), ნჩხვაი, ნჩხვარი; მგრ.ღუმშუ, ღუმში ღუმშუ, ჩხვერი.		<p>მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახის ერთწლიანი 50–100 სმ სიმაღლის მცენარეა, ყვავის ივლის-აგვისტოში. გვხვდება როგორც კულტურული მცენარე, ასევე მარტოული როგორც სარეველა. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში, ყველა სუბტროპიკულ და ზომიერი კლიმატის ქვეწებში. იგი არის რელიქტური, ერთ-ერთი უძველესი კულტურა, რომელიც იდენტურია სხვა კულტურის მიერ დასავლეთ საქართველოში. შეიცავს აზოტოვან და უაზოტო ნივთიერებებს, ლიპიდებს, კუმარინებს. ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. ხალხურ მედიცინაში მისი ფაფა მზადდება დვინობები და გამოიყენება შესიებულ, ინფიცირებულ ადგილებზე გამოსარწყავად.</p> <p>„აზრუმელის ცნობარი“: მართალი კაცის სიყვითლისათვის. ღომის ქაფში მარილი ჩ(ა)ყ(ა)რე, ცხვირ პირზე გადუსვი სამჯერ ოთხჯერ. 21v;</p> <p>გის შობა გაუმნელედეს, და ვერ ეხსნას, გველის პერანგი მარჯვენას ფეხის ცერს, შეიძი თვით მოსული ღომი და მჭადი ასვი, ცხრა სკა(!) დაჭირებინე და სეი წყლით, კანძების რქა დ(ა)ფხიკე და ქვეშ უქმე კილამურას ძირი, ნიახურის ძირი, ასვი. წელზე ჯ(ა)დვარი შეცხე, საკმელი და ფქვილი სწორათ დაზიდე და ქვემოთ მუცელზე ამოსდევი, თხის რქა კბილში და(ა)ჭირვინე, მერმე მარჯვენას ბარკალს შეაბი, ხ(ა)რის ძირა კოჭსა შეაბი, დანაყილი კალმახი ასვი, ბუქში წყალი გა(ა)ვლე და ასვი. 46r-v.</p> <p>„კარაბადინი კარგი და მარგებელი“: გ(უ)ლმოვიწყისათ(გ)ს. ღომი მოიღე აპრ(ი)ლისა, გ(იდრ)ე ყ(ოვლა)დ გაწმეს, მოგალე წყლითა, შეასუ. 9r.</p>

9.	<b>ღორის ბირკა</b>	Xanthium strumarium L., X. orientale L.	ქ'ყ. ბირკა ნარი; იმ. ჯორფეხა, ბირკალია.		<p>რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის ერთწლიანი, 15–20 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ყვავის ივლის-ოქტომბერში. გვხვდება როგორც სარეველა სამხრეთ რაიონებში გზებზე, ნასახლარებზე, მდინარისა და არხების ნაპირებზე, ბოსტნებში. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, აზიაში, ციმბირში, ჩრდ. ამერიკაში, სკანდინავიაში. შეიცავს ცხიმოვან ზეთებს – 38–40,57%, იოდს, ასკორბინის მჟავას, ალკალოიდებს, კუმარინებს, გლუკოზას, ქოლინს, სესკვიტერებებს, ტრიტერებებს, კარბოქსიატრაქტილოზიდს და კარბოქსიატრაქტილაგს. ჩინეთის მედიცინაში გამოიყენება როგორც თვლმდენი, სიცხისდამწევი, სედატიური საშუალება. გამოიყენება ჩიყვის, რევმატიზმის, დამბლის, კეთრის, გაციქის საწინააღმდეგოდ. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება დიზენტერიის, შარდის ბუშტის ანთების, საყმაწვილო სქის, ქეცის, ყელის სიმსივნის, ასთმის, ბუასილის საწინააღმდეგოდ.</p> <p>„კარაბადინი კარგი და მარგებელის“ მიხედვით: <b>ბაილსირისათვს.</b> ღორ ბირკა მოთხარე რაო ოდენიცა გინდეს დანაყე დაწურე და კუტერცხისა ხეჭბითა სამსა დილავსა უზმასა ასუცმდი თკოოსა. და მრ(ა)ვ(ა)ლდარლუსა თესლი მონაყე და ხავიწად იქმოდეს და მ(ა)ს ჭამდეს და ერგოს. 10v;</p> <p><b>ბაგასირისა.</b> ღორის ბირკა, პიტნა – ბალახსა ჰქვიან. და იგი მოთხარე, რაო ერთიცა გინდეს დანაყე და გამოწურე, და კურცხის ხეჭბითა, სამსა დილ(ა)სა თკოოს (45ვ) სმოდეს და მრ(ა)ვ(ა)ლდარლუსა თესლსა მოანაყდეს, და ნუ გა(ა)თხელებს, და მ(ა)ს ჭამდეს და ერგოს. 45r–45v;</p> <p>„აზრუმელის ცნობარის“ მიხედვით: <b>ქვა რომ ქონდეს სასმელათ ქრისტეს სისხლა,</b> ღორის ბირკა, ბზის თეთრი ცილი, ღვინოში მოხ(ა)რშეთ თაგმოწეულათ, გა(ა)ცივე და ასვი. 12r.</p>
----	--------------------	--	--	--	---

1.	ყვითელი კოჭა, ზარდანჩო	<i>Curcuma longa</i> L.			<p>Zingiberaceae-ს ოჯახს ეკუთვნის. გარეულად მოზარდი აღარ გვხვდება. მისი გაშენება წარმოქბს ინდოეთში, ჩინეთში, იავაზე, ცეილონზე. ამ მცენარიდან სამკურნალოდ გამოსაყენებელია წვნიანი ფესურა, რომელიც შედგება ცენტრალური და გვერდითი დეროსაგან. ფესურას არომატული სუნი და მწარე გემო აქვს. მის შემადგენლობაში შედის ქურქუმინი, რომელიც წარმოადგენს ვანილის სუნის მქონე ყვითელ ფხვნილს და ეთეროვან ზეთს – ბაცი ყვითელი ფერის სითხეს.</p> <p>საქართველოში ზარდანჩო სოხუმში ხარობს და მიწაში კარგად იზამთრებს.</p> <p>ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ეს მცენარე გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: მამირონი ჩინი და მასფირი.</p> <p>ეს მცენარე გვხვდება როგორც გარეგანი საშუალება თვალის დაავადების მკურნალობისათვის (თვალში ჩასაყრელ წამლებში), სიქაჩილის სამკურნალოდ ხმარებული მალამოების შემადგენლობაში, აგრეთვე კბილისა და ღრძილების ტკიფოლის დასამშვიდებლად გამოსავლებ წამლად.</p>
2.	ყოჩივარდა, ყოჩივარდა ქართული	<i>Cyclamen</i> <i>vernun</i> Sweet	ქრთ., კხ. პაპი- ყვერა; სმხ. ვარდიყოჩა; მთ. პაპლაყვე- რა; რჭ., ლჩხ. კოჩიოტა, კა- წალ-კუტალა; ზმ. იმ. ქორჩი- ოტა, ქოჩიოტა, კორჩიოტა, კოჩიატა; ქვ- იმ., გურ. კვა- რაკუნჩა; ერწო, ტური- პროჭა; ზმ. აჭ. ყიყვის წამა- ლი; კბშტ. კოჩივარდა; ჭნ. კვარშილი, ქაცრა; მგრ.		<p>იგი ეკუთვნის ფურისულასებრთა (Prymulaceae) ბოტანიკურ ჯგუფს. ყოჩივარდა დაბალტანიანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება განიერი კვერცხისებური ფოთლებით, რომლის კიდეები მთლიანია და ზედა მხრიდან თეთრი ლაქებითაა მოფენილი, მისი ტუბერი ქვედა მხრიდან მიჭყდებილია და ცენტრში ფესვებითაა დაფარული. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ფუძესთან აქვს მუქი იისფერი წერტილი.</p> <p>გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ტყის ფერდობებზე, ბუჩქნარებში მთის ქვედა და შუა სარტყელში.</p> <p>ყოჩივარდის ახალი ტუბერი შეიცავს გლუკოზიდის მსგავს საპონინს – ციკლამინს, აგრეთვე ლეულოზინს, ცილიოზას, დექსტროზას, ჰენტოზას და პოლისახარიდ ციკლამოზინს, ხოლო ნედლი ყოჩივარდა შეხმაინია და სხვადასხვა ცხოველზე სხვადასხვანაირად მომწამვლელად მოქმედებს.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ყოჩივარდა ცნობილია უხსოვარი დროიდან. ცნობილია როგორც წყლულის, მთის ცვენის, რეგმატიზმის, თავის ტკიფოლის, ქოთაოს, გაუვალობის, შარდის შეკავების და სხვა დაავადებათა სამკურნალო საშუალება.</p> <p>ყოჩივარდა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სამკურნალო საშუალება ფრონტიტის, ჰაიმორიტის, პანსინუსიტის და სხვა ამგვარი დაავადებების</p>

			კარაპუნჩხა, ტყვარჩელია, ტკვარჩელია.		დროს. ყოჩივარდას წვენს ხმარობენ ცხენების ქოთაოს წინააღმდეგ, აგრეთვა ქათმის ჭირის წინააღმდეგ. ყოჩივარდას იყენებენ ჩიყვის დროს და კანის დაავადებათა სამკურნალოდ. აგრეთვე იყენებენ თამბაქოს სახით მოსაწევად თავის ტკივილის წინააღმდეგ.
--	--	--	---	--	--

1.	შავბალახა	<i>Leonurus quinquelobatus</i> Gilib.	კხ. ნაწერის ბალახი; ჯგ. კანაფა-ბალა- ხი, ძაღლა- ჭინჭარი, ძაღლჭინჭარო.		<p>ეკუთვნის ტუხოსანთა (Lamiaceae) ბოტანიკურ ოჯახს, აქეს დატოტვილი ღერო, ქვედა ფოთლები მოყვანილობით მომრგვალო-თათისებრი, 5-6-ნაკვთიანია, ზემო ფოთლები კვერცხისებრია, თანაყვავილები – კვლისებრ-სადგისისებრი, გვირგვინი ვარდისებრი, გარედან ბანჯგვლი-ანი, კაპლუჭები თეთრი ბეწვითაა შემოსილი.</p> <p>გავრცელებულია აზიაში, პიმალაის ჩათვლით, აღმოსავლეთ ციმბირში, კვროპაში, შუა სკანდინავიამდე, ხმელთაშუაზღვის ქავებისა და ჩრდი-ოეთ ამერიკაში. საქართველოში გვხვდება ბუჩქარებში, რუდერალურ ადგილებზე, დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – აფხაზეთში, იმე-რეთში, გურიაში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვედა ქართლში, ჯავახეთში.</p> <p>შეიცავს ალკალოიდებს, მორიმლავ ნივთიერებას, ეთერზეთებს, მწარე ნივთიერებას – ლეონურინს, როგორც ვალერიანას შემცველი, გამოიყენება ნერვული აგზებისას. მისი მოქმედება ორჯერ ჭარბობს ვალერიანის მოქმედებას, გამოიყენება აგრეთვე გულ-სისხლძარღვოვანი ნევროზის დროს, ჰიპერტონიის, გულის მანკის, ტვინის სისხლძარღვების სკლეროზის შემთხვევაში, აუმჯობესებს ძილს და ამცირებს თავის ტკიფილს.</p> <p>სალეური მკურნალები ახალგაზრდა მცენარის წვენს (შეიძლება აგრეთვე გამხმარი ფოთლები დაიორთქდოს და გამოიხადოს წვენი) იყენებენ გულის სუსტი მოქმედებისას, მსხვილი ნაწლავის ქრონიკული კატარის დროს, კუჭის სააზმისას, ნერვული შერყვევისას, შეშინებისას, როგორც ნერვული სისტემის დამაწყნარებელ საშუალებას.</p>
2.	შავთარა	Fumaria L.	ქრთ. დაჭრი-ლის წამალი; ჯგ. კაბბისა-წერება; მსხ. შუშუნა; ჭ. პამლა		<p>ეკუთვნის ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი 15–30 სმ სიმაღლის ბალახია, მისი ყვავილთანი ყვავილსაჯდომთან შედარებით 2–3-ჯერ მოკლეა. გვირგვინი 5–6 მმ სიგრძის მოწითალო-იისფერია.</p> <p>შავთარა გავრცელებულია არქტიკაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მთელ კვროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ხოლო შემდეგ სხვა კონტინენტებზეც შეიტანეს, ჩვენში, როგორც სარეველა მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებზე და ნათესებშია. გვხვდება აფხაზეთში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავებულერეთში, კახეთში, ჯავახეთში, მესხეთში.</p> <p>შეიცავს ალკალოიდ ფუმარინს, პროტოპინს, ფუმარმეტანს, ფისკ, ლორ-ჭის და მწარე ნივთიერებას. ახალ მცენარეს სუსტი ნარკოტიკული სუნი აქვს. გამხმარი უსუნოა, მწარე და ოდნავ მარილიანი გემოთი. შავთარას ასმევებ ნაყენების სახით კუჭის ფუნქციური მოქმედების გასაძლიერებ-</p>

					ლად, აგრეთვე ჩაის სახითაც. მისი დიდი რაოდენობით მიღება არ შეიძლება, რადგან დიდი რაოდენობით ალკალოიდი ფუმარინი ოპიუმის მსგავსად მოქმედებს.
3.	შავჩოხა	<i>Lycopsis orientalis</i> L.	ქრთ., ხეს. მბილა; ქხ. ყანის მხალი; ფშ. თიქნიყურა; მსხ. ქიცნარა; ზმ. იმ. ქათამბარეალა რჭ. ცისნარა, ქისნარა; ლჩხ. ქისუნარე; სვნ. მძღრდნილ		
4.	შავწამალა	<i>Scrophularia nodosa</i> L.	ქრთ. მედგარი; თშ. შავლახ- ტარა; ქვ. იმ. შავბალახა; გურ. შავგი- ორგა; ჩ. შავ- ფურცელა; მგრ. ბეჟანე, გერბეჟხა, გერბოჟხა, თიადორის ბალახი		<p>ეკუთვნის შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი 50–120 სმ სიმაღლის მრავალწლიანი, ფესურიანი მცენარეა ოთხწახნაგოვანი დეროთი. ფესურა შედარებით მოკლე და ბოლქვისებურად გამსხვილებულია (ცრუბოლქვი). ნაპირებში ორმაგხერხებილა, წაგრძელებულ კვერცხისებრი ფოთლები დეროზე ერთიმეორის მოპირდაპირედ ჯვარედინადა განლაგებული. მოყვისფრო მწვანე ყვავილები კენჭრულ მეჩხერ საგველადაა შეკრებილი. ყვავის ივნის-ივლისის თვეებში. შხამიანი მცენარეა. განსაკუთრებული ტოქსიკურობით მისი ფესურა გამოირჩევა.</p> <p>იზრდება ნეხტიან ადგილებში ტყის კალთის ქვეშ, ტყის გზებისა და ნაკადულების პირას. გახვდება უფრო ხშირად წიფლნარებში, ნაძვნარსოჭნარებში, ტყისპირებში, არხების პირას და სხვ.</p> <p>ხალხური მედიცინა სამკურნალოდ ფესურებს იყენებს უძილობის, თავის ტკივილის, ეგზემის, ჩიუვის, მდერის (მუნის) და სხვა დაავადებების წინააღმდეგ. აფხაზები მკურნალობენ თირკმლებს, ხოლო ჩინეთში იყენებენ კაბოს საწინააღმდეგოდ.</p>
5.	შავჯაგა, ჯდარდალა	<i>Rhamnus pallasii</i> F. et N.	ქრთ. კენკრა, არჯმანუკი, პრაწა-პრუწა; ქზყ. ჯდარდა- ლა; ერ. უდო; ექმანიკი (ხალხ. სიტყ);		<p>მიეკუთვნება ხეჭრელასებრთა (Rhamnaceae) ოჯახს. 1,5–2 მ სიმაღლის ბუჩქია. გვხვდება მშრალ, მზიან ქვიშნარ, ქვიან და კლდოვან ფერდობებზე და მთისწინა ზოლში, კლდის ნაპრალებში 1500 მ ზღვის დონიდან. გაგრცელებულია კავკასიაში, გარდა ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილისა, მცირე აზიაში, ქურთისტანში, ირანში.</p> <p>შეიცავს კაროტინს და კაროტინოიდებს, ვიტამინ E, ცხიმოვან მჟავებს,</p>

		სბ. არჯმანიკი		<p>ფლავონოიდებს: კემფეროლი, იზორამნეტინი და კვერციტრინი; გლიკო-ზატებს, ოქსაიმეთილანტრაქინონს, ფრანგულონს, ფრანგულქმოტინს, ქრიზოფანოლს.</p> <p>თანამედროვე მედიცინასა და ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც მსუბუქი სასაქმებელი საშუალება.</p> <p>„კარაბადინი კარგი და მარგებელი“ ამ მცენარეს იხსენიებს სინონიმით არჯმანიკი.</p> <p><b>ტყირბისათვს.</b> არჯმანიკის ძირი ერთსა დღესა შეგბოლე თეთრითა დანითა და წელი მაგრად შეიკრნეს, და სამსა ლ(ი)ლ(ა)სა შეასპ, და დაიხუროს კარგად. 14r;</p> <p>„აზრუმელის ცნობარში“ შავჯაგა იხსენიება სინონიმით „უდო. უბრალოთ რომ კაცი გასივდეს, წითელი მიწა წ(ა)უსვი. თუ უფრო გასივდეს ჯადვარი, ჯ(ა)ოზი, თეთრი სანდალი, უდის ხე, თიახვ(ა)რუხი კაის დვინოში გალესე და თბილთბილი წაუსვი. მაგრ(ა)დ იმითი ფერდები შეუკარ, სიმსივნესაც და(ა)ცხობს, ტეხ(ა)საც და უამებს. 19v.</p> <p><b>სიმჭლისათვინ.</b> დედალ მამ(ალი) ჯ(ა)ოზი, დედალ მამალი უუფ(ა)ლი, უდის ხე, თეთრი სანდალი. ესენი კედელი კაის დვინოში გალესე. იმაში ოშოშა დან(ა)ყე და შიდ გამოჭყლიტე, მოადულე და გაზილე, აკვანში რომ დაწვეს იმ დროს გაზილე და დააწვინე. მაშინვე მეტათ ნუ დ(ა)ახურ(ა)ვ, თუ თფლი სდის შეაშრება, თუ არ სდის ედინება. 26r–26v;</p> <p>თუ შვიპდეს და ხელი და ფეხი უსივდეს დედალ მამ(ა)ლი ჯ(ა)ოზი, დედალ მამალი უოფლი, უდის ხე, თეთრი სანდალი ან ქ(ა)რგს დვინოში, ან ვარდის წყ(ა)ლშიდ გალესე, ასე გალესე, რომ მისი ფერი არ ქონდეს. თუ სულ შვიპდეს თ(ა)ვით ფეხ(ა)მდი გაზილე, თუ არა და ხელს და ფეხზე წ(ა)უსვი, დილასა და საღამოს. 27v–28r.</p>
--	--	---------------	--	--

6.	<b>შალამანდილი</b>	<i>Salvia glutinosa L.</i>	<p>ქრო., ფშ. წებოვანა; ფშ. თაფლანა; იმ., გურ. ქურჩუმე- ლა; რჭ. შარა- მანდილა; აჭ. ფურჩუმელა; ჭხ. ფორჩუმა- ლე; მგრ. ფურჩუმალე, ქუმანია; სვნ. ფიონ ცხვილ; ნ.კ. ტყის წებოვანა</p>	 <p><small>Photo copyright Henriette Kress http://www.henriettesherbal.com</small></p>	<p>ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახში შედის. 50–150 სმ სიმაღლის ოთხწახნაგოვან-დეროიანი მცენარეა. მისი 3–4 სმ სიგრძის, დეროს ზედა ნაწილში მტკენისმაგვარ ყვავილედად თანამოყრილ ყვითელ ყვავილებზე დაკვირვებით მუქი ფერის პატარა ლაქები შეიმჩნევა. ყვავილი ორტუჩიანია. ქვედა ტუჩი თავის მხრივ ორადაა გაყოფილი. ზედა კი მთლიანი და რამდენადმე მოღუნულია. თხელი, დიდი ზომის გულისებრ-ისტისებური ფოთლების ფირფიტები კიდედაკბილულია, დეროს შეა და ქვედა ნაწილში განლაგებული ფოთლები შედარებით უფრო დიდი და გრძელეუნწინია, ზედა ფოთლები ჩვეულებრივ პატარა ზომისაა. მისი დეროს კენტრული ნაწილისთვის დამახასიათებელია წებოვნება, რის გამოც ხელს ეკვრება.</p> <p>ყვავის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე ტენიანი ადგილების მცენარეა, თუმცა ზოგან შედარებით მშრალ ადგილებზეც სახლდება. გხევდება უმთავრესად ტყებში (ნაძნარ-სოჭნარები, წიფლნარები და სხვ), ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. თაფლოვანი მცენარეა, ამასთან საქმაო რაოდენობით შეიცავს ეთერზეთს, ფოთლებისაგან ამზადებენ წყლიან და სპირტიან ნაჟენებს.</p> <p>ხალხურ მედიცინაში მთელ მცენარეს იყენებენ გულმკერდის არეში ტკიფილების დროს, აგრეთვე კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ნედლი ან მდუღარე წყლით დათუთქული ფოთლების დაფენით ჩირქოვანი მუწუკების განკურნების საუკეთესო საშუალებას.</p>
7.	<b>შამბალილა ულბო</b>	<i>Trigonella foenum-graecum L.</i>			<p>პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახს ეკუთვნის. ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. დაახლოებით 50 სმ სიმაღლის მქონე, სწორი, ნაკლებად დატოტვილი ღრუ დერო აქვს. ფეხვი თითოსტარისებრია, ხოლო ფოთლები სამფოთოლაკიანი. თითოეული ფოთოლაკი მოგრძო კვერცხისებრი ფორმის ან ლანცეტია და შებუსვილია უხვად. ფოთლის იღლიაში მოყვითალო თეთრი ფერის 1–2 ყვავილია მჯდომარედ მოთავსებული. ნაყოფი ხაზურაა – 7–12 სმ სიგრძისა, ხოლო მომწიფებული თესლი რუხი ყვითელი ფერისაა. ულბო ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისათვის არის დამახასიათებელი. მისი კულტურა წააგავს ანისულის, დიდიკამის და სხვ. სამკურნალოდ მის თესლს ხმარობენ, რომელიც შეიცავს 30% ცილას, 6% ცხიმოვან ზეთს, ალკალიოდ ტრიგონელინს და სხვ.</p> <p>მკელ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში ეს მცენარე შემდეგი სახელწოდებებით გვხვდება: ულბოთა, შამბალილა, პილოვნი; ულბოს თესლს ბოლ ეწოდებოდა.</p> <p>სამკურნალოდ იხმარებოდა ულბოს თესლი, ზეთი, წვენი, ფარილი,</p>

					<p>წეალი და სხვ.</p> <p>ულბოს თესლისაგან მომზადებულ წამალს თვალის ზოგიერთი დაავადების დროს თვალში აწვეობდნენ ავალმყოფს.</p> <p>ულბოს ფქვილიდან მომზადებულ მაღამოს ხმარობდნენ შესივებულ ადგილზე წასასმელად, ულბოს დიდი რაოდენობით მიღებას არ ურჩევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მას შეეძლო შარდის შეკავების გამოწვევა.</p> <p>მედიცინაში ამჟამად ულბო იხმარება ჭიებით დაავადების სამკურნალოდ.</p>
8.	შვიტა	Equisetum L.	ქრთ. მუხლა, ნაწყვეტა; ქხ., იმ. ცხენისძუა, ჯორისძუა; ხეს. ბორბალა; მხვ. ტრიალა; მსხ. თოფისა- ხოცელა; რჭ., ლჩხ., იმ. დათ- ვიფანჩარი, ვირიძუა, მონაძუა; ზმ. იმ. ცხენისძუა; ინგ. ყირხ ბუ- ლუმ; აჭ. ნაძვა- ბალახა; მგრ. თუნთიში ჭემი, დემიში ჭემი, მაჭყვა- დური; სგნ. ბაზალდ.		<p>ეკუთხნის შვიტასებრთა (Equisetaceae) ბოტანიკურ თჯახს. მისი შავი ფერის ფეხვურები ქმნიან ერთგვარ მარყუჟისებრ კუთხებს, სადაც ჩვეულებრივ პატარა ტუბერაკები წარმოიქმნება. სანაყოფებ დეროს კენწერო ბოლოვდება კონუსისებური ფორმის თავთავით, რომელშიც რამდენიმე სპოროფილია. თითოეული სპოროფილი ივითარებს სპორანგიუმებს. ნამდვილი შვიტა ვითარდება ზაფხულში, იგი მწვანე ფერის, ცილინდრული ფორმის დამუხლული მცენარეა, უნაყოფო დეროები სიმაღლით ნახვარ მეტრს აღწევს, შვიტას ეს სახეობა საქმაოდა გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით ნეციან ადგილებში, ჭაობების ნაპირზე, გუბებთან, მდინარის ნაპირას, როგორც დაბლობ, ისე მთის შუა სარტყელში, განსაკუთრებით ჩამონაზვავებ ადგილებში.</p> <p>შვიტა ხარობს მეტწილად ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ეკვატორზე, ჩვენში, ტენიან მდელოებზე, წყლით მოსილულ ნაპირებზე, ნაოქებში დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე – აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, ორიალეთში, ჯავახეთში.</p> <p>შვიტა მეტად შხამიანი მცენარეა, ამიტომ მას საქონელი არა ჭამს. ქართულ ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ როგორც შარდმდენ საშუალებას, ასევე იგი ცნობილი (Herba Equiseti) მეცნიერულ მედიცინაში. გვიან ზაფხულში აგროვებენ მთლიან მცენარეს და აშრობენ.</p> <p>შვიტას რამდენიმე სახეობა არსებობს: <i>Equisetum silvaticum</i> L., <i>Equisetum pratense</i> Ehrh., <i>Equisetum maximum</i> Linx., <i>Equisetum hiemale</i> L. შვიტას ყველა სახეობის ქიმიური შემცველობა ასეთია: 22,6% – წყლიანი ექსტრაქტი, 6,6 – ალკოჰოლუქსტრაქტი, 2,5% – მეთილალკოჰოლუქსტრაქტი, 4,4% – ქლოროფილმექსტრაქტი, 1,3% – აცეტონექსტრაქტი, შეიცავს 16,1–17,6% – ნაცარს, გარდა ამისა, შვიტა შეიცავს 7,4%-ს <math>\text{SiO}_2</math>-ს აკონიტისა და ოქსალმეჟავებს, 5% საპონინს – ექიზეტონინს და შაქარს. ალკალოიდები მასში შერევლი სახითაა მოცემული. დანარჩენი ნივთიერებებიდან</p>

					<p>ადსანიშნავია სილიციუმშევავა, რომელიც ახლად შეგროვილ მცენარეში 3,2–6,2%, ხოლო გამშრალ მცენარეში – 5,2–7,8%; იგი შეიცავს აგრეთვე ალუმინიუმს და კალიუმქლორიდს.</p> <p>შვიტას იყენებენ თირკმლების დაავადების და ბუასილის სამკურნალოდ. ასკილის ნაყოფის და წითელი სიმინდის ულვაშისა და შვიტას ნახარშს ასმევენ ძნელი შარდვის დროს, თირკმლის კენჭოვანი დაავადებისას კი აძლევენ შვიტას ნაყენს ნიახურისა და სიმინდის ფოჩის ნახარშთან ერთად.</p>
9.	შვრია	Avena sativa L.	ხვს., მსხ. სულა; მსხ., აჭ. ულაფი		<p>მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახის მცენარეა.</p> <p>შვრია შეიცავს სახამებელს, ცილებს, ცხიმებს, ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, E), ამინომჟავებს, მინერალურ ნივთიერებებს, სტერინებს, ორგანულ მჟავებს. იგი მაღალკალორიული, ადვილად მოსანელებელი დიეტური პროდუქტია. გამოიყენება კუჭ-ნაწლავის მწვავე ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ. შვრიის ნახარში თაფლობა ერთად არის ძალდონის მომგვრელი საშუალება და ამიტომ ესირად ასმევენ დასუსტებულ, ნაავადმყოფარ ადამიანს. შვრია ამცირებს ქოლესტერინისა და სხვა ლიპიდების შემცველობას სისხლში, სასარგებლობა ათეროსკლეროზისა და ლიმფლის დაავადების დროს.</p>
10.	შინდი	Cornus mas L.	ქრთ., ქხ. შვინდი; ინგ. შენდ; ჭხ. კიზილჯუდი; მგრ. ბბგირი; სვნ. შვინდ.		<p>შინდისებრთა (Cornaceae) ოჯახის წარმომადგენელია. შინდი ბუჩქია, მაგრამ ზოგან 8 მეტრამდე სიმაღლის ხედაც იზრდება, ნაცრისფერ-მომწვანო ტოტებით, რომლებზედაც ერთიმეორის პირისპირ განლაგებულია ელიფსური, კვერცხისებრი ან ლანცეტი კიდემთლიანი ფოთლები, რომელთაც 3–5 გვერდითა რკალისებრი ძარღვი აქვთ, ფოთლის სიგრძე 10 სმ-მდე აღწევს. ყვავილედის ძირში გარშემო განლაგებულია 4 სიფრიფანა ფოთლობაკიანი საბურველი. ყვავილი ყვავილები ბუჩქის შეფოთვლამდე იშლება.</p> <p>ნაყოფი კურკიანია, წითელი. დასაწყისში მწალარტე, შემდგომ კი მომჟავო-ტებილი. ყვავის ადრე გაზაფხულზე, უფრო ხშირად მარტში, მთაში კი აპრილში. ნაყოფი აგვისტო-სექტემბერში მწიფდება. მრავლდება თესლით და ვეგეტაციურადაც, ცოცხლობს 250 წლამდე. შინდი გაცილებით დიდი რაოდენობით გვხვდება ბარში, მაგრამ არცოუ იშვიათად გვხვდება იგი მთაშიც 1500 მეტრამდე სიმაღლეზე ზღვის დონიდან.</p> <p>შინდის ნაყოფი 10% შაქარს, 2–3,5% ორგანულ მჟავებს და 55 მგ% ვიტამინ C-ს შეიცავს. გამოიყენება გარებისა და კომპოტის, ხილფაფისა და მარმელადის, გამაგრილებელი სასმელებისა და ლიქორის დასამზადებ-</p>

					<p>ლად. ნედლ და ხმელ ნაყოფებს იყენებენ როგორც საწებ-სანელებელს ხორციანი კერძებისათვის.</p> <p>მერქანში, ქერქსა და ფოთლებში დიდი რაოდენობითაა მთრიმლავი ნივთიერებები, რომელიც ტყავს თრიმელის პროცესში უვითლად ღება-ვენ, ქერქსა და ფოთლებს ქსოვილების შესაღებადაც იყენებენ. საუცხოო თაფლოვანი მცენარეა, ამ მხრივ შინდის შინდენელობა იმითაა დიდი, რომ იგი ადრე გაზაფხულზე უმასპინძლდება ფუტკარს მიმზიდველი ნექტრით. შინდი ფართოდ კულტივირებული მცენარეა.</p> <p>ნაყოფი შეიცავს პექტინებს, მოქმედებს შემკვრელად ფალარათობის დროს, გამოიყენება ჩაის სახით: 8–10 გ ხმელი ნაყოფი ერთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალზე (სადღედამისო), რეკომენდებულია ფალარათობისა და კუჭში სისხლჩაქცევის დროს.</p>
11.	შირბახტი ქუნჯუტი	Sesamum indicum L. (=S. orientale L.)	სიმსიმი, ერ. გუნჯუტი		<p>ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში მოხსენებულია აგრეთვე ქუნჯითის, შუშმის, სუზბის, სიმსიმის სახელწოდებებით. გვხვდება სახელწოდება თეთრი ქუნჯითიც.</p> <p>სამკურნალოდ იხმარებოდა ქუნჯითის, ანუ შირბახტის ზეთი. ამ ზეთს საჭმელ შიც ხმარობდნენ. სამკურნალოდ იყენებდნენ მის ფოთოლს და ფოთლის წყალს. ეს უკანასკნელი გახვდება უმთავრესად თმის ცვენისას და ქერტლის წინააღმდეგ ხმარებულ თავის საბანი წამლების შემაღებლობაში. ზეთს ხმარობდნენ აგრეთვე მალამოების შესაზელად, მტკიცნებულ ადგილების დასაზელად, მტკიცნებულ ყურში ჩასაწვეთებლად და სხვ.</p> <p>მის კულტურას მშრალ სუბტროპიკებში მისდევენ.</p>
12.	შმაგა, კაფასიური ბელადონა	Atropa caucasica Kreyer (შდრ. ბელადონა)	ქრთ. დევსურა; ჩ. დევსურავანდა, დევცეცხლა; ფშ. გიჟანა; ერწო საგიუებელა; კხ., ფშ. ჩოფის ბალახი; რჭ. ლექმა; ზმ. რჭ. შავბალახა; სენ. მატატა.		<p>აღლურებნასებრთა (Solanaceae) ოჯახს ეკუთვნის. შმაგა მრავალწლიანი, დატოტგილი მსხვილფეხურიანი, 1–2 მ (იშვიათად 3 მ) სიმაღლის მცენარეა. მის ზედა ნაწილში, უხვად დატოტგილი, სწორმდგომი, მწვანე, ზოგჯერ მოიისფრო ელფერის დერო უხვადაა შეფოთლილი. დეროს ქვედა ნაწილის მოკლეებულწიანი, განიერი, მოგრძო კვერცხისებრი ელიფსური, კიდემთლიანი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. კენტრული უფრო მოკლე უუნწიანი ფოთლები კი წყვილ-წყვილადაა განწყობილი, რომელთაგან ერთი ჩვეულებრივ უფრო დიდია მეორესთან შედარებით.</p> <p>გრძელყუნწიანი, მდვრიე სოსანის ფერის, თავზაქინდრული, ზარისებრი ყვავილები მთელს ვარჯშია გაბნეული დეროს განტოტებებსა და ფოთლების იღლიებთან სათითაოდ ან რამდენიმე ცალიან ჯგუფებად.</p> <p>კვავილის ხუთ ნაწილად გაყოფილი ჯამის თითოეული ნაკარითი გრძლად</p>

					<p>წაწვეტილი ან კვერცხისებრია, დაყვავილების შემდეგ ჯამი ნაყოფის ძირშივე რჩება.</p> <p>ნაყოფი ქვემოდან ოდნავ შებრტყელებული, მოიისფრო-შავად მბრწყინავი წვნიანი კენკრაა. ყვავის იგნისიდან შემოდგომამდე, ნაყოფის სიმწიფე ივლისიდან იწყება.</p> <p>გვხვდება როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი ტყეებში, მაგრამ უფრო ხშირად წიფლნარ ტყეებშია, მცირე ფართობიან ყალთაღებსა და ნაკადულების პირას.</p> <p>მედიცინაში გამოიყენება ფოთლები, მთლიანი ან დაჭრილი ბალახი და მიწისქვედა ნაწილები.</p> <p>შხამასაგან დამზადებულ პრეპარატებს მეცნიერული მედიცინა ძალიან ფართოდ იყენებს ტკიფილების გამაყუჩებლად კუჭისა და თორმეტბოჭა ნაწლავის წყლულის, ნაღვლის ბუშტის ჩირქოფინი ანთებისა, ნაღვლის ბუშტის და თირკმლების კენჭოვანი დავადგებების დროს. იგი ცნობილი ზელენინის წვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.</p> <p>ხალხურ მედიცინაში შმაგა გამოიყენება უმთავრესად ასთმისა და სოკოთი მოწამვლის შემთხვევებში.</p> <p>შმაგა ძლიერ შხამიანი მცენარეა, წამლავს მსხვილფეხა რქოსან საქონელსა და ცხენს. 120–180 გ გამხმარი ბალახის შეჭმის შემთხვევაში ცხენი გარდუვალად იწამლება.</p>
13.	<b>შოთხვი</b>	Padus racemosa (Lam.) Gilib.	ქრთ. უცნობელა; ხეს., ფშ. შოთხი; სენ. გუგლუ, მანჯ; ყ. თურსა; მხვ. შონთხაო.		<p>გარდისებრთა (Rosaceae) ოჯახში შედის, მაღალი ბუჩქია, ზოგან კი დაბალტნოვანი ხედაც იზრდება 2–10 მ სიმაღლით. ხშირტობებიანი გარჯის შემადგენელი ტოტები მოყავისფრო, მოთეთრო-მოკვითალო მეჭეჭებით მოფენილი გლუვექერქიანია, ყვავილებს, ფოთლებსა და ქერქს ამიგდალინის თავისებური სუნი აქვთ, რაც ძალიან კარგად შეიგრძნობა მათი თითებშორის გასრენით. ღერო დაფარულია მოშაო ნაცრისფერი დამსკდარი ქერქით. ფოთლები მოხაზულობით ელიფსურია 10 სმ-მდე სიგრძით, განიერსოლისებრი ან მომრგვალებულ ფუძით და მოკლე წვეტით, კიდეები წვრილად დაკბილულია, კბილები მოწითალო-ნაცრისფერი ჯირკვლებით ბოლოვდება. ფოთლის ფირფიტა ზემოდან რამდენადმე დაჭმუჭინილი შესახედაობისაა, ქვემოდან კი ნათელი ნაცრისფერი. ფრიად არომატული, ნექტარით მდიდარი თეთრი ყვავილები, 12 სმ-მდე სიგრძის თავჩაქინდრულ მტევნებშია შეკრებილი. შავი ფერის ნაყოფი ერთკურქიანია, ხორცოვანი მწკლარტე რბილობით, ყინვანაკრავი სასიამოვნო მომზადებულ გემოსია და ხალისით იჭმება.</p> <p>მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყარით და კალმებით. ყვავის მაის-</p>

				<p>ივნისში, ნაყოფი მწიფდება ივლისიდან დაწყებული სექტემბრის ჩათვლით.</p> <p>საქართველოში მთის ზედა და შუა სარტყლის ტყეებსა და ტყისპირებზე იზრდება აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთსა და ჯავახეთში. უფრო ხშირად ზღვის დონიდან 1200–1250 მ სიმაღლეზე გვხვდება.</p> <p>შოთხვის ნაყოფი შეიცავს 5%-მდე შაქარს, ბევრ მთრიმლავ ნივთიერებებს, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს, ფლავონოიდებსა და ეთერზეთს. სმელი ნაყოფის ფხვნილი საუცხოო არომატსა და გემოს აძლევს დგგზელს.</p> <p>მთრიმლავი ნივთიერებებით სიმდიდრის გამო, ნაყოფს შემკვრელ საშუალებად იყენებენ კუჭაშლილობის დროს.</p> <p>სალხური მედიცინა შოთხვის ქერქს იყენებს როგორც დიურეზულ, ოფლმომგვრელ და შემკვრელ საშუალებას. ფოთლების ნაყენს ზოგჯერ ფალარათიანობის და ბრონქიიტის დროს იყენებენ. ყვავილების ნაყენს კი ნივთიერებათა ცვლის მოშლისას, ხოლო მცენარის ყველა ნაწილს იყენებენ ანემის (სისხლნაკლულობის) და ლორწოვანი გარსის ანთებისას.</p>
14.	შოკოლადის ხე, კაკაო, კაკაოს ხე	Theobroma cacao L.		 <p>ოჯახი ხემაგარასებრნი (Sterculiaceae), ტანმორჩილი 5–8 მ სიმაღლის მარადმწვანე ხეა, ფოთლები დიდია 1 მ-დე სიგრძის, მუქი მწვანე, პრიალა, კიდეგმთლიანი. ყვავილები წერილი, ვარდისფერი ან მოწითალო-ყინული, შეკრებილია ხახვარქოლგებად. ისინი დამოუკიდებლად გამოდიან დეროდან, სქელი ტოტებიდან და ფესვების ამონაყარიდან (ყლორტებიდან), ე.ო. მცენარეს ახასიათებს კაულიფლორის მოკლენა, რასაც უმეტესად ტროპიკების ბინადარ მერქნიან, ფარულოების სახეობებში ვხვდებით. ნაყოფი 15–25 სმ სიგრძის კოლოფია, სქელანიანი, უოლოსფერი, 10 გასწვრივი კვალით. ნაყოფი კიდია უშუალოდ ხის დეროზე ან კვედა ტოტებზე. მის მოქავო, მოტკბო რბილობში პორიზონტალურ 5 წყებადაა განლაგებული 20–30, ზოგჯერ 50-მდე თესლი. მცენარე ყვავილობას იწყებს მე-3 წელს, ნაყოფიანობას – მე-5 წლიდან და გრძელება 25–50 წელი. მცენარე ყვავილობს და ნაყოფიანობს მთელი წლის განმავლობაში. თითოეული ხე წელიწადში საშუალოდ ისხამს 20–50 ნაყოფს, რაც 2–4 კგ თესლს იძლევა.</p> <p>შოკოლადის ხის სამშობლოა მექსიკის ყურის სანაპიროები და სამხ. ამერიკა. იზრდება ტენიან ტროპიკულ ტყეებში: კოლუმბიაში, ვენესუელაში, ეკვადორში, გვიანაში, განსაკუთრებით ჩრდ. ბრაზილიაში. იგი გავრცელებულია აგრეთვე ჩრდ. აფრიკაში, ინდოეთში, ინდონეზიაში. ჩვენს პირობებში მისი ზრდა-განვითარება ფაქტიურად შეუძლებელია,</p>

					<p>რაღგან <math>+15^{\circ}\text{C}</math> ტემპერატურაზე მცენარე უპვე იღუპება.</p> <p>თესლი შეიცავს მყარ ცხიმს 50–55%-ს, პურინულ ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს: ვაშლის, ლიმონის, ლვინის, მჟაუნის; ნახშირწყლებს: სახამებელს, გლუკოზას, ფრუქტოზას; ცილებს 10–12%, ფიტოსტერინს, ეთეროვან ზეთს, ბევრ ფერმენტს, მიკრო- და მაკროელემენტებს, მათ შორის K, P, Mn, Fe, Cu.</p> <p>კაკაოს ცხიმი დია ყვითელი ფერის მყარი მასაა, სასიამოვნო სუნის, ლილება 34–37°C-ზე, ე.ი. ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე. ფაქტიურად ამაზეა დამყარებული მისი გამოყენება მედიცინაში. ცხიმი ნელა მბალდება და თეთრდება. იგი შედგება ოლეინის (43%), სტერინის (34%), პალმიტინის (25%), ლინოლის (2%), ლაურინის და არაქინის მჟავების ტრიგლიცერიდებისაგან. ცხიმის ოდის რიცხვია 27–42, გამყარების ტემპერატურა <math>20\text{--}27^{\circ}\text{C}</math>, მჟავური რიცხვი 2,25.</p> <p>კაკაო და შოკოლადი ძვირფასი და მაღალკალორიული საკვები პროდუქტებია. შოკოლადის წარმოებისათვის სხვადასხვა რეცეპტურით უმატებენ კაკაოს ცხიმს, შაქარს და სხვა ინგრედიენტებს.</p>
15.	შორგალა	<i>Cynanchum scandens</i> (S. et L.) Kusn.	ლჩხ., იმ. შარგალე; მგრ. შარვარე; ჭნ. ჯოდორ ბინეხი.		<p>შორგალა ასკლეპიასებრთა (Asclepiadaceae) ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა, 150 სმ სიმაღლის, გრძელი წამახვილებული ფოთლებით. კრცელდება მთის შუა სარტყელამდე, მეტწილად ბუჩქნარში და ტყის პირებზე, აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, კახეთში, ქიზიუში, გარე კახეთში, მესხეთში. ძლიერ შხამიანი მცენარეა.</p> <p>ფშავლები შორგალას ფესვების ნახარშს სვამენ საყმაწვილოს წინააღმდეგ. დიდ ჯიხაიშსა და ცაგერში შორგალათი მოშხამულ ძროხებს ქურნალობენ.</p>
16.	შროშანა	<i>Convallaria majalis</i> უმთავრესად <i>C. transcaucasica</i> Utk.	ქრთ. დათვიყანა, დათვისიმინდი, ტყის სიმინდი; რჭ. მკვდრის ყევვილი; ჩ. ვარდშროშანი.		<p>შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახიდანაა. იგი 15–30 სმ სიმაღლის სურნელოვანი, მრავალწლიანი, ფესვებიანი მცენარეა წვერმოხრილი, წახნაგოვანი საყვავილე ღერო ძირში შემოხვეულია გამჭვირვალე მილისებრი ვაგინით. ფესურიდან ხშირად ორი ფოთოლი ამოდის, მაგრამ სამფიოთლიანი ეგზომპლარებიც გვხვდება. ფოთლის სიგანე 5–10 სმ-ია, ფორმით მოგრძო-ელიფსური, რაგადისებრი ძარღვებით, ბოლოში წაწვეტიანებულია. საყვავილე ღეროს კენწეროში მტევნად შეკრებილი, მათვრი სურნელების, თეთრი, თავზაქინდრული ყვავილები ცალ</p>

					<p>შხარესაა მოქცეული. ოეთრყვავილსაფარს ზოგჯერ შიგნიდან შკრთალი იისფერი ზოლები გასდევს.</p> <p>უვავის აპრილ-მაისში. დაყვავილების შემდეგ უგითარდება ბურთივით მრგვალი, ნარინჯისფერი, კენკრა ნაყოფი. იზრდება უმთავრესად ტყეებსა და ბუჩქნარებში.</p> <p>შხამიანი მცენარეა, მაგრამ რადგან იგი ხშირ ტყეებსა და ბუჩქნარებშია გავრცელებული, ძნელად მისაწვდომია საქონლისათვის, ამიტომ ჩვენში საქონლის მოწამვლის შემთხვევები მეტად იშვიათია, ან თითქმის სრულებითაც არ აღინიშნება.</p> <p>უხსოვარი დროიდან და ამჟამადაც მედიცინაში ფართოდ გამოიყენება შროშანას ფოთლების ნაყენი. ფოთლებში აღმოჩენილია კონგალიატოქსინი, გარდა ამისა, კიდევ რვა ნივთიერებას მოიცავს, რომელთაც გულზე ზემოქმედების თვისება გააჩნიათ. ფოთლებში მოიპოვება აგრეთვე კაპილარებგამმაბრებელი, ანთების საწინააღმდეგო და სისხლძარღვებგამაბანიერებელი მოქმედების ნივთიერებები.</p> <p>შროშანას გამოყენებისას აგადმყოფებში აღინიშნება გულის კუნთის კუმშვის რიტმის შენელება, პულსის ავსების გაუმჯობესება, შეგუბების მოვლენების, ციანოზის და სულის ხუთვის შემცირება, აგრეთვე დიურეზის მომატება. შროშანას პრეპარატები ყველაზე დიდ აქტიურობას ვწაში შეყვანისას ამედავნებენ. მისი გლიკოზიდები სტროფანტინის მსგავსად გულზე შერჩევითი მოქმედებით ხასიათდებიან, მათგან ყველაზე აქტიურია კონგალატოქსინი.</p>
17.	ჟტოში	Oxycoccus quadripetalus Gilib. (=O. palustris Pers.)			
18.	ჟქერი	Rhododendron ponticum L.	ქ. რჭ. ლეშეკ-რი; ზმ. რჭ. ლეშკი; ზმ. იმ. კვალიშვილი; ლჩე. ქგერი; ჭნ. მშქერი; მგრ. ფშქერი; სვნ. შგერი, შგორი; ჩ.		<p>მანანასებრთა (Ericaceae) ოჯახიდანაა. მარადმწვანე ბუჩქი ან დაბალი 3-6 (8) მ სიმაღლის ხეა მოყავისფრო ქერქით. ყლორტები მწვანე ქერქიანია. 9-27 სმ სიგრძის, 4-7 სმ სიგანის, ბოლოწვეტიანი, ფუძეშევიწროებული, წაგრძელებულ-ელიფსური, სქელი ტყავისებრი, კიდემთლიანი, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან ბაცი ფოთლები ტორებზე მორიგეობითაა განლაგებული. მოწითალო-სოსანი ყვავილები, ტორების დაბოლოებებზე ქლდგისებრ თანაყვავილედედებადაა შეკრებილი. ხუთსაგდულიანი, შეუბუსავი, ცილინდრული კოლოფა ნაყოფის სიგრძე</p>

			სარაგვავი ჭყორი		<p>1,5 სმ-მდე აღწევს, 1000 ც თესლის წონა 0,8 გ-ია. ყვავის აპრილ-მაისში, მაღალ მთებში კი – ივნის-ივლისში, მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყარით და გადაწვენით. ტიპიური მეზოფიტია, კარგად იზრდება ნესტიან ნოყერ ნადაგებზე, მართალია, ნორმალურად შედარებით თბილ ზონაში იზრდება, მაგრამ აჭარასა და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში არცოუ იშვიათად კარგად შეკრულ რაყებს ქმნის ზღვის დონიდან 2200 მ-მდე სიმაღლეზე.</p> <p>სამედიცინო პრაქტიკაში შეერის ფოთლები გამოიყენება. მისი ნაყენი და ფოთლისაგან მიღებული ახალგალენური პრეპარატი გულზე ფუტკარას ჯგუფის გლიკოზიდებისებურად მოქმედებს, ადიდებს გულის კუმშვის ძალას და გულის რიგმს ანელებს. აღგზნებულ ცენტრალურ ნერვულ სისტემას აწყნარებს, ამასთან ბაქტერიოლიგიური თვისებაც გააჩნია. სალეური მედიცინა ფოთლებს რეგმატიზმის, ნიკრისის ქარის დროს და საგულე და შარდმდებ საშუალებად იყენებს.</p>
19.	შხამა	Veratrum lobelianum Bernh.	ქვ. ქრო. ას-ლიფარა; ჯვე., მსხ. აპუტარა-კი; ხეს., თშ. შხამა; მხვ., მთ. ჩხამა; მთ. რჭ. შხამი; იმ. აბუდრა-კი; რჭ., ლჩხ. აპუნტრა-კი; გურ. ხაპუტრა-კი; ჭნ. წარმანი; მგრ. აპურ-ტა-კი; სვნ. ამტრა-კ; სბ. აბუტარა-ტი		<p>კაუზგნის შროშანისებრთა (Liliaceae) ბოტანიკურ ოჯახს.</p> <p>მისი ფესვურების შეგროვება ხდება შემოდგომაზე, ფესვურები შეიცავს სახამებელს, შაქარს, ფისს, ცვილს, ცხიმებს, საღებავ ნივთიერებას, მინერალურ მარილებს, მთრიმლავ მჟავას, გლუკოზიდ ვერატრამინს, ალკალიოდებს: იერვინს, რუბინერვინს, ფესვუდოიერვინს, პროტოვერატრიდინსა და პროტოვერატრინს. შხამას მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება პროტოვერატრინი.</p> <p>შხამას კანის პარაზიტების წინააღმდეგ ხმარობენ. ფესვურების წვენით მკურნალოებ ცხენის გადატყავებულ ზურგს. აგრეთვე იყენებენ როგორც ტკიფილდამაყუჩებელ საშუალებას რეგმატიზმისა და ნევრალგიების დროს: მისი ფესვის ნახარშით იბანენ თავს ქერცლის საწინააღმდეგოდ. ფესვების ფხვნილს იყნებენ როგორც ცხვირის მაცემინებელს თავის ტკიფილის დროს. ძველ დვინოზე დაყენებულ მის ნახარშით რეგმატიზმს მკურნალობენ.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში შხამას ფესვების ნახარშს ხმარობენ ცხოველების კანის პარაზიტების მოსაშორებლად და ადამიანის ქაგნას (მუნის) წინააღმდეგ.</p>

1.	ჩადუნა	Dryopteris filix mas L.	<p>თშ. მჩადა, ჩადა; ფშ, ხეს. დათვის ჩადუნა; ზმ. იმ. იმ. ლორთიფქლა; მთ. რჭ. იფხ- ლა, იმხლა; ლჩხ. მუჩუ; გურ. ტყის გვიმრაი; სბ. დათვის-საგმ- ბელა; ინგ. ჩადა; ჭხ. ლიმხონა; მგრ. ლაგვიმორია, ლაგუმარაია, მაგვიმარაია; სენ. მიჩგიშ გვიმრა.</p>		<p>ჩადუნა ეკუთვნის გვიმრასებრთა (Polypodiaceae) ბოტანიკურ ჯგუფს და წარმოადგენს პოლარქტიკული ტყის გეოგრაფიულ ტიპს. იგი 20–150 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ახასიათებს მსხვი- ლი, ირიბი, მრავალი წვრილშრანი ქერქით დაფარული კომრალი ფერის ფეხურა. ფეხვის ყელიდან ვითარდება ფეხვთანი, კენტიფრთართული ფოთლები. ფოთლის ვენტრალურ მხარეზე განლაგებულია სორუსებში შეკრებილი სპორანგიულები. გვიმრის ეს სახეობა საქართველოში საკ- მაოდ გავრცელებული მცენარეა.</p> <p>გვიმრის ფეხვი შეიცავს ფლოროგლუცინის დერივატს, ასკინიდოლს (ფილმარონს), ფლორასპინს, ალპასპიდინს და ფილიქსმუგას. მზა პრეპარატში არის აგრეთვე მწარეები, შაქარი, მთრიმლავი ნივთიერება, მარილი ანდა ეთერზეთი.</p> <p>ჩადუნა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. საქართველოში გავრცე- ლებულია ყელა რაიონში, ქიზიეთისა და გარდაბნის გარდა, ტყის და სუბალპურ სარტყელში, ტყეებში, ტყის პირებზე, კლდოვან და ქვიან მთის მდელოების ფერდობებზე.</p> <p>მეცნიერულ მედიცინაში ჩადუნა (ანუ გვიმრა) ცნობილია მამალი გვიმრის სახელწოდებით.</p> <p>მისი ფეხვურას ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,025–0,045% ეთერზეთები, 5–8% ცხიმზეთები, ფინი, შაქარი, სახამებელი, პექტინოვანი ნივთიერება, 2–3% მინერალური მარილი, 5% ფილმარონი, 1,5–2,5% ფილიქსმუგა- ფილიცინი. მოქმედი ნივთიერება არის კრებადობა კეტონის მსგავსი ნივთიერებისა, ერბომუგავისი და იზოერბომუგავისი ფეხოლ ფლოროგლუ- ცინით ან მეთილით, დიამეტილით და ტრინეთილფლოროგლუცინით. კონდენსირებული ბუტანონის ორი მოლეკულა იძლევა ფლავასპილ- მუგას, ალბასპიდინს, სამ მოლეკულა ფილიქსის შეავს ფილიცინს, ხოლო ოთხი მოლეკულა – ფილმარინს. ნაცრის რაოდენობა ფეხვურაში 3% არ აღემატება, მათ შორის 2% მჟავაში უხსნადი ნაცარია.</p> <p>საქართველოში ჩადუნას ახალგაზრდა ხეჭუჭა ფოთლებს იღებენ საკვე- ბად მხალის სახით, მმრითა და ნიგბზით შეზაგებულს. ზრდადასრულუ- ბულ ფოთლებს იყენებენ მწყემსები რძის გასაწურად, ხოლო მეაბრეშუ- მეობის რაიონებში ხმარობენ ცახად (აბრეშუმის ჭიას უდებენ საფენად ან პარკის გაკეთების პერიოდში).</p> <p>ხალხურ მედიცინაში ჩადუნას ფეხვურას უხსოვარი დროიდან იყენებენ როგორც ჭიას დამდენ საშუალებას (ჩადუნა ჭიას კი არ კლავს, არამედ აბრუებს). მეცნიერულ მედიცინაში მისი ფეხვურა გამოიყენება ლენტისებური ჭიას საწინააღმდეგოდ – Rhizoma Filicid-iს ან ზოგიერთ</p>
----	--------	-------------------------	---	--	---

					ფარმაკოპეაში Herba Filicis maris-ის სახელწოდებით. ჩაღუნას ფესვებს ხმარობენ სიცხის დამზევად (აჭარა).
2.	ჩაღანდრი	Veronica anagallis-aquatica L. და V. beccabunga L.	აჭ. ჩიხანდარი, ჯიხანდარი, მსხ. დასტურ- ჩაღანდრი		<p>ეს მცენარე ექუთვნის შაგწამლასებრთა (Scrophulariaceae) ბოტანიკურ თჯახს, 10–30 სმ სიმაღლის ბალახია, კოლოფი გაგრძელებული ელიფსურია და თითქმის ორჯერ დიდია სიგანეზე, ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად ჭაობიან ადგილებში.</p> <p>გავრცელებულია მოელ ეპოკაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩვენში გვხვდება უკელა რაიონში, მთის ქედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე ტყეებსა და ბუჩქნარებში.</p> <p>ეს მცენარე შეიცავს მწარე ნივთიერებას, მთრილავ ნივთიერებას, საპონინსუბსტანტს, სუფთა ეთერზეთვებს, ერთ გლუკოზიდს, და საფიქრებელია, რომ ერთ ალკალინიდს. მზა ნედლი სააფთიაქო მასალა სუსტად არომატულია; არომატი გაშრობის შემდეგაც რჩება; გემოთი მწარეა მასში ალკალინიდის შემცველობისა და ლორწოს სიმცირის გამო, იყენებენ სასუნთქი გზების დაავადებათა დროს. მასში მწარე და მთრიმლავი ნივთიერების შემცველობის გამო ხმარობენ კუჭისა და ნაწლავთა დაავადების შემთხვევაში, მისგან ამზადებენ აგრეთვე ულში გამოსავლებსნარებს.</p> <p>იგი სამკურნალოდ გამოიყენებოდა უძველესი დროიდან თავბრუსხევეის, სულიერი დაავადების, მეხსიერების დაკარგვის დროს მის აღსაღენად, ცუდი მეხსიერების, კუჭის, ლვიძლის, ფილტვების, ელენთის, საშვილოსნოს, ნაღვლისა და შარდის ბუშტის დაავადებათა და ანთების დროს. ხმარობენ ოფლის მომგვრელად.</p> <p>მას იყენებენ ციმბირის წყლულის სამკურნალოდ, ასევე ხმარობენ შაქრის შემცვლელად (წამლის დასატებობად).</p>

1.	ცაცხვი	Tilia L.	mxv. maWi; ing. cacx; Wn. ducxu, kavaRi; mgr. cxa-cxu, cacxu, cxacxvi; svn. zesxra, cacxv, faCa.		<p>ფოთოლმცვენი cacxvisebrTa (Tilliaceae) ojaxidan, 35-მდე სიმაღლის ხეა. ხის ვარჯი დიამეტრით აღწევს 2 მ-მდე, თხელი, მსკდომარე ქერქით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, დაკბილული, ზედა მხრიდან მწვანე, შიშველი, ქვედა მხრიდან-ნაცარა, ხშირად შებუსული, ყვავილები მოყვითალო-თეთრია, არომატული, შეკრებილია 3-15 ფარისებრ ნახევარქოლგა ყვავილედში.</p> <p>მცენარის შედგენილობაში შედის ეთერზეთები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები და ლორწო. არომატის მატარებლად ითვლება ფარნეზოლის სპირტი, კაროტინი და C-ვიტამინი. ცაცხვის ყვავილი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნახარშებისა და ნაყენების სახით როგორც ოფლმდენი, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი საშუალება. იყენებენ აგრეთვე ნერვული აღგზნების, კრუნჩხვების, უძილობის, თირკმელების, ღვიძლის ჰიპერტონული დაავადების დროს. ძალზე ეფექტურია ცაცხვის ყვავილების ჩაი გაცივების შემთხვევაში. მისი ნახარშები იხმარება აგრეთვე ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, მწვავე ბრონქიტების დროს. გამოიყენება ჰირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად ანთებითი პროცესებისა და ანგინის დროს. ცაცხვის ყვავილები შედის ყელში გამოსავლები სხვადასხვა ნაკრებების შემადგენლობაში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ცაცხვის ფოთლების, ქერქისა და დაქუცმაცებული კვირტების ლორწოვანი ნახარშები ცხელი ან სველი საფენების სახით დამწვრობის, წყლულების, სარძევე ჯირკვლის ანთების, ბუასილის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარების დროს.</p>
2.	ცერეცო				იხ. დიდი კამა

3.	ცერცი	Vicia faba L.	jvx. bakla; gur. miwis cercvi; Wn. xajivaka lobia; mgr. xaji; svn. rog.		ერთწლიანი parkosanTa (Fabaceae) ojaxis ბალახოვანი მცენარეა 20-150 სმ სიმაღლისა. აქვს რთული და წამახვილებული ფოთლები. ყვავილები ცოცხისებურია, თეთრი, სუსტი სურნელით. ნაყოფი ცილინდრული და გაბერილი პარკია, თესლები - ოვალური. ყვავილობს მაის-ივნისში. სამკურნალოდ იყენებენ ყვავილებსა და თესლს, რომლებიც შეიცავს სახამებელს, ნახშირწყლებს, სხვადასხვა ცილებს, უჯრედისს, ფერმენტებს. მცენარეს აქვს შარდმდენი, შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო თვისებები. აჩქარებს ჭრილობების შეხორცებას.
4.	ცირცელი	Sorbus aucuparia L.	mxv., mT. woro, mworo; msx., rW., lCx., im., gur. Wnavi; aW. mWknavi; mT. rW. mWnavi; lCx. goglandi; mgr. amCvaSa, Cvaxa, Wvaxa; svn. goglçnd. mWnavi		დაბალი ბუჩქი vardisebrTa (Rosaceae) ojaxis, 1,5-2 მ სიმაღლის. ფოთლები ალუბლის ფოთლებს წააგავს. ყვავილები თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი მსხვილია, ხორციანი, შავი. ყვავილობს ივნის-ივლისში. ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, ასკორბინის მჟავას, ორგანულ მჟავას, კაროტინს. igi officinaluri polivitaminuri nedleulia. aCqarebs wylulebis epiTelizacias da regeneracias.  ცირცელი გამოიყენება ტოქსიკოზისა და ჰიპერტონული დაავადებების სამკურნალოდ, hipo da avitaminozebis dros.
5.	ცხენისკბილა	Leucojum aestivum L.	ძეგრ. ცხენიში მაკიბირაია.		მრავალწლიანი amarilisebrTa (Amarillidaceae) ojaxis ბალახოვანი მცენარეა, 15-40 სმ სიმაღლისა. ფოთლები ფართოხაზიანია, მბრწყინავი, ყვავილები ცოცხისებურია, ნაყოფი - მრგვალი კოლოფი.  შეიცავს ალკალოიდებს. მისი პრეპარატები ებრძვის ქოლესტერინს, აწესრიგებს აცეტილქოლინის შემცველობას. ექსტრატს იღებენ ფსიქოზისა და გრძნობითი მოშლილობის შემთხვევებში.
6.	ცხენის ოფლა – ცხენისოფა				იხ. ყვითელი ძიძო, იხ. ქრისტესისხლა

7.	ცხენისტერფა				იხ. ვირისტერფა
8.	ცხვრისთვალა	Arnica montana L.			იხ. არნიკა

1.	ძარა	<i>Rumex arifolius</i> All.	რაჭ. ძარა-ძარა.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახის მცენარე 60–90 სმ სიმაღლისა. აქვს დატოტვილი ღეროები. მირხვენა მუქია, განსაკუთრებული სურნელით. ფოთლები ლანცეტურია. წვეტიანი. ყვავილები წვრილი, მომწვანო-მოწითალო. ყვავილობს ივნის-ივლისში. სამკურნალოდ აგროვებენ ძირებს, რომლებიც შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს, ფრანგულაემოდინს, მჟავებს, ფისს, რკინას, ვიტამინ K-ს და C-ს, ეთერზეთის კვალს, რუტინს. მათ ახასიათებს შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემხორცებელი თვისებები. ფოთლების ნაყენი აჩერებს ღებინებას, აუმჯობესებენ ნაღველის განოყოფას, ნაყოფი შემკვრელი საშუალებაა, ებრძვის ანთებას. სამკურნალოდ იყენებენ ნახარშს, სპირტიან ნაყენს, ფაფებს.</p>
2.	ძაღლის ენა, ოსერო	<i>Cynoglossum officinalis</i> L.	მხვ. ძაღლის მხალა; ხვს. ღორნიკა, ქირი; მსხ. გელისყურა, ლოსტოკი; მგრ. სახოკია; სვნ. ჟაღვეშ ნინ, ჟელი ნინ.		<p>ორ ან მრავალწლიანი ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახის მცენარე 40–100 სმ სიმაღლისა. აქვს უსიამოვნო სუნი, სწორი ვერტიკალური ფესვი. ფოთლები ფესვთანაა, დაშვებული. ყვავილები ხუთნაწევრა. ნაყოფი ოთხი კაკალია. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფესვი და ფოთლები, რომლებიც შეიცავს ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ეთერზეთს, ქოლინს. მცენარე შხამიანია, ამიტომაც იგი გამოიყენებოდა მირმაგარების, დამწვრობების, ძვალკუნთოვანი სისტემის ტკივილის სამკურნალოდ. უძველესი დროიდან ცნობილია როგორც დამამშვიდებელი საშუალება.</p> <p>ხალხურ მედიცინაში ცნობილია როგორც ნაღვლის, ფილტვების, სისხლის ღებინების, ხველის, ფაღარათის, ქვეწარმავლებისა და ძაღლის ნაკბენების მკურნალობის საშუალება.</p> <p>მცენარე შედის არაერთი პრეპარატის შედგენილობაში.</p>

3.	ძაღლის პიტნა, ჭინჭრისგერა	<i>Ballota nigra</i> L.			<p>მრავალწლიანი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის მცენარე 50–120 სმ სიმაღლისა. აქვს მოკლე ძაფები. ღერო ოთხწახნაგაა, სწორი, მარტივი ტოტებით. ფოთლები მოკლეა, კვერცხისებური. ყვავილები ორტუჩაა, წვრილი, ლილისფერ-მოწითალო. ნაყოფი კაკალია.</p> <p>სამკურნალო ნედლეულად გამოიყენება მთელი მცენარე. შეიცავს მწარე ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ეთერზეთს, ვიტამინ C-ს. ბალახს გააჩნია დამამშვიდებელი, წნევის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. იგი გამოიყენება მკერდის ტკივილისა და რევმატიზმის სამკურნალოდ. ხმარობენ ვალერიანისა და მრავალძარღვას მაგივრად. იყენებენ კომპრესებშიც.</p>
4.	ძაღლის სატაცური, მიხელტა	<i>Tamus communis</i> L.	ქრთ. მიწისქონა; ფშ. ძაღლაფსელა; თშ. დათვთყურძენა; იმ. ლეფშურა; რჭ., ლჩხ. ზმ. იმ. ფუტკრიქავა, ფუთრიკავა; ზმ. აჭ. ლემშური; ქვ. აჭ. ქავილა; გურ. ძირიწამალი; მგრ. მორთა, უნთო, უნთოში ჯინჯი, ძარხუხუ; სვნ. მჰთ, მუუთა.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი დიოსკორისებრთა (Dioscoreaceae) ოჯახის ლიანა. ღერო მსხვილი და ხორციანია. ფოთლები მორიგეობითია, გრძელი. ყვავილები მარტივია, ყვითელ-მომწვანო. შეკრულია ფუნჯებად. ნაყოფი წითელი თესლიანი კენკრაა. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება კავკასიასა და ყირიმში. ნედლეულად გამოიყენება ძირები, რომლებიც შეიცავს ჭიანჭველამჟავას, ალკალოიდურ ნაერთებს, გლიკოზიდებს, საპონინებს, კაროტინოიდებს, პოლისაქარიდებს და ამინომჟავას. მცენარე შხამიანია. ძაღლის სატაცურის ფესვი გამოიყენება ქართულ ხალხურ მედიცინაში და კავკასიის სხვა მხარეებში რევმატიზმისა და იშიაზის სამკურნალოდ. კლინიკური დაკვირვებებით დადასტურებულია ძაღლის სატაცურის ნახარშის ეფექტურობა აღნიშნული დაავადებების მკურნალობისას. ძაღლის სატაცურის ჩვილ ყლორტებს ადუღებენ, წყალს რამდენიმეჯერ გადაწურავენ, შემდეგ კვლავ ახალ წყალში ნახარშს საჭმელად იყენებენ, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით ჭამა კუჭაშლილობას იწვევს. ძლიერ ტოქსიკურია.</p>
5.	ძაღლის ქინძი	<i>Aethusa cynapium</i> L.			<p>ერთწლიანი ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახის მცენარე 1 მეტრამდე სიმაღლისა. აქვს დატოტვილი ღერო. ფოთლები დანაწევრებულია, სამკუთხა. ყვავილები თეთრია. ნაყოფი მრგვალია. თესლი ბრტყელი. ნამდვილი ოხრახუშისაგან იგი განსხვავდება აგებულებითა და მბზინავი ფოთლებით. გამოიყენება ჰომეოპათიაში, განსაკუთრებით ბავშვთა მკურნალობისათვის.</p>

6.	ძაღლმაყვალა	<i>Rubus caesius</i> L.	ქრთ. მიწამაყვალა; ქზყ. ძუძუმაყვალა; იმ., რჭ. ბამბა-მაყვალა; ქვ. იმ. ბამბამაყვალი; ინგ. ზაღლი მაყოლ; მგრ. ჯოლორიში მუცია.		ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახს ეკუთვნის.
7.	ძაღლნიორა	<i>Ornithogalum ponticum</i> Zahar.	ქრთ. თაგვნიორა; რჭ. გველერწო; ლჩხ. კოწიალე.		<p>მრავალწლოვანი (Hyacinthaceae) ოჯახიდან. ნახევრადბუჩქი. იზრდება 1,5 მეტრამდე სიმაღლისა. პირველ წელს მცენარე მაგრდება. მისი ტოტები დაფარულია ეკლებით. მეორე წელს იფარება ყვავილებით, ისხამს ნაყოფს, ეზრდება ახალი ტოტები. ნაყოფი სხვადასხვა ფერის, თესლიანი კენკრაა.</p> <p>სამკურნალოდ გამოიყენება ნორჩი ფოთლები და ნაყოფი, რომლებიც შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავას, ფლავონიდებს, ინოზიტს, შაქარს, კაროტინს, ვიტამინებს, მარგანეცს. პრეპარატებს აქვთ ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემხორცებელი, ამოსახველებელი, ჭიების საწინააღმდეგო, ხველის საწინააღმდეგო, ოფლმდენი, შარდმდენი, დამამშვიდებელი თვისებები. მათ შინაგანად იყენებენ ნევროზების, ფალარათის, გასტრიტის, სისხლდენების, ზედა სასუნთქი გზების, წყლულების, მოწამვლის და სხვა შემთხვევებში. ხმარობენ გარეგანადაც, კანის დაავადებების სამკურნალოდ და სავლებად.</p>
8.	ძაღლყურძენა	<i>Solanum nigrum</i> L.	მხვ. ძაღლიხუნწავ; ინგ. ზაღლი პამი-დორ; აჭ. ძაღლ-ყურძენა; ჭნ. ჯოლორ ყურძენი; მგრ. დიხაში მელი-შია, ჯოლორიში მაყურზენაია, ღვინჯა-ღვინჯა, უჩა ტყა; სვნ.		<p>ერთწლიანი ძაღლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახის ბალახია. იზრდება 70 სმ-მდე. ტანი განტოტვილია, სწორმდგომი; ფოთლები მორიგეობითი, ოდნავდაშვებული. ყვავილები ორსქესაა, თეთრი. ნაყოფი მრგვალი კენკრაა, შავი.</p> <p>სამკურნალო ნედლეულია ბალახი და ნაყოფი. მცენარე შეიცავს მთრიმლავ და მღებავ ნივთიერებებს, შაქარს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს, გლიკოზიდებს, კაროტინს. შხამიანი ნივთიერებები მწიფე ნაყოფში უკვალოდ ქრებიან. ნაყოფი ხასითდება ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი, სიცხისდამწევი, ჭიისდამდენი, ამომახველებელი, ანტირევმატული თვისებებით. ამშვიდებს</p>

			მუყურძენოლ.		ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს მხედველობას. ძალყურძენას პრეპარატები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მუცელში ტკივილის, შარდის ბუშტის, შარდვენჭოვანი და ნაღველვენჭოვანი დაავადებების, ათეროსკლეროზის, რევმატული დაავადებების, წყლულების, ჩირქოვანი დაავადებების სამკურნალოდ.
9.	ძაძა	<i>Vigna unguiculata</i> (L.) Walp.	კხ. მამიკალია-ლობიო, შავკუჭა-ლობიო; ქზყ. პირშავი ლობიო; იმ. მიწა-ლობიო, ჭიპშავა-ლობიო, პირშავა-ლობიო, შავჭიპა-ლობიო, წვრილი ლობიო; მგრ. დიხაში ლებია, ჩე ჭიფე ლებია, ჩე ჩხირა ლებია.		ერთწლიანი ბალახოვანი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის მცენარეა. ძალიან ჰგავს ლობიოს. მისი თესლი გემრიელი საჭმელია. შეიცავს ცხიმებსა და ცილებს. ითვლება კარგ დიეტურ საშუალებად.
10.	ძახველა, ძახველი	<i>Viburnum opulus</i> L.	ქრთ., კხ. ძახველა; მთ., ფშ., ხვს., ქვ. რჭ. მძახველი; თშ. ძეხველი; ქრთ., მსხ., რჭ., ლჩხ., იმ. ჯახველა, ჯანხველი; ჩ. ჯარხველი, ჯაველი; მგრ. ძარწუფ; სვნ. წანწოფ, წონწოფ, სანწვეფ.		ძახველი 4 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია ცხრატყავასებრთა (Caprifoliaceae) ოჯახიდან, მონაცრისფრო-რუხი დახუთებილი ქერქით და გლუვი ყლორტებით. ფოთლები ერთმანეთის მოპირისპირედაა განლაგებული, ფართო კვერცხისებრია. ყვავილები თეთრია და ორი სახისაა: კიდურა - უნაყოფო, მსხვილი ქოლგისებრი. გვირგვინით, ნაყოფი ღია წითელი ფერისაა, ოვალური ან სფეროსებრი, წვნიანი, კურკით. ძახველი ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი შემოდის აგვისტო-სექტემბერში. ნედლეულად ამზადებენ ძახველის ქერქს. ძახველის ქერქი შეიცავს ფისებს, ორგანულ მჟავებს, გლიკოზიდ ვიბურნინს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს C, K, და PP-ს, ასკორბინის მჟავას, შაქარს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, კაროტინს. ხალხურ მედიცინაში ქერქის ნახარში გამოიყენება კრუნჩხვების, უძილობის, ისტერიის დროს. ნახარში მოქმედებს ბავშვებზე გაცივების დროს, გამოიყენება როგორც სისხლის აღსადგენი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება მშობიარობის შემდგომ პერიოდში, გინეკოლოგიური დაავადების

					<p>დროს სისხლისდენის შემთხვევაში, ბუასილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს, როგორც ოფლმდენი საშუალება. დამამ-შვიდებელი მოქმედება აქვს ძახველის ნაყოფსაც. ნედლი ნაყოფის წვენი და ჩაი სასარგებლოა ჰიპერტონული დაავადების დროს.</p> <p>ძახველის ნაყოფი ძალიან სასარგებლოა მძიმე ავადმყოფებისათვის გამოჯანმრთელების პერიოდში, როგორც გამამაგრებელი საშუალება. ნედლ ნაყოფს ან მისგან მომზადებულ წვენსა და ჟელეს იღებენ ვიტამინების ნაკლებობის შემთხვევაში. ხალხურ მედიცინაში ძახველის ნაყოფს იყენებდნენ როგორც საფალარათო, მადეზინფიცირებელ საშუალებას. ნაყოფის ნახარში თაფლთან ერთად კარგია ზედა სასუნთქი გზების ანთების, კუჭის აშლილობის დროს. ძახველის ნაყოფის ნაყენი გამოიყენება აგრეთვე კუჭისა და თორმეტ-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ენტეროკოლიტების, გულის ან თირკმელების დაავადებით გამოწვეული შეშუპების, კანის წყლულოვანი და ჩირქოვანი დაავადების დროს. ახალგაზრდა ტოტების ქერქის ნახარში კარგი საშუალებაა ფეხების ოფლიანობისას. ძახველის წვენი გამოიყენება აგრეთვე საოჯახო კოსმეტიკაში ფერისმჭამელების მოსაშორებლად და დიათეზის სამკურნალოდ.</p>
11.	ძელქვა	Zelcora carpinifolia (Pall.) C. Koch.	კხ. ალუხი, ავლუხი; მგრ. ძერქვა.		თელასებრთა (Ulmaceae) ოჯახის მცენარეა.
12.	ძერანა	Polyporus squamosus (Huds.) Fr.	კხ. ქორის სოკო; ლჩხ. მძერა.		(Polyporaceae) ოჯახის ხორციანი, თირკმლის მოყვანილობის, თუჯისფერი სოკო. აქვს 10 სმ სიმაღლის ფეხი. გვხვდება ცოცხალი და მკვდარი ფოთლოვანი ხის ტანზე მთელ დედამიწაზე ზომიერ სარტყელში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები არ არის შესწავლილი. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმის საერთო მდგომარეობას.

13.	ძეძვი	Paliurus Spina-christi Mill.			1-4 მ სიმაღლის ხეჭრელასებრთა (Rhamnaceae) ოჯახის ხშირტოტებიანი და ეკლიანი ბუჩქია. ჩვილი ტოტები წვრილი ბუსუსებითაა შემოსილი, შემდეგ კი შიშველი. საკმაოდ ყუნწიანი არასიმეტრიულად კვერცხისებრი, და კიდედაკბილული ფოთლები ყლორტებსა და ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული. ფოთლებით და ყლორტებით ძეძვი ძალიან ჰგავს უნაბს. ფოთლების ყუნწების ძირში წყვილწყვილი ან თითო მოკაუჭებული მაგარი ეკალი ზის. მცირე ზომის მოყვითალო ყვავილები ფოთლების იღლიებში მოკლე მტევნებადაა შეკრებილი. მოხაზულობით მომრგვალო ნაყოფი შუაში ორივე მხრიდან ამობურცული და გრძელყუნწიანია, რომელიც მომწიფებულ მდგომარეობაში მოჩალისფრო ან მოვარდისფროა. ძეძვის ფოთლები და ქერქი შემკვრელი თვისებისაა, ამიტომ ხალხურ მედიცინაში მათი ნახარში გამოიყენება კატარისა და კუჭაშლილობის დროს. ყვავილები დიდი რაოდენობით ნექტარს იძლევა და შესანიშნავ თაფლოვან მცენარედაა აღიარებული. ფოთლები ვიტამინ C-ს შეიცავს. ნაყოფების ნახარში ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც კარგი ამოსახველებული საშუალება. დადებით ეფექტს იძლევა ბრონქული ასთმის საწყის სტადიაში გამოყენებისას.
14.	ძეწნა, მტირალა ტირიფი	Salix babylonica L.	ერ. ბორობანი, აგნისანი, მაგრილობელი.		ტირიფისებრთა (Salicaceae) ოჯახს ეკუთვნის.
15.	ძიგვა, ქისრიბა	Nardus glabriculmus Sacalo	ქრთ. ქოსა ბალახი; ხვს. ქირცა; მხვ. ქუჩიმკვრივა; თშ. ცხენის ქუჩი, ვირის ქუჩი; ზმ. რჭ. ვაციწვერა; ლეჩხ. ბაგვი.		მარცვლოვანთა (Poaceae) ოჯახს ეკუთვნის.

16.	ძირთეთრა	<i>Pastinaca sativa L.</i>	ლჩხ., გურ., იმ. რუსული ნიახური; რჭ. ისპი, ისპანი, სპანი, დიდი ნიახური; მგრ. რუსული სონა.		<p>ორწლიანი ბალახოვანი, ქოლგოსანთა (Apiaceae) ოჯახი მცენარე 100-150 სმ სიმაღლისა, ყვითელ-ყავისფერი ხორციანი ძირით. აქვს შიშველი და სწორი განტოტვილი ღერო. ფოთლები დიდია, 20 სმ სიგრძისა, ფრთისები. ნაყოფი მრგვალია, იშლება ორ ნაწილად. ყვავილობს ივნის-ივლისში. სამკურნალოდ ამზადებენ მიწისზედა ნაწილს, რომელიც შეიცავს ფუროკუმარინებს, გლიცერიდებს, მჟავებს, ფლავონოიდებს, ეთერზუტებს. გამოიყენება სპაზმოლიტურ საშუალებად სტეროკარდიისა და ნერვოზის შეტევების დროს, ნაწლავების სპაზმების დროს. ნახარში და ნაყენი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება შარდმდენ საშუალებად წყლისას დროს, ტკივილგამაყუჩებლად თირკმლებისა და კუჭის წყლულების შემთხვევაში, ხველისას და ციებისას. პრეპარატები იხმარება ფსორიაზისა და თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.</p>
17.	ძირმწარა	<i>Aristolochia iberica Fisch. et C.A. Mey.</i>	ს. ძირმწარ; ქზყ. ზარავანდი; გურ. საყმაწვილო; იმ. ყალიონა; მსხ., იმ. ძირმწარა; აჭ. ჭანდი- დი; მგრ. ტურაში ცუჯი, ძინტკვილი.		<p>ძირმწარასებრთა (Aristolochiaceae) ოჯახის 30-50 სმ სიმაღლის მრავალწლიანი, თავისებური სასიამოვნო სუნის მქონე, მოკლე მხოხავფესვურიანი მცენარეა. სწორმდგომი. დაკლაკნილი შესახედაობის ღერო მარტივია. ღია მწვანე ფერის კიდემთლიანი, გულისებრთფუძიანი, გრძელყუნწიანი, კვერცხისებრი ან მომრგვალო ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. ყვითელი ყვავილები ფოთლების იღლიებში ჯგუფურადაა განლაგებული. მოუმწიფებელი ნაყოფი მწვანე ფერის ხორციანი, მსხლისებრი ან მომრგვალო ფორმის კოლოფია, რომელიც მომწიფებისას გრძივი ნაბზარით იხსნება. ყვავის და მწიფდება მაის-სექტემბრის განმავლობაში.</p> <p>საქართველოში ჩვეულებრივ ძირმწარას გარდა გვხვდება აგრეთვე სამკურნალო სახეობა - ქართული ძირმწარა - (<i>Aristolochia iberica F. A. M.</i>). გარეგნულად იგი იმით გამოირჩევა, რომ მისი ყვავილები თითო-თითოდაა განლაგებული. ყვავილსაფრის გადანალუნი, მომწვანო-ყვითელ ფონზე. სხვადასხვაგვარ სურათს იძლევა. ხახაში ყვითელი ლაქები არ აქვს (როგორც ჩვეულებრივ ძირმწარას), ფოთლები უფრო დიდი ზომისაა, ფართო კვერცხისებრი. გვხვდება აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში და კახეთში. ორივე სახეობა ერთნაირი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.</p>

					<p>ხალხური მედიცინა ძირმწარას ფესურის და ფოთლის ნახარშს და მისგან მიღებულ წყლის გამონაწვლილსა და სპირტზე ნაყენს იყენებს ხველის წინააღმდეგ, აგრეთვე როგორც ჭრილობების შეხორცების დამაჩქარებელ საშუალებას და წყლულების მკურნალობისას სცელი საფენების სახით. მცირე დოზით მის ნაყენს იყენებენ ოფლისა და შარდმომგვრელ საშუალებად. მასში შემავალი ალკალინიდი ტოქსიკური ბუნებისაა და იწვევს პერიფერიული სისხლძარღვების გაგანიერებას. სუნთქვის რამდენადმე აღზნებით ამცირებს სისხლის წნევას ჰიპერტონიული დაავადების საწყის სტადიაში.</p> <p>ძირმწარა შხამიანი მცენარეა, ამიტომ მისი გამოყენება მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობითაა დასაშვები.</p>
18.	ძირტკბილა	Glycyrhiza glabra L.	ქზყ. სატკბურა.		<p>მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახიდან, სიმაღლით 50-150 სმ. ძირტკბილა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამკურნალო მცენარეა. მისი მიწისქვეშა ნაწილი, რომელიც წარმოადგებს დასამზადებელ ნედლეულს, შედგება დედა-ფესვისაგან და ვერტიკალური ჰორიზონტალური ფესურებისაგან, რომლებიც ქმნიან მრავალფენიან გადახლართულ და ნიადაგში ჩამაგრებულ დამატებით ფესვთა ქსელს. ღეროები შიშველი ან მოკლედ შებუსულია, იშვიათად მიმობნეული წერტილოვანი ჯირკვლებით ან ჯირკვლოვანი ხორკლებით. ფოთლები წებოვანია, პრილა, მკვრივი, მოგრძო. ყვავილედი ფოთლის უბეში მოთავსებული. ყვავილების გვირგვინი მოთეთრო-იისფერია, ჯამი – მახვილკბილებიანია. ნაყოფი მოგრძო, სწორი ან ოდნავ მოღუნული თესლიანი პარკია. ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. სამკურნალოდ გამოიყენება ძირტკბილას ფესვი და ფესურები. ძირტკბილას ფესვის შემადგენლობაში შედის საპონინი-გლიცირიზინი, გლიცირიზინის მჟავა, კალიუმისა და კალციუმის მარილები, ფლავონოიდები, გლიცირეტის მჟავა, სტეროიდები, ეთერზეთი, ასპარაგინი, ასკორბინის მჟავა და სხვა. ძირტკბილას მიწისზედა ნაწილებში შედის საპონინები, მთრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები, ეთერზეთი და სხვა ნივთიერებები. ხალხურ მედიცინაში ძირტკბილას ნახარში ძირითადად გამოიყენება როგორც ამოსახველებელი საშუალება სასუნთქი</p>

					გზების ანთების, ფილტვების ხველის თანამდევი დაავადებების დროს, რადგანაც საპონინები არბილებენ და აადვილებენ ხველას. ძირტკბილას ნახარშები და ნაყენები იხმარება აგრეთვე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს, როგორც შარდმდენი, სპაზმოლიტური საშუალება. ხალხურ მედიცინაში ძირტკბილას ხმარობენ წინამდებარე ჯირკვლის ადენომით გამოწვეული შარდის შეკავებისას.	
19.	ძირტკბილა კლდისა				ნ. კილამურა.	
20.	ძირყვითელა	Hydrastis canadensis L.			ინდიელების ტრადიციული სამკურნალო მცენარეა. მას იყენებდნენ კუჭის, ადგილობრივი ანთებების, მადის მოსამატებლად, გულის დაავადებების, ციტ-ცხელების სამკურნალოდ. ევროპაში ეს მცენარე მოხვდა 1760 წ. შეიცავს ალკალოიდებს, ეთერზეთს, ფისებს. ახასიათებს შემკვრელი, მატონიზებელი, მასტიმულირებელი, ნაღველმდენი, ანტიკატარალური, დამარბილებელი, წნევის ამწევი თვისებები. მისი პრეპარატები ჰკურნავენ მრავალ გინეკოლოგიურ დაავადებას.	
21.	ძირშავა	Scorzonera hispanica L.			ორ ან მრავალწლიანი რთულყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის მცენარე 40–100 სმ სიმაღლისა, უსიამოვნო სუნით. ძირი ვერტიკალურია, დიამეტრით 1–2 სმ. ღეროები ერთეულია, ორი ან სამი, ზედა ნაწილი ძალიან განტოტვილია. ყვავილები შეკრულია ცოცხისებურად. ყვავილები ხუთ ნაწილადაა დანაწევრებული, მუქ-წითელია, ან მოწითალო-მოლურჯო.	სამკურალოდ აგროვებენ ძირებს და ფოთლებს. შეიცავს ალკალოიდებს, ინულინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ეთერზეთებს, ალკალოიდებს, საპონინებს. გამოიყენება ძირმაგარების, დამწვრობების, სახსრებში ტკივილის, ქვეწარმავლებისა ცოფიანი ძალების ნაკბენების, რევმატიზმის სამკურნალოდ. ამზადებენ ნაყენებისა და ნახარშების სახით.

22.	ძირწითელა	<i>Echium russicum</i> Jacq.	მსხ., ჯვე. ავაჯუა.		<p>მრავალწლიანი ლაშქარასებრთა (Borraginaceae) ოჯახის მცენარე 25–50 სმ სიმაღლისა. პარკოვანია. აქვს რთული ფოთლები, მსხვილი ძირები, ისფერი ყვავილები. პარკი ჩბილი და ფართოა. ყვავილობს აგვისტოში. გვხვდება სუბალპურ ზონაში. ქიმიური შედგენილობა უცნობია. ხალხურ მედიცინაში ძირების ნახარში გამოიყენება კუჭნაწლავების დავადებების, ფაღარათის, თავის ტკივილის, ანემიის, ნერვული და ქალური დაავადებების სამკურნალოდ. ახასიათებს შარდმდენი და საერთოგასამაგრებელი თვისებები. ცნობილია, როგორც იმუნომასტიმულირებელი საშუალება. ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაში იყენებენ ეპილეფსიის სამკურნალოდ.</p>
23.	ძირწითელა ლურჯი				ნ. ლურჯი ძირწითელა.
24.	ძირწითელა ჩვეულებრივი				ნ. ლურჯი ძირწითელა.
25.	ძიძო	<i>Melilotus officinalis</i> (L.) Pall.			<p>ორწლიანი ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახიდან. იზრდება 50–100 სმ სიმაღლისა. ღეროებს აქვთ მრავალრიცხოვანი გვერდითი გამონაზარდები. ფოთლები პატარაა, სანაწილიანი, მორიგეობითი. ყვავილები ყვითელია, პატარა. ნაყოფი პატარა პარკები, 1–2 თესლით. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე.</p> <p>სამკურნალოდ გროვდება ბალახი, ყვავილი, წვეროს ფოთლები. შეიცავს კუმარინებს, ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს, კაროტინს, ცილებს, პურინის წარმოებულებს, სახამებელს, ლორწოვან ნივთიერებებს, ცხიმისებრ ნივთიერებებს, ცილებს, ტანინს. აქვს ახალი თივის სურნელი. მისი პრეპარატები მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე; აქვთ ცივ-ცხელებისა და ნარკოტიკებისაგან განკურნების თვისებები. არის ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანთების საწინააღმდეგო, ქარმდენი საშუალება. შინაგანად იყენებენ ბრონქების ქრონიკული კატარის, შარდის ბუშტისა და თირკმლების ტკივილის, ჰიპერტონიისა და კლიმაქსის შემთხვევაში. გარეგანად ხმარობენ ძირმაგარების, ჩირქოვანი წყლულების, ანთებითი პროცესების დროს.</p>

26.	ძიძო თეთრი				ნ. თეთრი ძიძო.
27.	ძიძო ყვითელი, ძიძო სამკურნალო				ნ. ძიძო
28.	ძმერხლი	Ruscus hypophyllum L.	იმ. ჯმერხლი; რჭ., ლჩხ. ჯიღმეხი; ჭნ. ზერმეხი, ზურმე- ხი; მგრ. ზორმეხი; სვნ. ზამეხ.		შროშანასებრთა (Liliaceae) ოჯახის 60 სმ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია. მისი ფოთლისმაგვარი ტოტები (კლადოდიუმები) 2-4 სმ სიგანისა და 1 სმ-მდე სიგრძისაა, ბოლოში მოკლე ან საშუალო სიგრძის უეკლო წვეტით, კლადოდიუმები რკალისებრ ძარღვიანია, მოყვანილობით ოვალური ან ოვალურ-ლანცეტა, რომელიც ღეროსთან მიმაგრების ადგილას ფოთლის ყუნწისებურადაა შევიწროებული. დაყვავილების შემდეგ ბურთივით მრგვალი წითელი კენკრა ნაყოფი ვითარდება. საუცხო საკვები მცენარეა. წინათ ძმერხლის ნახარშს საშვილოსნოს სამკურნალოდ იყენებდნენ, როგორც სისხლგამომდევნ საშუალებას მმობიარობის შემდეგ, თესლს ფქვავდნენ და ყვავილის სუროგატად იყენებდნენ. ნაყოფი იჭმება, მაგრამ არცთუ მაინცა და მაინც მიმზიდველი გემოს გამო მას ნაკლებად ეტანებიან. ძმერხლის ნაყოფებისაგან გამოწურულ ზეთს გვამების ბალზამირებისათვის იყენებედნენ.
29.	ძურწა მწვანე				ნ. მწვანე ძურწა.
30.	ძურწა ნამდვილი				ნ. ნამდვილი ძურწა.
31.	ძურწა ყვითელი				ნ. ყვითელი ძურწა.
32.	ძუძუმაყვალა	Rubus dolichocarpus Juz.	ქრთ. დათვიმაყვალა.		მაყვლის მსგავსი და მონათესავე ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის მცენარეა. აქვს შავი კენკროვანი ნაყოფი. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები, ძირები, კენკრა. ისინი შეიცავს A,B,C ვიტამინებს, გლუკოზას, ფრუქტოზას, სახაროზას, პექტინურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს.  ნორჩი კენკრა ამაგრებს ორგანიზმს, ფოთლების ნაყენი ახორცებს ჭრილობებს, ებრძვის ანთებას, ადენს შარდსა და ოფლს. იყენებენ ნერვული სისტემის მოშლილობის და გულის დაავადების დროს. მისი ნაყენი უძველესი დროიდან გამოიყენება უძილობისას, კლიმაჯსისას. წვენს ასმევდნენ ციებ-ცხელებით დაავადებულებს. დაწვრილმანებულ მარცვლებს იდებენ კანზე.

1.	<b>წაბლი</b>	<i>Castanea sativa L.</i>	ჭ. ჭუბური, ჭუბუ; მგრ. ჭუბური; სენ. გვიჯ, გვიჯრა		<p>წაბლი ეპუთვნის წიფლისებრთა (Fagaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ხემცენარეა, იზრდება 15–25 მ სიმაღლის, განივარ დატოტვილი, ფოთლის ფირფიტა ტყავისებურია, კიდემთლიანი, ხერხებილა და კიდემოხროლი. მამრობითი მჭადაფავილები მოყვითალო ფერისაა, ხოლო მდედრობითი – მომწვანო. ნაყოფი ერთი ან ორთესლიანია. წაბლი გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. განსაკუთრებით ტენიან ნიადაგებზე როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კალთებზე.</p> <p>წაბლის ნაყოფს ღორებს აძლევენ საკვებად, ჭამს აგრეთვე ცხენიც.</p> <p>წაბლის ახალი ნაყოფი შემდგებ ნივთიერებებს შეიცავს: წყალი – 47%, ნაცარი – 2,7%, პროტეინი – 11,6%, ცხიმი – 7,8%, უჯრედიანა – 3%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი – 74,9%. წაბლი კარგი თაფლოვანი მცენარეა, ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ქერქისაგან ამზადებენ კარგ მელანს და შალის საღებავს.</p> <p>წაბლის ყვავილის სპირტიან ნაყენს იზელენ რეგმატიზმის დროს, ხოლო მისი ყვავილით ასკილის ნაყოფთან ერთად კოლიტს მკურნალობენ, განსაკუთრებით ბავშვებში.</p>
2.	<b>წალიკა</b>	<i>Polygonum hydropiper L.</i>	ქრთ., კხ. წყლის ინა, ცხენის ინა; გურ. (ჩოხატ. რ.) უალტიმი, ანწლიკა; ქზე. წყლის მატი- ტელა; ინგ. ღორი ინაი; მსხ. დაოვის ჩაღანდრი; იმ. სალდა- ბალახი; იმ., რქ. სალდა; მთ. რქ. სარ- დალა; ჭ. ს. სარდაკი, სად- რაკი, ფსარდა- კი; მგრ. სარ- დაკია, სანდა- კია, სანდრა-		<p>წალიკა – <i>Polygonum hydropiper L.</i>, ბოსტნის წალიკა – <i>P. Persicaria L.</i>, ჩვეულებრივი მატიტელა – <i>P. aviculalis L.</i>, ოჯახი მატიტელასებრნი – <i>Polygonaceae</i>.</p> <p>წალიკა 35–70 სმ სიმაღლის ერთწლოვანი ბალახია; ღერო წალიტეულია, მუხლებით ფეხსგამდგარი, სიგრძეზე დაღარული, ფოთლები თხელია, ლანცეტა, ბოლოებშევიწროებული, ქვედა უუნწიანია, ზედა – თითქმის მჯდომარე, ზედა მსარეზე უფრო ხშირად ლაქიანია, თანაფოთლები – ლოლუები შიშველია ან ძირში ძარღვებზე ჯაგრიანი, ღეროზე მიქრული, კიდეებზე მოკლეწამწამებიანი. მტევნები მოკლეა, წერილუნწიანი, მეჩხერ საგველად შეკრებილი. ყვავილსაფარი მწვანეა ან წითელი, ხშირად ოთხად გაყოფილი, გარედან წერტილოვანი ყვითელი ჯირკვლებითაა მოფენილი. ნაყოფი სამწახანაგოვანია, შავი ან მუქი ყვავისფერი, წვრილწერტილოვანი მქრქალი, ბორცვებიანი. ყვავილობს VII–XI.</p> <p>ბოსტნის წალიკაც 20–80 სმ სიმაღლის ერთწლოვანი ბალახია, ღერო სწორია ან იშვიათად წამოწეული და დატოტვილი, ზოგჯერ მარტივი; ფოთლები – ლანცეტა ან ხაზურ ლანცეტა, გრძლებული წაწვეტებული, თითქმის მჯდომარე, სოლისებრი ძირით. ქვედა ფოთლები მოკლეუნწიანია, ზედა მსარეზე ხშირად შუაში დიდი ზომის მოწითალო-ისფერი მუქი ლაქა აქვს; ლოლუები მოკლე ბეწვებითა მოფენილი და კიდეებზე გრძელწამწამებიანია, ღეროზე მჭიდროდ მიკრული ყვავილები პატარა,</p>

		<p>კია; სენ. მიარ-დალორდ, მუ-ვერდელოოლ.</p>		<p>ორსქესიანი, მტევნებად შეკრებილი. მტევნები საკმაოდ მჭიდროა, ცილინდრული, სწორი, იშვიათად თავდაღუნული; ისევე როგორც ყვავილის ფუნჩი, ყვავილსაფარიც ვარდისფერია ან მოთეთრო, უჯირკვლოა. ნაყოფი ჩამალულია ყვავილსაფარში, სამწახნაგოვანი, პრიალა, თავ-წაწვეტილი. მცენარე ყვავილობს VI-XI.</p> <p>მესამე სახეობა პატარა, ერთწლოვანი ბალახია, ღერო წამოწეულია ან გართხმული 10-14 სმ სიგრძის, სულ ქვედა მუხლთშორისები 1-3 სმ სიგრძისაა; ფოთლები სხვადასხვა ზომისაა, ფორმით კი ერთნაირია – ოვალურიდან-ხაზურამდე, ბლაგვწვერიანი ან ოდნავ წაწვეტებული მუქი მწვანე, ზოგჯერ მოლევო; ღეროს ფოთლებისაგან მცირეოდენ განსხვავდება ტოტების ფოთლები. ლოლუები ორადაა ღრმად განკვეთილი, მუხლთაშორისებზე მოკლე ყვავილები პატარაა, 2-5 ერთად ფოთლების იდლიებში განლაგებული; ყვავილსაფარი მეტნაკლებად 5-ად განკვეთილი, მომწვნობა, კიდევებზე თეთრი ან ვარდისფერი. ნაყოფი უწესო სამწახნაგოვანია, წაწვეტებული, წახნაგებზე პატარა წერტილებითაა დაფარული. მცენარე ყვავილობს VI-X.</p> <p>სამივე სახეობა იზრდება ნაგვიან, ტენიან ადგილებზე, გზისპირებზე, ნათესებში, საქართველოს ყველა რაიონში, გახვდება აგრეთვე ეპროპაში, ციმბირში, შეა აზიაში და სხვ.</p> <p>მედიცინაში გამოსაყენებლად ამზადებენ სამივე სახეობის ბალახს მცენარის ყვავილობის ფაზაში.</p> <p>მთავარმოქმედი ნივთიერებაა ფლავონოიდები. მათი ჯამი უნდა იყოს წალიკისათვის ქვერცვეტინზე გადაანგარიშებით არანაკლენ 0,5%, მატიტელასათვის – ავიკულარინზე გადაანგარიშებით არანაკლენ 0,5%, ბოსტნის წალიკას სტანდარტიზაცია ამ მაჩვენებელს არ ითვალისწინებს. ყველა სახეობა შეიცავს ჰიპეროზიდს და რამდენიმე ფლავონოიდს, თანმხლები ნივთიერებებიდან – ტანიდებს, ვიტამინებს და სხვ.</p> <p>სამივე სახეობის ბალახს იყენებენ საშვილოსნოდან და პემოროიდალური სისხლდენისას, საშვილოსნოს ატონიისა და ანთებითი პროცესების დროს. გარდა ამისა, ჩვეულებრივი მატიტელა და წალიკა ნაჩვენებია თირქმლებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ, როგორც კონკრემენტების გამოსაღენი საშუალება. მატიტელას უნიშნავენ ტუბერკულოზის დროს. წალიკას იყენებენ პომეოპათიაშიც.</p>
--	--	---	--	--

3.	<b>წერწა</b>	Lonicera caucasica Pall.	ერწ.-თნ. თხა-ფსელა; ქვ. ქრთ. თხიფსე-ლა; გრ. კხ. თყის საფერა-ვი; თშ. ჭიჭკო-ტი; აჭ. დათვა-მოცა; იმ. კეჭკეჭა; ერწ.-თნ. წარწი.		<p>მიხაკისებრთა (Caprifoliaceae) ოჯახის მცენარე 1,5–3 მ სიმაღლის ბუჩქია, უვავის აპრილ-ივლისში, ნაყოფს იძლევა ივლის-სექტემბერში. გვხდება ტყის ზედა ზოლსა და სუბალპურ ზონაში. გავრცელებულია ქავკასიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, ქურთისტანში.</p> <p>ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გამოიყენება თიაქრისა და ჩიყვის საწინააღმდეგო წამლების შემადგენლობაში.</p> <p>„აზრუმელის ცნობარში“ წერწა წარმოდგენილია ტერმინით კაჭაჭი, რომელიც იდენტიფიცირებულია კეჭკეჭასთან. ეს უკანასკნელი კი წერწასთან.</p> <p><b>თიაქრისათვის.</b> დიკა, დუ, თაგვის ისარის ძირი, ბატბატია, თავდარგულა, მაყვალი, დედალ მამალი მრავალძარღვას ძირი, კულმუსოს ეკალას ძირი, ძირწიოთელა, ხ(ა)წყენის წამალი რომ არი ვმალას გავს, იმისი ძირი, კაჭაჭის ძირი, ესენი ყველა მონაყე, ერთათ დამწენ, კაის ღვინით მოათბობდე, დილა საღამოს ასმევდე, ცოცოტას გამონაწერს ყვერზე და(ა)დებდე, კარგია. 49v–50r.</p>
4.	<b>წიფელი, წიფელა</b>				
5.	<b>წიწაკა</b>	Capsicum annuum L.	იმ., ლჩხ., გურ. პიმპილი; მთ. რჭ. პიპილა, პიმპილა; აჭ. სურუჯი, პირპილო; ინგ. პირპილო; თე. პიპილი; ჭნ. პიპეთი; მგრ. ზარფანა, ზაფანა; სენ. პიმპილა, ძაფანა; ჩ. დარუ-პილპილი.		<p>წიწაკა, რომელიც დასავლეთ საქართველოში ცნობილია პილპილის სახელწოდებით, ეკუთვნის ძაღლყურძენასებრთა (Solanaceae) ბორანიკურ ოჯახს. იგი ერთწლიანი მცენარეა, სწორმდგომი, დატოტვილი და შიშველი დეროთი, რომლის სიმაღლე 50–70 სმ აღწევს. ღეროზე მორიგეობით განლაგებულია წვეტისანი, კვერცხნაირი ფოთლები. ფოთლის იდლიებში ვითარდება ერთეული, თეთრი, ყუნწისკენ დახრილი ყვავილი 5 მტბრიანათი, წითელი ფერის, მეტად მწარე გემოსი და ცხარე სუნის ნაყოფით. წიწაკა მოჰყავთ საქართველოს ყველა კუთხეში, გარდა მაღალმთიანი ადგილებისა.</p> <p>ჩვენი ხალხი წიწაკას იყენებს როგორც მადისმომგვრელ საშუალებას. მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება წიწაკის კოლოფი (Fructus Capsici) როგორც ადგილობრივი გამღიზიანებელი საშუალება, განსაკუთრებით კანზე ადგილობრივი ჰიპერემიის გამოწვევის მიზნით. მას ურჩევენ აგრეთვე ნაყენების სახით საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად.</p> <p>წიწაკის ნაყოფის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: 0,2% ალკალოიდის</p>

					შსგავსი ამიდი, კაფსიცინი – დეცილენბჟავა ამიდი ვანილინამინით, რომელიც ხასიათდება მწვავე გემოთი და გამაღიზიანებელი მოქმედებით, კაფსიკუმროტი (რომელსაც კაროტინის ებური გამოყენება აქვს), კაფსანთინი (Capsanthin), კაფსორუბინი, ლუტეინი, ვიტამინი, პიგმენტები, 7–9% ნაცარი და 1,25 მჟავაში უხსნადი ნაცარი. წიწაკის ოქსლებში 10%-მდე ცხიმზეთა.
6.	წიწიბურა	<i>Fagopyrum sagittatum</i> Gilib. (= <i>F. esculentum</i> Moench, <i>Polygonum fagopyrum</i> L.)	ხეს. კრუმა; ფშ. ტრუბკა.		<p>მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახის მცენარეა.</p> <p>წიწიბურა შეიცავს ცილებს, სახამებულებს, შაქრებს, უჯრედისს, ცხიმებს, რკინის, კალციუმის, ფოსფორის, სპილენდის, თუთიის, ბორის, იოდის, ნიკელის, კობალტის მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ლიმონის), ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, P, PP). წიწიბურის ცილები ბიოლოგიურად აქტიურია, შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ამინომჟავებს, როგორიცაა ლიზინი და ტრიფტოფანი. სამედიცინო რუტინის წყაროა წიწიბურას აყვავებული ბალახი.</p> <p>წიწიბურა არაჩვეულებრივი დიეტური პროდუქტია, განსაკუთრებით სასარგებლობა კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სისხლნაკლებობის, ნერვული აშლილობის, თირკმლების დაავადების და შაქრიანი დიაბეტის დროს.</p>
7.	წიწმატი	<i>Lepidium sativum</i> L.	გურ. წიწმარი-ბა; ჭნ. ცხუ-კუბური; მგრ. წიწმარტე.		<p>კუთნის ჯვაროსანთა (Brassicaceae) ბოტანიკურ ჯგუფს, იგი კულტურული მცენარეა, იზრდება 20–40 სმ სიმაღლის, ფოთლები ერთხელ ან ორჯერ ფრთართულია, გაგრძელებულ-ხაზური, მირითადად კულტურაშია, მაგრამ გვხვდება გაველურებული სახითაც, რუდერალურ ადგილებში მთის შუა სარტყლამდე.</p> <p>წიწმატი შეიცავს მწარე ექსტრაქტულ ნივთიერებას – ლეპიდინს, რომელსაც იყენებენ მაღარიის წინააღმდეგ, ხოლო მის თესლებს კუჭის დაავადებათა პრატიკაში, ამოსახველებელ საშუალებად და დედათა წესის შემამსუბუქბლად, შეიცავს 58% ცხიმზეთს.</p> <p>წიწმატი მდიდარია მინერალური მარილებით (კალციუმით, იოდით, კალციუმით, რკინით, ფოსფორით). შეიცავს კაროტინს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, C), ეთერზეთებს.</p> <p>წიწმატი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, იგი ხელს უწევობს ძილს, ამცირებს სისხლის წნევას, ვიტამინი C-ს დიდი შემცველობის გამო გამოიყენება სურავანდის სამურნალოდ.</p> <p>გარეული წიწმატის ძირებს იყენებენ მუცლის ტკივილის დროს (ბოდისხევში).</p>

					ახალქალაქის რაიონში წიწმატის დანაყილ თესლებს აზავებენ, წელში ზელენ და ფაფის სახით ადგენ ფეხისა და ხელის სიმსიცნეებს.
8.	წიწმატურა	Capsella bursa-pastoris (L.) Medic.	ქრთ. ხაჭმაჭი-ჭა; კხ. ხეჭჭ-ჭორა; ფშ., მთ., გრ. კხ., ქუყ. ხაჭიჭორა, ყაჭიჭორა; მხვ. ჭიწმატი; თშ. შანება, ხავარტა; ხვს. შურშენა; ჯვხ. ჩიტის პური; სმხ. ჩიტიპურა, წიწმატა; იმ., ლჩხ., გურ., აჭ. ოდელია, ოდე-ლიქ; წლა-რგ., ზმ. იმ. ხარიბილა; მგრ. ტყარი წიწმარტე.		<p>კუთვნის ჯვაროსანთა (Brassicaceae) ბოტანიკურ ღჯახს..</p> <p>ის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება მარტივი ან დატოტვილი სწორმდგომი ღეროთი, რომელზედაც მორიგეობით განლაგებულია მჯდომარე ფესვთანი, ფრთადგანკვეთილი, კიდემთლიანი ან ამოღრდნილქბილებიანი ფოთლები, ახასიათებს მტევანი უვაკილები, რომელთაგან ვითარდება ჭოტაქი ნაყოფი. მას ხშირად ნახავთ კულტურულ ნათესებს შორის, როგორც სარეველა მცენარეს.</p> <p>ხაჭიჭორა საქართველოში გვხვდება თითქმის უველგან მთის ზედა სარ-ტყლამდე, მინდვრებში, ნასვენ და რუდერალურ ადგილებზე, გზისპი-რებზე, ეზოებსა და ბოსტნებში. ხაჭიჭორა ხევსურული სახელია, მას წიწმატურასაც ეძახიან.</p> <p>კურნალობის საქმეში ხაჭიჭორა გამოიყენება მთლიანად ყვავილობის პერიოდში. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ალკალინობურსინი, გლუკოზიდი, ბურსამჟავა, ტირამინი – პენტაოქსიფენილეთილამინი, ქლინინი, აცეტილქლინინი, 20%-მდე ცხიმზეთი და ვიტამინი.</p> <p>მეცნიერულ მედიცინაში მწყემსის გუდა (ხაჭიჭორა) რეკომენდებულია როგორც საშვილოსნოდან სისხლის დენის შემწყვეტი საშუალება და აგრეთვე გაძლიერებული მენსტრუაციის დროს.</p> <p>წიწმატურას გაფხექილი ძირების ნახარშს მუცლის ტკიფილის დასამებ-ლადაც სვამებს. ჩვენი ხალხი მას იყენებს მდოგვის შემცვლელად ან მხალად; ხალხურ მედიცინაში ხმარობენ როგორც სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებას. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელები მას იოდის ნაცვლად ხმარობდნენ.</p>

9.	<b>წყავი</b>	Laurocerasus officinalis Roem.	ქრთ. ჩქერი; ქვ. რჭ., ლჩხ. შპერი; ზმ. რჭ. ლეშპერი, ლეშკი; სბ. მწყავი; ჭნ. მწკო, მწკოლი, წუ; მგრ. წყი, წყილი, წყივი, წყივი, წყოვი, წყოვი; სვნ. წყევ, წყავ		<p>წყავი ეკუთვნის ვარდისებრთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მერქნიანი მცენარეა, 3-დან 6 მ-მდე და ზოგჯერ მეტი სიმაღლისაა. მოგრძო ელიფსური ფოთლები ტყავისებურია, ყვავილები მტევანი, სიგრძით ფოთლზე მოკლე. ნაყოფი შავია ან მოვარდისფრო. წყავი ჩვენი ტყეების ერთ-ერთი კომპონენტია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, კოლხეური ელემენტია, მაგრამ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც.</p> <p>წყავის ფოთლებს აგვისტოში აგროვებენ და წყავის წყალს (Aqua Laurocerasi) ამზადებენ, რომელიც დამხმარე საშუალებაა ზოგიერთი წამლის შესამზადებლად.</p> <p>მის ნახარშს ასმევენ მუცლის ტაიგილის დროს, პუჭის აშლილობისას, მისი ნაყოფისაგან გამოხდილ არაეს – ქარების, რევმატიზმის დროს.</p>
----	--------------	--------------------------------	---	--	---

1.	<b>ჭარელა</b>	Teucrium chamaedrys L.	კხ. მლივანა, სურავანდის ბალახი; მსხ. ვარდიფერა, ყიზილარი; იმ. ჭარელი; ქაყ. ჭრელო; რჭ. მოპიტნაო; მთ. სიცხის წამალი.		<p>ჭარელა ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის მცენარეა, მრავალწლიანი 10–45 სმ სიმაღლის, ყვავის ივლის-ოქტომბერში.</p> <p>გვხვდება სტეპებში, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, ბუჩქნარებში, კლდეებსა და მოტიტვლებულ ადგილებში. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში,</p> <p>შეიცავს საპონინებს, ეთერზეთებს, მწარე ნივთიერებებს, ტანის, გლიკოზიდს, დიტერპენოლებს.</p> <p>სელს უწყობს სისხლის შედეგებას, საშვილოსნოს შეკუმშვას, გამოიყენება როგორც ჰიპოტენზური საშუალება. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც დიურეტული, ციების საწინააღმდეგო, სისხლის შემახერებელი, ოფლმდები, ამოსახველებელი, ანტირევმატოიდული, ანტიანთებითი საშუალება. ასევე გამოიყენება წყალმანკის, ბუსილის, ნიკრისის ქარის, სისხლნაკლულობის, კუჭის კოლიკის დროს.</p>
2.	<b>ჭარხალი</b>	Beta vulgaris L.	ინგ. ჭერხილ; ჭარხალა; სვნ. ჩაგანდვირ, ჭარხალ.		<p>ჭარხალი კულტურული მცენარეა, ეკუთვნის ნაცარქათამასებრთა (Chenopodiaceae) ოჯახს, იშვიათად გაველურებული სახითაც გვხვდება, მაგრამ ძირითადად კულტურაში მოჰყავთ. საჭმელად გამოსაძეგად მისი ცესვებიც და ფოთლებიც.</p> <p>წითელი ჭარხალი შეიცავს 83% წყალს, 1,26% აზოტოვან ნივთიერებებს და ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებს. აზოტოვან ნივთიერებათა შორის ნახეს გლუტამინის მჟავა, არგინინი, ასპარაგინი და ბეტაინი. ცნობილია, რომ ბეტაინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლის პროცესში. ჭარხალი მდიდარია ნახშირწყლებით (საქართვა, გლუკოზა და ფრუქტოზა). ჭარხალში ბევრია ვიტამინებიც. 1 კგ წითელ ჭარხალში შედის 220 მგ C ვიტამინი, 6,5 მგ ნიკოტინმჟავა, 0,5 მგ B ვიტამინი და სხვ., აგრეთვე ცნობილია, რომ 100 გ უმი წითელი ჭარხალი შეიცავს დაახლოებით 7,3 მგ რკინას, რაც ნიშნავს, რომ იგი ძვირფასი პროდუქტია ანემიით (სისხლნაკლებობით) დაავადებულთა სამკურნალოდ.</p> <p>წითელი ჭარხალი შეიცავს ვაშლის მჟავას, ამიტომ ის კარგია იმათოვის, ვისაც თირკმელში კენჭები აქვს.</p> <p>ჭარხალს სმარობენ ღვიძლის დაავადების დროს, ყაბზობის დროს, თირკმლის კენჭების წინააღმდეგ და სხვ.</p>

3.	<b>ჭერამი</b>	<i>Armeniaca vulgaris</i> Lam.	ქ'ყ., თშ. ჭერები; მსხ., ჯვე. წირანი; ინგ. ერიგ.		<p>ჭერამი ვარდნაირთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იზრდება ხის სახით, რომლის ტოტებზე მორიგეობით განლაგებულია გრძელ-უნდანი, მომრგვალო ან კვერცხისნაირი, შიშველი ფოთლები ხერხ-კბილა ნაპირებით და წაწვეტილი წვეროთი. ახალგაზრდა ყლორტებზე ჯერ კიდევ ფოთლების გამოსვლამდე იშლება დიდი ზომის თეთრი ან მოვარდისფრო, მჯდომარე ყვავილები, რომელთაც აქვთ მრავალი მტვრიანა, ხუთფურცლოვანი ჯამი და გვირგვინი. ყვავილების განაყოფიერების შემდეგ ჭერამზე ვითარდება მსხვილი ხორციანი ყვითელი ფერის ნაყოფი კურკით. ჭერმის თესლი შეიცავს გლუკოზიდ ამიგდალინს, ფერმენტ ემულსინს, 27% შაქარს, განსაკუთრებით სახაროზას, პექტინს, მინერალურ ნივთიერებას, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს, 30–40% ცხიმზეთებს, 25% ცილოვან ნივთიერებას, დიდი რაოდენობით B და უფრო მცირე რაოდენობით C ვიტამინს. ჭერმის კურკის დაწვით მიიღება შავი საღებავი.</p> <p>ჩვენი ფარმაკოპეის მიხედვით დასაშვებია ჭერმის კურკის გამოყენება მწარე ნუშის თესლის ნაცვლად, განსაკუთრებით მწარე ნუშის წყლის მომზადებისას; ჭერმის თესლიდან მიღებული ზეთი იხმარება ნუშის ზეთის ნაცვლად. ჭერმის თესლის ქიმიური შემცველობა თითქმის იგივეა, რაც ნუშისა. ჭერამი უმთავრესად კულტურაშია გავრცელებული. კახეთში ჭერმის ფოთლის წვენით მკურნალობენ იარებს.</p>
4.	<b>ჭიაფერა</b>	<i>Phytolacca americana</i> L. (= <i>Ph. Decandra</i> L.)	კ. იმერული საფერავი, სა- ფერავი; გურ., იმ. ფერა-ფე- რა; ლჩხ. მეფერვიქ; რჭ. ფერუა; აჭ. ჭყურტა; მგრ. ჯამფეზია, ჯაფეზია, ჯაფაზია; სენ. ჯრმფეზ. წუწუნავა ლაქი		<p>ლაქი – ჭიაფერა, <i>Phytolacca decandra</i> L. ეკუთვნის (Phytolacaceae) ბოტანიკურ ოჯახს.</p> <p>„ლაქი კუროს თავი არს“ (ზ.ფ. 401), „კუროსთავი სარკინოზულად ასაქი“ (ზ.ფ. 403) და აგრეთვე „კუროს თავი რომელ არს ასაქე“. სხვა წამლებთან ერთად კუჭ-ნაწლავის, დვიძლის დაავადების და ბუასილის დროს იხმარებოდა ლაქის ძაჯუნი.</p>

5.	<b>ჭიკარტი</b>	Veronica polita Fr.–Er.	შვნ. ჩინჩვლიშ გემილდ, ზურალცშ გავა		<p>ეკუთვნის შაგწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახს. ერთი-, ორწლიანი მწოლიარე დერიანი მცენარეა, ყვავის აპრილ-ივლისში. ვხვდება რუდერალურ ადგილებში, ქვიშნარ ნიადაგზე მთისწინა ზოლში 500 მ. ზღვის დონიდან. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური თვისებები შეუსწავლელია. გვხვდება ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში გართულებული მშობიარობის შემთხვევისას მოწოდებული რეცეპტის შემადგენლობაში.</p> <p>„აზრუმელის ცნობარის“ მიხედვით: <b>თუ ყმაწვილის აფხ(ა)ნაგი არ დავარდეს, სამი ძირი ჭიკარტა, სამი ქალშავა დანაუკ და წყლით ასვი, საკმელი უყრჩოლე, კირი ძრმით მოზილე, ჭიათა ქვემოთ ამოსდევი. 47v–48r.</b></p>
6.	<b>ჭილი</b>	Juncus L.	ქრთ. ქოქოზა; რჭ. ჭარის ბალახი; რჭ., ლჩხ. მათრახა, საჭილოვან; გურ., აჭ. ჭილოვა; იმ., ლჩხ. ჭილოვი; სბ. შოლდო; ჭნ. საზი; მგრ. რჭოლი, ჭოლი ჭო.		<p>ეკუთვნის ჭილისებრთა (Juncaceae) ბოტანიკურ ოჯახს.</p> <p>ჭილი მრავალწლიანი მცენარეა, აქვს დია ან მუქი მწვანე ფერის ძალიან წვრილი დერო, ფოთლის ფირფიტა ვიწროა და გრძელი, ყვავილედის ქეშა ფოთლები ყვავილებზე უფრო მოკლეა, სამტკერ ადემატება მტკრიანის ძაფს.</p> <p>გავრცელებულია ძირითადად ქართლში, გარე კახეთსა და გარდაბანში, ხოლო დასავლეთ საქართველოში იშვიათია. უმთავრესად ის ტენიან ადგილებში, მლაშობებზე, იშვიათად ტყის სარტყლის მდელოების ტენიან ადგილებში და აღმოსავლეთ საქართველოში ნახევრად უდაბნოებისა და ველების სარტყელში გვხვდება. ჭილის დეროს და მხოხავ ფეხვურას მსხვილი რქოსანი პირუტყვი კარგად ჭამს, ხოლო დანარჩენი სახეობის ცხოველები არ ეკარებიან.</p> <p>ჭილის თივის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: წყალი – 10,1%, ნაცარი – 6,7%, პროტეინი – 9,7%, ცხიმი – 2,3%, უჯრედანა – 30,9%, უაზოტო ექს-ტრაქტული ნივთიერებანი – 50,4%, ფოსფორი – 0,10%, კალიუმი – 1,73%, აქედან მონელების კოფიციენტი: პროტეინისა – 74%, ცხიმისა – 49%, უჯრედანასი – 71%, ხოლო უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებებისა – 61%.</p> <p>სამედიცინო ხელნაწერებში მას იყენებენ ელენთის გადიდების საწინააღმდეგოდ, შარდის შეკავების დროს.</p> <p>აჭარაში ჭილის გულგულს ხმარობენ კოურის წინააღმდეგ.</p> <p>ხალხურ მედიცინაში გამოიყენებენ წყალმანის, დიარეის, საშვილოსნოდან სისხლდენის დროს, თირქლის კენჭოვანი დაავადების დროს</p>

					<p>როგორც შარდმდენ საშუალებას.</p> <p>„აზრულების ცნობარში“ ჭილი იხსენიება როგორც ჭილოფი. იგი რეკომენდებულია შარდის შეუკავებლობის საწინააღმდეგოდ:</p> <p><b>შარდს ვერ იჰირევდეს</b> ჭილოფის ძირი დან(ა)ყე და სვი. 14v. „კარაბადინი კარგი და მარგებელი“ მას იხსენიებს ტერმინით ჭილი: ტყირბისათ(ჟ)სვე. ჭ(ი)ლის ძირი თეთრი მონაყე და თეთრითა დანითა აღუდე, და შეასპ ტფ(ი)ლი. მარცხენასა გუცრდსა მიაწვინე და ... მჟავესა და მლაშესა ნუ სჭამს ხან ერთ(ს). 14r.</p>
7.	ჭყიპანტა	<i>Silene wallichiana</i> Klotzsch (= <i>S. commutata</i> auct.)	მხვ. სატყეულებელა; მხვ., ფშ., ხვს., ოშ. მჭივანა, ჭივანა; ერწო ჭყიპანტა; აჭ. ტბაცუნა; სვნ. ლატყებანტრ, სატკეცელავ.		<p>ჭყიპანტა, სატკეცელაი. ეკუთვნის (Cariophylaceae) ბოტანიკურ ოჯახს.</p> <p>„აზრულების ცნობარში“ ეს ტერმინი მოწოდებულია სინონიმით სატკეცელაი:</p> <p><b>შარდის ჭირვისათვის</b> და <b>შირიმისათვინ</b>. ერთი პერი სატკეცელას კაქ(ა)ლი წყლით აღუდე, და(ა)დნე, გადმოიდე, გასწურე, თბილი შეასვი, ორსავე(ს) უშველის.</p>

1.	<b>ხანჭკოლა, თერმისი</b>	Lupinus albus L.	სბ. ხანჭკო- ლა, თერმია, ლოპინარი; ი.ა. თერმისი, ჩ. თერმია, თერმუზი		<p>პარტოსანთა (Fabaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის.</p> <p>ეს მცენარე ფართოდაა გავრცელებული. თესავენ საქონლის საკვებად. 20–50 სმ სიმაღლის მქონე ერთწლიანი ბალახია; ხშირად მისი დერო წვერში დატოტიანებულია, დაფარულია აბრეშუმისებრი ბუსუსით. ფოთლები უკუღმა კვერცხისებრი ფორმისაა, 5–7 ფოთოლაკისაგან შედგება. ჯამი შებუსვილია, გაირგვინი თეთრია, ნაყოფი 6–11 სმ სიგრძის, მოყვითალო, შებუსვილი პარკია.</p> <p>ჟელ ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება აგრეთვე თერმიას, თირმითინის, თურმუზის, თურმისის, თირმუზის, ლოპინარის სახელწოდებით. მცენარის ფქვილი იხმარებოდა მუნის საწინააღმდეგოდ. ამ ფქვილს ლიმნის წვერში ან მმარში ხსნიდნენ და დაბანის შემდეგ უსვამდნენ ტანხე. თირმითინა, ანუ იგივე თერმისი, შედიოდა ყვითელი მალამოს „შემადგენლობაში. ეს მალამო „ჯალინოზ“ და ბოლრატ „ექიმთაგან“ მოწოდებული იყო და იხმარებოდა ჭრილობის სამკურნალოდ. ის „წყლულსა მწოედ ამთალებს და პირს მოსწმენდს და ყოვლის წყლულის და მუწუკისათვის მწოედ ტკივილსა დაამშებს“.</p> <p>გვხვდება თურმისის წყალი, რომელიც იხმარებოდა თავის დასაბანად თავში ქერტლის არსებობის დროს. თერმისი თანამედროვე მედიცინაში არ იხმარება. მცენარე, უმთავრესად კი მისი თესლები, შეიცავს შხამიან ალკალინიდებს – ლუპანინს, ლუპანინს და სპარტეინს.</p>
2.	<b>ხარისვარდა</b>	Salvia sclarea L.			<p>ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახს ეკუთვნის.</p> <p>საქართველოში გვლურად მოზარდი გვარი სალბის – Salvia L. 12 სახეობა, მათ შორის S. sclarea L. – ხარისვარდა და S. aerhiopis L. – ბამბიქულა, ეთიოპიის სალბი. ორივე ოფიცინალურ სახეობებადა მიჩნეული ბევრ ქვეყანაში</p> <p>სალბის ფოთლებს ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული და შემკვრელი მოქმედება. გამონაცემს ივლებენ ყელსა და პირის დრუში, ზემო სასუნთქი გზების კატარის დროს. იყენებენ სტომატოლოგიაში, კუჭ-ნაწლავის ინფექციების, ანთებისა და მეტეორიზმის დროს. ხელს უწყობს ოფლის გამოყოფის შემცირებას, ამიტომ ურჩევენ ტუბერკულოზით დავადებულებს და კლიმაჯესის პერიოდში. ეთეროვანი ზეთიდან ამზადებენ კომპლექსურ პრეპარატ სალვინს; მონასარშით იბანენ ჩირქოვან ჭრილობებს და ფურუნკულებს. პომერპათიაში ნედლი ფოთლები ძირითადად საოფლე ჯირკვლების სეკრეციის შემამცირებელი საშუალებაა.</p>

3.	ხარისკუდა, შუბანა	Verbascum spectabile Bieb.	კხ. ყვირილა; მსხ. შუბანა; მსხ., ჯგ. ბაბაყვერა		<p>ხარისკუდა, ბაბაყვერა. – შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახის მცენარე, ორწლიანი, 50–130 სმ სიმაღლის, ყვავის მაის-ივნისში. გვხვდება მთიან ტყეებში, მცირე აზიაში. ქიმიური და ფარმაკოლოგიური ოვისებები შეუსწავლელია. ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში იგი ამოსახველებელ საშუალებადაა ცნობილი. ამ გვარის სხვა საშუალებები გამოიყენება ამოსახველებლად და ანტიანთების საშუალებად.</p> <p>„საექიმო წიგნში“ ეს მცენარე იხსენიება ტერმინით ბაბაყვერა:</p> <p>ნიშანი ლოყიოსი, ხიფილისა და ჭველისა, რომელ არს ნაჟვისა და ერგების ყოველსა ფირტების გველასა, რომელი იტელდებ და ამოპერიდენ მყრალსა ნერწყვსა და ყოველსა ჭველისა ძველსა სარგებლისა არის თუ დ(მერ)თსა უნდეს. თარანგუბინი ლოყოთა შექნისა უნდა რომე დანაყო წამალნი გმელნი და დაალბე, რომელთა ლაბის გამოღება წამს ვითა ბიასა ბურკა და ბაბაყველისა თესლი, შამბალითისა თესლი და სხვანი. ერთითა დღითა უწინ და ცვილი და ზეთი ორივე ცეცხლითა ზედან ერთად შერიცნე, კარგა რომე არ შეიყენე წამალნი. 13r-v</p>
4.	ხარისშუბლა	Sevecio platyphyllus (M.B.) D.C., S. Platyphylloides S. et L.	ლჩ. ხოსიერ- ლას თუთუნი; აჭ. ხბოშუბლა		<p>როულევაგილოვანთა (Asteraceae) ოჯახში შედის. ხარისშუბლა მრავალ-წლივანი, ნიადაგში ჰორიზონტალურად გაწოლილი, გრძელ ფესურიანი მცენარეა. აყვავებული, გულგულით ამოვსებული დეროს სიმაღლე 100–150 სმ-ია, ზოგან 200 სმ-აც აღწევს, რომელიც მრგვალი გარშემოწყ-რილობისაა და სიგრძეზე წვილად დადარული. გრძელეულწიანი, განიერებად გულისებრ ამოჭრილფუძიანი, 25–30 სმ სიგანის ფოთლები შორი-გეობითად განწყობილი. ფოთლის ყუნწს მკერდზე კარგად გამოსახული ფრთები ჩასდევს, რომელიც ყუნწის ფუძესთან ბიბილოვებივთაა გაგანიერებული და დეროს ეხვევიან, ფოთლის ფირფიტის კიდეები ბასრი ხერხებილაა, საყვაილე დეროს კენწრულ ნაწილში ფოთლები ფრიად დაკნინებული და წაგრძელებულ-ლანცეტებისებრია, ყვითელი კალათა ყვავილები კენწრულ ფარისებრ ყვავილედადაა შეკრებილი: კალათების საბურველის მწვანე ფოთლები ხაზურ-ლანცეტაა, ბოლოში წაწვეტებული და კიდეებში ჩალისფერი სიფრიფანა არშიით შემოვლებული.</p> <p>ყვავის ივლის-აგვისტო-სექტემბერში, ჩვეულებრივ იგი სუბალპური ლიხისა და შამბის (მაღალბალახეულის) შემადგენლობაში გვხვდება. ხშირადაა სუბალპური დაბალი სისტემის როგორც ფოთლოვან, ასევე წიწვოვან ტყეებში. უფრო მეტი რაოდენობითად ტყის ნაკადულებისპირას</p>

					და ჩადაბლებულ ნესტიან ადგილებში.
					<p>იგი კავკასიისათვის ენდემური მცენარეა, ე.ო. კავკასიის გარდა მსოფლიოში ბუნებრივად სხვაგან არაა არაა გავრცელებული. უცრო სშირად ზღვის დონიდან 1500–2500 მ-მდე სიმაღლეზე ქმნის კარგად განვითარებულ შაბბნარს. ამ მცენარის ყველა ნაწილებში მოიპოვება ალკალოიდები (პლატიფილინი, სენეციფილინი, ნეოპლატიფილინი, სარაცინი).</p> <p>მცენარის ფესურისა და ფესვებისაგან დამზადებულ პრეპარატებს იყენებენ მუცლის დრუს მუსკულატურის სპაზმების დროს, მასვე სმარობები კუჭისა და თორმეტორჯა ნაწლავის წყლულის, ბრონქიალური ასთმის, ჰიპერტონიის, სტენოკარდიის, სისხლძარღვების სპაზმების დროს, აგრეთვე ოფთალმოლოგიაში თვალის გუგის გასაფაროებლად.</p>
5.	ხარისძირა	Helleborus უმთავრესად <i>H. caucasicus</i> A. Br. და <i>H. abchasicus</i> A. Br.	<p>ქრთ. კრუხ- წიწილა, ჯუ- კუტა, ძერა- კურკუტანა; ქვ. ქრთ. ხარისძირა; რჭ. ჯუჯუკვერა, ყაყაჩო, თეთრი ყაყაჩო; ზმ. იმ., კახ. ძმრის დედა; გურ. ბატისკვერ- ცხაი; აჭ. ხარისძირა, კრუხის ბუდე; მგრ. ხარზენი, ხარძენი, ხეჩ- ლა; სენ. კარძილ, კცრზილ.</p>		<p>ხარისძირა ეკუთხის ხარისძირასებრთა (Helleboraceae) ბოტანიკურ თჯასს, მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ივითარებს მსხვილ ფესვების, დერო სუსტადა შეფოთლილი. ფესვიანი ფოთლები ტყავისებურია, თაოსებრ დანაკვთული, ყვავილი დიდი ზომისაა, თეთრი, მოვითალო-მომწვანო ელფერით, ნაყოფი ფოთლურაა, თესლი შავი. იზრდება აქაზეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხეუმის, სამხრეთ ოსეთის და ქართლის ტყეებში და ტყისპირებზე.</p> <p>მედიცინაში იყენებენ მის ფესვებსა და ფესვურებს. მისი ყველა სახეობა შეიცავს გლიკოზიდ პელებორინს და ცხიმზეთს. გამშრალი მასა შავია, თავისებური სუნით და ოდნავ მოტკბო გემოთი, ხოლო შემდგებ მოტკბო გემო გადადის ძალზე მწარე, არასასიამოვნო გემოში. გლუკოზიდი პელებორინი გულზე ძლიერ მოქმედებს, ამიტომ მისი მზასახით მიცემა გულით დაავადებულისათვის აკრიალულია. ხარისძირას გამონახარშ წყალში აბანავებები სუსტ ბავშვებს, მაგრამ გულით დაავადებულთათვის არც მის წყალში ბანაობა შეიძლება.</p> <p>ვეტერინარიაში, უმთავრესად ქირურგიაში ე.წ. ხარისძირას ჩხირების სახით უძველესი დროიდან იყენებენ, ის შეიცავს ორ გლიკოზიდს, პელებორინს (<math>C_{36}H_{42}O_6</math>) და პელებორეინს (<math>C_{21}H_{34}O_{10}</math>). პირველი ზურგისა და თავის ტვინზე მოქმედებს დამადამბლავებლად, ხოლო მეორე, გარეგანი სმარებისას გამდიზიანებელია, პირის გზით მიღებული კი მოქმედებს ფუტკარას (Digitalis) მსგავსად. ამერიკაში ხარისძირას მწარე სახეობას ურჩევენ თხიერი გამონაწლილის სახით, როგორც სედატიურ და დიურეტიკულ საშუალებას.</p> <p>ხარისძირას იყენებენ ცხენების სამკურნალოდ (ზურგის დაშავების</p>

					<p>შემთხვევაში) და ხარის კასრის შესიების დროს (გუდაუთა, ლიხნი).</p> <p>ხარისძირას რაჭაში ხმარობენ როგორც ვეტერინარიაში, ისე ადამიანის სამკურნალო საშუალებად წყალმანქის, საქმაწვილოს, ძირმაგარების მოსამწიფებლად, როგორც მენსტრუაციის მომგრელს, კანის დაავადების დროს, მისი ფესვების ნახარშს ელექტოს სამკურნალოდ სვამებ.</p> <p>ვეტერინარულ პრაქტიკაში ყურის დაავადებას მკურნალობენ (ქვემო სვანეთი).</p>
6.	ხაშხაში	Papaver somniferum L.	ქ. ღაედაჟი; ს. ყაყაჩორა; ჩ. ყაყაჩოვარა, მიკონის მცენარე; ქვ. იმ. ძილიგუდა		<p>ხაშხაში ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ხასიათდება ნაკლებად დატოტიანებული მარტივი დეროთი, რომლის კენწეროზე დიდი ყვავილი ვითარდება, მოგრძო ფოთლები მორიგეობით სხედან დეროზე. ქვედა ფოთლები კვეთილი ან დატილული ფოთლები უფრო დიდი და გრძელყუნწიანია, ხოლო ზედა ფოთლები მჯდომარევა და დატილული, ყვავილს აქვს ორი ჯამის ფოთლობა, რომლებიც გაშლის პერიოდში ცვიგა. გვირგვინი შედგება ოთხი წითელი, ისტვერი ან თეთრი (Papaver somniferum L., var. album G.C. Pindehiscens Dumort) ფურცლისაგან. ყვავილი ხასიათდება მრავალრიცხოვანი სხივისებური მტევრიანათი და ნასკვით. ნაყოფი წარმოადგენს საქმაოდ დიდი ზომის 2–7 სმ სიგრძის და ცოტად თუ ბევრად მრგვალი ფორმის კოლოფს რამდენიმე სატიხარით, საიდანაც მრავალი ძალიან წვრილი, თირკმელისებური, მოშავო ფერის თესლები ცვიგა. ეს კულტურული ძაღლსავლებური წარმოშობის მცენარე ხშირად გეხვდება სარეველას სახითაც, განსაკუთრებით საცხოვრებელ ადგილებში. ჩვენში სამკურნალოდ იყენებენ ხაშხაშის თესლს, ქერქს და წვენს შარბათის სახით (თაფლში, ან შაქარში ნახარშს) და ხაშხაშის ლაბს, ანუ მის სირფს ფილტვების დაავადების, უძილობის, თვალის სითეთრის წინააღმდეგ, აგრეთვე როგორც საფალარათოს და სხვ.</p> <p>მას უხსოვარი დროიდან იყენებენ სამკურნალო მოზნით. ოპიუმი, რომელიც ამ მცენარიდან მიიღება, ცნობილი იყო 3000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვებამდე. გაჭრილი მცენარე შეიცავს 0,1% ალკალოიდებს, რომელშიც შედის ალკალოიდი ოპიუმი. ნედლ სააფთიაქო მასალას ნარკოტიკის სუნი აქვს და მწარე გემო, მაგრამ გაშრობის შემდეგ კარგავს სუნს და გემოს. ხაშხაშის თესლში დიდი რაოდენობითაა მლაშე ზეთი, უფრო ნაკლები ლორწო და კვერცხის ცილა. ხაშხაშიდან მიღებული ალკალოიდები წარმოადგენს დამამშვიდებელსა და ძილისმომგრელს. სააფთიაქო ნედლეული ავადმყოფს ენიშნება გამონახარშის სახით ნერვული მდგომარეობის დროს დასამშვიდებლად, ამავე დროს იგი აყუჩებს ტკივილს. ხაშხაშის ზეთი გამოიყენება მეცნიერულ მედიცი-</p>

					<p>ნაში პლასტირების, სალბუნებისა და საპნის დასამზადებლად, აგრეთვე იყენებენ საჭმელად.</p> <p>წინათ ხაშხაშის წევნს აძლევდნენ ჭირვეულ ბაგშვებს დასაძინებლად, რაც ცუდ გავლენას ახდენდა მათზე. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ხაშხაშისაგან მიღებულ ოპიუმს, მის ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, პაპავერინს, ასევე პრეპარატ მონოპონს (პანტოპონს) და სხვ. ქიმიურად ხაშხაშის მოუმწიფებელ ნაყოფში მორფინის რაოდენობა უდრის 0,02–0,05%, ნახევრადმწიფეში – 0,04% და მწიფეში კი – 0,017–0,07%; მორფინის შემცველობა თითქმის ლრმა სიბერემდე გრძელდება, მაგრამ რა თქმა უნდა, თანდათან მცირდება. ის შეიცავს აგრეთვე ნარკოტინს, უფრო სწორად მის კვალს, პაპავერინს, პაპავეროზინს, მეკონიუმეჟავას, ლინინის მჟავას, ციტრონმჟავას და სხვ. ნაცრის შემცველობა 10–12% შეადგენს; იყენებენ მის ფოთლებსაც (Folia Papaveris), რომლებისგანაც ამზადებენ ყავაჩოს ზეთს (Oleum Papaveris).</p>
7.	ხახვი	Allium cepa L.	სმხ. ხვახი; მთ. რჭ., მხახვი; ინგ. ჭნ. სოდანი, კრომი; მგრ. ხვარხვი; სვნ. ხცხვ		<p>ხახვი შროშანისებრთა (Liliaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იგი მრავალწლიანი მცენარეა. აქეს თეთრი ყვავილი და წითელი ფერის მოგრძო ან ბურთისებრი ბოლქვები და ერთ მეტრამდე სიმაღლის დერო, რომლის კენტეროზე მეორე წელიწადს ვითარდება მრავალი ყვავილისა-გან შემდგარი სფერული ქოლგა – ყვავილედი.. ხახვს აქვს ღრუ ფოთლები, ნიორის მსგავსად ხახვი საქართველოს ბოსტნებისა და ბაზარების ერთ-ერთი დამახასიათებელი კულტურული მცენარეა, რომელიც დიდი რაოდენობით ითესება, რადგან დიდი გამოყენება აქვს კულინარიაში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ხახვის ბოლქვებზე არსებულ სახე-ცვლილ ფოთლებს მოთუშული სახით ხმარობენ ჩირქეროვების გამოსარჩევად და ჭიის დამდენ საშუალებად. მეცნიერულ მედიცინაში ხახვმა მხოლოდ ბოლო ხანებში პოვა გამოყენება როგორც კარგმა ფიტონციდმა: ძირითადად იხმარება მისი ბოლქვი (Bulbus Cepae), რომელიც ქიმიურად შეიცავს საქართვის, შაქარს, ქვერცხინს, ლიმონმჟავას, ინულინს, პენტოზის, შეფერილ უგემო დაუანგულ კატექინს და პროტო-კატექინის მჟავას.</p> <p>როგორც ფიტონციდი, ის გაზაფხულზე უფრო მოქმედებს; გარდა ამისა, ამ პერიოდში ის დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს, რომლებშიც შედის გოგირდი, მდიდარია ვიტამინით.</p> <p>ხახვს რაჭაში იყენებენ მაღის მომგვრელად, საგულე საშუალებად და ჭრილობის მოსამწიფებლად.</p> <p>თეთრ ხახვს კანზე გამონაყარისა და მუწუკების დროს ხმარობენ.</p>

8.	<b>ხებალახა</b>	<i>Solanum dulcamara L. s. l.</i>	მხვ., მესხ. ხესურავანდა		<p>ხაღლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახის 0,3–3 მ სიმაღლის ნახევრადბუჩქია. ყვავის მაის-ოქტომბერში. გვხვდება ტენიან ტყეებსა და ბუჩქნარებში მდინარის, ტბისა და ტბორების ნაპირებთან. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, მცირე აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს A და C, ლიკოპინს, ქოლინს, არაბანს, გალაქტანს, ლაქტინს, ცილოვან ნივთიერებებს, კალიუმს და სახამებელს. მის ღეროვანს იყენებენ ასომის, რევმატიზმის, კანის დაავადებების წინააღმდეგ, გუჭ-ნაწლავის დაავადების დროს, აქს შარდმდენი, ანტიანთებითი და ამოსახელებელი თვისებები. გამოიყენება ხალხურ მედიცინასა და პომერპათიაში.</p> <p>„აზრულების ცნობარი“: <b>სურავანდისათვის.</b> ონტკოფა, ხებალახა, ქათამნ(ა)ც(ა)რ(ა), თეთრი სურავანდის ბალახი, აბზინდა, ესხნი მოხარშე, უორთქლე, ოფლი ადინე, გარს შემოაყარე, წვენით თავი დაბანე, ნუ შეაცილებ ქალბან(ი) ყურთან და(ა)კარ. 2r-v; <b>ლვილისათვის.</b> თავის საწყვეტებლას ძირი, ბარისპირ(ა)ს ძირი, პირწმინდას ძირი, შავბალახას ძირი, შ(ა)ვი წ(ა)მალი და ორფერი, ხებალახ(ა), ძირტყბილა, კილამურ(ა), მრავალძარღვას კაქ(ა)ლი და ძირი, ესხნი ქოთანში ჩ(ა)ყარე, ბევრი წყ(ა)ლი და(ა)სხი, თავი მოუწევე, მოადუდე და გა(ა)ცივე წყ(ა)ლი სულას ძირი, ჭეჭკეტას ცილი, უსმელის წყ(ა)ლით დამწერ და სვი სამს ოთხს დღეს, დილ(ა) საღამოს. 4v-5r.</p> <p>„საექიმო წიგნში“: <b>კარი სურავანდისა.</b> ხებალახა ბევრი ცოტა წყალშიდა მოხარშე კარგათ და მის წვენშიდა ღორის ქონი ჩაგდე, შიგ ქერის ფქვილი ჩაჰყარე, ფაფად შექნი და ჭელის საჭოცხა გააკარი და ცოტა ღორის ქონი პირზედა მოსცხე თბილი, სადაც სტკიოდეს იქ შემოსდევ. 83r-v.</p>
9.	<b>ხეშავი</b>	<i>Rhamnus cathartica L.</i>	ქზყ. შავი ხე; ქხ. ენკრა; სვნ. ფცრვ.		<p>ხეჭრელისებრთა (Rhamnaceae) ოჯახში შედის. განტოტვილი 1,5 მ-დან სიმაღლის ბუჩქი ან 8 მ-დან სიმაღლის ხეა, ეკლიანი ყლორტებით. ქერქი შავი და დახეთქილია. მოპირისპირედ ან მორიგეობით განწყობილი, ზოგჯერ კი ჯგუფურადაც განლაგებული ფოთლები მოხაზულობით კვერცხისებრი ან კლიფსურია, 3 წყვილი რგალისებრი ძარღვით. მცენარე ორბინიანია, 10–15 კუვანით შეჯგუფულია ფოთლის უცნწის იღლიაში. ნაყოფი შავია, მბრწყინვავი, ბერთისებრი კურკიანია, 6–8 მმ დიამეტრში, 3–4 თესლით. კუვანის მაის-ივნისში, ნაყოფი აგვისტო-სექტემბერში მწიფდება. გავრცელებულია უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებში, ქართულ მუხასთან და თელასთან შერევით, აგრეთვე დეგრადირებულ გამეჩხრილ ტყეებსა და ნატევგარზე, ზოგჯერ წიფლის სარტყელშიც. მთაში საერთოდ ზღვის დონიდან 1700</p>

					<p>ზ-მდე სიმაღლეზე უფრო მაღლა იშვიათად ან თითქმის არ გვხვდება.</p> <p>ხეშავის ნაყოფები შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს, უხსოვარი დროიდან იყენებენ მედიცინაში ნაყენისა და გამონახარშის სახით, როგორც ნაზი საფადარაო საშუალება. წინათ გამხსნელ და პირსაღებინებულ საშუალებად იყენებდნენ ქერქსაც. ფოთლები 700 მმ პროცენტამდე ვიტამინ C-ს შეიცავს, მათგან აკეთებდნენ კონცენტრატს ავების პროდუქტების ვიტამინიზებისათვის. ქერქი და ნაყოფი არის საუკეთესო მდებავი საშუალება აბრეშუმის, შალისა და ბამბის ქსოვილებისთვის (არ ხუნდებიან მზეზე). ხეშავის ნაყოფების ფაქიზი გამხსნელი თვისება გამოიყენება ქრონიკული კუჭეკრულობის დროს.</p> <p>ხალხურ მედიცინაში ხეშავის ნაყოფებს იყენებენ წყალმანქის, ნიკრისის ქარის, გასტრიტის, სიყვითლის, სულის ხუთვისა და ბუასილის დროს.</p>
10.	<b>ხეჭრელი</b>	Prangula alnus Mill. (=Rhamnus frangula L.)	ქრო., ლჩხ., რქ., აჭ. თხი-ფსელა; გურ. ლუპუმხა, ლუპუხო; სხ. ლუპუფხა; ჩ. ჭრელა; ჭნ. ლუპუმხა; მგრ. ლუპუმხა; მგრ. ლუპუმხა, ლუპუმხა; სვნ. დაშლვე ცინკა		<p>კუუთვნის ხეჭრელისებრთა (Rhamnaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება საკმაოდ მაღალი ბუჩქების სახით, სადა დეროთი და ტოტებით. ჯამისა და გვირგვინის ნარჩენები ყლორტებზე რჩება ფოთლის კვალთან ერთად, კვირტები ხშირბუსუსოვანია. ფოთლები კიდეგმოლიანი, მოგრძო, შიშველი და მბრწყინავი. გვირგვინი შიგნით თეთრია, ხოლო გარედან მწვანე. ნაყოფი 2-3-კურკიანი ბურთისებური კენკრაა, ჯერ მწვანე, შემდეგ წითელი, ხოლო დამწიფვების შემდეგ კი მბრწყინავი შავი ფერის. გავხვდება ტყეებში, ტყისპირას, ბუჩქებს შორის, უპირატესად დაბლობ ადგილებში, მთის შუა სარტყელში, იშვიათად ტყის ზედა სარტყელშიც – სვანეთში, რაჭაში, ლეჩეუმში, სამეგრელოში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, მესხეთში.</p> <p>მის ქერქს აგროვებენ, ჩვეულებრივ, ადრე გაზაფხულზე, ჩრდილში აშრობენ და ინახავენ ჭურჭელში ისე, რომ არ დაობდეს და არ დანეხსტიანდეს. ხეჭრელის ქერქის მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება ანტრაგლუკოზიდი, რომლის რაოდენობა ქერქში 3-დან 5% შეადგენს როგორც თავისუფალი, ისე ნაერთობის სახით. მათ შორის უმთავრესი ფრანგულინია. ხეჭრელის ახალ ქერქში მოიპოვება აგრეთვე მომშესამ-ვლი ცილოვანი ნიკოიერება, რომელიც ცნობილია რამნუსტოქსინის სახელწოდებით. ის იწვევს მოწამვლასა და პირდებინებას. ერთი წლის შემდეგ რამნუსტოქსინი სრულიად ქრება გამშრალ ქერქში და ამ მხრივ ის სრულიად უვნებელი ხდება. თავისი საფადარაო მოქმედებით ხეჭრელის ქერქი სენედასა და ალექსანდრიის ფოთოლს არ ჩამოუვარდება.</p> <p>იმერეთში ხეჭრელის ქერქსა და ნაყოფებს იყენებენ კუჭის ამშლელად.</p>

11.	<b>ხვართქლა</b>	<i>Convolvulus arvensis L.</i>	ფშ., ხეს., მხვ., მთ. ფათალა, მხევევარა, ხორთქლა; ოშ. ხვევნურა; ზბ. იმ. გოჭიწელა; ქვ. იმ. ხვიარა, ხორავა; მსხ. გაბმულა; ჭნ. მშანკო; მგრ. მაბჰრა, მაბურა, დიხაში სურო, დიხაში ცურუ, ბაღაღია; სვნ. ნახარწელ, ნაწარხელ.		<p>ეკუთვნის ხვართქლასებრთა (Convolvulaceae) ბოტანიკურ ოჯახს. გავრცელებულია საქართველოს ყველა რაიონში, მრავალწლიანი აბეზარი სარეველაა.</p> <p>ქართულ ხალხურ მედიცინაში ხვართქლას იყენებენ, როგორც საფალარათო საშუალებას, მისი ფოთლების ნახარშს – ოქტოდ შლის დროს, ხოლო ფოთლებისა და დეროს ნახარშს ურევენ ცვილსა და რაიმე ცხიმს და ამზადებენ მაღამოს, რომელიც ჭრილობებს ადვილად ახორცებს. ამ მცენარის ყველა ნაწილები შეიცავს 10%-მდე წებოსებურ, ფისოვან ნივთიერებას, რომელიც ყველაზე მეტია ფეხებში. შეიცავს აგრეთვე გლიკოზიდ იალაპინს (გლიკოზიდური საპონინის მსგავსი მუვას ანჰიდრიდის). აგრეთვე 8,5% მთრიმლავ ნივთიერებებს, ფის 2,4%-ს.</p> <p>გამშრალ ხვართქლას ფარსმანდუკთან ერთად ნაყავენ, იყენებენ ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. ხვართქლას ფოთლებსა და ყვავილს ურევენ აგრეთვე ჭრილობის შემხორცებელ მაღამოში თაფლის სანოელსა და მცენარეულ ზეთთან ერთად (ამბროლაურის რ-ნი).</p>
12.	<b>ხომეჭი</b>	<i>Althaea armeniaca Ten.</i>			<p>ოჯახი ბალბასებრნი (Malvaceae). ხომეჭი მრავალწლოვანი მცენარეა, ძალიან ჰგავს სამკურნალო ტუხეს და მისი ფეხვებიც ნებადაროთულია მედიცინაში გამოსაყენებლად. მცენარე 60–150 სმ სიმაღლისაა, ღერო დაზოგილი, ვარსებელავისებრ-შებუსვისაგან ნაცრისფერ-ხავრდისებრი; ფოთლები ღრმადად დანაკვთული, ხერხისებრ-დაქბილული; ზედა ფოთლები სამადაა გაყოფილი, კიდეებზე ღრმად დაგბილული; ქვედა – თათისებრ-დანაკვთულია. ყვავილები მტევნისებრ საგეელად შეკრებილი. ყვავილის უცნწები 0,5–5 სმ სიგრძისაა, ჯამქვეშას ფოთლები 7–8 ვიწრო ლანცეტებაა, ან ხაზური ძირთან შეზრდილი, თითქმის ორჯერ მოკლე ჯამზე. ჯამის ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრი ფორმის, 8–12 მმ სიგრძისაა. ნაყოფიანობისას ნაყოფზეა გადაფარებული. გვირგვინის ფურცლები გარდისფერ-სოსანია, 1,5–2-ჯერ აღემატება ჯამს, მოგრძო-უბკერცხისებრი 12–17 მმ სიგრძის, ზედა ნაწილში ამონაკვეთებით, ძირში კიდეებზე გრძელებწვიან ფრხისილად შევიწროვებული. ნაყოფი 6–9 მმ სიგანისაა, შედგება 14–20 ვარსკვლავისებრ-შებუსვილი, შიშველ ზურგიანი, გვერდებზე ნაფიფქიანი მერიკარპიუმისაგან; თესლი თირკმლისებრია 2–2,5 მმ სიგრძის მურა ფერის, შიშველი.</p> <p>ხომეჭს უკერს ტენიანი ადგილები, მდინარეთა ნაპირები. იზრდება აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, გარე კახეთში, მესხეთში.</p> <p>ფეხვები მდიდარია ნახშირწყლებით: ლორწო (25–35%), სახამებელი (35–37%), გლუკოზა, საქართხა, პექტინი (10%). ლორწოს ძირითადი</p>

					<p>შემადგენელი ნივთიერებებია პენტოზები, ურონის მჟავები, პენტოზანები, ჰექსოზანები, მეთილპენტოზანები. ლორწო შეიცავს ნეიტრალურ პოლი-საქარიდს – გლუკინი და არაბინოგალაქტინი, მჟავა – გალაქტურონო-რამნანი. მოიპოვება ორგანული მჟავები, ეთერზეთები, კაუჩუქის მსგავსი ნივთიერება, სტეროიდებიდან – ფიტოსტერინი, ვიტამინი C, მთრიმლავი ნივთიერებები, ცხიმები. ფოთლები და ყვავილები შეიცავს ფლავონო-დებს, კუმარინებს, ფენოლკარბონის მჟავებს.</p> <p>ამოსახველებელი, შემომგარსველი, ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა. შედის გულმკერდის ნაკრებებში, ამზადებენ მშრალ ექსტრაქტს, სიროფს, გამონაცემს.</p>
13.	ხორბალი	Triticum L.	აღმსვლ. და დსვლ. პური; ჭ. დიკა; მგრ. ქობალი; სგნ. პეცენ, ავეცენ, სბ. ხვარბალი		<p>ხორბალი მარცვლოვანთა (Poaceae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი კულტურული მცენარეა, მისი სამშობლო საქართველოა, დღეისათვის ის ეულტურაშია შეტანილი და კვების უძინვფასეს პროდუქტს წარმოადგენს. გვხვდება ფხიანი და უფხო ხორბალი. ქართულ ხალხურ მედიცინაში მკურნალობის მიზნით იხმარება ყველა მისი სახეობა – Triticum monococcum L., Triticum durum Des., T. imereticum Dek., T. macha Dek et Men.</p> <p>მესტიაში სტომატიტს მკურნალობებ დამწვარი ხორბლის მარცვლით, მას ნაყავნ, ურევენ დანაყილ შაბს და ცრიან.</p> <p>გორის რ-ში კუჭის შეკრულობის დროს საფადარათოდ ცხოველს ძლიერებს ხორბლის ალაოს.</p>
14.	ხოროსანი	Artemisia cina Berg.	დას. საქ. ხვარასანი		<p>როცლეყვავილოვანთა (Asteraceae) ოჯახის 70 სტ სიმაღლის, ნახევრად-ბუჩქია, 10–20 ლეროთი, ზედა ნაწილში ძლიერ დატოტვილია, ქვევით დაუტოტავი, გამერქნებული, შიშველი და გლუკი. ტოტები გრძელია, წვრილი, ლეროზე თითქმის მიკრული. ფოთლები წვრილი, ორჯერ ფრთისებრ-განკვეთილი, სეგმენტები ბლაგვი წვერით ან წაწვეტებული. ლეროს ფოთლები კაშკაშა-მწვანეა, ფესვთანური კი მონაცრისფრო-მწვანე, ქვედა ფოთლები მცენარის ყვავილობისა და ნაყოფიანობის პერიოდში მთლიანად სცვივა. ყვავილები წვრილი (4 მმ სიგრძის), შეკრებილია მრავალრიცხოვან კალათებად, რომლებიც ქმნიან საგველასებრ ყვავილებს. ყვავილები ორსქესიანია, გვირგვინი ყვითელი ან წითელი, ყვავილობისას არ იხსნება. მცენარე ყვავილობს VIII–IX, მოელი მცენარე შეამიანია.</p> <p>ხოროსანი უდაბნოს მცენარეა, წარმოადგენს სამს. ყაზახეთის ენდემს, გვხვდება უზღეპეტისა და ჩრდ. ტაჯიკეთის ზოგიერთ პუნქტშიც. მდ. სირდარიასა და არისის ველებზე ქმნის დიდ ნაზარდებს. ზოგჯერ 1 ჰა</p>

					<p>ტერიტორიაზე იზრდება 40–60 ათასი ბუჩქი. შემოტანილია კულტურაში.</p> <p>კალათა ყვავილები შეიცავს 1,5–3% ეთეროვან ზეთს, რომელიც შედგება ძირითადად 70–80% ცინეოლისა და სხვა ტერპენებისაგან. მთავარმოქმედი ნივთიერებაა სესქვიტერპენული ლაქტინი სანტონინი (ა-სელენინის ნაწარმი). სანტონინის შემცველობა სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს არანაკლებ 1,75% – ესაა მწვანე მასაში – ყვავილები, ფოთლები და ღეროებისა და ტოტების ახალგაზრდა კენტეროები. გაუშლებდ კალათა ყვავილებში იგი მერყობს 2,5–7% ფარგლებში. გაშლილში – საერთოდ არაა.</p> <p>ხოროსანის ყვავილები Flores Cinae (Flosculi cinae, "Semen Cinae") უდველესი დოროიდან გამოიყენება ჭიის დამდენ საშუალებად (მრგვალი ჭიების – ასკარიდების, ანკილოსტომების).</p>
15.	ხუთყურა	Dorycnium intermedium Ldb. და D. graecum (L.) Ser.			<p>პარკისანთა (Fabaceae) ოჯახის 65–70 სმ სიმაღლის ბუჩქია, ყვავის მაის-სექტემბერში. გვხვდება ტყისპირებზე, ქვიან და კირიან ფერდობებზე და ბორცვებზე, ბუჩქნარებში. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, აზიაში. შეიცავს გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში ბუასილის და თიაქარის საწინააღმდეგოდ.</p> <p>„აზრუმელის ცნობარში“ მოწოდებულია: <b>მუცლის</b> ტკივილის დედალი მრავალძარღვას ძირი, <b>ხუთყურას</b> ძირი, ყვითელი სურავანდის ბალახი, ქექშ ნიგბზისა ძირი, დახავე, ღვიზო დასახი, მგრგვალი წ(ა)მალი გალესე და სვი. ვისაც არ შეერთ თვით არ შე(ე)ყრება, თუ შე(ე)ყრება ადვილათ მორჩება. 53r–54v.</p>
16.	ხურმა	Diospyros lotus L.	გურ., ლჩ. ხუმლა; იმ. ხუმრა; მგრ. ხვიმრა, ხომა.		<p>ხურმა ეპუთვნის აბანოზისებრთა (Ebenaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ხურმა 20–25 მ სიმაღლის ხეა, მისი მყიფე ადვილად მტკრევადი ყლორტები უხევეჭეჭებიანი მოყავისფრო ქერქითაა დაფარული, ტოტების ქერქი მონაცრისფროა, ღერო კი მუქი მოშავო ელფერისაა ღრმა ნაღარებით. შესანიშნავი ტექნიკური მნიშვნელობის მქონე მერქანი საუცხო მასალაა საავეჯო წარმოებისათვის.</p> <p>ფოთლები დიდია, მოხაზულობით კვერცხისებრი ან მოგრძო ელიფსური, 70–100 მმ სიგრძისა და 25–40 მმ სიგანის, კიდემთლიანი, ზემოდან მუქი მწვანე, პრიალა, ქემოდან უფრო ლეგა მწვანე, ორსახლიანი მცენარეა, ორი-სამი ყვავილი ჯგუფადაა განლაგებული ფოთლის ირლიაში, ყვავილობას მაისში იწყებს. ნაყოფი სიდიდით ალუბლის ტოლია, პირველად ყვითელი, ხოლო დამწიფებული მოლურჯო შავი ფერისაა, გამოიყენება საკვებად.</p> <p>ხურმა ბარის მცენარეა, მთაში ზღვის დონიდან 900 მეტრზე მაღლა</p>

					<p>თითქმის არ გვხვდება. მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელია დაბლობი, ტენით უზრუნველყოფილი დაბლობები, ხევები დანესტიანი ადგილები. ბუნებრივად დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში, უფრო მეტად კი კოლხეთში, კახეთში აღაზნის მარცხენა მხარესაა, საკმაოდ სწრაფ-მზარდი ხეა ძლიერი ფესვთა სისტემით.</p> <p>ხურმის ნაყოფი 61%-მდე ვიტამინ C-ს და კაროტინს შეიცავს. ნაყოფებისგან ამზადებენ შესქელებულ წვენს (ხურმადოშაბი), რომელსაც ჰიპერტონიის დროს იყენებენ, აგრეთვე სისხლნაკლულობისას და ამოსახელებელ საშუალებად სასუნთქი გზების კატარის დროს.</p> <p>მის ნაყოფს კაჭის შემკრელად იყენებენ. მისი ყლორტებისაგან გამოხდილ ზეთს კი – ყურის ტკივილის ჩასაყუჩებლად.</p>
17.	<b>ხურტკმელი</b>	Grossularia reclinata (L.) Mill	ქ. ქრთ. კრიკინა; ფშ., ხეს. ორუენწა; მხედ. ეკალხუნწა; მსხ., ჯვე. ღორღოშინა, გორგოშა, ღორღოშო; ზმ. რჭ. რუსული მოცხარი; ინგ. ურუსი ყურზენ; ერ. თეთრეგალა, კინკრიუ, ეუნკრუხელა; ჩ. ეკალხუნწა, კვრიხი.		<p>ხურტკმელისებრთა (Grossulariaceae) ოჯახიდანაა. ხურტკმელი 1 მ-მდე სიმაღლის ეკლიანი ბუჩქია, 3–5 ბლასტებიანი. მცირე ზომის – 1–5 სმ სიგანის, ქვედა მხრიდან შებუსფილი ფოთლებით. ფოთლის ქვედა მხარის ძარღვების გაყოლებაზე არსებული ბუსუსები უხეში და მჩხვლებავია.</p> <p>ბუსუსებიანი ყვავილები მომწვანო ან მოწითალოა და ფოთლების იღლიებში თითო ან წყვილ-წყვილადაა განლაგებული. 1,5 სმ-მდე სიმსხოს ნაყოფი ელიფსური ან მრგვალია, მომწვანო, ყვითელი ან მოწითალო შეფერვით. ყვავის მაის-ივნისში, მწიფდება ივლისში, საჭმელად მოუმწიფებელი ნაყოფებიც გამოიყენება.</p> <p>ბუნებრივად გავრცელებულია კავკასიის მთის შეა სარტყლისა და სუბალპურ ტყეებში, ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზე, მშრალ თხელ ნიოხატ ნიადაგებზე. კარგად იტანს გვალვას და სიცივესაც. სინათლის მომთხოვნია. კულტივირებულია ფართოდ, მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად – კალმებით, ბუჩქის დაყოფით, ძირკვის ამონაყარს უხვად ინგითარებს.</p> <p>ხურტკმელის ნაყოფი (კენკრა) შეიცავს 13,5%-მდე შაქრებს, 2%-მდე ლიმონის, ვაშლის და სხვა მჟავებს, 1%-ზე მეტ პექტინოვან ნივთიერებებს, 54 მგ%-მდე C, 3,25 მგ%-მდე P, B და A ვიტამინებს. გარდა ამისა, მის შემადგენლობაში შედის ფოსფორი, სპილენბი, რკინა, კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი და მაგნიუმი. ნედლი ნაყოფი კარგი ხილია, მისგან ამზადებენ მურაბას, კონფიტურს, კომპოტს, მარმელადს, დეინოს და სხვ. საზამთროდ ნაყოფს ახმობენ, ამზადებენ მარინადს ან კონფიტურს, ჭყლებებს, შაქარს აყრიან და ასე ინახავენ. ხურტკმელის ნაყოფი პოპულარულია ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და გასუქქის საწი-</p>

					ნააღმდეგოდ. ხალხური მედიცინა მასვე იყენებს კუჭსასაქმებლად, შარდ და ნაღველდამდენ საშუალებად. საუცხოო თაფლოვანი მცენარეა.
--	--	--	--	--	---

1.	ჯაგრცხილა	Carpinus orientalis Mill.	ქრთ. თეთრი რცხილა, თეთრორცხილა; ფშ. თეთრი კირცხილა, ჯაგირცხილა; იმ., რჭ., ლჩბ. კვინცხა; გურ. ცხემლა, ძიგრა; ინგ. ათაღარ; ს. ქრცხილი; მგრ. ხერაჯი, ნძლილი, ზღილი, რზღილი, ძლილი; სვნ. ჭაჭაპან.		არყისებრთა (Betulaceae) ოჯახს ეკუთვნის.
2.	ჯადვარი	Orchis maculata L.	კხ. გულფილტვა, გულფილტვის ბალახი; მთ. კაციხელა; რჭ. ხუთთითა, ცხრათითა.		ტუბერაკებიანი, მრავალწლიანი, 20-60 სმ სიმაღლის ჯადვარი-სებრთა (Orchidaceae) ოჯახის მცენარე. უკუკვერცხისებრი ან ლანცეტა, 6-15 სმ სიგრძის ფოთლები ზემოდან მოყავისფრო ლაქებიანია, ქვემოდან კი ღია მწვანე. ყვავის მაის-ივნისში. მედიცინაში ჯადვარის ახალი ტუბერაკები გამოიყენება. ჯადვარის გამშრალი ძირბოლქვისაგან დამზადებულ პრეპარატებს იყენებენ როგორც შიგნით მისაღებ შემომგარსველ საშუალებას, უმთავრესად ბავშვების ნაწლავთა კატარის შემთხვევაში და მოწამვლის დროს. ჯადვარის ტუბერაკს იყენებენ, კოლიტის, გასტრიტის და გასტრიტული წყულოვანი დაავადების დროს, აგრეთვე ზედა სასუნთქი გზების კატარის და პირის ღრუს ანთებითი დაავადების სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში ჯადვარი იხმარება როგორც ენერგიის აღმდგენად. სვამენ ნახარშს კუჭაშლილობის, მსხვილი ნაწლავის კოლიტის და საშარდე ბუშტის კატარის სამკურნალოდ. ჯადვარის წყლიან ნადღვებს წარმატებით იყენებენ იყნისათვის კუჭაშლილობის, დიზენტერიის დროს. ჯადვარი კარგი საშუალებაა მოხუცების, ტუბერკულოზიანების, მძიმე დაავადებაგადატანილი ადამიანების და ხანგრძლივი სისხლდენით დასუსტებულთა (მათ შორის ბუასილიანთა) მოსამაგრებლად.

3.	ჯავზი	Myristica moschata Thub.	საბა ხეხო.		<p>მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე 15–60 სმ სიმაღლისა, ორი მომსხო ძირხვენით, რომელიც მთავრედება გრძელი, ძოწისფერი თავთავისებრი ყვავილედით. ფოთლები ფართოლანცეტურია. ყვავილობს ივნის-ივლისში.</p> <p>პექტინური ნივთიერებების შემცველობის გამო მცენარე ხასიათ-დება ამომავსებელი თვისებებით, გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, დიზინტერიის, სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების, მეერდისა და სხვა ქალური დაავადებების, თირკმლების სამკურნალოდ.</p>
4.	ჯანჯაფილი				ნ. კოჭა.
5.	ჯინჭარა, ჭინჭარი	Urtica urens L. U. dioica L.	მხვ. ჭახიანა; ინგ. ჟინჭარ; ჭნ. დინჭკიჯი, დინჭყიჯი; მგრ. ჭუჭელია, ჭუჭელე; სვნ. მერხელ.		<p>მრავალწლიანი, 50-150 სმ სიმაღლის ჭინჭარისებრთა (Urticaceae) ოჯახის მცენარეა გრძელი ფესვებით, რომელთა ნაწილზე ბოლქვისებრი გამსხვილებებია განვითარებული. ძირში ამოსული ფოთლები ღრმად გულისებ სამკუთხა კიდემრგვალვბილა კონფიგურაციისაა. ღეროს შუა და ზედა ნაწილში კვერცხისებრი ფოთლები ერთიმერობის პირისპირაა გაწყობილი, რომელიც ქვედა ფოთლებზე უფრო პატარაა. კეწწრული ფოთლები ლანცეტა და მჯდომარეა. ვარდისფერი ყვავილები ფოთლების იღლიებში მრავალყვავილიან რგოლებადაა განწყობილი, ხაზურ-სადგისი-სებრი მრავალრიცხვოვანი გაფშეკილი ბეწვებით. კარგი თაფლოვანი მცენარეა, მიმზიდველი შესახედაობისა. ფესვების მსხვილი ბოლქვისებრი გამონაზარდები მდიდარია სახამებლით და საჭმელად გამოიყენება როგორც გამხმარი, ასევე მოხარშული და შემწვარიც. მას ფევავენ და რძიან ფაფასაც აკეთებენ. მიწისზედა ნაწილები ალკალოიდებს შეიცავს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭის დაავადებების (გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება), პნევმონიის, ბრონქიტის, ფილტვის ტუბერკულოზის, გინეკოლოგიური დაავადებების, წყალმანვის, სიყვითლის, გაციცების, ციებ-</p>

					ცხელებისა და ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ.
6.	ჯინჭრის-დედა, ჭინჭრის-დედა	<i>Lamium album</i> L.	მხვ. სასუტებელა, საწოვაა; მსხ., ჯვე. საწუწნელა, წუწნელა; ერწო უსუსხავი ჭინჭარი; ზმ. იმ. დედაფუტკარა; ქვ. იმ., გურ. ჯოლჯედუა, ჯინჯოდუა; ღჩხ. ჭინჭრიდედუე; აჭ. ჯინჭრის-დედო; ინგ. ჯინჭრის-დედა; მგრ. მაჭუჭელაია, ოწოწია, ჭუჭელეშ დიდა.		მცოცავ ძირიანი მრავაწლიანი ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის ბალახოვანი მცენარე 70 სმ სიმაღლისა. აქვს სწორი, უტოტებო ტანი, ლანცეტური, კვერცხისებური ღეროები, თეთრი ან მოყვითალო ყვავილები. ისხამს კვერცხისებურ, სამწახნაგა კაკლებს. ფოთლები და ყვავილები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ლორწოს, საპონინებს, ეთერულ ზეთს, ალკალოიდებს, სხვადასხვა მჟავებს, მიკროელემნტებს. მისი პრეპარატები გამოიყენება შარდის ბუშტის ქრონიკული დაავადებების, თირკმლების, ანემიის, გინეკოლოგიური დაავადებების, ალერგიის სამკურნალოდ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებში დიათეზის სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში ნაყენი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების, სისხლნაკლულობის, ნერვული აღგზნების, ელენთის, თირკმლების, ფილტვებისა და სამშობიარო სისხლდენის სამკურნალოდ. გარეგანად გამოიყენება სავლებად, ჭრილობების მოსაბანად, დამწვრობების, ძირმაგარების, ეგზემის, გამონაყარების, სიმსივნეების მოსავლელად.
7.	ჯინჭრიფოთოლა, ჭინჭრიფოთოლა	<i>Plectranthus</i> <i>fruticosus</i> Salisb.			მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი ბუჩქი 120 სმ სიმაღლისა. ძალიან განტოტვილია. ყლორტები ჩამოშვებულია. ფოთლები გულის ფორმისაა, არომატული. ყვავილები ძალიან წვრილია, თეთრი. ფოთლები და ყლორტები გაწმენდისას გამოსცემენ სუნს, რომელიც გვაგონებს პიტნისა და ქაფურის ნაზავს. ფოთლების ეთერული ზეთი აჯანსაღებს ჰაერს. ფიტონციდები სპობენ მიკროორგანიზმებს. ხალხი მას ქინქლის ხეს ეძახის, რადგან ქინქლები, კოლოები და ბუზები მის სურნელს ვერ იტანენ.
8.	ჯიქა	<i>Lonicera</i> <i>caprifolium</i> L.	მთ. ტაბაკა; ფშ. უსურ- ვაზი; რჭ., ღჩხ. საწო- ვარა, საწოველა; ყ. თხისკუდა, ერ. ვირისკუდა; ჩუბ. უკუღმანაზარდი.		მრავალწლოვანი ცხრატყავასებრთა (Caprifoliaceae) ოჯახის ბუჩქია. ტოტები დაფარულია მუქი რუხი ქერქით. ფოთლები კვერცხისებური ან შებრუნებული კვერცხისებურია, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან – ღია. ყვავილედი 3–10 წითელი ან ვარდისფერი ყვავილისაგან შედგება. ნაყოფი რამდენიმე თესლიანი წითელი კენკრა. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწის-ზედა ნაწილი. ყვავილები შეიცავს ეთერზეთს. ახასიათებს შარდ-მდენი, ჭრილობების შემხორცებელი, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. ნახარშები გამოიყენება გარეგა-

					ნად ყელში გამოსავლებად, კომპრესებისათვის. ნორჩი ყვავილები ჰომეოპათიაში გამოიყენება სპირტიანი ესენციების სახით. ნორჩი ყვავილებისა და ფოთლების წვენი იხმარება დერმატოზების დროს. წვენს ხმარობენ წყლულების სამკურნალოდ. ყვავილების ნაყენი სასარგებლოა თვალების ტკივილისას. დანაწევრებულ ფოთლებს იდებენ ჭრილობებზე. ნახარშსა და ნაყენს სვამენ კუჭ-ნაწლავის წყლულის შემთხვევაში. ამავე ნაყენით მკურნალობენ თმის ცვენას.
9.	ჯიჯლაყა	Amaranthus L.			<p>ერთწლიანი ბალახოვანი Amaranthaceae-ის ოჯახის მცენარე 100 სმ-მდე სიმაღლისა. იზრდება თითქმის ყველგან. ფესვი იტოტება. ღერძიც განტოტვილია და სწორი. ფოთლები მორიგეობითია, კვერცხისებრ-რომბული.</p> <p>სამკურნალოდ მთელი მცენარე გამოიყენება.</p> <p>მცენარე შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მის შედეგნილობაში შედის აზოტისშემცველი ნივთიერებები, ბეტა-ციდები, ამარანტინი, ბეტანინი, ორგანული მჟავები, ვიტამინები, მიკროელემენტები. შეიცავს ამინომჟავებს, ცილებს, რომლებიც გარდაიქმნება ქალის რძედ. წყლიანი გამონაწვლილები ხსნათ-დება ბაქტეროციდული, პროსტიციდული და ანტიფუნგალური თვისებებით. ცხიმოვანი ზეთი ანთების საწინააღმდეგო და სისხლადმდებენი საშუალებაა. ფესვების ნახარში სიყვითლის წამალია, წვენი სისმისივნის საწინააღმდეგო. ხალხურ მედიცინაში იყენებენ სხვადასხვა წარმომავლობის სიმსივნის, სოკოების, სისხლდენების, გულის, თირკმლების, კუჭ-ნაწლავის სისტემის სამკურნალოდ და გარეგანად – ეგზემის, ფსორიაზის, დერმატიტების, ეროზიებისათვის. ჯიჯლაყას ზეთი იხმარება ქვეწარმავლების იარების, ნაკბენებისა და დამწვრობების სამკურნალოდ.</p>

10.	ჯონჯოლი	<i>Staphylea colchica</i> Stev.	კხ. უონჯოლი; გურ., იმ., რჭ., ლჩხ. კაპარი; გურ., მგრ. კამპარი; აჭ. ბოტიყვერა; ინგ. უონჯოლ; ჭნ. თხაკალი.		ბუჩქი ან ტანდაბალი ხე ჯონჯოლისებრთა (Staphyleaceae) ოჯახისა. აქვს გრძელყუნწიანი, სამ- ან ხუთფოთოლაკიანი ფოთლები. გავრცელებულია ბალკანეთსა და მცირე აზიაში. საქართველოში მირითადად კოლხეთში იზრდება. გვხვდება აგრეთვე ბანისხევში (ბორჯომთან). იზრდება ზღვის დონიდან 700-800 მ-მდე, ტყის პირებზე, წაბლნარებსა და მუხნარებში ქვეტყედ. ზოგჯერ კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში (მაგ., თბილისის ბოტანიკურ ბაღში). ყვავილობს მასში, მსხმიარობს ივლისში. კოლხური ჯონჯოლის გაუმლელ ყვავილებს ამწნილებენ.
11.	ჯონჯოლი კოლხური				ნ. კოლხური ჯონჯოლი.
12.	ჯონჯოლი ფრთისებრი				ნ. ფრთისებრი ჯონჯოლი.
13.	ჯონჯოლი ჩვეულებრივი				ნ. ჩვეულებრივი ჯონჯოლი.
14.	ჯორის ძუა ეფედრა, ცხენის მუხლა	<i>Ephedra L.</i>			1-2 მ სიმაღლის ეფედრასებრთა (Ephedraceae) ოჯახის ბუჩქია. ქერქი ღეროსა და ტოტებზე ნაცრისფერია. ბუტკოიანი ყვავილედი ერთყვავილიანია, მოპირისპირედ გაწყობილი. მწიფე ცრუ ნაყოფი - კენკრაგირჩა წითელი ან მოწითალო, ყვითელი კვერცხისებრი მოგრძო ან კვერცხისებრ სფერულია. ყვავის მარტ-აპრილში. მედიცინაში მწვანე ტოტები გამოიყენება, რომელთაც ყვავილობის ან ცრუ ნაყოფების მომწიფების პერიოდში აგროვებენ. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება რევმატიზმის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ. მთავარ მოქმედ ნივთიერებას ალკალოიდი ეფედრინი წარმოადგენს. ეფედრინი აღაზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, გულის მუშაობას, უმატებს სისხლის წნევას, ავიწროებს სისხლძარღვებს. გამოყოფილია აგრეთვე ლეიკოანტოციან ლეიკოეფედრინი, რომელიც მაღალი P ვიტამინური აქტივობის მქონეა. პრეპარატი ეფედრინი მედიცინაში უმთავრესად ბრონქიალური ასმის დროს გამოიყენება. აგრეთვე ყივანახველის, გულის კუნთის დაავადებისას და სისხლის დაბალი წნევის

					საწინააღმდეგოდ. მონღოლეთის ხალხურ მედიცინაში იციან როგორც საშუალება ღვიძლისა და ნაღველსადინარების დაავადების დროს. საკმაოდ შხამიანია. ცნობილია მისი მიზანით ბატკნებისა და თიკნების მოწამვლის შემთხვევები დედა ცხვრებისა და თხების რძის მეშვეობით, რომელთაც ეს მცენარე ძოვეს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ იგი სამკურნალოდ მხოლოდ ექიმს დანიშნულებით უნდა იქნას გამოყენებული. პრეპარატების მიცემა არ შეიძლება ჰიპერტონიან, ათეროსკლეროზიან, ძლიერ აღზნებულ ავადმყოფებისათვის, აგრეთვე უძილობადაჩემებულ-თათვის და გულის კუნთის მძიმე ორგანული დაზიანების დროს. ეფედრინი თანმხლებ მოვლენებს არ იწვევს, ზოგ შემთხვევებში ავადმყოფს ემართება სწრაფწარმავალი სუსტი ცახცახი და გულისცემა. დიდი დოზით მიღებისას შეიმჩნევა აღზნება, უძილობა, მთელი სხეულის ან კიდურების ცახცახი, ჰიპერლებინება, ოფლიანობის გაძლიერება, შარდის ხუთვა.
15.	ჯოჭი	Xanthogalum purpurascens Lall.	მთ. რჭ. ქუქუნდელი, ქურქუნდელი, ქურქუტელი.		
16.	ჯოჯო	Ulex europaeas L.			ძალიან განტოტვილი პარკოსანთა (Fabaceae) ოჯახის ბუჩქია ერთნახევარი მეტრი სიმაღლისა. ფოთლები ხაზოვანია, ეკლიანი. ყვავილები ყვითელია, ერთეული. ველურად იზრდება დასავლეთ ევროპაში. ყლორტებს იყენებენ ჩაის სუროგატად. ყვავილებისაგან ამზადებენ ელექსირებს და იყენებენ ფსიქოთე-რაპიაში.
17.	ჯუთი	Corchorus capsularis L.			მრავალწლოვანი ბალახოვანი ცაცხისებრთა (Tiliaceae) ოჯახის მცენარე 15–35 სმ სიმაღლისა. აქვს მორიგეობითი, უკუკვერცხი-სებრი ფოთლები, მუქი-მწვანე გაუმჭვირვალე ყვავილები. ნაყოფი სამწახნაგა კოლოფია. ყვავილობს ივლის-აგვისტოში. სამკურნალოდ გამოიყენება ძირი, წვენი და ბალახი. შეიცავს ალკალოიდებს, საპონინებს, ლორწოს, ფისს, სიმწარეს, ეუფობრინს, მთრიმლავ ნივთიერებებს. იყენებენ ჭრილობების შესახორცებლად. ბალახი იხმარება ცისტიტის და ფალარათის სამკურნალოდ. ფესვები გამოიყენება თავის ტკივილისა და საკვერცხეების

					სამკურნალოდ. წყალში გახსნილი წვენით მკურნალობენ წყლისას. არის ძლიერი ამოსაღებინებელი საშუალება. ხმარობენ ნაკბენებისთვის. წვენს მიაწერენ ბნელი ძალებისაგან დაცვის ფუნქციას და იყენებენ შელოცვების დროს.
18.	ჯულაბი	Euphorbia lathyris L.			<p>რძიანასებრთა (Euphorbiaceae) ოჯახს ეკუთვნის. იზრდება მთის ქვედა სარტყელში რუდერალურ ადგილებზე გზადმოყოლილია, გვხვდება იმერეთში ქუთაისის ახლოს. კულტურაში ხშირია. ქვემო უწერაში ჯულაბს ყაბოს წამალს ეძახიან და მკურნალობენ ღორების ყელის შესიებას.</p> <p>როლოვის მიხედვით, ფრანგულ ფარმაკოპეაში შეტანილია მუცლის ჭვლების დროს, ძლიერი შეკრულობისა და სოლიტერის წინააღმდეგ.</p> <p>VIII საუკუნეში კარლოს დიდმა ბრძანა ჯულაბი გაეშენებინათ მონასტრების ირგვლივ, როგორც ყველაზე სასარგებლო მცენარე.</p>
19.	ჯღარდალა				ნ. შავჯაგა.